გადასახადები და საგადასახადო დაბეგრვა

ვაჟა ვეხვეიძე

ლაშა ვეხვეიძე

დღგ-ზე და აქციზის გადასახადზე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვაჟა ვერულიძე

გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა

სახელმძღვანელო

მესამე გადამუშავებული გამოცემა

გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2015

UDC(უაკ) 336.22+336.225
ვ-39

წარმოდგენილ სახელმძღვანელოში განხილულია გადასახადების არსი, ფუნქციები, თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, საქართველოს საგადასახადო სისტემა და მისი აგების პრინციპები, საგადასახადო ვალდებულების შესრულების წესი, საგადასახადო სამართალდარღვევისა და პასუხისმგებლობის ზომები, საგადასახადო დავისა და მისი განხილვის პროცედურები.

სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოში მოქმედი გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდის წესს, ამდენად, საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები განხილულია პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტების, მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ასევე, საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო სფეროში დასაქმებული პერსონალისა და საგადასახადო საქმით დაინტერესებული პირებისათვის.

რედაქტორი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ***მურმან ცარციძე***

რეცენზენტები: ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
პროფესორი ***ელენე ხარაბაძე***
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
პროფესორი ***ნათელა ლაცაბიძე***

ISBN 978-9941-434-99-0
© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2015

BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE
UNIVERSITY

VAZHA VERULIDZE

TAXES AND TAXATION

Textbook

Third revised edition

The textbook deals with the essence, functions, theoretical and methodological basics of taxes, as well as taxation system in Georgia and its principles, the rule of fulfilling tax obligations, tax transgression and measures of responsibility, tax disputes and procedures of the discussion.

The textbook draws special attention to the assessment and payment rules of the taxes acting in Georgia. Hence the corresponding articles of the taxation legislation are discussed with practical examples.

The book is designed for BA, MA and PhD students and teachers of the faculty of Economics as well as enterprise and organization personnel employed in financial sphere and people interested in taxation.

Editor: Doctor of Economic Science
professor ***MURMAN TSARTSIDZE***

Reviewers: Doctor of Economic Science
Professor ***ELENE KHARABADZE***
Doctor of Economic Science
Professor ***NATELA LATSABIDZE***

ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი I. გადასახადების წარმოშობის ისტორია, არსი, ფუნქციები და აუცილებლობა 7

თავი II. გადასახადების თეორიული საფუძვლები 16

თავი III. გადასახადების სტრუქტურის ძირითადი ელემენტების არსი და დახასიათება 26

თავი IV. საქართველოს თანამედროვე საგადასახადო სისტემის აგების ძირითადი პრინციპები. გადასახადის გადამხდელი და საგადასახადო აგენტი 37

თავი V. საქართველოს საგადასახადო ორგანოები, მათი ფუნქციები, უფლებები და ვალდებულებები 54

თავი VI. საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები და მისი შესრულების წესი. საგადასახადო მოთხოვნა და გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა 70

თავი VII. გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები 89

თავი VIII. საშემოსავლო გადასახადი 97

§1. საშემოსავლო გადასახადის არსი, გადასახადის გადამხდელი, გადასახადისაგან გათავისუფლება 97

§2. საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები 114

თავი IX. მოგების გადასახადი 138

თავი X. ერთობლივი შემოსავლის შემადგენელი ელემენტები და მისი გაანგარიშების მეთოდიკა 145

თავი XI. ერთობლივი შემოსავლიდან ხარჯების გამოქვითვის წესი 153

თავი XII. საერთაშორისო დაბეგვრა. შემოსავლების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან 196

თავი XIII. საგადასახადო აღრიცხვის წესები 203

თავი XIV. გადასახადების ადმინისტრირების წესები 218

თავი XV. დამატებული ღირებულების გადასახადი 231

თავი XVI. აქციზი 306

თავი XVII. იმპორტის გადასახადი 333

თავი XVIII. ადგილობრივი გადასახადი 354

თავი XIX. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა 374

თავი XX. საგადასახადო კონტროლი 403

თავი XXI. საგადასახადო სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა 421

თავი XXII. საგადასახადო დავა 439

ლიტერატურა 446

თავი I

გადასახადების წარმოშობის ისტორია, არსი, ფუნქციები და აუცილებლობა

სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად, გადასახადები ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლად იწყებს ჩამოყალიბებას. კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე, გადასახადების წარმოშობა დაკავშირებული იყო კონკრეტულ ტერიტორიაზე დასახლებული ადამიანების, როგორც ისტორიული ერთობის, სასიცოცხლო ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, სათანადო რესურსების მოძიებასა და გადანაწილებასთან, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელი გახდა საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბების პირობებში.

ძველ საბერძნეთში, ძვ. წ. VII-IV სს., იქმნებოდა რა სახელმწიფოს საფუძვლები, შემოღებული იქნა გადასახადები – შემოსავლების ერთი მეათედი ნაწილის ოდენობით, რაც საშუალებას იძლეოდა შეენახათ დაქირავებული ჯარი, გაემაგრებინათ ქალაქის მისადგომები, აეშენებინათ ტაძრები, გზები, წყალგაყვანილობა და სხვა ინფრასტრუქტურული ნაგებობები. თუმცა გადასახადებთან დაკავშირებით არც მაშინ იყო ერთიანი შეხედულებები. მაგალითად, ათენში ითვლებოდა, რომ თავისუფალ მოქალაქეს არ უნდა გადაეხადა გადასახადები, ზოგიერთი მოქალაქე გადასახადის გადახდას დამცირებადაც კი აღიქვამდა.

ჯერ კიდევ ძვ. წ. XII საუკუნეში, ჩინეთში, ბაბილონსა და სპარსეთში არსებობდა ე. წ. სულადობრივი გადასახადები.

გადასახადების აკრების ფორმებისა და მეთოდების განვითარებამ მსოფლიოში, სამი ძირითადი ეტაპი განვლო. განვითარების საწყის ეტაპზე, ძველი მსოფლიოდან შუა საუკუნეების დასაწყისამდე სახელმწიფოს არ გააჩნდა ფინანსური აპარატი გადასახადების აკრებისათვის, მას შეეძლო განესაზღვრა მხოლოდ შემოსავლების საერთო სიდიდე რომლის მიღებაც სურდა, ხოლო აკრება ევალებოდა ქალაქს. მეორე ეტაპზე (XVI –XIX სს), წარმოიშვა სახელმწიფო დაწესებულებები, მათ შორის ფინანსური და **სახელმწიფომ**

დაბეგვრასთან დაკავშირებული ფუნქციების ნაწილი საკუთარ თავზე აიღო: ადგენდა დაბეგვრის სიდიდეს და ყურადღებას აქცევდა გადასახადების აკრების პროცესს. მესამე ანუ თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო უკვე თავისთავზე იღებს ყველა იმ ფუნქციას, რაც დაკავშირებულია გადასახადის დაწესებასთან, შეცვლასთან, დაბეგვრის წესების დადგენასთან, ადმინისტრირებასთან და ა. შ.

ახალი ისტორიის საწყის ეტაპზე, ევროპაში თანამედროვე სახელმწიფოები გამოჩნდა XVI – XVII საუკუნეებში სადაც ძირითადი გადასახადებიდან ცნობილი იყო მიწის გადასახადი, სულადობრივი გადასახადი, აქციზი, საბაჟო გადასახადი, კომუნალური და ადგილობრივი გადასახადები.

სახელმწიფო თავისი წარმოშობიდან დღემდე, მჭიდროდ არის დაკავშირებული გადასახადებთან და მისი არსებობა წარმოუდგენელია გადასახადების გარეშე, სწორედ ამ კავშირის ხასიათია გამოხატული ბენჟამინ ფრანკლინის ფრაზაში: „ცხოვრებაში გარდაუვალია ორი რამ: სიკვდილი და გადასახადები“.

თეორიული თვალსაზრისით, ურთიერთობები დაბეგვრის სფეროში წარმოადგენს საფინანსო ურთიერთობების შემადგენელ ნაწილს და საგადასახადო სისტემა ორგანულად უკავშირდება საფინანსო-საბიუჯეტო სისტემას. სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკა კი წარმოადგენს ქვეყნის საფინანსო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს.

გადასახადი – ეს არის ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრების გასხვისების ერთადერთი კანონით დადგენილი ფორმა ვალდებულებით საწყისებზე, რომელიც არ ექვემდებარება ინდივიდუალურად უკან დაბრუნებას ან ანაზღაურებას, უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებით, არ ატარებს დასჯის ან კონტრიბუციის ხასიათს და აუცილებელია საჯარო ხელისუფლების სუბიექტების გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

როგორც განმარტებიდან ჩანს, გადასახადის გადამხდელია **მესაკუთრე და არა მოქალაქე.** გადასახადის გადახდა არის სოციალური ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს კერძო საკუთრების უფლებიდან, ხოლო კერძო საკუთრება ემსახურება საზოგადოების ინტერესებს. საბოლოო ჯამში კი გადასახადები დაწესებულია სახელმწიფო ხარჯების დაფარვის უზრუნველყოფის მიზნით და

იგი წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ ძირითად წყაროს.

გადასახადის გადახდის ვალდებულება ცალმხრივია, ანუ არსებობს მხოლოდ ერთი ვალდებული მხარე – გადასახადის გადამხდელი. სახელმწიფო არ იღებს თავის თავზე არავითარ შესაბამის ვალდებულებას კონკრეტული გადასახადის გადამხდელის წინაშე და არ არის ვალდებული შეასრულოს რაიმე მის სასარგებლოდ, იმავდროულად, გადასახადის გადამხდელი, გადასახადის გადახდით არ იძენს არანაირ უფლებას.

გადასახადის გადახდა ბიუჯეტში ხორციელდება ფულადი ფორმით, თუმცა ცალკეულ ქვეყნებში არსებობდა ნატურალური გადასახადებიც, ანუ გადასახადები, რომელთა გადახდა წარმოებდა საქონლით ან მომსახურებით. მაგალითად, ლაოსში და ვიეტნამში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირებს გადასახადის გადახდა შეეძლოთ ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქციით კერძოდ, ბრინჯით.

საბიუჯეტო კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო ხაზინაში გადასახადების გარდა ირიცხება სხვა სახის შენატანებიც. მაგალითად, ნებართვების, ლიცენზიების გაცემისა და სხვა სახის სახელმწიფო მომსახურების გაწევიდან მიღებული საფასური, სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავლები, როიალტი, შემოსავლები სახელმწიფო ქონების რეალიზაციიდან და ა.შ.

ამრიგად, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობების ფორმირება ხდება როგორც **შემოსავლების**, მათ შორის გადასახადების, გრანტებისა და სხვა შემოსავლების, ისე **არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრებით**, **ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრებითა** (მაგ. გაცემული სესხებიდან მიღებული პროცენტები) და **ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრებით**.

გარდა ამისა ადგილობრივი თვითმმართველობისათვის გათვალისწინებულია გათანაბრებითი ტრანსფერი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გამოეყოფა მიზნობრივი ტრანსფერი და სპეციალური ტრანსფერი.

საგადასახადო შემოსავლებს მიეკუთვნება საქართველოს საგა-

დასახადო კოდექსით მოწესრიგებული საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები.

არასაგადასახადო შემოსავლებს მიეკუთვნება მოსაკრებლები, ჯარიმები, სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ ფასიანი მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები, სამოქალაქო-სამართლებრივი, ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიებების შედეგად მიღებული შემოსავლები.

არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებულ სახსრებს მიეკუთვნება: სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები კერძოდ, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მარაგების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები, სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამგებლობაში არსებული შენობების, ნაგებობების ან სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები (იხ. სქემა №1).

რაც შეეხება **გრანტს,** ის არის გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის.

გრანტად არ ჩაითვლება სამეწარმეო და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გაცემული სახსრები.

გადასახადებს გააჩნია ორი ძირითადი ფუნქცია: ფისკალური და მასტიმულირებელი. ფისკალური ფუნქცია გულისხმობს გადასახადების თვისებას შეავსოს ბიუჯეტი, ხოლო მასტიმულირებელი ფუნქცია გულისხმობს საგადასახადო ბერკეტების ზემოქმედების მეშვეობით უზრუნველყოს ეკონომიკის განვითარების სტიმულირება.

გადასახადების გარდა, ცნობილია, აგრეთვე, **ბაჟი და მოსაკრებელი**, რომლებსაც იგივე ფინანსური დატვირთვა გააჩნია როგორიც

გადასახადებს, მათი გადამხდელებიც არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, ოღონდ გარკვეული გარემოების წარმოშობისას.

ბაჟი დაკავშირებულია გარკვეული მომსახურების გაწევასთან გადასახადის გადამხდელის სასარგებლოდ. მაგალითად, სახელმწიფო ბაჟი ამოიღება სასამართლოში და ნოტარიუსში. არსებობს ასევე ბაჟის სხვა სახეებიც: სარეგისტრაციო და საბაჟო ტერიტორიაზე ამოსაღები.

სარეგისტრაციო ბაჟი ამოიღება მაგალითად, პირის მიერ განცხადებით მიმართვის შემთხვევაში, გამოგონებაზე პატენტის გასაცემად.

საბაჟო ტერიტორიაზე, ბაჟი ამოიღება საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციების განხორციელებისას.

სქემა №1



განსხვავება ბაჟსა და მოსაკრებელს შორის ხშირად არ წარმოიშობა, თუმცა **მოსაკრებელს ძირითადად უწოდებენ გადასახდელს სპეციალური უფლების მოპოვებისათვის** (მაგალითად, მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის და ა.შ.)

საქართველოში, შემოღების წესის მიხედვით არსებობს საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მოსაკრებლები.

საერთო-სახელმწიფოებრივი მოსაკრებლებია:

ა) სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლები;

ბ) სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებელი;

გ) სარეგისტრაციო მოსაკრებელი;

დ) სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებელი;

ე) სახელმწიფო ბაჟი;

ვ) საკონსულო მოსაკრებელი;

ზ) სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი;

თ) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი;

ი) საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი.

ადგილობრივი მოსაკრებლებია:

ა) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებელი;

ბ) დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი;

გ) სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი;

დ) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი;

ე) კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი;

ვ) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსლოატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილებების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი;

ზ) მშენებლობის სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის

მომსახურების მოსაკრებელი.

გადასახადები, ფუნქციონალური ნიშნისა და მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგ ჯგუფებად: პირდაპირი (ანუ საშემოსავლო-ქონებრივი) და არაპირდაპირი (ანუ გადასახადები მოხმარებაზე); გასაშლელი და რაოდენობრივი; მიმაგრებული და მარეგულირებელი; სახელმწიფო და ადგილობრივი; საერთო და მიზნობრივი; რეგულარული და ერთჯერადი.

პირდაპირი გადასახადები ამოიღება შემოსავლების მიღებისთვის და ქონების ფლობისათვის, ხოლო არაპირდაპირი – მიღებული შემოსავლების ხარჯვის პროცესში. პირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება: საშემოსავლო, მოგების და ქონების გადასახადი, ხოლო არაპირდაპირს – დამატებული ღირებულების გადასახადი და აქციზი.

საშემოსავლო-ქონებრივი გადასახადები თავის მხრივ იყოფა პირად და რეალურ გადასახადებად.

პირადი გადასახადები გადაიხდება ნამდვილად მიღებული შემოსავლებიდან.

რეალური გადასახადები ამოიღება სავარაუდოდ მიღებული საშუალო შემოსავლიდან, მაგალითად, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია განისაზღვროს ამა თუ იმ ქონებიდან მიღებული შემოსავლების სიდიდე (მაგალითად, ტაქსის მძღოლის შემოსავლები).

გასაშლელი გადასახადები ფართოდ გამოიყენებოდა საგადასახადო დაბეგვრის განვითარების ადრეულ სტადიებზე და მისი სიდიდე გამომდინარეობდა კონკრეტული ხარჯების ზომიდან (მაგალითად გალავნის აშენება). გადასახადის თანხები თანაბრად ნაწილდებოდა გადასახადის გადამხდელებზე.

რაოდენობრივი გადასახადები, განსხვავებით გასაშლელისაგან, გამომდინარეობს არა ხარჯების დაფარვის მოთხოვნიდან, არამედ გადასახადის გადამხდელის შესაძლებლობიდან და ითვალისწინებს მის ქონებრივ მდგომარეობას.

მიმაგრებულია გადასახადი, რომელიც მუდმივად ან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმაგრებულია კონკრეტული დონის ბიუჯეტზე, როგორც მისი შემოსავლების წყარო. მაგალითად, დამატებული ღირებულების გადასახადი მიმაგრებულია ცენ-

ტრალურ ბიუჯეტზე, ხოლო ქონების გადასახადი – ადგილობრივ ბიუჯეტზე.

მარეგულირებელი გადასახადები კი ყოველწლიურად გადანაწილდება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის დეფიციტის დაფარვის მიზნით.

სახელმწიფო გადასახადები მიემართება ფედერალურ ან ცენტრალურ ბიუჯეტში, ხოლო **ადგილობრივი გადასახადები** – ადგილობრივ ბიუჯეტში.

საერთოა გადასახადები რომელიც ემსახურება ზოგადად ბიუჯეტის შევსებას, ხოლო მიზნობრივია გადასახადი, რომელიც ემსახურება კონკრეტული მიზნის შესრულებას. მაგალითად, გადასახადი საგზაო ფონდში (ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ეს გადასახადი გაუქმებულია).

რეგულარულია გადასახადები რომლებიც ამოიღება გარკვეული პერიოდულობით, მაგალითად, საშემოსავლო გადასახადი, ქონების გადასახადი.

ერთჯერადია გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია რაიმე მოვლენასთან, მაგალითად, იმპორტის გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია საქონლის იმპორტთან.

გადასახადების დაწესებისა და მათი განაკვეთების განსაზღვრის პროცესი საჭიროებს მეცნიერულ მიდგომას, როგორც სამართლიანობის, ისე ეფექტიანობის მიღწევის თვალსაზრისით კერძოდ, გადასახადების სამართლიანობა გულისხმობს არა მარტო დაბეგვრის თანაბარი რეჟიმის დაწესებას, გადასახადის გადამხდელებისათვის არამედ იმასაც თუ რამდენად დიდია საგადასახადო ტვირთი (სიმძიმე) ამა თუ იმ პირისათვის მაგალითად, ფიზიკური პირის შემთხვევაში, მისი შემოსავლებიდან გადასახადის გადახდის შემდეგ დარჩენილმა თანხამ უნდა უზრუნველყოს ამ ფიზიკური პირის ფიზიოლოგიური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ხოლო იურიდიული პირისათვის კი მოტივაციის შენარჩუნება გააგრძელოს ეკონომიკური საქმიანობა.

ამრიგად, კანონმდებლის ამოცანას წარმოადგენს **ეკონომიკურად დასაბუთებული წინადადებების საფუძველზე** დაბეგვრის ისეთი რეჟიმის დაწესება, რომელიც არ შეანელებს გადამხდელის ეკონო-

მიკურ აქტივობას და იმავდროულად უზრუნველყოფს ბიუჯეტში საგადასახადო შენატანების სათანადო დონეს.

საგადასახადო სიმძიმის ზღვარი წარმოადგენს დაბეგვრის პირობით წერტილს, რომელიც ოპტიმალურია როგორც გადასახადის გადამხდელისათვის, ასევე სახელმწიფო ხაზინისათვის. პირობითი წერტილის გადაწევა ამა თუ იმ მხარეს წარმოშობს ურთიერთსაწინააღმდეგო ვითარებას, რაც ვლინდება ბიუჯეტის ქრონიკულ დეფიციტში ან პოლიტიკურ კონფლიქტებში, საგადასახადო ორგანოებისადმი გადამხდელთა დაუმორჩილებლობაში, გადასახადებისაგან მასობრივად თავის არიდებაში და მოსახლეობის მიგრაციაში.

თავი II

გადასახადების თეორიული საფუძვლები

გადასახადების დაწესების, ასევე მისი აკრების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებზე, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე ჩამოყალიბდა ერთმანეთისაგან განსხვავებული საგადასახადო თეორიები. თითოეული თეორია გვთავაზობს საგადასახადო სისტემის აგების სხვადასხვა პრინციპებს, ასევე განსაზღვრავს მის სტრუქტურას, როლსა და ფუნქციებს ეკონომიკაში.

სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკა ეფუძნება იმ მეცნიერულ კონცეფციებს, რომლებმაც მოიპოვეს არა მხოლოდ თეორიული აღიარება არამედ პრაქტიკული გამოყენება. მათ მიეკუთვნება:

- ✓ კლასიკური თეორია;
- ✓ კეინსური თეორია;
- ✓ ნეოკლასიკური თეორია;
- ✓ ნეოკეინსური თეორია.

დაბეგვრის კლასიკური თეორია

დაბეგვრის კლასიკური თეორიის ფუძემდებელი იყო ა. სმიტი, რომელმაც პირველად შექმნა, მეცნიერულად დასაბუთებული სისტემური სწავლება გადასახადების შესახებ და აღნიშნა, რომ საგადასახადო სისტემის ფორმირება ხდება სახელმწიფოს განვითარების შედარებით მაღალ დონეზე და ეს არის დამოუკიდებლად მოქმედი სამეურნეო სუბიექტებისაგან, შემოსავლების მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული და სისტემატიზირებული ამოღება სახელმწიფოს სასარგებლოდ. ა. სმიტმა, წინა პლანზე წამოწია დაბეგვრის ოთხი ძირითადი პრინციპი: თანაბარზომიერება, განსაზღვრულობა, მოხერხებულობა და სიიაფე. როგორც ა. სმიტი, ასევე უ. პეტი, ჯ. მილი და სხვები თვლიდნენ, რომ ეკონომიკა იყო მყარი და თვითრეგულირებადი სისტემა, რომელიც მიიღწეოდა „უხილავი ხელის" პრინციპის მოქმედების საფუძველზე. თუმცა აღნიშნული პრინციპის მუშაობისათვის აუცილებელი იყო სახელმწიფოს შეესრულებინა მასზე დაკისრებული ფუნქციები: **საკუთრების უფლების დაცვა და**

თავისუფალი ბაზრის განვითარების უზრუნველყოფა.

კლასიკური თეორიის მიხედვით, გადასახადები განიხილებოდა როგორც სახელმწიფო შემოსავლების ერთ-ერთი წყარო, ხოლო მისი **მარეგულირებელი** როლი მისთვის განხილვის საგანს არ წარმოადგენდა.

საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და სამეწარმეო ურთიერთობების სრულყოფის კვალდაკვალ, ეკონომიკაში განვითარდა ობიექტური ციკლური მოვლენები (სამრეწველო კრიზისი ინგლისში 1825 წელს, ინგლისსა და აშშ-ში 1836 წელს, აშშ-ში და ევროპის რიგ ქვეყნებში 1847-1848 წლებში, ასევე 1857 წელს, 1866 წელს, 1873 წელს, 1882 წელს, 1890 წელს და 1907 წელს). ყველაზე დამანგრეველი ეკონომიკური კრიზისები განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებისათვის იყო 1920-1921, 1929-1933, 1937-1938 წწ. 1929-1933 წლის დიდმა დეპრესიამ, რომელიც გამორჩეული იყო წარმოების ღრმა და ხანგრძლივი დაცემით, აუცილებელი გახადა გადასახადების შესახებ მაშინ არსებული კლასიკური თეორიის კორექტირება და სახელმწიფოს ადგილისა და როლის ხელახალი გააზრება, რომელიც გულისხმობდა იმას, რომ **გადასახადები გამოყენებულიყო როგორც ეფექტიანი ინსტრუმენტი ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისათვის**. გაჩნდა ახალი მეცნიერულად დასაბუთებული თეორიები, როგორც სახელმწიფოს ადგილისა და როლის შესახებ ეკონომიკურ პროცესებში ისე დაბეგვრის მნიშვნელობის შესახებ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პროცესში.

დაბეგვრის კეინსური თეორია

დაბეგვრის თეორიებს იკვლევდა ასევე ჯ. კეინსი, რომელიც კლასიკური თეორიისაგან განსხვავებით, **ემიჯნებოდა** სახელმწიფოს ჩარევისაგან თავისუფალ ბაზარს. ჯ. კეინსის თეორია ეფუძნება **ეფექტიანი მოთხოვნის** აუცილებლობას როგორც პირობას, რომელიც უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას სახელმწიფო რეგულირების სხვადასხვა მეთოდების მეშვეობით. ჯ. კეინსი თვლიდა, რომ კაპიტალისტური საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტა უნდა მოიძებნოს არა რესურსების მიწოდების მეთოდებში, არამედ ეფექტიანი

მოთხოვნის მეთოდებში და ჩამოაყალიბა მოთხოვნის ფორმირების კომპონენტები – სამომხმარებლო და საინვესტიციო მოთხოვნა, მათი დინამიკის განმსაზღვრელი ფაქტორები, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საგადასახადო დაბეგვრის საკითხებს.

დაბეგვრის სფეროში ჯ. კეინსი უპირატესობას ანიჭებდა მაღალ გადასახადებს და პროგრესულ დაბეგვრას, ვინაიდან თვლიდა, რომ გადასახადები შეიძლება გამოყენებულიყო როგორც „ჩაშენებული მექანიზმები“ ბაზრის მოქნილობის უზრუნველსაყოფად. თუ მოხდებოდა საგადასახადო ბაზის შემცირება და შემცირდებოდა ბიუჯეტის შემოსავლები, რომლითაც გამწვავდებოდა ეკონომიკური არამდგრადობა, პროგრესული დაბეგვრის მეთოდი ჯ. კეინსის აზრით ხელს შეუწყობდა ამ პროცესის შერბილებას. კერძოდ, პროგრესული დაბეგვრა იმოქმედებდა როგორც „ჩაშენებული სტაბილიზატორი“, რომლის მუშაობის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკის ზრდის დროს, შემოსავლების ზრდასთან ერთად კიდევ უფრო მეტად იზრდება გადასახადის განაკვეთები, ხოლო კრიზისის დროს შემოსავლების შემცირებასთან ერთად უფრო სწრაფად მცირდება გადასახადის განაკვეთები, და ამგვარად ბუნებრივად მიიღწევა შედარებით სტაბილური მდგომარეობა საზოგადოებაში.

ჯ. კეინსის თეორია წარმარებით გამოიყენებოდა ომის შემდგომ პერიოდში, იგი ხელს უწყობდა კაპიტალისტური ქვეყნების კრიზისიდან გამოყვანას, წარმოადგენდა ეფექტიან საშუალებას სამხედრო მრეწველობის განვითარებისათვის. თუმცა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მშვიდობიანი განვითარების პირობებში, დასავლეთის ქვეყნებში, თანდათანობით თავი იჩინა ეკონომიკების ციკლურმა განვითარებამ. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ ეროვნული ეკონომიკების ინტეგრაციის პირობებში კრიზისი სწრაფად ვრცელდებოდა. ამ ვითარებაში ჯ. კეინსის მიერ შემოთავაზებულმა სახელმწიფო ჩარევის თეორიამ „ეფექტიანი მოთხოვნის“ მიღწევისათვის ვეღარ უპასუხა ეკონომიკის განვითარების მაშინდელ მოთხოვნებს, ამიტომ კეინსური „ეფექტიანი მოთხოვნის“ კონცეფცია შეიცვალა **ნეოკლასიკური „ეფექტიანი მიწოდების“** კონცეფციით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჯ. კეინსის თეორია ავსებდა კლასიკურ თეორიას და მან სერიოზული კორექტირება შეიტანა და-

ბეგვრისა და ეკონომოკის სახელმწიფო რეგულირების საკითხებში, კერძოდ მის მიერ იქნა შემოთავაზებული მიდგომა, იმასთან დაკავშირებით რომ გადასახადები გამოყენებულიყო როგორც ინსტრუმენტი მოხმარების ნორმის დასარეგულირებლად, დაგროვებისა და წარმოების ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირებისათვის.

ჯ. კეინსის მიმდევრები, ა. ლარნერი, ე. ხანსენი და სხვები გვთავაზობდნენ მკაცრ საგადასახადო პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებდა მსხვილი შემოსავლებისა და მემკვიდრეობით მიღებული ქონების მაღალი განაკვეთებით, ხოლო დაბალი შემოსავლების შეღავათიან დაბეგვრას. ჯ. კეინსი და მისი მიმდევრები თვლიდნენ, რომ სწორედ ასეთი საგადასახადო პოლიტიკა უზრუნველყოფდა ეკონომიკურ განვითარებასა და სოციალურ სამართლიანობას.

დაბეგვრის ნეოკლასიკური თეორია

პრინციპული განსხვავება ნეოკლასიკურ და კეინსურ თეორიებს შორის მდგომარეობს სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური პროცესების რეგულირების მეთოდებთან დაკავშირებით არაერთგვაროვან მიდგომაში, კერძოდ კეინსური მიდგომისაგან განსხვავებით, რომელიც ამტკიცებდა, რომ დინამიური განვითარება შეუძლებელია და ამიტომ არსებობს სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის აუცილებლობა, **დაბეგვრის ნეოკლასიკური მიმართულება ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან მარეგულირებელი ზემოქმედება მიმართული უნდა იყოს მხოლოდ იმისკენ, რომ აღმოფხვრას დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის თავისუფალი კონკურენციის კანონებს მაგრამ არ უნდა შეზღუდოს ბაზრის ბუნებრივი თვითრეგულირებადი კანონები.** მოცემული თეორიის მიხედვით გადასახადები უნდა ყოფილიყო მინიმალური. ნეოკლასიკური თეორიის ფუძემდებელი იყო ჯ. მილი, მას მიაჩნდა, რომ სახელმწიფო თავად წარმოადგენდა დესტაბილიზაციის ფაქტორს, ამიტომ მისი ეკონომიკაზე ზემოქმედება უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით. მაგრამ ფულად-საკრედიტო პოლიტიკისათვის უპირატესობის მინიჭებით უგულებელყოფილი რჩებოდა საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა. უნდა აღინიშნოს, რომ თვით ნეოკლასიკური სკოლის მიმდევრებს არ ჰქონდათ ერთნაირი შეხედულება სახელმწიფოს როლთან დაკავშირებით ეკონომიკური პროცესების რეგულირების საკითხებში. ერთი ნაწილი თვლიდა, რომ სახელმწიფო რეგულირება და მაღალი გადასახადები აფერხებს ეკონომიკურ ზრდას, ამიტომ აუცილებელია გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების შემცირება. მეორე ნაწილს მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს როლი უნდა შეზღუდულიყო მხოლოდ იმ საქმიანობით, რომელსაც მის გარდა ვერავინ ვერ განახორციელებდა: ფულის მასის რეგულირება მიმოქცევაში, ბანკების საპროცენტო განაკვეთების რეგულირება, საგადასახადო რეგულირება (გადასახადების ამაღლება ან დადაბლება). ამიტომ, **ნეოკლასიკური თეორიის ჩარჩოებში ჩამოყალიბდა ორი მიმართულება: მონეტარიზმის თეორია და მიწოდების თეორია.**

ნეოკლასიკური თეორიის ძირითადი იდეა მდგომარეობდა ინფლაციის შემცირების მეთოდების ძიებაში და საგადასახადო შეღავათების მინიჭებაში კორპორაციებისა და მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომლებიც ახდენდნენ სამომხმარებლო მოთხოვნის ფორმირებას ბაზარზე.

მიწოდების თეორია

ა. სმიტი აღნიშნავდა, რომ გადასახადის გადამხდელებისათვის საგადასახადო სიმძიმის შემცირებით, სახელმწიფო **იგებს** მეტს ვიდრე მისი გაზრდით. აღნიშნული მიდგომა გახდა მიწოდების ეკონომიკის თეორიის საფუძველი, რომელიც გულისხმობდა გადასახადების შემცირებას და საგადასახადო შეღავათების დაწესებას. ჯ. კეინსისაგან განსხვავებით აღნიშნული თეორიის მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ მაღალი გადასახადები აფერხებს სამეწარმეო აქტიურობას. გარდა ამისა სასურველი იყო სახელმწიფო ხარჯების შემცირება.

ამრიგად მიწოდების ეკონომიკის თეორია ეფუძნება თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, რომელმაც თავის დროზე ასახვა ჰპოვა ა. ლაფერის კვლევებში გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში. ა. ლაფერი იკვლევდა რაოდენობრივ დამოკიდებულებას დაბეგვრის პროგრესულობასა და ბიუჯეტის შემოსავლებს შორის და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გადასახადების შემცირება და-

დებითად მოქმედებს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობაზე და აუმჯობესებს მის გადახდისუნარიანობას. საგადასახადო შემოსავლების ზრდა შესაძლებელია გადასახადების განაკვეთების მხოლოდ გარკვეულ დონემდე ზრდით, ხოლო შემდეგ იწყება ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება.

ა. ლაფერი თვლიდა, რომ საგადასახადო სიმძიმის ზღვრული ოდენობა უნდა ყოფილიყო შემოსავლების 30%-ის ფარგლებში, ამ შემთხვევაში მისი მტკიცებით გაიზრდებოდა ბიუჯეტის შემოსავლები. ხოლო როდესაც საგადასახადო სიმძიმე შემოსავლების 40-50%-ს მიაღწევდა შემცირდებოდა კომპანიების შემოსავლები და მოსახლეობის დანაზოგები, რომელიც შეამცირებდა ინვესტიციებს. გადასახადების შემცირება, თავის მხრივ გამოიწვევდა ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას საგადასახადო ბაზის ზრდის ხარჯზე.

მონეტარიზმის თეორია

მონეტარიზმის თეორია შემუშავებული იქნა ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორის მ. ფრიდმენის მიერ (1912 წელს), რომელიც გულისხმობდა სახელმწიფოს როლის შეზღუდვას მხოლოდ ფულის მასის რეგულირებით მიმოქცევაში. გარდა ამისა მონეტარისტები უშვებენ სახელმწიფოს მხრიდან ბანკების საპროცენტო და საგადასახადო განაკვეთების რეგულირების შესაძლებლობასაც (მათი შემცირების მიმართულებით).

მონეტარისტების აზრით, მიმოქცევაში ფულის მასის რეგულირება გადასახადებისა და საპროცენტო განაკვეთების შემცირებასთან ერთად უზრუნველყოფს სტაბილურობას როგორც მაკროეკონომიკურ, ისე კომპანიების დონეზე.

მონეტარისტებისაგან განსხვავებით მიწოდების თეორიის მომხრეები თვლიდნენ, რომ გაუთვალისწინებელი ინფლაციის მთავარი მიზეზები მაღალი საგადასახადო განაკვეთებია.

დაბეგვრის ნეოკეინსური თეორია

დაბეგვრის ნეოკეინსური თეორია ნაკარნახევია სახელმწიფო რეგულირების კეინსური კონცეფციის ელემენტებისა და ნეოკლასიკური მიმართულების კონცეფციის შეჯერებით, რომელიც ძირითადად ეფუძნება ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობას.

ნეოკეინსიანელებს მიუღებლად მიაჩნდათ სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევის ისეთი ფორმები როგორიცაა კეინსური ანტიციკლური რეგულირება, შემოსავლების ბიუჯეტის მეშვეობით გადანაწილება, ხოლო უმუშევრობის მიზეზებს ისინი ხედავდნენ სახელმწიფოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში.

მნიშვნელოვანი ადგილი ნეოკეინსურ თეორიაში დათმობილი აქვს საგადასახადო პრობლემებს. ინგლისელი ეკონომისტი ი. ფიშერი და ნ. კალდორი არიან ნეოკეინსური თეორიის წარმომადგენლები. ისინი გვთავაზობენ დასაბეგრი ობიექტები დაიყოს მოხმარებიდან გამომდინარე და დაიბეგროს მოხმარებული პროდუქტის საბოლოო ღირებულება. სწორედ აქედან წამოვიდა იდეა მოხმარებაზე გადასახადების დაწესების შესახებ, რომელიც მათი აზრით წარმოადგენდა დანაზოგების წახალისების მეთოდს და ინფლაციასთან ბრძოლის საშუალებას. ფული რომელიც გათვალისწინებული იყო სამომხმარებლო საქონლის შესაძენად მიმართული იქნებოდა ინვესტიციისაკენ ან დანაზოგებისაკენ. გრძელვადიანი დანაზოგები უკვე თავისთავად წარმოადგენს მომავალი ეკონომიკური ზრდის ფაქტორს. წარმოების დაცემის პროცესში ხარჯები სამომხმარებლო ბაზარზე მცირდება უფრო ნელი ტემპით, ვიდრე მცირდება შემოსავლები, რაც იმავდროულად იწვევს აჟიოტაჟურ მოთხოვნას, ამიტომ შენატანები მოხმარებაზე გადასახადებიდან მნიშვნელოვნად იზრდება, ვიდრე საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის დროს. ასე, რომ საგადასახადო სისტემა ვერ შეასრულებდა „ჩაშენებული სტაბილიზატორის“ როლს, თუმცა ნ. კალდორი თვლიდა, რომ გადასახადები მოხმარებაზე, რომელიც იქნებოდა წარმოდგენილი პროგრესული განაკვეთებით და შეღავათებით სხვადასხვა საქონელზე (მაგალითად ყოველდღიური მოხმარების საქონელზე), უფრო სამართლიანი იქნებოდა დაბალშემოსავლიანი ადამიანებისათვის, ვიდრე ფიქსირებული გადასახადი გაყიდვიდან. გარდა ამისა, ეს გადასახადი არ ბეგრავს დანაზოგებს, რომელიც აუცილებელია მომავალი ინვესტირებისათვის.

დაბეგვრის თანამედროვე თეორიები

დაბეგვრის თეორიების თანამედროვე მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ არ არსებობს რომელიმე ერთი თეორია რომელიც გამოდგებოდა რეცეპტად ყველა სახელმწიფოსათვის მათი საგადასახადო სისტემების ასაგებად. თუმცა პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბევრ ქვეყანაში დაბეგვრის მეთოდოლოგიად გამოიყენება სამივე კონცეფციის ურთიერთშეხამება: კეინსური სხვადასხვა ვარიაციებით, მიწოდების ეკონომიკის თეორიები და მონეტარიზმი.

კეინსური და კლასიკური შეხედულებების შეჯერება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისა და დაბეგვრის საკითხებთან დაკავშირებით შეიმჩნევა არა მხოლოდ ცნობილი ეკონომისტების მხრიდან, არამედ სახელმწიფო მოხელეების მხრიდანაც რომლებიც დაკავებული არიან აღნიშნული პრობლემების დარეგულირებით.

მთავრობა აწესებს რა გადასახადებისა და მოსაკრებლების სხვადასხვა სახეებს, იყენებს დაბეგვრის სხვადასხვა მეთოდებს (თანაბარი, პროპორციული, პროგრესული, რეგრესული). დაბეგვრის თანამედროვე ეტაპზე შეუძლებელია უპირატესობა მიენიჭოს რომელიმე ერთი გადასახადის სახეს, ერთი დაბეგვრის მეთოდს ან დასაბეგრი ობიექტების ერთ ჯგუფს, ვინაიდან საგადასახადო სისტემები თანამედროვე მსოფლიოში ვერ იარსებებენ ერთმანეთისაგან განცალკევებულად, გასათვალისწინებელია საგადასახადო დაბეგვრის განვითარების მსოფლიო ტენდენციები, ასევე უნდა მოგვარდეს ორმაგ დაბეგვრასთან დაკავშირებული პრობლემები და სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს გაწონასწორებული საგადასახადო პოლიტიკა.

უნდა აღინიშნოს, რომ გადასახადების წარმოშობის დროიდან მოყოლებული, ყოველთვის მიმდინარეობდა მის როლსა და ადგილთან დაკავშირებით ეკონომიკაში.

მთავრობის მიერ დაწესებული გადასახადები, კომპანიების დონეზე აისახება მათ მიერ წარმოებული პროდუქციის დანახარჯებში, ან მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ფასზე დანამატის სახით (ანუ საბაზრო ფასში). პირველი პირობის მიხედვით, თეორიულად გადასახადი დაწესებულია საქონლის გამყიდველებზე, ხოლო მეორე პირობის მიხედვით კი მყიდველებზე.

ნახაზი №1

საგადასახადო სიმძიმის გადანაწილება მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის



ყველა სხვა თანაბარ პირობებში, მხოლოდ მომხმარებლისათვის გადასახადის დაწესებისას, მათთვის პროდუქცია თავდაპირველად გაძვირდება შემოღებული გადასახადის ოდენობით, მაგრამ თანდათანობით იგი გამოიწვევს მყიდველის მოთხოვნის შემცირებას და მოთხოვნის მრუდის გაზრდილი ფასის სიდიდის შესაბამისად გადაადგილებას მარცხნივ (ანუ ქვემოთ).

გადასახადის მხოლოდ მწარმოებლებზე დაწესების შემთხვევაში იგი უარყოფითად აისახება პროდუქციის მიწოდების მოცულო-

ბაზე ვინაიდან, მყიდველის მიერ გადასახდელი ფასი უცვლელი რჩება, ხოლო მწარმოებელი იძულებული ხდება გადასახადი გადაიხადოს საკუთარ ხარჯზე, ეს იწვევს მისი (მოგების შემცირებას ზუსტად გადასახადის ოდენობის სიდიდით) დანახარჯების ზრდას ანუ ყოველი ერთი ერთეული პროდუქციის რეალიზაციის დროს მწარმოებელი იმ სიდიდით ნაკლებ შემოსავალს მიიღებს რა სიდიდის გადასახადიც იქნა დაწესებული ერთ ერთეულ პროდუქციაზე, ამიტომ იგი ამცირებს მიწოდების მოცულობას. ამ შემთხვევაში მიწოდების მრუდი გადაადგილდება მარცხნივ (ანუ ზემოთ) იმავე მანძილზე რა სიდიდის გადასახადიც იქნა დაწესებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბაზარზე ყალიბდება ახალი წონასწორული ფასები, ვინაიდან დაწესებული გადასახადის მთელ სიმძიმეს თავის თავზე არ იღებს არც მწარმოებელი და არც მომხმარებელი კერძოდ, გამყიდველისათვის ჩამოყალიბდება ახალი წონასწორული ფასი **გადასახადის გარეშე**, ხოლო მყიდველისათვის ჩამოყალიბდება ახალი წონასწორული ფასი **გადასახადის ჩათვლით** (იხ. ნახაზი № 1).

როგორც ნახაზიდან ჩანს, ახალ წონასწორობაში რეალიზებული პროდუქციის მოცულობა ნაკლებია ვიდრე გადასახადების შემოღებამდე იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ გადასახადები უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის ზრდაზე (თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ გადასახადები არ უნდა არსებობდეს).

ამრიგად, მიუხედავად იმისა თუ ვისზეა დაკისრებული გადასახადი, მწარმოებელზე თუ მომხმარებელზე, ისინი ამ გადასახადის სიმძიმეს ინაწილებენ, ხოლო რაც შეეხება საგადასახადო სიმძიმის გადანაწილების პროპორციებს იგი ბაზრის იმ მხარეს გადაიხრება სადაც ელასტიურობა ნაკლებია.

თავი III

გადასახადების სტრუქტურის ძირითადი ელემენტების არსი და დახასიათება

გადასახადი ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული და კანონი თითოეული გადასახადის შესახებ უნდა მოიცავდეს ამომწურავ ინფორმაციას, რაც შესაძლებელს გახდის კონკრეტულად დადგინდეს:

- ვალდებული პირი, საგადასახადო ვალდებულების სიდიდე და მისი გამოთვლის წესი;
- სახელმწიფოს მოთხოვნის საზღვრები გადასახადის გადამხდელის ქონებასთან მიმართებაში.

იმ შემთხვევაში თუკი კანონი გადასახადების შესახებ იქნება ორაზროვანი და ბუნდოვანი, ამან შეიძლება გამოიწვიოს:

- ერთის მხრივ გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება, კანონიერი გზებით;
- მეორეს მხრივ საგადასახადო ორგანოების მხრიდან კანონის დებულებების ფართო განმარტებები და კანონის ბოროტად გამოყენება.

სტრუქტურულად, კანონი თითოეული გადასახადის შესახებ აუცილებლად უნდა შეიცავდეს იმ ელემენტებს რომელთა გარეშეც არ შეიძლება საგადასახადო ვალდებულება და მისი აღსრულების წესი ჩაითვალოს განსაზღვრულად. გადასახადის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ არსებით ელემენტებს:

- გადასახადის გადამხდელი (გადასახადის სუბიექტი);
- გადასახადის ობიექტი;
- გადასახადის საგანი;
- გადასახადის მასშტაბი;
- საგადასახადო ბაზის აღრიცხვის მეთოდები;
- საგადასახადო პერიოდი;
- დაბეგვრის ერთეული;
- გადასახადის განაკვეთი;
- გადასახადის გადახდის ვადები.

გარდა არსებითი ელემენტებისა არსებობს *ფაკულტატური ელე-*

შენტებიც, რომლებიც გავლენას ვერ ახდენენ საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრულობის ხარისხზე, თუმცა მნიშვნელოვნად ამცირებენ ამ ვალდებულების სათანადო შესრულებას. მათ მიეკუთვნება:

- ზედმეტად გადახდილი გადასახადების უკან დაბრუნების წესი;
- პასუხისმგებლობა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის;
- საგადასახადო შეღავათები.

გადასახადის გადამხდელი (გადასახადის სუბიექტი) – ეს არის პირი, რომელსაც აწევს გადასახადის გადახდის იურიდიული ვალდებულება საკუთარი საშუალებების ხარჯზე.

საკუთარი საშუალებების ხარჯზე გადასახადის გადახდის ვალდებულება, არ ნიშნავს იმას, რომ უშუალოდ გადასახადის გადამხდელმა უნდა გადაიხადოს გადასახადი. გადასახადის გადამხდელის სახელით გადასახადი შეიძლება გადაიხადოს მისმა წარმომადგენელმა (მშობელი, მეურვე, მზრუნველი) ან სხვა პირმა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით (სსკ. მუხლი 53 ნაწილი 4).

გადასახადის გადამხელსა და სახელმწიფოს შორის ეკონომიკური ურთიერთობები განისაზღვრება რეზიდენტობის პრინციპიდან გამომდინარე. საგადასახადო სამართალი გადასახადის გადამხდელებს აჯგუფებს რეზიდენტებად და არარეზიდენტებად, და ანიჭებს მათ შესაბამის სტატუსს.

ფიზიკური პირის საგადასახადო სტატუსის განსაზღვრა დამოკიდებულია მისი ყოფნის პერიოდზე მოცემულ ქვეყანაში ერთი წლის განმავლობაში. მაგალითად, ფიზიკური პირი მოცემული ქვეყნის რეზიდენტად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი ფაქტობრივად იმყოფება ამ ქვეყნაში 183 დღით ან მეტი ვადით ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში და ითვლება იმ წლის რეზიდენტად რომელშიც შეუსრულდა რეზიდენტობის სტატუსის მისაღებად დადგენილი ვადა.

იურიდიული პირებისათვის კი რეზიდენტობის განსაზღვრის საფუძველია შემდეგი კრიტერიუმები:

- **ინკორპორაციის კრიტერიუმი** – იურიდიული პირი ითვლება ქვეყნის რეზიდენტად, თუ იგი ამ ქვეყანაში დაფუძნდა;
- **იურიდიული მისამართის კრიტერიუმი** – იურიდიული პირი

ითვლება ქვეყნის რეზიდენტად, თუ მან ამ ქვეყანაში დაარეგისტრირა თავისი იურიდიული მისამართი;

- **ცენტრალური მმართველობისა და კონტროლის განხორციელების ადგილის კრიტერიუმი** – იურიდიული პირი ითვლება ქვეყნის რეზიდენტად, თუ ამ ქვეყნის ტერიტორიიდან ხორციელდება კომპანიის საერთო ხელმძღვანელობა და მისი საქმიანობის კონტროლი;
- **საქმიანი მიზნის კრიტერიუმი** – იურიდიული პირი ითვლება ქვეყნის რეზიდენტად, თუ მისი საქმიანი ოპერაციების ძირითადი მოცულობა ხორციელდება ამ ქვეყნის ტერიტორიაზე.

იურიდიული პირის საგადასახადო სტატუსი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით დაკავშირებულია საწარმოს საქმიანობის ან მართვის ადგილთან.

გადასახადის ობიექტი – ეს არის ის იურიდიული ფაქტები (მოქმედება, მოვლენა და მდგომარეობა), (ქონებით სარგებლობის უფლება, ქონებაზე საკუთრების უფლება, საქონლის ან მომსახურების მიწოდება, ფასიანი ქაღალდების ოპერაციები, ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა/გატანა) **რომლებიც განაპირობებენ სუბიექტის ვალდებულებას გადაიხადოს გადასახადი.**

მაგალითად, მიწაზე გადასახადის ობიექტია საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე, ხოლო უშუალოდ მიწის ნაკვეთი არის გადასახადის საგანი. ამ შემთხვევაში სუბიექტის ვალდებულებას, გადაიხადოს გადასახადი, წარმოშობს მისი **მდგომარეობა** საგანთან მიმართებაში. ეს არის საკუთრების უფლება (ანუ ქონებრივი მდგომარეობა).

გადასახადის საგანს წარმოადგენს მატერიალური სამყაროს ობიექტები, რომელთა არსებობასაც კანონი უკავშირებს საგადასახადო ვალდებულების წარმოშობას (ბინა, მიწის ნაკვეთი, ეკონომიკური ეფექტი (სარგებელი), საქონელი). გადასახადით დაბეგვრის საგანი თავისთავად არ წარმოშობს საგადასახადო შედეგებს, მაშინ, როდესაც სუბიექტის განსაზღვრული იურიდიული მდგომარეობა მასთან დამოკიდებულებაში წარმოადგენს შესაბამისი საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის საფუძველს.

საგადასახადო ბაზა წარმოადგენს გადასახადის საგნის რაოდენობრივ გამოხატულებას, ანუ ეს არის სიდიდე, რომლის მიმართაც

გამოიყენება გადასახადის განაკვეთი.

ამორჩეული მასშტაბიდან გამომდინარე, გადასახადით დასაბეგრი ბაზა, შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად:

√ საგადასახადო ბაზა ღირებულებითი მაჩვენებლებით. მაგალითად, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონების გადასახადის გამოსაანგარიშებლად გამოიყენება ქონების ღირებულება;

√ საგადასახადო ბაზა ფიზიკური მაჩვენებლით. მაგალითად, აქციზის გამოანგარიშებისას გამოიყენება რეალიზებული პროდუქციის მოცულობა ან რაოდენობა, მისი ღირებულების მიუხედავად.

გადასახადით დასაბეგრი ბაზის დასადგენად აუცილებელია განისაზღვროს გადასახადის **მასშტაბი**, ანუ გადასახადით დასაბეგრი საგნის კანონით განსაზღვრული ფიზიკური მახასიათებელი. გადასახადის ერთეული არის მასშტაბის პირობითი ერთეული, რომელიც გამოიყენება, როგორც გადასახადით დასაბეგრი ბაზის რაოდენობრივი გამოხატულება. მაგალითად, ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ქონების გადასახადის მასშტაბს წარმოადგენს ავტომობილის ძრავის სიმძლავრე (იხ. სქემა №2).

სქემა №2



გადასახადის წყაროს წარმოადგენს ის რეზერვი (რესურსი) რომელიც გამოიყენება გადასახადის გადასახდელად. გადასახადის

წყარო შეზღუდულია და არსებობს მხოლოდ ორი წყარო, რის ხარჯზეც შეიძლება გადასახადის გადახდა, ეს არის შემოსავალი და/ან კაპიტალი.

მაგალითი:

მიწის გადასახადის შემთხვევაში დაბეგვრის ობიექტია მიწის საკუთრება (ანუ ქონებრივი მდგომარეობა რომელიც ასახულია მიწის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტში), საგანი კი კონკრეტული მიწის ნაკვეთი. ამ გადასახადის წყარო შეიძლება იყოს შემოსავალი, რომელიც მიღებული იქნება ამ მიწის ნაკვეთის გამოყენებიდან, ან შემოსავლები მიღებული მიწის ნაკვეთის გაყიდვიდან. თუკი გადასახადის გადახდა მოხდება კაპიტალის ხარჯზე, საბოლოოდ კაპიტალი გაქრება და ამოიწურება გადასახადის გადახდის საშუალება. ამიტომ გადასახადის გადახდა მიზანშეწონილია შემოსავლებიდან და არა კაპიტალიდან.

გადასახადის გადამხდელის შემოსავლები შეიძლება მოცემული იყოს სხვადასხვა ფორმით – ხელფასი, მოგება, რენტა, პროცენტები. საგადასახადო დაბეგვრის მიზნით კი შემოსავლების ფორმას აქვს არსებითი მნიშვნელობა ვინაიდან სამეურნეო საქმიანობის შედეგი – ობიექტური მოვლენაა. გადასახადებით დაბეგვრა კი ხშირ შემთხვევაში ორიენტირებულია რეალურ შედეგზე მისი მიღების კანონიერების (მართლზომიერების) მიუხედავად. მრავალ ქვეყანაში კრიმინალური შემოსავლები იბეგრება ისევე, როგორც ლეგალური ბიზნესიდან მიღებული შემოსავლები. თუმცა სპეციალისტების უმეტესი ნაწილი თვლის, რომ გადასახადით დასაბეგრი ობიექტის განსაზღვრისას აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ შემოსავალზე (ქონებაზე) საკუთრების უფლების შეძენის ფაქტი. ძარცვის ან ქურდობის შემთხვევაში დამნაშავე არ იძენს საკუთრების უფლებას დატაცებულ ნივთზე, აქედან გამომდინარე ასეთ პირს არ უნდა წარმოექმნას გადასახადით დაბეგვრის ობიექტი და საგადასახადო ვალდებულება.

ამ მოსაზრების საპირისპირო მაგალითს წარმოადგენს ჩიკაგოს მაფიის მეთაურის ალ კაპონეს განაჩენი. გამოძიებამ ვერ შეძლო დაემტკიცებინა მისი მონაწილეობა კრიმინალურ საქმიანობაში, თუმცა შეძლო დაედგინა ამ საქმიანობიდან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიღებული და დეკლარაციაში მიუთითებელი შემო-

სავლები. შედეგად, იგი გასამართლდა გადასახადებისაგან თავის არიდებისათვის.

გადასახადის სუბიექტი და გადასახადის ობიექტი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ამ კავშირის ხასიათიდან გამომდინარე გადასახადები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: რეზიდენტობის პრინციპის მიხედვით აგებული გადასახადები და ტერიტორიული პრინციპის მიხედვით აგებული გადასახადები.

რეზიდენტობის პრინციპის შესაბამისად დაბეგვრის პირობებში სახელმწიფო თავის საგადასახადო იურისდიქციას ავრცელებს იმ პირის ყველა შემოსავლებზე რომელიც საგადასახადო კანონით დადგენილი დროის განმავლობაში იმყოფება მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე, მათ შორის იმ შემოსავლებზეც რომელიც მიღებულია საზღვარგარეთ.

ტერიტორიული პრინციპის შესაბამისად დაბეგვრის პირობებში კი მოცემულ სახელმწიფოში დაბეგვრას ექვემდებარება ყველა შემოსავალი რომელიც ამ ქვეყნის ტერიტორიაზეა მიღებული, მიუხედავად მისი მიმღების იურიდიული სტატუსისა, ხოლო აღნიშნული ქვეყნის მოქალაქეების მიერ სხვა ქვეყნებში მიღებული შემოსავლები მოცემულ ქვეყანაში გადასახადებით არ იბეგრება.

ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, რეზიდენტობის პრინციპი მისაღებია განვითარებული ქვეყნებისათვის, რომელთა მოქალაქეები მნიშვნელოვან შემოსავლებს ღებულობენ კაპიტალის ქვეყნის გარეთ განთავსებიდან. ხოლო იმ ქვეყნებში, რომელთა ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უცხოურ ინვესტიციებს უჭირავს, მისაღებია დაბეგვრის ტერიტორიული პრინციპი.

საგადასახადო პერიოდი ეს არის ვადა, რომლის განმავლობაშიც სრულდება საგადასახადო ბაზის ფორმირების პროცესი და საბოლოოდ ყალიბდება საგადასახადო ვალდებულების ზომა (სიდიდე).

ტრადიციულად, **საგადასახადო ბაზის აღრიცხვის მეთოდები** განიხილება, როგორც საბუღალტრო აღრიცხვის სფეროს მიკუთვნებული საკითხი, თუმცა მოგების გადასახადის საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის თვალსაზრისით, იგი სერიოზულ დატვირთვას იძენს.

არსებობს საგადასახადო ბაზის აღრიცხვის ორი მეთოდი –

საკასო და დარიცხვის. საკასო მეთოდის გამოყენების შემთხვევაში შემოსავლების აღიარება ხდება შემოსავლების ფაქტობრივად მიღების დროს, ხოლო დარიცხვის მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ბაზის აღრიცხვისას – საქონლის ან მომსახურების მიწოდებისას, მიუხედავად იმისა მიღებულია თუ არა შემოსავლები. ამ შემთხვევაში მთავარია ქონებრივი უფლებების და მოვალეობების წარმოშობის მომენტი.

გადასახადის ერთეული ეს არის გადასახადის მასშტაბის ერთეული, რომელიც გამოიყენება საგადასახადო ბაზის რაოდენობრივი გამოსახვისათვის.

ამა თუ იმ დაბეგვრის ერთეულის არჩევა, ხშირ შემთხვევაში, ნაკარნახევია მოხერხებულობითა და ჩამოყალიბებული ტრადიციებით. მაგალითად მიწის დაბეგვრის დროს გამოიყენება მოცემულ ქვეყანაში მიღებული ზომის ერთეულები – აკრი, ჰექტარი, კვადრატული მეტრი და სხვა. ბენზინის აქციზით დაბეგვრის დროს გამოიყენება – ლიტრი, გალონი, ბარელი და ა.შ.

გადასახადის განაკვეთი ეს არის გადასახადის ზომა დაბეგვრის ერთეულზე. დაწესების მეთოდის მიხედვით გამოიყოფა მყარი და პროცენტული განაკვეთები. მყარი მეთოდის შემთხვევაში დაბეგვრის თითოეულ ერთეულზე განსაზღვრულია გადასახადის ფიქსირებული ზომა (მაგალითად 50 ლარი ერთ ჰექტარ სახნავზე). პროცენტული განაკვეთები დამახასიათებელია მოგების დაბეგვრის დროს (მაგალითად, დასაბეგრი მოგების 15%).

დაბეგვრის მეთოდი ეს არის საგადასახადო ბაზის ზრდის შესაბამისად გადასახადის განაკვეთის ცვლილების წესი. გამოიყოფა დაბეგვრის ოთხი მეთოდი: თანაბარი, პროპორციული, პროგრესული და რეგრესული.

თანაბარია დაბეგვრის მეთოდი, როდესაც თითოეული გადასახადის გადამხდელისათვის დადგენილია გადასახადის თანაბარი თანხა. სხვაგვარად, ეს არის სულადობრივი დაბეგვრა, მარტივი და უძველესი დაბეგვრის სახე. აღნიშნული გადასახადი არ ითვალისწინებს გადამხდელის ქონებრივ მდგომარეობას, ამიტომ გამოიყენება გამონაკლის შემთხვევებში.

პროპორციული დაბეგვრისას თითოეული გადამხდელისათვის

თანაბარია გადასახადის განაკვეთი (და არა თანხა). გადასახადის განაკვეთი არ არის დამოკიდებული საგადასახადო ბაზის სიდიდეზე. საგადასახადო ბაზის ზრდასთან ერთად პროპორციულად იზრდება გადასახადიც (მაგალითად, საშემოსავლო გადასახადი – განაკვეთი 20%).

პროგრესული დაბეგვრისას საგადასახადო ბაზის ზრდასთან ერთად იზრდება გადასახადის განაკვეთი. არსებობს პროგრესიის რამდენიმე სახე:

მარტივი თანრიგოვანი პროგრესიის შემთხვევაში დასაბეგრი ბაზა იყოფა თანრიგებად და თითოეული თანრიგისათვის განისაზღვრება გადასახადის აბსოლუტური თანხა. ვთქვათ 1-ლი – 1 ლარიდან 100 ლარამდე; მე-2 – 101 ლარიდან 500 ლარამდე; მე-3 – 501 ლარიდან 1 000 ლარამდე. პირველი თანრიგისათვის დადგენილია გადასახადი 1 ლარის ოდენობით; მეორე თანრიგისათვის 5 ლარის ოდენობით; მესამე თანრიგისათვის 10 ლარის ოდენობით.

მაგალითი:

100 ლარის ოდენობით დასაბეგრი ბაზის შემთხვევაში გადასახადი შეადგენს 1 ლარს, ხოლო 101 ლარის შემთხვევაში 5 ლარი.

მარტივი შეფარდებითი პროგრესიის შემთხვევაში დასაბეგრი ბაზა აქაც იყოფა თანრიგებად, მაგრამ ყოველი თანრიგისათვის განსაზღვრულია განსხვავებული განაკვეთი, ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ გადასახადის გამოანგარიშება არ ხდება ნაწილ-ნაწილ (ცალკეული თანრიგების მიხედვით) და შემდეგ შეჯამებით, არამედ მთელ დასაბეგრ ბაზაზე გამოიყენება ერთი განაკვეთი დასაბეგრი ბაზის შესაბამისად (აღნიშნული მეთოდით დაბეგვრა განვითარებულ ქვეყნებში აღარ გამოიყენება).

მაგალითი:

ვთქვათ ავტომობილის სიმძლავრის მიხედვით 100 ცხენის ძალამდე, თითოეულ ცხენის ძალაზე გადასახადის განაკვეთია 2 ლარი, ხოლო 100 ცხენის ძალის ზემოთ, თითოეულ ცხენის ძალაზე 4 ლარი. ამ შემთხვევაში 100 ცხენისძალიანი ავტომობილის მფლობელი გადაიხდის 200 ლარს, ხოლო 101 ცხენისძალიანი ავტომობილის მფლობელი 404 ლარს, ანუ ორჯერ მეტს.

რთული პროგრესიის შემთხვევაში საგადასახადო ბაზა იყოფა

თანრიგებად, თითოეული თანრიგი არსებობს დამოუკიდებლად და იბეგრება ცალკე მისი განაკვეთის მიხედვით. დაბეგვრის ეს სისტემა ყველაზე ფაროდ არის გავრცელებული თანამედროვე მსოფლიოში (იხ. ცხრილი №1).

ცხრილი №1

დასაბეგრი შემოსავლის ოდენობა კალენდარული წლის განმავლობაში	გადასახადის განაკვეთი
1. 200 ლარამდე	დასაბეგრი შემოსავლის 12%
2. 201-დან 350 ლარამდე	24 ლარი + 200 ლარის ზევით შემოსავლის 15%
3. 351-დან 600 ლარამდე	46,5 ლარი + 350 ლარის ზევით შემოსავლის 17%
4. 601-ს ზევით	89 ლარი + 600 ლარის ზევით შემოსავლის 20%

რეგრესული დაბეგვრისას საგადასახადო ბაზის ზრდასთან ერთად მცირდება გადასახადის განაკვეთის ზომა.

გადასახადის გადამხდელის მიერ გადასახადის გაანგარიშების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგადასახადო ვალდებულების სიდიდის შემცირებას, რაც გამოიხატება საგადასახადო შეღავათებში. საგადასახადო შეღავათები შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად:

- ამოღება;
- დათმობა;
- საგადასახადო კრედიტი.

ამოღება – ეს არის საგადასახადო შეღავათი, რომელიც მიმართულია დასაბეგრი ბრუნვიდან ცალკეული დასაბეგრი ობიექტების გამოყვანისკენ. მაგალითად, დამატებული ღირებულების გადასახადის გაანგარიშების დროს დასაბეგრ ბრუნვაში მონაწილეობას არ ღებულობს ბავშვთა კვების პროდუქტები.

დათმობა – ეს არის საგადასახადო შეღავათი, მიმართული საგადასახადო ბაზის შემცირებისაკენ.

მაგალითად, მოგების გადასახადის გაანგარიშების დროს საგა-

დასახადო ბაზა მცირდება საქველმოქმედო ფონდებში გადარიცხული თანხების სიდიდით კანონით გათვალისწინებული ნორმატივის ფარგლებში.

საგადასახადო კრედიტი - ეს არის საგადასახადო შეღავათი, რომელიც მიმართულია საგადასახადო განაკვეთის ან მთლიანი გადასახადის (სხვადასხვა გადასახადის სახით წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებათა ჯამი) თანხის შემცირებისაკენ.

ამ შემთხვევაში ,,კრედიტი'' არ გულისხმობს იმას, რომ საგადასახადო კრედიტის ყველა სახე არის უკანდაბრუნებადი ან მისი გამოყენება ფასიანი (პროცენტების გადახდით), რაც საბანკო კრედიტისთვისაა დამახასიათებელი. ასეთი მიდგომა ეხება მხოლოდ საინვესტიციო საგადასახადო კრედიტს. საგადასახადო კრედიტის უმეტესი სახეები არ არის უკანდაბრუნებადი და ფასიანი. არსებობს საგადასახადო კრედიტის ფორმები:

- გადასახადის განაკვეთის შემცირება.

მაგალითად, შეიძლება დაწესდეს შეღავათი მოგების გადასახადის 50%-ის ოდენობით, იმ საწარმოებში სადაც 50% და მეტი პენსიონერი ან ინვალიდია;

- გადასახადების გადახდისაგან გათავისუფლება.

მაგალითად, სახელმწიფოსათვის სტრატეგიულ დარგში საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოები, შეიძლება გარკვეული დროის განმავლობაში საერთოდ გათავისუფლდნენ გადასახადების გადახდისაგან, რაც საგადასახადო არდადეგების სახელწოდებითაა ცნობილი.

- გადასახადის გადახდის ვალდებულების გადავადება.

ეს შეიძლება განხორციელდეს გადასახადის გადამხდელის წერილობითი განცხადების საფუძველზე. ასეთი გადავადება შეიძლება გაგრძელდეს 1 წლამდე ვადით.

- საგადასახადო ამნისტია.
- ადრე გადახდილი გადასახადის ჩათვლა.

მაგალითად, უცხოეთში გადახდილი გადასახადის, ან ერთი სახის გადასახადის სხვა გადასახადში ჩათვლა.

საგადასახადო კრედიტი ფართოდ გამოიყენება თანამედროვე მსოფლიოში როგორც გადასახადის გადამხდელის წამახალისებელი

ღონისძიება მეცნიერული გამოკვლევების, მაღალტექნოლოგიური წარმოების განვითარების და სხვა სფეროებში.

გადასახადის გამოანგარიშების ვალდებულება, საგადასახადო კანონის შესაბამისად შეიძლება დაეკისროს თავად გადასახადის გადამხდელს, საგადასახადო აგენტს, სხვა ვალდებულ პირს ან საგადასახადო ორგანოს.

არსებობს გადასახადის გადახდის სამი მეთოდი:

- გადასახადის გადახდა დეკლარაციის მიხედვით;
- გადასახადის გადახდა შემოსავლის წყაროსთან;
- გადასახადის გადახდა საკადასტრო მეთოდის მიხედვით.

დეკლარაციის მიხედვით გადასახადის გადახდის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, დადგენილ ვადებში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაციები მისი საგადასახადო ვალდებულებების შესახებ.

გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება უნდა დაფიქსირდეს სპეციალურ საგადასახადო-საანგარიშსწორებო დოკუმენტში, რომელსაც საგადასახადო დეკლარაცია ეწოდება.

შემოსავლის წყაროსთან გადასახადის გადახდის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი ღებულობს მისი შემოსავლების მხოლოდ ნაწილს, ვინაიდან უკვე დაკავებულია გადასახადის სახით გადასახდელი თანხა.

საკადასტრო მეთოდის მიხედვით გადასახადის გადახდის შემთხვევაში, ხდება ტიპიური ობიექტების გარკვეული ნიშნის მიხედვით დაჯგუფება. მაგალითად, მიწის შემთხვევაში — სახნავი, სათესი, ტყეები და სხვა.

ქონების ფიზიკური მდგომარეობისა და მისი ღირებულების ცვლილების გამო, პერიოდულად ხორციელდება კადასტრის დაზუსტება.

საკადასტრო მეთოდის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ვინაიდან ქონება იბეგრება გარეგანი ნიშნების მიხედვით შესაძლო შემოსავლიანობიდან გამომდინარე, გადასახადის გადახდის მომენტი არავითარ კავშირში არ არის შემოსავლის მიღების მომენტთან.

თავი IV

საქართველოს თანამედროვე საგადასახადო სისტემის აგების ძირითადი პრინციპები. გადასახადის გადამხდელი და საგადასახადო აგენტი

საგადასახადო სისტემა წარმოადგენს დროის გარკვეული პერიოდისათვის ამა თუ სახელმწიფოში მოქმედი, გადასახადებით დაბეგვრასთან დაკავშირებული ელემენტების მოწესრიგებულ ერთობლიობას.

გადასახადი კი წარმოადგენს სავალდებულო შენატანს სახელმწიფო ბიუჯეტში. ე.ი. გადასახადის გადამხდელები კანონის ძალით, განსაზღვრული პირობების არსებობისას ვალდებულნი არიან გადაიხადონ გადასახადი. საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადასახადების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით სავალდებულოა.

საქართველოს თანამედროვე საგადასახადო სისტემა ჩამოყალიბდა 1991-1992 წლებში, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის დასაწყისში და მისი ფორმირება ძირითადად უკავშირდებოდა განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას, ამიტომ იგი სტრუქტურითა და აგების პრინციპებით შეესაბამება განვითარებულ ქვეყნებში არსებულ დაბეგვრის პრინციპებს.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებების, საგადასახადო კოდექსისა და მათ შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შეიცავს საგადასახადო ნორმებს. საგადასახადო ნორმა წარმოადგენს ფორმალურად დადგენილ ქცევის წესს, რომელიც არეგულირებს საგადასახადო სფეროში წარმოშობილ ამა თუ იმ ურთიერთობებს.

გადასახადების მიმართ გამოიყენება კანონის მიღების საერთო პროცედურები. საქართველოს კანონს იღებს საქართველოს პარლამენტი დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის

სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ნორმები თავიანთი შინაარსით არაერთგვაროვანია. საგადასახადო კოდექსი შედგება საერთო მოქმედების ნორმებისა და კონკრეტული გადასახადების შესახებ ნორმებისაგან. საერთო მოქმედების ნორმები არეგულირებს იმ საკითხებს, რომლებიც ეხება საგადასახადო ორგანოების სტატუსს ან საგადასახადო წარმოების განხორციელებას. ამავე დროს კონკრეტული გადასახადების შესახებ ნორმები არეგულირებს ცალკეული სახის გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდის წესს.

საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება გადასახადებსა და საგადასახადო ურთიერთობებს, კერძოდ: **კონსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად, მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება საბაჟო და სატარიფო რეჟიმები, საგადასახადო კანონმდებლობა, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების სტატუსი და მისი დაცვა.** კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად – სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას, რაც თავის მხრივ გულისხმობს იმას, რომ ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობაც ხელს უნდა უწყობდეს მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, „საქართველოს კონსტუტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას“.

საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება იერარქიის მეორე საფეხურზე მდგომი ნორმატიული აქტია საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს კონსტიტუციური კანონის შემდეგ (საქართველოს კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია). კონსტიტუციურ შეთანხმებას დებს პრეზიდენტი საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიასთან და მას ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. სხვანაირად ამ შეთანხმებას კონკორდატს უწოდებენ.

კონსტიტუციური შეთანხმების მიხედვით ეკლესია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. მის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადისაგან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, აწესრიგებს საქართველოს საბაჟო საზღვარზე მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის, გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, განსაზღვრავს საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, უფლებამოსილი ორგანოსა და მისი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დავის გადაწყვეტის წესს, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის თანახმად „თუ სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი ნორმატიული აქტის გამოყენებასთან დაკავშირებით დაადგენს, რომ სხვადასხვა ნორმატიულ აქტთა ნორმები ეწინააღმდეგება ერთმანეთს, იგი ვალდებულია გამოიყენოს ის ნორმატიული აქტი, რომელსაც აქვს უპირატესი იურიდიული ძალა“

გადასახადებით დაბეგვრისათვის გამოიყენება საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღისათვის მოქმედი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა.

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით შესაძლებელია საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილისაგან განსხვავებული საგადასახადო რეჟიმის შემოღება, რომელიც იმოქმედებს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში.

გადასახადებით დაბეგვრასთან დაკავშირებულ საკითხებზე, სა-

გადასახადო კოდექსის აღსრულების მიზნით კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს გამოსცემს საქართველოს მთავრობა და საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის უფროსი, საგადასახადო კანონის აღსრულების მიზნით გამოსცემს ბრძანებებს, შიდა ინსტრუქციებსა და მეთოდურ მითითებებს საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით. საგადასახადო ორგანოები საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში ხელმძღვანელობენ ასეთი ბრძანებებით, შიდა ინსტრუქციებითა და მეთოდური მითითებებით.

საგადასახადო კანონმდებლობის ნებისმიერი ნორმატიული აქტი ძალაში შედის მხოლოდ ოფიციალური გამოქვეყნების შემდეგ, მისი ოფიციალურად გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ იმავე კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი. თუ მითითებულია, რომ „ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე“ ნიშნავს, რომ იგი ძალაში შედის გამოქვეყნების დღის 24 საათიდან ანუ მომდევნო დღიდან, ხოლო თუ მითითებულია, რომ იგი ძალაში შედის ვთქვათ „გამოქვეყნებიდან მე-5 დღეს“ ეს ნიშნავს იმას, რომ იგი ძალაში შედის მე-5 დღის 24 საათიდან, ხოლო ამ დღეების ათვლა იწყება აქტის გამოქვეყნების მომდევნო დღიდან.

საქართველოს ნორმატიული აქტის ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის პირველი გამოქვეყნება “საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში” ხოლო პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებისა “საქართველოს პარლამენტის უწყებებში”. ნორმატიული აქტის ოფიციალურ გამოქვეყნებამდე არ შეიძლება მისი გამოქვეყნება სხვა რომელიმე ბეჭდვით ორგანოში.

საგადასახდო ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის შეწყვეტა შესაძლებელია შემდეგი საშუალებებით:

- თუ გავიდა ვადა, რომლითაც იგი იქნა მიღებული;
- თუ მიღებულია (გამოცემულია) შესაბამისი ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს;
- თუ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს (თანამდებობის

პირის) მიერ მიღებულია (გამოცემულია) ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტის მიხედვით იწვევს იურიდიული ძალის დაკარგვას.

საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები, ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია მოქმედების შესრულების ვადებთან, რომელიც განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, ან იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს, ან დროის მონაკვეთით.

ძალიან მნიშვნელოვანია ვადის ათვლის დასაწყისისა და დასასრულის ზუსტად განსაზღვრა, ვინაიდან ამასთან არის დაკავშირებული ამა თუ იმ ვალდებულების დროულად შესრულება და ამა თუ იმ უფლების გამოყენების შესაძლებლობა. ვადის დარღვევა იწვევს სანქციის გამოყენებას ან შესაბამისი უფლების დაკარგვას.

თუ ვადის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა ან დღის რომელიმე მონაკვეთი, მაშინ ვადის გამოთვლისას არ მიეთვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო. მაგრამ თუ ვადის დასაწყისად აღებულია კონკრეტული კალენდარული თარიღი, მისი ათვლა იწყება ამ თარიღის დადგომის მომენტიდან.

მაგალითი:

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებმაც მიიღეს ახალასათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები – მიღებიდან 5 წლის განმავლობაში. ვთქვათ პირმა ასეთი მიწა მიიღო 2010 წლის 10 თებერვალს, იგი ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებული იქნება 5 წლის ვადით, რომელიც დაიწყება 2010 წლის 11 თებერვალს და დამთავრდება 2015 წლის 10 თებერვალს.

თუ ვადა გამოითვლება თვეებით, იგი მთავრდება ვადის ბოლო თვის შესაბამის რიცხვში, თუ ამ ბოლო თვეს შესაბამისი რიცხვი არა აქვს, ვადა დამთავრებულად ჩაითვლება ამ თვის ბოლო დღის დამთავრებისას.

მაგალითი:

ვთქვათ, რაიმე მოვლენა მოხდა 28 დეკემბერს და ამან გამოიწვია რაღაცის ორთვიანი ვადის დაწყება, ეს ვადა დაიწყება 29 დეკემბერს და დამთავრდება 28 თებერვალს, ხოლო თუ ეს მოვლენა მოხდა 31 დეკემბერს, ვადა დაიწყება 1 იანვარს და დამთავრდება 28 თებერვალს, ან 29 თებერვალს იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი წელი ნაკიანია.

საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის, დღე შეიძლება იყოს სამუშაო ან კალენდარული. თუ არ არის მითითებული, დღე არის კალენდარული დღე.

თუ ვადა დღეებით გამოითვლება, მისი დასასრული დამოკიდებულია იმაზე, ეს ვადა კალენდარული დღეებით იყო განსაზღვრული თუ სამუშაო დღეებით. კალენდარული დღეებით ვადის განსაზღვრისას, ამ ვადაში ჩაითვლება ყველა დღე, მათ შორის შაბათ-კვირა და უქმე დღეები. სამუშაო დღეებით ვადის განსაზღვრისას ამ ვადაში არ ჩაითვლება შაბათ-კვირა და უქმე დღეები.

მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის ბოლო სამუშაო დღის სამუშაო დროის დამთავრებამდე.

თუ ვადის ბოლო დღე დაემთხვა არასამუშაო დღეს (შაბათ კვირა და უქმე დღეები), ვადა გრძელდება შემდეგი სამუშაო დღის დამთავრებამდე.

გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადის თანხის დარიცხვის და საგადასახადო ვალდებულების შესახებ საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის, ასევე სანქციის დაკისრების (გარდა საურავისა) ხანდაზმულობის ვადა 6 წელია, იგი იწყება შესაბამისი ვალდებულების წარმოშობის მომდევნო წლის 1 იანვარს. საგადასახადო კოდექსით დაწესებულია ხანდაზმულობის სხვა ვადაც მაგალითად, სსკ-ის 63-ე მუხლით დადგენილი ნორმის თანახმად, გრანტით შეძენილ საქონელზე დღგ-ს ჩათვლის ან დაბრუნების მოთხოვნისათვის, ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრება დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების თვის, მომდევნო 3 თვის განმავლობაში.

საგადასახადო ორგანოსათვის გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადაა 6 წელი.

„გადასახადი არის საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული სავალდებულო, **უპირობო** ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და **უსასყიდლო** ხასიათიდან გამომდინარე“.

ადგილობრივი გადასახადი არის საგადასახადო კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებული გადასახადი (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში), რომლის გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

გადასახადის გადახდის სავალდებულო ხასიათი უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ საგადასახადო, სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების მეშვეობით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გადასახადების გადახდა ატარებს არა ნებაყოფლობით არამედ იძულებით ხასიათს.

გადასახადის არსებით ნიშანს წარმოადგენს ასევე მისი გადახდის **უსასყიდლო ხასიათი,** რომელიც ხასიათდება გადასახადების ცალმხრივობით, არაექვივალენტურობით და დაუბრუნებლობით. გადასახადის უსასყიდლო ხასიათი ნიშნავს იმას, რომ გადასახადის სახით გადახდილი ფულადი სახსრები გადადის სახელმწიფო ბიუჯეტის განკარგულებაში და სახელმწიფო არ იღებს რაიმე ვალდებულებას გადასახადის გადახდის სანაცვლოდ ანუ გადასახადის გადამხდელი უშუალოდ არ იღებს მის მიერ გადახდილი გადასახადის ექვივალენტურ სარგებელს.

„უპირობობა“ და „უსასყიდლობა“ არსებითად ცვლის სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ურთიერთობების არსს. მაგალითად, თუ გადასახადის გადამხდელმა დააგვიანა გადასახადის გადახდა, მის მიმართ დაუყონებლივ იწყება ფინანსური სანქციის გამოყენება, ხოლო თუ სახელმწიფომ მას დაუგვიანა ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება, ამ თანხას არ დაერიცხება ფინანსური სანქცია და არავის დაეკისრება პასუხისმგებლობა.

საქართველოში მოქმედებს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები.

საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადებია:

- საშემოსავლო გადასახადი;
- მოგების გადასახადი;
- დამატებული ღირებულების გადასახადი;
- აქციზი;
- იმპორტის გადასახადი.

ადგილობრივი გადასახადია:

- ქონების გადასახადი.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, უფლებამოსილია შემოიღოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით, ან ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან საქმიანობის სახეების მიხედვით, საგადასახადო კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთების ფარგლებში.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების, ასევე ადგილობრივი გადასახადების დაწესება და მათი ზღვრული განაკვეთების განსაზღვრა შეიძლება მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო ვალდებულია, ადგილობრივი გადასახადის შემოღების ან გაუქმების შემთხვევაში სათანადო ინფორმაცია და სათანადო ნორმატიული აქტის ასლი მისი გამოქვეყნებისთანავე გაუგზავნონ შემოსავლების სამსახურსა და შესაბამის საგადასახადო ორგანოს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, ***გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელსაც გააჩნია კანონით დადგენილი გადასახადის გადახდის ვალდებულება.*** *გადასახადის გადახდის ვალდებულება შეიძლება წარმოეშვას:*

ა) მეწარმე სუბიექტებს, რომლებიც დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით: **სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი, ინდივიდუალური საწარმო;** სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილი ორგანი-

ზაციული წარმონაქმნი – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ამხანაგობა და სხვა).

ბ) პირს, რომელიც არ არის რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელად, მაგრამ ვალდებულია იყოს რეგისტრირებული (ესენი არიან პირები, რომლებმაც არ გაიარეს რეგისტრაცია საგადასახადო ორგანოში);

გ) პირს, რომელიც არ არის და არც აქვს იმის ვალდებულება რეგისტრირებული იყოს გადასახადის გადამხდელად (მაგალითად, დაქირავებული პირი, რომელიც შემოსავალს იღებს მხოლოდ ხელფასის სახით და არა აქვს დეკლარაციის შევსების ვალდებულება).

ამრიგად, გადასახადის გადახდის ვალდებულება ცალკეული გამონაკლისი შემთხვევის გარდა მოითხოვს გადასახადის გადამხდელად აღრიცხვას და მოიცავს გადასახადის გადამხდელისთვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებასა და რეგისტრირებული მონაცემების ერთიან კომპიტერულ ბაზაში (საგადასახადო აღრიცხვის ერთიან რეესტრში) შეტანას.

საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვას ექვემდებარება (ამ შემთხვევაში, საგადასახადო აღრიცხვის განმახორციელებელი ორგანოა შემოსავლების სამსახური)**:**

ა) საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა და იმ პირისა, რომლის შემოსავალიც იბეგრება გადახდის წყაროსთან ან გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან);

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირი;

გ) გაერთიანება, ამხანაგობა და სხვა მსგავსი წარმონაქმნი, რომელსაც შეიძლება წარმოეშვას საგადასახადო ვალდებულება;

დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ე) საბიუჯეტო ორგანიზაცია;

ვ) უცხოური საწარმო/ორგანიზაცია, მისი მუდმივი დაწესებულება, არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივი დაწესებულება;

ზ) პოლიტიკური პარტია (ორგანიზაცა);

თ) დიპლომატიური სტატუსის მქონე ორგანიზაცია.

მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

მეწარმე სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო ისე საგადასახადო რეგისტრაციას.

საწარმოს/ორგანიზაციის, მეწარმე სუბიექტისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საგადასახადო აღრიცხვა ხორციელდება იურიდიული მისამართის (ადგილსამყოფლის) მიხედვით, ხოლო ფიზიკური პირისა – მის მიერ განცხადებული საცხოვრებელი/საქმიანობის ადგილის მიხედვით.

საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი (გარდა მეწარმე ფიზიკური პირისა) უფლებამოსილია წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულების დეკლარირებისას და საბანკო დაწესებულებაში გადასახადის გადახდისას, საგადასახადო ორგანოში საგადასახადო აღრიცხვის პროცედურების გავლის გარეშე, მიუთითოს მოქალაქის პირადობის მოწმობაში აღნიშნული პირადი ნომერი (საიდენტიფიკაციო ნომერი).

ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფო რეგისტრაცია ან საგადასახადო აღრიცხვა გადასახადის გადამხდელს არ ათავისუფლებს სახელმწიფო რეგისტრაციამდე ან საგადასახადო აღრიცხვამდე არსებული საგადასახადო ვალდებულებებისგან.

საგადასახადო აღიცხვის შემდეგ, გადასახადის გადამხდელზე გაიცემა გადასახადის გადამხდელის მოწმობა.

გადასახადის გადამხდელის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შედეგად გაუქმების დამადასტურებელი დოკუმენტის, ხოლო ფიზიკური პირის გარდაცვალების შემთხვევაში – სათანადო წესით დამოწმებული გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის და განცხადების წარდგენის საფუძველზე, საგადასახადო აღრიცხვის მონაცემებში კეთდება ჩანაწერი – „ლიკვიდირებულია“, „ გაუქმებულია რეორგანიზაციის შედეგად“ ან „გარდაცვლილია“ და მიეთითება ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი და თარიღი.

საგადასახადო ვალდებულების შესრულება, ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია ასევე საგადასახადო აგენტის მიერ საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესრულებასთან.

საგადასახადო აგენტი არის პირი, რომელმაც საგადასახადო კოდექსით დადგენილ შემთხვევაში და დადგენილი წესით უნდა შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება.

საგადასახადო აგენტის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს დამქირავებელი, რომელსაც ევალება გადასახადის გადამხდელისათვის (დაქირავებულისათვის) საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშება, დაკავება და ბიუჯეტში გადარიცხვა.

საგადასახადო აგენტი უფლებათა და მოვალეობათა თვალსაზრისით გათანაბრებულია გადასახადის გადამხდელთან რაც იმას ნიშნავს, რომ საგადასახადო აგენტს თავისი ფუნქციების შესრულებისას შეიძლება იგივე პასუხისმგებლობა დაეკისროს, რაც გადასახადის გადამხდელს.

გადასახადის გადამხდელი ან საგადასახადო აგენტი შეიძლება იყოს საწარმო, ხოლო **საწარმოდ ითვლება** ისეთი წარმონაქმნები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ან შექმნილი არიან ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად, კერძოდ:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირები;

ბ) უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კორპორაციები, კომპანიები, ფირმები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა იურიდიული პირის სტატუსი, აგრეთვე უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულება;

გ) გაერთიანებები, ამხანაგობები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული „ა“ და „ბ“ პუნქტებით.

საწარმოს არ მიეკუთვნება ინდივიდუალური მეწარმე.

<u>საწარმოს საქმიანობის ადგილად ითვლება საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციის ადგილი, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – იურიდიული მისამართი, რომელიც მითითებულია საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტებში</u> (წესდებაში, ხელშეკრულებაში, დებულებაში).

ორგანიზაციას საგადასახადო ვალდებულება წარმოეშობა იმ შემთხვევაში, თუ იგი ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მისი ქონებისა და საქმიანობის ნაწილი, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მის ეკონომიკურ საქმიანობასთან, ითვლება საწარმოს ქონებად და საქმიანობად, ხოლო იმ ნაწილში, სადაც ამის გამიჯვნა შეუძლებელია, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ქონებისა და საქმიანობის გამოანგარიშების მიზნით გამოიყენება ორგანიზაციის მიერ მიღებულ შემოსავალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილი.

ორგანიზაციად ითვლება შემდეგი წარმონაქმნები:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, აგრეთვე საზოგადოებრივი ან რელიგიური ორგანიზაციები (გაერთიანებები), დაწესებულებები, რომლებიც არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ან შექმნილი არიან და მოქმედებენ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციების საქართველოში არსებული ფილიალები და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები, რომელთა მეშვეობითაც ისინი მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებენ საქმიანობას (რწმუნებული პირის საქმიანობის ჩათვლით), ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, კორპორაციები, დაწესებულებები;

ბ) საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი, სამთავრობათაშორისო, დიპლომატიური) ორგანიზაციები – საერთაშორისო სამართლით რეგულირებული ორგანიზაციები, საელჩოები, საკონსულოები, წარმომადგენლობები, უცხოური არასამეწარმეო ორგანიზაციები.

საგადასახადო ვალდებულება წარმოეშობა ასევე ფიზიკურ პირებს მათი სტატუსის შესაბამისად.

ფიზიკურ პირებად ითვლებიან:

ა) საქართველოს მოქალაქეები;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეები;

გ) მოქალაქეობის არმქონე პირები.

რაც შეეხება ფიზიკური პირის სტატუსს, საქართველოს რეზიდენტად, მთელი მიმდინარე საგადასახადო წლის განმავლობაში, ით-

ვლება ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში, ან ფიზიკური პირი, რომელიც მიმდინარე საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფებოდა უცხო ქვეყანაში საქართველოს სახელმწიფო სამსახურში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა განსაზღვრავს გადასახადის გადამხდელის უფლებებსა და ვალდებულებებს. კერძოდ:

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს:

ა) კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საგადასახადო ორგანოში მის შესახებ არსებულ ინფორმაციას;

ბ) პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით წარმოადგინოს საკუთარი ინტერესები საგადასახადო ორგანოში;

გ) საგადასახადო ორგანოს გარდა, სხვა მაკონტროლებელ და სამართალდამცავ ორგანოებს არ წარუდგინოს გადასახადის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული დოკუმენტი, თუ ამ კოდექსით ასეთი უფლებამოსილება სხვა ორგანოს არ აქვს;

დ) ისარგებლოს საგადასახადო შეღავათით;

ე) დაიბრუნოს ან/და მომავალ საგადასახადო ვალდებულებათა ანგარიშში ჩაითვალოს ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხა;

ვ) მოითხოვოს ინფორმაცია მის მიმართ საგადასახადო კონტროლის განხორციელების საფუძვლის შესახებ;

ზ) მის მიმართ საგადასახადო კონტროლის ღონისძიების განხორციელებისას საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს შესაბამისი განმარტება;

თ) დაესწროს მის მიმართ ჩატარებულ გასვლით საგადასახადო შემოწმებას, საგადასახადო ორგანოსაგან მიიღოს მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების დედანი ან დამოწმებული ასლი, აგრეთვე ქმედების განხორციელებისას მოითხოვოს საქართველოს კანონმდებლობის დაცვა;

ი) კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს საგადასახადო ორგანოს ქმედება ან გადაწყვეტილება;

კ) არ შეასრულოს საგადასახადო ორგანოს კანონსაწინააღმდეგო აქტი ან მოთხოვნა;

ლ) კანონით დადგენილი წესით მოითხოვოს საგადასახადო ორგანოს უკანონო გადაწყვეტილების ან ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

მ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას ახორციელებს საგადასახადო ომბუდსმენი, რომელიც ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას.

საგადასახადო ომბუდსმენი განიხილავს პირთა განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც შეეხება საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ გადასახადის გადამხდელთა უფლებების დარღვევის ფაქტებს.

საგადასახადო ომბუდსმენს უფლება აქვს, საგადასახადო ორგანოდან მიიღოს განმარტება გადასახადის გადამხდელის განცხადებასთან ან საჩივართან დაკავშირებულ საკითხზე.

გადასახადის გადამხდელის უფლებების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში საგადასახადო ომბუდსმენი მიმართავს შესაბამის ორგანოს და აძლევს რეკომენდაციას ამ უფლებების აღდგენის ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

საგადასახადო ომბუდსმენს ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

საგადასახადო ომბუდსმენის უფლებამოსილება, მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპები და ფორმები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით;

ბ) აღრიცხვაზე დადგეს შესაბამის საგადასახადო ორგანოში ან დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში;

გ) საგადასახადო ორგანოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარუდგინოს საგადასახადო დეკლარაციები, გაანგარიშებები და სააღრიცხვო დოკუმენტები;

დ) საგადასახადო შემოწმების ჩატარებისას ან კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში საგადასახადო ორგანოს და მის უფლებამოსილ პირს წარუდგინოს გადასახადების გამოსაანგარიშებლად და გადასახდელად საჭირო დოკუმენტები (ცნობები);

ე) შეასრულოს საგადასახადო ორგანოს და მისი უფლებამოსილი პირის კანონიერი მოთხოვნები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, აგრეთვე ხელი არ შეუშალოს ამ უფლებამოსილ პირს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებაში;

ვ) უზრუნველყოს იმ დოკუმენტის შენახვა 6 წლის ვადით:

ვ.ა) რომლის საფუძველზედაც ხდება გადასახადებით დაბეგვრის ობიექტების აღრიცხვა და საგადასახადო დეკლარაციების შედგენა, აგრეთვე შემოსავლის ან მოგების მიღების, გაწეული ხარჯებისა და გადახდილი ან დაკავებული გადასახადების დადასტურება;

ვ.ბ) რომელიც აღნიშნულია სასაქონლო დეკლარაციაში და რომლის შემოსავლების სამსახურისთვის წარდგენა საქონლის დეკლარირებისას სავალდებულო არ არის;

ზ) გადასახადის გადამხდელის მოწმობის ასლი და საცალო ვაჭრობისას ფასის მაჩვენებლები (საქართველოს ეროვნულ ვალუტაში) განათავსოს მომხმარებელთათვის თვალსაჩინო ადგილზე;

ზ[1]) შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეულ პირს ხელი არ შეუშალოს აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდების ან სავალდებულო მარკირების მომსახურების განხორციელებაში;

თ) შეასრულოს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი სხვა ვალდებულებები.

საქართველოს საწარმო, საქართველოს ორგანიზაცია და მეწარმე ფიზიკური პირი ვალდებული არიან საგადასახადო აღრიც-

ხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგინონ ინფორმაცია საქართველოს ფარგლების გარეთ საბანკო ანგარიშების (გარდა საანაბრო (ვადიანი) ანგარიშებისა) გახსნის შესახებ ასეთი ანგარიშების გახსნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს ეკისრება საგადასახადო კოდექსით ან/და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

საგადასახადო ორგანო დოკუმენტს პირს უგზავნის ან/და წარუდგენს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

საგადასახადო ორგანოს მიერ წერილობითი ფორმით გაგზავნილ დოკუმენტს ხელს უნდა აწერდეს უფლებამოსილი პირი. ადრესატს უნდა გადაეცეს დოკუმენტის დედანი ან დამოწმებული ასლი.

დოკუმენტის გაგზავნის ან/და წარდგენის ფორმას ირჩევს საგადასახადო ორგანო.

წერილობითი დოკუმენტი ფიზიკური პირისათვის ჩაბარებულად ითვლება, თუ დოკუმენტი ჩაჰბარდა:

ა) ადრესატს პირადად;

ბ) ამ პირის უფლებამოსილ ან კანონიერ წარმომადგენელს;

გ) მის საცხოვრებელ ადგილზე ამ პირთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს;

დ) მეწარმე ფიზიკური პირის საქმიანობის ადგილზე კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს;

წერილობითი დოკუმენტი გადასახადის გადამხდელისათვის (გარდა ფიზიკური პირისა) ჩაბარებულად ითვლება, თუ დოკუმენტი ჩაჰბარდა:

ა) უფლებამოსილ პირს;

ბ) პირის უფლებამოსილ ან კანონიერ წარმომადგენელს;

გ) სარეგისტრაციო დოკუმენტებით განსაზღვრულ იურიდიულ მისამართზე კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს;

დ) სარეგისტრაციო დოკუმენტებით იურიდიულ მისამართად

განსაზღვრულ საცხოვრებელ ბინაში მცხოვრებ ნებისმიერ სრულწლოვან პირს.

საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის ელექტრონული ფორმით გაგზავნილი დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე, ხოლო საგადასახადო კოდექსის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში – გაცნობისთანავე ან გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე განთავსებიდან 30-ე დღეს, თუ ამ ვადაში ადრესატი შეტყობინებას არ გასცნობია.

შემოსავლების სამსახურს ან აღსრულების ეროვნულ ბიუროს უფლება აქვს, დოკუმენტი საჯაროდ გაავრცელოს, თუ შესრულებულია შემდეგი პირობები:

ა) პირს 2-ჯერ მაინც გაეგზავნა/წარედგინა დოკუმენტი წერილობითი ფორმით და ადრესატისათვის მისი ჩაბარება ვერ მოხერხდა;

ბ) პირი არ არის შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის ავტორიზებული მომხმარებელი ან ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე განთავსებიდან 30 დღის განმავლობაში ადრესატი დოკუმენტს არ გასცნობია.

დოკუმენტის საჯაროდ გავრცელება ხორციელდება მისი შემოსავლების სამსახურის ან აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებით და ჩაბარებულად ითვლება განთავსებიდან მე-20 დღეს.

გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო ორგანოს დოკუმენტი შეიძლება წარუდგინოს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენილ წერილობით დოკუმენტს ხელს უნდა აწერდეს უფლებამოსილი პირი. ადრესატს უნდა გადაეცეს დოკუმენტის დედანი ან დამოწმებული ასლი.

თავი V

საქართველოს საგადასახადო ორგანოები, მათი ფუნქციები, უფლებები და ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სამსახური შეიქმნა 1990 წლის მაისში „სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ“ საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 31 მაისის დადგენილებით, ხოლო მანამდე მის ფუნქციას ასრულებდა საფინანსო ორგანოები.

საქართველოს თანამედროვე საგადასახადო ორგანოები არიან შემოსავლების სამსახური და მის შემადგენლობაში შემავალი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები.

ქვეყანაში მოქმედ საგადასახადო კოდექსში მიმდინარე პერმანენტული ცვლილებებისა და ბუნდოვანი ნორმების არსებობის პირობებში, გადასახადის გადამხდელს ესაჭიროება განმარტება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ. ამ შემთხვევაში საგადასახადო ორგანო **უფლებამოსილია** გადასახადის გადამხდელს გაუგზავნოს **წერილობითი განმარტება**, რომელიც გამოხატავს საგადასახადო ორგანოს პოზიციას, თუმცა აღნიშნული განმარტება **წარმოადგენს რეკომენდაციას** და მას არა აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა. უნდა აღინიშნოს, რომ კანონის ნორმის განმარტების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს, კონკრეტული დავის განხილვის დროს ამ ნორმის გამოყენების კანონიერების შეფასებისას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების ან საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელთა დაბეგვრის არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე გამოსცეს **საჯარო გადაწყვეტილება** საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ნორმის გამოყენების შესახებ.

დოკუმენტი საჯარო გადაწყვეტილებად ითვლება, თუ მასში მითითებულია, რომ იგი არის საჯარო გადაწყვეტილება.

საჯარო გადაწყვეტილება (მათ შორის, გადაწყვეტილება საჯარო გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ) ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალურ ვებგვერდზე.

საჯარო გადაწყვეტილება ძალაში შედის მასში მითითებული თარიღიდან, მოქმედებს უვადოდ ან მასში მითითებული ვადით. ამ გადაწყვეტილების გამოყენება საგადასახადო ორგანოსთვის სავალდებულოა მისი ძალაში შესვლის თარიღიდან.

საჯარო გადაწყვეტილება არ გამოიყენება, თუ შეიცვალა ან გაუქმდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ის ნორმა, რომლის გამოყენების შესახებაც გამოიცა ეს გადაწყვეტილება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნოს ან შეცვალოს საჯარო გადაწყვეტილება.

თუ პირი მოქმედებს საჯარო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაუშვებელია მაკონტროლებელი/სამართალდამცავი ორგანოს მიერ ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და დამატებით გადასახადის/სანქციის დარიცხვა.

თუ ერთმანეთს ეწინააღმდეგება ორი საჯარო გადაწყვეტილება ან საჯარო და წინასწარი გადაწყვეტილებები, პირი უფლებამოსილია იმოქმედოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების შესაბამისად, თავისი შეხედულებისამებრ.

საჯარო გადაწყვეტილების გამოცემის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს ასევე, დაინტერესებული პირის მხრიდან მიმართვის შესაძლებლობას შემოსავლების სამსახურისადმი **წინასწარი გადაწყვეტილების** გამოცემის მოთხოვნით, განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის მიხედვით, **საგადასახადო ანგარიშგების წესების ან შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულებების** განსაზღვრის მიზნით.

წინასწარი გადაწყვეტილება არ გამოიყენება, თუ:

ა) წინასწარ გადაწყვეტილებაში აღნიშნული ფაქტები და გარემოებები, რომლებიც გავლენას მოახდენდა წინასწარ გადაწყვეტილებაზე, არ შეესაბამება რეალურად არსებულს;

ბ) გაუქმდა ან შეიცვალა საქართველოს კანონმდებლობის ის ნორმა, რომლის საფუძველზედაც იქნა მიღებული წინასწარი გადაწყვეტილება.

წინასწარი გადაწყვეტილება უნდა გამოიცეს მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს 90 დღისა.

წინასწარი გადაწყვეტილება ვრცელდება მხოლოდ იმ პირზე, რომლის მიმართაც ის იქნა გამოცემული. ამასთანავე, წინასწარ გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს საქართველოს კანონმდებლობის ის ნორმა, რომლის საფუძველზედაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება.

სხვადასხვა პირის მიერ განხორციელებული იდენტური ოპერაციების მიხედვით არ შეიძლება გამოიცეს განსხვავებული წინასწარი გადაწყვეტილება.

თუ პირი მოქმედებს წინასწარი გადაწყვეტილების შესაბამისად, დაუშვებელია მაკონტროლებელი ან სამართალდამცავი ორგანოს მიერ წინასწარი გადაწყვეტილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და გადასახადის ან სანქციის დარიცხვა. შემოსავლების სამსახურის მიერ წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემა ვადებიდან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელისათვის ფასიანია (იხ. ცხრილი №2):

ცხრილი №2

წინასწარი გადაწყვეტილების ზოგიერთი მომსახურების სახეები და ტარიფები

მომსახურების სახე	მომსახურების ვადა	მომსახურების ტარიფი დღგ-ს ჩათვლით
წინასწარი გადაწყვეტილება საქონლის მიმართ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად სასაქონლო კოდის განსაზღვრის შესახებ	30 სამუშაო დღე 10 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე	უფასო 250 ლარი 500 ლარი
წინასწარი გადაწყვეტილება საქონლის წარმო-	30 სამუშაო დღე	უფასო

შობის ქვეყნის განსაზღვრის შესახებ	10 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე	250 ლარი 500 ლარი
ზედმეტად გადახდილი თანხის გადატანა ერთი გადასახადის სახიდან მეორე გადასახადის ვალდებულებათა ანგარიშზე		5 000 ლარამდე – 50 ლარი; 1 000 000 ლარამდე – 200 ლარი; 1 000 000 ლარზე მეტი – 1 000 ლარი.
გადასახადის გადამხდელის ინიციატივით საგადასახადო შემოწმების ჩატარება		ორგანიზაციებისათვის – 5 000 ლარი; სხვა პირებისათვის – თუ შესამოწმებელი პერიოდის ჯამური ბრუნვა 1 000 000 ლარამდეა – 10 000 ლარი; თუ შესამოწმებელი პერიოდის ჯამური ბრუნვა 1 000 000 ლარზე მეტია – 30 000 ლარი. შენიშვნა: ამ გრაფის მიზნებისათვის ორგანიზაციად ითვლება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 30-ე მუხლით გათვალისწინებული წარმონაქმნები.
პირადი საგადასახადო მრჩევლის მომსახურება	1 წელი	მსხვილი გადამხდელის სტატუსის მქონე პირებისათვის ან/და 3 000 000 ლარზე მეტი წლიური ბრუნვის

		მქონე პირისათვის – 3 000 ლარი; 1 000 000 ლარიდან 3 000 000 ლარამდე წლიური ბრუნვის მქონე პირთათვის – 2 000 ლარი; სხვა პირებისათვის – 1 000 ლარი. შენიშვნა: საფასურის ოდენობის განსაზღვრის მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება პირის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი ბოლო წლიური საგადასახადო დეკლარაციის მონაცემები
საგადასახადო ორგანოს მიერ წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემა საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით	20 სამუშაო დღეზე მეტი 20 სამუშაო დღე	1 000 000 ლარზე მეტი კაპიტალის მქონე ან/და 10 000 000 ლარზე მეტი წლიური ბრუნვის მქონე პირებისათვის – 10 000 ლარი; სხვა პირებისათვის – 5 000 ლარი. 1 000 000 ლარზე მეტი კაპიტა-ლის მქონე ან/და 10 000 000 ლარზე მეტი წლიური

		ბრუნვის მქონე პირებისათვის – 30 000 ლარი; სხვა პირებისათვის – 15 000 ლარი. შენიშვნა: საფასურის ოდენობის განსაზღვრის მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება პირის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი ბოლო წლიური საგადასახადო დეკლარაციის მონაცემები

წინასწარი გადაწყვეტილების გამომცემი ორგანო, შემოსავლების სამსახური არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე

შემოსავლების სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობის დაცვისა და შესრულების კონტროლს;

ბ) ახორციელებს გადასახადების/გადასახდელების, აგრეთვე შესაბამისი მოსაკრებლების ადმინისტრირებას;

გ) ახორციელებს საგადასახადო კონტროლს, საბაჟო კონტროლს და საბაჟო ზედამხედველობას, სახელმწიფო ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო, სახელმწიფო ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო, სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლს, არასატარიფო ღონისძიებებს;

დ) უზრუნველყოფს საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებას;

ე) იღებს წინასწარ გადაწყვეტილებას დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის მიმართ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად სასაქონლო კოდის ან წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის თაობაზე;

ვ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატან საქონელზე გასცემს საქონლის წარმოშობის სერტიფიკატებს;

ზ) გასცემს ლუქების გამოყენებით ტვირთის გადაზიდვაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დაშვების სერტიფიკატს;

თ) ახორციელებს საქონლის რაოდენობის, შემადგენლობის და ძირითადი მახასიათებლების დადგენას, საქონლის საბაზრო ღირებულების და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრას;

ი) მონაწილეობს გადასახადით/გადასახდელით დაბეგვრასთან, სასაქონლო ოპერაციების განხორციელებასა და კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტების, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტების მომზადებაში;

ი[1]) უზრუნველყოფს „საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ“, „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ და „საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ საერთაშორისო შეთანხმებათა პროექტების მომზადებისა და დადების პროცესში მონაწილეობის მიღებას, ასევე მათი იმპლემენტაციის მიზნით მოქმედებათა განხორციელების კოორდინაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

კ) **გამოსცემს წინასწარ გადაწყვეტილებას განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის მიხედვით საგადასახადო ანგარიშგების წესების ან/და შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულებების თაობაზე;**

ლ) განიხილავს საჩივრებს და მონაწილეობს სასამართლოში საქმეთა განხილვაში;

მ) თანამშრომლობს უცხო სახელმწიფოების შესაბამის სამსახურებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ნ) იღებს გადაწყვეტილებებს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით მის ქვემდებარეობას მიკუთვნებული ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის, გაუქმების თაობაზე და ახორციელებს სალიცენზიო/სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლს;

ო) იხილავს საიმპორტო საქონლისათვის გრანტის ან ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მინიჭების საკითხს და იღებს სათანადო გადაწყვეტილებას;

პ) უზრუნველყოფს სამართალდარღვევების გამოვლენას, სამართალდარღვევის ოქმის შედგენას, სამართალდარღვევის საქმეების განხილვას და შესაბამის რეაგირებას;

ჟ) შეიმუშავებს ერთობლივ ღონისძიებებს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად, მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად;

რ) ახორციელებს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული კორესპონდენციის მიღებას, შესაბამის რეაგირებასა და შენახვას;

ს) ასრულებს საგადასახადო სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით უცხო სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოების შუამდგომლობას;

ტ) ახორციელებს გადასახადის გადამხდელთა მომსახურებას, ასევე სასაქონლო ოპერაციებთან დაკავშირებულ მომსახურებას;

უ) უზრუნველყოფს გზათსარგებლობის საფასურის ადმინისტრირებას;

ფ) უზრუნველყოფს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის, დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი კომისიის მიერ შემუშავებული ბუნებრივი დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების და საწარმოო პროცესთან დაკავშირებული ტექნიკური ნორმების საწარმოო დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების, საქონლის გამოსავლიანობისა და საწარმოო პროცესთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური ნორმების დადგენას;

ქ) ახორციელებს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ორგანიზებას;

ღ) ახორციელებს კანონმდებლობით დაკისრებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს დამხმარე სამეწარმეო საქმიანობა, რომლიდან მიღებული შემოსავალიც ხმარდება სამსახურის მიზნების განხორციელებას და ფუნქციების შესრულებას.

შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტი;

ბ) საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი;

გ) ადამიანური რესურსების დეპარტამენტი;

დ) საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი;

ე) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;

ვ) იურიდიული დეპარტამენტი;

ზ) დავების დეპარტამენტი;

თ) აუდიტის დეპარტამენტი;

ი) მომსახურების დეპარტამენტი;

კ) საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი;

ლ) გაფორმების დეპარტამენტი;

მ) საბაჟო დეპარტამენტი.

აუდიტის დეპარტამენტი, მომსახურების დეპარტამენტი, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი, გაფორმების დეპარტამენტი და საბაჟო დეპარტამენტი- სამსახურის სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეულებია და წარმოადგენს სამსახურის შემადგენლობაში შემავალ საგადასახადო ორგანოებს;

სამსახურის შემადგენლობაში შემავალი საგადასახადო ორგანოები თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას მოქმედებენ სახელმწიფოს სახელით

საგადასახადო ორგანოებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და **საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვთ:**

ა) შეამოწმონ გადასახადის გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური დოკუმენტები, საბუღალტრო წიგნი, ანგარიში, ხარჯთაღრიცხვა, ფინანსური სახსრები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ფასეულობანი, გაანგარიშებები, დეკლარაციები, გადასახადების გაანგარიშებისა და გადახდის სხვა დოკუმენტები;

ბ) გადასახადის გადამხდელისაგან ან/და მისი წარმომადგენლისაგან მიიღონ გადასახადების გამოანგარიშებასა და გადახდასთან დაკავშირებული დოკუმენტები, აგრეთვე წერილობითი და სიტყვიერი განმარტებები საგადასახადო შემოწმების დროს წამოჭრილ საკითხებზე;

გ) გამოიკვლიონ საწარმოთა, ორგანიზაციათა და მეწარმე ფიზიკურ პირთა საწარმოო, სასაწყობო, სავაჭრო და სხვა სათავსები, განახორციელონ საგადასახადო მონიტორინგი, ინვენტარიზაციით აღრიცხონ საქონლის მარაგები, ჩაატარონ დაკვირვება ქრონომეტრაჟის ან სხვა მეთოდის გამოყენებით და განსაზღვრონ დასაბეგრი ობიექტების რაოდენობა, ჩაატარონ საგადასახადო შემოწმება, უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელის მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი და მათი დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი პირების მიმართ გაატარონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები;

დ) გადასახადის გადამხდელი გამოიძახონ საგადასახადო ორგანოში (მის ნაცვლად შეიძლება მივიდეს მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელსაც აქვს სააღრიცხვო დოკუმენტაცია ან/და გადასახადის გადამხდელის დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაცია);

ე) დამოუკიდებლად განსაზღვრონ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების მოცულობა საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციით (მათ შორის, გადასახადის გადამხდელის დანახარჯების შესახებ) ან შედარების მეთოდით – სხვა ამგვარი გადასახადის გადამხდელების შესახებ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, თუ გადასახადის გადამხდელი არ წარადგენს საგადასახადო კონტროლის განსახორციელებლად საჭირო სააღ-

რიცხვო დოკუმენტაციას ან დადგენილი წესის დარღვევით აწარმოებს ბუღალტერიას;

ვ) გამოიყენონ სანქცია იმ გადასახადის გადამხდელის მიმართ, რომელმაც დაარღვია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა;

ზ) გადასახადის გადამხდელისაგან საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებით დადგენილ ვადაში ამოიღონ გადაუხდელი გადასახადი ან სანქციის სახით დაკისრებული თანხა;

თ) საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე სამართალდამრღვევთა მიმართ შეადგინონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები და მიიღონ დადგენილებები ადმინისტრაციული სახდელების დაკისრების შესახებ;

ი) დასაბეგრი ობიექტის სრულად განსაზღვრის მიზნით განახორციელონ გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის ან მომსახურების საკონტროლო შესყიდვა;

კ) გადასახადების ადმინისტრირების მიზნით მოიწვიონ სპეციალისტები ან ექსპერტები;

ლ) სამსახურებრივი მიზნებისათვის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისაგან უსასყიდლოდ მიიღონ მონაცემები, ცნობები, დოკუმენტები და სხვა საჭირო ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

მ) მოითხოვონ და მიიღონ სააღრიცხვო დოკუმენტაციის ასლი (საჭიროების შემთხვევაში – გადასახადის გადამხდელის მიერ დამოწმებული ასლი);

ნ) დააყენონ მრიცხველები ან/და აიღონ მათი მაჩვენებლები, აგრეთვე საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით დალუქონ დოკუმენტები ან სხვა მასალები.

საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა თავისი საქმიანობისას უნდა დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება (შეთანხმება, რომლსაც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან სა-

ქართველოს სახელით დებს საქართველოს პრეზიდენტი), საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, საქართველოს ორგანული კანონები, საგადასახადო კოდექსი და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტები.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებაში იგულისხმება საქართველოს მიერ უცხოეთის სახელმწიფოსთან (სახელმწიფოებთან) ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ორგანიზაციებთან) წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმება, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით. ეს შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფოთაშორისი, ასევე მთავრობათაშორისი ხელშეკრულებები და უწყებათაშორისი ხასიათის ხელშეკრულებები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ უფლებათა განხორციელებისას და დაწესებულ ვალდებულებათა შესრულებისას საგადასახადო ორგანოსთან ურთიერთობის ხელშეწყობის მიზნით, **გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია ისარგებლოს ასევე პირადი საგადასახადო მრჩეველის შემდეგი მომსახურებით:**

ა) გადასახადის გადამხდელისთვის ინფორმაციის მიწოდება საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე;

ბ) გადასახადის გადამხდელისთვის კონსულტაციის გაწევა საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით;

გ) საგადასახადო ანგარიშგების ფორმების (დეკლარაცია, გაანგარიშება, ცნობა) საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა, მათ შორის, მათი შევსების ტექნიკურ საკითხებზე დახმარების გაწევა, გარდა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების თანხობრივი ოდენობის განსაზღვრისა;

დ) გადასახადის გადამხდელის მიმართ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმებსა და შემოწმების აქტებთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა;

ე) საჯარო ინფორმაციის მოძიებაში დახმარების გაწევა, მათ შორის, გადასახადის გადამხდელის შესახებ საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციის გაცნობა;

ვ) გადასახადის გადამხდელის ინფორმირება კუთვნილი საგადასახადო შეღავათის შესახებ და შესაბამისი მტკიცებულებების (დოკუმენტების) საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენის ხელშეწყობა;

ზ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადავადებული (მათ შორის, რესტრუქტურიზებული) საგადასახადო დავალიანების გადასახადის გადამხდელის მიერ დროული შესრულების მონიტორინგი;

თ) გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ანგარიშგების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განხორციელების მონიტორინგი;

ი) გადასახადის გადამხდელის მიერ შესრულებული საგადასახადო ვალდებულების გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვის გაკონტროლება;

კ) გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის პროცედურის განხორციელების ხელშეწყობა;

ლ) საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელის წერილობითი შეკითხვების განხილვისა და პასუხების გაცემის მონიტორინგი;

მ) საგადასახადო ორგანოდან საგადასახადო ანგარიშგების ფორმების, ასევე საგადასახადო ანგარიშფაქტურების (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშფაქტურების), ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტების და აქციზური მარკების მიღების ხელშეწყობა;

ნ) საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან/და რეორგანიზაციის შემთხვევაში, გასატარებელი პროცედურების განხორციელების ხელშეწყობა;

ო) ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების, მომავალი საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში ჩათვლის ან სხვა გადასახადების გადახდის ანგარიშში გადატანის პროცედურების განხორციელების ხელშეწყობა;

პ) ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შედარების აქტის გაფორმების პროცედურების წარმართვის ხელშეწყობა.

გადასახადის გადამხდელსა და პირად საგადასახადო მრჩეველს შორის ურთიერთობა, პირადი საგადასახადო მრჩევლის მომსახურებით სარგებლობის წესი და პირობები, მომსახურების ფარგლები განისაზღვრება გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულებით.

საგადასახადო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებული არიან:

ა) დაიცვან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა, იმოქმედონ საგადასახადო კოდექსისა და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის სხვა აქტების მოთხოვნათა შესაბამისად და მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკის განხორციელებაში;

ბ) დაიცვან გადასახადის გადამხდელთა უფლებები და სახელმწიფოს ინტერესები;

გ) გააკონტროლონ გადასახადების გამოანგარიშების სისწორე და სისრულე და მათი დროულად გადახდა, ჩაატარონ საგადასახადო შემოწმებები საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით და ამ შემოწმებათა ჩატარებისას გააცნონ გადასახადის გადამხდელს თავისი უფლებები და ვალდებულებები;

დ) უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელთა დროულად აღრიცხვა;

ე) განახორციელონ დარიცხული და ბიუჯეტებში გადახდილი გადასახადების აღრიცხვა და შეადგინონ ანგარიშგება გადახდილი გადასახადების შესახებ;

ვ) გადასახადის გადამხდელს დაუბრუნონ ზედმეტად გადახდილი თანხა საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით;

ზ) დაიცვან გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება და ინფორმაციის შენახვის წესები საგადასახადო კოდექსის შესაბამისად;

თ) შეიმუშაონ დეკლარაციებისა და გადასახადების გამოანგარიშებასთან და გადახდასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების ფორმები და უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელისათვის ინფორმაციის მიწოდება;

ი) განახორციელონ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შესწავლა, ანალიზი და შეფასება და დასახონ შესაბამისი ღონისძიებები საგადასახადო სამართალდარღვევათა გამომწვევი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად;

კ) გამოავლინონ ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც თავს არიდებენ გადასახადების გადახდას, და აღკვეთონ საგადასახადო სამართალდარღვევები, აწარმოონ საგადასახადო სამართალდარღვევათა საქმეები და გამოიყენონ პასუხისმგებლობის ზომები კოდექსით დადგენილი წესით;

ლ) აწარმოონ მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისათვის დასაშვები საკონტროლო-სალარო აპარატების მოდელების სახელმწიფო რეესტრი, განახორციელონ საკონტროლო-სალარო აპარატების რეგისტრაცია, გააკონტროლონ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვა;

მ) მიიღონ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე განცხადებები, შეტყობინებები და სხვა ინფორმაცია და კანონით დადგენილი წესით შეამოწმონ ისინი;

ნ) დადგენილი წესით განიხილონ გადასახადის გადამხდელის წერილები, საჩივრები და შეკითხვები, **საჭიროების შემთხვევაში** უსასყიდლოდ მიაწოდონ მას ინფორმაცია მოქმედი გადასახადების, მათი გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ, აგრეთვე გადასახადის გადამხდელის უფლებებისა და ვალდებულებების თაობაზე;

ო) ჩაატარონ განმარტებითი მუშაობა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით, გამოსცენ მეთოდური მითითებები, სახელმძღვანელოები და ბროშურები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოაქვეყნონ კონსულტაციები და განმარტებები;

პ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე განახორციელონ ადმინისტრაციული წარმოება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით;

ჟ) საგადასახადო კოდექსითა და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის სხვა აქტებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში გადასცენ (გაუგზავნონ) გადასახადის გადამხდელს ან მის წარმომადგენელს საგადასახადო შემოწმების აქტები, აგრეთვე საგადასახადო ორგანოთა სხვა გადაწყვეტილებები და შეტყობინებები;

რ) გადასახადის გადამხდელს წარუდგინონ საგადასახადო მოთხოვნა, ხოლო მისი შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით მიიღონ ზომები მისი შესრულების უზრუნველსაყოფად;

ს) დაუყოვნებლივ დაადასტურონ გადასახადის გადამხდელის მიერ უშუალოდ გადაცემული წერილებისა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტების მიღება;

ტ) უზრუნველყონ საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო რეგისტრაცია (რეესტრის წარმოება) და მათთვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება (გარდა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული პირებისა).

საგადასახადო ორგანო ვალდებულია გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა გადასცეს მას ამონაწერი მოთხოვნაში მითითებულ პერიოდში მისი საგადასახადო ვალდებულებების ცვლილებებისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ.

თავი VI

საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები და მისი შესრულების წესი. საგადასახადო მოთხოვნა და გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა

საგადასახადო ვალდებულება არის გადასახადის გადამხდელის, ვალდებულება გადაიხადოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული გადასახადი, ასევე საგადასახადო კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების ნორმატიული აქტებით შემოღებული გადასახადი.

საგადასახადო ვალდებულების შესრულება, გადასახადის გადამხდელის ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულებაა და იგი სრულდება გადასახადის გადამხდელისათვის დაკისრებული ***არასაგადასახადო ხასიათის ვალდებულებებისაგან დამოუკიდებლად***.

გადასახადის გადამხდელს საგადასახადო ვალდებულება ეკისრება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ისეთი გარემოებების წარმოქმნის მომენტიდან, რომლებიც ითვალისწინებს გადასახადის გადახდას.

"გარემოებათა წარმოქმნის მომენტი" ნიშნავს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებას ან დასაბეგრი შემოსავლის მიღებას (მაგალითად, როგორიცაა ხელფასის გაცემა) **რომელიც წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას. თავის მხრივ საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დრო განსხვავდება საგადასახადო ვალდებულების შესრულების დროისაგან. მაგალითად, თუ მეწარმე ფიზიკურმა პირმა დასაბეგრი შემოსავალი მიიღო 2011 წელს, მას საგადასახადო ვალდებულება გაუჩნდა შემოსავლის მიღების დღეს, ხოლო საგადასახადო ვალდებულების შესრულების დრო დამთავრდა 2012 წლის 1 აპრილს.**

საგადასახადო ვალდებულების შესრულებად ითვლება დადგენილ ვადაში გადასახადის თანხის გადახდა.

<u>გადასახადის გადახდის დღედ ითვლება გადასახადის თანხის</u>

ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვის დღე.

საგადასახადო ვალდებულებას ასრულებს უშუალოდ გადასახადის გადამხდელი, თუმცა საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში საგადასახადო ვალდებულების შესრულება შეიძლება დაეკისროს სხვა პირს.

სხვა პირმა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება შეიძლება შეასრულოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სპეციალურად განსაზღვრული ფორმით (რომელიც რეგულირდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 26 ივნისის №166 ბრძანებით), მაგრამ ასეთ შემთხვევაში შესრულებული საგადასახადო ვალდებულება უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. სხვა პირის მიერ გადახდილი თანხა გადასახადის გადამხდელმა უნდა ჩაითვალოს შემოსავალში და შესაბამისად დაბეგროს, მაგრამ მეორე მხარე, ვინც გადაუხადა გადასახადი გადასახადის გადამხდელს, აღნიშნულ თანხას ვერ გამოქვითავს ერთობლივი შემოსავლიდან და ვერ შეამცირებს დასაბეგრ მოგებას.

საბანკო დაწესებულება ვალდებულია, პირველ რიგში, შეასრულოს გადასახადის გადამხდელის **საგადახდო დავალება** გადასახადის გადახდის თაობაზე და საგადასახადო ორგანოს **საინკასო დავალება** საბანკო ანგარიშიდან გადასახადის თანხის ჩამოწერის თაობაზეშემდეგი თანმიმდევრობით:

ა) საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალება;

ბ) გადასახადის გადამხდელის საგადახდო დავალება.

საგადახდო დავალება არის ანგარიშის მფლობელის (გადამხდელის) მიერ საგადახდო საბუთის სახით გაფორმებული განკარგულება მისი მომსახურე ბანკისათვის, სახსრების მიმღების ანგარიშზე ფულადი სახსრების გადარიცხვის შესახებ.

საინკასო დავალება არის საგადასახადო ორგანოს დავალება შესაბამისი ბანკისადმი გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშებიდან გადასახადის ბიუჯეტში მიმართვის, ანუ შესაბამისი თანხების ჩამოწერის თაობაზე.

პირის საბანკო ანგარიშზე თანხის არსებობის შემთხვევაში ბანკი საგადახდო ან საინკასო დავალებას ასრულებს არა უგვიანეს აღნიშნული დავალების მიღების დღის **მომდევნო საოპერაციო დღისა.**

საწარმოს ან ორგანიზაციის ლიკვიდაციისას საგადასახადო ვალდებულებას ასრულებს და საგადასახადო დავალიანებას იხდის ამ საწარმოს ან ორგანიზაციის სალიკვიდაციო კომისია.

საგადასახადო დავალიანება არის სხვაობა გადასახადის გადამხდელის მიერ დადგენილ ვადაში გადაუხდელი გადასახადების ან/და სანქციების თანხასა და ზედმეტად გადახდილი გადასახადების ან/და სანქციების თანხას შორის.

გაერთიანებების, ამხანაგობებისა და სხვა მსგავსი წარმონაქმნების ლიკვიდაციისას ან საქმიანობის შეწყვეტისას საგადასახადო ვალდებულების შესრულებას და საგადასახადო დავალიანების გადახდას სოლიდარულად ახორციელებენ ამ საწარმოს პარტნიორები/მონაწილეები.

საწარმოს ან ორგანიზაციის ლიკვიდაციისას ზედმეტად გადახდილ თანხას საგადასახადო ორგანო უბრუნებს საწარმოს ან ორგანიზაციის სალიკვიდაციო კომისიას (საწარმოს მონაწილეებს).

ლიკვიდაცია არის მეწარმე იურიდიული პირის პარტნიორების გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების შესახებ.

რეორგანიზებული საწარმოს ან ორგანიზაციის საგადასახადო ვალდებულებას ასრულებს მისი უფლებამონაცვლე (უფლებამონაცვლეები).

რეორგანიზაცია არის პირის გარდაქმნა, შერწყმა ან გაყოფა.

რეორგანიზებული საწარმოს ან ორგანიზაციის საგადასახადო ვალდებულებისა და საგადასახადო დავალიანების შესრულება ეკისრება მის უფლებამონაცვლეს.

რამდენიმე საწარმოს ან ორგანიზაციის შერწყმისას თითოეულის საგადასახადო ვალდებულების შესრულების უფლებამონაცვლედ ითვლება შერწყმის შედეგად შექმნილი საწარმო ან ორგანიზაცია.

ერთი საწარმოს ან ორგანიზაციის მეორე საწარმოსთან ან ორგანიზაციასთან მიერთებისას მიერთებული საწარმოს ან ორგანიზაციის საგადასახადო ვალდებულების შესრულების უფლებამონაცვლედ ითვლება საწარმო ან ორგანიზაცია, რომელსაც მიუერთდა ეს საწარმო ან ორგანიზაცია.

საწარმოს ან ორგანიზაციის რამდენიმე საწარმოდ ან ორგანი-

ზაციად გაყოფისას თავდაპირველი საწარმოს ან ორგანიზაციის საგადასახადო დავალიანების შესრულების უფლებამონაცვლეებად ითვლებიან ასეთი გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები ან ორგანიზაციები.

რამდენიმე უფლებამონაცვლის არსებობისას რეორგანიზებული საწარმოს ან ორგანიზაციის საგადასახადო ვალდებულების შესრულებაში თითოეული მათგანის წილი განისაზღვრება *გამყოფი ბალანსით* ან სხვა გადამცემი აქტით. ახლად წარმოქმნილ საწარმოებს ან ორგანიზაციებს ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა რეორგანიზებული საწარმოს ან ორგანიზაციის საგადასახადო ვალდებულების ან მისი შესაბამისი ნაწილის შესრულებისათვის.

საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლისას მისი საგადასახადო ვალდებულების შესრულების უფლებამონაცვლედ ითვლება ასეთი რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი საწარმო.

საწარმოს შემადგენლობიდან ერთი ან რამდენიმე საწარმოს გამოყოფისას საგადასახადო ვალდებულების ან/და დავალიანების შესრულებაზე პასუხს აგებენ გამოყოფილი საწარმოები და ეს მაშინ, როდესაც ძირითადი საწარმო აგრძელებს არსებობას და მას შესწევს უნარი, თავად შეასრულოს თავისი საგადასახადო ვალდებულებები. თუმცა გამორიცხული არ არის გამოყოფის აქტით მხოლოდ ძირითად საწარმოს ჰქონდეს ნაკისრი თავისივე საგადასახადო ვალდებულებების მთლიანად შესრულება და იგი არ იყოს გადანაწილებული მისგან გამოყოფილ სუბიექტებზე.

საწარმოს რეორგანიზაციამდე ზედმეტად გადახდილ თანხას საგადასახადო ორგანო ჩათვლის ამ საწარმოს უფლებამონაცვლის რეორგანიზებული საწარმოს მომავალ საგადასახადო ვალდებულებათა ანგარიშში საერთო თანხის პროპორციულად ან უბრუნებს უფლებამონაცვლეს ან უფლებამონაცვლეებს (თითოეული მათგანის წილის შესაბამისად) კოდექსით დადგენილი წესით.

გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანებას გადაიხდის მისი მემკვიდრე სამკვიდრო ქონებაში მისი წილის პროპორციულად, სამკვიდრო მოწმობის მიღების დღიდან.

მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე. ამ

უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.

გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანება არის მისი გარდაცვალების თარიღის მიხედვით არსებული საგადასახადო დავალიანება.

გარდაცვლილი პირის მემკვიდრე ვალდებულია შეატყობინოს საგადასახადო ორგანოს სამკვიდრო მოწმობის მიღების შესახებ, თუ მისთვის ცნობილია გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანების თაობაზე.

საგადასახადო ორგანო ვალდებულია პირს არაუგვიანეს **30 დღისა** იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ამ პირის მიერ სამკვიდრო მოწმობის მიღების შესახებ, გაუგზავნოს შეტყობინება საგადასახადო დავალიანების თაობაზე.

გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანება ჩამოიწერება, თუ:

ა) გარდაცვლილ პირს არ ჰყავს მემკვიდრე;

ბ) მემკვიდრემ უარი თქვა სამკვიდროზე;

გ) გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანების მოცულობა აღემატება მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულებას – საგადასახადო დავალიანების დარჩენილი თანხის ოდენობით.

მემკვიდრე, რომელიც აგრძელებს გარდაცვლილი ფიზიკური პირის ეკონომიკურ საქმიანობას, ვალდებულია:

ა) ამის შესახებ აცნობოს საგადასახადო ორგანოს;

ბ) ეკონომიკური საქმიანობის დაწყებამდე დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელად, ხოლო თუ გარდაცვლილი პირი დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი იყო – დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად;

გ) გადაიხადოს გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანება;

მემკვიდრეს, რომელიც აგრძელებს გარდაცვლილი პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს გარდაცვლილი პირის მიერ ზედმეტად გადახდილი გადასახადის/სანქციის თანხის დაბრუნება ან მომავალი

გადასახადის ანგარიშში ჩათვლა;

ბ) გარდაცვლილი პირის პირველადი საგადასახადო დოკუმენტები გამოიყენოს საგადასახადო ანგარიშგების დროს;

გ) წარადგინოს საგადასახადო დეკლარაციები (მათ შორის, შესწორებული) გარდაცვლილი პირის საქმიანობის პერიოდზე;

დ) კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში გარდაცვლილი პირის შესაბამისი დოკუმენტები გამოიყენოს ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი ხარჯის დასადასტურებლად და აქციზის/დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლის მისაღებად;

ე) გააგრძელოს გარდაცვლილი პირის მიერ დაწყებული საგადასახადო დავა;

საგადასახადო ორგანო ვალდებულია გააერთიანოს გარდაცვლილი პირისა და მისი მემკვიდრის პირადი აღრიცხვის ბარათები, თუ მემკვიდრე აგრძელებს გარდაცვლილი პირის ეკონომიკურ საქმიანობას.

მემკვიდრის მიერ გარდაცვლილი პირის ზედმეტად გადახდილი გადასახადის/სანქციის თანხის დაბრუნების ან მომავალი გადასახადის ანგარიშში ჩათვლის მოთხოვნის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო არაუგვიანეს გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენიდან 3 თვისა:

ა) ვალდებულია გარდაცვლილი პირის ზედმეტად გადახდილი გადასახადის/სანქციის თანხა ასახოს მემკვიდრის პირადი აღრიცხვის ბარათზე;

ბ) უფლებამოსილია დაადგინოს პირის პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული ზედმეტად გადახდილი თანხის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მათ შორის, საგადასახადო შემოწმების ჩატარებით;

გ) უფლებამოსილია გარდაცვლილი პირის შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებების გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი გადასახადის დარიცხვა განახორციელოს:

გ.ა) მემკვიდრის პირადი აღრიცხვის ბარათზე, თუ მემკვიდრე აგრძელებს გარდაცვლილი პირის ეკონომიკურ საქმიანობას;

გ.ბ) მემკვიდრის პირადი აღრიცხვის ბარათზე, არსებული ზედმეტად გადახდილი თანხის ფარგლებში, თუ მემკვიდრე არ აგრძელებს გარდაცვლილი პირის ეკონომიკურ საქმიანობას;

დ) ვალდებულია ამ ნაწილის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პროცედურების განხორციელების შემდეგ გარდაცვლილი პირის მემკვიდრეს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით დაუბრუნოს ან მომავალი გადასახადის ანგარიშში ჩაუთვალოს გარდაცვლილი პირის ზედმეტად გადახდილი თანხა.

ამ ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მემკვიდრის მიმართ კოდექსით განსაზღვრული სანქციები არ გამოიყენება.

სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის საგადასახადო დავალიანებას გადაიხდის პირი, რომელიც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ უფლებამოსილია, <u>მართოს</u> უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონება მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებიდან <u>3 თვის</u> განმავლობაში, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონების ხარჯზე.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ან მის სისტემაში შემავალი უფლებამოსილი დაწესებულება, აგრეთვე მათი ტერიტორიული ორგანოები.

საგადასახადო ორგანო ვალდებულია პირს, რომელიც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ უფლებამოსილია მართოს უგზო-უკვლოდ დაკარგული ფიზიკური პირის ქონება, გაუგზავნოს შეტყობინება უგზო-უკვლოდ დაკარგული ფიზიკური პირის საგადასახადო დავალიანების შესახებ, რათა მან უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მაგივრად დადგენილი წესით გადაიხადოს საგადასახადო დავალიანება.

სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული ფიზიკური პირის საგადასახადო ვალდებულებას ასრულებს <u>მეურვე ქმედუუნარო პირის ქონების ხარჯზე</u>. სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული ფიზიკური პირის მეურვე ვალდებულია გადაიხადოს ქმედუუნარო პირის საგადასახადო დავალიანება.

სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ქმედუუ-

ნაროდ აღიარებული ფიზიკური პირის საგადასახადო დავალიანება ითვლება უიმედო საგადასახადო დავალიანებად და ჩამოიწერება იმ შემთხვევაში, თუ მისი ქონება არასაკმარისია საგადასახადო დავალიანების დასაფარავად.

პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ქმედუუნაროდ აღიარების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან აღდგება ჩამოწერილი საგადასახადო დავალიანება.

უგზო-უკვლოდ დაკარგული ან ქმედუუნარო ფიზიკური პირის საგადასახადო დავალიანება არის მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ქმედუუნაროდ აღიარების თარიღის მიხედვით არსებული საგადასახადო დავალიანება.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია დაბეგვრის ობიექტის, გადასახადის განაკვეთისა და საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით დამოუკიდებლად გამოიანგარიშოს საანგარიშო პერიოდისათვის გადასახდელი გადასახადის თანხა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგადასახადო კანონმდებლობის სხვა აქტებით დადგენილ შემთხვევებში, გადასახდელი გადასახადის თანხის გამოანგარიშების ვალდებულება შეიძლება დაეკისროს ***საგადასახადო ორგანოს, საგადასახადო აგენტს ან სხვა პირს*** *(მაგალითად, ქონების გადასახადის შემთხვევაში ან დაქირავებული პირებისათვის შრომის ანაზღაურების შემთხვევაში).*

საგადასახადო ვალდებულების შესრულება დაკავშირებულია **საგადასახადო პერიოდთან,** ანუ დროის მონაკვეთთან, რომლითაც განისაზღვრება გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება კონკრეტული გადასახადის მიხედვით.

საგადასახადო პერიოდი ასევე შეიძლება დაიყოს რამდენიმე საანგარიშო პერიოდად, რომელთა მიხედვითაც გადასახადის გადამხდელს ეკისრება გადასახადის მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვალდებულება.

თუ საწარმო ან ორგანიზაცია დაფუძნდა (სახელმწიფო რეგისტრაცია გაიარა) კალენდარული წლის დაწყების შემდეგ, მაგრამ ამ წლის 1 დეკემბრამდე, მისთვის პირველ საგადასახადო პერიოდს წარმოადგენს დროის მონაკვეთი მისი დაფუძნების დღიდან ამ წლის ბოლომდე. ამასთან, გაერთიანებების ამხანაგობების და

სხვა მსგავსი წარმონაქმნების დაფუძნების დღედ ითვლება – ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების დადების დღე.

თუ საწარმო ან ორგანიზაცია დაფუძნდა 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, მისთვის პირველ საგადასახადო პერიოდს წარმოადგენს დროის მონაკვეთი დაფუძნების დღიდან მომდევნო წლის ბოლომდე.

თუ საწარმოს ან ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია განხორციელდა კალენდარული წლის დამთავრებამდე, მისთვის უკანასკნელ საგადასახადო პერიოდს წარმოადგენს დროის მონაკვეთი ამ წლის დასაწყისიდან მისი ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის დასრულებამდე. ხოლო თუ საწარმო ან ორგანიზაცია დაფუძნდა მისი ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის წლის, წინა წლის 30 ნოემბრის შემდეგ, მისთვის პირველ და უკანასკნელ საგადასახადო პერიოდებს წარმოადგენს დროის მონაკვეთი დაფუძნების დღიდან ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის დასრულების დღემდე. **ეს წესები არ გამოიყენება იმ საწარმოების ან ორგანიზაციების მიმართ, რომლებსაც გამოეყო ან შეუერთდა ერთი ან რამდენიმე საწარმო ან ორგანიზაცია.**

თუ საგადასახადო პერიოდის განმავლობაში საქართველოს საწარმო ან ორგანიზაცია იძენს უცხოური საწარმოს სტატუსს ან, პირიქით, უცხოური საწარმო – საქართველოს საწარმოს სტატუსს, საგადასახადო პერიოდი იყოფა ორ ნაწილად. პირველ ნაწილში საწარმო ან ორგანიზაცია წარმოადგენს გადასახადის გადამხდელს თავდაპირველი სტატუსის შესაბამისად, ხოლო მეორეში – შეძენილი სტატუსის შესაბამისად.

ცალკეული გადასახადების მიხედვთ, ამა თუ იმ გადასახადის გადამხდელის მიმართ შეიძლება დაწესდეს საგადასახადო ვალდებულების შესრულების განსხვავებული რეჟიმი ანუ ისარგებლოს შეღავათით, მაგრამ ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანით, ხოლო ადგილობრივი გადასახადების შემთხვევაში – შესაბამის ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანით.

საგადასახადო ***შეღავათად ითვლება*** *სხვა გადასახადის გადამხდელებთან შედარებით ცალკეული კატეგორიის გადასახადის გა-*

დამხდელებისათვის მინიჭებული უპირატესობა, კერძოდ, შესაძლებლობა გადაიხადონ გადასახადი ნაკლები ოდენობით ან გათავისუფლდნენ გადასახადის გადახდისაგან.

აკრძალულია ინდივიდუალური ხასიათის საგადასახადო შეღავათის დაწესება და ცალკეული პირების განთავისუფლება გადასახადისაგან (ანუ არ შეიძლება კანონში ჩაიწეროს კონკრეტული პირის სახელი და გვარი რომელიც გათავისუფლებულია გადასახადისაგან).

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს გამოიყენოს საგადასახადო შეღავათები შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების წარმოშობის მომენტიდან მისი მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

გადასახადის დარიცხვა გულისხმობს საგადასახადო ორგანოს მიერ კონკრეტული საგადასახადო პერიოდისათვის გადასახადის თანხის აღრიცხვასა და ასახვას გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე.

გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის, ელექტრონულ ბარათზე აისახება გადასახადის გადამხდელის მიერ დეკლარირებული და გადახდილი თანხები, აგრეთვე საგადასახადო და სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელად დარიცხული ან შემცირებული თანხები, ზედმეტად გადახდილი, უკან დაბრუნებული ან სხვა გადასახადების გადახდის ანგარიშებში გადატანილი თანხები, ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებები, საგადასახადო სანქციები (ჯარიმები და საურავები), სასაქონლო დეკლარირების განხორციელების დროს გადახდილი ექსპორტის და იმპორტის გადასახდელი თანხები

პირადი აღრიცხვის ბარათი იხსნება:

ა) გადასახადების სახეების მიხედვით;

ბ) საგადასახადო სამართალდარღვევათა სახეების მიხედვით;

გ) იმ მოსაკრებლის სახეების მიხედვით, რომლის ადმინისტრირება ევალება საგადასახადო ორგანოს;

დ) გაუქმებული გადასახადების მიხედვით, სადაც აღირიცხება ნაშთები, რომლებიც გადმოიტანება ბარათიდან გადასახდის გაუქმების შემთხვევაში.

უკუდაბეგვრის წესით დღგ-ის აღრიცხვისათვის იხსნება ცალკე ბარათი, ხოლო გრანტით შეძენილ საქონელზე გადახდილი დღგ-ის აღრიცხვა ხდება დღგ-ის ბარათზე შესაბამისი ოპერაციების გამოყენებით.

გადასახადის დარიცხვის საფუძველია:

ა) საგადასახადო ან საბაჟო დეკლარაცია;

ბ) ინფორმაცია საგადასახადო აგენტის მიერ გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებისა და გადახდილი თანხების შესახებ;

გ) საგადასახადო შემოწმების აქტი;

დ) საგადასახადო ორგანოსათვის სხვა მაკონტროლებელი ან სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიწოდებული ინფორმაცია პირის საგადასახადო ვალდებულების შესახებ.

ე) საგადასახადო ორგანოსათვის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაცია, მიწაზე ქონების გადასახადის დარიცხვის მიზნებისათვის.

საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია პირს დაარიცხოს გადასახადი თავის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, თუ პირი მას არ წარუდგენს გადასახადის დასარიცხად საჭირო ინფორმაციას.

გადასახადის, აგრეთვე გადასახადის მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვადა დგინდება თითოეული გადასახადის მიხედვით.

თუ საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული არ არის გადასახადის გადახდის ვადა, მისი გადახდა ხორციელდება დეკლარაციის წარდგენისათვის დადგენილ ვადაში, ხოლო სხვა შემთხვევაში – **საგადასახადო მოთხოვნის მიღებიდან <u>30 დღის ვადაში.</u>**

თუ გადასახადის გადამხდელის **გადასახადების ან/და სანქციების** გადახდილი თანხა აღემატება დარიცხული გადასახადების ან/და სანქციების თანხას, საგადასახადო ორგანო:

ა) ზედმეტად გადახდილ თანხას ჩაუთვლის მომავალი საგადასახადო ვალდებულების ანგარიშში;

ბ) გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის საფუძველზე ამ მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს 3 თვისა უბრუნებს გადასახადის გადამხდელს ზედმეტად გადახდილ თანხას.

გადასახადის გადამხდელის მიმართვის საფუძველზე **ცალკეული**

გადასახადის/სანქციის მიხედვით ზედმეტად გადახდილი თანხა გადაიტანება სხვა სახის გადასახადში/სანქციაში საგადასახადო ორგანოს მიერ ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით.

ზედმეტად გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხა გადასახადის გადამხდელს უბრუნდება საგადასახადო ორგანოში განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს 1 თვისა:

ა) დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელის მიერ განხორციელებული საქონლის ექსპორტისას ან/და საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის შესაბამისად ამორტიზაციას დაქვემდებარებული ძირითადი საშუალების შეძენისას ან/და იმპორტისას;

ბ) საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-4 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ძირითადი საშუალებების წარმოებისათვის საქონლის შეძენისას.

ყველა სხვა შემთხვევაში ჩასათვლელი თანხის გადამეტება სააანგარიშო პერიოდში დარიცხულ დამატებული ღირებულების გადასახადის თანხაზე ჩაითვლება დამატებული ღირებულების გადასახადის შემდგომი პერიოდების გადასახდელებში ან 3 თვის შემდეგ ბრუნდება დადგენილი პირობებისა და ვადის დაცვით.

გრანტის მიმღებ პირს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ყიდულობს გრანტის ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ საქონელს ან/და ამავე საწყისებზე იღებს მომსახურებას, უფლება აქვს, დადგენილი წესით ჩაითვალოს ან დაიბრუნოს ამ საქონლისათვის ან მომსახურებისათვის გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადი, საგადასახადო ორგანოში საგადასახადო ანგარიშფაქტურის ან უკუდაბეგვრისას ბიუჯეტში დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე. ამ შემთხვევაში დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლა ან დაბრუნება ხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ განცხადება საგადასახადო ორგანოს წარედგინება დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო 3 თვის ვადაში.

მაგალითად, პირმა მიიღო გრანტის თანხა და ამ თანხით საქართველოში შეიძინა საქონელი, რომელიც დაბეგრილია დღგ-ით, ან შეიძინა მომსახურება არარეზიდენტისაგან და უკუდაბეგვრით გადაიხადა დღგ. დღგ-ს ეს თანხები წარმოადგენს ზედმეტად გადახდილ თანხებს.

ზედმეტად გადახდილი თანხა, რომელიც წარმოიშვა საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალებით გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშიდან გადასახადის ან/და საგადასახადო სანქციის თანხის არასწორად ჩამოწერის, მათ შორის, ორი ან რამდენიმე საბანკო დაწესებულების მიერ საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალების ერთდროულად შესრულების შედეგად, გადასახადის გადამხდელს უბრუნდება საგადასახადო ორგანოსთვის განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს 15 დღისა.

„საგადასახადო მოთხოვნა“ არის საგადასახადო ორგანოს მიერ, დადგენილი წესით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, წარედგინება პირს ვისაც ევალება გადასახადისა თუ სანქციების თანხების გადახდა.

„საგადასახადო მოთხოვნის“ წარდგენის საფუძვლებია:

ა) იმ გადასახადების დარიცხვის ვალდებულება, რომელთა გაანგარიშებაც აკისრია საგადასახადო ორგანოს (მაგალითად, საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია, საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის ვალდებულება ქონების გადასახადის მიხედვით დარიცხული ვალდებულების შესახებ);

ბ) გადასახადის დარიცხვის ან/და სანქციის დაკისრების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება ან საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი;

გ) გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით მესამე პირზე გადახდევინების მიქცევის შესახებ გადაწყვეტილება.

წარდგენის კონკრეტული საფუძვლით პირს წარედგინება მხოლოდ ერთი საგადასახადო მოთხოვნა.

"საგადასახადო მოთხოვნაში" უნდა აღინიშნოს:

ა) საგადასახადო მოთხოვნის გამომცემი საგადასახადო ორგანო და მისი მისამართი;

ბ) საგადასახადო მოთხოვნის გამოცემის თარიღი და ნომერი;

გ) პირის რეკვიზიტები – სახელი და გვარი/დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი;

დ) საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის საფუძველი, საგადასახადო კანონმდებლობის აქტის ის ნორმა, რომლის თანახმადაც მოხდა გადასახადის დარიცხვა ან/და საგადასახადო სანქციის დაკისრება;

ე) საგადასახადო მოთხოვნის შინაარსი – დარიცხული გადასახადის, საურავისა და ჯარიმის ოდენობა, საგადასახადო მოთხოვნის შესრულების ვადა და წესი, შეფარდებული სანქციის სახე (გარდა ჯარიმისა და საურავისა);

ვ) პირის უფლებები და ვალდებულებები, მათ შორის, საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრების ვადა და წესი;

ზ) საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები, რომლებიც პირის მიმართ გამოიყენება საგადასახადო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში;

თ) საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი.

საგადასახადო ორგანო გადასახადის გადამხდელს საგადასახადო მოთხოვნას უგზავნის გამოვლენილ საგადასახადო სამართალდარღვევაზე ან საგადასახადო შემოწმების მასალებზე თანხების დარიცხვის შესახებ საგადასახადო ორგანოს უფროსის ან მოადგილის მიერ გადაწყვეტილების მიღების დღიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

"საგადასახადო მოთხოვნა" შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში წერილობითი ან ელექტრონული ფორმით საჩივრის წარდგენის გზით. ავრეთვე, სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

"გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა" არის პირის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენილი მოთხოვნა გადასახადების ან/და სანქციების ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების შესახებ, რომლის შესრულებაც სავალდებულოა საგადასახადო ორგანოსათვის საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

"გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის" წარდგენის საფუძველია გადასახადების ან/და სანქციების ზედმეტად გადახდილი თანხა.

თუ საგადასახადო ორგანო მიიჩნევს, რომ გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა უსაფუძვლოა, იგი ვალდებულია მოთხოვნის მიღებიდან 20 დღის ვადაში გადასახადის გადამხდელს წარუდგინოს დასაბუთებული შესაგებელი. პირს უფლება აქვს, საგადასახადო ორგანოს შესაგებელი გაასაჩივროს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

"გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაში" უნდა აღინიშნოს:

ა) საგადასახადო ორგანო, რომელსაც წარედგინა გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა;

ბ) პირის რეკვიზიტები – სახელი და გვარი/დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი;

გ) გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის საფუძველი;

დ) გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის შინაარსი;

ე) გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის თარიღი და ხელმოწერა.

"გადასახადის გადამხდელის მოთხოვნას" აუცილებლად უნდა დაერთოს საბუთები, რომელთა საფუძველზედაც მოხდა მისი წარდგენა *(აღნიშნული წესი რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის №916 30.12.2009 ბრძანებით, რომელიც აწესრიგებს ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგების, ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებს)*

კერძოდ:

ზედმეტად გადახდილი გადასახადის/სანქციის თანხის დაბრუნება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის დაბრუნების ქვეანგარიშიდან სახელმწიფო ხაზინაში უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოს მიერ წარდგენილი საგადახდო დავალების საფუძველზე.

საგადახდო დავალება მზადდება ცალ-ცალკე გადასახადების/სანქციების სახეების მიხედვით.

საგადახდო დავალება მზადდება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან მეორე და მესამე ეგზემპლარები ხელმოწერილია უფლებამოსილი საგადა-

სახადო ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ და დადასტურებულია ბეჭდით.

საგადახდო დავალებას თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) თანხის დაბრუნების მოთხოვნის თაობაზე უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენილი იმ გადასახადის გადამხდელის წერილის ასლი, რომლის სასარგებლოდაც ხდება გადასახადის/სანქციის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება;

ბ) შემოსავლების სამსახურის უფროსის წერილობითი მიმართვა, რომელიც დადასტურებულია ბეჭდით.

სახელმწიფო ხაზინის მიერ ზედმეტად გადახდილი გადასახადის/სანქციის თანხის დაბრუნება წარმოებს უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოს მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სათანადო რიგითობით, სახელმწიფო ხაზინაში მოთხოვნის წარდგენის თარიღისა და დროის გათვალისწინებით, სახაზინო სამსახურის უფროსთან შეთანხმებით.

სახელმწიფო ხაზინა არ აღასრულებს და უბრუნებს მოთხოვნას გადასახადის/სანქციის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების შესახებ უფლებამოსილ საგადასახადო ორგანოს იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ხაზინის ერთიანი ანგარიშის დაბრუნების ქვეანგარიშზე არსებული სახსრები მოცემული პერიოდისათვის არასაკმარისია წარდგენილი საგადახდო დავალების აღსასრულებლად;

ბ) დოკუმენტაცია ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხების დაბრუნების თაობაზე არ შეესაბამება ზემოთ განსაზღვრულ მოთხოვნებს და 10 დღეში არ წარადგინა სრულყოფილი დოკუმენტაცია.

ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხა უნდა დაბრუნდეს, თუ ერთდროულად არსებობს შემდეგი პირობები:

ა) გადასახადის გადამხდელის მიერ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადებისა და სანქციების თანხის ჯამი აღემატება გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე დარიცხული გადასახადებისა და სანქციების თანხის ჯამს;

ბ) უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო ადასტურებს გადასახადის გადამხდელის მოთხოვნას ან გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს უფლებამოსილ საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა დარიცხულ დღგ-ის თანხაზე ჩასათვლელი თანხის გადამეტების წარმოქმნის საანგარიშო პერიოდიდან 3 თვის გასვლის შემდეგ. გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის დადასტურების შემთხვევაში ზედმეტად გადახდილი დღგ-ის თანხა უნდა დაბრუნდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი პირობებისა და ვადების დაცვით.

ხაზინის ერთიანი ანგარიშის დაბრუნების ქვეანგარიშიდან მასზე რიცხული ნაშთის ფარგლებში ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხაზე საგადახდო დავალების წარდგენა ხდება:

ა) საგადასახადო შემოწმების გარეშე გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენიდან ერთი თვის ვადაში, თუ მისი წარმოშობის საფუძველია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევები;

ბ) საგადასახადო შემოწმების გარეშე გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენიდან 3 თვის ვადაში, თუ მისი წარდგენის საფუძველია სხვა შემთხვევები, გარდა ამ ნაწილის „ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

საქონლის ექსპორტის შემთხვევაში დღგ-ის გადამხდელს შეუძლია მოითხოვოს ზედმეტად გადახდილი თანხა მხოლოდ ექსპორტზე გატანილი საქონლის სატარიფო ღირებულების 18 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს საქონლის ექსპორტის საანგარიშო პერიოდისათვის დეკლარირებული ზედმეტად გადახდილი დღგ-ის თანხისა.

თუ საქართველოში შემოსავლის გაცემის წყაროსთან ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა განხორციელდა საგადასახადო შეღავათების გაუთვალისწინებლად, მითითებულ ფიზიკურ პირს უფ-

ლება აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 153-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად უფლებამოსილ საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია და გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა გადასახადის თანხის გადაანგარიშებისა და ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის დაბრუნების მიზნით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად არარეზიდენტს (საწარმო, იურიდიული პირი ან/და მეწარმე ფიზიკური პირი), რომელიც იღებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“, „დ” და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემოსავლებს და იბეგრება გადახდის წყაროსთან, უფლება აქვს უფლებამოსილ საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია და გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა დაკავებული გადასახადიდან ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნით. დეკლარაცია უნდა წარედგინოს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე.

„გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის” არასრულად ან არასწორად შევსების შემთხვევაში უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო ვალდებულია „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის” მიღებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა მოამზადოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ამ მოთხოვნის უკან დაბრუნების მოთხოვნით და აცნობოს გადამხდელს, რომელიც უფლებამოსილია გაასაჩივროს მითითებული გადაწყვეტილება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის უკან დაბრუნება უფლებას არ ართმევს გადასახადის გადამხდელს უფლებამოსილ საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ახალი გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა, გამოცემულ გადაწყვეტილებაში მითითებული ხარვეზების გამოსწორებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით (წერილობითი მითითება), გადასახადის გადამხდელის სტრატეგიულობის გათვალისწინებით გადამხდელს შეიძლება დაუბრუნდეს გადასახადის ან/და სანქციის ზედმეტად გადახდილი თანხა შემოწმების გარეშე და შემცირებულ ვადებში.

სხვა შემოსულობების ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხის დაბრუნება ან სხვა შემოსულობების სახეში გადატანა ან/და თვითმმართველი ერთეულის კოდის არასწორი სიმბოლოებით ხაზინის ერთიან

ანგარიშზე მიმართვის შემთხვევაში შეცდომის გასწორება ხორციელდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან სახელმწიფო ხაზინის მიერ გადამხდელის წერილობითი განცხადების საფუძველზე, სახსრების მფლობელის მიმდინარე დღის შემოსავლების ფარგლებში.

შეცდომით გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნების მოთხოვნით გადასახადის გადამხდელი განცხადებით მიმართავს უფლებამოსილ საგადასახადო ორგანოს.

საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, ასევე პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირი, გარდა იმ პირისა, რომლის შემოსავალიც იბეგრება წყაროსთან ან გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან, ვალდებული არიან **ეკონომიკური საქმიანობის დაწყებამდე** განცხადებით მიმართონ საგადასახადო ორგანოს მათთვის საიდენტიფიკაციო ნომრების მინიჭების მიზნით.

თავი VII

გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები

პირი, რომელიც დაკავებულია ეკონომიკური საქმიანობით, ვალდებულია აწარმოოს ფინანსური აღრიცხვა და მოამზადოს **ფინანსური ანგარიშგება** (ბალანსი; მოგებისა და ზარალის ანგარიშგება; ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ; ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ; განმარტებები) როგორც შიდა ისე გარე მომხმარებლებისათვის. აღნიშნული ინფორმაციის მომზადება და მიწოდება მისი უშუალო თუ პოტენციური მომხმარებლებისათვის პირველ რიგში კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარეობს, ვინაიდან უზრუნველყოფს მისი საქმიანობის გამჭვირვალეობის მაღალ ხარისხს, ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკური აქტიურობის ზრდას. მაგრამ, სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული პირი, როგორც გადასახადის გადამხდელი ვალდებულია ასევე განახორციელოს **საგადასახადო ანგარიშგება** ცალკეული სახის გადასახადების გამოანგარიშებასთან დაკავშირებით და განსაზღვრული ვადის მიხედვით წარადგინოს საგადასახადო ორგანოში.

საგადასახადო დეკლარაცია არის პირის ანგარიშგება საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადის გამოანგარიშების შესახებ.

საგადასახადო დეკლარაციაში ჯამური საგადასახადო ვალდებულების თანხის გაანგარიშება ხორციელდება სრულ ლარებში. ამ მიზნით 1 ლარამდე საგადასახადო ვალდებულება ნულდება. მაგალითად, თუ გადასახადის თანხა შეადგენს 85 ლარსა და 95 თეთრს, მაშინ გადასახდელი თანხა იქნება 85 ლარი.

პირს უფლება აქვს, პირადად წარადგინოს საგადასახადო დეკლარაცია საგადასახადო ორგანოში, აგრეთვე გაგზავნოს იგი დაზღვეული საფოსტო გზავნილით ან ელექტრონული ფორმით.

თუ პირი არ წარადგენს საგადასახადო დეკლარაციას, ითვლება, რომ მან წარადგინა დეკლარაცია, რომლის საფუძველზე

გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა (მაგ. დასაბეგრი შემოსავალი) ნულის ტოლია. ამ საანგარიშო პერიოდზე შემდგომ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაცია დაგვიანებულად წარდგენილად ჩაითვლება.

წლიური საშემოსავლო, მოგების ან ქონების გადასახადის საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადა გრძელდება 3 თვით, თუ პირს გადახდილი აქვს დასადეკლარირებელი პერიოდის მიმდინარე გადასახდელები (ან არა აქვს მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვალდებულება) და საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის გასვლამდე წერილობით მიმართავს საგადასახადო ორგანოს ვადის გაგრძელების თაობაზე. **საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელებით არ იცვლება გადასახადის გადახდის ვადა.**

მაგალითად, კომპანიამ შესაბამისი საანგარიშო თვის 1 აპრილამდე გადაიხადა კუთვნილი მიმდინარე გადასახდელები მოგების გადასახადის სახით, მაგრამ ვერ ასწრებს მოგების გადასახადის დეკლარაციის წარდგენას, მაშინ მას შეუძლია 1 აპრილამდე წარადგინოს განცხადება დეკლარირების გადავადების შესახებ და დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისათვის სანქცია აღარ დაეკისრება. თუმცა დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენა არ ნიშნავს გადასახადის გადახდის გადავადებას, ანუ გადასახადი გადახდილი იუნდა იქნეს 1 აპრილამდე.

თუ პირი წარდგენილ საგადასახადო დეკლარაციაში აღმოაჩენს შეცდომას, რომელიც იწვევს საგადასახადო ვალდებულების ცვლილებას, იგი ვალდებულია საგადასახადო დეკლარაციაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილება ან/და დამატება.

შესწორებული საგადასახადო დეკლარაცია ჩაითვლება თავდაპირველად წარდგენილად, თუ იგი საგადასახადო ორგანოში წარდგენილია ამ საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის გასვლამდე.

მაგალითად, კომპანიამ 1 აპრილამდე, 23 მარტს წარადგინა საგადასახადო დეკლარაცია და მიუთითა, რომ დასაბეგრი მოგება შეადგენს 15 000 ლარს. 30 მარტს აღმოაჩინა, რომ დასაბეგრი მოგება ყოფილა 21 000 ლარი. შესაბამისად მან 30 მარტს წარადგინა კორექტირებული მოგების გადასახადის დეკლარაცია. ეს დეკლარა-

ცია მას ეთვლება თავდაპირველ ვადაში წარდგენილად და საგადასახადო სანქციას არ დაექვემდებარება.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, პირს მოსთხოვოს:

ა) მისი სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და მის დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის (მათ შორის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის) წარდგენა;

ბ) მისი ქონების ნუსხის წარდგენა.

საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, განახორციელოს პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება.

საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელის საგადასახადო შემოწმებისას (ამ შემოწმების ფარგლებში) ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მიმართვის საფუძველზე კომერციული ბანკისგან გამოითხოვოს პირის შესახებ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაცია. ამ ინფორმაციას საგადასახადო ორგანო გამოითხოვს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

საგადასახადო ორგანო არ არის უფლებამოსილი, მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია გადასცეს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაცია გადაეცემა სხვა სახელმწიფოს კომპეტენტურ (უფლებამოსილ) ორგანოს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

პირი ვალდებულია მოთხოვნილი ინფორმაცია მითითებულ ვადაში, სწორად და სრულად წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს/აღსრულების ეროვნულ ბიუროს. პირი, რომლის ქონებასაც

საგადასახადო ორგანომ ყადაღა დაადო, ვალდებულია ახალი ქონების შეძენის შემთხვევაში ამ ქონების შეძენიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა შეასწოროს მის მიერ წარდგენილი ქონების ნუსხა.

საბანკო დაწესებულება ვალდებულია:

მეწარმე ფიზიკურ პირს ან/და საწარმოს/ორგანიზაციას გაუხსნას საბანკო ანგარიში გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, ხოლო უცხოური საწარმოსათვის საბანკო ანგარიშის პირველად გახსნისას ან ამ საწარმოსათვის ბოლო ანგარიშის დახურვისას აღნიშნულის თაობაზე 3 სამუშაო დღის ვადაში აცნობოს შემოსავლების სამსახურს და სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის მიღებამდე უცხოური საწარმოს ანგარიშიდან არ განახორციელოს გასავლის ოპერაციები.

შემოსავლების სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მას ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის ანგარიშის გახსნის ან დახურვის შესახებ აღნიშნული მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. შემოსავლების სამსახურს ამ ინფორმაციის მოთხოვნის უფლება აქვს ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, რომელიც აითვლება ანგარიშის გახსნიდან/დახურვიდან, ხოლო სხვა შემთხვევაში ინფორმაცია შესაძლებელია გამოთხოვილ იქნეს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

როგორც საგადასახადო ანგარიშგების მომზადების, ისე საგადასახადო ურთიერთობებში წარმოშობილი სხვა ვალდებულებების შესრულების მიზნით, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია აწარმოოს სააღრიცხვო დოკუმენტაცია, მათ შორის პირველადი საგადასახადო დოკუმენტი.

პირველადი საგადასახადო დოკუმენტი არის წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეთა იდენტიფიცირება, აქვს თარიღი და მოიცავს მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ჩამონათვალსა და ღირებულებას. საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერულ) ოპერაციაზე გამოწერილ პირველად საგადასახადო დოკუმენტში საქონლის ღირებულების (მათ შორის, საქონლის ერთეულის ფასის) მითითება სავალდებულო არ არის.

პირველად დოკუმენტს (ინვოისი, კონტრაქტი, სასაქონლო ზედნადები და სხვა) უნდა ჰქონდეს შემდეგი აუცილებელი რეკვიზიტები:

- მყიდველის დასახელება და გამყიდველის ხელმოწერა;
- ოპერაციის განხორციელების თარიღი;
- მიწოდებული საქონლისა და მომსახურების სია და მათი ცალკ-ცალკე ღირებულება.

პირველადი საგადასახადო დოკუმენტი დგება არანაკლებ ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომლებიც რჩება სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეებთან. სასაქონლო ზედნადები ადასტურებს საქონლის მიწოდებას და არა მომსახურების გაწევას. მომსახურების გაწევისათვის, როცა ის ცალკე გაიწევა და არ არის მიწოდებული საქონლის გასაყიდი ფასის შემადგენელი ნაწილი, უნდა გამოიწეროს სხვა დოკუმენტი: მიღება-ჩაბარების აქტი, ინვოისი ან საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

პირი ვალდებულია პირველადი საგადასახადო დოკუმენტი შეინახოს იმ კალენდარული წლის დამთავრებიდან, რომელსაც იგი მიეკუთვნება, არანაკლებ 6 წლის განმავლობაში.

მაგალითად, 2010 წლის 5 თებერვალს გამოწერილი სასაქონლო ზედნადები საქონლის მყიდველმა და საქონლის გამყიდველმა უნდა შეინახოს 2010 წლის 31 დეკემბრის დასასრულიდან 6 წლის განმავლობაში.

შემოსავალი გადასახადით იბეგრება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მისი კანონიერება სადავოა.

საგადასახადო სამართალდარღვევით მიღებული შემოსავალი ან განხორციელებული სხვა ოპერაცია (საგადასახადო სამართალდარღვევა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, დანაშაული) იბეგრება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილებით შემოსავალი სრულად ექვემდებარება ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებას, იგი არ იბეგრება.

თუ რაიმე თანხა გამოიყენება კონკრეტული პირის ინტერესებისათვის, ჩაითვლება, რომ ეს თანხა მიღებული აქვს ამ პირს.

მაგალითი:

ერთმა პირმა, მეორე პირს გადაურიცხა თანხა, რათა ამ პირს მესამე პირისათვის მიეწოდებინა ნედლეული, რომ ამ უკანასკნელს დაეწყო საქონლის წარმოება. პირველი პირის მიერ, მეორე პირისათვის მესამე პირის ინტერესების სასარგებლოდ გადარიცხული თანხა **წარმოადგენს მესამე პირის დასაბეგრ შემოსავალს.**

მაგალითი:

ვთქვათ, R საწარმომ ფიზიკური პირის თხოვნით K სასწავლო დაწესებულებას გადაუხადა ამ ფიზიკური პირის სწავლების საფასური 1 500 ლარი. ამასთან სწავლება არ გულისხმობს R საწარმოს საჭიროებისათვის ფიზიკური პირის მომზადებას და არ წარმოშობს ფიზიკური პირის რაიმე ვალდებულებას R-ის წინაშე. **ამ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ 1 500 ლარი მიიღო ფიზიკურმა პირმა.**

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, განუსაზღვროს პირს საგადასახადო ვალდებულებები არსებული მასალების საფუძველზე, შესაბამისი ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით, პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით (აქტივების სიდიდის, საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით, აგრეთვე სხვა მსგავსი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე), ქვემოთ მოყვანილი ერთზე მეტი ნებისმიერი პირობის არსებობისას:

ა) პირი არ ახორციელებს ბუღალტრულ აღრიცხვას ან არ ახორციელებს მას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმითა და წესით;

ბ) სააღრიცხვო დოკუმენტაცია დაკარგულია ან განადგურებულია;

გ) ადგილი აქვს პირის აქტივების დაუსაბუთებელ ზრდას;

დ) პირის დასაბეგრი შემოსავალი ან/და ოპერაციის მოცულობა ან/და ფასნამატის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად იცვლება საგადასახადო პერიოდების მიხედვით;

ე) პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობისათვის ან/და პირადი მოხმარებისათვის გაწეული ხარჯი აჭარბებს დეკლარირებულ შემოსავალს.

ვ) მიმდინარე საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების შედეგად შესამოწმებელ პერიოდში გამოვლენილია პირის მიერ საგა-

დასახადო სამართალდარღვევის ჩადენის ორი ან მეტი შემთხვევა, ან არსებითი სხვაობა პირის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილ/დეკლარირებულ დაბეგვრასთან დაკავშირებულ მონაცემებსა და ამ ღონისძიებების შედეგად ფაქტობრივად დაფიქსირებულ მონაცემებს შორის.

პირი, რომელიც საქონლის/მომსახურების რეალიზაციას უპირატესად ნაღდი ანგარიშსწორებით ახორციელებს, გადასახადის გადახდისას იყენებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილ შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის გამარტივებულ წესებს. აღნიშნული წესები არ ვრცელდება იმ გადასახადის გადამხდელზე, რომელიც, მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების მიზნებიდან გამომდინარე, ვალდებულია განახორციელოს ან ნებაყოფლობით ახორციელებს ბუღალტრულ აღრიცხვას დარიცხვის მეთოდით, აგრეთვე იმ პირზე, რომელიც რეგისტრირებულია დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად.

პირი, რომელიც იყენებს აღრიცხვის გამარტივებულ წესს, აღრიცხვის წიგნში ასახავს შემოსავლების მიღებისა და ხარჯების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ოპერაციას. აღრიცხვის წიგნის დასალუქად პირმა განცხადებით უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს. აღრიცხვის წიგნი იხსნება ერთ კალენდარულ წელზე, იგი უნდა იყოს ზონარგაყრილი და დანომრილი. წიგნის ბოლო გვერდზე აღინიშნება მასში არსებული ფურცლების რაოდენობა, რაც დამოწმებული უნდა იქნეს გადამხდელის ხელმოწერითა და ბეჭდით, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირის ხელმოწერითა და ბეჭდით.

წიგნის შენახვის ვადა 6 წელია.

საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისას საქართველოს ფინანსთა მინისტრს შეუძლია გამოსცეს ბრძანება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში განსაკუთრებული პირობების შემოღების შესახებ. ბრძანებაში მიეთითება განსაკუთრებული პირობების მოქმედების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს.

განსაკუთრებული პირობების მოქმედებისას საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია გააგრძელოს საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვალდებულების გადავადების შესახებ. ამ შემთხვევაში ბრძანება უნდა მოიცავდეს:

გადასახადებს (მოგების, საშემოსავლო ან/და ქონების), რომლებზედაც გავრცელდება მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვალდებულების გადავადება;

განსაკუთრებული პირობების მოქმედებისას პირს (გადასახადის გადამხდელს) უფლება აქვს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოქვითოს:

ა) საომარი მოქმედებების შედეგად განადგურებული და დაზიანებული ფასეულობა, რომელმაც დაკარგა ღირებულება ან რომელსაც შეუმცირდა ღირებულება, – შემცირებული ღირებულების ოდენობით;

ბ) ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული აქტივების ღირებულება, ხოლო თუ პირი იბრუნებს შესაძლებლობას, ამ აქტივების მიმართ განახორციელოს მესაკუთრის ან/და მოსარგებლის უფლებამოსილება, იგი ვალდებულია აქტივების ღირებულება შეიტანოს თავის ერთობლივ შემოსავალში.

თავი VIII
საშემოსავლო გადასახადი

§1. საშემოსავლო გადასახადის არსი, გადასახადის გადამხდელი, გადასახადისაგან გათავისუფლება

საშემოსავლო გადასახადი, სხვა გადასახადებთან შედარებით ახალგაზრდაა. პირველად იგი შემოღებული იქნა ინგლისში 1798 წელს და მოქმედებდა 1816 წლამდე (რომელიც ქონების გადასახადს უფრო ჰგავდა). 1842 წელს იგი მეორედ იქნა შემოღებული და ამჯერად უკვე პასუხობდა საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ძირითად პრინციპებს. დანარჩენ ქვეყნებში საშემოსავლო გადასახადი შემოღებული იქნა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში (მაგ. პრუსიაში 1891 წლიდან, საფრანგეთში 1914 წლიდან, რუსეთში 1916 წლიდან და ა.შ.).

განვითარებულ ქვეყნებში საშემოსავლო გადასახადს მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი უჭირავს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში და მერყეობს 30%-იდან 60%-მდე (გარდა საფრანგეთისა სადაც ბიუჯეტის შემოსავლების უმეტეს ნაწილს ავსებს არაპირდაპირი გადასახადები). საშემოსავლო გადასახადს გააჩნია რიგი უპირატესობები:

ჯერ ერთი – წარმოადგენს პირად გადასახადს ანუ იბეგრება ნამდვილად მიღებული და არა სავარაუდო შემოსავლები,

მეორეც – საშემოსავლო გადასახადი მაქსიმალურად უზრუნველყოფს დაბეგვრის ძირითადი პრინციპების რეალიზაციას – საყოველთაობას და თანაბარზომიერებას.

საშემოსავლო გადასახადის მთავარი ნაკლი კი მდგომარეობს იმაში რომ არსებობს მასზე თავის არიდების ფართო არეალი, ამიტომ განვითარებულ ქვეყნებში მოქმედებს სხვა პირდაპირი გადასახადებიც: მიწის, კაპიტალის ნაზრდზე, ქონების და ა.შ. რომელიც უზრუნველყოფს საშემოსავლო გადასახადისაგან თავის არიდებით გამოწვეული ბიუჯეტის დანაკარგების შევსებას.

საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშებისას, მრავალი ქვეყნის

კანონმდებლობა ადგენს ეგრეთ წოდებულ უნივერსალურ დათმობას – შემოსავლების დაუბეგრავ მინიმუმს. დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ ის შემოსავლები რომელიც აღემატება ამ მინიმუმს. რიგ ქვეყნებში დაუბეგრავი მინიმუმის სიდიდე მინიმალური ხელფასის ტოლია. აღნიშნული შეღავათის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დასაბეგრი ბაზიდან გამოვიდეს გადასახადის გადამხდელის შემოსავლების ის ნაწილი, რომელიც აუცილებელია ადამიანის მინიმალური ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. დაუბეგრავი მინიმუმი თავისი ბუნებით წარმოადგენს ადამიანის ძირითადი უფლების – სიცოცხლის უფლების საფინანსო – სამართლებრივ გამოხატულებას. ამიტომ დაუბეგრავი მინიმუმის სიდიდე არ შეიძლება იყოს ცხოვრების მინიმალური მოთხოვნილების სიდიდეზე ნაკლები.

საშემოსავლო გადასახადი, საქართველოს მოსახლეობისათვის, პირდაპირი გადასახადებიდან ძირითად გადასახადს წარმოადგენს. აღნიშნულ გადასახადს იხდის ის რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები, რომლებსაც მოცემული საგადასახადო წლისათვის გააჩნიათ დასაბეგრი შემოსავლები. იმისათვის, რომ ფიზიკურმა პირმა მიიღოს რეზიდენტის სტატუსი აუცილებელია იგი იმყოფებოდეს საქართველოს ტერიტორიაზე არა ნაკლები 183 დღისა ნებისმიერ 12–თვიან პერიოდში, ანუ ფიზიკური პირის რეზიდენტობის დასადგენად უნდა მოიძებნოს მიმდინარე წლის ის თვე, რომლის წინა 11 კალენდარული თვისა და მოცემული თვის განმავლობაში ეს პირი ფაქტობრივად იმყოფებოდა საქართველოში 183 დღის ან მეტი ხნის განმავლობაში. რეზიდენტის ან არარეზიდენტის სტატუსი დგინდება ყოველი საგადასახადო პერიოდის მიმართ. ამასთან წინა საგადასახადო პერიოდში რეზიდენტის სტატუსის მისანიჭებლად ჩათვლილი თვის დღეები, მომდევნო საგადასახადო პერიოდში რეზიდენტის სტატუსის დადგენისათვის აღარ გაითვალისწინება.

მაგალითი:

ვთქვათ ფიზიკური პირი საქართველოში არ იმყოფებოდა 2010 წლის 15 იანვრამდე, ჩამოვიდა 15 **იანვარს** და 182 დღის განმავლობაში გაჩერდა საქართველოში (12 დღით იანვარში, 8 დღით

თებერვალში, 31 დღით მარტში, 30 დღით აპრილში, 30 დღით ივნისში, 31 დღით ივლისში, 30 დღით სექტემბერში, 10 დღით **ოქტომბერში**) თუმცა არ ითვლებოდა საქართველოს რეზიდენტად. აღნიშნული ფიზიკური პირი 2011 წლისათვის რეზიდენტად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ 2011 წლის იანვარში **13** დღე მაინც გაჩერდა საქართველოში (2010 წლის თებერვლიდან 2011 წლის იანვრის ჩათვლით უწყვეტი 12 კალენდარული თვეა)

არარეზიდენტი ფიზიკური პირი საშემოსავლო გადასახადს იხდის თავისი შემოსავლების იმ ნაწილიდან, რომელიც მას მიღებული აქვს საქართველოში არსებული წყაროდან.

ფიზიკური პირი, რომელიც როგორც ხელფასის სახით, ისე მომსახურების მიწოდებით ღებულობს შემოსავალს დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებში წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადის გადამხდელს, მაგრამ ამ შემთხვევაში საერთაშორისო ორგანიზაციას არ ეკისრება საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო აგენტის ფუნქციის შესრულება, თუმცა შეუძლია მან ეს ფუნქციები ნებაყოფლობით შეასრულოს,

რასაც აცნობებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს. ამასთან, თუ ორგანიზაცია ნებაყოფლობით შეასრულებს საგადასახადო აგენტის ფუნქციებს, საგადასახადო ორგანოები არ გამოიყენებენ საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ პასუხისმგებლობის ზომებს, მათ შორის, საგადასახადო სანქციებს. აღნიშნულ შემთხვევაში საგადასახადო პასუხისმგებლობის სუბიექტებად მიჩნეულ უნდა იქნეს ის გადასახადის გადამხდელი, ვის მაგივრადაც საგადასახადო აგენტმა შეასრულა საშემოსავლო გადასახადის დაკავებისა და გადახდის ფუნქციები.

ორგანიზაციის მიერ შემოსავლების სამსახურისათვის წარსადგენ შეტყობინებას უნდა ერთვოდეს დაქირავებული ფიზიკური პირის თანხმობა, დადგენილი წესით გადასახადის გადახდის შესახებ.

დაქირავებული პირის მიერ, ორგანიზაციაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური (სარგებელი), საშემოსავლო

გადასახადის გადახდას ექვემდებარება ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

გადასახადის გადამხდელის მოწმობის არმქონე ფიზიკური პირის მიერ ორგანიზაციისათვის მომსახურების მიწოდებით მიღებულ შემოსავალზე საგადასახადო ვალდებულების შესრულება ეკისრება მომსახურების მიმწოდებელ პირის.

დაქირავებული პირი ვალდებულია ყოველწლიურად, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია. ამასთან, დაქირავებული პირი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ორგანიზაციის ბლანკზე გაცემული ოფიციალური საბუთის ორიგინალი, რომელიც შეიცავს სათანადო აღნიშვნას პირისათვის გაცემული ანაზღაურების ოდენობის მითითებით – „ხელფასი" ან „მომსახურების კომპენსაცია". აღნიშნულის გარდა, საბუთი უნდა შეიცავდეს ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერას, ორგანიზაციის ბეჭედს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დაქირავებული ან მომსახურების მიმწოდებელი პირის სახელს, გვარს და პირად ნომერს პირადობის მოწმობის მიხედვით.

ფიზიკური პირი, რომელიც იღებს ანაზღაურებას, ვალდებულია დადგეს საგადასახადო აღრიცხვაზე საცხოვრებელი/საქმიანობის ადგილის მიხედვით.

საგადასახადო აღრიცხვაზე ასაყვანად დაქირავებული პირი საგადასახადო ორგანოში წარადგენს ორგანიზაციის ბლანკზე გაცემული ოფიციალური საბუთის ორიგინალს, რომელიც შეიცავს სათანადო აღნიშვნას პირის მითითებით –„დაქირავებულია". აღნიშნულის გარდა საბუთი უნდა შეიცავდეს ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერას, ორგანიზაციის ბეჭედს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დაქირავებული პირის სახელს, გვარს და პირად ნომერს პირადობის მოწმობის მიხედვით.

სარეგისტრაციო ინფორმაციაში ცვლილებების განხორციელებისას გადასახადის გადამხდელი – ფიზიკური პირი ვალდებულია ცვლილებების განხორციელებიდან არა უგვიანეს 10 დღისა შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს საკუთარ საგადასახადო სარეგისტრაციო მონაცემებში.

რეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვების თანხებს შორის.

არარეზიდენტი ფიზიკურ პირი, რომელიც მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ახორციელებს საქმიანობას საქართველოში, საშემოსავლო გადასახადს იხდის დასაბეგრი შემოსავლიდან, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებულ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ ერთობლივ შემოსავლებისა და ამ პერიოდისათვის კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვების თანხებს შორის.

არარეზიდენტი ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის საქართველოში მის მუდმივ დაწესებულებასთან **იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე** შემდეგი განაკვეთებით:

ა) დივიდენდები 5%-ით;

ბ) პროცენტები 5%-ით;

გ) საწარმოს, ორგანიზაციის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ საერთაშორისო კავშირგაბმულობის ტელესაკომუნიკაციო მომსახურებისათვის და საერთაშორისო გადაზიდვების სატრანსპორტო მომსახურებისათვის გადახდილი თანხები – 10 პროცენტით;

დ) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განხორციელებისას არარეზიდენტი ქვეკონტრაქტორების მიერ მიღებული შემოსავალი – 4 პროცენტით;

დ[1)] ფიზიკური პირისთვის გადახდილი საიჯარო მომსახურების თანხა - 20%-ით;

ე) გადახდილი სხვა თანხები, რომლებიც საგადასახადო კოდექსით ითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად, – 10 პროცენტით;

ვ) ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი – 20%-ით.

არარეზიდენტი ფიზიკური პირის ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის მის

მუდმივ დაწესებულებასთან, წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტს. გადასახადის განაკვეთი შეადგენს 20%-ს, ხოლო დასაბეგრი შემოსავალი განისაზღვრება, კალენდარული წლის განმავლობაში *საქართველოში არსებული წყაროდან* მიღებულ ერთობლივ შემოსავლებსა და ამ პერიოდისათვის ასეთი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებულ გამოქვითვების თანხებს შორის სხვაობიდან.

ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებია:

ა) რეზიდენტი იურიდიული პირის ჩვეულებრივი აქციების ან პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი; (მაგალითად, არარეზიდენტი ფიზიკური პირი ფლობს საქართველოს საწარმოს წილს. ასეთი აქტივის რეალიზაციით მირებული ნამეტი ჩაითვლება ქონების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლად).

ბ) არამატერიალური აქტივის გამოყენების (მაგ. საავტორო უფლება, პატენტი, სავაჭრო ნიშანი) უფლებასთან დაკავშირებული როიალტის ფორმით მიღებული შემოსავალი;

გ) საქართველოში გამოყენებული მოძრავი ქონების იჯარით ან/და სხვა სახელშეკრულებო სარგებლობის უფლების გადაცემით მიღებული შემოსავალი ან საქართველოში არსებული და ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული უძრავი ქონებით მიღებული შემოსავალი, მათ შორის, ასეთ ქონებაში პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი და აღნიშნული ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

დ) სხვა ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

არარეზიდენტი პირის მიერ ქონების რეალიზაციიდან მიღებული დასაბეგრი შემოსავლის ფორმირებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომელიც განსაზღვრავს, თუ როდის უნდა ჩაითვალოს არარეზიდენტის მიერ მიღებული შემოსავალი საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულად. კერძოდ, აქციების ან პარტნიორის წილის მიწოდებით მიღებული შემოსავალი უნდა წარმოადგენდეს იმ საწარმოს ქონების წილის მიწოდებას, რომლის აქტივების ღირებულების 50%-ზე მეტი პირდაპირ ან არაპირდაპირ იქმნება საქართველოში არსებული უძრავი ქონების ღირებულებიდან.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

ვთქვათ, K საწარმოს აქტივების საერთო ღირებულებაა 115 000 ლარი, აქედან:

- საქართველოში არსებული შენობების ღირებულებაა 80 000 ლარი;
- დებიტორული მოთხოვნები შეადგენს 15 000 ლარს;
- საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრები 20 000 ლარს შეადგენს.

ამ შემთხვევაში თუკი K კომპანიის დამფუძნებელი Z პარტნიორი ყიდის თავის წილს K-ში, მაშინ Z – ის მიერ მიღებული შემოსავალი წარმოადგენს საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს ვინაიდან აქტივების ღირებულების 50%-ზე მეტი (ამ შემთხვევაში 80/115*100=69.5%) შექმნილია საქართველოში არსებული უძრავი ქონების ღირებულებიდან.

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი შემოსავლის 20%-ით.

2013 წლის პირველი იანვრიდან საქართველოში შემოღებული იქნა დაუბეგრავი მინიმუმი ფიზიკური პირებისათვის, რომელიც გულისხმობდა ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავლიდან (თუკი ის კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატებოდა 6 000 ლარს), დაუბეგრავი მინიმუმის (1 800 ლარის ოდენობით) გამოქვითვას (ანუ თვეში 150 ლარის ოდენობით).

დაუბეგრავი მინიმუმის გათვალისწინებით, გადასახადის წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადის გადაანგარიშება და შესაბამისი თანხის დაბრუნება ხორციელდებოდა დაქირავებულის მიერ, დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ დეკლარაციის საგადასახადო ორგანოში წარდგენის შემთხვევაში. აღნიშნული ნორმა გაუქმდა 2015 წლის პირველი იანვრიდან.

საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირების მიერ მიღებული შემოსავლების შემდეგი სახეები:

ა) არარეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ დაწესებულებებში დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავლები;

ბ) მიღებული გრანტი, სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია, **მაგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის არასახელმწიფო საპენსიო სქემიდან მიღებული პენსია განხორციელებული შენატანების ოდენობით,** სახელმწიფო სტიპენდია, დახმარებებისა და ერთჯერადი გასაცემლების მიზნით ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან ან/და ბიუჯეტის სარეზერვო ფონდებიდან მიღებული თანხები;

მაგროებადი არასახელმწიფო პენსია არის მეანაბრის მიერ საპენსიო სქემაში მონაწილე ფიზიკური პირისათავის განსაზღვრული პერიოდულობითა და შენატანის ოდენობით საპენსიო ასკამდე ან განსაზღვრულ პერიოდამდე დაგროვებული თანხა, რომელზეც ერიცხება პროცენტი, საქართველოში მოქმედი საპენსიო სქემების მიხედვით საპენსიო შენატანის ოდენობა არ არის ფიქსირებული. შესაძლებელია პენსიის მემკვიდრეობით გადაცემა, ასევე ნებისმიერ დროს საპენსიო დანაგროვის მთლიანად ან ნაწილობრივ გატანა, ჯარიმების გადახდის გარეშე. ფონდის წევრის საპენსიო ასაკამდე გარდაცვალების შემთხვევაში, მისი საპენსიო დანაგროვი მთლიანად გადაეცემა მის მემკვიდრეს.

ბ[1]სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირიდან საქველმოქმედო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სარგებელი;

ბ[2] მკურნალობის ან/და სამედიცინო მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად საქველმოქმედო ორგანიზაციიდან მიღებული სარგებელი;

გ) ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო ან/და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები;

დ) ალიმენტი;

ე) განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება (შემოსავალი);

ვ) ფიზიკური პირის მიერ:

ვ.ა) 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

2009 წლის 10 ოქტომბერს ფიზიკურმა პირმა 40 000 ლარად შეიძინა ბინა, ხოლო 2011 წლის 5 სექტემბერს – მსუბუქი ავტომობილი 25 000 ლარად. აღნიშნული აქტივები ფიზიკურმა პირმა გაყიდა 2012 წლის 14 აპრილს კერძოდ, ბინა – 50 000 ლარად ხოლო ავტომობილი 26 000 ლარად. ამ შემთხვევაში პირის ნამეტი შემოსავალი 11 000 ლარი (10 000 + 1 000) არ დაიბეგრება.

აქტივის საკუთრებაში ფლობის 2-წლიანი ვადა აითვლება:

ა) მარეგისტრირებელ ორგანოში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღის მიხედვით;

ბ) მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებრივად ერთ საგნად რეგისტრირებული აქტივის გაყოფის შემთხვევაში მიღებული აქტივის საკუთრებაში ფლობის 2-წლიანი ვადა აითვლება გაყოფამდე არსებული აქტივის საკუთრებაში ფლობის თარიღიდან.

გ) თუ არ ხდება საკუთრების უფლების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაცია, – საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტიდან;

აქტივის „რეალიზაციით მიღებული ნამეტი“ იანგარიშება, როგორც:

ა) სხვაობა აქტივის მიწოდების ფასსა და მასზე საკუთრების უფლების წარმოშობისას მისი შეძენის ფასს შორის;

ბ) **სხვაობა აქტივის მიწოდების ფასსა და უსასყიდლოდ მიღების მომენტში მის საბაზრო ფასს შორის, თუ აქტივზე საკუთრების უფლება უსასყიდლოდ იყო მიღებული.**

მაგალითი:

X ფიზიკურმა პირმა Z პირისაგან 2009 წლის 11 თებერვალს იყიდა ბინა 70 000 ლარად და იმავე დღეს გაფორმდა ბინის შეძენის სანოტარო აქტი. X ფიზიკურმა პირმა ბინაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის საჯარო რეესტრის სამსახურს მიმართა 2012 წლის 18 თებერვალს, ხოლო აღნიშნული ბინა გაყიდა

77 000 ლარად 2012 წლის 24 თებერვალს. მიუხედავად ამისა, 2 წლიანი ვადის ათვლა იწყება 2009 წლის 11 თებერვლიდან და შესაბამისად X ფიზიკური პირი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან.

ვ.ბ) საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან 6 თვეზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

ვ.გ) 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული აქტივების მიწოდებით მიღებული ნამეტი, გარდა გამსხვისებლის მიერ აქტივების მიწოდებამდე ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების ან/და ამ ქვეპუნქტის „ვ.ა“ და „ვ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთანავე, აქტივების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებად არ ითვლება მათი 2 წლის შემდეგ მიწოდება ან/და ფასიანი ქაღალდების/წილის მხოლოდ ფლობა დივიდენდებისა და პროცენტების მიღების მიზნით;

ზ) საგადასახადო წლის განმავლობაში, I და II რიგის მემკვიდრეების მიერ მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულება;

ქონების ჩუქებისას ან/და ანდერძით მემკვიდრეობისას I, II, III და IV რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან შემდეგი პირები:

I რიგის მემკვიდრეებად: მეუღლე, შვილი, ნაშვილები, შვილიშვილი, შვილიშვილის შვილი და მისი შვილი, მშობელი და მშვილებელი;

II რიგის მემკვიდრეებად: და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები;

III რიგის მემკვიდრეებად: ბებია და პაპა, ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან;

IV რიგის მემკვიდრეებად: ბიძა (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდა და მამიდა;

თ) საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარამდე ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულება, გარდა დაქირავებულის მიერ დამქირავებლისაგან ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულებისა;

ი) საგადასახადო წლის განმავლობაში, III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ, მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული 150 000

ლარამდე ქონების ღირებულება;

კ) ფიზიკური პირისათვის (დონორისათვის) გაღებული სისხლის საკომპენსაციო კვებისათვის გაცემული თანხა;

ლ) 2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;

ბასს-ის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა არის საწარმოს მიერ გაყიდვის მიზნით ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაცია სოფლის მეურნეობის პროდუქციად ან დამატებით ბიოლოგიურ აქტივად. სოფლის მეურნეობის პროდუქცია არის ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული პროდუქტები. ამასთან პირველადი მიწოდება ნიშნავს, უშუალოდ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ თავისი მოწეული პროდუქტების გაყიდვას.

მ) პრივატიზების წესით (მათ შორის, უსასყიდლოდ), ასევე მიწისძვრითა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა მიერ დაზიანებული ბინების სანაცვლოდ იმავე დასახლებულ პუნქტში ან ეკომიგრანტების მიერ სხვა დასახლებულ პუნქტში ბინების უსასყიდლოდ მიღების შედეგად წარმოშობილი სარგებელი;

ნ) დროებითი საცხოვრებელი ადგილის სანაცვლოდ ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის, იძულებით გადაადგილებული ფიზიკური პირის მიერ პრივატიზების პროგრამის ფარგლებში მიღებული კომპენსაციები; ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონების ღირებულება და ამ ქონების თავდაპირველი რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

ლტოლვილად ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლისთვისაც საქართველო არ არის მისი წარმოსობის ქვეყანა და რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელი ქვეყანა, რადგანაც იდევნებოდა რასის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილების, ან პოლიტიკური შეხედულებების გამო და არ შეუძლია ან არ სურს ისარგებლოს იმ ქვეყნის მფარველობით ასეთი საშიშროების გამო.

იძულებით გადაადგილებულ ფიზიკურ პირად, ანუ დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქრთველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების გამო.

ო) ფიზიკური პირის (I რიგის მემკვიდრის) მიერ ჯამურად მის და მამკვიდრებლის საკუთრებაში 2 წელზე მეტი ვადით არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

მაგალითი:

2009 წლის 1 ნოემბერს მეუღლეებმა შეიძინა ბინა 35 000 ლარად, რომელიც საჯარო რეესტრში ორივე მეუღლის თანასაკუთრებად დარეგისტრირდა. 2012 წლის 3 თებერვალს გარდაიცვალა ერთ-ერთი მეუღლე და საჯარო რეესტრში შევიდა ცვლილება, რის შედეგადაც მეორე მეუღლე გახდა მესაკუთრე. მეორე მეუღლემ ეს ბინა გაყიდა 2012 წლის 5 მაისს 40 000 ლარად. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მეუღლეს ბინის ნახევარი საკუთრებაში ჰქონდა 3 თვის განმავლობაში, მის მიერ მიღებული ნამეტი შემოსავალი მაინც არ დაიბეგრება ვინაიდან ჯამურად მათ ეს ქონება საკუთრებაში ჰქონდათ 2 წელზე მეტი ვადით.

პ) საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი;

ჟ) თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდის რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი;

რ) არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი საწარმოს, ორგანიზაციის ან/და მე-

წარმე ფიზიკური პირის მიერ რისკის დაზღვევისა და გადაზღვევის საფუძველზე;

ს) არარეზიდენტის მიერ ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას;

ტ) სახელმწიფოს, საქართველოს ეროვნული ბანკის აგრეთვე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების სასესხო ფასიანი ქაღალდებიდან (მაგ. ობლიგაციიდან) პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი;

უ) სახელმწიფოს, საქართველოს ეროვნული ბანკის აგრეთვე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების სასესხო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი და ეროვნულ ბანკში ანგარიშებზე განთავსებულ სახსრებზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი;

ფ) **რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი (მათ შორის, სარგებელი), რომელიც არ განეკუთვნება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს;**

ქ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დასახიჩრებული ან/და დაინვალიდებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურისათვის ან სამხედრო მოსამსახურისათვის, აგრეთვე დაღუპვის შემთხვევაში მათ ოჯახზე (მემკვიდრეზე) დამქირავებლის მიერ გაცემული დახმარება;

ღ) ლატარიიდან მიღებული მოგება, რომლის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს;

ყ) ამხანაგობის მიერ თავისი წევრისთვის (თანამფლობელისთვის) ქონების გადაცემით მიღებული შემოსავალი, თუ ამხანაგობის წევრები მხოლოდ ფიზიკური პირები არიან, ამხანაგობის წევრთა შემადგენლობა არ შეცვლილა ამხანაგობის დაფუძნებიდან ქონების გადაცემის (განაწილების) მომენტამდე და ამხანაგობა განაწილების მომენტისათვის არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი. ამხანაგობის წევრის გარდაცვალებისას ამხანაგობის წევრის წილის მემკვიდრეზე გადასვლა ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი

წესით ამხანაგობის წევრის წილის რეალიზაცია არ განიხილება ამხანაგობის წევრთა შემადგენლობის ცვლილებად;

შ) არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი, თუ დაქირავებით მუშაობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე საგადასახადო წლის განმავლობაში არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა და შემოსავლის (ხელფასის) გადამხდელი არის არარეზიდენტი დამქირავებელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ხარჯი მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების ხარჯებს, მიუხედავად იმისა, ეს ხარჯი ამ მუდმივი დაწესებულების მიერ არის გადახდილი თუ არა;

მაგალითი:

არარეზიდენტი საწარმო, რომელიც გადამხდელად არ არის რეგისტრირებული საქართველოში, რეზიდენტ საწარმოს ხელშეკრულების საფუძველზე უსრულებს საამშენებლო მომსახურებას არარეზიდენტი ფიზიკური პირების მეშვეობით და უხდის მათ ხელფასს 3 თვის განმავლობაში.

მოცემულ პირობებში:

რადგან არარეზიდენტი ფიზიკური პირები საქართველოში მუშაობენ 30 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით, მათზე შეღავათი არ გავრცელდება, ამიტომ მათ თავად უნდა შეასრულონ საშემოსავლო გადასახადის დეკლარირებისა და გადახდის ვალდებულება, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 153 მუხლის 1-ლი ნაწილის “გ” პუნქტის შესაბამისად.

ჩ) საწარმოს ლიკვიდაციის ან კაპიტალის შემცირების გზით ამ საწარმოს პარტნიორ ფიზიკურ პირზე წილის სანაცვლოდ უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით მიღებული ნამეტი, თუ საწარმოს წილზე ფიზიკური პირის საკუთრების უფლების წარმოშობიდან გასულია 2 წელზე მეტი.

ც) 2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ, ამ საქმიანობის ფარგლებში გაცემული ხელფასი, თუ დამქირავებლის მიერ ამ საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს.

ძ) აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, აგრეთვე ტოტალიზატორის მომწყობი პირების მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მომწყობიდან მიღებული შემოსავლისა.

წ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დადგენილი წესით რეგისტრირებული პირის (რომელიც იღებს საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დასახიჩრებული პირის, ასევე ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული პირის ოჯახის წევრის მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციისგან უსასყიდლოდ მიღებული ქონების ღირებულება;

ჭ) ადმინისტრაციული ორგანოს (დამქირავებლის) მიერ თანამშრომლისთვის (დაქირავებულისთვის) უძრავი ქონების სასყიდლით ან უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემით მიღებული სარგებელი;

ჭ[1] ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თანამშრომლისთვის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას პირად მფლობელობაში არსებული ავტომობილისათვის განკუთვნილი საწვავის უსასყიდლოდ გადაცემით მიღებული სარგებელი;

ხ) საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული თავდებობის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული თავდებობის, აგრეთვე სერვიტუტის უსასყიდლო მომსახურების გამწევის მიერ ამ მომსახურებიდან მისაღები კომპენსაცია და უსასყიდლო მომსახურების მიმღების მიერ მიღებული სარგებელი.

ჯ) ფიზიკური პირის მიერ გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში მყოფი პირისგან დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავალი.

საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება:

ა) შემდეგ ფიზიკურ პირთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე:

ა.ა) მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეების;

ა.ბ) პირის, რომელსაც მინიჭებული აქვს „ქართვლის დედის“ საპატიო წოდება;

ა.გ) მარტოხელა დედის;

მარტოხელა დედა არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ზრდის:

- არარეგისტრირებული ქორწინებიდან დაბადებულ ბავშვს, თუ დაბადების მოწმობაში შეტანილი არ არის ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ და რომელიც იღებს სახელმწიფო დახმარებას ბავშვის მოვლა-პატრონობისა და აღზრდისათვის;

- შვილად აყვანილ ბავშვს, თუ დედა ბავშვის აყვანის მომენტში არ ყოფილა რეგისტრირებულ ქორწინებაში.

ა.დ) პირის, რომელმაც იშვილა ბავშვი (შვილად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში);

ა.ე) პირის, რომელმაც მინდობით აღსაზრდელად აიყვანა ბავშვი;

ა.ვ) მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მრავალშვილიანი პირის (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) მიერ აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, ხოლო მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ ერთ ან ორშვილიან პირს (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი უმცირდება 50 პროცენტით.

ბ) ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 6 000 ლარამდე)

ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიხედვით მაღალმთიან რეგიონებად ითვლება დასახლებული ტერიტორია, რომელიც მდებარეობს

ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმარლეზე და მის ზევით, თუმცა სხვადასხვა პარამეტრების (გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო, ეთნოგრაფიული და ეკონომიკური თავისებურებები, სასოფლო-სამეურნეო მიწის სიმწირე, დემოგრაფიული მდგომარეობა, მიგრაციული პროცესები დასხვა) გათვალისწინებით, მისი ქვედა ზღვარი შეიძლება შემცირდეს 1000 მეტრამდე, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში 800 მეტრამდე. ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიუხედავად, მაღალმთიან რეგიონად ითვლება მთიულეთი, გუდამაყრის სხეობა, ფშავ-ხევსურეთი და დუშეთი, რომლებიც დემოგრაფიული რეაბილიტაციის მწვავე ზონებს წარმოადგენენ.

თუ ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საშემოსავლო გადასახადის გადამხდელს წარმოექმნება ერთზე მეტი საგადასახადო შეღავათის უფლება, მასზე გავრცელდება მათგან ერთი, უმაღლესი შეღავათი.

მაგალითი:

ვთქვათ მარტოხელა დედის დასაბეგრი შემოსავალი თვეში შეადგენს 300 ლარს, მაშინ 11-ე თვეში მისი შემოსავლები მიაღწევს 3 300 ლარს, აქედან დაიბეგრება მხოლოდ 300 ლარი (3 300 – 3 000), ვინაიდან მისთვის 3 000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი გათავისუფლებული იყო გადასახადისაგან. მე-12 თვეში კი დაიბეგრება მხოლოდ მოცემული თვის დასაბეგრი შემოსავალი, ვინაიდან წინა თვის უკვე დაიბეგრა. თუკი აღნიშნული პირი ამავე დროს არის მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები და კმაყოფაზე ჰყავს 18 წლამდე ასაკის ორი შვილი, იგი ისარგებლებს უმაღლესი ანუ 3 000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავლის გადასახადისაგან გათავისუფლების უფლებით.

საგადასახადო წლის მიხედვით გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების მიზნით დაქირავებული პირი ვალდებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით წარუდგინოს დამქირავებელს შეღავათით სარგებლობის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობა. **ერთზე მეტი სამუშაო ადგილის არსებობის შემთხვევაში გადახდის წყაროს, სადაც უნდა გავრცელდეს შეღავათი, განსაზღვრავს დაქირავებული პირი.**

§2. საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები

საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები ვრცელდება: მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირებზე და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებზე.

მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს.

მაგალითი: გიორგი არის ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას – ინდივიდუალურად რძისგან ამზადებს რძის პროდუქტს (მაწონს) და უკეთებს რეალიზაციას. მოცემული მომენტისათვის იგი არ ახორციელებს სხვა რაიმე სახის საქმიანობას და არ იყენებს დაქირავებული პირის შრომას. გიორგის აზრით (წინასწარი ვარაუდით), მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში რძის პროდუქტის (მაწვნის) რეალიზაციის შედეგად მოსალოდნელი დასაბეგრი შემოსავალი ვერ გადააჭარბებს 30 000 ლარს.

იქიდან გამომდინარე, რომ გიორგი არ იყენებს დაქირავებული პირის შრომას, აგრეთვე მისი ვარაუდით მისაღები მოსალოდნელი დასაბეგრი შემოსავალი ვერ გადააჭარბებს 30 000 ლარს და მოცემული მომენტისათვის იგი არ ახორციელებს სხვა რაიმე სახის საქმიანობას, იგი აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ მიკრობიზნესის სტატუსის მოთხოვნებს, შესაბამისად, მას უფლება აქვს მიმართოს საგადასახადო ორგანოს და მიიღოს მიკრობიზნესის სტატუსი.

გიორგის მიერ დამატებით, სხვა სახის საქმიანობის განხორციელება და, შესაბამისად, შემოსავლის მიღება არ არის საგადასახადო ორგანოს მიერ მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის, ან სტატუსის ქონის შემთხვევაში სტატუსის გაუქმების საფუძველი, თუ აღნიშნული საქმი-

ანობა არ განეკუთვნება „მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებისათვის აკრძალული საქმიანობების ჩამონათვალს.

30 000-ლარიანი ზღვარი არ ვრცელდება მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისათვის საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ საქმიანობის შემდეგ სახეებზე:

1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა, რომელიც ხორციელდება ტრაქტორებით ან კომბაინებით.

2. ხალიჩებისა და ორხოვისებრი ნაწარმის წარმოება.

3. პულოვერებისა და ანალოგიური ნაწარმის წარმოება.

4. ზედა ტანსაცმლის წარმოება, გარდა მოდელების დემონსტრირებისა და ჩვენებისა.

5. საცვლების წარმოება.

6. თავსაბურავების წარმოება.

7. დანარჩენი ტანსაცმლისა და აქსესუარების წარმოება.

8. ხის სხვადასხვა ნაწარმის წარმოება.

9. ტანსაცმლისა და თავსაბურავების ხის საკიდების წარმოება.

10. ხის საოჯახო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნოების წარმოება.

11. ფაიფურისა და ქაშანურის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობების წარმოება.

12. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჭურჭლისა და ინვენტარის წარმოება.

13. მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება.

14. აკორდეონებისა და ანალოგიური საკრავების, მათ შორის, ტუჩის გარმონიკების წარმოება.

15 .სასულე მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება.

16. ცოცხებისა და ჯაგრისების წარმოება.

17. საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი.

18. საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, თუ ის ხორციელდება ამ საგნების წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობისაგან დამოუკიდებლად, თუ რემონტი ხორციელდება საქმიანობის სხვა სახეობებთან ერთად, მაშინ იგი განეკუთვნება საცალო და საბითუმო ვაჭრობის ან ამ საქონლის წარმოების შესაბამის დაჯგუფებებს.

19. ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის რემონტი.

20. საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტი.

21. საათებისა და საიუველირო ნაწარმის რემონტი.

22. ტანსაცმლის გადაკეთება და რემონტი.

23. საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი.

24. თეთრეულისა და სხვა საფეიქრო ნაწარმის რეცხვა და დამუშავება.

25. შინამეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული მომსახურება.

ამრიგად, აღნიშნული საქმიანობების ჩამონათვალზე არ გავრცელდება მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისათვის დადგენილი კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავლის 30 000-ლარიანი ზღვარი, თუ ფიზიკური პირი დამოუკიდებლად ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და თავადვე ახორციელებს ჩამონათვალში მოცემული საქონლის ან/და მომსახურების წარმოებას და საცალო წესით მიწოდებას საბოლოო მომხმარებელზე.

მაგალითი: გიორგიმ, რძის პროდუქტის (მაწვნის) რეალიზაციის შედეგად მიიღო ერთობლივი შემოსავალი 27 000 ლარი წლის განმავლობაში, იგი თავისუფალ დროს რძის პროდუქტის (მაწვნის) წარმოებასთან და რეალიზაციასთან ერთად ახორციელებდა საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტს (მთავრობის დადგენილებით საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტზე არ ვრცელდება 30 000-ლარიანი ზღვარი), რის შედეგადაც მან მიიღო დამატებით 10 000 ლარი. ამრიგად, გიორგის ერთობლივმა შემოსავალმა მიმდინარე საგადასახადო წლის განმავლობაში შეადგინა 37 000 (27 000+10 000) ლარი.

საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტი განეკუთვნება იმ საქმიანობიდან ერთ-ერთს, რომლისგან მიღებული შემოსავალი არ იბეგრება და რომელზეც არ ვრცელდება მიკრობიზნესისთვის დად-

გენილი ერთობლივი შემოსავლის 30 000-ლარიანი ზღვარი, შესაბამისად, გიორგის მიერ საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტიდან 10 000 ლარის ოდენობით მიღებული შემოსავალი მხედველობაში არ მიიღება და ამ შემოსავლის გარეშე მისი სხვა შემოსავალი კვლავ შეადგენს 27 000 ლარს, რომელიც არ აჭარბებს 30 000 ლარს.

გიორგის მიკრობიზნესის სტატუსი არ გაუუქმდება.

როგორც რძის პროდუქტის (მაწვნის) რეალიზაციიდან მიღებული 27 000 ლარი, ასევე საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტიდან მიღებული 10 000 ლარი დაექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას, შესაბამისად, გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, აკრძალოს ცალკეული საქმიანობის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მიკრო ბიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს. ასეთ საქმიანობებს განეკუთვნება:

1. საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზირებას ან ნებართვას.

2. საქმიანობები, რომლებიდანაც მიღებულმა შემოსავლებმა კალენდარული წლის განმავლობაში შესაძლოა გადააჭარბოს 30 000 ლარს.

3. სავალუტო ოპერაციების განხორციელება.

4. სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა.

5. სათამაშო ბიზნესი.

6. ვაჭრობა.

შენიშვნა: მე-6 პუნქტი არ ეხება იმ შემთხვევას, როდესაც ხორციელდება **შესყიდული საქონლის გადამუშავება და მიწოდება.**

მაგალითი: გიორგი ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას სათამაშო აპარატებით. იგი ელოდება, რომ მისი ერთობლივი შემოსავალი წლის ბოლოს არ გადააჭარბებს 30 ათას ლარს. აქედან გამომდინარე, ის გა-

დაწყვეტს მიმართოს საგადასახადო ორგანოს მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭების თაობაზე, თუმცა საგადასახადო ორგანო მას არ აძლევს სტატუსს, ვინაიდან ზემოაღნიშნული საქმიანობა მიკრობიზნესისთვის აკრძალული საქმიანობაა.

თუ მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი განახორციელებს მიკრობიზნესისათვის აკრძალულ საქმიანობას, საგადასახადო ორგანო უუქმებს მას მიკრობიზნესის სტატუსს და ფიზიკური პირი გამოდის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან. ამასთან, აღნიშნული იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, განსაზღვროს შემოსავლის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით და არ გაითვალისწინება ერთობლივ შემოსავალში მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისათვის დადგენილი კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავლის 30 000-ლარიანი ზღვრის გაანგარიშებისას. ასეთ შემოსავლებს განეკუთვნება:

1. ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი.
2. სესხის გაცემიდან მიღებული შემოსავალი.
3. სათამაშო ბიზნესიდან მიღებული მოგებები.
4. ჩუქებით მიღებული შემოსავალი.
5. ნამეტი შემოსავალი, რომელიც მიღებულია შემდეგი ქონების რეალიზაციით:

ა) უძრავი ქონება;

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალება;

გ) ფასიანი ქაღალდები.

6. მემკვიდრეობით მიღებული ქონების სახით მიღებული შემოსავალი.
7. დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი.
8. პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი.
9. როიალტის სახით მიღებული შემოსავალი.
10. ვალის პატიებით მიღებული შემოსავალი.

ამრიგად, მიკრობიზნესის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავლის 30 000-ლარიანი ზღვრის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება ასეთი შემოსავლები, მიუხედავად ამ შემოსავლების ოდენობისა;

ასეთი შემოსავლები იბეგრება ჩვეულებრივი წესით, როგორც დაიბეგრებოდა მიკრობიზნესის სტატუსის არარსებობის შემთხვევაში.

მაგალითი: გიორგის გასესხებული ჰქონდა ფიზიკურ პირზე ფული, რის შედეგად პროცენტის სახით მიიღო შემოსავალი 3 500 ლარის ოდენობით და ასევე გიორგის აჩუქეს 7000 ლარი (არც ერთი შემოსავალი წყაროსთან დაბეგვრას არ ექვემდებარებოდა და არ დაბეგრილა). გიორგის ერთობლივმა შემოსავალმა მიმდინარე წელს 47 500 (27 000+10 000+3 500+7 000) ლარი შეადგინა.

პროცენტის სახით და ჩუქებით მიღებული შემოსავლები განეკუთვნება იმ შემოსავლებს, რომლებიც იბეგრება ჩვეულებრივი რეჟიმით (ერთობლივ შემოსავალთან მასთან დაკავშირებული ხარჯების შეპირისპირებით) და რომლებიც მიკრობიზნესისთვის დადგენილი ერთობლივი შემოსავლის 30 000-ლარიანი ზღვრის განსაზღვრის მიზნებისათვის არ გაითვალისწინება ერთობლივ შემოსავალში. შესაბამისად, გიორგის მიერ პროცენტის სახით 3 500 ლარის ოდენობით და ჩუქების შედეგად 7 000 ლარის ოდენობით მიღებული შემოსავალი მხედველობაში არ მიიღება და ამ შემოსავლის გარეშე მისი სხვა შემოსავალი შეადგენს 27 000 ლარს, რომელიც არ აჭარბებს 30 000 ლარს.

გიორგის მიკრობიზნესის სტატუსი არ გაუუქმდება.

როგორც რძის პროდუქტის (მაწვნის) რეალიზაციიდან მიღებული 27 000 ლარი, ასევე საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტიდან მიღებული 10 000 ლარი, დაექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას, შესაბამისად, გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან.

გიორგი ვალდებულია პროცენტის სახით მიღებული 3 500 ლარი და ჩუქების შედეგად მიღებული 7 000 ლარი მიკრობიზნესის სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლისგან განცალკევებულად ასახოს ერთობლივ შემოსავალში და დაბეგროს ჩვეულებრივი წესით.

ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს საგადასახადო კოდექსით დადგენილ პირობებს, უფლებამოსილია მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭების მიზნით მიმართოს საგადასახადო ორგანოს, რომელიც გასცემს მიკრო ბიზნესის სერტიფიკატს.

მიკრო ბიზნესის სტატუსი მიმდინარე საგადასახადო წელს უქმდება, თუ:

ა) ფიზიკურმა პირმა საგადასახადო ორგანოს მიმართა მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმების ან მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით;

ბ) საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი აღემატება 45 000 ლარს.

გ) ფიზიკური პირი დარეგისტრირდა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად.

თუ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი მოთხოვნის (ერთობლივი შემოსავლის ოდენობის შეზღუდვა) დარღვევიდან 15 დღის ვადაში არ მიმართავს საგადასახადო ორგანოს მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მიზნით, მას გაუუქმდება მიკრო ბიზნესის სტატუსი და გამოვა სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან.

საგადასახადო ორგანოს მიერ მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმების და სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან გამოსვლის საფუძველია ფიზიკური პირის მიერ საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნის დარღვევა (აკრძალული საქმიანობის განხორციელება).

ფიზიკური პირისათვის მინიჭებული მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში ამ მომენტისთვის ფიზიკური პირის შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას:

ა) მცირე ბიზნესის სტატუსის მიღების შემთხვევაში – მცირე ბიზნესისთვის დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) სხვა შემთხვევაში – საშემოსავლო გადასახადისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

ფიზიკური პირი, რომელსაც გაუუქმდა მიკრობიზნესის სტატუსი, უფლებამოსილია მომდევნო საგადასახადო წლიდან ამ სტატუსის ხელახალი მინიჭების მოთხოვნით მიმართოს საგადასახადო ორგანოს.

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს და მიმდინარე გადასახდელებს.

თუ ფიზიკური პირი მიმდინარე საანგარიშო წელს გადაწყვეტს მიკრობიზნესის სტატუსის მიღებას და დაბეგვრის სხვა რეჟიმიდან მიკრობიზნესის დაბეგვრის რეჟიმზე გადასვლას, მის მიერ საანგარიშო პერიოდში მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებამდე მიღებული შემოსავლები ექვემდებარება მიკრო-ბიზნესისათვის დადგენილი სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას.

მაგალითი:

გიორგიმ 2011 წლის 25 ოქტომბრიდან მიიღო მიკრობიზნესის სტატუსი. მოცემული მომენტისათვის მისი ერთობლივი შემოსავალი შეადგენდა 15 000 ლარს, ბიუჯეტში კი მიმდინარე გადასახდელების სახით გადახდილი ჰქონდა 1 000 ლარი. საანგარიშო წლის დასრულებამდე მან კიდევ მიიღო შემოსავალი 7 000 ლარის ოდენობით. 2012 წლის 1 აპრილამდე მან უნდა წარადგინოს დეკლარაცია, რომელშიც აისახება 2011 წლის ერთობლივი შემოსავალი 22 000 ლარი (15 000 + 7 000), ხოლო 1 000 ლარი ჩაითვლება ზედმეტად გადახდილად და დადგენილი წესით დაექვემდებარება ჩათვლას ან დაბრუნებას.

მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს, მიღებული მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში, არ ევალება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება (საგადასახადო აგენტის ფუნქციის შესრულება). **ამასთან არარეზიდენტი პირისაგან მიღებული მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში იგი ვალდებულია ოპერაცია დაბეგროს დღგ-ით საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული უკუდაბეგვრის წესით.**

მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე საგადასახადო ორგანოში წარადგინოს გამარტივებული საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია.

თუ მიმდინარე წლის განმავლობაში ფიზიკურ პირს გაუუქმდა მიკრობიზნესის სტატუსი და მიენიჭა მცირე ბიზნესის სტატუსი, მის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას მცირე ბიზნესისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერისას ვალდებულია დოკუმენტში მიუთითოს თავისი სტატუსის შესახებ და სტატუსის სერტიფიკატის ნომერი.

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი მისთვის ან მის მიერ პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის შემთხვევაში ვალდებულია შეინახოს აღნიშნული დოკუმენტი (საგადასახადო დოკუმენტი შეინახოს 6 წლის ვადით).

მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი, გარდა მთავრობის მიერ განსაზღვრული ცალკეული საქმიანობის განმახორციელებელი ან ცალკეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე საქმიანობის განმახორციელებელი მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისა, <u>თავისუფლდება საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან</u>.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს მიკრობიზნესის სტატუსის მქონე პირის შემოსავლები განსაზღვროს არაპირდაპირი მეთოდებით – აქტივების სიდიდის, სხვა ამგვარი გადამხდელის შესახებ ინფორმაციის ანალიზის და მიმდინარე საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

საგადასახადო ორგანოებმა მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირების მიმართ შეიძლება განახორციელონ მიმდინარე საგადასახადო კონტროლის შემდეგი ღონისძიებები:

ა) საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა;

ბ) დათვალიერება;

გ) შესაბამის შემთხვევაში, საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვა;

დ) ქრონომეტრაჟი;

ე) ინვენტარიზაცია.

მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებუ-

ლი ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

გიორგი არის მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას – ინდივიდუალურად ეწევა „ვაჭრობას“. გიორგის აზრით (წინასწარი ვარაუდით), მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში ვაჭრობის შედეგად მოსალოდნელი დასაბეგრი შემოსავალი იქნება 90 000 ლარი.

იქიდან გამომდინარე, რომ გიორგის ვარაუდით მისაღები მოსალოდნელი დასაბეგრი შემოსავალი ვერ გადააჭარბებს 100 000 ლარს, იგი აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ მცირე ბიზნესის სტასუსის მოთხოვნებს, შესაბამისად, მას უფლება აქვს მიმართოს საგადასახადო ორგანოს და მიიღოს მცირე ბიზნესის სტატუსი.

გიორგის მოთხოვნის შემთხვევაში მიენიჭება მცირე ბიზნესის სტატუსი და გადაეცემა სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, აკრძალოს ცალკეული საქმიანობის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მცირე ბიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს. ასეთ საქმიანობებს მიეკუთვნება:

1. საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზირებას ან ნებართვას.
2. საქმიანობები, რომელთა განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციას.
3. სავალუტო ოპერაციების განხორციელება.
4. სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა.
5. სათამაშო ბიზნესი.
6. პერსონალით უზრუნველყოფა.
7. აქციზური საქონლის წარმოება.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

გიორგი ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას სათამაშო აპარატებით. იგი ელოდება, რომ მისი ერთობლივი შემოსავალი წლის ბოლოს არ გადააჭარბებს 100000 ათას ლარს. აქედან გამომდინარე, ის გადაწყვეტს მიმართოს საგადასახადო ორგანოს მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების თაობაზე. თუმცა საგადასახადო ორგანო მას არ აძლევს სტატუსს, ვინაიდან ზემოაღნიშნული საქმიანობა საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით მცირე ბიზნესისთვის აკრძალული საქმიანობაა.

თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი განახორციელებს მცირე ბიზნესისათვის აკრძალულ საქმიანობას საგადასახადო ორგანო უუქმებს მას მცირე ბიზნესის სტატუსს, აღნიშნული იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

მცირე ბიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს ასევე ფიზიკურ პირს თუ იგი რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, განსაზღვროს შემოსავლის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით და არ გაითვალისწინება მცირე ბიზნესის განხორციელების ფარგლებში მიღებულ ერთობლივ შემოსავალში. ასეთი საქმიანობის სახეებია:

1. ქონების იჯარით გაცემა.
2. სესხის გაცემიდან მიღებული შემოსავალი.
3. სათამაშო ბიზნესიდან მიღებული მოგებები.
4. ჩუქება.
5. ნამეტი შემოსავალი, რომელიც მიღებულია შემდეგი ქონების რეალიზაციით:

ა) უძრავი ქონება;

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალება;

გ) ფასიანი ქაღალდები.

6. მემკვიდრეობით მიღებული ქონების სახით მიღებული შემო-სავალი.
7. დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი.
8. პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი.

9. როიალტის სახით მიღებული შემოსავალი.

10. ვალის პატიებით მიღებული შემოსავალი.

11. პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

მაგალითი:

გიორგის გაცემული აქვს სესხი, საიდანაც საანგარიშო წლის განმავლობაში პროცენტის სახით შემოსავალს იღებს 11 000 ლარის ოდენობით. ამავე საანგარიშო პერიოდში მან გაყიდა საცხოვრებელი სახლი 62000 ლარად, რომელიც წინა წელს შეძენილი ჰქონდა 50000 ლარად.

გიორგის მიერ დამატებით მიღებული დასაბეგრი შემოსავლები 23000 ლარის (11000+12000) ოდენობით, ვერ მოახდენს გავლენას მისთვის მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებაზე ან გაუქმებაზე, ვინაიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლის მე-3 ნაწილების მიხედვით, ასეთი სახის შემოსავლები მხედველობაში არ მიიღება 100000-ლარიანი ზღვრის განსაზღვრისას.

გიორგი საანგარიშო წლის განმავლობაში ვაჭრობის შედეგად მიღებულ შემოსავალს დაბეგრავს მცირე ბიზნესისთვის დადგენილი სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით, ხოლო სახლის გაყიდვის შედეგად მიღებული და პროცენტის სახით მიღებული შემოსავლები დაიბეგრება ჩვეულებრივი რეჟიმით.

მცირე ბიზნესის სტატუსი მიმდინარე საგადასახადო წელს უქმდება, თუ:

ა) მეწარმე ფიზიკურმა პირმა საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს არა უგვიანეს საგადასახადო წლის დასრულებისა მიმართა მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით;

ბ) დაირღვა საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა (ერთობლივი შემოსავლის ოდენობის შეზღუდვა);

გ) მეწარმე ფიზიკური პირი დარეგისტრირდა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად;

დ) საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა, რომ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი აღემატება 150 000 ლარს.

საგადასახადო ორგანოს მიერ მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების და სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან გამოსვლის საფუძველია:

ა) მეწარმე ფიზიკური პირის მიერ მცირე ბიზნესისთვის აკრძალული საქმიანობის განხორციელება;

ბ) მეწარმე ფიზიკური პირისთვის საკონტროლო-სალარო აპარატების გამოუყენებლობისათვის სანქციის კალენდარული წლის განმავლობაში 3-ჯერ დაკისრება.

თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში გადააჭარბებს 100 000 ლარს და მოეხსნება სტატუსი, მას უფლება აქვს, კვლავ მიიღოს სტატუსი ყველა შემდეგი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში:

ა) თუ სტატუსის გაუქმებიდან მომავალი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა არ აღემატება 100 000 ლარს და სტატუსის გაუქმებიდან 12 კალენდარული თვის მომდევნო წლიდან, პირი არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი.

მაგალითი:

გიორგის 2011 წლის 25 ოქტომბერს გაუუქმდა მცირე ბიზნესის სტატუსი, ვინაიდან გადააჭარბა დღგ-ის მიზნებისათვის დადგენილ 100 000-ლარიან ზღვარს და ვალდებული გახდა დარეგისტრირებულიყო დღგ-ის გადამხდელად. აღნიშნული პერიოდიდან 2012 წლის 26 ოქტომბრამდე მისმა დასაბეგრმა ოპერაციების საერთო თანხამ შეადგინა 90 000 ლარი. აქედან გამომდინარე, გიორგიმ გადაწყვიტა მცირე ბიზნესის სტატუსის აღდგენა.

გიორგის მცირე ბიზნესის სტატუსი კვლავ მიენიჭება 2013 წელს.

მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი, იბეგრება 5 პროცენტით.

მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3 პროცენტით, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ

პირს აქვს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ერთობლივი შემოსავლის 60 პროცენტის ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი დოკუმენტები.

მაგალითი:

გიორგიმ შეიძინა 80 000 ლარის საქონელი, თუმცა მიმდინარე წელს აღნიშნული საქონლიდან მოახდინა მხოლოდ 70 000 ლარის საქონლის რეალიზაცია 90 000 ლარად. ამ შემთხვევაში, გიორგის მიერ გაწეული ერთობლივ შემოსავალთან დაკავშირებული ხარჯის ოდენობაა 70 000 ლარი, ამიტომ, საქართველოში ვაჭრობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი დაიბეგრება 3%-ით (90 000*3%)

მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლებისაგან, გარდა ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებისა.

თუ მცირე ბიზნესი იყენებს დასაბეგრი შემოსავლის 3%-იანი დაბეგვრის უფლებას, იგი ვალდებულია ამ შემოსავალთან დაკავშირებული შესაბამისი ხარჯების დადასტურება მოახდინოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორების შემთხვევაში შემოსავლები უნდა აღრიცხოს საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენებით.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი მისთვის ან მის მიერ პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის შემთხვევაში ვალდებულია შეინახოს აღნიშნული დოკუმენტი (საგადასახადო დოკუმენტები შეინახოს 6 წლით).

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი ვალდებულია დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციაზე დადგომის ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები.

მცირე ბიზნესის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული ზარალი მომდევნო წელს არ გადაიტანება, თუ არ ხდება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან გამოსვლა.

მაგალითი:

გიორგი, რომელიც არის მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი, ეწევა სავაჭრო საქმიანობას და მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ასეთი საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 85 000 ლარი, ხოლო ამ შემოსავლის მისაღებად მას მოუწია 92 000 ლარის ოდენობის ხარჯების გაწევა.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგიმ მიმდინარე წელი 7 000-ლარიანი ზარალით დაასრულა, მას უფლება არ აქვს 7 000 ლარის ოდენობის ზარალი, რომელიც უკავშირდება სპეციალური რეჟიმით დასაბეგრ ერთობლივ შემოსავალს, მომდევნო წელს გადაიტანოს და აღნიშნული თანხით შეამციროს მომდევნო წლის დასაბეგრი შემოსავალი.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს სტატუსის გაუქმების შემთხვევაში უფლება აქვს ამ მომენტისთვის არსებული სასაქონლო ნაშთები აღრიცხოს შესაბამის დოკუმენტში და მომავალში საქონელი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის მიზნებისათვის ჩაითვლება აღრიცხულად.

მაგალითი:

გიორგის აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი და ვაჭრობს ტექსტილით პატარა მაღაზიაში, თუმცა 2011 წლის 15 სექტემბერს მისი სპეციალური რეჟიმით დასაბეგრი ერთობლივი შემოსავალი იყო 99900 ლარი, მეორე დღეს განახორციელა 200-ლარიანი ოპერაცია და გადააჭარბა მცირე ბიზნესისთვის დადგენილ ზღვარს და შეადგინა 100100 ლარი. გიორგის ამ მომენტისთვის შესყიდვების მიხედვით მარაგების სახით აქვს შარვალი (100 ცალი – 10000 ლარის), პერანგი (1000 ცალი 12000 ლარის) და მაისური (1200 ცალი – 15000 ლარის).

ვინაიდან გიორგიმ გადააჭარბა მცირე ბიზნესისთვის დადგენილ 100 000-ლარიან ზღვარს, მას გაუუქმდა მცირე ბიზნესის სტატუსი. ამასთან, გიორგის უფლება აქვს აღრიცხოს ამ მომენტისათვის არსებული სასაქონლო მარაგების ნაშთი.

გიორგიმ შექმნა დოკუმენტი, სადაც აღრიცხულია ამ მომენტისთვის მისი სასაქონლო ნაშთები შემდეგი ოდენობით:

სასაქონლო მარაგების ნაშთების აღრიცხვა

დოკუმენტი № XXX

1. შარვალი – 10000 ლარი;

2. მაისური – 15000 ლარი;

3. პერანგი – 12000 ლარი.

სულ სასაქონლო ნაშთი – 37 000 ლარი.

გადასახადის გადამხდელი (სახელი და გვარი) – გიორგი

(საიდენფიკაციო კოდი) XXXXXXXXXXX

თარიღი : 16 სექტემბერი 2011 წელი

გიორგის აღნიშნული სასაქონლო ნაშთები ჩაეთვლება აღრიცხულად.

ზემოთ გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში ფიზიკურ პირს შეუძლია ამ მომენტისთვის არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთები საბაზრო ღირებულებით შეაფასოს და აღრიცხოს სასაქონლო-მატერიალური მარაგის ნაშთად შესაბამის დოკუმენტში, რომლის საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 30000 ლარს. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მარაგებზე ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელშიც შეტანილი იქნება ინფორმაცია ამ მარაგების სახეობის, ოდენობისა და ღირებულების შესახებ.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

გიორგიმ შეაფასა თავისი მარაგები და აღმოჩნდა, რომ შარვლების საბაზრო ღირებულება (სარეალიზაციო ფასი) იყო 12000 ლარი, პერანგების – 15000 ლარი და მაისურების – 18000 ლარი.

გიორგის უფლება აქვს 30000 ლარის საბაზრო ღირებულების მარაგებზე შექმნას ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგალითად, შარვლებზე, პერანგებზე ან მაისურებზე (არჩევანი ამ შემთხვევაში, თუ რომელ საქონელს აირჩევს და რა ოდენობით აქვს გიორგის)). დავუშვათ, 30000 ლარის საბაზრო ღირებულების ფარგლებში გიორგიმ გადაწყვიტა ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი შეექმნა შარვლებზე (საბაზრო ღირებულება 12 000), პერანგებზე (საბაზრო ღირებულება 15 000) და მაისურებზე (საბაზრო ღირებულება 3 000).

ა) გიორგიმ შექმნა დოკუმენტი, სადაც აღრიცხულია ამ მომენტისთვის მისი სასაქონლო ნაშთები, შემდეგი ოდენობით:

სასაქონლო მარაგების ნაშთების აღრიცხვა

დოკუმენტი №

1. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი საბაზრო ღირებულებით 30000 ლარამდე

1.1 შარვალი:

35 ცალი – მარკა „XXX“ 4 000 ლარი;

40 ცალი – მარკა „CCCC“ 5 000 ლარი;

25 ცალი – მარკა „SSS“ 3 000 ლარი;

სულ: 100 ცალი - 12 000 ლარი

1.2 პერანგი:

320 ცალი – მარკა „XXX“ 6 000 ლარი;

450 ცალი – მარკა „CCCC“ 7 000 ლარი;

230 ცალი – მარკა „SSS“ 2 000 ლარი;

სულ: 1000 ცალი – 15000 ლარი;

1.3 მაისური:

100 ცალი – მარკა „XXX“ 2200 ლარი;

30 ცალი – მარკა „SSS“ 800 ლარი;

სულ: 130 ცალი – 3000 ლარი;

2. სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი

2.1 მაისურები:

1070 ცალი (1200-130) – 13375 ლარი (დაშვებულია, რომ აღნიშნული ფასი წარმოადგენს 1070 ცალი მაისურის შესყიდვის ფასს)

გადასახადის გადამხდელი (სახელი და გვარი) – გიორგი

(საიდენფიკაციო კოდი) XXXXXXXXXXX

თარიღი: 16 სექტემბერი 2011 წელი

ბ) გიორგის საბაზრო ღირებულებით აღრიცხული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი ეთვლება როგორც აღრიცხულად, ასევე შეუძლია მომავალში გაატაროს ხარჯად, ანუ გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან, **ხოლო სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშ-**

თი ეთვლება მხოლოდ აღრიცხულად და არ შეუძლია მომავალში გაატაროს ხარჯად.

ამ შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია, აღრიცხული სასაქონლო-მატერიალური მარაგის ფაქტობრივი ნაშთის საერთო ღირებულების თანხით გაზარდოს მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებამდე არსებული საანგარიშო წლის დასაბეგრი შემოსავალი.

მაგალითი: გიორგი ვალდებულია მცირე ბიზნესის რეჟიმით დასაბეგრ შემოსავალს დაუმატოს იმ სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება, რომლებზეც მიიღო ხარჯის გამოქვითვის უფლება, ამ შემთხვევაში 30000 ლარი.

ანუ მცირე ბიზნესის დაბეგრის რეჟიმით დაიბეგრება 130000 ლარი (99900+100+30000).

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი, რომელსაც დაუდგა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელის სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება, საგადასახადო კოდექსის 157-ე მუხლის შესაბამისად ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში და გამოდის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულების დადგომისას ვალდებულია აღრიცხოს ამ მომენტისთვის არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი, რომელზეც უფლება აქვს ჩაითვალოს დღგ დადგენილი წესის შესაბამისად, თუ გააჩნია შესაბამისი დოკუმენტაცია.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი საგადასახადო ორგანოს, საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარუდგენს დეკლარაციას.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტისას საგადასახადო ორგანოს 30 სამუშაო დღის ვადაში წარუდგენს დეკლარაციას.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი ვალდებულია მიმდინარე გადასახდელების თანხები ყოველი კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე შეიტანოს ბიუჯეტში.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება არ ევალება:

ა) კალენდარული წლის განმავლობაში ერთობლივი შემოსავლის 25 პროცენტის ფარგლებში გაცემული ხელფასის ხარჯზე, ხოლო 25 პროცენტის ზემოთ გაცემულ სახელფასო თანხებზე ეკისრება საგადასახადო აგენტის ვალდებულება.

ბ) მიღებული მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში ამასთან, არარეზიდენტი პირისგან მიღებული მომსახურების ანაზრაურების შემთხვევაში იგი ვალდებულია ოპერაცია დაბეგროს დღგ-ით საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი უკუდაბეგვრის წესით.

საგადასახადო ორგანოებმა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიმართ შეიძლება განახორციელონ მიმდინარე საგადასახადო კონტროლის შემდეგი ღონისძიებები:

ა) საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა;

ბ) დათვალიერება;

გ) საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვა;

დ) ქრონომეტრაჟი;

ე) ინვენტარიზაცია.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი ვალდებულია მიმდინარე გადასახდელების თანხები ბიუჯეტში შეიტანოს გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

ა) არაუგვიანეს 15 მაისისა – 25 პროცენტი;

ბ) არაუგვიანეს 15 ივლისისა – 25 პროცენტი;

გ) არაუგვიანეს 15 სექტემბრისა – 25 პროცენტი;

დ) არაუგვიანეს 15 დეკემბრისა – 25 პროცენტი.

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება არ ევალება მიღებული მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება არ ევალება:

ა) კალენდარული წლის განმავლობაში ერთობლივი შემოსავლის 25 პროცენტის ფარგლებში გაცემული ხელფასის ხარჯზე;

ბ) მიღებული მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელიც არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია, განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც არა არის კანონით აკრძალული, გარდა ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული საქონლის ან მომსახურების გამოყენებისა მის მიერ სხვა რეჟიმით დასაბეგრ საქმიანობაში.

მაგალითი:

შპს-ს, რომელიც ეწევა სარესტორნო მომსახურებას, გააჩნია საკუთარი თონე, რომლის საშუალებითაც ხორციელდება პურის გამოცხობა, საწარმო ახდენს ამგვარი წესით გამოცხობილი პურის როგორც ცალკე საქონლის მიწოდებას (რეალიზაციას), ისე იყენებს სარესტორნო მომსახურების გაწევაში და მისი ფასი ჩართულია კლიენტისათვის გაწეული მომსახურების საბოლოო ღირებულებაში. შპს-მ განცხადებით მიმართა საგადასახადო ორგანოს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭების მიზნით. ვინაიდან საწარმო ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებულ საქონელს იყენებს მის მიერ სხვა რეჟიმით დასაბეგრ საქმიანობაში, მას არ ენიჭება ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი.

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი არ გაითვალისწინება დღგ-ის სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულების განსაზღვრისას.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი თავისუფლდება ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ნაწილში საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისგან ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ფარგლებში შეძენილ საქონელზე ან მომსახურებაზე გაწეული ხარჯი ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება.

იმ შემთხვევევაში, თუ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი დამატებით ახორციელებს სხვა სახის საქმიანობას, ასეთ შემთხვევაში ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობასა და დამატებით განხორციელებულ საქმიანობას შორის გაუმიჯნავი ხარჯები დამატებით განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება.

თუ ფიზიკური პირი, დამატებით ახორციელებს სხვა საქმიანობას და აკმაყოფილებს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, უფლება აქვს ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმთან ერთად დამატებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილში ისარგებლოს სპეციალური დაბეგვრის სხვა რეჟიმით (მიკრო ან მცირე ბიზნესის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებით).

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის მიერ დამატებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილში მიკრო ან მცირე ბიზნესის სტატუსის მიღების შემთხვევაში, მიკრო/მცირე ბიზნესისათვის დადგენილი წლიური ერთობლივი შემოსავლის ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინება ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი.

მაგალითი:

პირი ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას და დამატებით ეწევა სარემონტო მომსახურებას. პირს სურს მიიღოს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი ძირითად საქმიანობაზე, ხოლო დამატებით განსახორციელებელი საქმიანობის ნაწილში ისარგებლოს მცირე ბიზნესის სტატუსით. პირი არ არის დღგ-ს გადამხდელი. ასეთ შემთხვევაში პირმა განცხადებით უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლის მოთხოვნით და დამატებით განხორციელებული (სარემონტო მომსახურება) საქმიანობის ნაწილში მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების თაობაზე. ამასთან, ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი გათვალისწინებული იქნება მცირე ბიზნესის 100 000 ლარამდე ერთობლივი შემოსავლის ოდენობის დათვლისას.

ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის სახეების მიხედვით შეიძლება იყოს:

ა) დაბეგვრის ობიექტზე 1 ლარიდან 2000 ლარის ფარგლებში;

ბ) დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 3 პროცენტი.

„ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ფიქსირებული გადასახადის განაკვეთს საქმიანობის სახეების მიხედვით განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა აღნიშნული ქვეპუნქტით დადგენილი ოდენობის ფარგლებში. ამასთანავე, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი ერთი და იმავე საქმიანობის სახისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიხედვით განსაზღვროს განსხვავებული ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი.

ცხრილი №3

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის სახეები და გადასახადის განაკვეთი

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ის სახე, დაბეგვრის ობიექტი და გადასახადის განაკვეთი, რომელიც იბეგრება 1 ლარიდან 2 000 ლარამდე ოდენობის ფარგლებში				
№	**დასაბეგრი საქმიანობის სახე**	**დაბეგვრის ობიექტი**	**საანგარიშო პერიოდი**	**გადასახადის განაკვეთი**
1	თონეში წარმოებული/საწარმოებელი (ნახევარფაბრიკატი) საქონლის მიწოდება ან/და თონეთი გაწეული მომსახურება	თონე	კალენდარული თვე	50 ლარი (ერთ თონეზე)
2	თმის შეჭრის შესწორების, დაწყობის (მათ შორის, თმის დაგრძელების, შელებვის, დახვევის, გასწორების, გაპარსვის, წვერის შესწორების, მაკიაჟის (მათ შორის წამწამების დაგრძელების), მასაჟის (სამედიცინო მასაჟის გარდა), წარბების კორექციის, ეპილაციის (ლაზერული ეპილაციის გარდა), დეპილაციის, კოსმეტოლოგის მომსახურება	სამუშაო ადგილი (სკამი/ მაგიდა/ სავარძელი)	კალენდარული თვე	ერთ სამუშაო ადგილზე (სკამი/ მაგიდა/ სავარძელი) – 50 ლარი
3	მანიკიურის და პედიკიურის (მათ შორის, ფრჩხილების დაგრძელების) მომსახურება	სამუშაო ადგილი (სკამი/ მაგიდა/ სავარძელი)	კალენდარული თვე	ერთ სამუშაო ადგილზე (სკამი/ მაგიდა/ სავარძელი) – 30 ლარი
4	სოლარიუმის მომსახურება	სამუშაო ადგილი (სოლარიუმის კაბინა)	კალენდარული თვე	ერთ სამუშაო ადგილზე (სოლარიუმის კაბინა) – 70 ლარი
5	ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი, მათ შორის სალტეების, საბურავების აღდგენა და რეგენერაცია, აღნიშნული მომსახურებისათვის განკუთვნილ ფართობზე გაწეული სხვა მომსახურება (ხალიჩერბის რეცხვა)	მომსახურების გასაწევად გამოყენებული სამუშაო ადგილი	კალენდარული თვე	1 ავტომობილის მომსახურებისათვის განკუთვნილი სამუშაო ადგილი – 100 ლარი; იმ შემთხვევაში თუ ერთმნიშვნელოვნად ვერ დგინდება, რამდენი ავტომობილის მომსახურებისათვისაა განკუთვნილი სამუშაო ადგილი – ყოველ 40 კვ.მ-ფართობზე – 100 ლარი.

ფიქსირებული გადასახადის გადახდა ხორციელდება საანგარიშო თვის დაწყებამდე, გადახდის მომენტისათვის არსებული განაკვეთის შესაბამისად.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი არ იხდის მიმდინარე გადასახდელებს და აღნიშნული საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზე საგადასახადო ორგანოს არ წარუდგენს საშემოსავლო ან მოგების გადასახდის შესახებ დეკლარაციას.

1-დან 2000 ლარის ფარგლებში დასაბეგრ ობიექტზე, საქმიანობის ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრისას, საშემოსავლო და მოგების გადასახადებზე საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო შეღავათები არ გაითვალისწინება.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი არ თავისუფლდება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების ვალდებულებისაგან.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი უქმდება, თუ:

ა) პირი წყვეტს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას;

ბ) პირი საგადასახადო ორგანოს მიმართავს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით;

გ) პირი ახორციელებს საქართველოს მთავრობის მიერ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისთვის ნებადართული დამატებითი საქმიანობისგან განსხვავებულ საქმიანობას;

დ) საქართველოს მთავრობის მიერ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისთვის ნებადართული დამატებითი საქმიანობის ნაწილში პირს წარმოეშვა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება ან ნებაყოფლობით გატარდა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციაში.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმების ერთ-ერთი პირობის (გარდა „ბ“ ქვეპუნქტისა) დადგომისას პირი ვალდებულია ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმების მიზნით განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს შესაბამისი პირობის დადგომიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

თავი IX

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი, პირდაპირი გადასახადებიდან რიგით მეორე გადასახადია საქართველოში. მოგების გადასახადს იხდის როგორც რეზიდენტი საწარმოები, ისე ის არარეზიდენტი საწარმოები, რომლებიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებენ მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან შემოსავალს იღებენ საქართველოში არსებული წყაროდან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, საწარმოდ ითვლება ისეთი წარმონაქმნები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ან შექმნილნი არიან ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად, კერძოდ:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირები;

ბ) უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კორპორაციები, კომპანიები, ფირმები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა იურიდიული პირის სტატუსი, აგრეთვე უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულება;

გ) გაერთიანებები, ამხანაგობები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით.

საწარმოს არ განეკუთვნება ინდივიდუალური მეწარმე.

საქართველოს საწარმოდ ითვლება საწარმო, **რომლის საქმიანობის ან/და მართვის ადგილი საქართველოშია.**

საწარმოს საქმიანობის ადგილად ითვლება საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციის ადგილი, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – იურიდიული მისამართი, რომელიც მითითებულია საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტებში (წესდებაში, ხელშეკრულებაში, დებულებაში).

თუ საწარმო საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე და მის სადამფუძნებლო დოკუმენტებში არ არის მითითებული საწარმოს საქმიანობის ადგილი, საწარმოს საქმიანო-

ბის ადგილად ითვლება მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელების ადგილი. საწარმოს ძირითადი საქმიანობის განხორციელების ადგილს განსაზღვრავს საგადასახადო ორგანო საწარმოს მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე, ხოლო ასეთი მონაცემების წარუდგენლობის ან საეჭვო მონაცემების წარდგენის შემთხვევაში – არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

სათანადო ინფორმაციის არარსებობისა და საწარმოს ძირითადი საქმიანობის ადგილის განსაზღვრის შეუძლებლობის შემთხვევაში საწარმოს საქმიანობის ადგილად ითვლება საწარმოს მართვის ადგილი.

საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საწარმოს (გაერთიანებების, ამხანაგობებისა და სხვა მსგავსი წარმონაქმნების) საქმიანობის ადგილად ითვლება ხელშეკრულების მონაწილე იმ პირის საქმიანობის ადგილი, რომელსაც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით აკისრია საქმეების მართვა.

საწარმოს მართვის ადგილად ითვლება საწარმოს ფაქტობრივი მართვის ადგილი, ანუ ადგილი, სადაც საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტების (წესდების, ხელშეკრულების, დებულების) შესაბამისად საწარმოს დირექტორატი (მმართველობის სხვა ორგანო) ასრულებს მმართველობის ფუნქციას, ამ საწარმოს უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის ადგილისა და საქმიანობის განხორციელებით შემოსავლების მიღების ადგილის მიუხედავად.

გაერთიანებების, ამხანაგობებისა და სხვა მსგავსი წარმონაქმნების მართვის ადგილად ითვლება მისი საქმიანობის ადგილი.

“დასაბეგრი მოგების” გამოანგარიშების მეთოდიკა არის “დასაბეგრი შემოსავლების” გაანგარიშების მეთოდიკის იდენტური, კერძოდ, ***დასაბეგრი მოგება განისაზღვრება როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვების თანხებს შორის.***

უნდა აღინიშნოს, რომ ამხანაგობის ან სხვა ანალოგიური წარმონაქმნის შემთხვევაში ერთობლივი შემოსავლები და გამოსაქვითი ხარჯები აღირიცხება იურიდიული პირისთვის გათვალისწინებული წესის მიხედვით და გამოიყვანება დასაბეგრი მოგება, მაგრამ

ამხანაგობა მოგების გადასახადს არ იხდის, თუმცა დასაბეგრ მოგებას ანაწილებს ამხანაგობის წევრებს შორის მათი წილის შესაბამისად და შეიტანება მათ ერთობლივ შემოსავალში.

საქართველოს საწარმოს, ანუ რეზიდენტი იურიდიული პირის ერთობლივ შემოსავალში შეიტანება როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავლები, ხოლო არარეზიდენტი იურიდიული პირისათვის (გარდა საავიაციო ტრანსპორტით მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანისა და ტვირთების საერთაშორისო გადატანის განმახორციელებლისა) ერთობლივ შემოსავალში შეიტანება მხოლოდ ის შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოში არსებულ წყაროსთან მიღებულ მის მუდმივ დაწესებულებასთან.

რაც შეეხება იმ არარეზიდენტ საწარმოს, რომელიც საქართველოში მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ახორციელებს საავიაციო ტრანსპორტით მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანას და ტვირთების საერთაშორისო გადატანას, მისი დასაბეგრი მოგება განისაზღვრება **კალენდარული წლის განმავლობაში მუდმივი დაწესებულების მეშვეობით მიღებული შემოსავლის მიხედვით, რომელიც იყოფა მის მიერ მიღებულ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიღებულ (მთლიან) შემოსავალზე და მრავლდება მის მიერ მიღებულ დასაბეგრ მოგებაზე.**

არარეზიდენტი საწარმოს ერთობლივი შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის მის მუდმივ დაწესებულებასთან იბეგრება საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის შესაბამისად გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე (დაბეგვრის წესი იგივეა რაც არარეზიდენტი ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავლის შემთხვევაში რომელიც დაკავშირებული არ არის საქართველოში მის მუდმივ დაწესებულებასთან)

მოგების გადასახადის განაკვეთია - დასაბეგრი მოგების 15%.

„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებების“ განხორციელების შედეგად ნავთობისა და გაზის ოპერაციებით მიღებული მოგება იბეგრება 10 პროცენტით, თუ ეს ხელშეკრულებები დადებულია 1998 წლის 1 იანვრამდე.

არსებული ხელსეკრულება არის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე სახელმწიფოს ან/და სახელმწიფოს სახელით ნავთობის ეროვნულ კომპანიასა და ინვესტორს შორის საგადასახადო კოდექსის ამოქმედებამდე დადებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება, ან/და სახელმწიფოს სახელით გაცემული ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზია.

მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება:

ა) საბიუჯეტო, საერთაშორისო ან/და საქველმოქმედო ორგანიზაციების მოგება, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული მოგების გარდა;

ბ) ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტები, საწევრო შენატანები და შემოწირულებები;

ბ[1]) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მიღებული გრანტები და სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის წევრის შენატანი (პაი);

გ) საქართველოს ეროვნული ბანკის მოგება;

დ) საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება;

ე) 2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;

ვ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირებაც ხორციელდება შესაბამისი საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში;

ვ[1]) 2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება;

ზ) საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ ფინანსური ოპერაციებიდან ან/და ფინანსური მომსახურებიდან ან/და საქართველოს არარეზიდენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული მოგება;

თ) საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული მოგება;

ი) თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდის რეალიზაციით მიღებული მოგება;

თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდი არის საფონდო ბირჟის ლისტინგში სავაჭროდ დაშვებული საჯარო ან სასესხო ფასიანი ქაღალდი, რომლის თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი საანგარიშო წლის წინა წლის 31 დეკემბრის ან საანგარიშო წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასიანი ქაღალდების ემიტენტის მიერ საფონდო ბირჟისათვის მიწოდებული ინფორმაციით, უნდა აღემატებოდეს 25 პროცენტს.

კ) არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი საწარმოს, ორგანიზაციის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ რისკის დაზღვევისა და გადაზღვევის საფუძველზე;

ლ) არარეზიდენტის მიერ ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას;

მ) სახელმწიფოს ან საქართველოს ეროვნული ბანკის სასესხო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციითა და აღნიშნული ფასიანი ქაღალდებიდან პროცენტის სახით მიღებული მოგება და ეროვნულ ბანკში ანგარიშებზე განთავსებულ სახსრებზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული მოგება;

ნ) თიზ-ის საწარმოს მიერ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ნებადართული საქმიანობით მიღებული მოგება;

ო) საინვესტიციო ფონდის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების მიწოდებით ან/და ფინანსური ოპერაციებიდან ან/და ფინანსური მომსახურებიდან მიღებული მოგება, თუ საინვესტიციო ფონდი არის საერთაშორისო ფინანსური კომპანია;

პ) საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისთვის სახელმწიფოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გადაცემული ქონების ან უსასყიდლოდ გაწეული მომსახურების ღირებულება;

ჟ) სამედიცინო დაწესებულების (მიუხედავად მისი სამართლებრივი ფორმისა) სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირება (დაწესებულების რეაბილიტაცია, ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა) ხორციელდება შესაბამისი საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში;

რ) ვირტუალური ზონის იურიდიული პირის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფარგლების გარეთ მიწოდებით მიღებული მოგება;

ს) 2026 წლის 1 იანვრამდე ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის მიერ სასტუმრო მომსახურების გაწევით მიღებული მოგება;

ტ) ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის მიერ მიღებული მიწის ნაკვეთის (ნაკვეთების) ღირებულება.

უ) აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის აგრეთვე ტოტალიზატორის მომწყობი პირისების მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული მოგება, გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მოწყობიდან მიღებული მოგებისა;

ფ) სპეციალური სავაჭრო კომპანიის მიერ ნებადართული საქმიანობით მიღებული მოგება, გარდა მის მიერ ეკონომიკურ საქმიანობაში 2 წელზე მეტი ვადით გამოყენებული ძირითადი საშუალების მიწოდებით მიღებული მოგებისა;

ქ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით ავტორიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობიდან მიღებული მოგება;

ღ) საგადასახადო კოდექსის 249-ე მუხლით გათვალისწინებული თავდებობის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვა-

ლისწინებული თავდებობის, აგრეთვე სერვიტუტის უსასყიდლო მომსახურების გამწევის მიერ ამ მომსახურებიდან მისაღები კომპენსაცია და უსასყიდლო მომსახურების მიმღების მიერ მიღებული სარგებელი.

ყ) ტურისტული საწარმოს მიერ უსასყიდლოდ საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული სარგებელი;

შ) ,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ გაკოტრების რეჟიმში მყოფი პირის მიერ მიღებული მოგება.

თავი X

ერთობლივი შემოსავლის შემადგენელი ელემენტები და მისი გაანგარიშების მეთოდიკა

რეზიდენტის (ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის – საქართველოს საწარმო ან საქართველოს ორგანიზაცია) ერთობლივ შემოსავალს წარმოადგენს მის მიერ საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავლები, ხოლო არარეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი შედგება მხოლოდ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლებისაგან.

ერთობლივ შემოსავალს განეკუთვნება ნებისმიერი (როგორც ფულადი ისე ნატურალური) ფორმით ან საქმიანობით მიღებული შემოსავლები, მათ შორის:

ა) ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები;

ბ) ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან;

გ) სხვა შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან.

ერთობლივ შემოსავალში ასახვას არ ექვემდებარება ზოგიერთი ისეთი სახის შემოსავალი როგორიცაა მაგალითად: სახელმწიფოსთვის ან ადგილობრივი თვითმმართველობისათვის საქონლის უსასყიდლოდ გადაცემა ან მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა, ასევე გადასახადის გადამხდელთან გაფორმებული საგადასახადო შეთანხმების საფუძველზე გადასახადების ან სანქციების შემცირებით, აგრეთვე საგადასახადო დავალიანების ჩამოწერით მიღებული სარგებელი. ასევე საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის უსასყიდლოდ მიწოდებული უძრავი ქონების (მათ შორის მიწის ნაკვეთის) საბაზრო ღირებულება, თუ ქონების მიმღები ორგანიზაცია ქველმოქმედებას ახორციელებს ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის ან მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არანაკლებ ბოლო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებში იგულისხმება მხოლოდ დაქირავებით მუშაობის შედეგად, ნებისმიერი ფორმით მიღებული შემოსავლები, რომელიც მოიცავს როგორც საზღაურს ისე სარგებელს. საზღაური არის ხელფასის სახე, რომელსაც ღებულობს დაქირავებული პირი დამქირავებლისაგან მისი ფიზიკური ან გონებრივი შრომის ანაზღაურების სანაცვლოდ.

ფიზიკური პირი, რომელთანაც დადებულია შრომითი ხელშეკრულება საქართველოს შრომითი კოდექსის მიხედვით, ითვლება დაქირავებულად, ხოლო თუ ფიზიკურ პირთან დადებულია სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მაშინ ფიზიკური პირი არ ითვლება დაქირავებულ თანამშრომლად, ასეთი პირისთვის არ შეიძლება მივლინების თანხების გამოწერა, ასევე ამ შემთხვევაში აუცილებელია მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა სამუშაოს ფაქტობრივი შესრულებისას ან მომსახურების გაწევის დასრულებისას.

სარგებელი კი არის ხელფასის სახე, რომელიც მიღებული აქვს დაქირავებულ პირს დამქირავებლისაგან, **ხოლო სარგებლის ღირებულებად ითვლება თანხა, რომელიც წარმოადგენს სხვაობას განსაზღვრული ოდენობით მიღებულ სარგებელსა და მის მისაღებად გადახდილ თანხებს შორის** (თუ ასეთი არსებობს). აღნიშნული თანხა უნდა ჩაირთოს დაქირავებულის ერთობლივ შემოსავალში და დაიბეგროს საშემოსავლო გადასახადით.

დაქირავებულის მიერ მიღებული სარგებელი შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ფორმებით:

ა) თუ დაქირავებულმა გამოიყენა დამქირავებლის კუთვნილი ავტომობილი პირადი სარგებლობისათვის. ამ შემთხვევაში განსაზღვრული სარგებლის ოდენობა გამოითვლება აღნიშნული ავტომობილის საბალანსო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, კერძო სარგებლობის მიზნით ყოველი გამოყენებული დღისათვის.

მაგალითი:

დაქირავებულმა საქორწინო მოგზაურობაში წასასვლელად გამოიყენა დამქირავებულის ავტომობილი, რომლის საბალანსო ღირებულებაა 14 000 ლარი. საქორწინო შვებულება გაგრძელდა 12 დღის განმავლობაში, გარდა ამისა ავტომობილის გამოყვანის დროს დაქირავებულმა დამქირავებელს გადაუხადა 40 ლარი. ამ პირობებში დაქირავებულის მიერ მიღებული სარგებლის ღირებულება ტოლი იქნება

(14 000 * 0.1% * 12 – 40) = 128 ლარის.

ბ) თუ დაქირავებულმა აიღო სესხი დამქირავებლისაგან ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით, განსაზღვრული სარგებლის ოდენობა გამოითვლება ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთით გადასახდელი პროცენტის შესაბამისი თანხიდან (წლიური საპროცენტო განაკვეთი ფინანსთა მინისტრის მიერ ამ დროისათვის განსაზღვრულია 20%-ის ოდენობით).

მ ა გ ა ლ ი თ ი:

დამქირავებელმა დაქირავებულს ასესხა 3 000 ლარი ერთი წლით, წლიურ 4 პროცენტად, დაქირავებულის მიერ მიღებული სარგებლის ღირებულება ტოლია (3 000 * 20% – 3 000 * 4%) = 480 ლარის.

გ) თუ დამქირავებელმა დაქირავებულს მიაწოდა საქონელი ან მომსახურება მათ შორის კომპენსაციის გარეშე, განსაზღვრული სარგებლის ოდენობა გამოითვლება ასეთი მომსახურების ან საქონლის საბაზრო ფასის მიხედვით.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

დამქირავებელმა დაქირავებულს უსასყიდლოდ გადასცა ერთი ტომარა შაქრის ფხვნილი, რომლის საბაზრო ღირებულებაა 70 ლარი. აღნიშნული თანხა მთლიანად წარმოადგენს დაქირავებულის მიერ მიღებულ სარგებლის ღირებულებას.

დ) თუ დამქირავებელმა დაქირავებულს სარგებლობაში გადასცა მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი, განსაზღვრული სარგებლის ოდენობა გამოითვლება საიჯარო ქირის წლიური საბაზრო ღირებულების მიხედვით.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

დამქირავებელმა დაქირავებულს მიაქირავა ბინა თვეში 70 ლარად 5 თვის განმავლობაში. იმავე უბანში მსგავსი ბინის საბაზრო ღირებულებაა 90 ლარი თვეში. დაქირავებულის მიერ მიღებული სარგებლის ღირებულება ტოლია

(90 * 5 – 70 * 5) =100 ლარის.

ე) თუ დამქირავებელმა დაქირავებულს ან მის კმაყოფაზე მყოფს გაუწია დახმარება განათლების მისაღებად. განსაზღვრული სარგებლის ოდენობა გამოითვლება განათლების მისაღებად გაწეული დახმარების ღირებულების მიხედვით.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

დამქირავებელმა დაქირავებულის შვილს სწავლებისათვის გადაურიცხა 5 000 ლარი. დაქირავებულმა დამქირავებელს დაუფარა 1 000 ლარი. დაქირავებულის მიერ მიღებული სარგებლის ღირებულება ტოლია (5 000 – 1 000) = 4 000 ლარის.

ვ) თუ დამქირავებელმა დაქირავებულს აუნაზღაურა ხარჯები. განსაზღვრული სარგებლის ოდენობა გამოითვლება ანაზღაურებული თანხის მიხედვით.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

დამქირავებელმა დაქირავებულს აუნაზღაურა მკურნალობის ხარჯი 800 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა მთლიანად წარმოადგენს დაქირავებულის მიერ მიღებულ სარგებლის ღირებულებას.

ზ) თუ დამქირავებელმა დაქირავებულს აპატია ვალი ან ვალდებულება, განსაზღვრული სარგებლის ოდენობა გამოითვლება ვალის ან ვალდებულების თანხის ოდენობით.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

დამქირავებელმა დაქირავებულს ასესხა 3 000 ლარი ერთი წლით, წლიურ 4 პროცენტად, წლიური საპროცენტო განაკვეთი ფინანსთა მინისტრის მიერ ამ დროისათვის განსაზღვრულია 20%-ის ოდენობით.

ვადის გასვლის შემდეგ, დამქირავებელმა დაქირავებულს მთელი ვალი აპატია. დაქირავებულის მიერ მიღებული სარგებლის ღირებულება ტოლია:

(3 000 + 3 000 * 4%) = 3 120 ლარის.

თ) თუ დამქირავებელმა დაქირავებულს სიცოცხლის ან ჯამრთელობის დაზღვევის შემთხვევაში გადაუხადა სადაზღვევო პრემია ან სხვა თანხა, განსაზღვრული სარგებლის ოდენობა გამოითვლება გადახდილი სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის მოცულობის მიხედვით.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

დამქირავებელმა დაქირავებულს გადაუხადა სადაზღვევო პრემია 960 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა მთლიანად წარმოადგენს დაქი-

რავებულის მიერ მიღებულ სარგებლის ღირებულებას.

ი) სხვა შემთხვევაში დაქირავებულის მიერ მიღებული სარგებლის საბაზრო ფასი განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-18 მუხლით დადგენილი წესით.

ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებში არ შედის:

ა) დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება, ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული **ნორმის ფარგლებში**;

ბ) **წარმომადგენლობითი ხარჯების** ანაზღაურება.

თუ დაქირავებულის მიერ მიღებული სარგებლის ღირებულება მოიცავს აქციზს, დღგ-ს ან სხვა გადასახადს, იგი უნდა გადაიხადოს დაქირავებულმა.

***ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან* განეკუთვნება:**

ა) საქონლის ან მომსახურების მიწოდებით მიღებული შემოსავლები;

ბ) აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი. აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი წარმოადგენს დადებით სხვაობას მიღებულ (ან მისაღებ) თანხასა და ამ აქტივის შეძენაზე (ან შექმნაზე) გაწეული დანახარჯის თანხას შორის. აღნიშნული წესი არ ვრცელდება ძირითადი საშუალებების მიმართ, რომლებიც აღირიცხება ჯგუფების მიხედვით, ხოლო ცვეთა გამოიანგარიშება ნარჩენი ღირებულების მიხედვით.

გ) ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვის ან საწარმოს დახურვის შედეგად მიღებული შემოსავლები.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

თუ A და B კომპანია აწარმოებს მსგავს საქონელს, ხოლო A კომპანიამ კონკურენციის შემცირების მიზნით ხელშეკრულება გააფორმა B კომპანიასთან რომ ამ უკანასკნელმა ერთი წლით შეაჩეროს თავისი წარმოება და ამისათვის გადაუხადა 1 000 000 ლარი, ასეთ შემთხვევაში ეს თანხა ჩაირთვება B კომპანიის ერთობლივ შემოსავალში.

დ) ძირითად საშუალებათა რეალიზაციით მიღებული ნამეტი თანხა (რომელიც წარმოადგენს სხვაობას საგადასახადო წლის განსხვავებით ჯგუფის ძირითად საშუალებათა რეალიზაციის თანხასა და ჯგუფის ღირებულებით ბალანსს შორის წლის ბოლოსათვის) ხოლო, ძირითად საშუალებათა უსასყიდლოდ მიწოდებისას საბაზრო ღირებულება;

ე) კომპენსირებული გამოქვითვები, ანუ თუ წინა წელს საწარმომ გამოიქვითა უიმედო მოთხოვნა და შემდეგ წელს ანაზღაურდა უიმედოდ აღიარებული მოთხოვნა, საწარმომ იგი უნდა ასახოს იმ წლის ერთობლივ შემოსავალი, რომელშიც ანაზღაურდა.

ვ) პროცენტების სახით მიღებული შემოსავლები გარდა ფიზიკური პირის მიერ ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დეპოზიტებსა და ანაბრებზზე ფულადი სახსრების განთავსებიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავლისა;

ზ) დივიდენდი;

თ) როიალტი;

ი) პირისთვის ვალის ჩამოწერით მიღებული სარგებელი;

კ) ლიზინგით, უზურფრუქტით, იჯარით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით გაცემული ქონებიდან მიღებული შემოსავლები;

ლ) სხვა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებისას ერთობლივ შემოსავალში ასახვას ექვემდებარება ამ საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი. ეს არ ეხება იმ სარეკლამო საქონლის უსასყიდლოდ გავრცელებას, მათ შორის, საცალო რეალიზატორის მეშვეობით, რომელსაც დამოუკიდებელი სამომხმარებლო მახასიათებლები არ გააჩნია და ძირითადი საქონლის/მომსახურების მიწოდების განუყოფელი ნაწილია.

ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული სასტუმროს აქტივების ან მათი ნაწილის გამოყენებით ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმრო მომსახურების გაწევის (სასტუმრო ნომრებად ან აპარტამენტებად გამოყენების) შედეგად მიღებული შემოსავალი აისახება ტურისტული საწარმოს ერთობლივ შემოსავალში.

სხვა შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან მიეკუთვნება ნებისმიერი შემოსავალი ან სარგებელი გარდა:

ა) პარტნიორთა შენატანებისა, რომლებიც ზრდიან იმ საწარმოს წმინდა აქტივს, რომელთა პარტნიორებიც არიან შენატანების განმახორციელებელი პირები;

ბ) დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით:

ბ.ა) ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის მიერ დაზღვეული ფიზიკური პირისათვის გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურებისა;

ბ.ბ) დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის მიერ დაზღვეული ფიზიკური პირისათვის გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურებისა, რომელიც არ აღემატება დამდგარი ზიანის ოდენობას;

გ) საგადასახადო კოდექსის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკონტროლო შესყიდვის მიზნით შეძენილი საქონლისა და მომსახურების ღირებულებისა, აგრეთვე იმ პირის მიერ ფარულად მიღებული შემოსავალი ან სარგებელი, რომელიც ფარულად უწევს დახმარებას სისხლის სამართლის გამოძიების ორგანოებს.

ხოლო რაც შეეხება სარგებელს რომელიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან, შეიძლება იყოს მაგალითად მეგობრის მიერ გაცემული უპროცენტო სესხი, ასევე პირის მიერ სხვა პირისაგან ქონების ან სარგებლის მიღება. ერთობლივ შემოსავლებში შესატანი ქონების ან სარგებლის ღირებულება კი განისაზღვრება იგივე წესით როგორც ეს იყო ხელფასის სახით მიღებული სარგებლის შემთხვევაში.

მაგალითი:

საწარმომ ხელშეკრულების შესაბამისად უპროცენტოდ აიღო სესხი 30 000 ლარის ოდენობით, რაც შესაბამისად ხარჯებში არ გამოქვითა. თუკი ამ დროისათვის საშუალო წლიური საბაზრო განაკვეთი შეადგენს 18 პროცენტს, საწარმო ვალდებულია 5400 ლარი (30 000 * 18%) ჩართოს ერთობლივ შემოსავალში.

მაგალითი:

კომპანიის დამფუძნებელმა ფიზიკურმა პირმა, რომელიც იმავდროულად დირექტორია ამავე კომპანიაში შეიტანა უპროცენტო სესხი.

მოცემულ პირობებში: უპროცენტო სესხის გამცემმა ფიზიკურმა

პირმა სესხით სარგებლობის საბაზრო განაკვეთით განსაზღვრული პროცენტი უნდა ჩართოს თავისი წლიური საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციაში და დაბეგროს შესაბამისად. მას ეს ვალდებულება ეკისრება სსკ 153-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, როგორც ისეთი შემოსავლის მიმღებ ფიზიკურ პირს, რომელიც არ იბეგრება საქართველოში არსებულ გადასახადის წყაროსთან. კომპანია ერთის მხრივ აღიარებს უპროცენტო სესხით მიღებულ სარგებელს ერთობლივ შემოსავალში, მეორე მხრივ კი, იმავდროულად მას შეუძლია გამოქვითოს ეს სარგებელი საბაზრო პროცენტის მიხედვით (არა უმეტეს 24%-ისა).

თავი XI

ერთობლივი შემოსავლიდან ხარჯების გამოქვითვის წესი

საშემოსავლო და მოგების გადასახადის გაანგარიშების დროს, ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა ხარჯი, რომელიც დადასტურებულია დოკუმენტურად და დაკავშირებულია მის მიღებასთან.

ძირითადი საშუალებების შეძენის დადგმის და სხვა კაპიტალიზებადი (რემონტის ზენორმატიული) ხარჯი, ვინაიდან აღნიშნული ხარჯების ნაწილი შედის აქტივების ღირებულებაში ნაწილი კი ზრდის ჯგუფის ღირებულებით ბალანსს გამოიქვითება ეტაპობრივად ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთის სახით, გარდა გადასახადის გადამხდელის მიერ საამორტიზაციო ანარიცხების სრული გამოქვითვის უფლების გამოყენების შემთხვევისა.

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, ერთობლივი შემოსავლიდან <u>გამოქვითოს</u>:

ა) მისთვის საქონლის/მომსახურების მიწოდების (მათ შორის უსასყიდლოდ) შედეგად წარმოშობილი სარგებელი კოდექსით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით, იმ საანგარიშო წელს, როდესაც ეს საქონელი ან მომსახურება გამოყენებული იქნება ეკონომიკურ საქმიანობაში;

მაგალითი:

ფიზიკურმა პირმა მის საკუთრებაში არსებული აქტივი უსასყიდლოდ გადასცა შპს-ს, რომელიც არ ჩაიდო საწარმოს საწესდებო კაპიტალში.

მოცემულ პირობებში:

აქტივის ღირებულება გამოიქვითება შპს-ის დასაბეგრი შემოსავლიდან გამოქვითვის ზოგადი წესების მიხედვით: საქონელი გაყიდვის შემთხვევაში, ძირითადი საშუალება საგადასახადო ამორტიზაციის დარიცხვის გზით. ასევე დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით ფიზიკური პირი საგადასახადო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად.

ბ) რეკლამის მიზნით უსასყიდლოდ გავრცელებულ, დამოუკიდებელი სამომხმარებლო მახასიათებლების მქონე საქონელზე დარიცხული დღგ-ის თანხა, თუ ამ ოპერაციაზე არ არის გამოწერილი საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

მაგალითი:

კომპანია ატარებს აქციებს და საქონელს საჩუქრის სახით ურიგებს კლიენტებს.

მოცემულ პირობებში: გამოსაქვითი ხარჯია მიწოდებაზე დარიცხული დღგ, ბუღალტრულ გატარებას კი ექნება შემდეგი სახე: დებეტი - 6110 კრედიტი – 3330.

საქართველოს ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს, განსაზღვროს:

ა) ცალკეული შემთხვევები, როდესაც ხარჯის დოკუმენტურად დადასტურება სავალდებულო არ არის:

მაგალითად, საზოგადოებრივ კვების ობიექტში კვების მომსახურების („საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის „სეკ 001-2004 „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 21 დეკემბრის №1-1/282 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი ეკონომიკური საქმიანობის სახეები სეკ 001-2004“-ის 55.3 – 55.5 ჯგუფებით გათვალისწინებული საქმიანობა) გამწევი პირის მიერ, ამ მომსახურებისათვის განკუთვნილი კვების პროდუქტის შესყიდვაზე გაწეული ჯამური ხარჯი, მიუხედავად ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის არარსებობისა, შესაძლებელია გამოიქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან, არა უმეტეს ასეთი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 20%-ისა.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში:

ა) თუ პირის მიერ პროდუქციის შესყიდვაზე გაწეული და დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯი აღემატება ასეთი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 20%-ს, ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას ექვემდებარება მხოლოდ დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯი;

ბ) თუ პირის მიერ პროდუქციის შესყიდვაზე გაწეული და დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯი არ აღემატება ასეთი საქ-

მიანობიდან მიღებული შემოსავლის 20%-ს და მას ასევე გააჩნია დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯები, ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას ექვემდებარება როგორც დოკუმენტურად დადასტურებული, ასევე დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯები, მაგრამ არა უმეტეს ასეთი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 20%-ისა.

გ) სამედიცინო დაწესებულებას, რომლის ერთობლივი შემოსავალი არ არის ნაკლები 1 000 000 ლარზე, უფლება აქვს, ერთობლივი შემოსავლიდან ხარჯის დოკუმენტის დადასტურების გარეშე, დამატებით გამოქვითოს, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის არა უმეტეს 20 პროცენტი.

მაგალითი:

პირი რესტორნის მეშვეობით უწევს კვების მომსახურებას მომხმარებლებს. 2011 წლის განმავლობაში მის მიერ ასეთი მომსახურების გაწევიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 150 000 ლარი. კვების მომსახურების გასაწევად წლის განმავლობაში სხვადასხვა პირებისაგან შეიძინა 45 000 ლარის ღირებულების კვების პროდუქტები (თევზი, კარტოფილი, პომიდორი და სხვა), მაგრამ აღნიშნულთან დაკავშირებით არ გააჩნია ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოცემულ შემთხვევაში:

პირი უფლებამოსილია ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს კვების პროდუქტების შეძენაზე გაწეული ხარჯი მხოლოდ 30 000 (150 000 * 20%) ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენი 15 000 ლარი ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას არ ექვემდებარება.

მაგალითი:

პირი რესტორნის მეშვეობით უწევს კვების მომსახურებას მომხმარებლებს. 2011 წლის განმავლობაში მის მიერ ასეთი მომსახურების გაწევიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 150 000 ლარი. კვების მომსახურების გასაწევად წლის განმავლობაში სხვადასხვა პირებისაგან შეიძინა 45 000 ლარის ღირებულების კვების პროდუქტები. საიდანაც მას მხოლოდ 35 000 ლარზე გააჩნია ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოცემულ შემთხვევაში:

პირი უფლებამოსილია ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს მხოლოდ კვების პროდუქტების შეძენაზე გაწეული და დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯი 35 000 ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენი 10 000 ლარის ოდენობის ხარჯი ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას არ ექვემდებარება.

მაგალითი:

პირი რესტორნის მეშვეობით უწევს კვების მომსახურებას მომხმარებლებს. 2011 წლის განმავლობაში მის მიერ ასეთი მომსახურების გაწევიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 150 000 ლარი. კვების მომსახურების გასაწევად წლის განმავლობაში სხვადასხვა პირებისაგან შეიძინა 29 000 ლარის ღირებულების კვების პროდუქტები, საიდანაც მას მხოლოდ 15 000 ლარზე გააჩნია ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოცემულ შემთხვევაში:

პირი უფლებამოსილია ერთობლივი შემოსავლიდან სრულად გამოქვითოს 29 000 ლარი, მათ შორის, როგორც დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯი 15 000 ლარი, ასევე დანარჩენი 14 000 ლარი, რომელიც დოკუმენტურად არ არის დადასტურებული. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ნებადართული გამოქვითვადი ხარჯების ოდენობა არ აღემატება 30 000 ლარს – 150 000 ლარის 20%-ს.

ბ) დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც კოდექსის მოთხოვნების გაუთვალისწინებლად ჩაითვლება ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტებად:

- მოიჯარის მიერ იჯარის საგანზე მეიჯარის სახელით გაწეული ხარჯის დოკუმენტი;

- ანგარიშვალდებული პირის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ ავტოსტრანსპორტო საშუალების საწვავის შეძენისათვის შესაბამისი ქვეყნის მიერ დადგენილი წესით გაცემული ჩეკი (დოკუმენტი), თუ ეს საწვავი გამოყენებულია შესაბამისი ეკონომიკური საქმიანობისათვის და ხარჯი სახეზეა.

ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება:

ა) ის ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, გარდა:

ა.ა) გარდა საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული შეწირულობის თანხისა დადგენილი ლიმიტის ფარგლებში;

ა.ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ სახელმწიფოსათვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის საქონლის უსასყიდლოდ მიწოდების ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევის შემთხვევისა;

ბ) გართობაზე გაწეული ხარჯები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადასახადის გადამხდელი ახორციელებს გართობითი ხასიათის ეკონომიკურ საქმიანობას და ხარჯები გაწეულია ასეთი საქმიანობის ფარგლებში;

გ) ფიზიკური პირის მიერ პირადი მოხმარებისათვის გაწეული ხარჯები, ლატარიებიდან, კაზინოებიდან (სამორინეებიდან), აზარტული ან სხვა მომგებიანი თამაშობებიდან მიღებულ მოგებებთან დაკავშირებული ხარჯები ან ხელფასის სახით შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები;

მაგალითი:

ფიზიკურმა პირმა – მღებავმა გააფორმა ხელშეკრულება შენობის შეღებვაზე. აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად ფიზიკურმა პირმა შეიძინა ინსტრუმენტები და სპეცტანსაცმელი რომელშიც გადაიხადა 127 ლარი. აღნიშნული თანხა არ გამოიქვითება ფიზიკური პირისათვის დარიცხული ხელფასიდან ვინაიდან იგი მიეკუთვნება ხელფასის სახით შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

რაც შეეხება პირადი მოხმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, პირველ რიგში ეს არის გადაუდებელი სამედიცინო თუ სხვა ანალოგიური ხარჯები.

დ) მოგების გადასახადის ან საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებული შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა ამ ნაწილის შენიშვნით გათვალისწინებული შემთხვევისა;

(მაგალითად, მეწარმე ფიზიკური პირის მიერ გრანტით მიღებულ საქონელთან დაკავშირებული ხარჯი)

შენიშვნა:

საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით და 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვე-

პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირს უფლება აქვს, გამოქვითოს გათავისუფლებული შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები. ამ უფლების გამოყენების შემთხვევაში პირი ვალდებულია საშემოსავლო/მოგების გადასახადით დაბეგროს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის ან 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად საშემოსავლო/მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული შემოსავალი.

ე) იმ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, რომელიც მოგების გადასახადის მიზნებისათვის არ ითვლება მიწოდებად ან რომლის მიწოდებისას შესაბამისი შემოსავალი/საბაზრო ფასი საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად არ ექვემდებარება ერთობლივ შემოსავალში ასახვას, გარდა გარდა სახელმწიფოსათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის საქონლის უსასყიდლოდ გადაცემის, ან მომსახურების უსასყიდლოდ გაწევის შემთხვევისა;

ვ) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი;

ზ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისგან ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ფარგლებში შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი.

ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული კომერციული ბანკის და რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემულ სესხებზე გადახდილი პროცენტები ხელშეკრულებით გათვალისწინებული განაკვეთის ოდენობით, ხოლო სხვა პირების მიერ გაცემული სესხის შემთხვევაში კი არა უმეტეს წლიური 24 პროცენტისა, შესაბამისი პერიოდის პროპორციულად

მაგალითი:

პირმა 2011 წლის 1 ნოემბერს აიღო 30 000 ლარის კრედიტი შპს-სგან წლიურ 21 პროცენტად, შესაბამისი პროცენტის ყოველთვიური გადახდით. 2011 წელს მას შეუძლია გამოქვითოს 1035 ლარი (30 000 * 0,21 : 365 * 60) 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე არსებული 60 დღისათვის.

ერთობლივი შემოსავლიდან კრედიტისათვის გადასახდელი პროცენტის გამოქვითვის განსხვავებული მეთოდიკა არსებობს მაშინ, როდესაც საწარმოში წილის 20%-ზე მეტი ეკუთვნის მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ იურიდიულ პირს, კერძოდ, ვთქვათ K საწარმოში წილის 30% ეკუთვნის Y არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც არ არის მოგების გადასახადის გადამხდელი ვინაიდან არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას. თუ საგადასახადო წლის განმავლობაში K საწარმოს მიერ მიღებული შემოსავალი (პროცენტების სახით მიღებული შემოსავლის ჩათვლით) 110 000 ლარია, კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვები (კრედიტისათვის გადასახდელი პროცენტების გარეშე 80 000 ლარი), პროცენტების სახით მიღებული შემოსავალი კი 10 000 ლარი, ამ შემთხვევაში K საწარმოს კრედიტისათვის გადასახდელი პროცენტების სახით შეუძლია გამოქვითოს 10 000 ლარი (110 000 – 10 000 – 80 000) * 50%

ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება უიმედი ვალები (ანუ უიმედო მოთხოვნები) თუ იგი გასულ საგადასახადო პერიოდში შეტანილი იყო ერთობლივ შემოსავალში და ამავე დროს ჩამოწერილია და ასახულია გადამხდელის საბუღალტრო ანგარიშგებაში.

ფინანსურ აღრიცხვაში უიმედო მოთხოვნები ჯერ აღიარდება ხარჯად გატარებით:

დ. 7461

კ. 1410

და შემდეგ საანგარისგებო პერიოდის ბოლოს ჩამოიწერება მოგება-ზარალის ანგარიშზე გატარებით:

დ. 5330

კ. 7461

ერთობლივი შემოსავლებიდან გამოიქვითება გადარიცხვები სარეზერვო ფონდებში.

რეზერვების შექმნა ან შევსება დასაბეგრი მოგების შემცირების ხარჯზე, შეუძლია:

ა)იურიდიულ პირს, რომელიც ეწევა ლიცენზირებულ სადაზღვევო საქმიანობას და რომელსაც უფლება აქვს, საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით გაანგარიშებული იმავე საანგარიშო პერიოდის „სადაზღვევო/დამდგარი ზარალები, ნეტო“, *გარდა შემოსავლისა რეგრესიდან და გადარჩენილი ქონებიდან.*

სადაზღვევო კომპანიები ხელშეკრულებებს აფორმებენ მუდმივად/ყოველდღიურად. თითოეული ხელშეკრულების მოქმედების ვადა არის სადაზღვევო წელი, რომელიც არ ემთხვევა საანგარიშო წელს. ყველა იმ ხელშეკრულებაზე, რომელზეც დადგა სადაზღვევო შემთხვევა მიმდინარე საანგარიშო წელს და გადახდილი იქნა ანაზღაურება კომპანიის მიერ, არის დამდაგრი ზარალი. ნეტო ზარალი არის გადახდილი ზარალის ოდენობა გადაზღვევის გამოკლებით. (მაღალი რისკების გადაზღვევისას დამდგარი ზარალის ნაწილს ანაზღაურებს გადამზღვევი კომპანია სადაზღვევო პრემიის ნაწილის მიღების სანაცვლოდ, ამიტომ საანგარიშო წლის ბოლოს დათვლილი ზარალი არის მთლიანი ანუ ბრუტო ზარალი, ხოლო გადამზღვევის მიერ გადახდილი ზარალის გამოკლებით მიიღება ნეტო ზარალი);

შემოსავალი რეგრესიდან ნიშნავს, იმას რომ სადაზღვევო კომპანიები იყენებენ სუბროგაციის პრინციპს, რომლის მიხედვითაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას თავის კლიენტზე სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ, იგი შეისწავლის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მიზეზებს და თუ აღმოჩნდება, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომაში დამნაშავეა სხვა პირი, კლიენტის დადასტურებით და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენით სასამართლოში იბრუნებს კლიენტზე გადახდილ თანხას დამნაშავე პირისაგან.

გადარჩენილი ქონებიდან შემოსავალი გულისხმობს, ისეთ შემთხვევას, როდესაც დადგება სადაზღვევო შემთხვევა და დაზღვეული ქონების ნაწილი გადარჩება დაზიანებისაგან, კომპანიას უფლება აქვს კლიენტს გადაუხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით სადაზღვევო ანაზღაურება და გადარჩენილი ქონება გაყიდოს, რითაც ნაწილობრივ უკან იბრუნებს გადახდილ თანხას.

ბ) ბანკები და საკრედიტო კავშირები სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოქვითვას ახორციელებენ კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

გ) სალიზინგო კომპანიას რომელსაც უფლება აქვს, საანგარიშო პერიოდის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს ლიზინგიდან წარმოშობილ ვადაგადაცილებულ მოთხოვნებზე რეზერვების ხარჯები საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით. რაც შეეხება სხვა იურიდიულ პირებს, მათ რეზერვების შექმნა შეუძლიათ მხოლოდ მოგების გადასახადის გადახდის შემდეგ დარჩენილი მოგების (ანუ წმინდა მოგების) ხარჯზე.

რეზერვები იქმნება ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს და სხვა ჯარიმების გარეშე) 80%-ის ოდენობით, თუ ვადაგადაცილება საანგარიშო პერიოდის ბოლო დღის (31 დეკემბრის) მდგომარებით აღემატება ან შეადგენს 60 დღეს.

მაგალითი:

სალიზინგო კომპანიას სალიზინგო საქმიანობის განხორციელებისას 2012 წლის ბოლო დღეს აქვს ვადაგადაცილებული მოთხოვნა 7000 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოშობილია 2012 წლის 5 აგვისტოს.

მოცემულ პირობებში:

სალიზინგო კომპანიას უფლება აქვს 2012 წლის ბოლო დღეს ლიზინგიდან წარმოშობილ ვადაგადაცილებულ მოთხოვნაზე შექმნას რეზერვი 5600 ლარის ოდენობით (7000X80%) და გამოქვითოს 2012 წლის საანგარიშო პერიოდის ერთობლივი შემოსავლიდან.

თუ სალიზინგო კომპანიის მიმდინარე საანგარიშო წლის ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვების თანხა აღემატება წინა საანგარიშო წლის ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვების თანხას, მათ შორის, სხვაობა გამოიქვითება მიმდინარე საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლიდან.

მაგალითი:

სალიზინგო კომპანიამ 2012 წლის საანგარიშო პერიოდის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითა ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვების ხარჯი 5600 ლარის ოდენობით. 2013 წლის ბოლო დღეს დათვლილი ლიზინგიდან წარ-

მოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვები შეადგენს 6000 ლარს.

მოცემულ პირობებში:

სალიზინგო კომპანიას უფლება აქვს 400 ლარი (6000-5600) გამოქვითოს 2013 წლის ერთობლივი შემოსავლიდან.

თუ სალიზინგო კომპანიის მიმდინარე საანგარიშო წლის ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვების თანხა ნაკლებია წინა საანგარიშო წლის ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვების თანხაზე, მათ შორის, სხვაობა ჩაირთვება მიმდინარე საანგარიშო წლის ერთობლივ შემოსავალში.

მაგალითი:

სალიზინგო კომპანიამ 2012 წლის საანგარიშო პერიოდის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითა ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვების ხარჯი 5000 ლარის ოდენობით. 2013 წლის ბოლო დღეს დათვლილი ლიზინგიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული მოთხოვნების რეზერვები შეადგენს 4000 ლარს.

მოცემულ პირობებში:

სალიზინგო კომპანიამ 1000 ლარი (5000-4000) უნდა ჩართოს 2013 წლის ერთობლივ შემოსავალში.

ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო მომსახურების ის ხარჯები, რომლებიც არ წარმოადგენს ძირითად საშუალებათა შეძენის, დადგმისა და სხვა კაპიტალიზებად ხარჯებს.

ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ძირითადი საშუალებების საამორტიზაციო ანარიცხები.

ამორტიზაცია არ ერიცხება მიწას, ხელოვნების ნიმუშებს, სამუზეუმო ექსპონატებს, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ობიექტებს (გარდა შენობა-ნაგებობებისა) და სხვა არაამორტიზებად აქტივებს. ამასთანავე, ამორტიზაცია არ ერიცხება 1000 ლარამდე ღირებულების ძირითად საშუალებას, ბიოლოგიურ აქტივს. 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალება მთლიანად გამოიქვითება

ერთობლივი შემოსავლიდან იმ საანგარიშო წელს, როდესაც იგი ექსპლუატაციაში გადაეცა, ხოლო ბიოლოგიურ აქტივზე გაწეული ხარჯი გამოიქვითება იმ საანგარიშო წელს, როდესაც იგი ფაქტობრივად იქნა გაწეული.

ძირითადი საშუალებები, რომლებიც ამორტიზაციას ექვემდებარება, ჯგუფდება ამორტიზაციის შემდეგი ნორმების მიხედვით (იხ. ცხრილი №3):

ცხრილი №3

ჯგუფის ნომერი	ძირითადი საშუალებები	ამორტიზაციის ნორმა,%
1	მსუბუქი ავტომობილები; ავტოსატრაქტორო ტექნიკა გზებზე გამოსაყენებლად; ავეჯი ოფისისათვის; საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობა; სატვირთო ავტომობილები, ავტობუსები, სპეციალური ავტომობილები და ავტომისაბმელები; მანქანები და მოწყობილობა მრეწველობის ყველა დარგისათვის, სამსხმელო წარმოებისათვის; სამჭედლო-საწნეხი მოწყობილობა; სამშენებლო მოწყობილობა; სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობა.	20
2	სპეციალური ინსტრუმენტები, ინვენტარი და მოწყობილობა; კომპიუტერები, მონაცემთა დამუშავების პერიფერიული მოწყობილობები და აღჭურვილობა; ელექტრონული მოწყობილობა.	20
3	სარკინიგზო, საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო საშუალებები; ძალოვანი მანქანები და მოწყობილობა; თბოტექნიკური მოწყობილობა, ტურბინული მოწყობილობა, ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები, ელექტროგადაცემისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობები; მილსადენები.	8
4	შენობები, ნაგებობები.	5
5	ამორტიზებადი აქტივები, რომლებიც შეტანილი არ არის სხვა ჯგუფებში.	15

ძირითად საშუალებებში განივთებულია ეკონომიკური სარგებელი, რომელიც მიიღება მათი გამოყენების პერიოდში. პერიოდს, რომელშიც ძირითად საშუალებას შეუძლია მოიტანოს სარგებელი, ეწოდება სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალების ექსპლოატაციით მიღებული ეკონომიკური სარგებლის აღიარებით, აღიარებული უნდა იქნას მასზე გაწეული ხარჯიც – ძირითადი საშუალებების ღირებულება. ამ მიზნით ძირითად საშუალებებს დაერიცხება ცვეთა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ძირითადი საშუალება არის მატერიალური აქტივი, რომელსაც პირი ერთ წელზე მეტი ხნით იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის, იჯარით გაცემის (მ.შ. ლიზინგით) ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

ცვეთა არის ფიზიკური ფორმის მქონე იდენტიფიცირებადი მატერიალური აქტივის ღირებულების თანდათანობითი გადატანა გამოშვებული პროდუქციის ან გაწეული მომსახურების თვითღირებულებაში. ფინანსურ აღრიცხვაში ცნობილია ცვეთის დარიცხვის რამდენიმე მეთოდი: წრფივი ცვეთის მეთოდი, შემცირებადი ნაშთის (დაჩქარებული ცვეთის) და წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდი. ამ მეთოდებიდან საგადასახადო აღრიცხვა იყენებს მხოლოდ „წრფივ“ და „ნარჩენი ღირებულების“ მეთოდებს.

წრფივი მეთოდი გულისხმობს ცვეთის თანაბარ დარიცხვას სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში. ამ მეთოდით ცვეთის თანხა გამოიანგარიშება აქტივის ღირებულების გაყოფით აღნიშნული ვადის წელთა რიცხვზე. ამდენად, დარიცხული ცვეთის თანხა უცვლელია.

ნარჩენი ღირებულების მეთოდით გამოთვლისას, ცვეთა ერიცხება აქტივის ნარჩენ ღირებულებას, ანუ თანხას, რომელიც მიიღება აქტივის საწყისი ღირებულებიდან გასულ წლებში დარიცხული ცვეთის გამოკლებით, ასეთ შემთხვევაში უცვლელია მხოლოდ ცვეთის ნორმა, ხოლო ცვეთის თანხა ყოველწლიურად მცირდება აქტივის ნარჩენი ღირებულების შემცირების გამო.

ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ძირითად საშუალებათა შესაძენად (შესაქმნელად) გაწეული ხარჯები ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება საამორტიზაციო ანარიცხების ან ცვეთის სახით.

საამორტიზაციო ანარიცხები გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული აქტივების გახარჯვის, ცვეთისა და დაძვე-

ლების გონივრული კომპენსაციის მიზნით. ფინანსურ აღრიცხვაში ძირითად საშუალებათა ცვეთის მეთოდს და საამორტიზაციო ანარიცხების ნორმას, სამეურნეო პოლიტიკის გათვალისწინებით, დამოუკიდებლად ირჩევს გადასახადის გადამხდელი. ამასთან, **პირს მოეთხოვება, თითოეული ძირითადი საშუალების მიხედვით ცვეთის დარიცხვა დაიწყოს მაშინ, როდესაც იგი ხელმისაწვდომია ექსპლუატაციისათვის** და განაგრძოს ცვეთის დარიცხვა მისი ძირითად საშუალებად აღიარების შეწყვეტამდე, თუნდაც ამ პერიოდში აქტივი არ ფუნქციონირებდეს. ანუ აქტივის ცვეთა იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ე.ი, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად დასახული მიზნების შესასრულებლად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ძირითად საშუალებათა ცვეთის ნორმები გამოიყენება მხოლოდ საგადასახადო მიზნებისათვის.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის მეთოდად ე. წ. ,,ჯგუფური ნარჩენი ღირებულების'' მეთოდია დადგენილი და როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაზღვრულია ხუთი ჯგუფი, რომლებშიც ერთიანდებიან ძირითადი საშუალებები.

საამორტიზაციო ანარიცხების დარიცხვის ''ჯგუფური ნარჩენი ღირებულების'' მეთოდი არ მოითხოვს, რომ აქტივის მიმართ ცვეთა გაანგარიშებული იქნას საგადასახადო წლის განმავლობაში ძირითადი საშუალებების ფაქტობრივად გამოყენების პერიოდის პროპორციულად. ანუ საამორტიზაციო ანარიცხების ნორმა სრულად გამოიყენება, როგორც საანგარიშო წლის პირველ იანვარს, ასევე 30 დეკემბერს ექსპლუატაციაში შესულ აქტივთა მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ პირველ იანვარს ექსპლუატაციაში შესული აქტივი გამოიყენება სრული ერთი წელი, ხოლო 30 დეკემბერს ექსპლუატაციაში შესული აქტივი ეკონომიკურ საქმიანობაში (საანგარიშო წელს) გამოყენებული არსებითად ვერ იქნება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს საგადასახადო კოდექსი განასხვავებს ცვეთად და არაცვეთად აქტივებს. ის აქტივები, რომლებიც ექსპლოატაციის განმავლობაში არ კარგავს პირვანდელ ღირებულებას ამორტიზაცია არ ერიცხება. **ხოლო ამ აქტივების შეძენის ან**

შექმნის ხარჯები საგადასახადო მიზნებისათვის მათი გამოყენების პერიოდში ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება. ასეთი აქტივების მიწოდების (გასხვისების) შემთხვევაში მოგება და ზარალი განისაზღვრება სხვაობით მათი მიწოდებით მიღებულ შემოსავლებსა და ამ აქტივების ღირებულებას შორის.

მაგალითი:

გადამხდელმა, ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების მიზნით 2011 წელს შეიძინა 100 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომელშიც გადაიხადა 30 000 ლარი.

მოცემულ პირობებში:

ვინაიდან მიწის ნაკვეთი არ წარმოადგენს ამორტიზირებად აქტივს, მისი გამოყენების პროცესში გადამხდელს საგადასახადო მიზნებისათვის არა აქვს უფლება მიწის ფართობის შეძენაზე გადახდილი 30 000 ლარი გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან, თუკი გადამხდელმა აღნიშნული მიწის ნაკვეთი გაყიდა 2012 წელს 50 000 ლარად, მაშინ მან 2012 წლის ერთობლივ შემოსავალში უნდა შეიტანოს მიწის გაყიდვიდან მიღებული ნამეტი შემოსავალი 20 000 ლარი (50 000 - 30 000).

როგორც ზემოთ აღინიშნა ამორტიზაცია არ ერიცხება 1000 ლარამდე ღირებულების ამორტიზაცია დაქვემდებარებულ ძირითად საშუალებებს, ასევე ბიოლოგიურ აქტივს, მაგრამ არაამორტიზებადი ძირითადი საშუალებებისაგან განსხვავებით მათი ღირებულება მთლიანად გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან.

მაგალითი:

გადამხდელმა, რომელიც არ არის დღგ-ის გადამხდელი საანგარიშო წელს 4000 ლარად შეიძინა და ოფისში განათავსა (ექსპლუატაციაში შეიყვანა) 10 საოფისე მაგიდა, ერთეულის ღირებულებამ დღგ-ს ჩათვლით შეადგინა 400 ლარი.

მოცემულ პირობებში:

გადამხდელმა 4 000 ლარი მთლიანად უნდა გამოქვითოს ამ საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლიდან, მიუხედავად იმისა, რომ მიღებული ძირითადი საშუალებების ჯამური ღირებულება აღემატება 1000 ლარს.

მაგალითი:

გადასახადის გადამხდელმა 2011 წელს შეიძინა 150 000 ლა-

რის ღირებულების საჯიშე პირუტყვი, აქედან 100 000 ლარი გადაიხადა იმავე საანგარიშო წელს. 2012 წელს ოთხი გაყიდა 10 000 ლარად.

იმის გათვალისწინებით, რომ პირი შემოსავლების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, გადასახადის გადამხდელმა 2011 წლის ერთობლივი შემოსავლიდან უნდა გამოქვითოს ფაქტობრივად გაწეული ხარჯი (150 000 ლარი), ხოლო 2012 წელს 10 000 ლარი აიღოს ერთობლივ შემოსავალში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ადგენს აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვის საერთო წესიდან გამონაკლისს შენობების და ნაგებობებისათვის. ამ წესის მიხედვით ისინი ერთიანდებიან მე-4 ჯგუფში, მაგრამ საამორტიზაციო ანარიცხები ერიცხება არა ჯგუფურად, არამედ თითოეულ შენობა-ნაგებობაზე ცალ-ცალკე. ამით ამ აქტივებისათვის შენარჩუნებულია მათი ინდივიდუალური ღირებულება.

მაგალითი:

დღგ-ის გადამხდელმა საანგარიშო წელს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით შეიძინა და ექსპლოატაციაში შეიყვანა 200 000 ლარად (დღგ-ს გარეშე) ღირებული საწარმოო ფართი (შენობა), 100 000 ლარად ღირებული საოფისე შენობა.

მოცემულ პირობებში:

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ შენობა-ნაგებობებზე დადგენილია ერთი და იგივე ამორტიზაციის ნორმა, საამორტიზაციო ანარიცხები მათზე გაიანგარიშება ცალ-ცალკე და იგი შეადგენს:

– ქარხნის შენობაზე 10 000 ლარს (200 000 * 5 %),

– საოფისე შენობაზე 5 000 ლარს (100 000 * 5 %),

გამოსაქვითი საამორტიზაციო ანარიცხი აღნიშნულ აქტივებზე ჯამურად შეადგენს 15 000 ლარს (10 000 + 5 000).

თითოეული ჯგუფის საამორტიზაციო ანარიცხების ოდენობა გამოიანგარიშება საგადასახადო წლის ბოლოს ჯგუფის ღირებულებითი ბალანსიდან გამომდინარე, კოდექსით გათვალისწინებული ამორტიზაციის ნორმების გათვალისწინებით.

საგადასახადო წლის ბოლოსათვის ჯგუფის ღირებულებით ბალანსს წარმოადგენს შემდეგი წესით განსაზღვრული თანხა:

საანგარიშოს წინა საგადასახადო წლის ბოლოსათვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი **მცირდება** საანგარიშოს წინა საგადასახადო

წელს **დარიცხული ამორტიზაციის თანხით**, გარდა ამისა თუ ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი წლის ბოლოსათვის 1000 ლარზე ნაკლებია ან ჯგუფის ყველა ძირითადი საშუალება რეალიზებული ან ლიკვიდირებულია – **აღნიშნულის შესაბამისად წარმოებული გამოქვითვებით**, რომელსაც **ემატება** საანგარიშო საგადასახადო წლის განმავლობაში **ჯგუფისათვის დამატებულ ძირითად საშუალებათა** (გარდა არაამორტიზირებადი ძირითადი საშუალებებისა) **ღირებულება** (რომელიც იანგარიშება კოდექსის 148-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად), აგრეთვე საანგარიშო საგადასახადო წლის განმავლობაში ძირითად საშუალებებზე გაწეული **რემონტის ხარჯები ზღვრული დონის ზემოთ** (წინა წლის ბოლოსათვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის 5 პროცენტის ზემოთ გაწეული რემონტის ხარჯები) **და აკლდება** საანგარიშო საგადასახადო წლის განმავლობაში **ჯგუფის ძირითად საშუალებათა რეალიზაციის თანხები, ხოლო უსასყიდლოდ მიწოდებისას საბაზრო ღირებულება**.

ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება:

– არაამორტიზებადი ძირითადი საშუალებები,

– ივარით აღებული ძირითადი საშუალებები,

– ძირითადი საშუალებების გადაფასებით მიღებული სხვაობა (გაზრდა ან შემცირება),

– 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები,

– ის აქტივები, რომელთა მიმართ გადამხდელის მიერ გამოიყენება საგადასახადო კოდექსის შესაბამისად საამორტიზაციო ანარიცხების დადგენილი 100 %-იანი ნორმა.

– ძირითადი საშუალებები, რომლებიც არ არიან ექსპლოატაციაში გადაცემელი და ა. შ.

ძირითადი საშუალების ექსპლოატაციაში შესვლამდე არსებითად შეუძლებელია იმ ღირებულების სრულად განსაზღვრა, რომლითაც აქტივი ასახული უნდა იქნას ჯგუფის ღირებულებით ბალანსში. შესაბამისად, ძირითადი საშუალების ექსპლოატაციაში შესვლამდე, მასზე გაწეული საჭირო ხარჯები ემატება მის ღირებულებას (კაპიტალიზირდება) და ჯგუფის ღირებულებით ბალანსში ცალკე არ აისახება.

მაგალითი:

2011 წლის ბოლოს პირველი ჯგუფის მიხედვით ღირებულები-

თი ბალანსი შეადგენს 350 000 ლარს, ამ ჯგუფის ძირითად საშუალებებზე გაანგარიშებული საამორტიზაციო ანარიცხები 70 000 ლარს. 2012 წელს შეძენილია ხუთი სატვირთო ავტომანქანა, რომლის ღირებულება **კოდექსით განსაზღვრული წესის** შესაბამისად შეადგენს 100 000 ლარს. ამავე წელს ამ ჯგუფში რიცხული სამი ავტომობილი გაიყიდა 12 000 ლარად (თითოეული 4 000 ლარად). მოცემულ პირობებში:

2012 წლის ბოლოს ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის და საამორტიზაციო ანარიცხების ოდენობის განსაზღვრის თვალსაჩინოებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი (იხ. ცხრილი №4):

ცხრილი №4

დასახელება		ჯგუფის ნომერი					ჯამი
		1	*2*	*3*	*4*	*5*	
1	2011 წლის ბოლოს ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი	350 000	0	0	0	0	350 000
2	2011 წელში დარიცხული ამორტიზაციის თანხა	70 000	0	0	0	0	70 000
3	2012 წელში დამატებული (შეძენილი) ძირითადი საშუალებების ღირებულება	100 000	0	0	0	0	100 000
4	2012 წელში რეალიზებული ძირითადი საშუალებების ღირებულება	12 000	0	0	0	0	12 000
5	2012 წელს ძირითადი საშუალებების ზღვრული ოდენობის ზემოთ გაწეული რემონტის ხარჯები	0	0	0	0	0	0
6	ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი მიმდინარე საანგარიშო წლის ბოლოს	368 000	0	0	0	0	368 000
7	ამორტიზაციის ნორმა (%)	20%	20%	8%	5%	15%	
8	ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი ამორტიზაციის თანხა	73 600	0	0	0	0	73 600

შესაბამისად, გადასახადის გადამხდელმა 2012 წლის ერთობლივი შემოსავლიდან პირველი ჯგუფის მიხედვით საამორტიზაციო

ანარიცხების სახით უნდა გამოქვითოს 73 600 ლარი, რომელიც მიიღება შემდეგი გაანგარიშებით: 2011 წლის ბოლოს პირველი ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი 350 000 ლარი მცირდება ამავე წელს ამ ჯგუფზე დარიცხული ამორტიზაციით 70 000 ლარით, ასევე 1 000 ლარზე ნაკლები ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის პირობებში და ჯგუფის ყველა ძირითადი საშუალების რეალიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში შესაბამისად გამოსაქვითი თანხით (რომელიც ჩვენს შემთხვევაში 0 ლარის ტოლია), და 2012 წლის ამ ჯგუფის ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლით 12 000 ლარით. მიღებულ სხვაობას ემატება 2012 წელს ამ ჯგუფში შესატანი ძირითადი საშუალებების ღირებულება 100 000 ლარი და 2012 წელს ამ ჯგუფის ძირითად საშუალებებზე ზღვრულ დონეს ზევით გაწეული სარემონტო ხარჯი 0 ლარი (350 000 – 70 000 – 0 – 12 000) + (100 000 + 0).

ღირებულება, რომლითაც ძირითადი საშუალება უნდა აისახოს (შეტანილ იქნეს) ჯგუფის ღირებულებით ბალანსში, განისაზღვრება საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად. ანუ აქტივების ღირებულებაში შეიტანება მისი შესყიდვის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟის, დადგმის ხარჯები, აგრეთვე სხვა ხარჯები რომლებიც ზრდის მათ ღირებულებას, გარდა ისეთი ხარჯებისა რომელთა პირდაპირი გამოქვითვის უფლება აქვს გადასახადის გადამხდელს, ხოლო აქტივების უსასყიდლოდ მიღებისას – ამ აქტივების საბაზრო ფასი.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

ვთქვათ ზემოთ განხილული მაგალითის პირობები უცვლელია იმ განსხვავებით, რომ 2012 წელს საწარმომ, როგორც ძირითადი საშუალება, **უსასყიდლოდ** მიიღო 5 სატვირთო ავტომანქანა, რომელთა საბაზრო ღირებულება შეადგენს 100 000 ლარს.

მოცემულ პირობებში:

უსასყიდლოდ მიღებული ავტომანქანების ღირებულება, საბაზრო ღირებულებით უნდა დაემატოს ზემოაღნიშნული ცხრილის მე-3 სტრიქონის მონაცემს. **ამასთან, უსასყიდლოდ მიღებული ავტომანქანების საბაზრო ღირებულება ასევე უნდა დაემატოს 2012 წლის ერთობლივ შემოსავალს.**

ჯგუფის ღირებულებით ბალანსში შეტანილ (ექსპლუატაციაში გადაცემულ) ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა (გამოქვითვა) შესაძლებელია განხორციელდეს მაშინაც, როდესაც ამ ძირითად საშუალებას საანგარიშო წლის განმავლობაში ფიზიკური ცვეთა არ განუცდია, საერთოდ არ უმუშავია.

მაგალითი:

გადამხდელს 2012 წელს არ უმუშავია და საქონლის ან მომსახურების მიწოდებაც არ განუხორციელებია ამდენად მისი ერთობლივი შემოსავალი საგადასახადო წლის მიხედვით ნულის ტოლია. მოცემულ პირობებში:

საწარმოდან ეკონომიკური სარგებლის გასვლის ხარჯად აღიარებისათვის დადგენილი წესების დაცვით გამოსაქვითი სხვა არაპირდაპირი ხარჯების (მაგალითად: ელექტროენერგიის, წყლის, დაცვის, ადმინისტრაციული დანახარჯები, ქონების გადასახადები და ა. შ.) ანალოგიურად, მიმდინარე საანგარიშო წლის გამოქვითვას დაქვემდებარებულ ხარჯად უნდა იქნეს აღიარებული წლის ბოლოს ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის მიხედვით დარიცხული საამორტიზაციო ანარიცხები. შესაბამისად, ადგილი ექნება გამოქვითვების გადამეტებას ერთობლივ შემოსავალზე (ზარალს), რომელსაც არეგულირებს საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლი (ზარალის გადატანა).

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის გაანგარიშების დადგენილი ნორმა **"დამატებული ძირითადი საშუალებები"** მოიცავს, როგორც შეძენილ, წარმოებულ (შექმნილ), ასევე უსასყიდლოდ (უზურფრუქტით) მიღებულ და პარტნიორის მიერ კაპიტალში შეტანილ ამორტიზაციას დაქვემდებარებულ ძირითად საშუალებებს.

მაგალითი:

2012 წელს საწარმოს პარტნიორის მიერ საწესდებო კაპიტალში არაფულადი შესატანის სახით საწარმოს გადაეცა 5 სატვირთო ავტომანქანა, რომელთა საბაზრო ფასი 150 000 ლარს შეადგენს. შესაბამისად, პარტნიორმა მიიღო 150 000 ლარის ექვივალენტის წილი. მოცემულ პირობებში:

საწესდებო კაპიტალში შესატანის სახით საწარმოსათვის გა-

დაცემული 5 სატვირთო ავტომანქანის საბაზრო ღირებულება უნდა დაემატოს თავდაპირველ მაგალითში მოცემული ცხრილის მე-3 სტრიქონის მონაცემს. **ამასთან, მიღებული ავტომანქანების საბაზრო ღირებულება არ შეიტანება 2012 წლის ერთობლივ შემოსავალში როგორც პარტნიორთა შენატანები.**

თუ საანგარიშო წლის განმავლობაში რომელიმე ჯგუფში რიცხული ძირითადი საშულება (საშუალებები) გაიყიდა (ან უსასყიდლოდ მიწოდებისას – მათი საბაზრო ღირებულება აღემატება ჯგუფის ღირებულებით ბალანსს) ამ ჯგუფის ღირებულებით ბალანსზე მეტ თანხად, მაშინ ჯგუფის ღირებულება ნულს გაუტოლდება, ხოლო ნამეტი თანხა საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ჩაირთვება შესაბამისი წლის ერთობლივ შემოსავალში.

მაგალითი:

2011 წლის ბოლოს პირველი ჯგუფის მიხედვით ღირებულებითი ბალანსი შეადგენს 350 000 ლარს, ამ ჯგუფის ძირითად საშუალებებზე გაანგარიშებული საამორტიზაციო ანარიცხები 70 000 ლარს. 2012 წელს შეძენილია ხუთი სატვირთო ავტომანქანა, რომლის ღირებულება **კოდექსით განსაზღვრული წესის** შესაბამისად შეადგენს 100 000 ლარს. ამავე წელს ამ ჯგუფში რიცხული სამი ავტომობილი გაიყიდა ჯამურად 400 000 ლარად.
(იგულისხმება გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი დღგ-ს გარეშე).

მოცემულ პირობებში:

2012 წელს პირველი ჯგუფის ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული თანხა 400 000 ლარი აღემატება ამ წლის ბოლოსათვის ამ ჯგუფის ღირებულებით ბალანსს 20 000 ლარით (350000 - 70000 + 100000 - 400000), რომელიც უნდა ჩაირთოს 2012 წლის ერთობლივ შემოსავალში და ამ ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი ნულს გაუტოლდეს.

შესაბამისად საამორტიზაციო ანარიცხის ცხრილს ექნება შემდეგი სახე (იხ. ცხრილი №5):

ცხრილი №5

	დასახელება	ჯგუფის ნომერი					ჯამი
		1	2	3	4	5	
1	2011 წლის ბოლოს ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი	350 000	0	0	0	0	350 000
2	2011 წელში დარიცხული ამორტიზაციის თანხა	70 000	0	0	0	0	70 000
3	2012 წელში დამატებული (შეძენილი) ძირითადი საშუალებების ღირებულება	100 000	0	0	0	0	100 000
4	2012 წელში რეალიზებული ძირითადი საშუალებების ღირებულება.	400 000	0	0	0	0	400 000
5	2012 წელს ძირითადი საშუალებების ზღვრული ოდენობის ზემოთ გაწეული რემონტის ხარჯები	0	0	0	0	0	0
6	ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი მიმდინარე საანგარიშო წლის ბოლოს	0	0	0	0	0	0
7	ამორტიზაციის ნორმა (%)	20%	20%	8%	5%	15%	
8	ამორტიზაციის თანხა	0	0	0	0	0	0
9	ერთობლივ შემოსავალზე დასამატებელი თანხა	20 000	0	0	0	0	20 000

თუ ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი წლის ბოლოსათვის 1000 ლარზე ნაკლებია მაზე საამორტიზაციო ანარიცხები არ გაიანგარიშება და მთლიანად გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლებიდან, მიუხედვად ამ ჯგუფში შემავალი ძირითადი აქტივის ფიზიკურად არსებობისა.

მაგალითი:

წინა მაგალითის პირობები უცვლელია იმ განსხვავებით, რომ გადამხდელმა პირველ ჯგუფში რიცხული სამი ავტომობილი ჯამურად გაყიდა 379 200 ლარად. მოცემულ პირობებში:

საამორტიზაციო ანარიცხების ცხრილს ექნება შემდეგი სახე (იხ. ცხრილი №6):

ცხრილი №6

	დასახელება	ჯგუფის ნომერი					ჯამი
		1	2	3	4	5	
1	2011 წლის ბოლოს ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი	350 000	0	0	0	0	350 000
2	2011 წელში დარიცხული ამორტიზაციის თანხა	70 000	0	0	0	0	70 000
3	2012 წელში დამატებული (შეძენილი) ძირითადი საშუალებების ღირებულება	100 000	0	0	0	0	100 000
4	2012 წელში რეალიზებული ძირითადი საშუალებებიდან მიღებული შემოსავალი	379 200	0	0	0	0	379 200
5	2012 წელს ძირითადი საშუალებების ზღვრული ოდენობის ზემოთ გაწეული რემონტის ხარჯები	0	0	0	0	0	0
6	ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი მიმდინარე საანგარიშო წლის ბოლოს	0	0	0	0	0	0
7	ამორტიზაციის ნორმა (%)	20%	20%	8%	5%	15%	
8	ამორტიზაციის თანხა	0	0	0	0	0	0
9	ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი თანხა	800	0	0	0	0	800

2012 წლის ბოლოს პირველი ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი (800 ლარი) რადგან 1000 ლარზე ნაკლებია შესაბამისად იგი უნდა გამოიქვითოს ამ წლის ერთობლივი შემოსავლიდან და ამ ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი ნულს გაუტოლდეს.

მაგალითი:

საწარმომ, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 2012 წელს ამავე წელს, როგორც ძირითადი საშუალება შეიძინა სამი სატვირთო ავტომანქანა 45 000 ლარად, თითოეული 15 000 ლარად. ამავე წელს ერთი სატვირთო ავტომანქანა გაყიდა 44 200 ლარად, ხოლო მეორე დაზიანდა საგზაო შემთხვევის გამო და ჯართის სახით ჩააბარა 300 ლარად.

მოცემულ პირობებში, საამორტიზაციო ანარიცხების ცხრილს ექნება შემდეგი სახე (იხ. ცხრილი №7):

ცხრილი №7

დასახელება		ჯგუფის ნომერი					ჯამი
		1	2	3	4	5	
1	2011 წლის ბოლოს ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი	0	0	0	0	0	0
2	2011 წელში დარიცხული ამორტიზაციის თანხა	0	0	0	0	0	0
3	2012 წელში დამატებული (შეძენილი) ძირითადი საშუალებების ღირებულება	45 000	0	0	0	0	45 000
4	2012 წელში რეალიზებული ძირითადი საშუალებებიდან მიღებული შემოსავალი	44 500 (44200+300)	0	0	0	0	44500
5	2012 წელს ძირითადი საშუალებების ზღვრული ოდენობის ზემოთ გაწული რემონტის ხარჯები	0	0	0	0	0	0
6	ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი მიმდინარე საანგარიშო წლის ბოლოს	0	0	0	0	0	0
7	ამორტიზაციის ნორმა (%)	20%	20%	8%	5%	15%	
8	ამორტიზაციის თანხა	0	0	0	0	0	0
9	ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი თანხა	500	0	0	0	0	500

2012 წლის ბოლოს პირველი ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი (500 ლარი) რადგან 1000 ლარზე ნაკლებია იგი უნდა გამოიქვითოს ამ წლის ერთობლივი შემოსავლიდან და პირველი ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი ნულს გაუტოლდეს.

ფიზიკურად დარჩენილი ერთი სატვირთო ავტომანქანის ღირებულება მომავალ წლებში ამორტიზაციის გაანგარიშებაში (გამოქვითვებში) მონაწილეობას აღარ მიიღებს. **ამასთან, შემდგომ პერიოდებში მისი რეალიზაციის შემთხვევაში, რეალიზაციის თანხა მთლიანად შეიტანება ერთობლივ შემოსავალში.**

მაგალითი:

წინა მაგალითის პირობები უცვლელია იმ დამატებით, რომ

2013 წელს საწარმომ გაყიდა მესამე სატვირთო ავტომანქანაც 35 000 ლარად.

მოცემულ პირობებში:

საწარმომ 2013 წლის ერთობლივ შემოსავალში უნდა ჩართოს სატვირთო ავტომანქანის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი 35 000 ლარი.

თუ ჯგუფში რიცხული ყველა ძირითადი საშუალება რეალიზებულია ან ლიკვიდირებულია და საანგარიშო წლის ბოლოს ამ ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი ნულზე მეტია, იგი ექვემდებარება ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას.

მაგალითი:

2011 წლის ბოლოს პირველი ჯგუფის მიხედვით ღირებულებითი ბალანსი შეადგენს 350 000 ლარს, ამ ჯგუფის ძირითად საშუალებებზე გაანგარიშებული საამორტიზაციო ანარიცხები 70 000 ლარს. 2012 წელს შეძენილია ხუთი სატვირთო ავტომანქანა, რომლის ღირებულება **კოდექსით განსაზღვრული წესის** შესაბამისად შეადგენს 100 000 ლარს. ამავე წელს ამ ჯგუფის ყველა ძირითადი საშუალება გაიყიდა 300 000 ლარად.

მოცემულ პირობებში:

ამ ჯგუფის ღირებულების ბალანსი 2012 წლის ბოლოსათვის იქნება 80 000 ლარი (350 000 – 70 000 + 100 000 – 300 000), რომელიც გამოქვითული უნდა იქნეს ამ წლის ერთობლივი შემოსავლებიდან, რადგან ამ ჯგუფის ყველა ძირითადი საშუალება რეალიზებულია.

მაგალითი:

წინა მაგალითის პირობები უცვლელია იმ განსხვავებით, რომ პირველ ჯგუფში რიცხული ყველა ძირითადი საშუალება ლიკვიდირებულია.

მოცემულ პირობებში:

ამ ჯგუფის ღირებულების ბალანსი 2012 წლის ბოლოსათვის იქნება უცვლელი 380 000 ლარი (350 000 – 70 000 + 100 000), რომელიც გამოქვითული უნდა იქნეს ამ წლის ერთობლივი შემოსავლებიდან, რადგან ამ ჯგუფის ყველა ძირითადი საშუალება ლიკვიდირებულია.

ძირითადი საშუალებების ლიკვიდაციისას (ჩამოწერისას) შესაძლებელია წარმოიშვას გარკვეული გამოყენებადი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა, რომელიც დადგენილი წესის (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. – ბასს-ი) შესაბამისად აღრიცხული უნდა იქნეს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შემადგენლობაში.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

საწარმომ 2011 წელს შეიძინა 5 სატვირთო ავტომანქანა თითეული 10 000 ლარად, რომლებიც ჯამური შეძენის ღირებულებით (50 000 ლარი) შეიტანა შესაბამისად პირველი ჯგუფის ღირებულებით ბალანსში. 2012 წელს, აქედან საგზაო შემთხვევის გამო ლიკვიდირებული (ჩამოწერილი) იქნა ერთი სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც გააჩნდა ცალკეული გამოყენებადი ნაწილები (საბურავები, ძრავი, მართვის სისტემა და სხვა), რომლის საბაზრო ღირებულება ამ პერიოდისათვის 12 000 ლარს შეადგენდა. აღნიშნული ნაწილების მიწოდება განახორციელა 2013 წელს 13 000 ლარად. მოცემულ პირობებში:

აღნიშნული ნაწილები 2012 წელს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა შემადგენლობაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით (10 000 ლარი). შესაბამისად, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შემადგენლობაში შეტანილი ამ ნაწილების ღირებულება (10000 ლარი) მონაწილეობას მიიღებს 2012 წლის ერთობლივი შემოსავალის კორექტირებისას. ამასთან, 2013 წლის ერთობლივ შემოსავალში შეიტანება აღნიშნული ნაწილების მიწოდებით მიღებული შემოსავალი 13 000 ლარი, ხოლო გამოსაქვით ხარჯებში 10 000 ლარი.

იმ შემთხვევაში, როდესაც მე-4 ჯგუფის მიხედვით (შენობები, ნაგებობები) ამორტიზაციას დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებების მიმართ ვიყენებთ ჯგუფის ღირებულებითი ბალანსიდან თანხების გამოქვითვის წესს, კერძოდ, 1 000 ლარზე ნაკლები ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის შემთხვევაში წლის ბოლოს თანხების მთლიანად გამოქვითვას, ასევე ჯგუფის ყველა ძირითადი

საშუალების რეალიზაციის ან ლიკვიდაციისას ჯგუფის ღირებულებითი ბალანსიდან თანხების სრულად გამოქვითვას წლის ბოლოსათვის, ამ ჯგუფის აქტივებთან მიმართებაში აღნიშნული წესი გამოყენებული უნდა იქნეს ცალ-ცალკე შენობების და ნაგებობების მიხედვით, რაც წარმოშობს იმის შესაძლებლობას, რომ ამ ჯგუფში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შესაძლებელია ერთდროულად წარმოიშვას, როგორც ერთობლივ შემოსავალში შესატანი ისე ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი თანხები (იხ. ცხრილი №8).

მ ა გ ა ლ ი თ ი:

საწარმოს მიმდინარე საანგარიშო წელს მე-4 ჯგუფში ერიცხება შემდეგი შენობა-ნაგებობები.

ცხრილი №8

დასახელება		მე-4 ჯგუფი			
		ნაგებობა 1	ნაგებობა 2	ნაგებობა 3	მე4 ჯგუფის ნაერთი
1	2011 წლის ბოლოსათვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი	10000	5000	15000	30000
2	2011 წელში დარიცხულია ამორტიზაციის თანხა	500	250	750	1500
3	2012 წელში ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	12000	0	14000	26000
4	ამორტიზაციის ნორმა	5%	5%	5%	
5	ამორტიზაციის თანხა	0	237	0	
6	ერთობლივ შემოსავალზე დასამატებელი თანხა	2500	0	0	2500
7	ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი თანხა	0	0	250	250

მოცემულ პირობებში:
იმის გამო, რომ მე-4 ჯგუფში შემავალი ცალ-ცალკე ნაგებობების მიმართ განხორციელდა საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესები, 2012 წლის ბოლოს ერთდროულად წარმოიშვა ერთობლივ შემოსავალში შესატანი და ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი თანხები (2500 და 250 ლარი).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ამორტიზაციას დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებების მე-2 და მე-3 ჯგუფის მიმართ გადამხდელს უფლება აქვს გამოიყენოს დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმა. ამორტიზაციის ამ ნორმის გამოყენების შემთხვევაში, საქართველოს საგადასახადო კოდექსი გადამხდელს არ ავალდებულებს აღნიშნული ჯგუფების მიმართ გამოიყენოს დაჩქარებული ამორტიზაციის კონკრეტული (გაორმაგებული) ნორმა. თუმცა, იგი არ შეიძლება იყოს დაწესებულ ნორმაზე ნაკლები. ამასთან, გადამხდელი არ არის ვალდებული მომავალ საგადასახადო პერიოდებშიც სავალდებულო წესით გამოიყენოს დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმა.

მაგალითი:

ვთქვათ კომპანიის მე-2 და მე-3 ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი მიმდინარე საანგარიშო წლის ბოლოს შეადგენს შესაბამისად 400 000 და 200 000 ლარს. გადამხდელმა გადაწყვიტა მომდევნო საანგარიშო წელს გამოიყენოს დაჩქარებული ამორტიზაციის გაორმაგებული ნორმა.

მოცემულ პირობებში:

აღნიშნული ჯგუფების მიმართ საამორტიზაციო ანარიცხები შეადგენს შესაბამისად 160 000 (400 000 * 40 %) ლარს და 32 000 ლარს (200 000 * 16 %).

მაგალითი:

წინა მაგალითის პირობები უცვლელია იმ განსხვავებით, რომ გადამხდელმა გადაწყვიტა მეორე ჯგუფის მიმართ დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმად გამოიყენოს 25%, ნაცვლად დაწესებული ძირითადი 20 პროცენტისა და მე-3 ჯგუფის მიმართ 10%, ნაცვლად 8 პროცენტისა.

მოცემულ პირობებში:

აღნიშნული ჯგუფების მიმართ საამორტიზაციო ანარიცხების საზით ერთობლივი შემოსავლებიდან გამოსაქვითი თანხა შეადგენს შესაბამისად 100 000 (400 000 * 25%) და 20 000 ლარს (200 000 * 10 %).

საგადასახადო კოდექსის მიხედვით ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ძირითად საშუალებათა საამორტიზაციო ანარიცხების გამოქვითვის უფლება არა აქვს არამეწარმე ფიზიკურ პირს.

ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგით გაცემული თითოეული ძირითადი საშუალება ცალკე ჯგუფად აღირიცხება. მასზე საამორტიზაციო ანარიცხები გამოიქვითება სალიზინგო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულების ოდენობით, რომელიც განისაზღვრება ლიზინგის პირობებისა და ამ ძირითადი საშუალების ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის გათვალისწინებით.

ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას ლიზინგით გაცემული ძირითადი საშუალების ლიზინგის გამცემისათვის დაბრუნების შემთხვევაში ეს ძირითადი საშუალება რჩება იმავე ჯგუფში და შემდგომ ლიზინგით გაცემამდე მასზე საამორტიზაციო ანარიცხების დარიცხვა ჩერდება.

1000 ლარამდე ღირებულების ლიზინგით გაცემული ძირითადი საშუალება ცალკე არ ჯგუფდება და მისი მიხედვით ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი არ დგება, ვინაიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ამორტიზაცია არ ერიცხება 1000 ლარამდე ღირებულების ძირითად საშუალებას და მთლიანად გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან იმ საანგარიშო წელს, როდესაც იგი ექსპლუატაციაში გადაეცა.

ლიზინგის საგნის პირველად გაცემისას ლიზინგის გამცემისათვის ძირითადი საშუალების ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი განისაზღვრება იმ დანახარჯების მიხედვით, რომელიც გაწეულია აღნიშნული აქტივის მიმწოდებლისაგან შესყიდვაზე, აგრეთვე სხვა ხარჯების მიხედვით, რომლებიც ზრდის აქტივის ღირებულებას.

მაგალითი:

საწარმომ 2012 წლის იანვარში 90 000 ლარად შეიძინა და 5 წლით ლიზინგით გასცა 2 სატვირთო ავტომობილი, ერთი ავ-

ტომობილის შესყიდვის ღირებულება შეადგენს 50000 ლარს, მეორე ავტომობილის 40000 ლარს, აღნიშნულ აქტივების ღირებულებაზე მისაკუთვნებელი სხვა დანახარჯები საწარმოს არ გააჩნია.

მოცემულ პირობებში:

საწარმოს მიერ აღნიშნულ ავტომობილებზე შეიქმნება ცალცალკე ჯგუფები და პირველი ავტომობილის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი განისაზღვრება 50000 ლარით, მეორე ატომობილის 40000 ლარით.

ლიზინგით გაცემულ ძირითად საშუალებას ამორტიზაცია დაერიცხება სალიზინგო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულების ოდენობით, რომელიც განისაზღვრება ლიზინგის პირობებისა და ამ ძირითადი საშუალების ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის გათვალისწინებით.

მაგალითი:

საწარმომ 2012 წლის იანვარში 5 წლის ვადით ლიზინგით გასცა ავტომობილი, აღნიშნული ავტომობილის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 148-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ღირებულება გადაცემის მომენტისათვის შეადგენდა 23040 ლარს. საწარმომ სალიზინგო ხელშეკრულებით ყოველი წლის ბოლოს უნდა მიიღოს სალიზინგო გადასახდელი 7000 ლარის ოდენობით, ხოლო ბოლო გადასახდელის გადახდისას ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნის (ავტომობილის) გამოსყიდვა 2630 ლარის ოდენობით. მოცემული პერიოდისათვის ლიზინგის გამცემი იყენებს 18%-იანი დისკონტირების განაკვეთს.

სალიზინგო გადასახდელების (მათ შორის, ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისად გამოსყიდვის ღირებულების) დისკონტირებით მიიღება აქტივის ღირებულება მისი ლიზინგით გაცემისას.

მოცემულ პირობებში:

მომავალ პერიოდში მისაღები სალიზინგო გადასახდელების (მათ შორის, ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისად გამოსყიდვის ღირებულების, ასეთის არსებობის შემთხვევაში) მთლიანი თანხიდან (37630 ლარი ანუ 5*7000 +2630) ძირითადი (დისკონტირებული) ღირებულება იქნება 23040 ლარი, ხოლო საპროცენტო შემოსავალი 14590 ლარი (37630–23040).

შედეგი:

პირველი წლის სალიზინგო გადასახდელიდან (7000 ლარი) მიმდინარე დისკონტირებული ღირებულების ძირითადი (დისკონტირებული) ნაწილი იქნება 2853 ლარი (7000–(23040X18%), ხოლო საპროცენტო შემოსავალი 4147 ლარი [რაც მიიღება შემდეგი წესით (23040X18%) ან (7000-2853)] შესაბამისად, საწარმომ (ლიზინგის გამცემმა) ლიზინგით გაცემულ ძირითად საშუალებას, რომელიც ცალკე ჯგუფად აქვს აღრიცხული, უნდა დაარიცხოს ამორტიზაცია მიმდინარე დისკონტირებული ღირებულების ძირითადი ნაწილით 2853 ლარით (შესაბამისად, აღნიშნული თანხით შემცირდება ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი), და აღნიშნული თანხა გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან საამორტიზაციო ანარიცხების სახით, ხოლო სალიზინგო შემოსავალი 7000 ლარი ჩართოს ერთობლივ შემოსავალში.

მეორე წლის სალიზინგო გადასახდელიდან (7000 ლარი) მიმდინარე დისკონტირებული ღირებულების ძირითადი (დისკონტირებული) ნაწილი იქნება 3366 ლარი (7000–(23040–2853)X18%), ხოლო საპროცენტო შემოსავალი 3634 ლარი (23040–2853) X18%. შესაბამისად, საწარმომ (ლიზინგის გამცემმა) ლიზინგით გაცემულ ძირითად საშუალებას, რომელიც ცალკე ჯგუფად აქვს აღრიცხული), უნდა დაარიცხოს ამორტიზაცია მიმდინარე დისკონტირებული ღირებულების ძირითადი ნაწილით 3366 ლარით (შესაბამისად, აღნიშნული თანხით შემცირდება ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი), და აღნიშნული თანხა გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან საამორტიზაციო ანარიცხების სახით, ხოლო სალიზინგო შემოსავალი 7 000 ლარი ჩართოს ერთობლივ შემოსავალში.

მომდევნო პერიოდებში სალიზინგო გადასახდელიდან (7000 ლარი) დისკონტირებული ღირებულების გამოყოფა, ლიზინგით გაცემულ ძირითად საშუალებაზე ამორტიზაციის დარიცხვა და მიღებული ან მისაღები სალიზინგო გადასახდელის ერთობლივ შემოსავალში ჩართვა მოხდება ანალოგიური წესით.

თუ ლიზინგის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას ან ლიზინგის ვადის დასრულებისას, ლიზინგის მიმღების მიერ ხდება ძირითადი საშუალების გამოსყიდვა, ლიზინგის გამცემი ვალდებულია აღნიშნული ძირითადი საშუალების ლიზინგით მიმღებისთვის მიწოდებისას, მიღებული ან/და მისაღები თანხა ჩართოს ერთობლივ შემოსავალში, ხოლო აღნიშნული ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი ნულს გაუტოლოს და ჯგუფის ღირებულება გამოიქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან.

ძირითადი საშუალებების მიმართ, **გარდა საწარმოს კაპიტალში შეტანილისა,** გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, სრულად გამოქვითოს ამ აქტივების ღირებულება იმ საგადასახადო წელს, როდესაც ძირითადი საშუალებები ექსპლუატაციაში შევიდა.

ძირითადი საშუალებების ღირებულების სრულად გამოქვითვის უფლების გამოყენების შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი ვალდებულია იგივე მეთოდი გამოიყენოს ყველა შემდგომი შესყიდული (წარმოებული) ძირითადი საშუალების მიმართ.

ძირითადი საშუალებების ღირებულების სრულად გამოქვითვის შემთხვევაში:

ა) აღნიშნული ძირითადი საშუალებები არ შეიტანება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ჯგუფის ღირებულებით ბალანსში;

ბ) შემდგომში ასეთი აქტივების მიწოდებისას მიღებული ან/და მისაღები თანხები, ხოლო ასეთის არარსებობისას – საბაზრო ღირებულება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე ექვემდებარება ერთობლივ შემოსავალში ჩართვას.

ძირითადი საშუალებების ღირებულების სრულად გამოქვითვის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს უფლება არ აქვს, არჩეული გამოქვითვის ნორმა შეცვალოს 5 წლის განმავლობაში. ამასთანავე, გამოქვითვის ასეთი ნორმის არჩევა უნდა მოხდეს იმ საგადასახადო წელს, როდესაც ძირითადი საშუალებები ექსპლუატაციაში შევიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაწილით დადგენილი ნორმა პროგრესულია, რადგან კიდევ უფრო აფართოებს გადასახადის გადამხდელის ცვეთის გაანგარიშების და გამოქვითვის არჩევანის შესაძ-

ლებლობას. აღნიშნული მუხლის მიხედვით გადასახადის გადამხდელს ამორტიზაციის დარიცხვის რამდენიმე შესაძლო ვარიანტი აქვს, ა) დაარიცხოს ცვეთა ჩვეულებრივი დადგენილი ნორმით; ბ) დაარიცხოს ცვეთა (მე-2 ან მე-3 ჯგუფის ძირითადი საშუალებების მიმართ) გაორმაგებული ნორმით ან დადგენილი ნორმიდან გაორმაგებული ნორმამდე ნებისმიერი განაკვეთის ოდენობით, გ) გამოიყენოს "100 %-იანი ცვეთის დარიცხვის" შესაძლებლობა.

მაგალითი:

გადამხდელმა 2011 წლის იანვარში 200 000 ლარად შეიძინა ლუდის ჩამოსასხმელი ხაზი, რომელიც ექსპლოატაციაში (ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენება დაიწყო) შევიდა ამავე წლის მარტში.

მოცემულ პირობებში:

გადამხდელს უფლება აქვს შესყიდული 200 000 ლარის ძირითადი საშუალება არ შეიტანოს ჯგუფის ღირებულებით ბალანსში და იგი მთლიანად გამოქვითოს 2011 წლის ერთობლივი შემოსავლიდან, იმ პირობით, რომ მან აღნიშნული მეთოდი უნდა გამოიყენოს ამ პერიოდის შემდგომ მიღებულ ყველა ძირითადი საშუალებების მიმართ მომდევნო 5 წლის განმავლობაში.

ცალკეულ შემთხვევებში, მიღებული ძირითადი საშუალებები ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებამდე საჭიროებს რეკონსტრუქციას, ფუნქციონალური დანიშნულების შეცვლას და ა. შ. ასეთ შემთხვევაში 100%-იანი გამოქვითვის უფლება გადამხდელს წარმოეშობა იმ საგადასახადო წელს, როდესაც აქტივი ხელმისაწვდომი იქნება ექსპლუატაციისათვის ანუ დაიწყება ეკონომიკური საქმიანობისათვის მისი გამოყენება.

მაგალითი:

საწარმომ, 2011 წელს 180 000 ლარად შეიძინა ფართი, რომელშიც სასადილო ფუნქციონირებდა. საწარმომ გადაწყვიტა შეეცვალა ობიექტის საქმიანობის პროფილი და მასში **მომდევნო წელს** რეგიონალური ოფისი გახსნა. აღნიშნული მიზნით საწარმომ დამატებით საანგარიშო წელს 40 000 ლარი დახარჯა. საწარმო ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის (გამოქვითვების) 100%-იანი ნორმის გამოყენების წესს იყენებს.

მოცემულ პირობებში:
საწარმო 2011 წელს ერთობლივი შემოსავლიდან ვერ გამოქვითავს ვერც უძრავი ქონების შეძენის (180000 ლარი) და ვერც რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ ხარჯებს (40000 ლარი). ამასთან, აღნიშნული თანხა მთლიანად გამოიქვითება 2012 წლის ერთობლივი შემოსავლიდან.

მაგალითი:

წინა მაგალითის პირობები უცვლელია იმ დამატებით, რომ გადამხდელმა ლუდის ჩამოსასხმელი ხაზის შეძენის თანხები იმავე წელს გამოქვითა ერთობლივი შემოსავლიდან და გაყიდა მომდევნო საანგარიშო წელს 250 000 ლარად. მოცემულ პირობებში:
ძირითადი საშუალებების მიწოდებით მიღებული (მისაღები) შემოსავალი 250 000 ლარი სრულად უნდა ჩაირთოს ამ წლის ერთობლივ შემოსავალში.

საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ძირითად საშუალებებზე გაწეული ხარჯების ერთბაშად გამოქვითვასთან (100%-იანი ცვეთა) დაკავშირებული დებულებები არ ვრცელდება არაამორტიზებადი ძირითადი საშუალებების მიმართ.

მაგალითი:

წინა მაგალითის პირობები უცვლელია იმ დამატებით, რომ გადამხდელმა გარდა ლუდის ჩამოსასხმელი ხაზისა ეკონომიკური საქმიანობისათვის 70 000 ლარად შეიძინა 2 ჰექტარი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

მოცემულ პირობებში:

საგადასახადო მიზნებისათვის მიწის ნაკვეთის ღირებულება 70 000 ლარი არ გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან მისი გამოყენების პერიოდში და არც ჯგუფის ღირებულებით ბალანსში შეიტანება.

არამატერიალური აქტივების ხარჯები გამოიქვითება

საამორტიზაციო ანარიცხების სახით, მათი სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში, საანგარიშო პერიოდის პროპორციულად. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, 1000 ლარამდე ღირებულების არამატერიალური აქტივი მთლიანად გამოქვითოს

ერთობლივი შემოსავლიდან იმ საანგარიშო წელს, როდესაც შესაბამისი ხარჯი იქნა გაწეული.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრა, ამორტიზაციის ნორმა შეადგენს 15 პროცენტს.

თითოეული არამატერიალური აქტივი ცალკე ჯგუფად აღირიცხება.

ამორტიზაციას დაქვემდებარებული არამატერიალური აქტივების ღირებულებაში არ შეიტანება მათი შეძენის ან წარმოების ხარჯები, თუ ისინი უკვე გამოქვითული იყო გადასახადის გადამხდელის დასაბეგრი მოგების (შემოსავლის) გამოანგარიშებისას.

თუ არამატერიალური აქტივების ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა წლის ბოლოსთვის 1000 ლარზე ნაკლებია, ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა გამოიქვითება.

როგორც აღვნიშნეთ, საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის არამატერიალური აქტივები პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად:

– არამატერიალური აქტივი, რომელსაც გააჩნია სასარგებლო გამოყენების ვადა;

– არამატერიალური აქტივი, რომლის სასარგებლო გამოყენების ვადა არ არის განსაზღვრული.

არამატერიალური აქტივების ღირებულება, რომელსაც გააჩნია სასარგებლო გამოყენების ვადა გამოიქვითება ამორტიზაციის დარიცხვით, სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში საანგარიშო პერიოდების პროპორციულად.

მაგალითი:

გადამხდელმა 2012 წლის 1 იანვარს 50 000 ლარად შეიძინა სავაჭრო ნიშნის გამოყენების უფლება 5 წლით. მოცემულ პირობებში:
ვინაიდან არამატერიალურ აქტივს განსაზღვრული აქვს სასარგებლო გამოყენების ვადა (5 წელი), გადამხდელმა მასზე საამორტიზაციო ანარიცხები უნდა გაიანგარიშოს საანგარიშო პერიოდში მისი სასარგებლო ვადის პროპორციულად. ანუ ყოველ საანგარიშო პერიოდში (5 წლის განმავლობაში) ერთობლივი შემოსავლიდან უნდა გამოქვითოს 10 000 ლარი (50 000 : 5).

თვალსაჩინოებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი (იხ. ცხრილი №9):

ცხრილი №9

არამატერიალური აქტივის დასახელება და აღწერილობა	შეძენის ან წარმოების		სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)	გამოქვითულია წინა პერიოდების მიხედვით (ლარი)	საამორტიზაციო ანარიცხი
	თარიღი	თანხა (ლარი)			
1	2	3	4	5	6
სავაჭრო ნიშანი	01. 01. 12	50 000	5	0	10 000
სულ:					10 000

არამატერიალური აქტივის ხარჯი, რომელზედაც შეუძლებელია სასარგებლო გამოყენების ვადის დადგენა, ამორტიზაციის ნორმა შეადგენს 15%-ს.

მაგალითი:

გადამხდელმა 2012 წლის 1 იანვარს 50 000 ლარად შეიძინა სავაჭრო ნიშნის გამოყენების უვადო სარგებლობის უფლება.

მოცემულ პირობებში:

გადამხდელმა შეძენილი არამატერიალური აქტივი უნდა ასახოს ცალკე ჯგუფში და საანგარიშო წელს დაარიცხოს ამორტიზაცია 7 500 ლარი (50 000 * 15%).

თვალსაჩინოებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი (იხ. ცხრილი №10):

ცხრილი №10

	დასახელება	ლარი
1	ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი 2011 წლის ბოლოს	0
2	2011 წელს დარიცხული ამორტიზაციის თანხა	0
3	2012 წელს დამატებული (შეძენილი, წარმოებული) არამატერიალური აქტივის ღირებულება	50 000
4	2012 წელს რეალიზებული არამატერიალური აქტივების ღირებულება	0
5	ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი საანგარიშო წლის ბოლოს	50 000
6	ამორტიზაციის თანხა (სტრ.5*15%)	7 500

ამორტიზაციას დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებების თითოეულ ჯგუფში შემავალ, **ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯების** გამოქვითვა დაიშვება ყოველწლიურად, საანგარიშო წლის წინა წლის ბოლოსათვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის 5 პროცენტამდე ოდენობით. თანხა, რომელიც აღემატება ამ ნაწილით დადგენილ ზღვრულ დონეს, ზრდის ჯგუფის ღირებულებით ბალანსს.

დაბეგვრის მიზნებისათვის რემონტად ითვლება ხარჯები, რომლებიც ამაღლებს ძირითადი საშუალებების ამოსავალ (თავდაპირველ, ნორმატიულ) მწარმოებლურობას (მათ შორის, შენობა-ნაგებობების ელემენტების მოდიფიკაცია, რეკონსტრუქცია მათი სასარგებლო მომსახურების ვადის გახანგრძლივების მიზნით და მათი მწარმოებლურობის ამაღლების უზრუნველსაყოფად. მანქანა-დანადგარების ნაწილების გაუმჯობესება მათი მწარმოებლურობის ამაღლების უზრუნველსაყოფად და ახალი საწარმოო პროცესების დანერგვა), გარდა მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯებისა, რომლებიც გაიწევა ძირითადი საშუალებების ამოსავალი მწარმოებლურობის აღდგენის ან შენარჩუნების მიზნით.

მაგალითი:

ძირითადი საშუალებების პირველი ჯგუფის მიხედვით 2011 წლის ბოლოს ჯგუფის ღირებულებითმა ბალანსმა შეადგინა 300 000 ლარი. საწარმომ 2012 წელს ამ ჯგუფის ძირითადი საშუალებების მიხედვით 18 000 ლარის ხარჯი გაწია, მათ შორის 10 000 ლარის სარემონტო და 8 000 ლარის მიმდინარე საექსპლოტაციო.

მოცემულ პირობებში:

გადამხდელს 2012 წელს უფლება აქვს სრულად გამოქვითოს 18 000 ლარი, მათ შორის 10 000 ლარი, როგორც ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯი, რადგან აღნიშნული თანხა ნაკლებია 15 000 ლარზე - ანუ გამოსაქვითი ხარჯის ზღვრულ ოდენობაზე (300000 * 5%) და 8 000 ლარი, როგორც მიმდინარე საექსპლოტაციო ხარჯი, **რაზედაც არ არის დადგენილი შეზღუდვა.**

რემონტის ხარჯის ნაწილი, რომელიც აღემატება საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღრულ ოდენობას ზრდის ჯგუფის ღირებულებით ბალანსს.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

წინა მაგალითის პირობები უცვლელია იმ განსხვავებით, რომ გადამხდელმა 2012 წელს გაწია მხოლოდ ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები 25 000 ლარის ოდენობით. მოცემულ პირობებში:

2012 წლის ერთობლივი შემოსავლებიდან სარემონტო ხარჯის სახით უნდა გამოიქვითოს 15 000 ლარი (300 000 * 5%), ხოლო 10 000 ლარით უნდა გაიზარდოს ამ წლის პირველი ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მოიჯარეს (გარდა საფინანსო იჯარისა) არ გადაეცემა აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და ისინი აღირიცხებიან მეიჯარესთან, თუმცა ფინანსური აღრიცხვა გრძელვადიან აქტივად აღიარებს იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობას ანუ კეთილმოწყობასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით კი, იჯარით აღებულ ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯები, თუ მისი ჩატარება ხელშეკრულების შესაბამისად გათვალისწინებული არ არის საიჯარო გადასახდელების შემცირების ხარჯზე, ექვემდებარება ძირითად საშუალებათა მიმღებთან კაპიტალიზებას და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ქმნის ცალკე ჯგუფს, რომლის დროსაც:

ა) გაწეული ხარჯები ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება საგადასახადო კოდექსით ძირითად საშუალებათა მიმართ დადგენილი ამორტიზაციის ნორმების მიხედვით, 15 პროცენტის ოდენობით;

ბ) ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, თუ ხორციელდება ძირითადი საშუალების მეიჯარისთვის დაბრუნება, აღნიშნული ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი ნულს გაუტოლდება და დარჩენილი თანხა ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება. ამასთანავე, ძირითადი საშუალების მეიჯარისთვის დაბრუნება არ ითვლება მიწოდებად.

რემონტის ხარჯების გამოქვითვასთან დაკავშირებული შეზღუდვები არ ვრცელდება, ექსპლოატაციაში შესვლის საგადასახადო წელს სრულად გამოქვითვას (100%-იანი ცვეთა) დაქვემდებარებული და სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული ძირითადი საშუალებების სარემონტო ხარჯების მიმართ.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

გადამხდელმა 2011 წელს 300 000 ლარად შეძენილ და ექსპლუატაციაში შესულ სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებულ ძირითად საშუალებებს, რომლის მიხედვითაც გაწეული ხარჯი სრულად გამოქვითა ამ წლის ერთობლივი შემოსავლიდან, 2012 წელს ჩაუტარა 25 000 ლარის სარემონტო სამუშაოები.

მოცემულ პირობებში:

მიუხედავად იმისა, რომ კოდექსით განსაზღვრული შეზღუდვა აღნიშნული ძირითადი საშუალებების მიმართ შეადგენს 15 000 ლარს (300 000 * 5%) გადამხდელი 2012 წლის ერთობლივი შემოსავლებიდან მთლიანად გამოქვითავს მასზე გაწეულ სარემონტო ხარჯებს 25 000 ლარს.

ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირებს უფლება აქვთ გამოქვითონ წარმომადგენლობითი ხარჯები არა უმეტეს საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლის 1 პროცენტისა.

წარმომადგენლობით ხარჯებს მიეკუთვნება პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯი, რომელიც მოიცავს:

- ✓ პირის სახელით გამართული ღონისძიებებისათვის (პრეზენტაციები, მიღებები) პროტოკოლით გათვალისწინებულ (წვენები, მინერალური წყლები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯებს;
- ✓ საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯებს;
- ✓ სუვენირების შეძენის ხარჯებს;
- ✓ სტუმრების მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯებს, მათ შორის:
  - ➢ საკონსულო მომსახურების (ვიზების გაფორმება, გაგრძელება) ხარჯებს;
  - ➢ აეროპორტში დახვედრისა და გაცილების («ვიპ»- ის დარბაზის მომსახურება) ხარჯებს;
  - ➢ სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებს;
  - ➢ სასტუმრო მომსახურების (ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება) ხარჯებს;

- პროტოკოლით გათვალისწინებული მიღებების, წვეულებების (წვენები, მინერალური წყლები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯებს

ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება საწარმოს ან მეწარმე ფიზიკური პირის მიერ **საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული შეწირულობის თანხა,** აგრეთვე ერთობლივ შემოსავალში ასახული უსასყიდლოდ მიწოდებული საქონლის (გარდა უძრავი ქონებისა)/ გაწეული მომსახურების საბაზრო ფასი, მაგრამ არა უმეტეს ერთობლივი შემოსავლიდან კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების (ამ ნაწილით გათვალისწინებული გამოქვითვების გარეშე) შემდეგ დარჩენილი თანხის 10 პროცენტისა.

მაგალითი:

კომპანიამ საქველმოქმედო მიზნით, დახმარება გადაურიცხა საქველმოქმედო ფონდს, რომელსაც არ გააჩნია საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი.

მოცემულ პირობებში: გადარიცხული თანხა ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება და აღნიშნულ თანხას არც საშემოსავლო გადასახადი დაერიცხება, რადგან საშემოსავლო გადასახადით იბეგრება მხოლოდ ფიზიკურ პირთა მიერ მიღებული შემოსავლები, საქველმოქმედო ფონდი კი – იურიდიული პირია.

ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე დამზღვევთა ან დაზღვეულთა მიერ გადახდილი ან გადასახდელი (აღრიცხვის მეთოდის გამოყენების მიხედვით) ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სადაზღვევო შენატანები, გარდა დაზღვეულის მიერ საპენსიო დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით გადახდილი სადაზღვევო შენატანებისა.

გეოლოგიური კვლევებისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვების მოსამზადებელი მომსახურების ხარჯები გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან საამორტიზაციო ანარიცხების სახით 20 პროცენტის ოდენობით, ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის მიხედვით და აღირიცხება ცალკე ჯგუფად. ეს მოთხოვნა ვრცელდება იმ არამატერიალური აქტივების ხარჯებზედაც, რომლებიც გაწეულია გადასახადის გადამხდელის მიერ ბუნებრივი რესურსების გეოლოგიური კვლევის, დამუშავების ან ექსპლუატაციის უფლების შეძენასთან დაკავშირებით. *გარდა იმ არამატერიალური აქტივებისა,*

რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადის დადგენა და საანგარიშო პერიოდის პროპორციულად გამოქვითვა შესაძლებელია.

„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების მიხედვით განხორციელებული გეოლოგიური კვლევების, ბუნებრივი რესურსების მოპოვების მოსამზადებელი მომსახურებისა და ბურღვის ხარჯები გამოიქვითება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად.

მაგალითი:

საწარმომ, სასმელი წყლის მოსაპოვებლად მოსამზადებელი სამუშაოებისათვის (ჭის ბურღვით სამუშაოებზე) საანგარიშო წელში დახარჯა 150 000 ლარი.

მოცემულ პირობებში:

საწარმომ 150 000 ლარი უნდა ასახოს ცალკე ჯგუფად, როგორც ბუნებრივი რესურსების მოპოვების მოსამზადებელი მომსახურების ხარჯი და საგადასახადო კოდექსის შესაბამისად პირველი ჯგუფის ღირებულების ბალანსის ნორმის გამოყენებით დაარიცხოს ამორტიზაცია 30 000 ლარის ოდენობით (150 000 * 20%).

როგორც აღინიშნა ეს ნორმა ვრცელდება იმ არამატერიალური აქტივების ხარჯების მიმართაც, რომელიც გაწეულია ბუნებრივი რესურსების, გეოლოგიური კვლევების, დამუშავების ან ექსპლუატაციის უფლების შეძენასთან დაკავშირებით. გარდა იმ არამატერიალური აქტივებისა, რომლის გამოყენების ვადის დადგენა შეუძლებელია.

მაგალითი:

გადამხდელმა საანგარიშო პერიოდში 5 წლის ვადით შეიძინა ბუნებრივი რესურსების მოპოვების უფლება 5 000 ლარად. მოცემულ პირობებში:

აღნიშნული არამატერიალური აქტივის შეძენის ხარჯების მიმართ ამორტიზაციის დარიცხვის ამ ნაწილით გათვალისწინებული ნორმა არ გამოიყენება, რადგან დადგენილია ამ აქტივის გამოყენების ვადა. მას ამორტიზაცია უნდა დაერიცხოს საანგარიშო პერიოდების პროპორციულად ანუ საანგარიშო პერიოდში 1000 ლარი (5000: 5)

მაგალითი:

წინა მაგალითის პირობები იგივეა, იმ განსხვავებით, რომ ბუნებრი-

ვი რესურსების მოპოვების უფლება შეძენილია უვადოდ.
მოცემულ პირობებში:
აღნიშნული შეძენილი აქტივის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს ამორტიზაციის დარიცხვის ამ ნაწილით დადგენილი ნორმა ანუ მას ამორტიზაცია უნდა დაერიცხოს პირველი ჯგუფის ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის ნორმის მიხედვით 1000 ლარი (5000 * 20%)

დასაბეგრი მოგებისა და დასაბეგრი შემოსავლის (ფიზიკური პირისათვის) გაანგარიშებისას არ გამოიქვითება:

ა) მოგების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი, რომლებიც გადახდილია ან გადასახდელია საქართველოში ან სხვა სახელმწიფოში (თუმცა, ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა სხვა გადასახადი, გარდა უკანდაბრუნებადი გადასახადებისა), მაგრამ გამოიქვითება ფიზიკური პირის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მან გადაიხადა შემოსავლებზე "რომლებიც არ იყო დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან" ამ შემთხვევაში ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავლების შესაბამისად გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის თანხა მცირდება ამ ქონების მიხედვით გადახდილი (მათ შორის, წინა საგადასახადო პერიოდებში) საშემოსავლო გადასახადის თანხით;

მაგალითი:

ვთქვათ ფიზიკურმა პირმა (რომელიც არ თავისუფლდებოდა საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან) საჩუქრად მიიღო 150 000 ლარის ღირებულების ქონება და შესაბამისად გადაიხადა საშემოსავლო გადასახადი 30 000 ლარი (150 000 * 20%). ერთი წლის შემდეგ მან ეს ქონება გაყიდა 200 000 ლარად. ვინაიდან აღნიშნულმა პირმა ეს ქონება უსასყიდლოდ მიიღო ნამეტი თანხა შეადგენს 200 000 ლარს (200 000 – 0), თუმცა გადასახდელი გადასახადი 10 000 ლარს (200 000 * 20%) – 30 000 ვინაიდან მას ჩაეთვლება ქონების მიღებისას გადახდილი საშემოსავლო გადასახადი.

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და გადასახადის გადამხდელის მიერ ბიუჯეტში გადახდილი ან გადასახდელი სანქციის/ჯარიმის თანხები.

მეწარმე ფიზიკური პირის მიერ აქტივის (გარდა ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული აქტივისა) რეალიზაციით მიღებული ზა-

რალის კომპენსაცია ხდება იმავე სახის აქტივის რეალიზაციით მიღებული ღირებულების ნამეტით. თუ ზარალის კომპენსაცია შეუძლებელია იმავე წელს, ზარალი მომდევნო წელს არ გადაიტანება.

საგადასახადო წლის განმავლობაში ფიზიკური პირის (გარდა მეწარმე ფიზიკური პირისა) მიერ აქტივის რეალიზაციით მიღებული ზარალის კომპენსაცია ხდება იმავე სახის აქტივის რეალიზაციით მიღებული ნამეტით. ამასთანავე, თუ ზარალის კომპენსაცია იმავე წელს შეუძლებელია, ზარალი მომდევნო წელს არ გადაიტანება.

მეწარმე ფიზიკური პირის მიმართ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული დაქვითვების გადამეტება ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ ერთობლივ შემოსავალზე, რომელიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან, არ გამოიქვითება ამ პირის მიერ მიღებული ხელფასის ხარჯზე. იგი გადაიტანება 5 წლამდე ვადით და დაიფარება მომავალი პერიოდების საქმიანობით მიღებული ერთობლივი შემოსავლის ხარჯზე, რომელიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან.

მაგალითი:

რეზიდენტი ფიზიკური პირი დაქირავებით მუშაობის გარდა ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და შესაბამისად არის მეწარმე ფიზიკური პირიც. გასულ საგადასახადო წელს აღნიშნულმა პირმა ხელფასის სახით მიიღო 4 000 ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 8 000 ლარი ზარალი. მიუხედავად მისი ზარალის ფაქტობრივი ოდენობისა (8 000 – 4 000), ზარალის გადატანის მიზნით ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები მხედველობაში არ მიიღება და 5 წლამდე ვადით გადაიტანება ზარალი 8 000 ლარის ოდენობით.

იურიდიული პირის მიმართ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების გადამეტება ერთობლივ შემოსავალზე გადაიტანება 5 წლამდე ვადით და დაიფარება მომავალი პერიოდების ერთობლივი შემოსავლების ხარჯზე.

საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების გადამეტება ერთობლივ შემოსავალზე გადატანას არ ექვემდებარება, თუ იგი წარმოშობილია:

ა) ფინანსური ინსტიტუტის მიერ საერთაშორისო ფინანსური კომპანიის სტატუსით სარგებლობის პერიოდში;

ბ) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ საერთაშორი-

სო საწარმოს სტატუსით სარგებლობის პერიოდში;
გ)სპეციალური სავაჭრო კომპანიის მიერ სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსით სარგებლობის პერიოდში.

პირს უფლება აქვს, ზარალის გადატანის 5-წლიანი ვადა შეცვალოს ზარალის გადატანის 10-წლიანი ვადით. აღნიშნულის თაობაზე პირმა ზარალის გადატანის 5 წლიანი ვადის გასვლამდე განცხადებით უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს. ასეთ შემთხვევაში კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა (6 წელი) 11 წელია და იგი აითვლება იმ კალენდარული წლის დასრულებიდან, რომლის ზარალის გადატანასაც ითხოვს პირი წარდგენილ განცხადებაში. ამასთანავე, ხანდაზმულობის 11 წლიანი ვადა მოიცავს ზარალის გადატანის მთლიან, 10 წლიან საანგარიშო პერიოდს.

პირს, ზარალის დაფარვის შემთხვევაში უფლება აქვს, არჩეული ზარალის გადატანის 10-წლიანი ვადა კვლავ შეცვალოს ზარალის გადატანის 5-წლიანი ვადით, რისთვისაც მან ზარალის დაფარვიდან ნებისმიერ შემდგომ საგადასახადო წელს საგადასახადო ორგანოს უნდა აცნობოს ისევ 5-წლიან ვადაზე გადასვლის შესახებ.

თავი XII

საერთაშორისო დაბეგვრა. შემოსავლების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

შემოსავალზე, რომელიც მიღებული არ არის საქართველოში არსებული წყაროდან, საქართველოს ფარგლებს გარეთ გადახდილი მოგების გადასახადის თანხები ჩაითვლება შესაბამისი საგადასახადო წლისათვის ამ მოგებაზე საქართველოში გადასახადის გადახდისას.

აღნიშნული წესის მიხედვით ჩათვლილი თანხების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადასახადების იმ თანხებს, რომლებიც დარიცხული იქნებოდა საქართველოში ამ შემოსავალზე ან მოგებაზე საქართველოში მოქმედი წესითა და განაკვეთებით.

მაგალითი:

საქართველოს საწარმო ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა R ქვეყანაში, სადაც მის მიერ მიღებულმა შემოსავალმა 2012 წლისათვის შეადგინა 500 000 ლარის ექვივალენტური თანხა, ხოლო გამოსაქვითმა ხარჯებმა შეადგინა 350 000 ლარი (მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის 25%-იანი ცვეთა – 20 000 ლარი). მიღებული მოგება – 150 000 ლარი, ამ ქვეყანაში დაიბეგრა 30%-იანი განაკვეთით და გადასახადის ოდენობამ შეადგინა 45 000 ლარი.

2012 წლისათვის საწარმოს საქართველოს წყაროდან შემოსავალი არ მიუღია.

საქართველოში დეკლარაციის წარდგენისას საწარმომ შემოსავლები და ხარჯები უნდა შეუსაბამოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებს. ვინაიდან საგადასახადო კოდექსის მიხედვით კომპიუტერული ტექნიკის ცვეთის ნორმა არის 20%. კომპიუტერული ტექნიკის ღირებულება, რომელსაც დაერიცხა ცვეთა შეადგენს 80 000 ლარს (80 000 * 25% = 20 000) ხოლო მასზე დარიცხული ცვეთა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ტოლია 16 000 ლარის (80 000 * 20%), რაც იმას ნიშნავს, რომ დასაბეგრი მოგების განსაზღვრისას კომპანიამ ხარჯებში უნდა შეიყვანოს არა 20 000 არამედ 16 000 ლარი. ამდენად საქართველოში მისი დასაბეგრი

მოგება (სხვა თანაბარ პირობებში) იქნებოდა 154 000 ლარი, მოგების გადასახადი 23 100 ლარი (154 000 * 15%).

საქართველოს საწარმოს R ქვეყანაში გადახდილი (45 000 ლარი) მოგების გადასახადიდან ჩაეთვლება 23 100 ლარი, რომელიც გამოიქვითება მოგების გადასახადის გაანგარიშების დროს (აღნიშნულ გამოქვითვას ითვალისწინებს მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის ფორმა), ხოლო სხვაობა უკან არ დაუბრუნდება.

საერთაშორისო სამართალი არ ითვალისწინებს საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის ამკრძალავ საერთო წესებს. სახელმწიფოს უფლება აქვს აკრიფოს გადასახადი თავის ტერიტორიაზე ეროვნული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ამიტომ პრაქტიკაში საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით გამოიყენება როგორც ცალმხრივი ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია შიდასახელმწიფოებრივი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამის ნორმებთან, ასევე მრავალმხრივი ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებებთან და კონვენციებთან (იხ. სქემა №4).

სქემა №4



საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ფორმებია:

- განთავისუფლების მეთოდი;
- ჩათვლის მეთოდი;
- გამოქვითვის მეთოდი.

განთავისუფლების მეთოდის შემთხვევაში სახელმწიფო უარს აცხადებს იმ გადასახადით დასაბეგრი ობიექტის დაბეგვრაზე, რომელიც იბეგრება სხვა სახელმწიფოში. შეთანხმებები, რომლებშიც გამოყენებულია მოცემული მეთოდი, განსაზღვრავს იმ შემოსავლებისა და დაბეგვრის ობიექტების ცალკეულ სახეებს, რომლებიც იბეგრება ერთ ქვეყანაში და თავისუფლდება მეორეში.

ჩათვლის მეთოდის შემთხვევაში გადამხდელის დასაბეგრი ბაზა ყალიბდება იმ შემოსავლების გათვალისწინებით, რომლებიც მიღებულია საზღვარგარეთ, ხოლო შემდეგ გადასახადების გამოანგარიშებული თანხებიდან გამოიქვითება საზღვარგარეთ გადახდილი გადასახადები.

გამოქვითვის მეთოდის შემთხვევაში საზღვარგარეთ გადახდილი გადასახადი განიხილება ხარჯის სახით, რომელიც გამოიქვითება დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლების თანხიდან. ვინაიდან გამოქვითვის მეთოდი საზღვარგარეთ გადახდილი გადასახადის თანხით ამცირებს მხოლოდ დასაბეგრ ბაზას და არა თვითონ გადასახადს, მისი გამოყენება ნაკლებად ხელსაყრელია, ვიდრე საგადასახადო ჩათვლის გამოყენება.

რეზიდენტი საწარმოს მიერ მიერ **ფიზიკური პირისთვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის** ან **არარეზიდენტი საწარმოსათვის** გადახდილი დივიდენდები იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის **5**-პროცენტიანი განაკვეთით.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების (*სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და*

კოოპერატივი), მიერ **მიღებული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები საწარმოს მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება**.

გადახდის წყაროსთან იბეგრება მხოლოდ რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირის (მათ შორის ინდივიდუალური საწარმოსი) ან არარეზიდენტი საწარმოს მიერ მიღებული დივიდენდები.

რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული დივიდენდები, რომლებიც დაიბეგრა გადახდის წყაროსთან, არ ჩაირთვება ამ პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ მიღებული დივიდენდები, რომლებიც დაიბეგრა გადახდის წყაროსთან, არ ჩაირთვება ამ პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.

2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრის მიერ ამ კოოპერატივისაგან მიღებული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

რეზიდენტი საწარმოს მიერ სახელმწიფოსთვის გადახდილი დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საერთაშორისო საწარმოდან მიღებული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და ამ დივიდენდების მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების ან რეზიდენტის მიერ ან მათი სახელით **გადახდილი პროცენტები** იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის **5**-პროცენტიანი განაკვეთით.

რეზიდენტი ბანკებისათვის კრედიტზე (სესხებზე) გადახდილი პროცენტები არ იბეგრება გადახდის წყაროსთან.

ფიზიკური პირის მიერ მიღებული პროცენტები, რომლებიც დაიბეგრა გადახდის წყაროსთან, შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.

მოგების გადასახადის გადამხდელ რეზიდენტ იურიდიულ პირს, ან არარეზიდენტის (გარდა ფიზიკური პირისა) მუდმივ დაწესებულებას, რომელმაც მიიღო საქართველოში გადახდის წყაროსთან დაბეგრილი პროცენტები, უფლება აქვს ჩაითვალოს გადახდის წყაროსთან ბიუჯეტში გადახდილი გადასახადის თანხა.

რეზიდენტი საწარმოს მიერ სახელმწიფოსთვის გადახდილი პროცენტები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება.

საქართველოს საწარმოს მიერ გამოშვებული და უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟის ლისტინგში სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან მიღებული პროცენტები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და ამ პროცენტების მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საერთაშორისო საწარმოდან მიღებული პროცენტები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და ამ პროცენტების მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების ან რეზიდენტის მიერ ან მათი სახელით რეზიდენტი ფიზიკური პირისათვის (გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა) გადახდილი **როიალტი** იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 20-პროცენტიანი განაკვეთით.

ფიზიკური პირის მიერ (გარდა მეწარმე ფიზიკური პირისა) მიღებული როიალტი, რომელიც დაიბეგრა გადახდის წყაროსთან, არ ჩაირთვება ამ პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.

მეწარმე ფიზიკურ პირს, რომელმაც მიიღო საქართველოში გადახდის წყაროსთან დაბეგრილი როიალტი, უფლება აქვს, ჩაითვალოს გადახდის წყაროსთან ბიუჯეტში გადახდილი გადასახადის თანხა.

სახელმწიფოსათვის გადახდილი როიალტი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება.

არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას საქართველოში, იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე, შემდეგი განაკვეთებით:

ა) დივიდენდები – 5 პროცენტით;

ბ) პროცენტები – 5 პროცენტით;

გ) საწარმოს, ორგანიზაციის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ საერთაშორისო კავშირგაბმულობის ტელესაკომუნიკაციო მომსახურებისათვის და საერთაშორისო გადაზიდვების სატრანსპორტო მომსახურებისათვის გადახდილი თანხები – 10 პროცენტით;

დ) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განხორციელებისას არარეზიდენტი ქვეკონტრაქტორების მიერ მიღებული შემოსავალი – 4 პროცენტით;

დ[1]) ფიზიკური პირისთვის გადახდილი საიჯარო მომსახურების თანხა - 20 პროცენტით;

ე) გადახდილი სხვა თანხები, რომლებიც საგადასახადო კოდექსით ითვლება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად, – 10 პროცენტით;

კომპანია ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას იყენებს **www.facebooc.com** და **www.google.com** –ის მომსახურებას. კერძოდ მათი ქსელის საშუალებით ხდება კომპანიის პროდუქციის რეკლამირება (მაგალითად, საინფორმაციო ტექსტის გამოჩენა აღნიშნული ინტერნეტგვერდის მომხმარებლებისათვის)

მოცემულ პირობებში: სსკ 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, მომსახურება საქართველოში გაწეულად ითვლება თუ: გ.თ) მომსახურების გამწევი და მომსახურების მიმღები სხვადასხვა სახელმწიფოში არიან და მომსახურების გამწევის მიერ მომსახურების გაწევა ხორციელდება საქართველოში მისი მუდმივი დაწესებულების, დაქირავებულის მეშვეობით ან სხვაგვარად..., რაც ადასტურებს, რომ მომსახურების გამწევმა საქართველოში გასწია მომსახურება“.

მართალია, ზემოთ აღნიშნულ კომპანიებს საქართველოში არ გააჩნიათ არც მუდმივი დაწესებულება და არც დაქირავებული თანამშრომლები, მაგრამ მათი ვებგვერდების მეშვეობით ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან, მათ შორის საქართველოდან, ამიტომ სავარაუდოდ, არარეზიდენტმა

სწორედ „სხვაგვარად“, კერძოდ კი ვებგვერდის საშუალებით განახორციელა მომსახურება საქართველოში, შესაბამისად მიიღო შემოსავალი საქართველოში არსებული წყაროდან, რაც უნდა დაიბეგროს 10%-იანი განაკვეთით.

აღნიშნული ოპერაცია იბეგრება ასევე დღგ-ით.

ვ) ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი – 20 პროცენტით;

1[1]. შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ოფშორულ ქვეყანაში რეგისტრირებული პირის მიერ „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში მიღებული შემოსავალი იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე 15 პროცენტით.

გადასახდელები, რომლებიც გადაიხდება საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების მიერ ან მისი სახელით, ითვლება რეზიდენტი საწარმოს მიერ გადახდილად.

მაგალითი:

არარეზიდენტი ფიზიკური პირი, საქართველოს რეზიდენტ იურიდიულ პირს უწევს ყოველთვიურ მომსახურებას და იღებს მომსახურების საფასურს.

მოცემულ პირობებში:

თუ არარეზიდენტ ფიზიკურ პირთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ ის დაქირავებული თანამშრომელია, მაშინ იგი წყაროსთან დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადის 20%-იანი განაკვეთით, სხვა შემთხვევაში შემოსავლების სახეებიდან გამომდინარე ზემოთ მოყვანილი განაკვეთების მიხედვით.

არარეზიდენტს, რომელიც იღებს „გ“–„ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემოსავლებს და იბეგრება გადახდის წყაროსთან, უფლება აქვს, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარადგინოს დეკლარაცია დაკავებული გადასახადის გადაანგარიშების და დაბრუნების მოთხოვნით. ამ უფლების გამოყენების შემთხვევაში:

ა) არარეზიდენტის შემოსავალი იბეგრება იმავე წესით, როგორითაც დაიბეგრებოდა ეს შემოსავალი, გადასახადის გადამხდელის საქართველოში არსებულ მუდმივ დაწესებულებასთან რომ ყოფილიყო დაკავშირებული.

თავი XIII

საგადასახადო აღრიცხვის წესები

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სწორად და დროულად აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები დოკუმენტურად დადასტურებულ მონაცემთა საფუძველზე და მიაკუთვნოს იმ საანგარიშო პერიოდს რომელშიც მოხდა მათი მიღება და გაწევა. *გადასახადის გადამხდელი შემოსავლებისა და ხარჯების აღსარიცხავად იყენებს იგივე მეთოდს, რომელსაც იყენებს ბუღალტრული აღრიცხვისათვის კერძოდ, **საკასო** ან **დარიცხვის** მეთოდს.*

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სრულად აღრიცხოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია, რათა გარანტირებული იყოს კონტროლი მათ დაწყებაზე, მიმდინარეობასა და დასრულებაზე.

სამეწარმეო საქმიანობისათვის ქვეყნის შიგნით საქონლის მიწოდების შემთხვევაში (გარდა სპეციალური დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშფაქტურების მიხედვით განხორციელებული მიწოდებისა, რომლებიც მოიცავს ზედნადებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს) სასაქონლო ზედნადები უნდა გამოიწეროს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმითა და წესით, რის გარეშეც აკრძალულია საქონლის ტრანსპორტირება. ამასთანავე, საქონლის მიწოდებისას სასაქონლო ზედნადების გამოწერის შემთხვევაში აკრძალულია ზედნადების გარეშე საქონლის შენახვა.

თუ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების მიხედვით გადასახადის გადამხდელის ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები და კოდექსით დადგენილი ზღვრული ნორმები განსხვავდება ერთმანეთისაგან, **მაშინ დასაბეგრი ობიექტის განსაზღვრის მიზნით პირმა უნდა უზრუნველყოს გამოქვითვების საგადასახადო აღრიცხვა. შემოსავლის (მოგების) კორექტირება ხდება მხოლოდ საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.**

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია საგადასახადო წლის განმავლობაში გამოიყენოს მის მიერ შერჩეული ერთ-ერთი მეთოდი

– საკასო ან დარიცხვის.

ფიზიკურ პირს უფლება აქვს, შემოსავლები და ხარჯები აღრიცხოს საკასო მეთოდით.

დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია გამოიყენოს აღრიცხვის დარიცხვის მეთოდი.

თუ გადასახადის გადამხდელი არაფულადი ფორმით იღებს შემოსავლებს ან ეწევა ხარჯებს, ასეთი შემოსავლების მიღების ან ხარჯების გაწევის მომენტი განისაზღვრება იგივე წესით, რა წესითაც განისაზღვრება ფულადი ფორმით შემოსავლების მიღების ან ხარჯების გაწევის მომენტი.

გადასახადის გადამხდელმა, რომელიც იყენებს აღრიცხვის საკასო მეთოდს, შემოსავლები უნდა აღრიცხოს მათი მიღების ან გამოყენების და განკარგვის უფლების მოპოვების მომენტიდან და ხარჯები გამოქვითოს განაღდების შემდეგ (*აღნიშნული არ ეხება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ამორტიზაციას დაქვემდებარებულ ძირითად საშუალებებს*).

ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას შემოსავლების მიღების მომენტად ითვლება ნაღდი ფულის მიღების მომენტი, ხოლო უნაღდო წესით ანგარიშსწორებისას - ფულადი სახსრების ჩარიცხვა ბანკში გადასახადის გადამხდელის მიმდინარე ანგარიშზე ან სხვა ანგარიშზე, რომლის განკარგვის ან რომლიდანაც ამ სახსრების მიღების უფლება აქვს.

ურთიერთჩათვლის დროს, როდესაც ხდება გადასახადის გადამხდელის ფინანსურ ვალდებულებათა გაუქმება ან დაფარვა, ხარჯების გაწევის მომენტად მომენტად ითვლება ამ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის მომენტი.

აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება გადასახადის გადამხდელის მიერ ხარჯების ფაქტობრივად გაწევის მომენტი.

გადასახადის გადამხდელის მიერ აღრიცხვაში დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება გადასახადის გადამხდელის მიერ ამ შემოსავლების მიღების უფლების მოპოვების და ასეთი ხარჯების აღიარების მომენტის მიხედვით, შე-

მოსავლების ფაქტობრივად მიღებისა და ხარჯების გაწევის მომენტის მიუხედავად, ანუ შემოსავლების მიღების მომენტად ითვლება საქონლის ან მომსახურების მიწოდების მომენტი.

გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლების მიღების უფლება მოპოვებულად ითვლება, თუ შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადასახადის გადამხდელისათვის გადახდას, ან თუ მან შეასრულა გარიგებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

თუ გადასახადის გადამხდელი ეწევა მომსახურებას, შემოსავლების მიღების უფლება მოპოვებულად ითვლება მის მიერ გარიგებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დამთავრების მომენტში.

თუ გადასახადის გადამხდელი იღებს ან უფლება აქვს მიიღოს შემოსავალი პროცენტის სახით ან ქონების იჯარით გადაცემით, შემოსავლის მიღების უფლება მოპოვებულად ითვლება **სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის მომენტში**. თუ სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადა გადასახადის გადახდის თვალსაზრისით მოიცავს რამდენიმე საანგარიშო პერიოდს მაშინ შემოსავალი საანგარიშო პერიოდებს შორის ნაწილდება თითოეულ საანგარიშო პერიოდში დარიცხული ან დასარიცხი თანხის მიხედვით.

გადასახადის გადამხდელის მიერ აღრიცხვაში დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას გარიგებასთან (ხელშეკრულებასთან) დაკავშირებული ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება მომენტი, როცა შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) შესაძლებელია გადასახადის გადამხდელის მიერ ფინანსური ვალდებულების აღების ცალსახად მიჩნევა;

ბ) ფინანსური ვალდებულების ოდენობა შეიძლება შეფასდეს საკმარისი სიზუსტით;

გ) გარიგების (ხელშეკრულების) ყველა მონაწილემ ფაქტობრივად შეასრულა თავისი ვალდებულება ამ გარიგების (ხელშეკრულების) მიხედვით და სათანადო ანაზღაურება ექვემდებარება აუცილებელ გადახდას.

ფინანსურ ვალდებულებაში იგულისხმება გარიგების (ხელშეკ-

რულების) შედეგად აღებული ვალდებულება, რომლის შესრულების ძალითაც გარიგების (ხელშეკრულების) მეორე მონაწილემ უნდა მიუთითოს ვალდებულების შესაბამისი შემოსავალი ფულადი ან სხვა ფორმით.

სავალო ვალდებულების პროცენტის ან იჯარით გაცემული ქონებიდან გადასახდელის გადახდისას ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება **სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის მომენტი**. *თუ სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადა გადასახადის გადახდის თვალსაზრისით მოიცავს რამდენიმე საანგარიშო პერიოდს, ხარჯები საანგარიშო პერიოდებს შორის ნაწილდება მათი დარიცხვების შესაბამისად.*

იურიდიული პირის დაფუძნების გარეშე ერთზე მეტი პირის საკუთრების ბაზაზე ამხანაგობის ან სხვა წარმონაქმნების ერთობლივი ფლობის (თანამფლობელობის) შემთხვევაში უნდა აღირიცხოს ერთობლივი შემოსავლები და გამოსაქვითი ხარჯები, გამოითვალოს დასაბეგრი მოგება (შემოსავალი) და შემდეგ უნდა გადანაწილდეს მონაწილეთა შორის მათი წილის შესაბამისად. მონაწილეებმა კი თავ-თავიანთ ერთობლივ შემოსავალში უნდა შეიტანონ მათი წილის შესაბამისი დასაბეგრი მოგება რაც ჩაირთვება მათ ერთობლივ შემოსავალში.

თუ გადასახადის გადამხდელი აღრიცხვას ახდენს დარიცხვის მეთოდით, მაშინ გათვალისწინებული უნდა იქნეს შემოსავლები და გამოქვითვები გრძელვადიანი კონტრაქტების მიხედვით, საგადასახადო წლის განმავლობაში პროპორციულად, მათი ფაქტობრივი შესრულების შესაბამისად. თუ მაგალითად კომპანია ავანსის სახით ღებულობს თანხებს, *მაშინ მის მიერ მიღებული თანხიდან შემოსავლად აღიარდება ის თანხა, რომელიც კონტრაქტის (ან მისი ნაწილის)* ***ფაქტობრივი შესრულების*** *პროპორციულია* (მიღებული პრაქტიკით კონტრაქტის ცალკეული ეტაპი შესრულებულად ითვლება მხარეების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურების შემდეგ).

გრძელვადიანი კონტრაქტის მიხედვით ***შესრულების მოცულობა*** *განისაზღვრება საგადასახადო წლის ბოლომდე გაწეული ხარჯების შეპირისპირებით კონტრაქტით გათვალისწინებულ ერთობლივ ხარჯებთან.*

გრძელვადიან კონტრაქტში იგულისხმება კონტრაქტი წარმოებაზე, დადგმაზე, მშენებლობაზე ან შესაბამისი მომსახურების გაწევაზე, რომელიც არ დამთავრებულა იმ საგადასახადო წელს, რომელშიც დაიწყო კონტრაქტით (გარდა იმ კონტრაქტისა, რომლის დასრულებაც მოსალოდნელია კონტრაქტით გათვალისწინებული მომსახურების დაწყებიდან 6 თვის განმავლობაში) გათვალისწინებული მომსახურება.

დასაბეგრი შემოსავლის (მოგების) განსაზღვრის მიზნით ერთობლივ შემოსავალს უნდა გამოაკლდეს საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ღირებულება, <u>ასევე უნდა გამოაკლდეს შეძენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ღირებულება</u> და დაემატოს საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ღირებულება. ეს წესი უზრუნველყოფს რეალურად გახარჯული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ასახვას დანახარჯებში, რასაც თავის მხრივ ითვალისწინებს მოგების გადასახადის დეკლარაციის შევსების მეთოდიკა.

საგადასახადო კოდექსი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განსაზღვრისას ეყრდნობა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს და განმარტავს, რომ – ეს არის პირის მიერ ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში გამოყენებული ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები, მარაგ-ნაწილები, ტარა და მზა პროდუქცია (საქონელი).

ბასს-ის მიხედვით კი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ისეთი აქტივებია, რომლებიც:

ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;

ბ) მონაწილეობს წარმოების პროცესში და ასევე გათვალისწინებულია გასაყიდად;

გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით და განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შემადგენლობაში შეიტანოს თავის საკუთრებაში

არსებული დამუშავებული ან ნაწილობრივ დამუშავებული საქონელი, მისი ადგილმდებარეობის მიუხედავად, კერძოდ, ნედლეული ან/და მასალები (გარდა კაპიტალიზებადი ხარჯებისა), რომლებიც შეძენილია შემდგომი რეალიზაციისათვის ან საქონლის წარმოებისათვის ასევე მომსახურების გაწევისათვის.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღრიცხვისას გადასახადის გადამხდელი ვალდებულია წარმოებული ან შეძენილი საქონლის ღირებულება აღრიცხვაში ასახოს ამ საქონლის წარმოებაზე გაწეული ხარჯების (გარდა საამორტიზაციო ანარიცხებისა ან შეძენის ფასის მიხედვით, ამასთან საქონლის ღირებულებაში შეიტანება მისი შენახვისა და ტრანსპორტირების ხარჯები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღრიცხვისას გადასახადის ***გადამხდელს უფლება*** *აქვს დეფექტური ან მოძველებული და მოდიდან გამოსული საქონელი, რომლის რეალიზაციაც შეუძლებელია მის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებზე ან შეძენის ფასზე მეტ ფასად,* ***შეაფასოს ამ საქონლის შესაძლო სარეალიზაციო ფასით.***

მაგალითი: საწარმოს წლის დასაწყისში ჰქონდა 500 ათასი ლარის სასაქონლო-მატერიალური მარაგი, რომელიც წლის განმავლობაში არ გაყიდულა. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს ეს მარაგები შეაფასა 100 ათას ლარად და საწარმოს ის ჩამოწერა თუმცა არ გაუყიდია.

მოცემულ პირობებში: სსკ 145-ე მუხლით დადგენილი წესის თანახმად სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოფასების თანხა ამცირებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ სასაქონლო-მატერიალური მარაგის ნაშთს და თითქოს უნდა შეამციროს საანგარიშო წლის დასაბეგრი შემოსავალი, მაგრამ თუ ჩამოფასებული საქონელი ჯერ არ გაყიდულა მაშინ ეს ვერ მოხერხდება სსკ 106-ე მუხლის "ე" ნაწილის თანახმად, იგი გამოიქვითება იმ საანგარიშო პერიოდში, რომელშიც საქონელი გაიყიდება ან გაიხარჯება.

თუ გადასახადის გადამხდელი არ ახდენს თავის საკუთრებაში არსებული საქონლის ინდივიდუალურ აღრიცხვას, **ამ საქონლის რეალიზაციისას** გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღსარიცხად გამოიყენოს ერთ-ერთი მეთოდი:

ა) ინდივიდუალური აღრიცხვის მეთოდი;

ბ) მეთოდი **Fifo**, რომლის მიხედვითაც საანგარიშო პერიოდში **პირველ რიგში რეალიზებულად ითვლება** ის საქონელი, რომელიც **საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის მიკუთვნებულია სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობას**, ხოლო შემდეგ რეალიზებულად - ის საქონელი, რომელიც წარმოებულია (შეძენილია) საანგარიშო პერიოდის მანძილზე (განმავლობაში) მისი წარმოების (შეძენის) დროის მიხედვით;

გ) საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდი.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანიამ 2011 წლის 1 მაისს, შემდგომი რეალიზაციის მიზნით შეიძინა საქონელი 7 000 ერთეულის ოდენობით, ერთეული 2 ლარად, სულ 14 000 ლარად; იმავე წლის 5 ივნისს შეიძინა იმავე სახის საქონელი 1 000 ერთეული, ერთეული 2,5 ლარად, სულ 2 500 ლარად; იმავე წლის 3 ივლისს შეიძინა იმავე სახის საქონელი 4 000 ერთეული, ერთეული 3 ლარად, სულ 12 000 ლარად. 4 აგვისტოს მან გაყიდა საქონლის 5 000 ერთეული, ერთეული 4 ლარად, სულ 20 000 ლარად.

„ბ“ მეთოდით პირველ რიგში გასულად ითვლება პირველად შემოსული საქონელი, ე.ი. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება შეადგენს 10 000 ლარს (5 000 * 2);

„გ“ მეთოდით ხდება არსებული საქონლის ერთეულის შეწონილი ღირებულების გამოყვანა და მხოლოდ ამის სემდეგ ხდება მისი მიკუთვნება რეალიზებული საქონლის თვითრირებულებისათვის. ჩვენს შემთხვევაში საშუალო შეწონილი ღირებულება იქნება (7 000 * 2 + 1 000 * 2,5 + 4 000 * 3) : 12 000 = 2,38 ლარი, ხოლო მიწოდებული საქონლის თვითღირებულება 11 900 ლარი (5 000 * 2,38).

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღრიცხვისას გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, დეფექტური ან მოძველებული და მოდიდან გამოსული საქონელი, რომლის რეალიზაციაც შეუძლებელია მის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებზე ან შეძენის ფასზე მეტ ფასად, შეაფასოს ამ საქონლის შესაძლო სარეალიზაციო ფასით.

ვადაგასული ან/და გამოსაყენებლად ან შემდგომი მიწოდებისთვის უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერისას **გადასახადის გადამხდელი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს შეატყობინოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით) შესახებ და ჩამოწერა განახორციელოს მხოლოდ საგადასახადო ორგანოს მიერ შესაბამისი დადასტურების შემთხვევაში.** საგადასახადო ორგანო გადამხდელის მიმართვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ვალდებულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის შემთხვევაში პირდაპირ დაუდასტუროს ან ადგილზე გასვლით მოახდინოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ფიზიკური გადამოწმება და დაუდასტუროს გადასახადის გადამხდელს ჩამოწერის დოკუმენტი.

ადრე გამოქვითული ხარჯების, ზარალისა და უიმედო ვალების ანაზღაურებით მიღებული თანხა იმ წლის შემოსავლად ითვლება, რომელშიც მოხდა მისი ანაზღაურება.

თუ ხდება წინასწარ გამოქვითული რეზერვების შემცირება, შემცირებული თანხა შეიტანება ერთობლივ შემოსავალში (ეხება სადაზღვევო კომპანიებს)

მ ა გ ა ლ ი თ ი:

საქართველოს საწარმომ, 2011 წლის საგადასახადო მოგების გაანგარიშებისას, ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითა უიმედო მოთხოვნა 5 000 ლარის ოდენობით. 2012 წელს საწარმოს აუნაზღაურდა 2011 წელს უიმედოდ აღიარებული მოთხოვნა, ამიტომ საწარმო ვალდებულია უიმედო მოთხოვნის ანაზღაურებით მიღებული თანხა 5 000 ლარი ასახოს 2012 წლის ერთობლივ შემოსავალში.

აქტივების მიწოდებისას მიღებული მოგება არის დადებითი სხვაობა მათი მიწოდებით მიღებულ შემოსავლებსა და ამ აქტივების ღირებულებას შორის, რომელიც განისაზღვრება საგადასახადო კოდექსის 148 მუხლის შესაბამისად, რომლის თანახმადაც **აქტივების ღირებულებაში შეიტანება მათი შესყიდვის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟისა და დადგმის ხარჯები (დანახარჯები), აგრეთვე სხვა ხარჯები (დანახარჯები), რომლებიც ზრდის მათ ღირებულე-**

ბას, გარდა ისეთი ხარჯებისა (დანახარჯებისა), რომელთა პირდაპირ გამოქვითვის უფლება აქვს გადასახადის გადამხდელს, ხოლო აქტივების უსასყიდლოდ მიღებისას – ამ აქტივების საბაზრო ფასი.

ბასს-ით – ,,აქტივი არის საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური ან არამატერიალური ***რესურსი,*** რომელიც წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგია და რის საფუძველზეც საწარმო მოელის მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას".

ბასს-ით – ,,აქტივი არ იქნება აღიარებული ბალანსში, თუ იგულისხმება, რომ გაწეული დანახარჯების შედეგად საწარმოში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა არ მოხდება მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. სამაგიეროდ იგი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების სახით"

აქტივების მიწოდებით მიღებული ზარალი არის უარყოფითი სხვაობა მათი მიწოდებით მიღებულ შემოსავლებსა და ამ აქტივების ღირებულებას შორის.

ზემოაღნიშნული დებულებები არ გამოიყენება იმ აქტივების მიმართ, რომლებიც ექვემდებარება ჯგუფური მეთოდით ამორტიზაციას და ასევე არ ვრცელდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმართ.

აქტივების უსასყიდლოდ ან თვითღირებულებაზე ნაკლები ფასით მიწოდებისას მიმწოდებელი პირის მოგება განისაზღვრება, როგორც დადებითი სხვაობა მიწოდებული აქტივების <u>საბაზრო ფასსა და საგადასახადო კოდექსის 148 მუხლის მიხედვით განსაზღვრულ აქტივების ღირებულებას შორის.</u>

დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრისას არანაირი მოგება ან ზარალი მხედველობაში არ მიიღება, თუ ხდება:

ა). აქტივების გადაცემა მეუღლეებს შორის;

მაგალითი:

მეუღლეები განქორწინდნენ. საქორწინო ხელშეკრულების თანახმად უნდა გაიყოს მათი ქონება. განაყოფი ქონებიდან მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები ცვეთადი აქტივებია და ორივე მათგანი პირველ ჯგუფში შედის. ვთქვათ მეუღლეებს შორის ქონების განაწილების დღეს ქონების ერთიანი ღირებულებითი ბალანსი იყო 15

000 ლარი (მსუბუქი ავტომობილის საწყისს ფასს, 10 000 ლარს, დამატებული სატვირთო ავტომობილის ფასი, 35 000 ლარი და გამოკლებული დარიცხული ცვეთა – 30 000 ლარი).

თუ ერთ-ერთი მეუღლე იღებს სატვირთო ავტომობილს, ხოლო მეორე მსუბუქს, მაშინ მათ ერთობლივ შემოსავალში უნდა შეიტანონ: პირველმა, სხვაობა სატვირთო ავტომობილის საბაზრო ფასსა და ჯგუფური მეთოდით ამ აქტივის წილად დარიცხულ ცვეთას შორის. მეორემ, შესაბამისად სხვაობა მსუბუქი ავტომობილის საბაზრო ფასსა და ჯგუფური მეთოდით ამ აქტივის წილად დარიცხულ ცვეთას შორის. ვთქვათ სატვირთო ავტომობილის საბაზრო ფასი გადაცემის დღეს არის 27 000 ლარი, მსუბუქი ავტომობილის 7 000 ლარი. ამ შემთხვევაში შემოსავალი, რომელიც აღიარებული უნდა იქნეს სატვირთო ავტომობილის მფლობელი მეუღლის მიერ, შეადგენს: [27 000 – 23 333 ლარი ცვეთა (35 000 : (35 000 + 10 000) * 30 000)] 3667 ლარს. ხოლო შემოსავალი რომელიც აღიარებული უნდა იქნეს მსუბუქი ავტომობილის მფლობელი მეუღლის მიერ, შეადგენს: 333 ლარს (7 000 – 6667).

მაგრამ თუ მეუღლეები შეთანხმდებიან, რომ ეს აქტივები განქორწინების შედეგად მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს დარჩეს, მაშინ არანაირი მოგება ან ზარალი არ უნდა იქნეს აღიარებული. ასეთ შემთხვევაში აქტივის მიმღები მეუღლისათვის მათი ღირებულება ტოლი იქნება 34 000 ლარის

ბ) აქტივების გადაცემა ყოფილ მეუღლეებს შორის განქორწინების დროს;

გ) აქტივის არანებაყოფლობითი განადგურება/ჩამორთმევა და განადგურების/ჩამორთმევის წლის მომდევნო 2 წლის დასრულებამდე:

გ.ა) განადგურების/ჩამორთმევის შედეგად მიღებული კომპენსაციის თანხის რეინვესტირება ხორციელდება მსგავსი სახისა და მახასიათებლის მქონე აქტივში;

გ.ბ) განადგურებული/ჩამორთმეული აქტივის ჩანაცვლება ხდება კომპენსაციის შედეგად მიღებული მსგავსი სახისა და მახასიათებლის მქონე აქტივით.

"გ" ქვეპუნქტში აღნიშნული შესაცვლელი აქტივის ღირებულება განისაზღვრება შემცვლელი აქტივის საბალანსო ღირებულების გათვალისწინებით განადგურების ან ჩამორთმევის მომენტისათვის.

"ა" ან "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადაცემული აქტივების ღირებულებად ითვლება გარიგების მომენტში მოცემული აქტივის ღირებულება გადამცემი მხარისათვის.

ზემოაღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება იმ აქტივებზე, რომლებიც საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ექვემდებარება ამორტიზაციას ჯგუფური მეთოდით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც "ა" ან "ბ" ქვეპუნქტის თანახმად ერთდროულად ხდება ჯგუფის ყველა აქტივის გადაცემა.

თუ ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაცია და პარტნიორ იურიდიულ პირს გადაეცემა მისი წილის პროპორციული (შესაბამისი) აქტივი და ამასთან, პარტნიორი იურიდიული პირი ლიკვიდაციამდე ფლობდა 50 პროცენტს ან მეტს ამ იურიდიულ პირში, მაშინ:

ა) ასეთი გადაცემა არ ითვლება აქტივების რეალიზაციად მიწოდებად ლიკვიდირებული იურიდიული პირის მიერ;

ბ) პარტნიორისათვის მისი წილის პროპორციით (წილის შესაბამისი) გადაცემული აქტივის ღირებულება იგივეა, რაც ამ აქტივის ღირებულება ლიკვიდირებული იურიდიული პირისათვის გადაცემამდე;

გ) აქტივების განაწილება არ წარმოადგენს დივიდენდს;

დ) მოგება და ზარალი არ მიიღება მხედველობაში ლიკვიდირებულ იურიდიულ პირში პარტნიორის წილის გაუქმებისას.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

ვთქვათ განხორციელდა კომპანიის ლიკვიდაცია. ლიკვიდაციის მომენტისათვის მისი აქტივების ღირებულება შეადგენდა 500 000 ლარს. ამ საწარმოს პარტნიორმა შპს X-მა რომლის წილიც კომპანიაში იყო 60%, მიიღო აქტივები მისი წილის პროპორციულად – 300 000 ლარის ოდენობით. ამ შემთხვევაში:

ა) კომპანიის მიერ აქტივების გადაცემა არ ჩაითვლება რეალიზაციად;

ბ) X-ისათვის მიღებული აქტივების ღირებულება ტოლია 300 000 ლარის;

გ) X-ისათვის მიღებული აქტივების ღირებულება არ წარმოადგენს დივიდენდს.

ამ ნაწილის მოთხოვნები არ ვრცელდება იმ აქტივებზე, რომელიც ექვემდებარება ამორტიზაციას ჯგუფური მეთოდით გარდა იმ შემთხვევისა, როცა ერთდროულად ხდება **ამორტიზაციის ერთი ნორმის მიხედვით დაჯგუფებული ჯგუფის ყველა აქტივის ერთდროულად გადაცემა**.

ამორტიზაციის ერთი ნორმის მიხედვით დაჯგუფებული ჯგუფის ყველა აქტივის გადაცემის შემთხვევაში მათი მიმღებისათვის აქტივების ღირებულებად ითვლება გადაცემის მომენტისათვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი, *რომლითაც ეს ჯგუფი აღრიცხული იყო გადამცემის მიერ (და არა აქტივების საბაზრო ღირებულება) აქტივების გადაცემის მომენტში;*

აღნიშნული დებულებები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანო დაამტკიცებს, რომ ლიკვიდაციის მიზანი გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებაა.

პირის (პირთა) მიერ იურიდიული პირისათვის მასში 50 პროცენტი ან მეტი წილის (აქციების) სანაცვლოდ აქტივების გადაცემა (დავალიანებით ან მის გარეშე) არ წარმოადგენს აქტივების მიწოდებას.

ვთქვათ Z პირი აფუძნებს K იურიდიულ პირს და მის საწესდებო კაპიტალში შეაქვს აქტივები (არაფულადი შენატანით), ითვლება, რომ ხდება ამ აქტივების გასხვისება, ე. ი. Z კარგავს საკუთრების უფლებას ამ აქტივებზე K პირის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა თუ რამდენი პროცენტი წილის მფლობელი იქნება Z პირი K-ში. რამდენადაც საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ასეთი გასხვისება არის საქონლის მიწოდება, წინამდებარე შემთხვევაში დაშვებულია **გამონაკლისი** იმ პირობით, თუ Z, K-ს საწესდებო კაპიტალში შეტანილი აქტივების სანაცვლოდ 50%-ის ან მეტის მფლობელი გახდება K –ში. სხვა შემთხვევაში (თუ K სანაცვლოდ

50%-ზე ნაკლებს იღებს) აღნიშნული ოპერაცია ჩაითვლება საქონლის მიწოდებად.

მიმღები მხარისათვის აქტივების ღირებულება იგივეა, რაც მიმწოდებელი მხარისათვის მათი ღირებულება გადაცემის მომენტისათვის.

აღნიშნული გაცვლის შედეგად მიღებული პარტნიორის წილის ღირებულება ტოლია გადაცემული აქტივების ღირებულებისა, გადაცემული (შესაბამისი) დავალიანების გამოკლებით.

აღნიშნული დებულებები არ ვრცელდება იმ აქტივებზე, რომლებიც საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ექვემდებარება ამორტიზაციას ჯგუფური მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ერთდროულად ხდება ამორტიზაციის ერთი ნორმის მიხედვით დაჯგუფებული ჯგუფის ყველა აქტივის ერთდროულად გადაცემა.

ამორტიზაციის ერთი ნორმის მიხედვით დაჯგუფებული ჯგუფების ყველა აქტივის გადაცემის შემთხვევაში, მათი მიმღები აქტივების ღირებულებად თვლის გადაცემის მომენტისათვის ჯგუფის ღირებულებით ბალანსს.

ზემოაღნიშნული დებულებები არ ვრცელდება ***უფლებრივი ნაკლის მქონე აქტივების გადამცემზე,*** თუ დავალიანება აღემატება გადაცემული აქტივების ღირებულებას.

რეორგანიზაციის მხარე იურიდიული პირის ან იურიდიულ პირთა მფლობელობაში არსებული ქონებისა და წილის (აქციების) ღირებულება ტოლია ამ ქონებისა და წილის (აქციების) ღირებულებისა რეორგანიზაციის განხორციელების წინ.

მაგალითად, თუ მოხდა **A** და **B იურიდიული პირების** შერწყმა, ახლად შექმნილი X პირის ქონების ღირებულება იქნება A და B პირების ქონების ღირებულებათა ჯამის ტოლი, რომელიც დგინდება არა საბაზრო ფასით, არამედ იმ ღირებულებით, რომლითაც ეს ქონება ან/და წილი აღრიცხული იყო A –სა და B-სთან მათი გადაცემის მომენტში. ასეთი გადაცემა A –სა და B-სათვის არ წარმოადგენს ქონების ან/და წილის რეალიზაციას, ვინაიდან A და B იურიდიული პირები იყვნენ.

ქონების ან წილის (აქციების) გადაცემა რეორგანიზაციის მხარე იურიდიულ პირებს შორის, არ ითვლება ქონების რეალიზაციად.

ვთქვათ, განხორციელდა შპს X-ის რეორგანიზაცია და გაიყო ორ იურიდიულ პირად, რომლის შედეგადაც ერთ-ერთი K დამფუძნებელი ღებულობს წილს ამ დაშლის შედეგად შექმნილ სხვა იურიდიულ პირში შპს Y-ში. ამასთან X-ში, K დამფუძნებლის წილი იყო 60%, რეორგანიზაციის შედეგად შპს Y-ში კი ღებულობს 80%-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ წილი გაიზარდა 1.3-ჯერ (80 : 60), მაგრამ წილის რაოდენობრივი ზრდა არ წარმოადგენს დივიდენდს და არ დაიბეგრება კანონმდებლობის შესაბამისად. უნდა აღინიშნოს, რომ პროცენტი არ წარმოადგენს წილის ღირებულებას. წილის ღირებულება არის თანხა (ან მისი შესატყვისი ქონება), რომელიც გადაიხადა პარტნიორმა წილის შეძენისას. ჩვენს შემთხვევაში K დამფუძნებლისათვის 80% და 60% წილის შესაბამისი ღირებულება ერთმანეთის ტოლია.

რეორგანიზაციის მხარე რეზიდენტ იურიდიულ პირში წილის (აქციების) ნებისმიერი გაცვლა წილზე (აქციებზე) სხვა მსგავს იურიდიულ პირში, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს მოცემული ოპერაციის მხარეს, არ ითვლება წილის (აქციების) რეალიზაციად. წილის (აქციების) ღირებულება, რომელთა გაცვლაც ხდება ამ შემთხვევაში, ტოლია წილის (აქციების) თავდაპირველი ღირებულებისა.

თუ საგადასახადო ორგანო არ დაამტკიცებს, რომ შერწყმის, შეძენის, მიერთების ან გაყოფის ოპერაციების მიზანი არის გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება, რეორგანიზაცია მოიცავს:

ა) ორი ან მეტი იურიდიული პირის შერწყმას;

ბ) ხმის უფლების მქონე 50 პროცენტის ან მეტი წილისა და რეზიდენტი იურიდიული პირის პარტნიორის წილის საერთო მოცულობის ღირებულების 50 პროცენტის ან მეტის შეძენას ან მიერთებას მხოლოდ შეძენის ან მიერთების ოპერაციაში პარტნიორ მხარეთა მსგავსი უფლებებით, წილის (აქციების) სანაცვლოდ;

გ) რეზიდენტი იურიდიული პირის აქტივების 50 პროცენტის და მეტის შეძენას სხვა რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ ხმის უფლების მქონე წილის (აქციების) სანაცვლოდ, დივიდენდებთან მიმართებით პრივილეგირებული უფლების გარეშე.

დ) რეზიდენტი იურიდიული პირის გაყოფას ორ ან მეტ რე-

ზიდენტ იურიდიულ პირად.

რეორგანიზაციის მხარედ მიიჩნევა ნებისმიერი რეზიდენტი იურიდიული პირი:

ა) რომელიც პირდაპირ არის ჩართული რეორგანიზაციაში;

ბ) რომელიც უშუალოდ ფლობს რეორგანიზაციაში პირდაპირ ჩართულ რეზიდენტ იურიდიულ პირს, რომელიც გულისხმობს ამ იურიდიულ პირში ხმის უფლების მქონე წილის (აქციების) 50 პროცენტის ან მეტის და ყველა სხვა დარჩენილი წილის (აქციების) ღირებულების 50 პროცენტის ან მეტის ფლობას.

გ) რომელსაც ფლობს რეორგანიზაციაში პირდაპირ ჩართული რეზიდენტი იურიდიული პირი.

აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება იმ აქტივებზე, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას ჯგუფური მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამორტიზაციის ერთი ნორმის მიხედვით დაჯგუფებული ჯგუფის ყველა აქტივი ერთდროულად გადაიცემა. მათი მიმღებისათვის აქტივების ღირებულებად ითვლება გადაცემის მომენტისათვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი.

თავი XIV

გადასახადების ადმინისტრირების წესები

პირი, რომელიც ვალდებულია გამოიანგარიშოს საშემოსავლო ან მოგების გადასახადი, საგადასახადო ორგანოს, საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით, საანგარიშო წლის **მომდევნო წლის 1 აპრილამდე** უნდა წარუდგინოს **დეკლარაცია, კერძოდ ესენი არიან:**

ა) რეზიდენტი ფიზიკური პირები, რომელთა შემოსავლებიც არ ექვემდებარება დაბეგვრას საქართველოში არსებულ გადახდის წყაროსთან;

ბ) საქართველოს საწარმოები;

გ) არარეზიდენტი ფიზიკური პირები და არარეზიდენტი საწარმოები, რომლებიც შემოსავლებს იღებენ საქართველოში არსებული წყაროდან და არ იბეგრებიან გადახდის წყაროსთან.

მეწარმე ფიზიკური პირი საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტისას საგადასახადო ორგანოს 30 სამუშაო დღის ვადაში წარუდგენს დეკლარაციას ერთობლივი შემოსავლებისა და გამოქვითვების შესახებ. ამასთანავე, შემდგომ პერიოდში გადასახადის გადამხდელს ეკონომიკური საქმიანობის განახლებამდე არ ევალება საგადასახადო დეკლარაციის წარდგენა.

იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სალიკვიდაციო კომისია ან გადასახადის გადამხდელი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს საგადასახადო ორგანოს. იურიდიული პირის ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია წარუდგინოს დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს.

ფიზიკურ პირს (სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური პირის გარდა), რომელიც მიღებული ერთობლივი წლიური შემოსავლიდან არ ახორციელებს გამოქვითვებს (გარდა დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს მოქალაქეებისთვის გადახდილი ანაზღაურებისა), უფლება აქვს, არ წარადგინოს საგადასახადო ორგანოში საშე-

მოსავლო გადასახადის შესახებ წლიური დეკლარაცია. ამ შემთხვევაში მის მიერ დადგენილ ვადაში ფაქტობრივად გადახდილი წლიური საშემოსავლო გადასახადის თანხა ჩაითვლება საშემოსავლო გადასახადის მიხედვით დეკლარირებულ საგადასახადო ვალდებულებად. ამასთანავე, თუ დეკლარირება შემდგომ განხორციელდება აღნიშნული პერიოდების მიხედვით, იგი შესწორებულ დეკლარაციად ჩაითვლება.

ფიზიკურ პირს, რომელიც არ არის ვალდებული, წარადგინოს დეკლარაცია, შეუძლია წარადგინოს იგი გადასახადის გადაანგარიშებისა და დაბრუნების მოთხოვნით.

პირი ვალდებულია, ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია ,,გადახდის-უუნარობის საქმის წარმოების შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით სასამართლოს მიერ გამოტანილი გაკოტრების შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 15 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს:

ა) გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებამდე, სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისი, წარუდგენელი დეკლარაციები საშემოსავლო და მოგების გადასახადის შესახებ. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელი გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისად საშემოსავლო/მოგების გადასახადის დეკლარაციას არ წარადგენს;

ბ) გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებამდე სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისი, წარუდგენელი დეკლარაციები გაცემული შრომის ანაზრაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელი გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისად გაცემული შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ დეკლარაციას არ წარადგენს.

მომავალი მესაკუთრის საკუთრების უფლების რეგისტრაციამდე მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია ფიზიკურ პირს აცნობოს საგადასახადო ანგარიშგებისა და გადასახადის გადახდის ვალდებულების შესახებ, აგრეთვე მისი შეუსრულებლობისას საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის თაობაზე:

ა) ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული აქტივის რეალიზაციის შემთხვევაში;

ბ) ფიზიკური პირის მიერ ქონების საჩუქრად მიღების (გარდა I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ქონების ჩუქებით მიღებისა და III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში 150 000 ლარამდე ღირებულების ქონების ჩუქებით ან/და მემკვიდრეობით მიღებისა) შემთხვევაში;

გ) III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში 150 000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების ჩუქებით ან/და მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში.

III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში 150 000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების ჩუქებით ან/და მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადი ექვემდებარება გადახდას 2 კალენდარული წლის განმავლობაში, რომლის დროსაც დეკლარაციის წარდგენისა და გადასახადის გადახდის ვადებს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

საქართველოში არსებული დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს მოქალაქეებისთვის გადახდილი ანაზღაურების დაბეგვრის წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალება საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, კერძოდ:

ა) პირი, რომელიც დაქირავებულს უხდის ხელფასს, გარდა:

ა.ა) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ საქართველოს რეზიდენტი დაქირავებულისათვის გადახდილი ხელფასისა;

ა.ბ) არარეზიდენტის მიერ დაქირავებულისათვის გადახდილი ხელფასისა, როდესაც ასეთი ხარჯი არ მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების ხარჯებს;

მ ა გ ა ლ ი თ ი:

ფიზიკური პირი, რომელიც არ არის მეწარმე, აშენებს სახლს. ამისათვის მან დაიქირავა ფიზიკური პირები და უნაზრაურებს მათ მომსახურების თანხას შესრულებული სამუშაოს მიხედვით. დაქირავებულ პირებს არა აქვთ გადასახადის გადამხდელის მოწმობა.

მოცემულ პირობებში:

არამეწარმე დამქირავებელ ფიზიკურ პირს არა აქვს ვალდებულება დააკავოს საშემოსავლო გადასახადი დაქირავებული ფიზიკური პირებისათვის გადახდილი საზღაურიდან. თუმცა შემოსავლის მიმღებ ფიზიკურ პირებს (დაქირავებულებს) თავად ევალებათ გადაიხადონ საშემოსავლო გადასახადი 153-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ''ა'' პუნქტის შესაბამისად.

ბ) პირი, რომელიც პირს უხდის პენსიას, გარდა იმ პენსიისა, რომელიც გაიცემა სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში;

გ) პირი, რომელიც იხდის საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ გადასახდელებს;

დ) საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც გაწეული მომსახურების ღირებულებას უნაზღაურებს ფიზიკურ პირს, რომელსაც არ აქვს გადასახადის გადამხდელის მოწმობა;

ე) წამახალისებელი გათამაშების, სამორინეს (აზარტული ტურნირის მოწყობის ნაწილში), აზარტული კლუბის (აზარტული ტურნირის მოწყობის ნაწილში), ლოტოს, ბინგოსა და ლატარიის მომწყობი პირი, რომელიც ფიზიკურ პირს უხდის მოგებას.

შენიშვნა:

ფიზიკური პირის მიერ მოგებისას, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, სამორინეს, აზარტული კლუბის, ტოტალიზატორის, სათამაშო აპარატების სალონის მომწყობი პირი აღნიშნული საქმიანობის ნაწილში ვალდებულია შეასრულოს საგადასახადო აგენტისათვის გათვალისწინებული ვალდებულებები;

ვ) პირი, რომელიც პირს უხდის სტიპენდიას, გარდა სახელმწიფო სტიპენდიისა;

ზ) რეზიდენტი საწარმო, რომელიც პირს უხდის დივიდენდს;

თ) პირი, რომელიც პირს უხდის პროცენტს;

ი) პირი, რომელიც ფიზიკურ პირს უხდის როიალტს;

კ) ,,ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 26-ე პუნქტით გათვალისწინებული საბროკერო კომპანია, გადასახადის გადამხდელად არარეგისტრირებული პირის ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის შემთხვევაში, ასეთი რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის გაცემისას;

ლ) პირი, რომელიც უსასყიდლოდ გადასცემს ქონებას ფიზიკურ პირს, რომელსაც არ აქვს გადასახადის გადამხდელის მოწმობა, გარდა ამ პირის მიერ ამავე ფიზიკური პირისათვის საგადასახადო წლის განმავლობაში 1 000 ლარამდე ღირებულების ქონების უსასყიდლოდ გადაცემისა. ანუ წყაროსთან დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ ის თანხა, რა თანხითაც (წლის განმავლობაში ჯამურად) ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება 1 000 ლარს.

მ) სსზ-ის სტატუსის მქონე იურიდიული პირი – საგადასახადო კოდექსის 133^1 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ნ) ტურისტული საწარმო – საგადასახადო კოდექსის 133^2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებისას:

ა) გადასახადის დაკავებისა და ბიუჯეტში მისი გადარიცხვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება შემოსავლის გადამხდელს;

ბ) გადასახადის თანხის დაუკავებლობის შემთხვევაში შემოსავლის გადამხდელი ვალდებულია ბიუჯეტში შეიტანოს დაუკავებელი გადასახადის თანხა ფაქტობრივად გადახდილი ანაზღაურების შესაბამისად და მასთან დაკავშირებული სანქციები;

გ) შემოსავლის გადამხდელის სახელით გადასახადისა და სანქციების თანხა შეიძლება გადაიხადოს შემოსავლის მიმღებმა.

პირი, რომელიც გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია:

ა) ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში – შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში;

ბ) ხელფასის გადახდისას შემოსავლის მიმღებ ფიზიკურ პირს მისი მოთხოვნის შემთხვევაში მისცეს ცნობა ამ პირის გვარისა და სახელის, შემოსავლის თანხისა და სახეობის, აგრეთვე დაკავებული გადასახადის (თუ გადასახადი დაკავებული იყო) თანხის მითითებით;

გ) ცნობა შემოსავლის მიმღები პირის სარეგისტრაციო ნომრის, გვარისა და სახელის, საცხოვრებელი ადგილის მისამართის, საანგარიშო პერიოდისათვის შემოსავლის საერთო თანხისა და დაკავებული გადასახადის საერთო თანხის მითითებით:

გ.ა) წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს არა უგვიანეს გადასახადის დაკავების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა;

გ.ბ) გადასცეს შემოსავლის მიმღებ პირს მისი მოთხოვნის შემთხვევაში.

საწარმოები და მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას, ვალდებულნი არიან მიმდინარე გადასახდელების თანხები ბიუჯეტში შეიტანონ გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

ა) არა უგვიანეს 15 მაისისა – 25%;

ბ) არა უგვიანეს 15 ივლისისა – 25%;

გ) არა უგვიანეს 15 სექტემბერისა – 25%;

დ) არა უგვიანეს 15 დეკემბერისა – 25%.

გადასახადის გადამხდელი, რომელსაც გასული საგადასახადო წლის განმავლობაში არ გააჩნდა დასაბეგრი შემოსავალი (მოგება), ასევე პირი, რომელსაც მიმდინარე წელს გაუუქმდა მიკრო ბიზნესის ან ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი და გასული საგადასახადო წლის მიხედვით ჰქონდა დასაბეგრი შემოსავალი მიმდინარე გადასახადებს არ იხდის.

თუ გადასახადის გადამხდელის მიმდინარე საგადასახადო წლის მოსალოდნელი დასაბეგრი შემოსავალი (მოგება), მათ შორის საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით, არანაკლებ 50%-ით მცირდება გასული საგადასახადო წლის შემოსავალთან (მოგებასთან) შედარებით და აღნიშნულის შესახებ იგი მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვადის დადგომამდე აცნობებს შესაბამის საგადასახადო ორგანოს, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს **შეამციროს ან საერთოდ არ გადაიხადოს მიმდინარე გადასახდელების თანხები**. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი ფაქტობრივი წლიური შედეგების მიხედვით არ დასტურდება მოსალოდნელი დასაბეგრი შემოსავლის (მოგების) არანაკლებ 50%-ით შემცირება და გადასახადის გადამხდელს საანგარიშო წლის განმავლობაში სრული ოდენობით არ გადაუხდია მიმდინარე გადასახდელები, მაშინ მან უნდა გადაიხადოს საურავი – მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვადების დადგენილი თარიღებიდან საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის თარიღამდე არსებულ დროის მონაკვეთში.

მიმდინარე გადასახდელთა ბიუჯეტში ჩარიცხული თანხები გადასახადის გადამხდელს ჩაეთვლება საგადასახადო წლის მიხედვით დარიცხულ გადასახადში.

ყველა ზემოაღნიშნული გადასახადების მიხედვით საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის პერიოდად ანუ **საგადასახადო პერიოდად დადგენილია კალენდარული წელი, რომელიც მოიცავს** დროის მონაკვეთს საანგარიშო წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ამასთან, 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით დაფუძნებული საწარმოებისათვის – დროის მონაკვეთს დაფუძნების დღიდან მომდევნო წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საწარმოები და მეწარმე ფიზიკური პირები, ვალდებულნი არიან მიმდინარე გადასახდელების თანხები ბიუჯეტში შეიტანონ გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის მიხედვით საგადასახადო კოდექსით დადგენილ ვადებში და პროპორციით.

მაგალითი:

საწარმომ 2011 წელს მოგების გადასახადის წლიურ დეკლარაციაში აჩვენა დასაბეგრი მოგება 1 000 000 ლარის ოდენობით, შესაბამისად მოგების გადასახადი (პირობითად) 150 000 ლარი (1 000 000 * 15%).

2012 წელს საწარმო არ ელოდება დასაბეგრი მოგების მნიშვნე-

ლოვან ცვლილებას გასულ 2011 წელთან შედარებით.

მოცემულ პირობებში:

საწარმო ვალდებულია 2012 წლის განმავლობაში გადაიხადოს (საგადასახადო ორგანო ვალდებულია საგადასახადო კოდექსით დაწესებულ ვადებში დაარიცხოს) მოგების გადასახადის მიმდინარე გადასახდელები შემდეგი ოდენობით:

15 მაისამდე – 37 500 ლარი,

15 ივლისამდე – 37 500 ლარი,

15 სექტემბრამდე – 37 500 ლრი,

15 დეკემბრამდე – 37 500 ლარი.

გადამხდელს საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდილი მიმდინარე გადასახდელების თანხები ეთვლება საგადასახადო წლის მიხედვით დარიცხულ გადასახადში.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

წინა მაგალითის პირობები უცვლელი რჩება იმ განსხვავებით, რომ საწარმომ 2012 წლის წლიურ დეკლარაციაში აჩვენა დასაბეგრი მოგება 1 200 000 ლარი და შესაბამისად მოგების გადასახადი 180 000 ლარი.

მოცემულ პირობებში:

საწარმოს მიმდინარე წლის 1 აპრილისათვის მოგების გადასახადის დამატებით გადახდის ვალდებულება წარმოეშვება 30 000 ლარზე (180 000 - 150 000).

გადამხდელი, პირველი საგადასახადო პერიოდის მიხედვით (საწარმო დაფუძნდა საანგარიშო წელში, ფიზიკურმა პირმა დაიწყო სამეწარმეო საქმიანობა) მიმდინარე გადასახდელებს არ იხდის. ასევე თუ გადამხდელმა გასული საგადასახადო წელი დაამთავრა ზარალით (არ გააჩნდა დასაბეგრი შემოსავალი (მოგება), მას საანგარიშო წელს მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვალდებულება არ წარმოეშვება.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

საწარმომ 2011 წელს მოგების გადასახდის წლიურ დეკლარაციაში აჩვენა ზარალი (გამოქვითების გადამეტება ერთობლივ შემოსავალზე) 100 000 ლარის ოდენობით.

მოცემულ პირობებში:

საწარმოს 2012 წელს მიმდინარე გადასახდელების გადახდის

ვალდებულება არ წარმოეშვება

საწარმო, რომელიც დაფუძნდება კალენდარული წლის 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, მომდევნო საგადასახადო წელს მიმდინარე გადასახდელებს არ გადაიხდის, რადგან ის მისთვის პირველი საგადასახადო პერიოდია.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

საწარმო დაფუძნდა და ფუნქცინირება დაიწყო 2011 წლის 3 დეკემბერს, ამ წლის 31 დეკემბრამდე (28 დღეში) მან მიიღო მოგება 15 000 ლარი.

მოცემულ პირობებში:

საწარმო 2012 წელს მიმდინარე გადასახდელებს არ გადაიხდის, ვინაიდან მისთვის მოგების გადასახადის მიზნებისათვის პირველ საგადასახადო პერიოდს წარმოადგენს დროის მონაკვეთი, დაფუძნების დღიდან მომდევნო წლის ბოლომდე ანუ 2011 წლის 3 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ცალკეულ შემთხვევებში გადამხდელს გასული საგადასახადო წლის შედეგებით შესაძლებელია ქონდეს დასაბეგრი შემოსავალი (მოგება), მაგრამ არ გააჩნდეს საგადასახადო ვალდებულება მოგების (საშემოსავლო) გადასახადის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვალდებულება არ წარმოიშვება.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

საწარმომ, რომელიც წარმოადგენს სამედიცინო დაწესებულებას, სამედიცინო საქმიანობიდან 2011 წელს მიიღო 100 000 ლარის დასაბეგრი მოგება. საწარმომ მიღებული მოგება მთლიანად მოახმარა დაწესებულების რეაბილიტაციას, რის გამოც მოგების აღნიშნული ნაწილი სრულად განთავისუფლდა მოგების გადასახადისაგან.

მოცემულ პირობებში:

საწარმოს 2012 წელს მოგების გადასახადის მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვალდებულება არ წარმოეშვება, რადგან 2011 წლის შედეგებით მას მოგების გადასახადში საგადასახადო ვალდებულება არ გააჩნდა.

გადამხდელს უფლება აქვს შემცირებული ოდენობით ან საერთოდ არ გადაიხადოს მიმდინარე გადასახდელები თუ გასული წლის შემოსავალთან (მოგებასთან) შედარებით მისი მოსალოდნელი დასა-

ბეგრი შემოსავალი (მოგება) მცირდება არანაკლებ 50%-ით და ამის შესახებ მიმდინარე გადასახდელის ვადის დადგომამდე აცნობებს საგადასახადო ორგანოს.

მაგალითი:

საწარმომ 2011 წელს მოგების გადასახდის წლიურ დეკლარაციაში აჩვენა დასაბეგრი მოგება 1 000 000 ლარის ოდენობით, შესაბამისად მოგების გადასახადი (პირობითად) 150 000 ლარი (1 000 000 * 15%). გადამხდელმა 2012 წლის **10 ივნისს** საგადასახადო ორგანოს წერილობით აცნობა იმის შესახებ, რომ მას 2012 წელს მოსალოდნელი დასაბეგრი მოგება წინა წლის მოგებასთან შედარებით უმცირდება არა ნაკლებ 50%-ით. იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებას (შეამციროს ან საერთოდ არ გადაიხადოს) და არ იხდის მიმდინარე გადასახადელებს.

მოცემულ პირობებში:

საგადასახადო ორგანო ვალდებულია შეასრულოს საწარმოს მოთხოვნა და მომავალი სამი ვადის მიხედვით აღარ განახორციელოს მიმდინარე გადასახდელების დარიცხვა. რაც შეეხება 2012 წლის 15 მაისის სავადოს მიხედვით დარიცხულ მიმდინარე გადასახდელს (37500 ლარი) მისი შემცირება არ განხორციელდება, რადგან საწარმომ მოსალოდნელი შემცირების შესახებ პირველი სავადოს დადგომამდე არ აცნობა საგადასახადო ორგანოს.

მაგალითი:

წინა მაგალითში აღნიშნულმა საწარმომ 2013 წლის 15 თებერვალს საგადასახადო ინსპექციაში წარადგინა 2012 წლის მოგების გადასახდის დეკლარაცია და მასში დასაბეგრი მოგება აჩვენა 550 000 ლარის ოდენობით, ანუ 2012 წელთან შედარებით 45 %-ით შემცირებული.

მოცემულ პირობებში:

ვინაიდან საწარმოს დასაბეგრი მოგება შეუმცირდა 50%-ზე ნაკლები ოდენობით, რაც იმას ნიშნავს, რომ დაცული არ არის საგადასახადო კოდექსის 155 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პირობა, გადამხდელს გადახდება საურავი მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვადების დადგენილი თარიღებიდან წლიური დეკლარაციის წარდგენის თარიღამდე არსებულ დროის მონაკვეთში. კერძოდ, საწარმოს გადასახდელის გადაუხდელობის შემთხვევაში 2012 წლის 15 თებერვლამდე პერიოდზე საურავი დაერიცხება 2011 წლის 16 მაისიდან 37500 ლარზე, 16 ივლისიდან 75000 ლარზე, 16 სექტემბრიდან 112500 ლარზე და 16 დეკემბრიდან 2012 წლის 15 თებერვლამდე 150000 ლარზე.

მაგალითი:

საწარმომ 2011 წელს მოგების გადასახადის წლიურ დეკლარაციაში აჩვენა დასაბეგრი მოგება 1 000 000 ლარის ოდენობით, შესაბამისად მოგების გადასახადი (პირობითად) 150 000 ლარი (1 000 000 * 15%). გადამხდელმა 2012 წლის **10 ივნისს** საგადასახადო ორგანოს წერილობით აცნობა იმის შესახებ, რომ მას 2012 წელს მოსალოდნელი დასაბეგრი მოგება წინა წლის მოგებასთან შედარებით უმცირდება არა ნაკლებ 50%-ით. იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებას (შეამციროს ან საერთოდ არ გადაიხადოს) გადაიხადოს მიმდინარე გადასახდელები **შემცირებული ოდენობით**, შესაბამისად 60 000 ლარი, ნაცვლად 150 000 ლარისა. მ.შ. მომავალ სამ სავადო გადასახდელზე (15 ივლისი, 15 სექტემბერი, 15 დეკემბერი) 22500 ლარი (60 000 – 37 500) (ვინაიდან მაისის თვის უკვე გადახდილია) ანუ თითოეულ სავადოზე 7500 ლარი.

მოცემულ პირობებში:

საგადასახადო ორგანო ვალდებულია შეასრულოს საწარმოს მოთხოვნა და 2012 წლის 15 ივლისის, 15 სექტემბრის და 15 დეკემბრის სავადოების მიხედვით საწარმოს დაარიცხოს 7500 ლარი, ხოლო 15 მაისის სავადოს მიხედვით დარიცხული მიმდინარე გადასახდელი (37500 ლარი) დატოვოს უცვლელი, რადგან საწარმომ მოსალოდნელი შემცირების შესახებ პირველი სავადოს დადგომამდე არ აცნობა საგადასახადო ორგანოს.

მაგალითი:

წინა მაგალითში აღნიშნულმა საწარმომ 2013 წლის 15 თებერვალს საგადასახადო ინსპექციაში წარადგინა 2012 წლის მოგების გადასახდის დეკლარაცია და მასში დასაბეგრი მოგება აჩვენა 550 000 ლარის ოდენობით, ანუ 2012 წელთან შედარებით 45 %-ით შემცირებული. ამ საწარმოს 2012 წელში დარიცხული მიმდინარე გადასახდელები 60 000 ლარი (22500 + 37500) მთლიანად გადახდილი აქვს.

მოცემულ პირობებში:

ვინაიდან საწარმოს დასაბეგრი მოგება შეუმცირდა 50%-ზე ნაკლები ოდენობით, გადამხდელს გადახდება საურავი მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვადების დადგენილი თარიღებიდან წლიური დეკლარაციის წარდგენის თარიღამდე არსებულ დროის მონაკვეთში. კერძოდ, საწარმოს საურავი დაერიცხება: 2012 წლის 16 ივლისიდან 30 000 ლარზე (37500-7500); 16 სექტემბრიდან 60 000 ლარზე (30 000+30 000) და 16 დეკემბრიდან 2013 წლის 15 თებერვლამდე პერიოდში 90 000 ლარზე (60 000+30 000).

საგადასახადო კანონმდებლობა გადამხდელს არ უწესებს რაიმე სახის შეზღუდვას იმის თაობაზე, თუ რომელ სავადომდე აქვს მას უფლება მიიღოს გადაწყვეტილება საგადასახადო კოდექსის 155 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული უფლების გამოყენების თაობაზე. ფაქტობრივად, აღნიშნულის თაობაზე გადამხდელს უფლება აქვს საგადასახადო ორგანოს მიმართოს მიმდინარე გადასახდელების დაწესებული სავადოების გასვლამდე.

მაგალითი:

საწარმომ 2011 წელს მოგების გადასახდის წლიურ დეკლარაციაში აჩვენა დასაბეგრი მოგება 1 000 000 ლარის ოდენობით, შესაბამისად მოგების გადასახადი (პირობითად) 150 000 ლარი (1 000 000 * 15%). გადამხდელმა საგადასახადო ინსპექციას 2012 წლის **20 ივლისს** აცნობა საანგარიშო წლის მოსალოდნელი დასაბეგრი მოგების გასული წლის მოგებასთან შედარებით არა ნაკლებ 50%-ით შემცირების შესახებ და მოითხოვა უკვე გადახდილი 75 000 ლარის (37500 ლარი გადაიხადა 15 მაისამდე და 37500 ლარი – 15 ივლისამდე) დაბრუნება.

მოცემულ პირობებში:

საგადასახადო ინსპექცია ვალდებულია გადამხდელის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე საწარმოს არ დაარიცხოს 15 სექტემბრს და 15 დეკემბრს სავადო გადასახადელები. მაგრამ საწარმოს მოთხოვნას, რომ მოახდინოს გასულ სავადოებზე დარიცხული 75 000 ლარის დაბრუნება საგადასახადო ორგანო ვერ დააკმაყოფილებს, რადგან საწარმომ შემოსავლების მოსალოდნელი შემცირების შესახებ პირველი და მეორე სავადოების დადგომამდე არ აცნობა მას.

გადამხდელები, რომლებიც ახდენენ გასული წლების ზარალის გამოქვითვას, საანგარიშო წლების მიხედვით მიმდინარე გადასახდელების ოდენობის განსაზღვრას ახორციელებენ იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე გადასახდელები უნდა განისაზღვროს გასული საგადასახადო წლის მიხედვით დარიცხული წლიური გადასახადის ოდენობის და არა ზარალის გამოქვითამდე დასაბეგრი მოგების მიხედვით.

მაგალითი:

საწარმომ 2009 წელი დაამთავრა 100 000 ლარის ზარალით, მანვე 2010 წელს მიიღო 60 000 ლარის მოგება (წინა წლების ზარალის გამოქვითამდე). საწარმომ 2010 წლის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითა 2009 წელში მიღებული ზარალიდან 60 000 ლარი.

2011 წელს საწარმომ კვლავ მიიღო მოგება 70 000 ლარის ოდენობით. მან განახორციელა დარჩენილი ზარალის (40 000 ლარი) გამოქვითვა. შესაბამისად, მისი 2011 წლის დასაბეგრი მოგება განისაზღვრა 30 000 ლარით, ხოლო მოგების გადასახადი 4500 ლარის (30 000*15%) ოდენობით.

მოცემულ პირობებში:

საწარმოს 2010 და 2011 საგადასახადო წლების განმავლობაში მოგების გადასახადის მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვალდებულება არ წარმოეშვება, რადგან შესაბამისად 2009 და 2010 წლების შედეგებით მას მოგების გადასახადში საგადასახადო ვალდებულება არ გააჩნდა. ამასთან, 2012 საგადასახადო წლის განმავლობაში საწარმოს ეკისრება მოგების გადასახადის მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვალდებულება 4500 ლარის ოდენობით.

თავი XV

დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადი ყველაზე ახალგაზრდა გადასახადია. მისი ამოღების სქემა შემუშავებული იქნა გასულ საუკუნეში 1954 წელს, ფრანგი ეკონომისტის მ. ლორეს მიერ.

დღეისათვის დღგ იკრიბება დაახლოებით მსოფლიოს 45-მდე ქვეყანაში, ზოგიერთ ქვეყანაში იგი შემოღებული იქნა გაცილებით გვიან, ვიდრე ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრ ქვეყნებში. მაგალითად იაპონიაში აღნიშნული გადასახადი შემოღებული იქნა 1989 წლიდან, ხოლო კანადაში 1990 წლიდან. აშშ-ში იგი საერთოდ არ იკრიბება.

საქართველოში დღგ შემოღებული იქნა 1992 წლის 15 მარტიდან და იგი წარმოადგენს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ერთ-ერთ ძირითად წყაროს.

დამატებული ღირებულების გადასახადის არსის გასარკვევად მიზანშეწონილია, განისაზღვროს უშუალოდ "დამატებული ღირებულება" რომელიც წარმოადგენს საქონლის ან მომსახურების ღირებულების იმ ნაწილს, რომელსაც მწარმოებელი ამატებს ნედლეულის, მასალების ან მომსახურების ღირებულებას და იყენებს წარმოების ან მომსახურების პროცესში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) – ეს არის მრავალსაფეხურიანი გადასახადი მოხმარებაზე, რომელიც ამოიღება საქონელბრუნვის ყველა ეტაპზე (იხ. ცხრილი №12).

ცხრილი №12

დღგ-ს ამოღების მექანიზმი (18%-იანი განაკვეთის პირობებში)

საქონლის მოძრაობის ეტაპი	შეძენილი საქონლის ღირებულება (დღგ-ს გარეშე)	რეალიზებული საქონლის ღირებულება (დღგ-ს გარეშე)	საქონლის შეძენისას გადახდილი დღგ	საქონლის რეალიზაციისას გადახდილი დღგ	ბიუჯეტში გადასახდელი დღგ
ნედლეულის პირველადი მწარმოებელი		10 000		1 800	1 800
გადამამუშავებელი საწარმო	10 000	20 000	1 800	3 600	1 800
საბითუმო რეალიზატორი	20 000	25 000	3 600	4 500	900
საცალო რეალიზატორი	25 000	40 000	4 500	7 200	2 700
საბოლოო მომხმარებელი	**40 000**		**7 200**		

დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად ითვლება:

ა) პირი, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად;

ბ) პირი, რომელიც ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად;

გ) პირი, რომელიც ახორციელებს **საქონლის იმპორტს** ან დროებით შემოტანას საქართველოში, **მხოლოდ ამ იმპორტზე** ან დროებით შემოტანაზე, **რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე**;

დ) არარეზიდენტი (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა), რომელიც ეწევა მომსახურებას საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისა და საქართველოში საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების გარეშე, მხოლოდ ამ მომსახურებაზე და ექვემდებარება უკუდაბეგვრას;

ე) პირი, რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ახორციელებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორის საკუთრებაში გადაცემას მხოლოდ ამ ოპერაციაზე და ექვემდებარება უკუდაბეგვრას, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;

ვ) პირი, რომლის საქონლის რეალიზაციაც ხდება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით, აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით, მხოლოდ ამ ოპერაციაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე.

ზ) პირი, რომლის სამეურვეო ქონების რეალიზაციაც ხდება ,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით, მხოლოდ ამ ოპერაციაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე.

პირი ვალდებულია გატარდეს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციაში, თუ:

ეწევა **ეკონომიკურ საქმიანობას** და ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა **აღემატება 100 000 ლარს**, ამ შემთხვევაში მან დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის 100 000 ლარზე გადაჭარბების დღიდან **არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა**, ხოლო დღგ-ის გადამხდელად ითვლება იმ დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტიდან (ამ ოპერაციის ჩათვლით), რომლის მიხედვითაც დასაბეგრი ოპერაციის საერთო თანხა გადააჭარბებს 100 000 *ლარს.*

მაგალითი:

შპს Z დარეგისტრირდა 2011 წლის 1 მარტს. იმავე თვეში მან განახორციელა 10 000 ლარის დასაბეგრი ოპერაციები. 2012 წლის 1 მარტამდე დასაბეგრმა ოპერაციებმა სულ შეადგინა 95 000 ლარი. 2012 წლის 1 მარტიდან 2012 წლის 1 აპრილამდე Z-მა აწარმოა 9 000 ლარის საქონლის რეალიზაცია, რომელიც

წარმოადგენს დასაბეგრ ოპერაციას. ამ შემთხვევაში Z- ს არ დაუდგა გადასახადის გადახდის ვალდებულება, ვინაიდან მისი შექმნის დღიდან, არც ერთი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში, დღგ-ით დასაბეგრმა რეალიზაციამ ვერ გადააჭარბა 100 000 ლარს. ვინაიდან, 2011 წლის 1 მარტიდან 2012 წლის 1 მარტამდე დღგ-თი დასაბეგრი ოპერაციების ჯამმა შეადგინა 95 000 ლარი, ხოლო 2011 წლის 1 აპრილიდან 2012 წლის 1 აპრილამდე – 94 000 ლარი (95 000 – 10 000 + 9 000).

ეკონომიკურ საქმიანობას არ განეკუთვნება:

ა) ფიზიკური პირის მიერ ყოველი უწყვეტი 48 თვის განმავლობაში მის საკუთრებაში არსებული 4 საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაცია;

ბ) „სავჭარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის მიერ რეგისტრირებულ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებზე GPRS და crypto-ს მოდულის ფისკალური საკონტროლო-სალარო აპარატის უსასყიდლოდ მიწოდება.

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ან რეგისტრაციიდან მოხსნის მიზნით 12-თვიან პერიოდად ითვლება ყოველი თვის პირველი რიცხვიდან ბოლო 12-თვიანი პერიოდი (იხ. ცხრილი №13).

მაგალითი:

შპს „პირამიდამ" თავისი ეკონომიკური საქმიანობა დაიწყო 2011 წლის აპრილში, მისი ყოველთვიური დასაბეგრი ბრუნვა შეადგენს:

შპს „პირამიდას" დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხამ 100000 ლარს გადააჭარბა 2012 წლის 15 თებერვალს.

მაგალითი:

შპს Z - მა 2011 წლის აპრილიდან 2012 წლის 4 მარტამდე განახორციელა 92 000 ლარის დღგ-თი დასაბეგრი ოპერაციები. 2012 წლის 5 მარტს დამატებით განახორციელა 20 000 ლარის დასაბეგრი ოპერაცია. თუ 6 და 7 მარტი სამუშაო დღეებია პირმა არაუგვიანეს 7 მარტისა უნდა წარადგინოს განცხადება დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციისათვის. თუ 5 მარტი არის პარასკევი, მაშინ განცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 9 მარტი, ხოლო დასაბეგრი ოპერაციის თანხა შეადგენს 20 000 ლარს.

ცხრილი №13

12 - თვიანი პერიოდი	დასაბეგრი ბრუნვა	დასაბეგრი ბრუნვების ჯამი
2011 წელი		
აპრილი	11500	11500
მაისი	11700	23200
ივნისი	20000	43200
ივლისი	15000	58200
აგვისტო	17000	75200
სექტემბერი	1500	77000
ოქტომბერი	1800	78800
ნოემბერი	2000	80800
დეკემბერი	9000	89800
2012 წელი		
იანვარი	1010	90 810
15 თებერვლისათვის	9240	**100 050**

თუ პირი ეწევა მხოლოდ საქველმოქმედო საქმიანობას ან რელიგიურ საქმიანობას, ან ისეთ საქმიანობას რომელიც საგადასახადო კოდექსის შესაბამისად არ ითვლება დასაბეგრ ოპერაციად, მას დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება არ გააჩნია.

მაგალითი:

ორგანიზაცია ეწევა მხოლოდ საქველმოქმედო საქმიანობას, ყიდულობს საკვებს და ამ საქონელს აწვდის ბავშვთა სახლებს. თებერვალში ფონდმა ბავშვთა სახლებს მიაწოდა 200 000 ლარის ღირებულების ბავშვის საკვები. ვინაიდან ფონდი არ არის დაკავებული ეკონომიკური საქმიანობით, მას ამ შემთხვევაში არ წარმოეშვა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება.

პირს (გარდა სსზ–ში სავაჭრო ობიექტის დამქირავებელი იურიდიული პირისა, რომელსაც უფლება აქვს დამოუკიდებლად შეასრულოს საგადასახადო ვალდებულება), რომელიც საქონლის მიწოდებას ახორციელებს მხოლოდ სსზ-ის ტერიტორიაზე, არ წარმოეშობა დღგ-ის სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება.

პირი, რომელიც აწარმოებს აქციზურ საქონელს ან აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში, გარდა იმ შემთხვევისა, რო-

დესაც აქციზური საქონლის საქართველოში იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ის გადახდისაგან, ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს აქციზური საქონლის მიწოდებამდე.

მაგალითი:

პირი აწარმოებს კონიაკს. მან 2009 წლის ოქტომბერში ყურძნის სპირტი ჩაასხა კასრებში და გააჩერა 2012 წლის ოქტომბრამდე. აღნიშნული პირი გეგმავს კონიაკის სპირიტს ჩამოსხმას ბოთლებში და 1 ნოემბერს მაღაზიებში სარეალიზაციოდ მიწოდებას. თუ პირი სხვა ეკონომიკურ საქმიანობას არ ეწევა და არ არის დღგ-ს გადამხდელი, იგი ვალდებულია 2012 წლის 1 ნოემბრამდე გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ს გადამხდელად.

თუ ამ პირმა გადაწყვიტა არ დაელოდოს კონიაკის ტექნოლოგიით გათვალისწინებულ ვადას და დააპირა იმპორტული კონიაკის შემოტანა 2009 წლის 30 დეკემბერს, იგი ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ს გადამხდელად იმპორტული კონიაკის მიწოდებამდე.

რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი პირი, თუ რეორგანიზაციის ერთ-ერთი მხარე არის დღგ-ის გადამხდელი, ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებამდე, მაგრამ რეორგანიზაციის დასრულებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

მაგალითი:

შპს Z გაიყო ორ კომპანიად: შპს Y-ად და R-ად. Z –ი იყო დღგ-ს გადამხდელი, ახლად შექმნილი ორივე კომპანია ვალდებულია რეორგანიზაციის დასრულებიდან არა უგვიანეს **10** კალენდარული დღისა საგადასახადო ორგანოში წარადგინოს განცხადება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე. თუ შპს Y-ს სურს აწარმოოს დღგ-თი დასაბეგრი აქციზური საქონლის რეალიზაცია რეგისტრაციიდან მე-3 დღეს, ასეთ შემთხვევაში მან განცხადება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე საგადასახადო ორგანოში უნდა წარადგინოს ამ რეალიზაციის განხორციელებამდე.

დღგ-ის გადამხდელი პარტნიორისაგან/წევრისაგან შენატანის სახით საქონლის/მომსახურების მიღების შემთხვევაში საწარმო/ამხანაგობა ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებამდე, მაგრამ შენატანის განხორციელებიდან არა უგვიანეს **10** კალენდარული დღისა.

მაგალითი:

შპს R-მა და რამდენიმე ფიზიკურმა პირმა დააფუძნეს შპს Y, შპს R არის დღგ-ს გადამხდელი, მან Y-ის საწესდებო კაპიტალში შეიტანა 20 000 ლარის მანქანა-დანადგარები. Y ვალდებულია შენატანის განხორციელებიდან არა უგვიანეს **10** კალენდარული დღისა საგადასახადო ორგანოში წარადგინოს განცხადება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე. ვთქვათ, თუ Y-ს სურს დასაბეგრი აქციზური ოპერაციები განახორციელოს უფრო ადრე, მან განცხადება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე უნდა წარადგინოს ამ რეალიზაციის განხორციელებამდე.

დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციას დაქვემდებარებული პირის რეგისტრაციის გარეშე გამოვლენისას საგადასახადო ორგანო ატარებს ამ პირს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად. ამასთანავე, პირი დღგ-ის გადამხდელად ითვლება რეგისტრაციის ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან.

მაგალითი:

პირის დღგ-ით დასაბეგრმა ოპერაციებმა 2011 წლის 1 იანვარს გადააჭარბა 100 000 ლარს, პირი არ დადგა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციაზე და განაგრძო ეკონომიკური საქმიანობა. საგადასახადო ორგანომ ეს ფაქტი დაადგინა 2012 წელს საგადასახადო შეტყობინების შედეგად და იმავე წელს დაარეგისტრირა დღგ-ს გადამხდელად. მიუხედავად ამისა პირი დღგ-ს გადამხდელად ითვლება 2011 წლის 1 იანვრიდან.

სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულების განსაზღვრისას არ გაითვალისწინება:

ა) ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციები;

ბ) ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციები.

ჩათვლის უფლების გარეშე და ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული ოპერაციებიც ითვლება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებად. მაგალითად, პირმა წლის განმავლობაში განახორციელა სულ დღგ-ით დასაბეგრი ოპერაცია 200 000 ლარის ოდენობით, საიდანაც 120 000 ლარის ოპერაცია არის გათავისუფლებული ოპერაცია. შესაბამისად პირს არა აქვს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება.

გ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისთვის ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

დღგ-ის გადამხდელად არარეზიდენტის სავალდებულო რეგისტრაციის მიზნით, მისი დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება მხოლოდ საქართველოში მუდმივი დაწესებულების მეშვეობით განხორციელებული საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა.

მაგალითი:

უცხოურმა Z კომპანიამ საქართველოში დაარეგისტრირა მუდმივი დაწესებულება. 9 თვის განმავლობაში მუდმივმა დაწესებულებამ საქართველოს საწარმოებს გაუწია 90 000 ლარის ღირებულების მარკეტინგული მომსახურება. გარდა ამისა Z კომპანიამ საქართველოს საწარმოებს დამატებით გაუწია 15 000 ლარის მარკეტინგული მომსახურება. მიუხედავად იმისა, რომ მომსახურების ჯამური ღირებულება 100 000 ლარზე მეტია, Z კომპანიას დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება არ გაუჩნდება რადგან მხედველობაში მიიღება მხოლოდ მუდმივი დაწესებულების მიერ გაწეული მომსახურება, რომლის ღირებულებაც მხოლოდ 90 000 ლარის ტოლია.

პირს, რომელიც არ არის ვალდებული გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად, შეუძლია ნებაყოფლობით მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მოთხოვნით.

პირი, რომელიც ნებაყოფლობით ტარდება რეგისტრაციაში,

გადასახადის გადამხდელად ითვლება საგადასახადო ორგანოსათვის მიმართვის დღიდან, მაგრამ არა უგვიანეს სავალდებულო რეგისტრაციისათვის განსაზღვრული ვადისა.

მაგალითი:

პირმა საგადასახადო ორგანოს მიმართა დღგ-ს გადამხდელად ნებაყოფლობითი რეგისტრაციისათვის 7 ოქტომბერს ე.ი. გადასახადის გადამხდელად იგი ითვლება 7 ოქტომბრიდან, მაგრამ თუ კომპანია მანამდე ახორციელებდა დასაბეგრ ოპერაციებს და 25 სექტემბრისათვის დასაბეგრი ოპერაციების თანხამ გადააჭარბა 100 000 ლარს, ხოლო 26 და 27 სექტემბერი სამუშაო დღეებია, მან არაუგვიანეს 27 სექტემბრისა უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციისათვის.

დღგ-ის გადამხდელის, მათ შორის, საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია:

ა) საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაცია;

ბ) ფიზიკური პირის გარდაცვალება;

დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, პირი, რომელიც ფაქტობრივად ფლობს გარდაცვლილი პირის ქონებას, ვალდებულია აცნობოს საგადასახადო ორგანოს აღნიშნულის შესახებ გარდაცვალებიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა და ითხოვოს დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაცია. მოცემულ შემთხვევაში პირი დღგ-ს გადამხდელად ითვლება მეწარმე ფიზიკური პირის გარდაცვალების თარიღიდან.

გ) გადასახადის გადამხდელის წერილობითი მიმართვა ან საგადასახადო ორგანოს მიმართვის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის თანხმობა.

დ) „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება.

თუ გადასახადის გადამხდელის მიერ ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების (გარდა ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციებისა და ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციებისა) საერთო თანხა დღგ-ს გარეშე არ აღემატება 100 000 ლარს და მისი დღგ-ის გადამხდელად უკანასკნელი რეგისტრაციის თარიღიდან გასულია 1 წელი გადასახადის გადამხდელს შეუძლია მიმართოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით.

მაგალითი:

კომპანია დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციაში გატარდა 2011 წლის 10 იანვარს. თუ მისი დასაბეგრი ოპერაციების ჯამი 2011 წლის თებერვლიდან 2012 წლის თებერვლამდე არ აღემატება 100 000 ლარს, მას უფლება აქვს 2012 წლის თებერვალში, მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია უქმდება:

ა) საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციისას – სახელმწიფო/სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების თარიღიდან;

ბ) ფიზიკური პირის გარდაცვალებისას - პირის გარდაცვალების თარიღიდან;

გ) გადასახადის გადამხდელის წერილობითი მიმართვის ან საგადასახადო ორგანოს მიმართვის შემთხვევაში - გადასახადის გადამხდელის წერილობითი მიმართვის/ თანხმობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

მაგალითი:

პირმა საგადასახადო ორგანოს დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით მიმართა 2012 წლის 10 მარტს (იგულისხმება, რომ ბოლო რეგისტრაციიდან გასულია 1 წელი), იგი დღგ-ს გადამხდელად აღარ ითვლება 2012 წლის 1 აპრილიდან.

დ) „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების - შემთხვევაში სასამართლოს მიერ გამოტანილი გაკოტრების შესახებ განჩინების გამოქვეყნებიდან.

დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია:

ა) დასაბეგრი ოპერაცია;

ბ) იმპორტი;

გ) ექსპორტი, რეექსპორტი;

დ) დროებითი შემოტანა.

დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციებია:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული <u>საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა</u>, რომლის დროსაც:

ა.ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება დღგ-ის გადამხდელის მიერ მიღებული ან მისაღები კომპენსაციის თანხის მიხედვით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის ან/და პირგასამტეხლოს გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დასაბეგრი ოპერაციების თანხა განისაზღვრება საბაზრო ფასით.

ა.ბ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება **საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის მომენტი**, მაგრამ:

ა.ბ.ა) არა უგვიანეს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლისათვის ან გაწეული მომსახურებისათვის **ანაზღაურების მოთხოვნის** (ინვოისის) **წარდგენის** ან/და მიწოდებული საქონლისათვის ან გაწეული მომსახურებისათვის **თანხის გადახდის ვალდებულების მომენტისა**;

ა.ბ.ბ) არა უგვიანეს ყოველი **საანგარიშო პერიოდის ბოლო დღისა,** თუ საქონლის (გარანტირებული სიმძლავრის, ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის ან წყლის) მიწოდება ხდება რეგულარულად ან უწყვეტად. ამასთანავე, თუ პირი მიწოდებას აღრიცხავს საანგარიშო პერიოდის სხვადასხვა დღეს არა კალენდარული თვის, არამედ გარკვეული პერიოდის (ციკლის) განმავლობაში მიწოდებული საქონლის ოდენობის მიხედვით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც საანგარიშო პერიოდს, ისე საანგარიშოს წინა პერიოდს, ასეთ შემთხვევაში საანგარიშო პერიოდში მიწოდებულად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდის **სხვადასხვა დღის მიხედვით აღრიცხული** (გარკვეული პერიოდის (ციკლის) განმავლობაში მიწოდებული საქონლის ოდენობის მიხედვით აღრიცხული) **საქონლის ოდენობა**, მიუხედავად საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მიწოდებულისა;

ა.ბ.გ) არა უგვიანეს ყოველი **საანგარიშო პერიოდის ბოლო დღისა**, თუ **მომსახურების** გაწევა ხდება რეგულარულად ან უწყვეტად;

მაგალითი:

თუ დავუშვებთ, რომ დღგ-ს საანგარიშო პერიოდია თვე (იანვარი), მაშინ გაზის, დენისა და წყლის, თვის განმავლობაში მიწოდების განხორციელების ბოლო ვადა იქნება თვის ბოლო დღე, ანუ 31 იანვარი და შესაბამისად, მიწოდების მოცულობა განისაზღვრება ამ თარიღის მიხედვით. ხოლო თუ თებერვალში, მიწოდებული გაზის მიწოდებას აღრიცხავს არა თვის ბოლოსათვის ფაქტობრივად მიწოდებული გაზის მიხედვით, არამედ მაგალითად, 15 იანვრიდან 15 თებერვლის ჩათვლით, მაშინ თებერვლის ბოლოსათვის მიწოდებულად ჩაითვლება 15 იანვრიდან 15 თებერვლის ჩათვლით ფაქტობრივად მიწოდებული გაზი და არა 1 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით ფაქტობრივად მიწოდებული გაზი.

მაგალითი:

კომპანია აწარმოებს საქონლის ყიდვა-გაყიდვას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. კომპანიამ 2011 წლის მარტში გერმანიაში შეიძინა 2 000 ტონა შაქარი, აქედან 500 ტონა პირდაპირ გაგზავნა რუსეთში ხოლო დანარჩენი შემოვიდა საქართველოში და გაიყიდა საქართველოს ბაზარზე. ამავე დროს კომპანიამ გერმანიიდან საქართველოში შემოიყვანა და გაყიდა 150 000 ლარის ღირებულების მსუბუქი ავტომობილები. ამ ოპერაციებიდან, დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას წარმოადგენს მხოლოდ საქართველოში შაქრის გაყიდვა ვინაიდან ამ შემთხვევაში საქონლის მიწოდების ადგილს წარმოადგენს საქართველო. რაც შეეხება მსუბუქ ავტომობილებს იგი არ არის დასაბეგრი ოპერაცია რადგანაც გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან.

მაგალითი:

სს თბილგაზი მოსახლეობასა და საწარმოებს აწვდის ბუნებრივ აირს. პირი მიწოდებას არ აღრიცხავს ციკლის მიხედვით. 2012 წლის 20 მარტს მან აღრიცხა A და B მოქალაქეებისა და შპს C-ათვის მიწოდებული აირის რაოდენობა. საგადასახადო ანგარიშფაქტურა არ გამოწერილა მოქალაქეებისათვის მიწოდებულ აირზე, რადგან მათ მისი გამოწერა არ მოუთხოვიათ. 21 მარტს საგადასახადო ანგარიშფაქტურა გამოიწერა შპს C-ზე. შპს C-მ მიღებული აირის საფასური გადაიხადა 25 მარტს. A-მ მიღებული აირის ღი-

რებულება გადაიხადა 27 მარტს, ხოლო B-მ 5 აპრილს. C-ს შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება 21 მარტი, როდესაც გამოიწერა საგადასახადო ანგარიშფაქტურა. A-ს შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება 27 მარტი, როდესაც მოქალაქემ გადაიხადა მიღებული აირის საფასური. B-ს შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება 31 მარტი, რადგან ეს დღე თვის ბოლო დღეა.

მაგალითი:

კომპანია მომსახურებას უწევს ლიფტებს. კომპანია თვეში ერთხელ ახორციელებს ლიფტების ტექნიკურ დათვალიერებას, ასრულებს პროფილაქტიკურ სამუშაოებს და საჭიროების შემთხვევაში არემონტებს მოწყობილობებს. კომპანიის მომსახურების ფასია თვეში 150 ლარი (დღგ-ს გარეშე). კომპანია მოსახლეობასთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც მას ორი თვის მომსახურების საფასური წინასწარ უნდა გადაუხადონ. გარდა ამ მომსახურებისა, კომპანია მოსახლეობას ასევე სთავაზობს ლიფტებისა და სადარბაზოების რეგულარულ **დალაგებას**. აღნიშნული მომსახურებისათვის მოსახლეობამ ყოველი თვის **25 რიცხვისათვის** კომპანიას უნდა გადაუხადოს 50 ლარი (დღგ-ს გარეშე). კომპანიამ 2012 წლის **15 მაისს** ორივე ხელშეკრულება დადო პირველი მიკრორაიონის ერთი კორპუსის მცხოვრებლებთან. მცხოვრებლები დროულად იხდიან მომსახურების საფასურს. ლიფტების ტექნიკური მომსახურებისათვის დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დრო იქნება **31 მაისი** - მაისის თვისათვის (ნახევარი თვის საფასურის ოდენობით) და **30 ივნისი** - ივნისის თვისათვის (თვიური მომსახურების საფასურის ოდენობით). ავანსის გადახდის მომენტი არ არის დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დრო, რადგან ამ მომენტში დასაბეგრი ოპერაცია (მომსახურების გაწევა) არ არსებობს. ლიფტებისა და სადარბაზოების დალაგების მომსახურებისათვის დასაბეგრი ოპერაციის დრო იქნება 25 მაისი (5 დღის საფასურის ოდენობით) და 25 ივნისი (ერთი თვის საფასურის ოდენობით).

მაგალითი:

საწარმომ რომელიც დღგ-ს გადამხდელია, სახელმწიფო ორგანიზა-

ციის დაკვეთით შეასრულა საგზაო სამუშაოები რომელიც გრძელდებოდა ერთი თვე დასრულდა 15 აგვისტოს, თუმცა სამუშაოების დამთავრების ვადა ხელშეკრულებაში მითითებული იყო სექტემბრის ბოლომდე. დამკვეთმა მიღება–ჩაბარების აქტს ხელი მოაწერა 25 სექტემბერს.

მოცემულ პირობებში: ვინაიდან საქმე არ გვაქვს არც მომსახურების უწყვეტად ან რეგულარულად გაწევასთან და არც გრძელვადიან კონტრაქტთან, დღგ-თი დაბეგვრა უნდა მოხდეს მომსახურების ფაქტობრივად მიწოდების მომენტში ანუ როცა დამკვეთი აღიარებს მისთვის მომსახურების გაწევის ფაქტს, რაც განისაზღვრება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღით. აღნიშნულ შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის თვეა სექტემბერი.

მაგალითი:

საქართველოში დარეგისტრირებული შპს, რომელიც დააფუძნა ირანელმა პიროვნებამ, საქონელს ყიდულობს ირანში და ირანიდანვე ახორციელებს მის ექსპორტს რუსეთში, თანხა კი ირიცხება საქართველოში რომელიც დირექტორს გააქვს ირანულ კომპანიასთან დავალიანების დასაფარად.

მოცემულ პირობებში: საქართველოს რეზიდენტი შპს-სათვის საქონლის ირანში შეძენა და მისი ექსპორტი რუსეთში არ წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას, ვინაიდან იგი განხორციელებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ.

რაც შეეხება მოგების გადასახადს, მისი მიზნებისათვის აღნიშნული ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები უნდა ჩაირთოს ერთობლივ შემოსავალში.

ბ) <u>დღგ-ით შეძენილი საქონლის/მომსახურების გამოყენება არაეკონომიკური საქმიანობისათვი</u> (გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ სახელმწიფოსათვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის საქონლის უსასყიდლოდ მიწოდების ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევის შემთხვევისა), **თუ ამ საქონელზე ან მომსახურებაზე გადამხდელმა მიიღო დღგ-ის ჩათვლა, რომლის დროსაც:**

ბ.ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საქონლის/მომსახურების **საბაზრო ფასით** (გადასახადების, მოსაკრებლე-

ბისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე;

მ ა გ ა ლ ი თ ი:

პირმა შეიძინა 20 ტონა ფქვილი 24 000 ლარად და ამ ფქვილზე (მთელ რაოდენობაზე) მიიღო დღგ-ს ჩათვლა. ამ ფქვილიდან კომპანიამ ბავშვთა სახლს უსასყიდლოდ გადასცა 2 ტონა ფქვილი, ხოლო დანარჩენი გაყიდა. ბავშვთა სახლისათვის 2 ტონა ფქვილის მიწოდება არის დასაბეგრი ოპერაცია, რადგან კომპანიამ ამ 2 ტონაზეც ჯერ მიიღო ჩათვლა და შემდეგ გამოიყენა საქველმოქმედო საქმიანობისათვის.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანიამ 3 ტონა ფქვილი უსასყიდლოდ გადასცა ბავშვთა სახლს. ფქვილის ყიდვისას კომპანიამ მიიღო ჩათვლა. ერთი ტონა ფქვილის საბაზრო ფასია 350 ლარი დღგ-ს გარეშე. ამ შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის თანხა 1 ტონა ფქვილის მიწოდებაზე შეადგენს 350 ლარს.

ბ.ბ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საქონლის/მომსახურების გამოყენების დაწყების მომენტი;

მ ა გ ა ლ ი თ ი:

შპს Z აწარმოებს საბავშვო ავეჯს. 2012 წლის 2 თებერვალს კომპანიამ შეიძინა 1000 ლარის საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) მასალები. მასალების ყიდვისას მომწოდებელმა გამოწერა საგადასახადო ანგარიშფაქტურა და Z-მა მიიღო დღგ-ს ჩათვლა. კომპანიამ 10 თებერვალს დაიწყო საბავშვო მაგიდების წარმოება და 1 მარტისათვის გააკეთა 20 საბავშვო მაგიდა. 15 მარტს Z-მა ამ მაგიდებიდან 10 მაგიდა უსასყიდლოდ გადასცა ბავშვთა სახლს. ამ შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება 10 თებერვალი, როდესაც კომპანიამ დაიწყო ნაყიდი მასალების გამოყენება საბავშვო მაგიდების წარმოებისათვის.

გ) <u>დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში</u> (გარდა "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემთხვევისა) <u>საქონლის ნაშთი,</u> რომელზედაც გადამხდელს მიღებული აქვს ჩათვლა, რომლის დროსაც:

გ.ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება რეგისტრაციის გაუქმების დღისთვის არსებული იმ **საქონლის საბალანსო ნაშთით, რომელზედაც გადამხდელს მიღებული აქვს ჩათვლა;**

მ ა გ ა ლ ი თ ი:

საგადასახადო ორგანომ 2012 წლის 3 მაისს გააუქმა A კომპანიისათვის დღგ-ს გადამხდელის რეგისტრაცია. ამ თარიღისათვის კომპანიას ბალანსზე ჰქონდა შემდეგი სასაქონლო ნაშთები: შენობა-ნაგებობა საბალანსო ნაშთით 56 000 ლარი (კომპანიას ამ შენობაზე დღგ-ს ჩათვლა არ მიუღია), მანქანა-დანადგარები საბალანსო **ნაშთით 36 000** ლარი (**ყიდვისას მიიღო ჩათვლა**), მასალები, რომლებიც კომპანიამ 20 აპრილს **იყიდა 2 000** ლარად (დღგ-ს გარეშე და რომელზეც **მომწოდებელმა გამოუწერა საგადასახადო ანგარიშფაქტურა**). ამ შემთხვევაში, ვინაიდან კომპანიას შენობა-ნაგებობაზე დღგ-ს ჩათვლა მიღებული არ აქვს, ის არ შევა დასაბეგრი ოპერაციის თანხაში. დასაბეგრი ოპერაციის თანხა იქნება 38 000 ლარი (36 000 + 2 000).

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანია დაფუძნდა 2006 წელს და შეიძინა 50 000 ლარის მანქანა-დანადგარები (მაგრამ ჩათვლა ვერ მიიღო რადგან არ იყო დღგ-ს გადამხდელი). დღგ-ს გადამხდელად კომპანია დარეგისტრირდა 2009 წლის 5 მაისს. ივნისის თვეში მან შეიძინა კომპიუტერული ტექნიკა **6 000** ლარად და **მიიღო დღგ-ს ჩათვლა**. 2012 წელს კომპანიამ გადაწყვიტა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმება (ბოლო 12 თვის განმავლობაში დასაბეგრი ბრუნვა არ აღემატებოდა 100 000 ლარს) და განცხადებით მიმართა საგადასახადო ორგანოს. ამ დროისათვის კომპანიის ბალანსზე ირიცხება ძირითადი საშუალებები 34 000 ლარის ნარჩენი ღირებულებით, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის საბალანსო ნარჩენი ღირებულება იყო **4 000** ლარი. დღგ-ით **დასაბეგრ ოპერაციას წარმოადგენს მხოლოდ 4 000 ლარი**, რადგან კომპანიას საქონლის ნაშთიდან მხოლოდ მასზე აქვს მიღებული ჩათვლა.

გ.ბ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება რეგისტრაციის გაუქმების **ძალაში შესვლის დღის წინა დღე;**

დ) <u>საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენება</u>, რომლის დროსაც:

დ.ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საგადასახადო კოდექსის 148-ე მუხლით განსაზღვრული აქტივის ღირებულებით;

დ.ბ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში მიღების მომენტი;

მაგალითი:

პირი საკუთარი ძალებით აშენებს საკუთარი ქარხნის შენობას. ამ შემთხვევაში საკუთარი თავისადმი შენობის გადაცემა არის დღგ-ით დასაბეგრი ოპერაცია, რომლის დროსაც დღგ დაერიცხება ამ შენობის ასაშენებლად გაწეულ ხარჯებს. ამ თანხების ჩათვლა ხორციელდება დღგ-ის დეკლარაციის საფუძველზე.

მაგალითი:

პირმა საამშენებლო კომპანიისაგან შეისყიდა შენობა-ნაგებობა, რომელზედაც შემდგომ გაწია სარემონტო სამუშაოები. ეს ოპერაცია არ წარმოადგენს დასაბეგრ ოპერაციას ვინაიდან იგი შესყიდულია და არა აშენებული პირის მიერ ან მისი დაკვეთით.

ე) <u>საწარმოდან ან/და ამხანაგობიდან წილის სანაცვლოდ მომსახურების ან საქონლის ინდივიდუალურ საკუთრებაში მიღება</u> (ამ შემთხვევაში ქონების გამოტანა ან/და რეგისტრაცია ითვლება ამხანაგობის მიერ ქონების მიწოდებად), რომლის დროსაც:

ე.ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საქონლის/ მომსახურების საბაზრო ფასით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე;

ე.ბ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება მომსახურების ან საქონლის ინდივიდუალურ საკუთრებაში მიღების მომენტი;

მაგალითი:

ფიზიკურ პირს იურიდიულ პირში აქვს წილი 20 პროცენტის ოდენობით. წილის სანაცვლოდ ამ პირს საწარმო აძლევს 20 000 ლარის ღირებულების საქონელს, ამ საქონლის მიწოდება საწარმოსათვის წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას.

მაგალითი:

იურიდიულმა პირმა ამხანაგობაში შეიძინა წილი (ქონებაზე წინასწარი რეგისტრაციის უფლება) და მოხდა ამ უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. ამ უფლების რეგისტრაციით ამხანაგობა იღებს ვალდებულებას, იურიდიულ პირს საკუთრებაში გადასცეს საცხოვრებელი ბინა (ამხანაგობა შექმნილია 2009 წლამდე).

მოცემულ პირობებში: აღნიშნული ოპერაცია დღგ-სგან არ გათავისუფლდება. სსკ. 168 მუხლის 1-ლი ნაწილის ”ღ” პუნქტის მიხედვით (რომელიც 2009 წლის 7 აგვისტომდე შექმნილ ამხანაგობებზე ვრცელდება) დღგსგან თავისუფალია ამხანაგობის წილის მიწოდება იმ შემთხვევაში თუ მასზე არ არის მიმაგრებული ან განპირობებული ქონება, გარდა წილის სანაცვლოდ ქონების ინდივიდუალურ საკუთრებაში მიღების შემთხვევისა.

ვ) **იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას ძირითადი <u>საშუალებების მეიჯარისათვის დაბრუნება</u>, რომლის დროსაც:**

ვ.ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა ტოლია აღნიშნულ ძირითად საშუალებებზე გაწეული რემონტის ხარჯების ჯგუფის ღირებულებითი ბალანსიდან გამოსაკლები თანხისა, რომლითაც აღნიშნული ჯგუფი ნულდება;

ვ.ბ) დასაბეგრი ოპერაციის დროდ ითვლება, იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადაზე ადრე შეწყვეტის მომენტი.

მაგალითი:

პირმა 3 წლით იჯარით აიღო ძირითადი საშუალება, რომელსაც პირველივე წელს ჩაუტარა 1 000 ლარის რემონტი, მეორე წლის ბოლოს იგი დაუბრუნა მეიჯარეს. ამ 2 წლის მანძილზე ამორტიზაციულმა ანარიცხებმა შეადგინა 200 ლარი. ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი იქნება (ანუ არაამორტიზებული ნაწილი) 800 ლარი, რაც შეადგენს დღგ-ით დასაბეგრ თანხას.

ზ) ტურისტული საწარმოს სტატუსის მოქმედების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას სტატუსის გაუქმების მომენტი, რომლის დროსაც დასაბეგრი ოპერაციის თანხა არის სხვაობა საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ღ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით

გათავისუფლებულ ბრუნვასა და ტურისტული საწარმოს ან/და სასტუმროს ფუნქციონირებისთვის/ოპერირებისთვის მოწვეული პირის/პირების მიერ სასტუმროს (ობიექტის/მისი ნაწილის) ფუნქციონირების შედეგად დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების (გარდა დღგ-ისაგან გათავისუფლებული ოპერაციებისა) დეკლარირებულ (მათ შორის, საგადასახადო ორგანოს მიერ აღნიშნული ობიექტის მიხედვით დამატებით დარიცხულ) თანხას შორის.

დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საქონლის/ მომსახურების <u>საბაზრო ფასით</u> (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე:

ა) თუ დღგ-ის გადამხდელი დასაბეგრი ოპერაციის სანაცვლოდ იღებს ან უფლება აქვს, მიიღოს საქონელი ან მომსახურება;

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანია ერთ ტონა ფქვილს ყიდის 200 ლარად (რომელიც არის მისი საბაზრო ფასი). აღნიშნულმა კომპანიამ მეორე კომპანიას მიაწოდა 100 ტონა ფქვილი და სანაცვლოდ მიიღო 100 ტონა დიზელის საწვავი (ერთი ტონა დიზელის საბაზრო ფასია 250 ლარი). პირველი კომპანიისათვის დასაბეგრი ოპერაციის თანხაა (200 * 100) 20 000 ლარი, მეორე კომპანიისათვის (100 * 250) 25 000 ლარი.

ბ) საგადასახადო კოდექსის მე-18 მუხლის მე-11 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში (როცა საგადასახადო ორგანოს აქვს უფლება დაბეგვრის მიზნებისათვის გამოიყენოს საბაზრო ფასი);

გ) საქონლის/მომსახურების თანამშრომლებისათვის მიწოდების შემთხვევაში;

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანიამ თავის თანამშრომლებს ფქვილი მიჰყიდა 300 ლარად (დღგ-ს გარეშე). ფქვილის საბაზრო ღირებულებაა 350 ლარი (დღგ-ს გარეშე). დასაბეგრი ოპერაციის თანხა შეადგენს 350 ლარს.

დ) საქონლის/მომსახურების კომპენსაციის გარეშე მიწოდების შემთხვევაში.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანიამ სარეკლამო მიზნებისათვის ქუჩაში უფასოდ დაარიგა 500 ბოთლი ლიმონათი. ჩვეულებრივ ამ ლიმონათის საბაზრო ფასია 50 თეთრი. ამ შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის თანხა იქნება (0.50 * 500) 250 ლარი.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანიამ თავის თანამშრომლებს საახალწლოდ უყიდა და უსასყიდლოდ დაურიგა 10 000 ლარის ღირებულების საახალწლო საჩუქრები. საჩუქრების უსასყიდლოდ დარიგება არის დღგ-ით დასაბეგრი ოპერაცია.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

საწარმო, რომელიც დღგ-ს გადამხდელია, ერთ შემთხვევაში ყიდის 100 ლარის თვითღირებულების საქონელს 80 ლარად დღგ-ს გარეშე და მეორე შემთხვევაში ანალოგიურ საქონელს უსასყიდლოდ აწოდებს მომხმარებელს.

მოცემულ პირობებში: საწარმოს წარმოეშობა საგადასახადო ვალდებულებები როგორც დღგ-ს, ისე მოგების გადასახადში. პირველ შემთხვევაში მას აქვს საგადასახადო ზარალი 20 ლარი, ხოლო დღგ-ს დარიცხვა მოხდება საკომპენსაციო თანხიდან – 80 ლარიდან, (80*18%)=14.40 ლარი.

მეორე შემთხვევაში საწარმოს საგადასახადო ვალდებულებები დღგ-ს გადასახადში წარმოეშობა საბაზრო ფასიდან გამომდინარე.

საქონლის მიწოდებისას, რომელსაც თან ახლავს გადატვირთვა, საქონლის მიწოდებად ითვლება საქონლის გადატვირთვის მომენტი.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

2012 წლის 4 მარტს კომპანიამ თავისი საწყობიდან სატვირთო ავტომანქანაში ჩატვირთა 10 000 ბოთლი ღვინო და ბათუმში გაგზავნა. სატვირთო ავტომანქანა ბათუმში მყიდველის საწყობში მივიდა 5 მარტს, სადაც მყიდველმა ჩაიბარა ღვინო. აღნიშნული ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება 5 მარტი (ვგულისხმობთ, რომ გადატვირთვაში იგულისხმება ადგილზე მიტანა).

საერთაშორისო სატელეფონო საკომუნიკაციო მომსახურებისას დასაბეგრი ოპერაციის თანხაში არ გაითვალისწინება არარე-

ზიდენტი საწარმოსთვის გაწეული ასეთი მომსახურებიდან მიღებული ან მისაღები თანხა.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

საქართველოში არსებული სატელეფონო კომპანია მომსახურებას უწევს გერმანიაში მყოფ არარეზიდენტ სატელეფონო კომპანიას, რომლის გერმანელ აბონენტსაც აკავშირებს საქართველოს აბონენტთან, რისთვისაც იღებს კომპენსაციის თანხას. ასეთი თანხა დღგ-ით არ იბეგრება.

საბრუნავი (მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული) დასაბრუნებელი ტარის ღირებულება არ შეიტანება გადასახადით დასაბეგრ თანხაში, გარდა საცალო ვაჭრობისა, სადაც დასაბეგრი ბრუნვა მცირდება იმ თანხით, რომელსაც გამყიდველი უხდის მომხმარებელს ტარის დაბრუნების დროს. თუ აღნიშნული ტარა საქონლის მიწოდებიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში არ დაბრუნდა, იგი რეალიზებულად ჩაითვლება და დაიბეგრება საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანია აწარმოებს ლიმონათის ჩამოსხმას და აწვდის საცალო ვაჭრობის ქსელს. იგი ლიმონათს ასხამს მინის ბოთლში და აწყობს პლასტმასის ყუთებში. ერთი ბოთლი ლიმონათის საბითუმო ფასია 50 თეთრი (მათ შორის ბოთლის ფასი 10 თეთრი), ხოლო ყუთის 2 ლარი. ყუთში იწყობა 20 ბოთლი. კომპანიამ მაღაზიებს მიაწოდა 200 ბოთლი ლიმონათი. მესამე დღეს მაღაზიებმა მას დაუბრუნეს 10 ყუთი და 180 ბოთლი. თუ 90 კალენდარული დღის განმავლობაში არ დაბრუნდება 20 ბოთლი, მისი ღირებულება (20 * 10) 2 ლარი შევა დასაბეგრი ოპერაციის თანხაში.

გრძელვადიანი კონტრაქტის შემთხვევაში, თუ არ დადგა საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პირობა (ანუ თუ არ შესრულდა დღგ-ით დასაბეგრი ერთ-ერთი ოპერაცია) მაშინ:

ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა კალენდარული წლისათვის განისაზღვრება <u>ფაქტობრივი შესრულების მოცულობის მიხედვით,</u> რომელიც გაიანგარიშება გაწეული ხარჯების კონტრაქტით გათვალისწინებულ ერთობლივ ხარჯებთან შეპირისპირებით;

ბ) დასაბეგრი ოპერაციის მომენტად ითვლება არა უგვიანეს ყოველი წლის დეკემბერი, ამასთანავე საგადასახადო ანგარიშფაქტურა გამოიწერება და საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შეზღუდვის ვადა აითვლება 161-ე მუხლის <u>პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობის დადგომის საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან.</u>

მ ა გ ა ლ ი თ ი:

პირი ახორციელებს მშენებლობის მომსახურების მიწოდებას გრძელვადიანი კონტრაქტით 2011 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 1 მაისამდე, რომლის საკონტრაქტო ღირებულება არის 1 000 000 ლარი. 2011 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე გაწეული იქნა 500 000 ლარის მომსახურება, რომელიც უნდა დაიბეგროს დღგ-ით არა უგვიანეს 2011 წლის 31 დეკემბრისა (ამ მაგალითში იგულისხმება, რომ დადგა 161-ე მუხლის პირველი პირველი ნაწილით განსაზღვრული პირობა).

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანიას გაეწია მომსახურება გრძელვადიანი კონტრაქტის მიხედვით, რომელიც დაიწყო 2011 წელს და დასრულდა 2012 წლის აგვისტოში. 2011 წლის ბოლოს მიმწოდებელს გრძელვადიანი კონტრაქტის ნაწილობრივ შესრულებაზე საგადასახადო ანგარიშფაქტურა არ გამოუწერია. საგადასახადო ანგარიშფაქტურა მან გამოწერა 2012 წლის აგვისტოში, მთლიან სახელშეკრულებო თანხაზე, როდესაც ხელი მოეწერა მიღება-ჩაბარების აქტს.

მოცემულ პირობებში: კალენდარული წლის ბოლოს გრძელვადიანი კონტრაქტის დაუსრულებლობის გამო სავალდებულო დღგ-ით დაბეგვრა (კონტრაქტით შესრულებული ნაწილისა) არ განაპირობებს არც საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოწერას და არც დღგ-ის ჩათვლებისათვის დადგენილი შეზღუდვების ვადის ათვლას. ეს მოხდება მხოლოს გრძელვადიანი კონტრაქტის დასრულების შემდეგ.

საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის თითოეული მხარისათვის:

ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საბაზრო ფასის შესაბამისად;

ბ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის მომენტი.

უძრავი ქონების რეალიზაციისას დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის **მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღი,** ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საკუთრების უფლების რეგისტრაცია (გადაცემა) დამოკიდებულია ამ დოკუმენტის მხარის (მხარეების) მიერ გარკვეული ვალდებულების შესრულებაზე ან/და პირობის დადგომაზე, ასეთი ვალდებულების შესრულების ან პირობის დადგომის თარიღი.

მაგალითი:

საწარმო ახორციელებს უძრავი ქონების რეალიზაციას. ხელშეკრულება მყიდველთან ფორმდება ასანაზღაურებელი თანხის სრულ დაფარვამდე. მყიდველი ხელშეკრულებას საჯარო რეესტრში ატარებს რეგისტრაციაში, რის შემდეგაც იგი ფიქსირდება მესაკუთრედ და რეგისტრირდება მისი ვალდებულება თანხის დაფარვის თაობაზე.

მოცემულ პირობებში: თუ საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ნასყიდობის ხელშეკრულება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაცია ჯერ არ განხორციელებულა. თუ საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ნასყიდობის ხელშეკრულება თანხის გადავადებული გადახდის პირობით, მართალია, მყიდველს არა აქვს თანხის გადახდის ვალდებულება შესრულებული, მაგრამ ვინაიდან ეს ხელშეკრულების მიხედვით არ იყო ხელშემშლელი პირობა უძრავი ქონების ახალ მემკვიდრეზე რეგისტრაციისათვის, ამ შემთხვევაში დღგ-ით დაბეგვრის მომენტს წარმოადგენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის წარდგენილი უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების თარიღი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ დაბეგვრის შემდეგი ობიექტია იმპორტი.

იმპორტის დროს:

ა) **იმპორტის თანხა არის ჯამი:**

ა.ა) საბაჟო ღირებულებისა;

იმპორტის საბაჟო რეჟიმში საქონლის გაშვებისას ცნობილია

მისი საბაჟო ღირებულების განსაზღვრის შემდეგი მეთოდები:

- გარიგების ფასის მიხედვით;
- იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით;
- მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით;
- საქონლის ერთეულის ფასის მიხედვით;
- შედგენილი ღირებულების მიხედვით;
- სარეზერვო მეთოდი.

ა.ბ) იმპორტისას გადასახდელი გადასახდელებისა, საქართველოში გადასახდელი დღგ-ის ჩაუთვლელად (იმპორტის გადასახდელებია: იმპორტის გადასახადი, აქციზი და დღგ);

ა.გ) მომსახურების ღირებულებისა, დღგ-ის გარეშე, რომელიც საგადასახადო კოდექსის მიხედვით ითვლება საქონლის იმპორტის ნაწილად;

ბ) საქონლის იმპორტი ხორციელდება მაშინ, როდესაც საქონელი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით იბეგრება ან, გათავისუფლებული რომ არ ყოფილიყო, დაიბეგრებოდა იმპორტის გადასახადით.

ეს განმარტება გულისხმობს იმას, რომ იმპორტის მომენტი არ ნიშნავს საქონლის მიერ ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთის მომენტს. იმპორტი უკავშირდება დაბეგვრის ვალდებულების წარმოშობას, რაც დაკავშირებულია საქონლის შესაბამის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევასა და გაშვებასთან.

საბაჟო საწყობში მიწოდებული უცხოური საქონლის იმპორტის შემთხვევაში, თუ:

ა) საქონლის იმპორტი და მიწოდება არ არის დღგ-ისაგან გათავისუფლებული, **იმპორტიორი იმპორტისას გადასახდელ დღგ-ის თანხას გადაიხდის იმპორტის თანხიდან გამომდინარე,** ხოლო იმპორტიორის მიერ საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულებასა და საქონლის იმპორტის თანხას შორის დადებითი სხვაობის თანხა დღგ-ით დაიბეგრება უკუდაბეგვრის წესით;

ბ) საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ისაგან, ხოლო საქონლის მიწოდება დღგ-ით იბეგრება, იმპორტიორის მიერ საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულება

დღგ-ით იბეგრება უკუდაბეგვრის წესით;

გ) საქონლის იმპორტი დღგ-ით იბეგრება, ხოლო საქონლის მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-ისაგან, იმპორტიორი იმპორტისას გადასახდელ დღგ-ის თანხას გადაიხდის იმპორტის თანხიდან გამომდინარე.

შემდეგი დაბეგვრის ობიექტია ექსპორტი ან რეექსპორტი, რომლის დროსაც:

ა) ექსპორტის/რეექსპორტის თანხა არის საბაჟო ღირებულება;

საქონლის საბაჟო ღირებულებას განსაზღვრავს დეკლარანტი. შემოსავლების სამსახური აკონტროლებს საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორეს და იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმება დეკლარირებულ საბაჟო ღირებულებას, მას თვითონ განსაზღვრავს.

ბ) საქონლის ექსპორტი/რეექსპორტი ხორციელდება მაშინ, როდესაც ხდება დეკლარირება საქონლის ექსპორტის/რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევის შესახებ.

ხოლო რაც შეეხება საქონლის დროებით შემოტანას - შემოტანის თანხა ტოლია, დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის იმპორტში მოქცევის შემთხვევაში განსაზღვრული იმპორტის თანხის;

დამატებული ღირებულების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციების განსაზღვრისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქონლის ან მომსახურების მიწოდების ადგილი, ვინაიდან საგადასახადო ვალდებულების წარმოშობა უშუალოდ უკავშირდება საქართველოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგადასახადო კოდექსის მიხედვით, თუ საქონლის მიწოდების პირობა ითვალისწინებს ტრანსპორტირებას, მაშინ საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება საქონლის ადგილმამყოფელი ტრანსპორტირების დაწყებისას. სხვა შემთხვევაში საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება საქონლის გადაცემის ადგილი.

ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის ან წყლის მიწოდების ადგილად ითვლება საქონლის მიღების ადგილი. **საქართველოდან ექსპორტის შემთხვევაში ამ საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება საქართველო.**

დამატებული ღირებულების გადასახადის მიზნებისათვის მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება:

ა) ადგილი, სადაც მდებარეობს უძრავი ქონება, თუ მომსახურება უკავშირდება უძრავ ქონებას, მათ შორის:

ა.ა) ქონების აგენტებისა და ექსპერტების მომსახურება;

ა.ბ)სამშენებლო საქმიანობის მომზადებისა და კოორდინაციასთან დაკავშირებული მომსახურება;

ა.გ)არქიტექტურისა და სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის მომსახურება;

მაგალითი:

შპს C უცხოურ კომპანიას, გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ უწევს მომსახურებას, რაც გულისხმობს ქ. ბათუმში საოფისე ფართობების მოძებნას და ამ უძრავი ქონების უცხოური კომპანიისათვის მიყიდვის ორგანიზებას. ამ შემთხვევაში მომსახურების გაწევის ადგილი საქართველოა, მიუხედავად იმისა, რომ მომსახურების გაწევა ხდება უცხოური კომპანიისათვის.

ბ) მომსახურების ფაქტობრივად გაწევის ადგილი, თუ:

ბ.ა) მომსახურება უკავშირდება მოძრავ ქონებას, მათ შორის, მოძრავი ქონების შეფასება;

ბ.ბ) მომსახურება გაიწევა კულტურის, ხელოვნების, განათლების, ტურიზმის, დასვენების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროებში;

ბ.გ) გაიწევა დამატებითი სატრანსპორტო მომსახურება, როგორიცაა დატვირთვა და გადმოტვირთვა;

მაგალითი:

კომპანიამ რუსეთში გასარემონტებლად წაიღო ლუდის ხახარში დანადგარი, სადაც მას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები. ამ შემთხვევაში მომსახურების გაწევის ადგილი არის რუსეთი.

გ) ტვირთების გადატანის ან მგზავრთა გადაყვანის ადგილსამყოფელი ტრანსპორტირების დაწყებისას, თუ მომსახურება დაკავშირებულია ამ გადაზიდვებთან.

მაგალითი:

კომპანია ეწევა მგზავრთა დახვედრის მომსახურებას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. კომპანიამ მიიღო შეკვეთა, რომლის

მიხედვითაც იგი უნდა დახვდეს (მომსახურება გაუწიოს) ლონდონიდან გადმოფრენილ მგზავრს თბილისის აეროპორტში. ამავე დროს მეორე შეკვეთის მიხედვით, კომპანიამ ანალოგიური მომსახურება უნდა გაუწიოს მგზავრს, რომელიც მიფრინავს ქ. თბილისიდან ქ. ლონდონში. პირველ შემთხვევაში მომსახურების გაწევის ადგილია ლონდონი, მეორე შემთხვევაში ქ. თბილისი.

დ) თუ მომსახურების მიმღებ და გამწევ პირთა ადგილსამყოფელი სხვადასხვა სახელმწიფოშია, მაშინ **<u>მომსახურების მიმღები პირის რეგისტრაციის ადგილი</u> ან <u>მართვის ადგილი</u>** ან **<u>მომსახურების მიმღები პირის მუდმივი დაწესებულების ადგილმდებარეობა</u>**, თუ მომსახურება დაკავშირებულია უშუალოდ ამ მუდმივ დაწესებულებასთან. ამ ქვეპუნქტის დებულებები გამოიყენება შემდეგი მომსახურების მიმართ:

დ.ა) პატენტების, ლიცენზიების, სავაჭრო მარკების, საავტორო უფლებების ან სხვა მსგავსი არამატერიალური აქტივის საკუთრებაში გადაცემა;

მაგალითი:

მოქალაქე A-ს საავტორო უფლება აქვს გამოგონებაზე მანქანათმშენებლობის დარგში. გერმანულმა კომპანიამ მასთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მოქალაქე A გერმანულ კომპანიას უფლებას მისცემს, გამოიყენოს მისი საავტორო უფლება 10 წლის განმავლობაში, აწარმოოს მის მიერ გამოგონებული დეტალი და გაყიდოს გერმანიაში. საავტორო უფლების გამოყენების მთელი პერიოდის განმავლობაში A მიიღებს ფულად კომპენსაციას. გერმანული კომპანია დეტალს აწარმოებს და ყიდის გერმანიაში და შესაბამისად ეკონომიკურ სარგებელსაც გერმანიაში იღებს. ამ შემთხვევაში **მომსახურების მიმღები პირის რეგისტრაციის ადგილი** არის გერმანია.

დ.ბ) საკონსულტაციო, იურიდიული, საბუღალტრო, საინჟინერინგო და სხვა მსგავსი მომსახურების გაწევა, აგრეთვე მონაცემებისა და ინფორმაციის დამუშავება-მიწოდება;

მაგალითი:

შპს Z-ი ახორციელებს ბაზრის მარკეტინგულ კვლევას. ფრანგულმა კომპანიამ **მუდმივი დაწესებულების მეშვეობით** მას შეუკვეთა ლუდის ბაზრის კვლევა, რათა გააუმჯობესოს მის მიერ საქართველოს ბაზარზე ლუდის გაყიდვა. ფრანგული კომპანია ეკონომიკურ სარგებელს შპს Z-ის მიერ გაწეული მომსახურებიდან იღებს **საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივი დაწესებულების მეშვეობით** და კვლევის შედეგად ის მოელის თავისი პროდუქციის რეალიზაციის გაუმჯობესებას საქართველოში. ამიტომ მომსახურების გაწევის ადგილი არის საქართველო.

მაგალითი:

დღგ-ს გადამხდელი კომპანია A, არარეზიდენტი კომპანია B-ს დაკვეთით ატარებს საზოგადოებრივი აზრის კვლევას და კვლევის შედეგებს უგზავნის კომპანია B-ს ელექტრონული მონაცემთა ბაზის სახით.

მოცემულ პირობებში: თუ კომპანია B-ს საქართველოში მუდმივი დაწესებულება არ გააჩნია, მაშინ ეს მომსახურება დღგ-ით არ დაიბეგრება.

დ.გ) პერსონალით უზრუნველყოფა;

მაგალითი:

შპს A უკრაინული კომპანიის დაკვეთით ახორციელებს კომპიუტერული პროგრამისტების შერჩევას. შერჩეული პროგრამისტები გაიგზავნება უკრაინაში და ისინი კონტრაქტით განსაზღვრული ვადის განმავლობაში შეასრულებენ სამუშაოებს. ამ შემთხვევაში A პერსონალით უზრუნველყოფს უკრაინულ კომპანიას, რომლის როგორც **მომსახურების მიმღები პირის რეგისტრაციის ადგილი** არის უკრაინა.

დ.დ) მოძრავი ქონების იჯარით გადაცემა, გარდა სატრანსპორტო საშუალებების იჯარისა;

მაგალითი:

აზერბაიჯანული კომპანია შპს A-ს იჯარით აძლევს ლუდსახარშ მოწყობილობას. **მომსახურების მიმღები პირის რეგისტრაციის ადგილი** საქართველოშია.

დ.ე) სარეკლამო მომსახურება;

მაგალითი:

რეზიდენტ საწარმოს, არარეზიდენტი პირი უკრაინაში უწევს მომსახურებას, კერძოდ უკრაინულ საიტზე განათავსებს მათ რეკლა-

მას. ამ შემთხვევაში **მომსახურების მიმღები პირის რეგისტრაციის ადგილი** საქართველოშია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ.თ" ქვეპუნქტის თანახმად იმის გათვალისწინებით, რომ ამ საიტზე წვდომა მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან და მათ შორის საქართველოდანაც თავისუფალია იმას ნიშნავს, რომ იგულისხმება, რომ არარეზიდენტმა სწორედ რომ ,,სხვაგვარად" ანუ ელექტრონული საშუალებების მეშვეობით საქართველოში განახორციელა მომსახურება და მიიღო წყაროსთან შემოსავალი, რაც უნდა დაიბეგროს 10%-იანი განაკვეთით სსკ 134-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ანალოგიური მაგალითები შეიძლება განვიხილოთ მომსახურების შემდეგი სახეების მიმართაც:

დ.ვ) ბიზნესსაქმიანობისგან ან ამ ქვეპუნქტში აღწერილი უფლების გამოყენებისგან თავის შეკავების ვალდებულება;

დ.ზ) ფინანსური და დაზღვევის ოპერაციები, მათ შორის, გადაზღვევა;

დ.თ) სატელეკომუნიკაციო, რადიო და ტელემაუწყებლობის მომსახურება;

დ.ი) ელექტრონულად გაწეული მომსახურება;

ელექტრონულად გაწეულ მომსახურებას განეკუთვნება:

1) ვებგვერდის მიწოდება, ვებჰოსტინგი, პროგრამებისა და მოწყობილობების დისტანციური ტექნიკური მომსახურება;

2) პროგრამული უზრუნველყოფა და შესაბამისი განახლება;

3) გამოსახულებების, ტექსტებისა და ინფორმაციის მიწოდება მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;

4) მუსიკის, ფილმებისა და თამაშების (აზარტული თამაშების ჩათვლით) მიწოდება, პოლიტიკური, კულტურული, ხელოვნების, სპორტული, სამეცნიერო და გასართობი პროგრამების ტრანსლაცია და გაშუქება;

5) დისტანციური სწავლების მიწოდება.

დ.კ) მომსახურების გაწევა შუამავლის მეშვეობით, რომელიც მოქმედებს სხვა პირის დავალებით და მონაწილეობს ამ ქვეპუნქტში აღწერილი მომსახურების გაწევაში;

ე) იმ პირის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ადგილი, რომელიც ეწევა მომსახურებას (ანუ მომსახურების გაწევის ადგილი, არის პირის მიერ ამ მომსახურების ფაქტობრივად გაწევის ადგილი).

თუ მომსახურების გაწევის ადგილი აღწერილია ზემოაღნიშნულ ერთზე მეტ ქვეპუნქტში, მომსახურების გაწევის ადგილი განისაზღვრება მომსახურების აღმწერი რიგით პირველი პუნქტის მიხედვით.

დღგ-ისგან გათავისუფლება არსებობს ჩათვლის უფლებით და ჩათვლის უფლების გარეშე.

<u>ოპერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლებით გულისხმობს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას (არ იბეგრება) და გამოიყენება ჩათვლის უფლება.</u>

<u>ოპერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლების გარეშე გულისხმობს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას (არ იბეგრება) და არ გამოიყენება ჩათვლის უფლება.</u>

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, დასაბეგრი ოპერაციების მიმართ არ გამოიყენოს ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლება, რაც გულისხმობს, რომ დასაბეგრი ოპერაცია ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას და მიიღება ჩათვლა. ამ უფლების გამოყენება გადასახადის გადამხდელს შეუძლია:

ა) საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის შემდეგი საანგარიშო პერიოდის პირველი რიცხვიდან;

ბ) უფლების გამოყენების დღიდან 12 თვის განმავლობაში, ყველა დასაბეგრი ოპერაციის მიმართ.

ხოლო აღნიშნული უფლების გამოყენების შემთხვევაში:

ა) საგადასახადო ორგანო ვალდებულია გადასახადის გადამხდელი გაატაროს რეგისტრაციაში;

ბ) გადასახადის გადამხდელი ვალდებულია დაბეგროს გათავისუფლებული ოპერაციები და ასეთი ოპერაციები აღარ ჩაითვლება ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულ ოპერაციად.

ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია შემდეგი საქონლის მიწოდება, იმპორტი ან დროებითი შემოტანა:

ა) ეროვნული ან/და უცხოური ვალუტის (გარდა ნუმიზმატიკური ან საკოლექციო მიზნებით გამოსაყენებლად გათვალისწინებულისა), ფასიანი ქაღალდების მიწოდება ან/და იმპორტი;

ბ) საქართველოს ეროვნული ბანკისათვის გადასაცემი ოქროსა და ოქროს ზოდების იმპორტი;

გ) განძეულობის, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული უძრავი ქონების მიწოდება ან/და იმპორტი, რომელთა რეალიზაციით მიღებული შემოსავლები შეიტანება ბიუჯეტში;

გ[1]) სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების მიწოდება ან/და იმპორტი, აგრეთვე „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ქონების ლიზინგის ფორმით გადაცემა (მიწოდება);

დ) სახელმწიფო ქონების მიწოდება პრივატიზაციის პროგრამის მიხედვით;

ე) საქონლის იმპორტი საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ“ და „ო“ ქვეპუნქტების შესაბამისად, იმავე მუხლის შენიშვნის გათვალისწინებით, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან საქონლის იმპორტისა;

ვ) საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების მიწოდება, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით;

ზ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 4820 20 000 00 კოდში მითითებული საქონლის (რვეულების) მიწოდება;

თ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 4801, 4802 55, 4802 61, 100 00 და 4810 22 კოდებში მითითებული საქონლის იმპორტი;

ი) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 1211 90 980 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციით გათვალისწინებული ძირტკბილას ფესვები, 1211 20 000 00, 1301 20 000 00 და 1301 90 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებით გათვალისწინებული ბუნებრივი გაუსუფთავებელი შელაქი,

1504 20, 1515 30, 1520 00 000 00, 1702 11 000 00, 3912 12 000 00, 3912 31 000 00, 7010 10 000 00, 7010 90 790 00 და 9602 00 000 00 (ჟელატინის კაფსულები) კოდებში მითითებული საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი;

კ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით სამკურნალო (ფარმაცევტული) მიზნებისათვის განკუთვნილი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე და 29-ე ჯგუფებით გათვალისწინებული წარმოდგენილი ნედლეულისა და სუბსტანციების, 30-ე ჯგუფით გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქციის (გარდა საღებავი რეზინისა), მათ შორის, ვაქცინების, მიწოდება ან/და იმპორტი;

ლ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8419 20 000 00, 9001 30 000 00, 9001 40, 9001 50, 9018–9022 (გარდა 9019 10 900 00), 9025 11 200 00 და 9402 90 000 00 კოდებში მითითებული სამედიცინო ან ვეტერინარული დანიშნულების საქონლის (მათ შორის, ინსულინის შპრიცების/ნემსების), 8713 და 8714 20 000 00 კოდებში აღნიშნული ეტლებისა და მათი ნაწილების და საკუთნოების, სამედიცინო დანიშნულების რენტგენის ფირების, სამედიცინო დანიშნულების სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების, გლუკომეტრების (რომელთა ტესტ-სისტემები რეგისტრირებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ) მიწოდება ან/და იმპორტი;

მ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 0102 21, 0103 10 000 00, 0104 10 100 00, 0104 20 100 00, 0105 11, 0511 10 000 00, 0602 10, 2503 00, 2803 00, 3101 00 000, 3103–3105, 3808 91, 3808 92 და 3808 93 კოდებში მითითებული საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი;

ნ) **საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის მიწოდება ან/და იმპორტი;**

ო) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 4901, 4902, 4903 00 000 00 და 4904 00 000 00 კოდებში მითითებული საქონლის **(წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, ნოტები)** მიწოდება (მათ შორის, ელექტრონული ფორმით) ან/და იმპორტი, ასევე ელექტრონული მატარებლების (დისკების) საშუალებით სალექციო კურსების მიწოდება, რომელიც საგანმანათლებლო ხასიათისაა და შეიძლება გამოცემულ იქნეს ასევე წიგნის ფორმით;

პ) პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი ან დროებითი შემოტანა, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში დაკავებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის;

რ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით **ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების** ან/და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის მიწოდება ან/და იმპორტი, რომლებიც მარკირებულია ასეთად მიწოდებისას;

ს) **დიაბეტური პურის მიწოდება** ან/და იმპორტი, რომელიც მარკირებულია ასეთად მიწოდებისას;

ტ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8701 90 110 00 – 8701 90 500 00 კოდებში აღნიშნული ტრაქტორებისათვის განკუთვნილი, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8706 00 190 00, 8706 00 990 00, 8707 90 100 00, 8707 90 900 00, 8708 10 900 00, 8708 29 100 00 – 8708 40 900 00, 8708 50 900 00 – 8708 70 100 00, 8708 80, 8708 91, 8708 92, 8708 93, 8708 94 და 8708 99 კოდებში აღნიშნული შასის, ძარის, ნაწილებისა და მოწყობილობების, აგრეთვე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8432 90 000 00 და 8433 90 000 00 კოდებში მითითებული საქონლის იმპორტი;

უ) ელექტროენერგიის წარმოებისათვის (თბოელექტრო სადგურებისათვის) ბუნებრივი აირის იმპორტი;

ფ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8802 11 100 00, 8802 12 100 00, 8802 20 100 00, 8802 30 100 00 და 8802 40 100 00 შესაბამის კოდებში აღნიშნული საქონლის ან/და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურით მისთვის (სამოქალაქო ავიაციისათვის) განკუთვნილი საქონლის იმპორტი;

ფ^1) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8903 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი ან/და მიწოდება;

ქ) **მიწის ნაკვეთის მიწოდება;**

მ ა გ ა ლ ი თ ი:

პირის საქმიანობას წარმოადგენს მიწების ყიდვა-გაყიდვა. მან შეიძინა მიწის ნაკვეთი 80 000 ლარად და ორი თვის შემდეგ გაყიდა 200 000 ლარად. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ მიიღო შემოსავალი, რომელიც აღემატება 100 000 ლარს, იგი არ არის ვალდებული გაიაროს რეგისტრაცია დღგ-ს გადამხდელად.

ღ) ამხანაგობის წილის (ქონებაზე წინასწარი რეგისტრაციის უფლების) მიწოდება, თუ ამ წილზე (უფლებაზე) არ არის მიმაგრებული/განპიროვნებული ქონება, გარდა წილის (უფლების) სანაცვლოდ ქონების ინდივიდუალურ საკუთრებაში მიღების შემთხვევისა;

ყ) ამხანაგობის მიერ თავისი წევრისთვის (თანამფლობელისთვის) ქონების მიწოდება (განაწილება), თუ ამხანაგობის წევრები არიან მხოლოდ ფიზიკური პირები, ამხანაგობის წევრთა შემადგენლობა არ შეცვლილა ამხანაგობის დაფუძნებიდან ქონების გადაცემის (განაწილების) მომენტამდე და ამხანაგობა განაწილების მომენტისათვის არ არის დღგ-ის გადამხდელი. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის ამხანაგობის წევრის გარდაცვალებისას ამხანაგობის წილის მემკვიდრეზე გადასვლა ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ამხანაგობის წევრის წილის რეალიზაცია არ ითვლება ამხანაგობის წევრთა შემადგენლობის ცვლილებად;

შ) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოებს შორის საქონლის მიწოდება;

ჩ) შემოსავლების სამსახურის ან/და შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეული პირის მიერ აქციზური მარკების მიწოდება ან/და იმპორტი;

ძ) საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ნუსხის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების იმპორტი.

წ) შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეული პირის მიერ იმ საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია აქციზური ან/და არააქციზური საქონლის სავალდებულო ნიშანდების/მარკირების განსახორციელებლად.

ჭ) საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემომსვლელი პირის ავტოსატრანსპორტო საშუალების ძრავას კვების სისტემასთან კონსტრუქციულად და ტექნოლოგიურად დაკავშირებულ სტანდარტულ ავზში არსებული საწვავის იმპორტი;

ხ) ფიზიკური პირის მიერ მის საკუთრებაში არსებული ამ კოდექსის 26^1 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მიწოდება, თუ ახალი მესაკუთრე (ფიზიკური პირი) იკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს ძველ მესაკუთრესა და ტურისტულ საწარმოს შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში.

ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია შემდეგი სახის მომსახურების გაწევა:

ა) ფინანსური ოპერაციების განხორციელება ან/და ფინანსური მომსახურების გაწევა;

ბ) საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა;

გ) პირის მიერ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ან/და საკულტო-რელიგიური დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარესტავრაციო, სარეაბილიტაციო, საპროექტო და კვლევითი სამუშაოების შესრულება;

დ) **დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო (მათ შორის, ავტოტრანსპორტით) მომსახურების გაწევა;**

ე) **სამედიცინო მომსახურების გაწევა;**

ვ) სააღმზრდელო ან/და სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის მომსახურების გაწევა ან/და ავადმყოფთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა) და 60 წლის და მეტი ასაკის პირთა მოვლა-პატრონობის მომსახურების გაწევა;

ზ) ლატარიებით, აზარტული და მომგებიანი თამაშობებით მომსახურების გაწევა (გარდა ლატარიებით, აზარტული და მომგებიანი თამაშობებით მომსახურების გაწევა „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იმ ლატარიის ორგანიზატორის მიერ, რომლის წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო).

თ) ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული საქონლის ლიზინგით გაცემა;

ი) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოებს შორის მომსახურების გაწევა;

კ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 4901, 4902, 4903 00 000 00 და 4904 00 000 00 კოდებში მითითებული საქონლის (წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, ნოტების) რეალიზაციის მომსახურების, ბეჭდვის მომსახურების ან/და ჟურნალ-გაზეთების მიერ სარეკლამო მომსახურების გაწევა;

ლ) **18 წლამდე ასაკის ფიზიკური პირის სახელოვნებო და სასპორტო სწავლების მომსახურების გაწევა;**

ლ^1)რეგულირებადი ფასებითა და ტარიფებით საქალაქო და შიგარაიონულ მარშუტებზე სამგზავრო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა)მომსახურების გაწევა

ნ) **საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ გაწეული განათლების მომსახურება**.

ო) სერვიტუტის მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა.

პ) შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეული პირის მიერ აქციზური ან/და არააქციზური საქონლის სავალდებულო ნიშანდების/მარკირების მომსახურების გაწევა.

პ[1])ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის დასახლებულ ტერიტორიებზე დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების გაწევა.

ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია შემდეგი კანონების, შეთანხმებების, ხელშეკრულებების საფუძველზე მიზნობრივი დანიშნულებით განხორციელებული ოპერაციები:

ა) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების, აგრეთვე ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრული ხელშეკრულებების ან/და ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად გაცემული ლიცენზიების შესაბამისად ინვესტორებისა და საოპერაციო კომპანიებისათვის ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად საქონლის იმპორტი, მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა;

ბ)ელექტროენერგეტიკული სექტორის რეაბილიტა-ციისათვის საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით უცხოეთის სახელმწიფოების ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტით დაფინანსებული საქონლის იმპორტი ან/და სამშენებლო-სამონტაჟო, სარემონტო, სარესტავრაციო, საცდელ-საკონსტრუქტორო ან/და გეოლოგიურ-საძიებო მომსახურების გაწევა;

გ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების, კერძოდ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების მშენებლობის, შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოში საქონლის დროებითი შემოტანა;

დ) საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სრულად გათავისუფლებული საქონლის დროებითი შემოტანა;

ე) საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად დაბრუნებული საქონლის იმპორტი;

ვ) გრანტის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი გრანტის გამცემი ან მიმღები პირის მიერ;

ზ) მომსახურების გაწევა ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელთაც სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციისთვის, ჰუმანიტარული დახმარების მიზნით აფინანსებს უცხოური ორგანიზაცია და რომელთა მონაწილე ერთ-ერთი მხარეა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანო;

თ) სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციისთვის, ჰუმანიტარული დახმარების მიზნით საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის გადასაცემი საქონლის იმპორტი;

ი) იმ საქონლის იმპორტი ან დროებითი შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო;

კ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა და საკონსულო დაწესებულებათა ქონების იმპორტი.

ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია:

ა) **საქონლის რეექსპორტი ან ექსპორტი მხოლოდ იმ საანგარიშო პერიოდისათვის, რომელშიც განხორციელებულია დეკლარირება საქონლის რეექსპორტის ან საქონლის ექსპორტში გაშვების შესახებ;**

ბ) **საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის,** ამ წარმომადგენლობათა და დიპლომატიური მისიების წევრების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლო-

ბისათვის და რომლის გამოყენების წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანია R-მა გააფორმა ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება Z საელჩოსთან, მისი თანამშრომლების ტურისტულ მომსახურებასთან დაკავშირებით. მომსახურება გულისხმობს 20 კაციანი ჯგუფის მოგზაურობას აჭარის ტურისტულ მარშრუტებზე. 20 კაციან ჯგუფში არის 5 დიპლომატიური რანგის წევრი, 8 წევრს აქვს მათი ოჯახის წევრის სტატუსი, ხოლო ჯგუფის 7 წევრი საქართველოს მოქალაქეა, რომლებსაც არ გააჩნიათ დიპლომატიური რანგი. ერთი ადამიანის მომსახურების ფასია 500 ლარი (დღგ-ს გარეშე) აღნიშნული მომსახურების გაწევა 13 წევრისათვის გათავისუფლებულია ჩათვლის უფლებით, ხოლო 7 წევრის მომსახურება (საქართველოს მოქალაქეების) დაიბეგრება 18%-იანი განაკვეთით.

გ) ექსპორტში, რეექსპორტში, გარე გადამუშავებაში ან ტრანზიტში მოქცეული საქონლის გადაზიდვა და ამ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურების გაწევა. ამასთანავე, ასეთ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებულ მომსახურებას განეკუთვნება:

გ. ა) გადაზიდვისას ტვირთის ან/და სატრანსპორტო და გადაზიდვის საშუალების გაგზავნასთან/მიღებასთან დაკავშირებული მომსახურება, აგრეთვე აეროპორტების, ნავსადგურების, სარკინიგზო და საავტომობილო ვაგზლების მიერ გაწეული მომსახურება;

გ. ბ) აერო ან საზღვაო სანავიგაციო, სადისპეტჩერო ან/და საინფორმაციო მომსახურება;

გ. გ) საექსპედიტორო მომსახურება;

გ. დ) ტვირთის დოკუმენტაციის მომზადების, ინსპექტირების, დათვალიერების, სატრანსპორტო დამუშავების (მათ შორის, დატვირთვისა და გადმოტვირთვის), ტრანსპორტირებისათვის შეფუთვისა და შენახვის მომსახურება;

გ.ე) ნავსადგურებში აგენტირების მომსახურება;

გ^1) საქონლის იმპორტის, საწყობის, დროებითი შემოტანის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალი ზონის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევამდე საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე პუნქტებს შორის საქონლის გადაზიდვა და ამ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებული, ამ ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, გარდა ტვირთის შენახვის მომსახურებისა;

გ^2) საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანამდე იმპორტის, საწყობის, დროებითი შემოტანის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალი ზონის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვრიდან საბაჟო დეკლარაციაში მითითებულ დანიშნულების პუნქტამდე გადაზიდვა და ამ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებული, ამ ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, გარდა ტვირთის შენახვის მომსახურებისა;

დ) მგზავრთა და ბარგის გადაზიდვის მომსახურებისა და ამ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურების გაწევა იმ პირობით, რომ გაგზავნის ან დანიშნულების პუნქტი მდებარეობს საქართველოს ფარგლების გარეთ და ასეთ გადაზიდვაზე გაფორმებულია ერთიანი სატრანსპორტო დოკუმენტი. ამასთანავე, ასეთ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებულ მომსახურებას განეკუთვნება:

დ.ა) მგზავრის ან/და სატრანსპორტო საშუალების გაგზავნასთან/მიღებასთან დაკავშირებული მომსახურება, აგრეთვე აეროპორტების, ნავსადგურების, სარკინიგზო და საავტომობილო ვაგზლების მიერ გაწეული მომსახურება;

დ.ბ) აერო ან საზღვაო სანავიგაციო, სადისპეტჩერო ან/და საინფორმაციო მომსახურება;

დ.გ) ინსპექტირების, დათვალიერების, სატრანსპორტო დამუშავების (მათ შორის, დატვირთვისა და გადმოტვირთვის), ტრანსპორტირებისათვის შეფუთვისა და შენახვის მომსახურება;

დ.დ) მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანის სამგზავრო ბილეთების რეალიზაციის მომსახურება;

დ.ე) აეროპორტებისა და ნავსადგურების საბაჟო კონტროლის ზონაში მგზავრთა მომსახურება, რომლის ღირებულება შედის საერთაშორისო გადაყვანის სამგზავრო ბილეთის ფასში;

დ.ვ) ნავსადგურებში აგენტირების მომსახურება;

ე) **საერთაშორისო საავიაციო და საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებლად განკუთვნილი საქონლის იმპორტი ან/და მიწოდება;**

ვ) სატრანსპორტო გადაზიდვისას გამოყენებული ცარიელი სატრანსპორტო საშუალებების (მათ შორის, კონტეინერებისა და ვაგონების) მიმართ გაწეული სატრანსპორტო, დატვირთვის, გადმოტვირთვისა და შენახვის მომსახურება;

ზ) თბოელექტროსადგურებისათვის ბუნებრივი აირის მიწოდება;

თ) სახელმწიფოსთვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის აქტივების გამოტანა იმ საწარმოს კაპიტალიდან, რომლის წილის/ აქციების 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაშია;

ი) **სახელმწიფოსთვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის საქონლის უსასყიდლოდ გადაცემა ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა;**

კ) საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული პროექტების (მათ შორის, მოსამზადებელი ეტაპის) განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ, რომლებთანაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გაფორმებული აქვს პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულება, ამ პროექტების ფარგლებში საქონლის სხვა პირებისათვის გადაცემა;

ლ) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში საქართველოს საქონლის მიწოდება რეალიზაციისთვის და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში საქონლის რეალიზაცია ან/და კვების მომსახურების გაწევა;

მ) დღგ-ის გადამხდელის (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმის) მიერ საწარმოს ან ამ საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის ყველა აქტივის მიწოდება ერთი ოპერაციის ფარგლებში დღგ-ის მეორე გადამხდელისათვის, თუ მიმწოდებელი და მიმღები მხარეები მიწოდებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში წერილობით ატყობინებენ საგადასახადო ორგანოს ასეთი მიწოდების შესახებ. დამოუკიდებლად მოქმედ ქვედანაყოფად ითვლება ერთმანეთთან ფუნქციურად დაკავშირებული ძირითადი სა-

შუალებისა და თანმხლები კომუნიკაციების ერთობლიობა, რომელიც დამოუკიდებლად ფუნქციონირებს (გარდა ივჯარით, ქირით და სხვა ამგვარი ფორმით გაცემული შენობა-ნაგებობისა) და რომლის დამოუკიდებლად ფუნქციონირება და საქმიანობის სახე არ არის დამოკიდებული მესაკუთრის შეცვლაზე;

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანიამ C-მ 2011 წლის 15 აპრილს გააფორმა ხელშეკრულება კომპანია S-თან მის საკუთრებაში არსებული, ქუთაისში განლაგებული წისქვილის მიყიდვის თაობაზე. წისქვილს შეუძლია დამოუკიდებლად ფუნქციონირება. აღნიშნული წისქვილის მიღება-ჩაბარების აქტი შედგა 2011 წლის 3 მაისს. თუ მხარეები საგადასახადო ორგანოს მიმართავენ არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა, წისქვილის მიწოდება არ იქნება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაცია.

ნ) **აქტივების მიწოდება საწარმოს რეორგანიზაციის შემთხვევაში;**

მ ა გ ა ლ ი თ ი:

ვთქვათ მოხდა ორი კომპანიის შერწყმა და ჩამოყალიბდა ახალი K კომპანია. შერწყმისას ორივე კომპანიამ ახლად ჩამოყალიბებული კომპანიას გადასცა თავისი აქტივები. ჩვეულებრივ აქტივების მიწოდება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციაა, მაგრამ რადგან მისი გადაცემა ხდება რეორგანიზაციისას, ეს ოპერაცია აღარ ითვლება დასაბეგრ ოპერაციად.

ო) **აქტივების მიწოდება შესატანის სახით საწარმოს კაპიტალში ან ამხანაგობაში.** ამასთანავე, ითვლება, რომ აქტივების მიწოდების საანგარიშო პერიოდის მიხედვით აქტივების მიმღებმა პირმა შესაბამის საქონელზე მიიღო ჩათვლა;

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანიამ სხვა ფიზიკურ პირებთან ერთად დააფუძნა ახალი კომპანია და ამ ახალი კომპანიის საწესდებო კაპიტალში შეიტანა 5 000 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა. ჩვეულებრივ კომპიუტერული ტექნიკის მიწოდება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციაა, მაგრამ რადგან მისი გადაცემა ხდება საწესდებო კაპიტალში შენატანის სახით, იგი აღარ იქნება დასაბეგრი ოპერაცია.

პ) საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ოქროს მიწოდება;

ჟ) ტუროპერატორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტულ ობიექტებში უცხოელი ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა და მათთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების პაკეტის მიწოდება.

რ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ტვირთის შემოტანისას გემისათვის გაწეული მომსახურება (კერძოდ, პორტის, საზღვაო-სალოცმანო სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ გაწეული მომსახურება);

ს) საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის მიწოდება, გარდა კოდექსის 162-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ტ) ლატარიებით, აზარტული და მომგებიანი თამაშობებით მომსახურების გაწევა „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იმ ლატარიის ორგანიზატორის მიერ, რომლის წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო.

უ) **სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდევინების, მათ შორის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში პირის ქონების (გარდა ფულისა) სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემა, აგრეთვე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციების გადახდევინების მიზნით პირის ქონების რეალიზაცია/გადაცემა.**

ფ) **საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის** (გარდა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 0407 00 190 00 და 0407 00 300 00 კოდებში მითითებული საქონლისა (კვერცხისა) და 0207 11 სუბპოზიციაში მითითებული საქონლისა (შინაური ქათამი აუქნელი, ახალი ან გაციებული)) **მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე);**

ქ) საქართველოში მთლიანად წარმოებული საქონლისაგან მიღებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 0201, 0203 11 – 0203 19, 0204 10 000 00 – 0204 23 000 00, 0204 50 110 00 – 0204 50 390 00 კოდებში მითითებული საქონლის (მათ შორის, გატარებული/დაკეპილი ფორმით არსებულის (ფარშის)), აგრეთვე საქართველოს ბინადარი ცხოველისგან მიღებული პროდუქტის სამრეწველო გადამუშავების შედეგად წარმოებული ყველის მიწოდება;

ღ) ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის სხვა პირისათვის მიწოდება ამ ქონების უკან მიღების მიზნით. თუ ტურისტული საწარმო სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის სხვა პირისათვის მიწოდებიდან 2 წლის განმავლობაში სასყიდლიანი ხელშეკრულებით უკან მიიღებს იმავე აქტივებს, ოპერაცია ასევე თავისუფლდება დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით და ეს არის დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირების საფუძველი. ამ შემთხვევაში ტურისტულ საწარმოს უფლება აქვს, განახორციელოს დასაბეგრი ოპერაციის კორექტირება საგადასახადო კოდექსის 179-ე მუხლით დადგენილი წესით;

ყ) ტურისტული საწარმოს მიერ ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ობიექტის/მისი ნაწილის სასტუმროდ ფუნქციონირებისთვის/ოპერირებისთვის მოწვეული პირის/პირების მიერ სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მესაკუთრისათვის კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 60 დღის ვადით სასტუმრო მომსახურების (სასტუმროში ცხოვრების) უსასყიდლოდ მიწოდება;

შ) საქართველოში მობილურ ან ფიქსირებულ ქსელში საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურება.

ჩ) შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის გადამუშავების მიზნით აღნიშნული სასაქონლო ოპერაციის განმახორციელებელი პირის მიერ საგადასახადო კოდექსის 234-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“–„გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებების გაწევა (გარდა იმ შემთხვევისა, თუ შემდგომ განხორციელდა გადამუშავებული საქონლის იმპორტი).

ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა ან/და საქონლის იმპორტი, თუ აღნიშნული ხორციელდება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში და ამ ხელშეკრულებების შესაბამისად ასეთი საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა ან/და საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ისგან.

დღგ-ის განაკვეთი შეადგენს:

ა) დასაბეგრი ბრუნვის ან საქონლის იმპორტის თანხის 18 პროცენტს;

ბ) საქონლის დროებითი შემოტანისას დროებითი შემოტანის თანხის 0.54 პროცენტს ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე, მაგრამ არა უმეტეს საქონლის დროებითი შემოტანისას დროებითი შემოტანის თანხის 18 პროცენტისა;

გ) უკუდაბეგვრის წესით დასაბეგრი ოპერაციის თანხის 18 პროცენტს.

დასაბეგრი ბრუნვა არის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების, საქონლის ექსპორტისა და საქონლის რეექსპორტის თანხის ჯამი.

ბიუჯეტში შესატანი დღგ მოიცავს:

ა) დასაბეგრი ბრუნვიდან ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა დასაბეგრ ბრუნვაზე დარიცხულ დღგ-ის თანხასა და ჩასათვლელ დღგ-ის თანხებს შორის;

მაგალითი:

შპს R-მა მყიდველს მიაწოდა 10 000 ლარის შაქრის ფხვნილი (დღგ-ს გარეშე), რომელიც მას იმავე თვეში შეძენილი ჰქონდა 9000 ლარად (დღგ-ს გარეშე), ამ ოპერაციებზე დარიცხული დღგ-ს თანხა ტოლია 1 800 ლარის (10 000 * 18%). შაქრის ფხვნილის შეძენისას R-მა გადაიხადა 1620 ლარი (9 000 * 18%). R-ის მიერ ბიუჯეტში შესატანი თანხა შეადგენს 180 ლარს (1 800 – 1620) (იგულისხმება, რომ R-ს სხვა ოპერაციები არ განუხორციელებია).

ბ) საქონლის იმპორტისას ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას;

მაგალითი:

პირმა განახორციელა 1 000 ლარის საბაჟო ღირებულების საქონლის იმპორტი. ვთქვათ, ამ საქონელზე იმპორტის გადასახადი შეადგენს 12 პროცენტს, ხოლო აქციზი 30 ლარს. ამ საქონელზე გადასახდელი დღგ იქნება (1 000 + 1 000*12% + 30)*18%)

გ) საქონლის დროებითი შემოტანისას ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას;

მაგალითი:

დროებით შემოტანილია 200 ლარის საბაჟო ღირებუ-ლების საქონელი, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას. საქონელი შემოტანილია 2 წლის ვადით. ამ ვადის განმავლობაში ყოველთვე გადახდას ექვემდებარება დღგ (200*0,54%) 1,08 ლარის ოდენობით.

დ) უკუდაბეგვრის წესით დასაბეგრი ოპერაციიდან ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას.

მაგალითი:

არარეზიდენტმა რეზიდენტს გაუწია 500 ლარის მომსახურება. რეზიდენტმა ამ თანხას უნდა დაარიცხოს დღგ 18 პროცენტის ოდენობით (90 ლარი) და შეიტანოს ბიუჯეტში.

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია შესაბამის საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დღგ-ის დეკლარაცია ყოველ საანგარიშო პერიოდზე არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა და ამავე ვადაში გადაიხადოს დღგ.

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით სასამართლოს მიერ გამოტანილი გაკოტრების შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 15 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებამდე სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისი წარუდგენელი დეკლარაციები. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელი გაკოტრების საქმის წარმოე-

ბის დაწყების შემდეგ სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისად დღგ-ის დეკლარაციებს არ წარადგენს.

საქონლის დროებითი შემოტანისას დარიცხული დღგ-ის თანხა გადახდილი უნდა იქნეს არა უგვიანეს ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ხოლო ბოლო გადახდა უნდა განხორციელდეს საქონლის დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციის დასრულების დღეს. დეკლარანტს უფლება აქვს, მთელი გადასახდელი თანხა ერთდროულად გადაიხადოს.

საქონლის იმპორტისას დღგ გადაიხდება იმპორტის გადასახდელისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

უკუდაბეგვრისას საგადასახადო აგენტი ვალდებულია დარიცხული დღგ-ის თანხა გადაიხადოს არა უგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დღგ-ის საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე.

დღგ-ის ჩათვლა არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის უფლება, შეიმციროს გადასახდელი დღგ-ის თანხა მიღებული ჩათვლის დოკუმენტების საფუძველზე.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

პირმა იყიდა 1 000 ლარის ღირებულების საქონელი, რომელსაც დაერიცხა დღგ 180 ლარი, ანუ სულ გადაიხადა 1180 ლარი. აღნიშნული საქონელი პირმა გაყიდა 1 500 ლარად, რომელსაც დაერიცხა დღგ 270 ლარი, ანუ გაიყიდა დღგ-ს ჩათვლით 1770 ლარად. ბიუჯეტში გადასახდელი დღგ 270 ლარი, შემცირდება ჩასათვლელი დღგ-ით ანუ 180 ლარით და გადასახდელი იქნება 90 ლარი.

დღგ-ს ჩათვლის დოკუმენტებია:

ა) საგადასახადო ანგარიშფაქტურა;

ბ) საბაჟო დეკლარაცია;

გ) უკუდაბეგვრისას ბიუჯეტში დღგ-ის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) დროებითი შემოტანისას ბიუჯეტში დღგ-ის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელთა მიერ მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ტარიფები დადგენილია დღგ-ის ჩათვლით, კანონით ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის № 401 დადგენილებით განსაზღვრულია ასეთი საჯარო სამართლის იურიდიული პირები:

- შემოსავლების სამსახური;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო;
- საფინანსო-ანალიტიკური სამსახური;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

დღგ-ის ჩასათვლელი თანხა არის:

ა) დღგ-ის თანხა, რომელიც გადახდილია ან გადასახდელია ჩათვლის დოკუმენტების მიხედვით საქონლის შეძენისას, მომსახურების მიღებისას, საქონლის იმპორტისას ან/და საქონლის დროებითი შემოტანისას, მათ შორის, **დღგ-ის რეგისტრაციის ძალაში შესვლის მომენტისათვის არსებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნაშთზე;**

მ ა გ ა ლ ი თ ი:

პირმა იყიდა საქონელი, რომელზეც მომწოდებელმა გამოუწერა დღგ-ის ანგარიშფაქტურა, სადაც დაფიქსირებულია გადასახდელი დღგ. დღგ-ს ეს თანხა შეიძლება უკვე იყოს მყიდველის მიერ გადახდილი, მაგრამ შეიძლება ჯერ არ იყოს გადახდილი. მიუხედავად ამისა ანგარიშფაქტურაში დაფიქსირებული დღგ-ის თანხა მიეკუთვნება ჩასათვლელ თანხას.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

შპს K-მ განახორციელა 100 000 ლარის (დღგ-ს გარეშე) ფქვილის იმპორტი. საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე მან გადაიხადა დღგ 18 000 ლარი. იმავე თვეში მას საწყობის იჯარისათვის გამოუწერეს საგადასახადო ანგარიშფაქტურა 3 500 ლარის ოდენობით (დღგ-ს გარეშე). მიუხედავად იმისა რომ შპს K-ს იჯარის საფასური იმავე თვეში არ გა-

დაუხდია მას უფლება აქვს ჩაითვალოს 18 630 ლარი (18 000 + (3500 * 18%)) ვინაიდან საგადასახადო ანგარშ-ფაქტურა გამოწერილი იყო.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანია "ალფამ" კომპანია "ბეტას" აჩუქა საქონელი, რომელიც ამ უკანასკნელს სჭირდება ეკონომიკური საქმიანობისათვის. აღნიშნულ საქონელზე კომპანია "ალფამ" გამოწერა ანგარიშფაქტურა. შეუძლია თუ არა კომპანია "ბეტას" გამოწერილი ანგარიშფაქტურის საფუძველზე ჩაითვალოს დღგ?

მოცემულ პირობებში: ვინაიდან მიწოდება ხორციელდება უსასყიდლოდ, დღგ ამ ანგარიშფაქტურის მიხედვით ჩათვლას არ ექვემდებარება, რადგან ის ჩათვლის დოკუმენტის მიმღების მიერ არც გადახდილია და არც გადასახდელი.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანია "ომეგამ" 2012 წლის მაისის თვეში განახორციელა ძირითადი საშუალებების იმპორტი. საბაჟო დეკლარაციის მიხედვით აღნიშნულ ძირითად საშუალებებზე გადახდილია დღგ 20 000 ლარის ოდენობით. 2012 წლის 1 ოქტომბერს კომპანიამ მიმართა საგადასახადო ორგანოს დღგ-ს გადამხდელად ნებაყოფლობითი რეგისტრაციისათვის, ხოლო 22 ოქტომბერს დაიწყო ეკონომიკური საქმიანობა. იგი ახორციელებს მხოლოდ დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს. შეუძლია თუ არა კომპანიას 2012 წლის ოქტომბრის თვის დეკლარაციის ჩაბარებისას საბაჟოზე გადახდილი 20 000 ლარის ჩათვლა?

მოცემულ პირობებში: დღგ-ს ჩათვლა **დღგ-ის რეგისტრაციის ძალაში შესვლის მომენტისათვის** შესაძლებელია მხოლოდ **სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნაშთზე.** გარდა ამისა "გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 996 ბრძანების 72-ე მუხლის "ბ" პუნქტის მიხედვით: ექსპლოატაციაში შესულ ძირითად საშუალებებზე ჩათვლა არ ხორციელდება.

რაც შეეხება რეგისტრაციის დროისათვის არსებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთს, მიუხედავად იმისა, რომ პირს შეძენილი აქვს საქონელი, იმ პერიოდში, როდესაც ის არ

იყო დღგ-ის გადამხდელი, მაგრამ მოგვიანებით გახდა გადამხდელი და გააჩნია ჩათვლის დოკუმენტები, ამ საქონელზე მას ეკუთვნის ჩათვლა.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

საწარმო 2011 წლის 27 ივნისიდან გახდა დღგ-ს გადამხდელი. იმავე წლის 25 ივნისს მიიღო საქონელი, რომლის ნაშთიც ჰქონდა სრულად დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის დღისათვის ანუ 27 ივნისისათვის. აღნიშნულ საქონელზე საწარმოს შეუძლია მიიღოს ჩათვლა.

ბ) საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენების შემთხვევაში ამ ოპერაციაზე დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ-ის თანხა, რომელიც იმავდროულად ჩათვლის მიღების საფუძველია.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

საამშენებლო კომპანია თვითონ თავისთვის აშენებს საწარმოს შენობას. ამ შემთხვევაში ამ მშენებლობის ღირებულებას კომპანია დაარიცხავს დღგ-ს და ამავე დროს, ჩაითვლის დარიცხულ თანხას. ჩათვლის დოკუმენტი იქნება დღგ-ს დეკლარაცია.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

ფიზიკური პირი აპირებს საცხოვრებელი სახლის მშენებლობას და სურს დარეგისტრირდეს დღგ-ს გადამხდელად, ვინაიდან მიაჩნია, რომ ის უკან დაიბრუნებს მშენებლობის დროს გადახდილ დღგ-ს.

მოცემულ პირობებში: ეკონომიკური საქმიანობის არარსებობის შემთხვევაში, აღნიშნული შენობა ძირითად საშუალებად არ განიხილება, შესაბამისად ჩათვლის მიღება ვერ მოხერხდება.

გ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირებს შორის საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შემთხვევაში თითოეული მხარისათვის მიწოდებულ საქონელზე ან გაწეულ მომსახურებაზე გადახდილი ან/და გადასახდელი დღგ-ის თანხა, თუ თითოეული ოპერაცია იბეგრება დღგ-ით. ამასთანავე, ჩათვლა ხორციელდება სანაცვლო საქონლის/მომსახურების მიღების მომენტში, მიღებული საქონლის/მომსახურების მიმართ ქვემოთ მოცემული შეზღუდვების (გარდა 174-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვისა) გათვალისწინებით.

დღგ-ის ჩათვლა ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) საქონელი ან/და მომსახურება გამოიყენება ან გამოყენებული იქნება:

ა.ა) დასაბეგრ ოპერაციებში, გარდა ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციებისა;

ა.ბ) საქონლის რეექსპორტში ან/და ექსპორტში;

ა.გ) საქართველოს ტერიტორიის გარეთ მომსახურების გაწევისათვის;

მ ა გ ა ლ ი თ ი:

რეზიდენტი პირი ახორციელებს საზღვარგარეთ ისეთ მომსახურებას, რომელშიც მონაწილეობს საქართველოში დღგ-ით დაბეგრილი საქონელი ან მომსახურება, მაგ., ასეთი მომსახურებაა შენობა-ნაგებობების ღებვა. ღებვის განსახორციელებლად რეზიდენტმა პირმა გაიტანა საზღვარგარეთ ფუნჯები, რომელზეც მას საქართველოში ყიდვის დროს გადახდილი ჰქონდა დღგ. ასეთი ფუნჯების მოხმარების შემთხვევაში ადრე გადახდილი დღგ ჩაეთვლება ამ პირს სხვა დასაბეგრ ოპერაციებში.

ა.დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ სახელმწიფოსათვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებისათვის ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევისათვის

ბ) საქონელი ან/და მომსახურება გამოიყენება ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საქონლის წარმოებისათვის ან/და მომსახურების გაწევისათვის.

დღგ-ის ჩათვლა არ ხორციელდება:

ა) პირის მიერ სოციალური მიზნით, გასართობი ღონისძიებებისათვის გაწეულ ხარჯზე ან წარმომადგენლობით ხარჯზე გადახდილ დღგ-ის თანხებზე, გარდა ასეთი ღონისძიებების ფარგლებში პირის მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდებისა, როდესაც ასეთი ხარჯის ფარგლებში შესყიდული საქონელი ან/და მომსახურება ამ პირის მიერ იბეგრება დღგ-ით;

მ ა გ ა ლ ი თ ი:

საწარმოს დირექტორი ყიდულობს თეატრის ბილეთებს და ყიდის

მას თავის თანამშრომლებზე. ასეთ შემთხვევაში, თუ ნაყიდი ბილეთის დროს გადახდილია დღგ და ამავე დროს, ამ ბილეთის თანამშრომლებზე მიყიდვისას ეს პირი დაარიცხავს ბილეთებს დღგ-ს, მაშინ მას შეუძლია მიიღოს ჩათვლა ყიდვის დროს გადახდილი დღგ-ის ოდენობით.

ბ) საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის მე-4–მე-11 ნაწილების გათვალისწინებით, ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულ დასაბეგრ ოპერაციებში გამოყენებული ან/და გამოსაყენებელი საქონლის/მომსახურების საწარმოებლად გაწეულ ხარჯზე გადახდილ დღგ-ის თანხებზე;

მ ა გ ა ლ ი თ ი:

სტამბა ბეჭდავს წიგნს. წიგნის ბეჭდვა, როგორც მომსახურების გაწევა გათავისუფლებულია დღგ-ისაგან ჩათვლის უფლების გარეშე. სტამბა წიგნის დასაბეჭდად იყენებს საღებავს, რომელიც მან შეიძინა და გადაიხადა შესაბამისი დღგ. გადახდილი დღგ ჩათვლას არ ექვემდებარება.

გ) იმ საგადასახადო ანგარიშფაქტურებით, რომლებიც არ იძლევა საქონლის/მომსახურების გამყიდველის იდენტიფიცირების საშუალებას; (მაგალითად, თუ ანგარიშფაქტურაში არ არის გამყიდველის ხელმოწერა).

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანიამ იყიდა საქონელი და შესაბამისად მას გამოუწერეს ანგარიშფაქტურა. გაირკვა, რომ ანგარიშფაქტურაში მითითებული არ იყო გამყიდველის მონაცემები (ან არასრულად იყო მითითებული) და ვერ მოხერხდა ანგარიშფაქტურის მიხედვით გამყიდველის იდენტიფიცირება. ამ შემთხვევაში კომპანია ამ ანგარიშფაქტურაში მითითებულ დღგ-ს ვერ ჩაითვლის.

ე) იმ საგადასახადო ანგარიშფაქტურებით, რომლებიც გადასახადის გადამხდელის (მყიდველის/ჩათვლის მიმღების) მიერ ასახული არ არის ქვემოთ მოცემულ, შესაბამის ვადაში წარმოდგენილ ერთერთ დეკლარაციაში მაინც:

ე.ა) დასაბეგრი ოპერაციის საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან არა უგვიანეს მომდევნო სამი საანგარიშო პერიოდის მიხედვით დადგენილ ვადაში წარმოდგენილ დღგ-ის დეკლარაციაში (მათ შო-

რის, იმავე ვადაში დაზუსტებული დეკლარაციის წარდგენის გზით);

ე.ბ) დასაბეგრი ოპერაციის საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან არა უგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის კალენდარული წლის დეკემბრის საანგარიშო პერიოდის მიხედვით დადგენილ ვადაში წარმოდგენილ დღგ-ის დეკლარაციაში (მათ შორის, იმავე ვადაში დაზუსტებული დეკლარაციის წარდგენის გზით);

"ე.ა" და "ე.ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად, დეკემბრის თვეში მომხდარი დასაბეგრი ოპერაციების მიხედვით მომდევნო თვეებში (იანვარ-მარტში) გამოწერილი ანგარიშფაქტურებით დღგ-ს ჩათვლის მისაღებად, დღგ-ს ჩათვლის მიმღებმა უნდა დააზუსტოს დეკემბრის თვის დეკლარაცია, ანუ დეკემბრის პერიოდთან დაკავშირებული საგადასახადო ანგარიშფაქტურებით იგი დღგ-ს ვერ ჩათვლის მომდევნო თვეების დეკლარაციებში.

ვ) უსაქონლო ოპერაციების ან ფიქტიური გარიგებების მიხედვით გამოწერილი ანგარიშფაქტურებით. ამასთანავე, მიღებული დღგ-ის ჩათვლა მყიდველისათვის უქმდება.

ოპერაცია უსაქონლოდ ან გარიგება ფიქტიურად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ ოპერაცია ან გარიგება არ განხორციელებულა იმ პირებს შორის, რომლებიც აღნიშნულია ოპერაციის ან გარიგების დამადასტურებელ დოკუმენტებში (საგადასახადო ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები ან სხვა).

მხოლოდ ის ფაქტი, რომ საქონლის ან მომსახურების მიმწოდებელს არ გააჩნია მიწოდებული საქონლის ან მომსახურების შესყიდვის ან მასზე გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საკმარის საფუძვლად, რათა ოპერაცია ჩაითვალოს უსაქონლოდ ან გარიგება ფიქტიურად.

"ე" ქვეპუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე როდესაც დღგ-ს გადამხდელს უფლება აქვს, ძირითად საშუალებებზე მიიღოს ჩათვლა მხოლოდ ყოველი კალენდარული წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში წლის განმავლობაში საერთო ბრუნვაში ჩათვლის უფლების მქონე დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის პროპორციულად და **აგრეთვე საგადასახადო ანგარიშფაქტურის ელექტრონული ფორმით**

გამოწერის შემთხვევებზე. ანუ, თუ მაგალითად, გადასახადის გადამხდელმა მიმწოდებლისაგან ანგარიშფაქტურები მიიღო დაგვიანებით (წინა წლების დასაბეგრ ოპერაციებზე), იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი ანგარიშფაქტურები არ არის ელექტრონული (გამოწერილია "ხელით" ან კომპიუტერული საგადასახადო ანგარიშფაქტურებია), მაშინ მათ მიხედვით დღგ-ს ჩათვლის შესაძლო ვადა (3 კალენდარული თვე დასაბეგრი ოპერაციის მოხდენიდან) გასულია, ხოლო თუ საგადასახადო ანგარიშფაქტურები გამოწერილია ელექტრონულად, მათ მიხედვით დღგ-ს ჩათვლის ვადა შეზღუდული არ არის. აღნიშნული ცვლილება საგადასახადო კოდექსში შევიდა 2012 წლის დეკემბერში, შესაბამისად იგი ვრცელდება იმ ანგარიშფაქტურებზე, რომლებსაც ამ ცვლილების შეტანის დროისათვის დღგ-ს ჩათვლის ვადა ამოწურული არ ჰქონდა.

თუ საქონელი/მომსახურება, რომლის მიხედვითაც დღგ-ის გადამხდელმა მიიღო დღგ-ის ჩათვლა, გამოყენებულ იქნა ისეთ ოპერაციებში, რომელთა დროსაც დღგ-ის გადამხდელს არ აქვს ჩათვლის მიღების უფლება, ჩათვლილი დღგ-ის თანხა ექვემდებარება გაუქმებას იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც ის ამგვარ ოპერაციებში იქნა გამოყენებული.

თუ საქონელი/მომსახურება, რომლის მიხედვითაც დღგ-ის გადამხდელმა მიიღო დღგ-ის ჩათვლა, გამოყენებულ იქნა:

ა) მხოლოდ ისეთ ოპერაციაში, რომლის დროსაც დღგ-ის გადამხდელს აქვს ჩათვლის მიღების უფლება, ჩათვლილი დღგ-ის თანხა არ ექვემდებარება გაუქმებას;

ბ) მხოლოდ ისეთ ოპერაციაში, რომლის დროსაც დღგ-ის გადამხდელს არ აქვს ჩათვლის მიღების უფლება, ჩათვლილი დღგ-ის თანხა ექვემდებარება სრულად გაუქმებას.

თუ საქონელი ან მომსახურება ერთდროულად გამოიყენება ჩათვლის უფლების მქონე და ჩათვლის უფლების გარეშე ოპერაციებში და მათი გამიჯვნა შეუძლებელია, მაშინ:

ა) დღგ-ის ჩასათვლელი თანხა გაიანგარიშება საანგარიშო პერიოდში საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების მქონე დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის მიხედვით;

ბ) ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით დღგ-ის ჩასათვლელი თანხის დაზუსტება ხდება მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში წლის განმავლობაში საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების მქონე დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის მიხედვით.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

სტამბა ელექტროენერგიას იყენებს როგორც წიგნის, ასევე სარეკლამო პლაკატების ბეჭდვისათვის. ის, თუ რამდენ ელექტროენერგიას ხარჯავს ერთ შემთხვევაში ან მეორე შემთხვევაში, მათი გამიჯვნა შეუძლებელია. დახარჯულ ელექტროენერგიაზე სტამბას გადახდილი აქვს დღგ. ამასთან, **წიგნის ბეჭდვის მომსახურება გათავისუფლებულია ჩათვლის უფლების გარეშე,** ხოლო **პლაკატების ბეჭდვის მომსახურება იბეგრება დღგ-ით.** საერთო ბრუნვა შეადგენს 100 000 ლარს, აქედან გათავისუფლებული ოპერაციის თანხა არის 80 000 ლარი, ხოლო დასაბეგრი 20 000 ლარი. სულ დახარჯულია 1 000 ლარის ელექტროენერგია, რაზეც გადახდილია 180 ლარი დღგ შესაბამისად, ჩასათვლელი დღგ იქნება 200 ლარზე დარიცული დღგ ანუ 36 ლარი და არა მთლიანად 180 ლარი.

ძირითადი საშუალების მიხედვით, თუ იგი გამოყენებულ იქნა ან/და იქნება:

ა) მხოლოდ ისეთ ოპერაციაში, რომლის დროსაც დღგ-ის გადამხდელს აქვს ჩათვლის მიღების უფლება, პირს უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე პირველივე საანგარიშო პერიოდში სრულად მიიღოს ჩათვლა, და ჩათვლილი დღგ-ის თანხა არ ექვემდებარება გაუქმებას;

ბ) მხოლოდ ისეთ ოპერაციაში, რომლის დროსაც დღგ-ის გადამხდელს არ აქვს ჩათვლის მიღების უფლება, პირს უფლება არ აქვს, ძირითად საშუალებაზე მიიღოს ჩათვლა;

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანიას აქვს საკუთარი წარმოების შენობა, რომელიც შევიდა ექსპლოატაციაში 2012 წლის მაისში. მისი ღირებულება შეადგენს 30 000 ლარს. შესაბამისად საანგარიშო თვეში (მაისში) კომპანიამ დაარიცხა დღგ 5 400 ლარი და გადაიხადა ბიუჯეტში.

მოცემულ პირობებში: თუ კომპანია ამ შენობას გამოიყენებს მხოლოდ დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში, ან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებში, მაშინ მას უფლება აქვს ჩაითვალოს საკუთარი წარმოების შენობაზე ექსპლოატაციაში შესვლის დროს დარიცხული დღგ პირველივე საანგარიშო პერიოდში, ხოლო თუ კომპანია ამ შენობას გამოიყენებს მხოლოდ დღგ-საგან გათავისუფლებულ ოპერაციებში ჩათვლის უფლების გარეშე, მაშინ მას საკუთარი წარმოების შენობაზე ექსპლოატაციაში შესვლის დროს დარიცხული დღგ-ს ჩათვლის უფლება არ აქვს. ამ შემთხვევაში დღგ არადაბრუნებადი გადასახადია და ის უნდა დაემატოს ძირითადი საშუალებების ღირებულებას **ბასს 16** –ის მიხედვით. შესაბამისად დღგ-ს თანხა მიეკუთვნება ძირითადი საშუალების თვითღირებულებას და შემდგომში გამოიქვითება ამორტიზაციის დარიცხვის გზით.

გ) **<u>ერთდროულად ჩათვლის უფლების მქონე და ჩათვლის უფლების გარეშე ოპერაციებში და მათი გამიჯვნა შეუძლებელია, მაშინ:</u>**

გ.ა) თუ დღგ-ის გადამხდელის მიერ **წინა საგადასახადო წლის მიხედვით ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის 20 პროცენტზე ნაკლებია,** პირს უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე **პირველივე საანგარიშო პერიოდში სრულად მიიღოს ჩათვლა,** ამასთანავე, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს **გასაუქმებელი დღგ-ის თანხა განსაზღვრება** კალენდარული წლის საერთო ბრუნვის თანხაში **ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის პროპორციულად;**

გ.ბ) დღგ-ის გადამხდელს, გარდა ამ ნაწილის „გ.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულისა, უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე **მიიღოს ჩათვლა** მხოლოდ ყოველი კალენდარული წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში წლის განმავლობაში საერთო ბრუნვაში **ჩათვლის უფლების მქონე** დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის პროპორციულად.

ძირითადი საშუალების მიხედვით, ყოველწლიურად გასაუქმებელი („გ.ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაში) ან ჩასათვლელი („გ.ბ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში) დღგ-ის თანხა გაიანგარიშება:

ა) **შენობა-ნაგებობებზე** – ექსპლუატაციაში მიღების წლიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში, დღგ-ის თანხის ერთი მეათედის ოდენობით;

ბ) **სხვა ძირითად საშუალებებზე** – ექსპლუატაციაში მიღების წლიდან 5 კალენდარული წლის განმავლობაში, დღგ-ის თანხის ერთი მეხუთედის ოდენობით.

მაგალითი:

საწარმომ 2011 წლის 20 ივნისს შეიძინა კომპიუტერი 1770 ლარად დღგ-ს ჩათვლით. დღგ-ის თანხის გამოჯვნა ჩათვლის უფლებით და ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი და გათავისუფლებული ოპერაციების მიხედვით შეუძლებელია. წინა საგადასახადო წლის მიხედვით ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის 40 პროცენტია. დავუშვათ, კალენდარული წლის ბოლოს წლის განმავლობაში საერთო ბრუნვაში ჩათვლის უფლების მქონე დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონა 45 პროცენტია და იგივე ხვედრითი წონა დარჩა 2012 წელშიც. გადახდილი დღგ-ის თანხიდან - 270 ლარიდან რამდენი ჩაითვლება 2011 წელს და 2012 წელს.

მოცემულ პირობებში: დღგ-ს ჩათვლის უფლებით დასაბეგრი და ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ოპერაციების პროპორციიდან გამომდინარე, უნდა ვიხელმძღვანელოთ "გ.ბ" ქვეპუნქტით ანუ, რადგან წინა საგადასახადო წლის მიხედვით ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის 20 პროცენტზე მეტია დღგ-ს ჩათვლა უნდა მოვახდინოთ მხოლოდ დეკემბრის თვეში. რადგან აღნიშნული ძირითადი საშუალება არ განეკუთვნება შენობა-ნაგებობას, გადახდილი დღგ-ს თანხიდან – 270 ლარიდან 2011 წელს საწარმო ჩაითვლის ამ თანხის 1/5-ის 45%-ს ანუ 24.30 ლარს, იგივე თანხას ჩაითვლის 2012 წლის ბოლოსაც.

პირს უფლება აქვს, იმ ძირითადი საშუალების მიწოდებისას, რომლის მიხედვითაც 174-ე მუხლის მე-7 მე-9 ნაწილების გათვალისწინებით არ მიუღია ან/და გაუუქმდა დღგ-ის ჩათვლა, დასაბეგრ ოპერაციაზე დასარიცხი დღგ-ის თანხა შეამციროს ამ ძირითადი საშუალების მიხედვით მიუღებელი ან/და გაუქმებული დღგ-ის ჩათვლის თანხის ოდენობით, შესაბამისი დოკუმენტის ან/და საფუძვლის არსებობისას.

ამ ნაწილით განსაზღვრული დღგ-ის ჩასათვლელი თანხის გადაანგარიშება ან/და გაუქმება სავალდებულო არ არის, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხა **საერთო ბრუნვის თანხის 5 პროცენტზე ნაკლებია.**

მაგალითი:

საწარმო, რომელიც დღგ-ს გადამხდელია, საზღვარგარეთ შეიძინა ძირითადი საშუალებები (სათბურის კომპლექსი). აღნიშნული ძირითადი საშუალებები გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (პომიდორი) წარმოებისათვის. შეუძლია თუ არა საწარმოს საბაჟო დეკლარაციის მიხედვით გადახდილი დღგს ჩათვლა?

მოცემულ პირობებში: ვინაიდან ძირითადი საშუალებები გამოიყენება ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულ ოპერაციებში, დღგ-ს ჩათვლა არ შეიძლება. თუმცა თეორიულად, თუ საწარმო დაკავდება პომიდვრის გადამუშავებითაც (მაგ. ტომატი, კეტჩუბი) და გადამუშავებული პროდუქციის რეალიზაციით, ხოლო ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის თანხის 5 პროცენტზე მეტი იქნება, ასეთ შემთხვევაში დღგ-ს ჩათვლა მოხდება ნაწილ-ნაწილ "ექსპლოატაციაში მიღების წლიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში, დღგ-ს თანხის ერთი მეათედის ოდენობით".

საერთო ბრუნვა არის პირის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის თანხათა ჯამი. ამასთანავე, არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულებისათვის მხედველობაში მიიღება მხოლოდ მუდმივი დაწესებულების მიერ განხორციელებული საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა.

მაგალითი:

კალენდარული წლის განმავლობაში დღგ-ს გადამხდელ პირს განხორციელებული აქვს 100 000 ლარის დასაბეგრი ბრუნვა (დღგ-ს გარეშე) და ასევე ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისაგან გათავისუფლებული ბრუნვა 5 500 ლარი. გადამხდელმა საერთო ბრუნვაში გაითვალისწინა დასაბეგრ ოპერაციებზე დარიცხული დღგ-ც – 18 000 ლარი (100 000 *18%). შესაბამისად საერთო ბრუნვა განისაზღვრა 123 500 ლარით (118 000 + 5 500). გადამხდელმა საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად არ განახორციელა ჩათვლილი დღგ-ის თანხის გადაანგარიშება ან/და გაუქმება, ვინაიდან ჩათვალა, რომ ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისაგან გათავისუფლებული ბრუნვა შეადგენს 5%-ზე ნაკლებს – 4,45%-ს (5 500/123 500*100).

მოცემულ პირობებში: საერთო ბრუნვა მოიცავს დასაბეგრი ოპერაციების ჯამს – მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურების თანხების ჯამის ოდენობით, ხოლო დასაბეგრი ოპერაცია არ მოიცავს დღგ-ს. შესაბამისად, საერთო ბრუნვა უნდა განისაზღვროს დღგ-ის გარეშე (სსკ მუხლი 161-1ა-2); (სსკ მუხლი 174-12). ანუ ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისაგან გათავისუფლებული ოპერაციის თანხა აღემატება საერთო ბრუნვის 5%-ს (5 500/105500*100). შესაბამისად გადამხდელი ვალდებული იყო განეხორციელებინა ჩათვლილი დღგ-ის თანხის გადაანგარიშება ან/და გაუქმება (სსკ მუხლი 174-10) გადასახადის შემცირების შემთხვევაში პირი დაჯარიმდება სსკ მუხლი 275-2 ნაწილის შესაბამისად

დღგ-ის ჩასათვლელი თანხა არ ექვემდებარება გაუქმებას:

ა) საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის შემთხვევაში;

ბ) საქონლის დანაკარგზე (იგულისხმება დანაკარგი, რომელიც არ აღემატება უფლებამოსილი ორგანოს მიერ ამ საქონელზე დადგენილი დანაკარგის მაქსიმალურ ზღვრულ ოდენობას).

საგადასახადო ანგარიშფაქტურა არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილ შემთხვევებში საგადასახადო ანგარიშფაქტურა შეიძლება გამოიწეროს და წარდგენილ იქნეს ელექტრონული ფორმით (ელექტრონული საგადასახადო ანგარიშფაქტურა), რომელიც არ არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი.

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი უფლებამოსილია საგადასახადო ანგარიშფაქტურა გამოწეროს და საქონლის/მომსახურების მიმღებს წარუდგინოს **მხოლოდ დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებისას**. ამასთანავე, თუ პირი საქონლის (გარანტირებული სიმძლავრის, ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის ან წყლის) მიწოდებას აღრიცხავს ციკლური დარიცხვებით, როდესაც მომხმარებლებთან ანგარიშსწორება ხორციელდება არა კალენდარული თვის, არამედ გარკვეული პერიოდის (ციკლის) განმავლობაში მიწოდებული საქონლის ოდენობის მიხედვით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც საანგარიშო პერიოდს, ისე საანგარიშოს წინა პერიოდს, საგადასახადო ანგარიშფაქტურა შეიძლება გამოიწეროს ასეთი პერიოდის (ციკლის) მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ბ.ბ“ **ქვეპუნქტით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება არა უგვიანეს ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლო დღე.**

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია (გარდა საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შემთხვევისა, როდესაც თითოეული ოპერაცია იბეგრება დღგ-ით) საქონლის/მომსახურების მიმღების მოთხოვნისას მოთხოვნიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა გამოწეროს საგადასახადო ანგარიშფაქტურა და წარუდგინოს იგი საქონლის/მომსახურების მიმღებს ამ მუხლის მე-2 ნაწილის პირობების დაცვით. ამასთანავე, საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოწერის ვალდებულება არ წარმოეშობა იმ ფიზიკურ პირს, რომელიც არ არის რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელად, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერულ) ოპერაციაზე საგადასახადო ანგარიშფაქტურა არ გამოიწერება. ამ შემთხვევაში ჩათვლის მიღების საფუძველია მიწოდებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურებაზე გადასახდელი დღგ-ის თანხის საგადასახადო ორგანოში წარდგენილ დღგ-ის დეკლარაციაში ასახვა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს:

ა) ცალკეულ საქონელზე/მომსახურებაზე, აგრეთვე ცალკეული კატეგორიის მყიდველებისათვის შემოიღოს განსხვავებული ფორმის სპეციალური საგადასახადო ანგარიშფაქტურა და განსაზღვროს მისი გაცემის, აღრიცხვისა და გამოყენების წესი;

ბ) ცალკეული დღგ-ის გადამხდელებისათვის შემოიღოს კომპიუტერული წესით ამობეჭდილი საგადასახადო ანგარიშფაქტურა და განსაზღვროს მისი გაცემის, აღრიცხვისა და გამოყენების წესი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია შემოიღოს ანგარიშფაქტურა, რომელიც შეიცავს როგორც სასაქონლო ზედნადებით, ისე საგადასახადო ანგარიშფაქტურით (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშფაქტურებით) **გათვალისწინებულ რეკვიზიტებს, და განსაზღვროს მისი გამოწერისა და წარდგენის წესი.**

ანგარიშფაქტურა გამოიწერება:

ა) როგორც სასაქონლო ზედნადების, ისე საგადასახადო ანგარიშფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშფაქტურების) გამოწერაზე უფლებამოსილი პირის მიერ;

ბ) როგორც სასაქონლო ზედნადების, ისე საგადასახადო ანგარიშფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშფაქტურების) გამოწერის ვალდებულების შემთხვევაში.

ანგარიშფაქტურის გამოწერის შემთხვევაში:

ა) მისი გამომწერი თავისუფლდება როგორც სასაქონლო ზედნადების, ისე საგადასახადო ანგარიშფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშფაქტურების) გამოწერის ვალდებულებისაგან;

ბ) მისი მიმღები უფლებამოსილია გამოიყენოს იგი როგორც ტრანსპორტირების, ისე ჩათვლის დოკუმენტის სახით.

ანგარიშფაქტურა საგადასახადო სამართლებრივ ურთიერთობებში ცვლის როგორც სასაქონლო ზედნადებს, ისე საგადასახადო ანგარიშფაქტურას (მათ შორის, სპეციალურ საგადასახადო ანგარიშფაქტურებს) და მისი გამოწერის ან გამოუწერლობის შემთხვევაში დგება ყველა ის სამართლებრივი შედეგი, რომლებიც სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშფაქტურების) გამოწერისას/გამოუწერლობისას.

ანგარიშფაქტურის გამოწერისა და წარდგენის წესის დარღვევისას გამოიყენება შესაბამისად სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშფაქტურების) გამოწერისა და წარდგენის წესთან დაკავშირებული სამართალდარღვევებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული პასუხისმგებლობის ზომები.

დღგ-ით უკუდაბეგვრას ექვემდებარება:

ა) არარეზიდენტი ფიზიკური პირის (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა) ან არარეზიდენტი საწარმოს მიერ საგადასახადო აგენტისათვის საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურება;

მაგალითი:

რუსულმა კომპანიამ შპს K-ს ივკარით გადასცა სატვირთო ავტომანქანა 30 000 ლარად (დღგ-ს გარეშე), რომელიც K-მ მიიღო საქართველოში. ამ შემთხვევაში მომსახურების ფაქტობრივად განხორციელების ადგილი არის საქართველო და მომსახურება მიწოდებულად ითვლება საქართველოში. რუსული კომპანია ამ ოპერაციაზე იბეგრება დღგ-ის განაკვეთით. K-ს აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი და ამდენად იგი ვალდებულია, რომ აღრიცხოს რუსული კომპანიის მიერ გადასახდელი დღგ. ვთქვათ მომსახურების გაწევა ხდება 2012 წლის მაისში. ამ შემთხვევაში დღგ-ს თანხა, რომელიც უნდა აღირიცხოს არის 5 400 ლარი (30 000 * 18%).

მაგალითი:

წინა მაგალითის პირობები უცვლელია იმ განსხვავებით, რომ K მომსახურებას იღებს მაისსა და ივნისში. მაშინ K-მ მაისის თვის

დღგ-ს დეკლარაციის წარდგენის დროს (არა უგვიანეს 15 ივნისისა, თუკი მისი საანგარიშო პერიოდია ერთი თვე), უნდა გადაიხადოს 2 700 ლარი (მაისის თვის მომსახურებაზე). მომსახურების ღირებულების წინასწარ გადახდისას დღგ-ის გადახდის ვალდებულება K-ს არ წარმოეშობა, რადგან ამ მომენტში მომსახურება ჯერ გაწეული არ არის.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

საქართველოში რეგისტრირებულმა სამედიცინო სასწავლებელმა მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა უცხო ქვეყნის ფიზიკურ პირთან. აღნიშნული ფიზიკური პირის ვალდებულება იყო მოეზიდა სტუდენტები თავისი ქვეყნიდან და გაეწია რეკლამა სასწავლებლისთვის, რისთვისაც იგი იღებდა მომსახურების საზღაურს.

მოცემულ პირობებში: აღნიშნული ფიზიკური პირის მიერ გაწეული მომსახურება დაიბეგრება უკუდაბეგვრის წესით, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურება, რაც გამომდინარეობს სსკ 166 მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტიდან.

თუ საგადასახადო აგენტი არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად, მან დარიცხული დღგ უნდა გადაიხადოს მომსახურების გაწევის თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, თუკი მისი საანგარიშო პერიოდია ერთი თვე.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

წინა მაგალითის პირობები უცვლელია იმ განსხვავებით, რომ K არ არის რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად. მაისის თვის მომსახურების შესაბამისი დღგ (2 700 ლარი) მას მაინც 15 ივნისისათვის ექნება გადასახდელი.

ბ) პირის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემა;

გ) საგადასახადო აგენტისათვის საქართველოს ტერიტორიის გარეთ გაწეული მომსახურების ან/და საქონლის პროდუქტის (საპროექტო დოკუმენტაცია, ტექნიკური დოკუმენტაცია, ტექნოლოგიური სქემა, პროგრამა და სხვა) მიწოდება ინტერნეტით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვაგვარი საშუალებით, თუ იგი არ

კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს ინტეგრირებული სქემის ან სხვა სახის ინფორმაციის მატარებლის საშუალებით.

დ) საბაჟო საწყობში საგადასახადო კოდექსის 162-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირისგან შეძენილი უცხოური საქონელი, რომელიც იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში ექცევა.

საგადასახადო აგენტად ითვლება:

ა) ამ ნაწილის „ა" და „გ" ქვეპუნქტების მიზნებისათვის ნებისმიერი გადასახადის გადამხდელი რეზიდენტი (გარდა არამეწარმე ფიზიკური პირისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოსი) და არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულება;

ბ) ამ „ბ" ქვეპუნქტის მიზნებისათვის პირი (კრედიტორი), რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში საკუთრებაში იღებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საგანს (საქონელს).

გ) ამ ნაწილის „დ" ქვეპუნქტის მიზნებისათვის პირი, რომელიც საქონელს იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში აქცევს.

საგადასახადო აგენტი აწარმოებს დღგ-ის დარიცხვას: **მომსახურებისათვის გასაცემ თანხაზე, ან საკუთრებაში მიღებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) საბაზრო ფასზე, დღგ-ის გარეშე**, ან თუ საქონლის იმპორტი და მიწოდება არ არის დღგ-ისაგან გათავისუფლებული საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულებასა და საქონლის იმპორტის თანხას შორის დადებითი სხვაობის თანხაზე, ან თუ საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ისაგან, ხოლო საქონლის მიწოდება დღგ-ით იბეგრება საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულებაზე.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

ლომბარდს გასესხებული თანხის სანაცვლოდ მოუწია დაგირავებული ნივთის გაყიდვა. აღნიშნულ შემთხვევაში დღგ-ს გადახდა უკუდაბეგვრის წესით ეკისრება იმ პირს (კრედიტორს), რომელიც "სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში საკუთრებაში იღებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საგანს (საქონელს).

პირის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში, საქონლის საბაზრო ფასზე დღგ-ის დარიცხვის ვალდებულება არ ეკისრება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს. ამასთანავე, ითვლება, რომ ამ საქონელზე მან განახორციელა შესაბამისი ოდენობის დღგ-ის ჩათვლა.

დღგ-ით უკუდაბეგვრას არ ექვემდებარება:

ა) საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, რომელიც გათავისუფლებულია დღგ-ისგან;

ბ) პირის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის), ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემა;

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაცია იბეგრება დღგ-ით, ხოლო ამ ოპერაციაზე დარიცხული დღგ-ის თანხის პირის (საქონლის მესაკუთრის) სახელით **ბიუჯეტში გადახდას უზრუნველყოფს საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი.** ამასთანავე, ამ შემთხვევაში დღგ-ით არ იბეგრება:

ა) საცხოვრებელი ბინის/სახლის რეალიზაცია;

ბ) მიწის ნაკვეთის რეალიზაცია;

გ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქო-ნლო ნომენკლატურის 8703 კოდით გათვალისწინებული მსუბუქი ავტომობილის რეალიზაცია;

დ) ფიზიკური პირის (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა) საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაცია.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით სამეურვეო ქონების აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაცია იბეგრება

დღგ-ით, ხოლო ამ ოპერაციაზე დარიცხული დღგ-ის თანხის პირის (სამეურვეო ქონების მესაკუთრის) სახელით ბიუჯეტში გადახდას უზრუნველყოფს საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი. **ამასთანავე, გარდა სამეურვეო ქონების ერთიანი კომპლექსის სახით რეალიზაციის შემთხვევისა, დღგ-ით არ იბეგრება:**

ა) ინდივიდუალური მეწარმის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის/სახლის რეალიზაცია;

ბ) მიწის ნაკვეთის რეალიზაცია;

გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია;

დ) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რეალიზაცია.

ამ შემთხვევებში:

ა) საქონლის სარეალიზაციო ფასი (მყიდველის მიერ გადახდილი/გადასახდელი საკომპენსაციო თანხა) მოიცავს დღგ-ის თანხას;

ბ) საქონლის რეალიზაციის დღგ-ით დაბეგვრისას არ ვრცელდება დღგ-სგან გათავისუფლების ნორმების მოქმედება.

შერეულ ოპერაციად ითვლება ისეთი ოპერაცია, რომელიც მოიცავს საქონლისა და მომსახურების კომბინირებულ მიწოდებას.

საქონლის/მომსახურების მიწოდება, რომელიც ძირითადი საქონლის/მომსახურების მიწოდების მიმართ დამხმარე ხასიათისაა, ითვლება ამ საქონლის/მომსახურების ნაწილად.

მაგალითი:

A კომპანია საქონელს ყიდის თბილისში. აღნიშნულმა კომპანიამ შეკვეთა მიიღო ქ. თელავიდან საქონლის მიწოდებაზე. A-ამ საქონელი დატვირთა ავტომანქანაზე და თელავში გააგზავნა. ამ შემთხვევაში ტრანსპორტირება და დატვირთვის მომსახურება საქონლის მიწოდებისათვის დამხმარე ხასიათისაა და განიხილება ამ საქონლის მიწოდების ნაწილად.

დაბეგვრას დაქვემდებარებული და გათავისუფლებული საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის ერთად განხორციელება განიხილება, როგორც დაბეგვრას დაქვემდებარებული და გათავისუფლებული საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის ცალკე ოპერაციები.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

მეწარმე ფიზიკურ პირს ივჯარით აღებული აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და ხელშეკრულების მიხედვით 2012 წლის 2 ოქტომბერს უნდა განახორციელოს 300 კილოგრამი კიტრის მიწოდება. საკუთარ წარმოებაში მას მოყვანილი აქვს 100 კგ. კიტრი. მიწოდების განსახორციელებლად მან 200 კგ. კიტრი შეიძინა სხვა პირისაგან და განახორციელა 300 კგ კიტრის მიწოდება. ამ 300 კგ. მიწოდებული კიტრიდან გათავისუფლებულია მხოლოდ 100 კგ (ვინაიდან ეს არის პირველადი მიწოდება, ხოლო შეძენილის მიწოდება არ წარმოადგენს პირველად მიწოდებას), დანარჩენი 200 კგ-ის მიწოდება კი არის დასაბეგრი ოპერაცია, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიწოდება განხორციელდა ერთად.

მომსახურების გაწევა, რომელიც საქონლის იმპორტის მიმართ დამხმარე ხასიათისაა, ითვლება ამ საქონლის იმპორტის ნაწილად.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანიამ განახორციელა 1 000 ტონა შაქრის იმპორტი საქართველოში. ერთი ტონა შაქარი თურქეთში შეძენილი იქნა 200 აშშ დოლარად. კომპანიამ ყოველი ტონა შაქრის ტრანსპორტირებისათვის გადაიხადა 35 აშშ დოლარი, ხოლო დაზღვევაში 5 აშშ დოლარი. სხვა ხარჯები კომპანიას საქართველოს საზღვრის გადმოკვეთამდე არ გაუწევია. კომპანიამ საბაჟო ორგანოში წარადგინა ყიდვის ფასისა და გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ერთი ტონა შაქრის საბაჟო ღირებულება არის 240 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში (200 + 35 + 5). იგულისხმება, რომ საბაჟო ფასის განსაზღვრისას გამოყენებული იქნა გარიგების ფასის მეთოდი. დღგ-ით დასაბეგრი იმპორტის თანხის გაანგარიშებისას საბაჟო ღირებულებას ემატება იმპორტის გადასახადი (საბაჟო ღირებულების 12%) – 28 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში და საბაჟო მოსაკრებელი – ერთ დეკლარაციაზე 60 ევროს ექვივალენტი ლარებში.

მიწისა და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობის მიწოდებისას ოპერაცია ითვლება შენობა-ნაგებობის მიწოდებად.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

შენობა-ნაგებობის ღირებულება არის 10 000 ლარი, ხოლო მიწის ნაკვეთი რომელზეც მყარად დგას შენობა-ნაგებობა 8 000 ლარი. ამ შემთხვევაში დაბეგვრას ექვემდებარება 18 000 ლარი, როგორც შენობა-ნაგებობის ღირებულება.

წარმომადგენლის მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდება ითვლება დამკვეთის ოპერაციად, გარდა წარმომადგენლის მიერ დამკვეთისათვის გაწეული მომსახურებისა.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანია A-ს რომელიც არის უცხოური კომპანია (იგულისხმება, რომ რეგისტრირებულია საქართველოში დღგ-ს გადამხდელად), საქართველოში დაქირავებული ჰყავს შპს R რომელთანაც გაფორმებული აქვს წარმომადგენლობითი ხელშეკრულება და გადაცემული აქვს შესაბამისი უფლებამოსილება გარკვეული სამუშაოების შესასრულებლად. კომპანია R კომპანია A-ს სახელით აფორმებს ხელშეკრულებებს მარკეტინგულ კვლევებზე. გარდა ამისა კომპანია A აფორმებს ხელშეკრულებას კომპანია R-თან სხვა სამუშაოების შესრულებაზე რომელსაც კომპანია R აწარმოებს საკუთარი სახელით. ამ შემთხვევაში, R-ის მიერ კომპანია A-ს სახელით განხორციელებული სამუშაოები ითვლება A-ს ოპერაციად, ხოლო სხვა სამუშაოების შესრულება რომელსაც კომპანია R აწარმოებს საკუთარი სახელით ითვლება R-ის მიერ განხორციელებულად.

აღნიშნული არ ეხება საქართველოში არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი წარმომადგენლის მეშვეობით საქონლის მიწოდებას, როცა ეს არარეზიდენტი არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად საქართველოში. ამ შემთხვევაში დღგ-ით დაბეგვრის მიზნით მიწოდება წარმომადგენლის მიერ განხორციელებულად ითვლება.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

თურქულმა კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება საქართველოს კომპანიასთან, რომლის მიხედვითაც, საქართველოს კომპანია, თურქული კომპანიის სახელით (მიღებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში) ახორციელებს შოკოლადის კანფეტის რეალიზაციას საქართველოში. თურქული კომპანია არ არის რეგისტრირებული საქართველოში დღგ-ს გადამხდელად. ამ შემთხვევაში

შოკოლადის კანფეტი მიწოდებულად ეთვლება საქართველოს კომპანიას. თურქული კომპანია საქართველოში, რომ ყოფილიყო რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად, შოკოლადის კანფეტი მიწოდებულად მას ჩაეთვლებოდა.

ტურისტული საწარმოს მიერ ფიზიკური პირისაგან მიღებული სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის გამოყენებით სასტუმრო მომსახურების გაწევა განიხილება ტურისტული საწარმოს ოპერაციად და დღგ-ით იბეგრება ტურისტული საწარმოსთვის საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

დასაბეგრი ოპერაციის თანხა კორექტირდება შემდეგი გარემოებების დადგომისას:

ა) გაუქმებულია დასაბეგრი ოპერაცია, მათ შორის, ხელახალი რეგისტრაციის დროს დღგ-ის გადამხდელად წინა რეგისტრაციის გაუქმებისას მიწოდებად განხილული საქონლის არსებულ ნაშთზე;

მაგალითი:

კომპანიამ ხელშეკრულება გააფორმა სკოლასთან და სპორტულ წრეში მიიღო 10 ბიჭი. თვის ბოლოს მან სკოლას გამოუწერა საგადასახადო ანგარიშფაქტურა და ჩაწერა მის მიერ გაწეული სწავლების მომსახურების საფასური. შემდგომ გაირკვა, რომ ყველა ბიჭის ასაკი 18 წელზე ნაკლები იყო და შესაბამისად აღნიშნული მომსახურება გათავისუფლებული იყო დღგ-ს გადასახადისაგან, ანუ არ იყო დასაბეგრი ოპერაცია. ამ ახალი გარემოებების გამო დასაბეგრი ოპერაცია გაუქმდა. დასაბეგრი ოპერაციის თანხა ექვემდებარება კორექტირებას. ამ შემთხვევაში უნდა გამოიწეროს კორექტირების საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

მაგალითი:

კომპანიას რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით მიმართვისას დასაბეგრ ოპერაციად ჩაეთვალა 4 000 ლარის საბალანსო ღირებულების კომპიუტერების ნაშთი (დასაბეგრი მიწოდება), რომელზეც კომპანიას შესყიდვისას ჩათვლილი ჰქონდა დღგ. კომპანიამ ხელახლა გაიარა რეგისტრაცია დღგ-ს გადამხდელად. აქედან გამომდინარე, უქმდება დღგ-ით დასაბეგრი საქონლის მიწოდება, რომელიც შეეხო დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებისას კომპიუტერული ტექნიკის ნაშთს.

ბ) შეცვლილია დასაბეგრი ოპერაციის სახე;

მაგალითი:

ორმა კომპანიამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც პირველს მეორისათვის უნდა აეშენებინა და მიეყიდა საოფისე შენობა-ნაგებობა (ანუ მიეწოდებინა საქონელი). 2012 წლის 10 მაისს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის მიხედვითაც მეორე კომპანიამ მიიღო მისი მოთხოვნილების შესაბამისი შენობა. იმავე დღეს გამოიწერა საგადასახადო ანგარიშფაქტურა, სადაც ჩაიწერა შენობის მიყიდვა და მისი მთლიანი ღირებულება. როგორც შემდგომ გაირკვა პირველმა კომპანიამ საოფისე შენობა მეორე კომპანიას აუშენა მეორე კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწაზე და მეორე კომპანიისავე მასალებით. ამდენად პირველ კომპანიას მეორისათვის შენობა-ნაგებობა (საქონელი) კი არ მიუწოდებია, არამედ მისთვის გაუწევია საამშენებლო მომსახურება. ამდენად, პირველი კომპანიის მიერ გამოწერილ ანგარიშფაქტურაში უნდა ჩაწერილიყო მხოლოდ გაწეული მომსახურების ღირებულება. ამდენად შეიცვალა დასაბეგრი ოპერაციის პირვანდელი სახე. დასაბეგრი ოპერაციის თანხა ექვემდებარება კორექტირებას და უნდა გამოიწეროს კორექტირების ანგარიშფაქტურა.

გ) ფასების შემცირების ან სხვა მიზეზით შეცვლილია ოპერაციაზე ადრე შეთანხმებული კომპენსაციის თანხა, გარდა ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებისა;

მაგალითი:

კომპანია მაღაზიებს ამარაგებს სასურსათო პროდუქტებით და მაღაზიაში მისვლისას აწვდის სასაქონლო ზედნადებსა და საგადასახადო ანგარიშფაქტურას. ერთ-ერთი მაღაზიის დირექტორმა კომპანიას განუცხადა, რომ თუ წინა დღით მიწოდებულ საქონელზე ფასს არ შეამცირებს, მაღაზია არ იქნება მისი მომხმარებელი და საქონლის მიწოდებაზე ხელშეკრულებას გააფორმებს სხვა კომპანიასთან. იმ შემთხვევაში თუ კომპანია დაეთანხმება მაღაზიის მოთხოვნას და შეამცირებს ფასს, მოხდება დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება, რადგან შეიცვლება კომპენსაციის თანხა და გამოიწერება კორექტირების საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

დ) საქონელი/მომსახურება სრულად ან ნაწილობრივ უბრუნდება დღგ-ის გადამხდელს.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანია ყიდის კარაქს და ზეთს. მან მაღაზიას მიჰყიდა 50 კგ. კარაქი და 100 ბოთლი ზეთი, რაზედაც გამოუწერა სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა. რამდენიმე დღის შემდეგ მაღაზიამ კომპანიას შეუთვალა, რომ მოწოდებული კარაქი ვადაგასული იყო და მოითხოვა ამ კარაქის უკან დაბრუნება. კომპანიამ დაიბრუნა 50 კგ. კარაქი. ამ შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის თანხა კორექტირდება (მცირდება) და უნდა გამოიწეროს კორექტირების საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

ზემოთ აღნიშნული ერთ-ერთი გარემოების დადგომისას დასაბეგრი ოპერაციის თანხა კორექტირდება, თუ გადამხდელის მიერ:

ა) საგადასახადო ორგანოში წარდგენილია ან/და დღგ-ის დეკლარაციაში ასახულია დღგ-ის ანგარიშფაქტურა, რომელშიც დღგ-ის თანხა არასწორად არის აღნიშნული;

ბ) დღგ-ის დეკლარაციაში არასწორად არის აღნიშნული დღგ-ის თანხა.

გ) გამოწერილია დღგ-ის ანგარიშფაქტურა, რომელშიც დღგ-ის თანხა არასწორად არის აღნიშნული.

კორექტირების საგადასახადო ანგარიშფაქტურა არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დასაბეგრი ოპერაციის კორექტირება.

დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირების დროს, თუ კორექტირების გამომწვევი გარემოების დადგომის შედეგად დასაბეგრი ოპერაციის თანხა იცვლება, შესაბამისი კორექტირება უნდა განხორციელდეს კორექტირების გამომწვევი გარემოების დადგომის საანგარიშო პერიოდში.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანია A-მ თავის კლიენტს შეუსრულა საამშენებლო სამუშაოები და მაისის ბოლოს გამოუწერა საგადასახადო ანგარიშფაქტურა 10 000 ლარზე (დღგ-ს გარეშე), შესაბამისად აღნიშნული თანხა გათვალისწინებული იქნა მაისის თვის დეკლარაციაში. ივნისში კომისიის შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ მაისში შესრულებული სამუშაოების მოცულობა სინამდვილეში იყო 12 000 ლარი (დღგ-ს გარეშე), ამიტომ კომპანია A-მ ივნისის თვეში გამოწერა კორექტი-

რების ანგარიშფაქტურა და ჩააბარა ივნისის თვის დეკლარაციასთან ერთად.

ელექტროენერგეტიკულ საწარმოებს („ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ კვალიფიციურ საწარმოებს), როცა ფასების შემცირების ან სხვა მიზეზით შეცვლილია ოპერაციაზე ადრე შეთანხმებული კომპენსაციის თანხა, უფლება აქვთ, დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება განახორციელონ არა უგვიანეს მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლოსი, თუ დასაბეგრი ოპერაციის თანხის ცვლილება გამოწვეულია გარანტირებული სიმძლავრის ღირებულების (საკომპენსაციო თანხის) ცვლილებით ან/და კვალიფიციური საწარმოების მიერ წარმოებული, იმპორტირებული, მოხმარებული (შესყიდული) ან/და ექსპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობების ცვლილებით, მიუხედავად იმისა, აღნიშნულის შედეგად ხორციელდება თუ არა ელექტროენერგიის გასაყიდი ან/და შესასყიდი ტარიფის (ფასის) ცვლილება.

ზედმეტად გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხა გადასახადის გადამხდელს უბრუნდება საგადასახადო ორგანოში განცხადების წარდგენიდან <u>არა უგვიანეს ერთი თვისა:</u>

ა) დამატებული ღირებულების გადამხდელის მიერ განხორციელებული საქონლის ექსპორტისას ან ამორტიზაციას დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებების შეძენისას ან იმპორტისას.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანია ახორციელებს მის მიერ ჩამოსხმული ქართული ღვინის ექსპორტს. კომპანიამ წინასწარ შეიძინა 80 000 ლარის (დღგ-ს გარეშე) ღვინო, 20 000 ლარის (დღგ-ს გარეშე) ბოთლი და 8 000 ლარის (დღგ-ს გარეშე) სხვადასხვა საქონელი. კომპანიისათვის გამოწერილ ანგარიშფაქტურებში მითითებული დღგ შეადგენს **19 440** ლარს (80 000 + 20 000 + 8 000) * 18%. ამ საქონლის გამოყენებით კომპანიამ ჩამოასხა 70 000 ბოთლი ღვინო რომელიც 2012 წლის 25 დეკემბერს მიაწოდა ლატვიის კომპანიას 300 000 ლარად (დღგ-ს გარეშე). გარდა ამისა მან საქართველოში გაყიდა 30 000 ლარის (დღგ-ს გარეშე) ღვინო, რაზედაც დაერიცხა დღგ **5 400** ლარი (30 000 * 18%). კომპანიამ საგადასახადო ორგანოში დღგ-ს დეკლარაციასთან ერთად წარადგინა საბა-

ჟო დეკლარაცია. ამ შემთხვევაში კომპანიის ჩასათვლელმა დღგ-მ შეადგინა 19 440 ლარი ხოლო დარიცხულმა 5 400 ლარი. კომპანიას უფლება აქვს მიმართოს საგადასახადო ორგანოს 14 040 ლარის (19 440 – 5 400) დაბრუნების მოთხოვნით, რომელიც წესით ერთ თვეში უნდა შესრულდეს.

ბ) შენობებისა და ნაგებობების წარმოებისათვის საქონლის შეძენისას.

გარდა ამ შემთხვევისა, ჩასათვლელი თანხის გადამეტება საანგარიშო პერიოდში დარიცხულ დღგ-ს თანხაზე ჩაითვლება დღგ-ს შემდგომი პერიოდების გადასახდელებში ან 3 თვის შემდეგ უბრუნდება გადასახადის გადამხდელს.

გრანტის მიმღებ პირს, რომელიც „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ყიდულობს გრანტის ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ საქონელს ან/და ამავე საწყისებზე იღებს მომსახურებას, უფლება აქვს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით ჩაითვალოს ან დაიბრუნოს ამ საქონლისათვის, თუ მომსახურებისათვის გადახდილი დღგ საგადასახადო ორგანოში საგადასახადო ანგარიშფაქტურის ან უკუდაბეგვრის შესაბამისად გადახდილი დღგ-ის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე.

დღგ-ის ჩათვლა ან დაბრუნება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განცხადება საგადასახადო ორგანოს წარედგინება დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო 3 თვის ვადაში.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში შეძენილი საქონლის საქართველოს ტერიტორიიდან გატანისას უფლება აქვთ, დაიბრუნონ ამ საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხა.

დღგ-ის თანხის დაბრუნება ხორციელდება საქონლის უფლებამოსილი გამყიდველის მიერ გამოწერილი სპეციალური ქვითრის საფუძველზე.

ქვითრის გაცემის უფლების მისაღებად დაინტერესებულმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს შემოსავლების სამსახურს, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) ეწევა საცალო ვაჭრობას სტაციონარულ სავაჭრო ობიექტში;

ბ) რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად;

გ) არ გააჩნია საგადასახადო დავალიანება.

შემოსავლების სამსახური განცხადების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ქვითრის გაცემის უფლების მინიჭების თაობაზე ან წერილობით აცნობებს განმცხადებელს დასაბუთებულ უარს.

უფლებამოსილ გამყიდველს ქვითრის გაცემის უფლება ენიჭება 12 თვის ვადით.

დღგ-ის თანხის დაბრუნება ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ტერიტორიიდან საქონლის გატანა ხდება მისი შეძენიდან 3 თვის განმავლობაში და შეძენილი საქონლის ღირებულება ერთი ქვითრის მიხედვით აღემატება 200 ლარს (დღგ-ის გარეშე).

უცხოელის მიერ უფლებამოსილი გამყიდველის სავაჭრო ობიექტში ერთი ქვითრის მიხედვით 200 ლარზე მეტი ჯამური ღირებულების (დღგ-ის გარეშე) საქონლის შეძენის შემთხვევაში, გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნებისათვის ქვითრის გაცემის მიზნით, უფლებამოსილ გამყიდველს უნდა წარედგინოს უცხო ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

უფლებამოსილ გამყიდველთან შეძენილი საქონელი გამყიდველის მიერ თავსდება სპეციალურ შეფუთვაში და იღუქება.

უფლებამოსილი გამყიდველის მიერ უცხოელისა და შეძენილი საქონლის შესახებ მონაცემები შეიტანება ელექტრონულ სისტემაში.

ქვითრის არასწორად შევსების შემთხვევაში, უფლებამოსილი გამყიდველის მიერ გამოიწერება ახალი ქვითარი, ხოლო არასწორად შევსებული ქვითრის შესახებ მონაცემები აისახება ელექტრონულ სისტემაში.

შეფუთული საქონელი გახსნას ექვემდებარება მხოლოდ შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ თანხის დაბრუნებაზე დასტურის მიღების შემდეგ.

დღგ-ის თანხა დაბრუნებას ექვემდებარება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) უცხოელის მიერ საქონლის შეძენიდან გასული არ არის 3 თვე;

ბ) შეძენილი საქონლის ჯამური ღირებულება ერთი ქვითრის მიხედვით აღემატება 200 ლარს (დღგ-ის გარეშე);

გ) საქონელი შეძენილია უფლებამოსილ გამყიდველთან;

დ) ერთი ქვითრის მიხედვით შეძენილი საქონელი უცხოელის მიერ სრულად გაიტანება საქართველოდან ბარგის ან ხელბარგის სახით;

ე) შეძენილი საქონელი შეფუთულია შემოსავლების სამსახურის მიერ დადგენილი წესით.

უფლებამოსილი გამყიდველის მიერ ქვითარი არ გამოიწერება და, შესაბამისად, გადახდილი დღგ-ის თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება:

ა) მალფუჭებად საქონელზე;

ბ) სატრანსპორტო საშუალებაზე;

გ) ოქროზე, რომლის მასა აღემატება 125 გრამს და რომელიც წარმოდგენილი არ არის სამკაულის (ნაკეთობის) სახით;

დ) ძვირფას ქვებზე;

ე) საქონელზე, რომლის გატანა საქართველოს ტერიტორიიდან საჭიროებს სპეციალურ ნებართვას ან ლიცენზიას, გარდა საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის ნებართვას დაქვემდებარებული საქონლისა.

ვ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, დღგ-ისგან გათავისუფლებულ საქონლზე.

გადახდილი დღგ-ის თანხა შესაძლებელია დაუბრუნდეს მხოლოდ ქვითარში მითითებულ პირს.

უცხოელს უბრუნდება გადახდილი დღგ-ის თანხა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვითარში დაფიქსირებული საქონელი სრულად გაიტანება საქართველოს ტერიტორიიდან. სხვა შემთხვევაში გადახდილი დღგ-ის თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.

თავი XVI

აქციზი

აქციზი, დამატებული ღირებულების გადასახადის მსგავსად არაპირდაპირი გადასახადია, იგი შედის საქონლის ფასში და ძირითადად დაწესებულია მასობრივი მოხმარების საქონელზე. მრავალსაფეხურიანი დღგ-საგან განსხვავებით, აქციზი ერთსაფეხურიანია და მისი ბიუჯეტში გადახდა, უმეტეს შემთხვევაში წარმოებს აქციზური საქონლის მწარმოებლის ან იმპორტიორის მიერ.

აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც:

ა) აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში;

მაგალითი:

კომპანიამ A-მ შეიძინა ყურძენი, მისგან დაამზადა 1 000 ლიტრი არაყი და 200 ლიტრიან კასრებში დაფასოებული მიჰყიდა კომპანია B-ს. ამ უკანასკნელმა 800 ლიტრი არაყი მიჰყიდა კომპანია C-ს, რომელმაც 0,5 ლიტრიან ბოთლებში ჩამოასხა იგი და მიაწოდა საცალო ვაჭრობის ქსელს. A და C არიან აქციზური საქონლის მწარმოებლები და აქციზის გადამხდელები იმ შემთხვევაში, თუ არყის დამზადება და ჩამოსხმა ცალკ-ცალკე მიეკუთვნება წარმოებას. მაგრამ თუ ვიხელმძღვანელებთ „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ *საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორით, მაშინ აქციზის გადამხდელი იქნება მხოლოდ A.*

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მიხედვით, ბოთლზე დასაკრავი აქციზური მარკა უნდა შეიძინოს აქციზური საქონლის მწარმოებელმა, ჩვენს შემთხვევაში C-მ. ე.ი. C-ც მწარმოებელია.

ბ) ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში - (ანუ თუ აქციზური საქონლის იმპორტიორი იმავდროულად ყიდის სხვის მიერ წარმოებულ ან იმპორტირებულ აქციზურ საქონელს, იგი აქციზის გადამხდელი მხოლოდ მის მიერ იმპორტირებულ აქციზურ საქონელზეა).

გ) ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს;

დ) ახორციელებს ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუ-

ნებრივი აირის მიწოდებას ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის;

ე) ახორციელებს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევას;

ვ) ახორციელებს მობილურ ან ფიქსირებულ ქსელში არარეზიდენტი ან რეზიდენტი პირისაგან მიღებული საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურებას.

დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებულ საქონელზე აქციზის გადამხდელად ითვლება საქონლის მწარმოებელი.

მაგალითი:

კომპანია A-მ ფიზიკური პირისაგან იყიდა ყურძენი და ხელშეკრულება დაუდო კომპანია B-ს, რომელმაც დაამზადა 1 500 ლიტრი არაყი. ხელშეკრულების მიხედვით **B**-მ 1 400 ლიტრი არაყი გადასცა A-ს, ხოლო 100 ლიტრი არაყი დაიტოვა წარმოების მომსახურების ანაზღაურების ანგარიშში. მიღებული 1 400 ლიტრი არაყი A-მ გადასცა კომპანია **C**-ს, რომელმაც არყის მესაკუთრე A-სთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ეს არაყი ჩამოასხა 0,5 ლიტრიან საკუთარ ბოთლებში და უკან დაუბრუნა. A-მ არყის ჩამომსხმელს გაწეული წარმოების მომსახურების ღირებულება გადაუხადა 1 300 ლარის ოდენობით (დღგ-ს გარეშე). ბოთლებში ჩამოსხმული არაყი A-მ მიაწოდა საცალო ვაჭრობის ქსელს.

ამ შემთხვევაში აქციზის გადამხდელია **B,** თუმცა მიუხედავად იმისა, რომ **C** არ არის მწარმოებელი, მას ევალება აქციზური მარკების შეძენა და შესაბამისად იგი გამოდის გადასახადის გადამხდელი.

<u>საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში</u> ან <u>სხვა ფულადი ვალდებულების</u> (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) <u>გადახდევინების მიზნით</u> აქციზური საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაციისას, <u>აგრეთვე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში</u> მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (აქციზური საქონლის) კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემისას ამ ოპერაციაზე აქციზის გადამხდელად ითვლება აქციზური საქონლის შემძენი ან/და მიმღები პირი, თუ აღნიშნული ოპერაცია ექვემდებარება აქციზით დაბეგვრას საგადასახადო კოდექსის 190[1] მუხლის შესაბამისად.

სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული აქციზური საქონლის რეალიზაციისას ამ ოპერაციაზე აქციზის გადამხდელად ითვლება აქციზური საქონლის შემძენი პირი.

აქციზით დაბეგვრის ობიექტია:

ა) დასაბეგრი ოპერაცია;

ბ) აქციზური საქონლის იმპორტი.

გ) აქციზური საქონლის ექსპორტი.

აქციზით დასაბეგრი ოპერაციები და დასაბეგრი ოპერაციების განხორციელების მომენტია:

ა) მწარმოებლის მიერ საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის მიწოდების ან/და საწარმოს საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანის მომენტი (და არა ერთი საწყობიდან მეორე საწყობში გადატანა);

მაგალითი:

კომპანიამ A-მ შეიძინა ყურძენი, მისგან **დაამზადა** 1 000 ლიტრი არაყი და 200 ლიტრიან კასრებში დაფასოებული მიჰყიდა კომპანია B-ს. ამ უკანასკნელმა 800 ლიტრი არაყი მიჰყიდა კომპანია C-ს, რომელმაც 0,5 ლიტრიან ბოთლებში **ჩამოასხა** იგი და მიაწოდა საცალო ვაჭრობის ქსელს.

ამ შემთხვევაში B-ს მიერ განხორციელებული მიწოდება არ არის დასაბეგრი ოპერაცია ვინაიდან ის არ არის მწარმოებელი, რაც შეეხება **A**-სა და **C**-ს ისინი ასევე ახორციელებენ აქციზური საქონლის მიწოდებას და, შესაბამისად, აქციზით დასაბეგრ ოპერაციას, ამიტომ არიან აქციზის გადამხდელები.

მაგალითი:

კომპანიამ ხელშეკრულება გააფორმა ბათუმში არსებულ ერთ-ერთ რესტორანთან 30 000 ბოთლი არყის მიწოდებაზე. არყის გადაცემა ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით. კომპანიის საწყობიდან, არყით დატვირთული ავტომანქანა გავიდა 2012 წლის 5 მაისს და ბათუმში ჩავიდა 6 მაისს დილით. იმავე დღეს მოხდა არყის ჩაბარება. ამ შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტია 5 მაისი ვინაიდან ეს დრო უფრო ადრე დადგა.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანია K (რომელიც არის ლუდის მწარმოებელი) აქვს სადისტრიბუციო საწყობები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. K-ს საწარმოს საწყობიდან პერიოდულად გააქვს მზა პროდუქცია (ლუდი) და იგი გადააქვს თავის სადისტრიბუციო საწყობებში. ეს ოპერაცია (საწყობიდან საწყობში ლუდის გადატანა) აღარ არის აქციზით დასაბეგრი ოპერაცია. თუ საწყობიდან ლუდის გატანის მიზანი მისი მიწოდებაა, მაშინ ეს ოპერაცია იქნება აქციზით დაბეგვრის ობიექტი. ეს ოპერაცია არ იქნებოდა აქციზით დასაბეგრი, K ამ საქონლის მწარმოებელი რომ არ იყოს.

ბ) მწარმოებლის მიერ დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის დამკვეთისათვის გადაცემის მომენტი;

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანია A-მ კომპანია B-ს დაკვეთით მისგან მიღებული ნედლეულისაგან დაამზადა არაყი. დაფასოებული არაყი A-მ თავისი საწარმოს საწყობში 2012 წლის 5 მაისს გადასცა B-ს, რომელმაც არაყი საწყობიდან უნდა გაიტანოს ერთი თვის განმავლობაში, ხოლო ამ პერიოდისათვის კომპანია B კომპანია A-ს უხდის საიჯარო ქირას საწყობის გამოყენებისათვის. დასაბეგრი ოპერაციის მომენტი ამ შემთხვევაში არის 5 მაისი, საწარმოს საწყობში არაყის გადაცემის მომენტი.

გ) საკუთარი წარმოების აქციზური საქონლის არააქციზური საქონლის წარმოებისათვის გამოყენების დაწყების მომენტი;

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანია A თავის მიერ წარმოებულ საკონდიტრო ნაწარმში გამოყენებისათვის აწარმოებს ხილის ლიქიორებსა და ტკბილ ნაყენებს. A-ს მიერ ლიქიორებისა და ტკბილი ნაყენების გამოყენება საკონდიტრო (არაქციზური) საქონლის საწარმოებლად არის აქციზით დასაბეგრი ოპერაცია.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კომპანიამ 2012 წლის 1 დეკემბერს გახსნა მის მიერ წარმოებული ხილის ლიქიორის ერთი ბოთლი და დაიწყო მისი გამოყენება საკონდიტრო ნაწარმში. ამ შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტად ითვლება ლიქიორის ბოთლის გახსნისა და მისი გამოყენების დაწყების მომენტი – 1 დეკემბერი.

დ) ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდების მომენტი;

აღნიშნული მომენტი დადგება გაზგასამართ სადგურში ავტოსატრანსპორტო საშუალების გამართვის დაწყებისას.

ე) მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ან საქართველოში მობილურ ან ფიქსირებულ ქსელში საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურების გაწევის მომენტი.

აქციზით დასაბეგრი ოპერაციის, აქციზური საქონლის იმპორტისა და აქციზური საქონლის ექსპორტის თანხა განისაზღვრება:

ა) ალკოჰოლიანი სასმელისათვის – ალკოჰოლიანი სასმელის მოცულობით;

ბ) თამბაქოს ნაწარმისათვის – თამბაქოს ნაწარმის რაოდენობით ან წონით ან/და საცალო სარეალიზაციო ფასის მიხედვით;

გ) ნავთობპროდუქტისათვის – ნავთობპროდუქტის წონით (მოცულობით);

დ) მსუბუქი ავტომობილისათვის – მსუბუქი ავტომობილის წლოვანებითა და ძრავის მოცულობით;

ე) ბუნებრივი აიროვანი კონდენსატისათვის ან/და ბუნებრივი აირისათვის – აირის მოცულობით;

ვ) მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ან საქართველოში მობილურ ან ფიქსირებულ ქსელში საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურების გაწევის შემთხვევაში.

ვ.ა) მიღებული ან მისაღები კომპენსაციის თანხის მიხედვით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) აქციზის, დღგ-ის ან/და პირგასამტეხლოს გარეშე გარდა "ვ.ბ" პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

ვ.ბ) ზარის ხანგრძლივობის მიხედვით – საქართველოში მობილურ ან ფიქსირებულ ქსელში საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურების გაწევისას.

საერთაშორისო მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისას (გარდა საქართველოში მობილურ ან ფიქსირებულ ქსელში საერთა-

შორისო ზარის დასრულების მომსახურებისა), დასაბეგრი ოპერაციის თანხაში არ გაითვალისწინება არარეზიდენტი საწარმოსათვის გაწეული ასეთი მომსახურებიდან მიღებული თანხა.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში აღნიშნული აქციზური საქონელი იბეგრება შემდეგი განაკვეთებით:

№	კოდი სეს ესნ-ის შესაბამისად	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	აქციზის განაკვეთი (ლარი)
1	**ლუდი**			
	2203 00	ალაოს ლუდი	**1 ლ**	**0.6**
2	**ეთილის სპირტი და ალკოჰოლური სასმელები**			
	2206 00	სხვა დადუღებული სასმელები (მაგალითად, სიდრი, პერი (მსხლის სიდრი), თაფლის სასმელი); ნარევები დადუღებული სასმელებისაგან და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	1 ლ	5
	2207	ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.% ან მეტი; ეთილის სპირტი და სხვა დენატურირებული სპირტები ნებისმიერი კონცენტრაციით	**1 ლ**	**5,2**
	2208 20	– სპირტის ნაყენები, მიღებული ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით (გამოხდით)	1 ლ	9,2
	2208 30	– ვისკი	1 ლ	10
	2208 40	– რომი და ტაფია	1 ლ	10
	2208 50	– ჯინი და ღვიის ნაყენი	1 ლ	10
	2208 60	**–** არაყი	**1 ლ**	**6**
	2208 70	– ლიქიორები	1 ლ	9,2
	2208 90 110 00	– არაკი (arrack) ჭურჭელში ტევადობით 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები	1 ლ	5
	2208 90 190 00	– არაკი (arrack) ჭურჭელში ტევადობით 2 ლ-ზე მეტი	1 ლ	5
	220890 330 00	– ქლიავის, მსხლის ან ალუბლის სპირტიანი ნაყენები (ლიქიორების გარდა) ჭურჭელში ტევადობით 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები	1 ლ	6
	2208 90 380 00	– ქლიავის, მსხლის ან ალუბლის სპირტიანი ნაყენები (ლიქიორების გარდა) ჭურჭელში ტევადობით 2 ლ-ზე მეტი	1 ლ	6
	2208 90	– უზო	1 ლ	7

ცხრილი №14

	410 00			
	2208 90 450 00	– კალვადოსი	1 ლ	8
	2208 90 480 00	– დანარჩენი	1 ლ	6
	2208 90 520 00	– კორნი	1 ლ	8
	2208 90 540 00	– ტეკილა	1 ლ	8
	2208 90 560 00	– დანარჩენი	1 ლ	6
	2208 90 690 01	– სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაციით არა უმეტეს 7 მას.%-ისა	1 ლ	2
	2208 90 690 09	– დანარჩენი	1 ლ	6
		-2 ლ-ზე მეტი ტევადობის ჭურჭელში		
	2208 90 710 00	– ხილისაგან გამოხდილი	1 ლ	7
	2208 90 750 00	– ტეკილა	1 ლ	8
	2208 90 770 00	– დანარჩენი	1 ლ	6
	2208 90 780 00	– დანარჩენი სპირტიანი სასმელები	1 ლ	6
		- ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები, ჭურჭელში ტევადობით		
	2208 90 910 00	– 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები	1 ლ	6
	2208 90 990 00	– 2 ლ-ზე მეტი	1 ლ	6
3	**თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა)**			
	2402 10 000 01	– სიგარები, სიგარები წაჭრილი ბოლოებით, თამბაქოს შემცველობით	1 ღერი	0.9
	2402 10 000 02	– სიგარილები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	1
	2402 20	ფილტრიანი სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	0,9
		უფილტრო სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით		0,25
	2403 11 000 00	– ყალიონით მოსაწევი თამბაქო, ამ ჯგუფის სუბპოზიციისათვის 1-ლი შენიშვნის შესაბამისად	1 კგ	20

	2403 19 000 00	– დანარჩენი	1 კგ	20
	2403 99 100 00	– საღეჭი ან საწოსი (ბურნუთი) თამბაქო	1 კგ	20
4	**მსუბუქი ავტომობილები (დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების წელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების წელს შორის სხვაობის მიხედვით, ხოლო იმპორტის შემთხვევაში – საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის წელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების წელს შორის სხვაობის მიხედვით), ძრავის მოცულობის 1 სმ³**			
	8703	ა) 1 წლამდე	1 სმ³	1.5
		ბ) 1 წლის	1 სმ³	1.5
		გ) 2 წლის	1 სმ³	1.4
		დ) 3 წლის	1 სმ³	1.3
		ე) 4 წლის	1 სმ³	1.2
		ვ) 5 წლის	1 სმ³	1
		ზ) 6 წლის	1 სმ³	0.7
		თ) 7 წლის	1 სმ³	0.5
		ი) 8 წლის	1 სმ³	0.5
		კ) 9 წლის	1 სმ³	0.5
		ლ) 10 წლის	1 სმ³	0.5
		მ) 11 წლის	1 სმ³	0.5
		ნ) 12 წლის	1 სმ³	0.5
		ო) 13 წლის	1 სმ³	0.6
		პ) 14 წლის	1 სმ³	0.7
		ჟ) 14 წელზე მეტის	1 სმ³	0.8
5	**ნავთობპროდუქტების აირები და ბუნებრივი აირი (გარდა მილსადენით გადაადგილებულისა)**			
	2709 00 100 00	– აირის კონდენსატი ბუნებრივი	1000 მ3	80
	2711 11 000 00	– ბუნებრივი აირი (გათხევადებული)	1000 მ3	80
	2711 12	– პროპანი	1 ტ	120
	2711 13	– ბუტანები	1 ტ	120
	2711 14 000 00	– ეთილენი, პროპილენი, ბუტილენი და ბუტადიენი	1 ტ	120
	2711 19 000 00	– დანარჩენი	1 ტ	120
	2711 21 000 00	– ბუნებრივი აირი (აირისებრ მდგომარეობაში)	1000 მ3	80
6	**ნავთობპროდუქტები, ნავთობის დისტილატები და ნამუშევარი ნავთობპროდუქტები**			
	2710 12	– მსუბუქი დისტილატები და პროდუქტები	1 ტ	250
	2710 19	– გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის	1 ტ	220

	110 00			
	2710 19 150 00	– ქიმიური გარდაქმნებისათვის პროცესებში, 2710 19 110 00 ქვესუბპოზიციაში მითითებულის გარდა	1 ტ	220
	2710 19 210 00	– რეაქტიული სათბობი	1 ტ	220
	2710 19 250 00	– დანარჩენი	1 ტ	220
	2710 19 290 00	– დანარჩენი	1 ტ	220
	2710 19 310 00	– გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის	1 ტ	150
	2710 19 350 00	– ქიმიური გარდაქმნებისათვის პროცესებში, 2710 19 310 00 ქვესუბპოზიციაში მითითებულის გარდა	1 ტ	150
	2710 19 410 00	– გოგირდის შემცველობით არა უმეტეს 0,05 მას.%-ისა	1 ტ	150
	2710 19 450 00	– გოგირდის შემცველობით 0,05 მას.%-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 0,2 მას.%-ისა	1 ტ	150
	2710 19 490 00	– გოგირდის შემცველობით 0,2 მას.%-ზე მეტი	1 ტ	150
	2710 19 710 00	– გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის	1 ტ	400
	2710 19 750 00	– ქიმიური გარდაქმნებისათვის პროცესებში, 2710 19 710 ქვესუბპოზიციაში მითითებულის გარდა	1 ტ	400
	2710 19 810 00	– ძრავას ზეთები, კომპრესორის საპოხი ზეთი, ტურბინის საპოხი ზეთი	1 ტ	400
	2710 19 830 00	– სითხეები ჰიდრავლიკური მიზნებისათვის	1 ტ	400
	2710 19 850 00	– ღია ფერის ზეთები, ვაზელინის ზეთი	1 ტ	400
	2710 19 870 00	– ზეთი კბილანებისათვის და ზეთი რედუქტორებისათვის	1 ტ	400
	2710 19 910 00	– ლითონების დასამუშავებელი შედგენილობები, ფორმების გასაპოხი ზეთები, ანტიკოროზიული ზეთები	1 ტ	400
	2710 19 930 00	– ელექტრული საიზოლაციო ზეთები	1 ტ	400
	2710 19 990 00	– დანარჩენი საპოხი ზეთები და ზეთები დანარჩენი	1 ტ	400
	2710 20 110 00	– გოგირდის შემცველობით არა უმეტეს 0,05 მას.%-ისა	1 ტ	150

	2710 20 150 00	– გოგირდის შემცველობით 0,05 მას.%-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 0,2 მას.%-ისა	1 ტ	150
	2710 20 190 00	– გოგირდის შემცველობით 0,2 მას.%-ზე მეტი	1 ტ	150
	2710 20 390 00	– დანარჩენი	1 ტ	400
	2710 91 000 00	– პოლიქლორბიფენილების, პოლიქლორტრიფენილების ან პოლიბრომბიფენილების შემცველობით	1 ტ	400
	2710 99 000 00	ნამუშევარი ნავთობპროდუქტები – ლიალური წყალი (ნავთობით დაბინძურებული წყალი), ტანკის (ნავთობპროდუქტების ბაკ-საცავების) ნარეცხი	1 ტ	50
		ნამუშევარი ნავთობპროდუქტები დანარჩენი	1 ტ	400
	ბიოდიზელი			
7	3826 00 000 00	ბიოდიზელი და მისი ნარევები, რომლებიც შეიცავს ან არ შეიცავს მასის 70 მას.%-ზე ნაკლები ოდენობით ბიტუმოვანი ქანებისაგან მიღებულ ნავთობს ან ნავთობპროდუქტებს	1 ტ	150
8	**პიროლიზის თხევადი პროდუქტი**			
	3911 90	პიროლიზის თხევადი პროდუქტი	1 ტ	400
9	**ზეთები და ქვანახშირის ფისებისაგან მაღალ ტემპერატურაზე გამოხდილი სხვა პროდუქტები**			
	2707 99 110 00	— გაუწმენდავი მსუბუქი ზეთები, რომელთა 90 მოც.% ან 90 მოც.%-ზე მეტი გამოიხდება 200° C ტემპერატურამდე	1 ტ	350
	2707 99 190 00	— დანარჩენი	1 ტ	350
	2707 99 300 00	– დაგოგირდებული მსუბუქი ზეთები	1 ტ	350
	2707 99 500 00	– ძირითადი პროდუქტები	1 ტ	350
	2707 99 700 00	– ანთრაცენი	1 ტ	350
	2707 99 990 00	– დანარჩენი	1 ტ	350
10	**მისართი, გამხსნელი, ანტიდეტონატორი**			
	2707 10 100 00	– სათბობად გამოსაყენებელი	1 ტ	400
	2707 10 900 00	– სხვა მიზნებისათვის	1 ტ	400
	2707 20 100 00	– სათბობად გამოსაყენებელი	1 ტ	400

	2707 20 900 00	– სხვა მიზნებისათვის	1 ტ	400
	2707 30 100 00	– სათბობად გამოსაყენებელი	1 ტ	400
	2707 30 900 00	– სხვა მიზნებისათვის	1 ტ	400
	2707 50 100 00	– სათბობად გამოსაყენებელი	1 ტ	400
	2707 50 900 00	– სხვა მიზნებისათვის	1 ტ	400
	2707 99 800 00	– ფენოლები	1 ტ	400
	2712 20 100 00	– სინთეზური პარაფინი მოლეკულური მასით 460 ან 460-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 1560-ისა	1 ტ	400
	2712 20 900 00	– დანარჩენი	1 ტ	400
	2902 11 100 00	– სათბობად გამოსაყენებელი	1 ტ	400
	2902 11 900 00	– სხვა მიზნებისათვის	1 ტ	400
	2902 19 100 00	– ციკლოტერპენები	1 ტ	400
	2902 19 800 00	– დანარჩენი	1 ტ	400
	2902 20 000 00	– ბენზოლი	1 ტ	400
	2902 30 100 00	– სათბობად გამოსაყენებელი	1 ტ	400
	2902 30 900 00	– სხვა მიზნებისათვის	1 ტ	400
	2905 11 000 00	– მეთანოლი (მეთილის სპირტი)	1 ტ	400
	2905 12 000 00	– პროპან-1-ოლი (პროპილის სპირტი) და პროპან-2-ოლი (იზოპროპილის სპირტი)	1 ტ	400
	2905 13 000 00	– ბუტან-1-ოლი (ნ-ბუთილის სპირტი)	1 ტ	400
	2905 14 100 00	– 2-მეთილპროპან-2-ოლი (ტრეტბუტილის სპირტი)	1 ტ	400
	2905 14 900 00	– დანარჩენი	1 ტ	400
	2905 16 100 00	– 2-ეთილჰექსან-1-ოლი	1 ტ	400

	2905 16 200 00	– ოქტან-2-ოლი	1 ტ	400
	2905 16 800 00	– დანარჩენი	1 ტ	400
	3811 11 100 00	– ტეტრაეთილტყვიის ფუძეზე	1 ტ	400
	3811 11 900 00	– დანარჩენი	1 ტ	400
	3811 19 000 00	– დანარჩენი	1 ტ	400
	3811 21 000 00	– ბიტუმოვანი ქანებისაგან მიღებული, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების შემცველობით	1 ტ	400
	3811 29 000 00	– დანარჩენი	1 ტ	400
	3811 90 000 00	– დანარჩენი	1 ტ	400
	3814 00 100 00	– ბუტილაცეტატის ფუძეზე	1 ტ	400
	3814 00 900 00	– დანარჩენი	1 ტ	400
11	**საპოხი მასალები და საშუალებები**			
	3403 11 000 00	– ტექსტილის მასალების, ტყავის, ბეწვეულის ან დანარჩენი მასალების დამამუშავებელი საშუალებები	1 ტ	400
	3403 19 100 00	– ნავთობისაგან ან ბიტუმოვანი ქანებისაგან მიღებული ნავთობპროდუქტების არაძირითადი კომპონენტის სახით შემცველობით 70 მას.% ან 70 მას.%-ზე მეტი	1 ტ	400
	3403 19 910 00	– მანქანების, მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებების საპოხი საშუალებები	1 ტ	400
	3403 19 990 00	– დანარჩენი	1 ტ	400
	3403 91 000 00	– ტექსტილის მასალების, ტყავის, ბეწვეულის ან დანარჩენი მასალების დამამუშავებელი საშუალებები	1 ტ	400
	3403 99 100 00	– მანქანების, მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებების საპოხი საშუალებები	1 ტ	400
	3403 99 900 00	– დანარჩენი	1 ტ	400

შენიშვნა: ამ ცხრილის მე-3 სტრიქონში აღნიშნული 2403 11 000 00 და 2403 19 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონელი იბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაფასოებულია პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 500 გრამისა.

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებული ფილტრიანი სიგარეტებისათვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ღერზე და უფილტრო სიგარეტებისათვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ღერზე აქციზის განაკვეთია ცხრილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 5 პროცენტის ჯამი. აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასი დგინდება ამ საქონლის მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საცალო სარეალიზაციო ფასებისა და საგადასახადო ორგანოში არსებული სხვა ინფორმაციის საფუძველზე არაუგვიანეს ყოველი წლის 1 დეკემბრისა და გამოიყენება მომდევნო წლის 1 იანვრიდან ერთი წლის განმავლობაში.

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებულ ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის საცალო სარეალიზაციო ფასს და მისი დადგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განაკვეთია:

ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხის 8 პროცენტი, გარდა ამ ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთანავე, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, ყოველი შემდგომი კალენდარული წლისათვის საქართველოს პარლამენტს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად დასამტკიცებლად წარუდგინოს განსხვავებული აქციზის განაკვეთი ნული პროცენტიდან 8 პროცენტამდე ოდენობის ფარგლებში, რომელსაც საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს შესაბამისი დადგენილებით;

ბ) საერთაშორისო ზარის საქართველოში მობილურ ქსელში დასრულების მომსახურებისათვის ერთ წუთზე 15 თეთრი;

გ) საერთაშორისო ზარის საქართველოში ფიქსირებულ ქსელში დასრულების მომსახურებისათვის ერთ წუთზე 8 თეთრი.

ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გამწევი პირისათვის დასაბეგრი ბრუნვაა საანგარიშო პერიოდში გაწეული მობილური საკომუნიკაციო მომსახურების თანხების ჯამი.

პირს, რომელიც ახორციელებს დასაბეგრ ოპერაციას ან აქციზური საქონლის **ექსპორტს**, **უფლება აქვს მიიღოს საგადასახადო ჩათვლა მიწოდებული** (მათ შორის, გადაცემული, საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანილი, ექსპორტირებული) **აქციზური საქონლის საწარმოებლად გამოყენებულ სხვა აქციზურ საქონელზე (ნედლეულზე) გადახდილი ან გადასახდელი აქციზის ოდენობით** ან **დაიბრუნოს** აქციზი ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს მისგან წარმოებულ აქციზურ საქონელზე გამოანგარიშებული აქციზისა.

მწარმოებელს უფლება აქვს ჩაითვალოს აქციზი იმპორტირებულ ნედლეულზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქციზური საქონლის მწარმოებელი თვითონ ახორციელებს ამ აქციზური საქონლის (ნედლეულის) იმპორტს სხვა აქციზური საქონლის წარმოებისათვის.

მაგალითი:

აქციზური საქონლის მწარმოებელმა საქართველოში სპირტის მწარმოებლისაგან იყიდა სპირტი და მისგან აწარმოა არაყი. არაყის რეალიზაციის დროს ის ჩაითვლის სპირტის ყიდვის დროს გადახდილ აქციზს. ვთქვათ, სპირტის ყიდვის დროს გადაიხადა აქციზი 100 000 ლარი, ხოლო მისგან წარმოებული არყის მიწოდების დროს დაარიცხა 150 000 ლარი აქციზის სახით. მას გადასახდელი ექნება 50 000 ლარი, ვინაიდან 100 000 ლარს ჩაითვლის.

მაგალითი:

აქციზური საქონლის მწარმოებელმა საქართველოში სპირტის მწარმოებლისაგან იყიდა სპირტი და მისგან აწარმოა არაყი. არყის რეალიზაციის დროს ის ჩაითვლის სპირტის ყიდვის დროს გადახ-

დილ აქციზს. ვთქვათ, სპირტის ყიდვის დროს გადაიხადა აქციზი 100 000 ლარი, ხოლო მისგან წარმოებული არყის მიწოდების დროს დაარიცხა 90 000 ლარი აქციზის სახით. მას გადასახდელი აქციზი არ ექნება, მაგრამ სხვაობასაც (100 000-90 0000)=10 000 ვერ დაიბრუნებს.

მაგალითი:

აქციზური საქონლის მწარმოებელმა საქართველოში იყიდა სპირტი ამ სპირტის იმპორტიორისაგან და მისგან აწარმოა არაყი. არყის რეალიზაციის დროს ის ვერ ჩაითვლის სპირტის ყიდვის დროს რეალურად გადახდილ აქციზს, ვინაიდან იმპორტიორის მიერ სპირტის მიწოდება არ არის აქციზით დასაბეგრი ოპერაცია.

მაგალითი:

აქციზური საქონლის მწარმოებელმა საქართველოში იყიდა სპირტი სპირტის გადამყიდველისაგან და მისგან აწარმოა არაყი. არყის რეალიზაციის დროს ის ვერ ჩაითვლის სპირტის ყიდვის დროს რეალურად გადახდილ აქციზს, ვინაიდან გადამყიდველის მიერ სპირტის მიწოდება არ არის აქციზით დასაბეგრი ოპერაცია.

აქციზის ჩათვლა ან დაბრუნება ხორციელდება მწარმოებლის მიერ ანგარიშფაქტურის ან/და საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემთხვევაში, რომელიც ადასტურებს მის მიერ აქციზის გადახდას აქციზური საქონლის (ნედლეულის) მწარმოებლისათვის ან/და აქციზური საქონლის (ნედლეულის) იმპორტისას.

თუ აქციზური საქონლიდან (ნედლეულიდან) ერთდროულად იწარმოება სხვა აქციზური და არააქციზური საქონელი, **ჩათვლა ხორციელდება წარმოებული აქციზური საქონლის რაოდენობის პროპორციულად,** მაგრამ არა უმეტეს ასეთ აქციზურ საქონელზე გამოანგარიშებული აქციზისა.

მაგალითი:

100 ლიტრი სპირტისგან ხორციელდება 50 ლიტრი არყისა და 50 ლიტრი ოდეკოლონის წარმოება. 100 ლიტრ სპირტზე მწარმოებელმა გადაიხადა აქციზი 520 ლარი. 50 ლიტრ არაყზე დაიხარჯა 25 ლიტრი სპირტი, რომელზეც გადახდილია 130 ლარი აქციზი. მწარმოებელი **ჩაითვლის** მხოლოდ 130 ლარს, რადგან ოდეკოლონი არ არის აქციზური საქონელი.

დასავარგებელი აქციზური საქონლის იმპორტის ან შეძენის შემთხვევაში პირს უფლება აქვს, მიიღოს საგადასახადო ჩათვლა ამ აქციზურ საქონელზე (ნედლეულზე) გადახდილი ან გადასახდელი აქციზის ოდენობით ან დაიბრუნოს აქციზი ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

დასავარგებელი აქციზური საქონელი არის მაგალითად, სხვადასხვა სპირტები, რომლებიც ექვემდებარება დავარგებას, ანუ ხარისხის გაუმჯობესების ხანგრძლივ ტექნოლოგიურ პროცესს.

მაგალითი:

დამავარგებელმა პირმა მწარმოებლისაგან შეიძინა ან თვითონ იმპორტით შემოიტანა ღვინის სპირტი, რომლის მუხის კასრებში დავარგებით მიიღება ბრენდი (კონიაკისმაგვარი სასმელი). ამ სპირტზე მას შეუძლია მიიღოს ჩათვლა. თუ დასავარგებელი საქონელი არ იქნა გამოყენებული აქციზით დასაბეგრ ოპერაციებზე, მაშინ ჩათვლილი აქციზი ექვემდებარება აღდგენას.

მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გამწევი პირისთვის აქციზის ჩათვლა არის დარიცხული აქციზის თანხის შემცირების უფლება, რომელიც ხორციელდება დარიცხული აქციზის თანხიდან მომსახურებაზე გადახდილი აქციზის თანხის გამოქვითვის გზით. აქციზის ჩასათვლელი თანხა არის აქციზის თანხა, რომელიც საგადასახადო ანგარიშფაქტურების მიხედვით გადახდილია ან გადასახდელია მხოლოდ მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიღებისას, როდესაც მომსახურების მიმღები არ არის ბოლო მომხმარებელი.

მაგალითი:

მაგთი აკავშირებს თავის აბონენტებს ჯეოსელის აბონენტებთან. ამ შემთხვევაში ამ მომსახურებისათვის მაგთი ახდევინებს თავის აბონენტს ვთქვათ, 30 თეთრს წუთში და ამ თანხაზე არიცხავს აქციზის ვთქვათ 10 პროცენტს, ანუ 3 თეთრს. ჯეოსელი თავის მხრივ მომსახურებას უწევს მაგთს მისი აბონენტის თავის აბონენტთან დაკავშირებაში და ამისათვის ახდევინებს მაგთის ვთქვათ, 5 თეთრს ყოველ წუთზე. შესაბამისად ჯეოსელი ვალდებულია მის მიერ მიწოდებულ მობილურ მომსახურებაზე დაარიცხოს აქციზი 0.5

(5*10%)თეთრის ოდენობით. მაგთის საბოლოო გადასახდელი აქციზი იქნება 3-0.5=2.5 თეთრი.

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმებიდან, თუ ავტომობილი 15 კალენდარული დღის განმავლობაში გაფორმდება ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში და დატოვებს საქართველოს ტერიტორიას, იმპორტიორი უფლებამოსილია დადგენილი წესის შესაბამისად დაიბრუნოს ავტომობილზე გადახდილი აქციზი, მაგრამ არა უმეტეს გადახდილი აქციზის 50%-ის ოდენობისა.

აქციზის საანგარიშო პერიოდია: კალენდარული თვე.

<u>აქციზი გადახდას ექვემდებარება არა უგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა,</u> ხოლო საქონლის იმპორტისას აქციზი გადაიხდება იმპორტის გადასახდელისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

მაგალითი:

კომპანიამ **B**-მ 2012 წლის 1 სექტემბერს კომპანია C-საგან (მწარმოებლისაგან) შეიძინა 1 000 ლიტრი სპირტი. კომპანია C-მ B-ს გამოუწერა საგადასახადო ანგარიშფაქტურა, რომლის მიხედვითაც აქციზის თანხამ შეადგინა **5200 ლარი** (5.2 * 1 000). B-მ აწარმოა 1 800 ლიტრი არაყი, რომელიც 200 ლიტრიანი კასრებით მიაწოდა კომპანია R-ს. B-მ აღნიშნულ ოპერაციას დაარიცხა აქციზი **10800 ლარის** ოდენობით (1 800 * 6). **B**-მ **15 ოქტომბრისათვის** უნდა გადაიხადოს აქციზი 5600 ლარის ოდენობით (10800 – 5200).

მაგალითი:

კომპანია K ახორციელებს ბენზინის იმპორტს და რეალიზაციას საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნულმა კომპანიამ 1 ნოემბერს განახორციელა 5 000 ტონა ბენზინის იმპორტი, რომელიც მოათავსა ჯერ ძირითად საცავში, შემდეგ კი საკუთარი ბენზინგასამართი სადგურების ქსელის საშუალებით მოახდინა მისი რეალიზაცია. კომპანიამ ბენზინის იმპორტისას აქციზის სახით გადაიხადა 2 000 000 ლარი (5 000 * 400), რაც ასახულია საბაჟო დეკლა-

რაციაში. საგადასახადო კოდექსის 255-ე მუხლის მიხედვით დასაბეგრ ოპერაციას არ მიეკუთვნება **იმპორტიორის** საწყობიდან აქციზური საქონლის გატანა სარეალიზაციოდ ან სხვა მიზნებისათვის და შესაბამისად აქციზით არ იბეგრება.

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით აქციზური საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაცია, აგრეთვე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (აქციზური საქონლის) კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემა იბეგრება აქციზით. სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული აქციზური საქონლის რეალიზაცია ასევე იბეგრება აქციზით.

აღნიშნული ნორმა არ ვრცელდება:

ა) რეალიზებულ/გადაცემულ აქციზურ საქონელზე, თუ იგი არ არის წარმოებული ამ საქონლის მესაკუთრის მიერ;

ბ) აქციზური მარკებით ნიშანდებულ საქონელზე, <u>თუ აქციზი გადახდილია აქციზური მარკების შეძენისას;</u>

გ) ფიზიკური პირის მიერ საკუთრებაში მიღებულ აქციზურ საქონელზე, თუ ამ პირის მიერ არ ხდება ამ საქონლის შემდგომი მიწოდება ან/და სხვა საქონლის წარმოებაში გამოყენება.

აქციზის დეკლარაციას, განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების აღნიშვნით, საგადასახადო ორგანოს ყოველი საანგარიშო პერიოდის მიხედვით, არა უგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა წარუდგენენ:

ა) აქციზური საქონლის მწარმოებელი;

ბ) პირი, რომელიც ახორციელებს ბუნებრივ აიროვანი კონდენსატის ან ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებას და პირი რომელიც, ახორციელებს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევას.

გ) გადასახადის გადამხდელის მიმართ, აქციზური მარკების დანაკლისის შემთხვევაში ასევე იმპორტიორების მიერ აქციზური

მარკების მიღებიდან საქონლის იმპორტის განუხორციელებლობის შემთხვევაში აქციზით დაბეგვრის ვალდებულების წარმოშობისას.

აქციზის გადამხდელი **"მისართის, გამხსნელისა და ანტიდეტონატორის"** იმპორტის შემთხვევაში, თუ მას არ გამოიყენებს აქციზური საქონლის წარმოებისათვის, იმპორტისას გადახდილი აქციზი უკან უბრუნდება თუკი საგადასახადო ორგანოს წარუდგენს აქციზის დეკლარაციას ყოველი საანგარიშო პერიოდის მიხედვით, არა უგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

აქციზით დასაბეგრი ოპერაციის ან/და საქონლის იმპორტის განხორციელებამდე აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას ექვემდებარება:

ა) აქციზით დასაბეგრი ალკოჰოლიანი სასმელები (მათ შორის, ლუდი), რომლებშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 1,15 გრადუსს;

ბ) თამბაქოს ნაწარმი.

აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებისაგან, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი შემთხვევებისა, თავისუფლდება:

ა) ექსპორტისთვის განკუთვნილი ადგილობრივი წარმოების საქონელი;

ბ) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მისაწოდებელი საქონელი;

გ) უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი იმპორტში მოქცეული საქონელი;

დ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ბაქო თბილისი ჯეიჰანის და ბაქო თბილისი ერზრუმის მილსადენების მშენებლობაში) შესრულების უზრუნველსაყოფად დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი იმპორტში მოქცეული საქონელი;

ე) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი და დაბრუნებული, აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული საქართველოს საქონელი;

ვ) **50 გრამის ან მასზე ნაკლები ტევადობის ჭურჭელში ან 10 ლიტრზე მეტი (გარდა ლუდისა) მოცულობის ჭურჭელში ჩასხმული ალკოჰოლიანი სასმელი;**

ზ) იმპორტირებული (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში) 4 ლიტრამდე ალკოჰოლიანი სასმელი;

თ) მოსაწევი (ჩიბუხის) თამბაქო;

ი) იმპორტირებული (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში) 400 ღერი სიგარეტი ან 50 სიგარა ან 50 სიგარილა ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმი ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში იმპორტირებული თამბაქოს ამ ქვეპუნქტში დასახელებული ნაწარმის კომბინაცია საერთო წონით არა უმეტეს 250 გრამისა.

აკრძალულია:

ა) აქციზური მარკით ნიშანდების გარეშე, მარკირებას დაქვემდებარებული საქონლით დასაბეგრი ოპერაციის ან/და იმპორტის განხორციელება;

ბ) ჩამოსასხმელი ან/და 10 ლიტრზე მეტი მოცულობის ჭურჭელში ჩამოსხმული აქციზური ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა) საცალო ქსელში მიწოდება.

აქციზური მარკა შესაძლებელია იყოს მატერიალური და არამატერიალური ფორმის. შემოსავლების სამსახურსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, **აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდების მომსახურებას ახორციელებს შერჩეული პირი**.

მატერიალური ან არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირებას ექვემდებარება არაალკოჰოლური სასმელები (მათ შორის, მინერალური და მტკნარი წყლები). სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არაალკოჰოლური სასმელების ნუსხა და თითოეული სასმელის სახეობაზე სავალდებულო მარკირების დაწ-

ყების თარიღი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

არამატერიალური ფორმის აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას ექვემდებარება მწარმოებლის მიერ ექსპორტისათვის განკუთვნილი და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მისაწოდებელი ადგილობრივი წარმოების ის საქონელი, რომლის აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდება შერჩეული პირის მიერ ხორციელდება არამატერიალური ფორმის აქციზური მარკით.

საქართველოს ტერიტორიაზე აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის მწარმოებლები და იმპორტიორები (დეკლარანტები), აგრეთვე საგადასახადო კოდექსის 182-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული აქციზის გადამხდელები იხდიან აქციზური მარკის ნომინალურ ღირებულებას. ნომინალის ღირებულება, მისი გადახდისა და საქონლის ნიშანდების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

აქციზური მარკის ნომინალური ღირებულების გაანგარიშება უნდა მოხდეს ეროვნულ ვალუტაში ან ანგარიშსწორების მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარებში.

შემოსავლების სამსახურის მიერ მიწოდებული აქციზური მარკის ნომინალური ღირებულება განისაზღვრება:

ა) პროდუქტის სახეობის მიხედვით განსაზღვრული ალკოჰოლური სასმელისათვის (იისფერი – აქციზური მარკა, რომელზეც არსებობს სიტყვიერი აღნიშვნა პროდუქტის სახეობის შესახებ (არაყი) და წითელი აქციზური მარკა, რომელზეც არ არსებობს სიტყვიერი აღნიშვნა პროდუქტის სახეობის შესახებ) განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 6,6 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

ბ) პროდუქტის წარმომავლობის მიხედვით განსაზღვრული ალკოჰოლური სასმელისათვის (მწვანე ფერი, წარწერით „ადგილობრივი" – ადგილობრივი წარმოშობის ალკოჰოლური სასმელის აქციზური მარკა და ცისფერი ფერი, წარწერით „იმპორტი" – იმპორტული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელის აქციზური მარკა)

განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 6.595 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

გ) ადგილობრივი წარმოების ფილტრიანი თამბაქოს ნაწარმისათვის (ცისფერი – ადგილობრივი თამბაქო (ფილტრიანი), სიგარა, სიგარილა) განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 4,3 ლარის ოდენობით;

დ) ადგილობრივი უფილტრო თამბაქოს ნაწარმისათვის (მუქი წითელი – ადგილობრივი თამბაქო (უფილტრო)) განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 9.5 ლარის ოდენობით;

ე) იმპორტული ფილტრიანი თამბაქოს ნაწარმისათვის (ცისფერი – ნარინჯისფერი – იმპორტული თამბაქო (ფილტრიანი), სიგარა, სიგარილა) განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 4,85 ლარის ოდენობით;

ვ) იმპორტული უფილტრო თამბაქოს ნაწარმისათვის (ლურჯი – იმპორტული თამბაქო (უფილტრო)) განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 2.47 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

ზ) ლუდის ნაწარმისათვის (მწვანე – ადგილობრივი, ლურჯი – იმპორტული) განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 4.03 ევროს ეკვივალენტი ლარებში.

არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირება ხორციელდება მატერიალური და არამატერიალური ფორმით. სავალდებულო მარკირების მომსახურებას ახორციელებს შერჩეული პირი.

შერჩეული პირის მიერ არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება განისაზღვრება:

ა) არაალკოჰოლური სასმელისთვის (გარდა მინერალური და მტკნარი წყლისა) – 1000 ცალ ერთეულზე – 5,5 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

ბ) მინერალური და მტკნარი წყლისათვის – 1000 ცალ ერთეულზე – 4,63 ევროს ეკვივალენტი ლარებში.

საქონლის სავალდებულო მარკირება უნდა განხორციელდეს:

ა) მწარმოებლის მიერ საქართველოში წარმოებული საქონლის მიწოდების ან/და საწარმოს საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანის მომენტამდე;

ბ) მწარმოებლის მიერ დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებული საქონლის დამკვეთისათვის გადაცემის მომენტამდე;

გ) საქონლის იმპორტის განხორციელებამდე;

დ) საქონლის ექსპორტის განხორციელებამდე.

სავალდებულო მარკირებისაგან თავისუფლდება:

ა) უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი იმპორტში მოქცეული საქონელი;

ბ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ბაქო თბილისი ჯეიჰანის და ბაქო თბილისი ერზრუმის მილსადენების მშენებლობაში) შესრულების უზრუნველსაყოფად დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი იმპორტში მოქცეული საქონელი.

სავალდებულო მარკირება ხორციელდება ბოთლის, ქილის ან კასრის თავსახურზე ან ტარის ძირზე. მატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირება უნდა განხორციელდეს ისეთი სახით და იმგვარად, რომ მატერიალური ფორმის მარკის მოხსნამ ან/და საქონლის გამოყენებამ გამოიწვიოს მარკის დაზიანება.

საგადასახადო ორგანოები დადგენილი წესით ახორციელებენ აქციზური მარკის გარეშე, წესების დარღვევით შემოტანილი ან გასაყიდად მიღებული აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის ჩამორთმევას. ჩამორთმევის მომენტიდან საქონელი სახელმწიფო საკუთრებად ითვლება და მისი რეალიზაცია ან განადგურება ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

აქციზური მარკების დანაკლისი ნებისმიერი ფორმით (დაკარგვა, განადგურება და სხვა შემთხვევები, ფორსმაჟორული შემთხვევების გარდა) ითვლება იმპორტიორის მიერ აქციზური მარკის შესაბამისი სახეობის საქონლის იმპორტად და მიწოდებად, ხოლო ადგილობრივი მწარმოებლის მხრიდან – მის მიერ აქციზური მარკის შესაბამისი სახეობის საქონლის მიწოდებად და იბეგრება პი-

რის მიერ 1 ცალი/ლიტრი წარმოებული ან იმპორტირებული აქციზური მარკის შესაბამისი სახეობის საქონლისათვის დადგენილი აქციზის უმაღლესი განაკვეთით.

იმპორტიორების მიერ აქციზური მარკების მიღებიდან 6 თვეში საქონლის იმპორტის განუხორციელებლობის შემთხვევაში აქციზური მარკები ექვემდებარება დაბრუნებას. 6-თვიანი პერიოდის გასვლიდან მეორე დღესვე აქციზური მარკების დაუბრუნებლობა ითვლება აქციზური მარკების სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის ქვეყნის შიგნით მიწოდებად და შესაბამისად დაიბეგრება აქციზით, ხოლო შემდგომ პერიოდში, დაუბრუნებელი აქციზური მარკებით ნიშანდებული საქონლის იმპორტისას, მოხდება გადასახდელად დარიცხული აქციზის გადაანგარიშება ფაქტობრივად განხორციელებული იმპორტის ოდენობის პროპორციულად.

მაგალითი:

იმპორტიორმა არ დააბრუნა 100 ერთეული აქციზური მარკა 6 თვეში და არც იმპორტი განახორციელა. 6 თვე შესრულდა 1 იანვარს. 2 იანვარს ითვლება, რომ პირმა მიაწოდა აქციზური საქონელი 100 ერთეული აქციზური მარკის შესაბამისად. 1 წლის შემდეგ პირმა ამ აქციზური მარკებით (100 ერთეულით) იმპორტის სასაქონლო ოპერაციით შემოიტანა მარკირებული საქონელი. იმ შემთხვევაში, თუ პირი შემოიტანდა 50 აქციზური მარკით ნიშანდებულ საქონელს, მაშინ 50 მიწოდებად ჩაეთვლებოდა, ხოლო 50 იმპორტად.

დაუშვებელია აქციზური მარკების სხვა პირისათვის გადაცემა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის იმპორტიორი აქციზურ მარკებს საქონელზე დასატანად გადასცემს აქციზური საქონლის უცხოურ მწარმოებელს.

აქციზური საქონლის რეალიზაციისას აქციზის გადამხდელი ვალდებულია საქონლის მიმღებს, მოთხოვნის შემთხვევაში, გამოუწეროს და გადასცეს საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

აქციზისაგან გათავისუფლება არსებობს ჩათვლის უფლებით და ჩათვლის უფლების გარეშე.

ოპერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლებით ნიშნავს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება აქციზის დარიცხვას (არ იბეგრება) და გამოიყენება ჩათვლის უფლება.

ოპერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლების გარეშე ნიშნავს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება აქციზის დარიცხვას (არ იბეგრება) და არ გამოიყენება ჩათვლის უფლება.

ჩათვლის უფლების <u>გარეშე</u> აქციზისაგან გათავისუფლებულია:

ა) ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელები;

ბ) ფიზიკური პირის მიერ საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში ერთი კალენდარული დღის, ხოლო სხვა შემთხვევაში 30 კალენდარული დღის განმავლობაში 400 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში თამბაქოს ამ ქვეპუნქტში დასახელებული ნაწარმის საერთო წონით 250 გრამის იმპორტი; ასევე 4 ლიტრი ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი;

ბ^1) საფოსტო გზავნილის შემთხვევაში 400 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში თამბაქოს ამ ქვეპუნქტში დასახელებული ნაწარმის საერთო წონით 250 გრამის იმპორტი; ასევე 4 ლიტრი ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი;

გ) საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემომსვლელი პირის ავტოსატრანსპორტო საშუალების იმ სტანდარტულ ავზში არსებული საწვავი, რომელიც ძრავის კვების სისტემასთან კონსტრუქციულად და ტექნოლოგიურად არის დაკავშირებული;

დ) პირადი მოხმარების საგნებისა და უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი;

ე) საერთაშორისო საავიაციო და საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებლად განკუთვნილი საქონლის იმპორტი ან/და მიწოდება;

ვ) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად ნავთობპროდუქტების იმპორტი ან/და მიწოდება;

ზ) **“მისართის, გამხსნელისა და ანტიდეტონატორის”** იმპორტი, თუ იგი არ გამოიყენება აქციზური საქონლის წარმოებისათვის.

შენიშვნა: აღნიშნული საქონლის იმპორტისას გადაიხდევინება აქციზი, ხოლო აქციზის დეკლარაციის წარდგენის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია დაიბრუნოს ან/და მომავალი გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში ჩაითვალოს აქციზის გადახდილი თანხა;

თ) მსუბუქი ავტომობილის იმპორტი საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად;

ი) საგადასახადო კოდექსის 223-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად დაბრუნებული აქციზური საქონლის იმპორტი;

კ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა და საკონსულო დაწესებულებათა ქონების იმპორტი;

ლ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული ელექტროძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები.

ჩათვლის <u>უფლებით</u> აქციზისაგან გათავისუფლებულია:

ა) აქციზური საქონლის ექსპორტი მხოლოდ იმ საანგარიშო პერიოდისათვის, რომლისთვისაც გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

ა.ა) საგადასახადო ანგარიშფაქტურას და საგადასახადო ანგარიშფაქტურაში აღნიშნული აქციზის თანხის მომწოდებლი-სათვის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს (იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტირებული აქციზური საქონლის წარმოებისათვის გამოყენებულ იქნა სხვა პირის მიერ წარმოებული სხვა აქციზური საქონელი (ნედლეული));

ა.ბ) საბაჟო დეკლარაციას საქონლის ექსპორტში გაშვების შესახებ;

ბ) საქართველოს საქონლის მიწოდება თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში რეალიზაციისათვის.

გ) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდევინების, მათ შორის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში პირის ქონების (აქციზური საქონლის) სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემა, აგრეთვე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციების გადახდევინების მიზნით პირის ქონების (აქციზური საქონლის) რეალიზაცია/გადაცემა.

დ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2208 20 სასაქონლო სუბპოზიციით გათვალისწინებული ყურძნის ღვინის დისტილაციით მიღებული სპირტის მიწოდება მწარმოებლის მიერ ამავე სასაქონლო სუბპოზიციით გათვალისწინებული საქონლის მწარმოებლისათვის, საქონლის საწარმოებლად.

ჩათვლის უფლებით აქციზისაგან გათავისუფლებულია საქონლის იმპორტი ან/და საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა, თუ აღნიშნული ხორციელდება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში და ამ ხელშეკრულებების შესაბამისად ასეთი საქონლის იმპორტი ან/და საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა გათავისუფლებულია აქციზისაგან.

თავი XVII
იმპორტის გადასახადი

იმპორტის გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებს საქონელს, გარდა ექსპორტისა.

იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას საქონლის საბაჟო ღირებულება, ალკოჰოლური სასმელების შემთხვევაში მისი მოცულობა (ლიტრი) და ალკოჰოლის პროცენტული შემცველობა, ხოლო მსუბუქი ავტომობილების შემთხვევაში - კომბინირებულად ძრავის მოცულობა და ავტომობილის წლოვანება.

დეკლარანტის მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულების სისწორეს აკონტროლებს ის საბაჟო ორგანო, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს და ამოწმებს წარდგენილ საბაჟო დეკლარაციას.

გარიგების ფასის განსაზღვრის საფუძვლად მიიღება ხელშეკრულებაში ან ანგარიშფაქტურაში ან ნებისმიერ სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტში დაფიქსირებული ფასი.

საქონლის საბაჟო ღირებულების სარეზერვო მეთოდით განსაზღვრის სისწორის კონტროლის დროს გამოსაყენებელი ფასების მონაცემები წარმოადგენს საინფორმაციო სახის მონაცემებს და გამოიყენება მხოლოდ სარეზერვო მეთოდით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორის დადგენის მიზნით და არ შეიძლება გამოყენებული იქნეს იმპორტისას გადასახდელი გადასახდელების დარიცხვის საფუძვლად. ფასების მონაცემთა სისტემაში საქონელი იდენტიფიცირებული უნდა იქნეს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) მიხედვით საქონლის დასახელების, სეს ესნ-ის კოდის, ზომის ერთეულის, ერთეულის ფასის, საქონლის წარმოშობის ქვეყნის და ექსპორტიორი ქვეყნის მიხედვით.

იმპორტის გადასახადის 12-პროცენტიანი განაკვეთით იბეგრება შემდეგი საქონლის საბაჟო ღირებულება:

№	კოდი	საქონლის დასახელება
1	0105	შინაური ფრინველი ცოცხალი, ანუ შინაური ქათამი (Gallus domesticus), იხვები, ბატები, ინდაურები და ციცრები
2	0201	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, ახალი ან გაცივებული
3	0202	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, გაყინული
4	0204	ხორცი ცხვრისა ან თხისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული
5	0205 00	ხორცი ცხენებისა, ვირებისა, ჯორებისა ან ჯორცხენებისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული
6	0206	საკვები სუბპროდუქტები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, ღორებისა, ცხვრებისა, თხებისა, ცხენებისა, ვირებისა, ჯორებისა ან ჯორცხენებისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული
7	0207	ხორცი და საკვები სუბპროდუქტები 0105 სასაქონლო პოზიციაში მითითებული შინაური ფრინველისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული
8	0208	სხვა ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, ახალი, გაცივებული ან გაყინული
9	0210	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, დამარილებული, მარილწყალში, გამხმარი ან შებოლილი; საკვები ფქვილი ხორცისაგან ან ხორცის სუბპროდუქტებისაგან
10	0401 10 100 00	– პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
11	0401 20 110 00	– პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
12	0401 20 910 00	– პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
13	0401 40 100 00	– პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
14	0401 50 110 00	– პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
15	0401 50 310 00	– პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
16	0401 50 910 00	– პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
17	0402 10 110 00	– პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
18	0402 10 910 00	– პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა

19	0402 21 110 00	– პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
20	0402 21 910 00	– პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
21	0402 29 150 00	– პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
22	0402 29 910 00	– პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
23	0402 91 110 00	– პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
24	0402 91 310 00	– პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
25	0402 91 510 00	– პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
26	0402 91 910 00	– პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
27	0402 99 110 00	– პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
28	0402 99 310 00	– პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
29	0402 99 910 00	– პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
30	0403	დო, აჭრილი რძე და ნაღები, იოგურტი, კეფირი და სხვა ფერმენტირებული ან შედედებული რძე და ნაღები, შესქელებული ან შეუსქელებელი, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე, საგემოვნო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე, ხილის, კაკლის ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე
31	0407	ფრინველის კვერცხი ნაჭუჭით, ახალი, დაკონსერვებული ან მოხარშული
32	0408	ფრინველის კვერცხი უნაჭუჭოდ და კვერცხის გულები, ახალი, გამხმარი, ორთქლზე ან მდუღარე წყალში მოხარშული, დაყალიბებული, გაყინული ან სხვა ხერხით დაკონსერვებული, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე
33	0409 00 000	ნატურალური თაფლი

	00	
34	0410 00 000 00	ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი
35	0701	კარტოფილი, ახალი ან გაცივებული
36	0702 00 000 00	პომიდორი, ახალი ან გაცივებული
37	0703	ხახვი თავიანი, ხახვი-შალოტი, ნიორი, პრასი და დანარჩენი ხახვისნაირი ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული
38	0704	თავზვეული კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, კოლრაბი, კეჟერა კომბოსტო და რასისიცა გვარის საკვები ანალოგიური ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული
39	0706	სტაფილო, თალგამი, სუფრის ჭარხალი, თხისწვერა, ფესვურა ნიახური, ბოლოკი და სხვა ანალოგიური საკვები ძირნაყოფები, ახალი ან გაცივებული
40	0707 00	კიტრი და კორნიშონები, ახალი ან გაცივებული
41	0708	პარკოსანი ბოსტნეული, დაჩურჩული ან დაუჩურჩავი, ახალი ან გაცივებული
42	0709	ბოსტნეული დანარჩენი, ახალი ან გაცივებული
43	0710	ბოსტნეული (ახალი ან წყალში ან ორთქლზე მოხარშული), გაყინული
44	0711	დაკონსერვებული ბოსტნეული, ხანმოკლე შენახვისათვის (მაგალითად, გოგირდის დიოქსიდით, მარილწყალში, გოგირდიან წყალში ან სხვა დროებით დამაკონსერვებელ ხსნარში), მაგრამ ასეთი სახით საკვებად უშუალო გამოყენებისათვის უვარგისი
45	0712 20 000 00	– თავიანი ხახვი
46	0712 31 000 00	– Agaricus გვარის სოკოები
47	0712 32 000 00	– ხის სოკო ან აურიკულარიები (Auricularia spp.)
48	0712 33 000 00	– საფუარი სოკოები (Tremella spp.)
49	0712 39 000 00	– დანარჩენი
50	0713	პარკოსანი ბოსტნეული ხმელი, დაჩურჩული, სათესლე ქერქისაგან გაცლილი ან გაუცლელი, დამტვრეული ან დაუმტვრეველი
51	0714	მანიოკი, მარანთა, სალეპი, მიწის მსხალი ანუ ტოპინამბური, ტკბილი კარტოფილი ანუ ბატატი და სხვა ანალოგიური ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები სახამებლის ან ინულინის მაღალი შემცველობით,

		ახალი, გაცივებული, გაყინული ან ხმელი, მთელი ან დაჭრილი პატარა ნაჭრებად ან გრანულების სახით; საგოს პალმის ნაყოფის გული
52	0802	კაკალი დანარჩენი, ახალი ან ხმელი, ნაჭუჭგაცლილი ან ნაჭუჭგაუცლელი, კანით ან კანის გარეშე
53	0803	ბანანები, პლანტაინების ჩათვლით, ახალი ან ხმელი
54	0805	ციტრუსები, ახალი ან ხმელი
55	0806	ყურძენი, ახალი ან ხმელი
56	0807	ნესვი (საზამთროს ჩათვლით) და პაპაია, ახალი
57	0808	ვაშლი, მსხალი და კომში, ახალი
58	0809	გარგარი, ალუბალი და ბალი, ატამი (ნექტარინების ჩათვლით), ქლიავი და ღოღნოში, ახალი
59	0810	ხილი დანარჩენი, ახალი
60	0811	ხილი და კაკალი, წყალში ან ორთქლზე თბურად დამუშავებული ან დაუმუშავებელი, გაყინული, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე
61	0812	ხილი და კაკალი, დაკონსერვებული ხანმოკლე შენახვისათვის (მაგალითად, გოგირდის დიოქსიდით, მარილწყალში, გოგირდოვან წყალში ან სხვა დროებით დამაკონსერვებელ ხსნარში), მაგრამ ასეთი სახით საკვებად უშუალო გამოყენებისათვის უვარგისი
62	0813	ხილი ხმელი, 0801–0806 სასაქონლო პოზიციების ნაყოფების გარდა; მოცემული ჯგუფის კაკლის ან ხმელი ნაყოფების ნარევები
63	0902	ჩაი საგემოვნო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე
64	1101 00	ხორბლის ან ხორბალ-ჭვავის ფქვილი
65	1102	დანარჩენი მარცვლეულის ფქვილი, გარდა ხორბლისა ან ხორბალ-ჭვავისა
66	1103	ბურღული, უხეშად ნაფქვავი ფქვილი და მარცვლოვანების მარცვლის გრანულები
67	1105	კარტოფილის წმინდად და უხეშად ნაფქვავი ფქვილი, ფხვნილი, ფანტელები, გრანულები
68	1106	წმინდად და უხეშად ნაფქვავი ფქვილი და ფხვნილი 0713 სასაქონლო პოზიციის ხმელი პარკოსანი ბოსტნეულის, საგოს პალმის ნაყოფის გულის, 0714 სასაქონლო პოზიციის ძირნაყოფების ან ბოლქვნაყოფების ან 08 ჯგუფის პროდუქტებისაგან
69	1108	სახამებელი; ინულინი
70	1109 00 000 00	ხორბლის წებოვანა, მშრალი ან ტენიანი
71	1512 19 900 00	– დანარჩენი
72	1601 00	ძეხვი და ანალოგიური პროდუქტები ხორცის, ხორცის სუბპროდუქტების ან სისხლისაგან; მზა საკვები პროდუქტები, დამზადებული მათ საფუძველზე
73	1602 10 00	– ჰომოგენიზებული მზა პროდუქტები
74	1602	– ნებისმიერი ცხოველის ღვიძლისაგან

	20	
75	1602 31	– ინდაურის
76	1602 32	– შინაური ქათმის (Gallus domesticus)
77	1602 39	– დანარჩენი
78	1602 41	– ბარკლები და მათი გადანაჭრები
79	1602 42	– ბეჭის ნაწილი და მისი გადანაჭრები
80	1602 49	– დანარჩენი, ნარევების ჩათვლით
81	1602 50	– მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცისაგან
82	1701 12	– ჭარხლის შაქარი
83	1701 91 000 00	– საგემოვნო-არომატული ან საღებარი დანამატებით
84	1701 99	– დანარჩენი
85	1702	დანარჩენი შაქარი, ქიმიურად სუფთა ლაქტოზას, მალტოზას, გლუკოზასა და ფრუქტოზას ჩათვლით, მყარ მდგომარეობაში; შაქრის სიროფები საგემოვნო-არომატული ან საღებარი ნივთიერების დამატების გარეშე; ხელოვნური თაფლი, ნატურალურ თაფლთან შერეული ან შეურეველი; კარამელის კულერი
86	1703	მელასა, შაქრის ამოღებით ან რაფინირების შედეგად მიღებული
87	1704	შაქრის საკონდიტრო ნაწარმი (თეთრი შოკოლადის ჩათვლით), რომელიც არ შეიცავს კაკაოს
88	19	მზა პროდუქტები მარცვლოვანების მარცვლის, ფქვილის, სახამებლის ან რძისაგან; ცომეული საკონდიტრო ნაწარმი
89	2001	ბოსტნეული, ხილი, კაკალი და მცენარეთა საკვებად ვარგისი სხვა ნაწილები, ძმრის ან ძმარმჟავას დამატებით დამზადებული ან დაკონსერვებული
90	2002	პომიდორი, ძმრის ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული
91	2003	სოკო და ტრიუფელი, ძმრის ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული
92	2004	სხვა ბოსტნეული, ძმრის ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული, გაყინული, 2006 სასაქონლო პოზიციის პროდუქტების გარდა
93	2005	სხვა ბოსტნეული, ძმრის ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული, გაუყინავი, 2006 სასაქონლო პოზიციის პროდუქტების გარდა
94	2006 00	ბოსტნეული, ხილი, კაკალი, ნაყოფების ქერქი ან მცენარეთა სხვა ნაწილები, შაქრით დაკონსერვებული (შაქრის სიროფით გაჟღენთილი, მოსარკლული ან დაშაქრული)

95	2007	ჯემი, ხილის ჟელე, მარმელადები, ხილის ან კაკლის პიურე, ხილის ან კაკლის პასტა, თბური დამუშავებით მიღებული, მათ შორის, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით
96	2008 19	– დანარჩენი, ნარევების ჩათვლით
97	2008 20	– ანანასი
98	2008 30	– ციტრუსები
99	2008 40	– მსხალი
100	2008 50	– გარგარი
101	2008 60	– ალუბალი და ბალი
102	2008 70	– ატამი, ნექტარინების ჩათვლით
103	2008 80	– მარწყვი და ხენდრო
104	2008 91 000 00	– პალმის გული
105	2008 93 000 00	– შტოში, მოცვი (Vaccinium macrocarpon, Vaccinium oxycoccos, Vaccinium vitis-idaea)
106	2008 97	– ნარევები
107	2008 99	– დანარჩენი
108	2009	ხილის წვენები (ყურძნის ბადაგის ჩათვლით) და ბოსტნეულის წვენები, დაუდუღებელი და სპირტის დანამატების გარეშე, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე
109	2101	ყავის, ჩაის ან მატეს (პარაგვაის ჩაის) ექსტრაქტები, ესენციები და კონცენტრატები და მათ ფუძეზე ან ყავის, ჩაის ან მატეს (პარაგვაის ჩაის) ფუძეზე დამზადებული მზა პროდუქტები; მოხალული ვარდკაჭაჭა და სხვა მოხალული ყავის შემცვლელები და მათი ექსტრაქტები, ესენციები და კონცენტრატები
110	2103	პროდუქტები საწებლების მოსამზადებლად და მზა საწებლები; საგემოვნო დანამატები და შერეული საკაზმები; მდოგვის ფხვნილი და მზა მდოგვი
111	2106 90	– დანარჩენი
112	2201 10 190 09	– დანარჩენი
113	2201	– დანარჩენი

	10 900 00	
114	2201 90 000 09	– დანარჩენი
115	2201 90 000 99	– დანარჩენი
116	2202	წყლები, მინერალურისა და გაზიანის ჩათვლით, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ან საგემოვნო-არომატული ნივთიერებების დანამატების შემცველობით, და სხვა უალკოჰოლო სასმელები, 2009 სასაქონლო პოზიციის ხილისა და ბოსტნეულის წვენების გარდა
117	2203 00	ალაოს ლუდი
118	2302 10	– სიმინდის
119	2302 30	– ხორბლის
120	2302 40	– დანარჩენი მარცვლოვანების
121	24	თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები. 24 03 11 000 00 და 24 03 19 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონელი იბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაფასოებულია პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არაუმეტეს 50 კილოგრამისა
122	25	მარილი; გოგირდი; მიწები და ქვა; საბათქაშე მასალები, კირქვა და ცემენტი
123	3402	ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები (საპნის გარდა); ზედაპირულად აქტიური საშუალებები, სარეცხი საშუალებები (დამხმარე სარეცხი საშუალებების ჩათვლით) და საწმენდი საშუალებები, საპნის შემცველი ან მის გარეშე (3401 სასაქონლო პოზიციის საშუალებების გარდა)
124	3918	პლასტმასის იატაკის საფრები, თვითწებვადი ან არათვითწებვადი, რულონებად ან ფირფიტებად; პლასტმასის საფრები კედლებისა და ჭერებისათვის, მოცემული ვგუფის მე-9 შენიშვნაში მითითებული
125	3922	აბაზანები, შხაპები, წყლის ჩასადინარი ნიჟარები, პირსაბანი ნიჟარები, ბიდეები, უნიტაზები, დასავდომები და სახურავები მათთვის, წყალჩასაშვები ავზაკები და ანალოგიური სანიტარიულ-ტექნიკური ნაწარმი, პლასტმასისაგან
126	3923	პლასტმასის ნაწარმი საქონლის ტრანსპორტირებისათვის ან შეფუთვისათვის; პლასტმასის საცობები, ხუფები, თალფაქები და სხვა საცობი ნაწარმი
127	3924	სასადილო და სამზარეულო ჭურჭელი და სამზარეულოს საკუთნოები, დანარჩენი საოჯახო ნივთები და ჰიგიენის ან ტუალეტის საგნები, პლასტმასისაგან

128	3925 20 000 00	– კარები და ზღურბლები მათთვის, ფანჯრები და მათი ჩარჩოები
129	3925 30 000 00	– დარაბები, შტორები (ვენეციური ჟალუზების ჩათვლით) და ანალოგიური ნაწარმი და მათი ნაწილები
130	3925 90	– დანარჩენი
131	3926 90	– დანარჩენი
132	4407	ხეტყის მასალა, გასწვრივ დახერხილი ან დაპობილი, შრეებად გაყოფილი ან შპონახდილი, გარანდული ან გაურანდავი, გახეხილი ან გაუხეხავი, ტორსული შეერთების მქონე ან მის გარეშე, სისქით 6 მმ-ზე მეტი
133	4408	მოსაპირკეთებელი ფურცლები (შრეული მერქნის დაყოფით მიღებულის ჩათვლით), შეწებებული ფანერისათვის ან სხვა ანალოგიური შრეული მერქნისათვის, და სხვა ხის მასალა, გასწვრივ დახერხილი, დაჭრილი ნაწილებად ან შპონახდილი, გარანდული ან გაურანდავი, გახეხილი ან გაუხეხავი, ტორსული შეერთების მქონე ან მის გარეშე, სისქით არა უმეტეს 6 მმ-ისა
134	4409	დახერხილი ხეტყე (პარკეტის თამასებისა და ფრიზის ჩათვლით, აუწყობელი) დაპროფილებული პაგონაჟის სახით (ქიმებით, თხემებით, ღარებით, ნარანდიანი, ჩამოთლილი კიდეებით, ნახევრად მომრგვალებული ნარიმანდის შეერთების სახით, ფასონური, მომრგვალებული ან ანალოგიური) ნებისმიერი ნაწიბურის ტორსის ან სიბრტყის გასწვრივ, გარანდული ან გაურანდავი, გახეხილი ან გაუხეხავი, ტორსული შეერთების მქონე ან მის გარეშე
135	4413 00 000 00	მერქანი დაწნეხილი, ბლოკების, ფილების, ძელების ან დაპროფილებული ფორმების სახით
136	4418	ნაწარმი სადურგლო და სახუროო ხის, სამშენებლო, უჯრედოვანი ხის პანელების, აწყობილი ფილა-პარკეტის, სოლ-ყავრისა და სახურავის ყავრის ჩათვლით
137	4420	ხის ნაწარმი მოზაიკური და ინკრუსტირებული; ზარდახშები და კოლოფები საიუველირო ან დანისებრი და ანალოგიური ნაწარმისათვის, ხის; სტატუეტები და სხვა დეკორაციული ნაწარმი, ხის; ავეჯის ხის საგნები, 94-ე ჯგუფში მიუთითებელი
138	4421	სხვა ნაწარმი, დანარჩენი
139	6801 00 000 00	ძელურა, ბორდიურის ქვები და დასაგები ფილები ბუნებრივი ქვისაგან (გარდა ფიქლისა)
140	6802	ქვა დამუშავებული (გარდა ფიქლისა) ძეგლებისათვის ან მშენებლობისათვის და მისი ნაწარმი, გარდა 6801 სასაქონლო პოზიციის საქონლისა; მოზაიკის კუბურები და ბუნებრივი ქვის (ფიქლის ჩათვლით) ანალოგიური ნაწარმი ფუძეზე ან ფუძის გარეშე; ბუნებრივი

		ქვის (ფიქლის ჩათვლით) გრანულები, ნაფხვენი და ფხვნილი, ხელოვნურად შეღებილი
141	6804	დოლაბები, სალესი ქვები, სახეხი რგოლები და ანალოგიური უკარკასო ნაწარმი, განკუთვნილი სახეხად, სალესად, საპრიალებლად, მოსარგებად ან მოსაჩუქურთმებლად, ქვები ხელით სალესად ან საპრიალებლად და მათი ნაწილები ბუნებრივი ქვის, აგლომერირებული ბუნებრივი ან ხელოვნური აბრაზივების ან კერამიკისაგან, სხვა მასალების დეტალებთან აწყობილი ან ამ დეტალების გარეშე
142	6805	ბუნებრივი ან ხელოვნური აბრაზიული ფხვნილი ან მარცვალი, გაჭრილ ან გაკერილ, ან განსაზღვრული ფორმის მისაღებად სხვა მეთოდით დამუშავებულ, ან დაუმუშავებელ ქსოვილის, ქაღალდის, მუყაოს ან სხვა ფუძეზე
143	6806	წიდის ბამბა, მინერალური სილიკატური ბამბა და ანალოგიური მინერალური ბამბები; განშრევებული ვერმიკულიტი, აფუებული თიხები, აქაფებული წიდა და ანალოგიური აფუებული მინერალური პროდუქტები; თბოსაიზოლაციო, ბგერათსაიზოლაციო ან ბგერათშთამნთქმელი მინერალური მასალების ნარევები და ნაწარმი, გარდა 6811 ან 6812 სასაქონლო პოზიციის ან 69-ე ჯგუფის ნაწარმისა
144	6807	ნაწარმი ასფალტის ან ანალოგიური მასალებისაგან (მაგალითად, ნავთობის ბიტუმის ან ქვანახშირის სქელფისისაგან)
145	6808 00 000 00	პანელები, ფილები, ბლოკები და ანალოგიური ნაწარმი ცემენტით, თაბაშირით ან სხვა მინერალური შემკვრელი ნივთიერებებით აგლომერირებული მცენარეული ბოჭკოების, ჩალის, ბურბუშელას, ნაფოტის, ნაწილაკების, ნახერხის ან ხეტყის სხვა ნარჩენებისაგან
146	6809	ნაწარმი თაბაშირის ან მის ფუძეზე დამზადებული ნარევებისაგან
147	6810	ცემენტის, ბეტონის ან ხელოვნური ქვის ნაწარმი, დაარმატურებული ან დაუარმატურებელი
148	6811	ნაწარმი აზბესტცემენტის, ცელულოზისბოჭკოებიანი ცემენტის ან ანალოგიური მასალებისაგან
149	6812 91 000 00	– ტანსაცმელი, ტანსაცმლის საკუთნოები, ფეხსაცმელი და თავსაბურავები
150	6812 92 000 00	– ქაღალდი, სქელი მუყაო და ქეჩა ან ფეტრი
151	6812 93 000 00	– – შემამჭიდროებელი მასალა წნეხილი აზბესტის ბოჭკოსაგან, ფურცლებად ან რულონებად
152	6815	ნაწარმი ქვის ან სხვა მინერალური ნივთიერებებისაგან (ნახშირბადიანი ბოჭკოების, ნახშირბადიანი ბოჭკოების ნაწარმისა და ტორფის ნაწარმის ჩათვლით), სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი
153	6902 10 000 00	– Mg, Ca an Cr ელემენტების შემცველობით 50 მას.%-ზე მეტი ცალცალკე ან ერთად აღებული, MgO, CaO ან Cr_2O_3-ზე გადაანგარიშებით
154	6902	– კაჟმიწის (SiO_2) შემცველობით 93 მას.% ან მეტი

	20 100 00	
155	6902 20 910 00	– თიხამიწის (Al_2O_3) შემცველობით 7 მას.%-ზე მეტი, მაგრამ 45 მას.%-ზე ნაკლები
156	6902 20 990 00	– დანარჩენი
157	6902 90 000 00	– დანარჩენი
158	7113	საიუველირო ნაკეთობები და მათი ნაწილები ძვირფასი ლითონებისაგან ან ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ლითონებისაგან
159	7115 90 100 00	– ძვირფასი ლითონებისაგან
160	7116	ნაკეთობები ბუნებრივი ან კულტივირებული მარგალიტის, ძვირფასი ან ნახევრად ძვირფასი ქვებისაგან (ბუნებრივი, ხელოვნური ან რეკონსტრუირებული)
161	7117	ბიჟუტერია
162	7308 10 000 00	– ხიდები და ხიდების სექციები
163	7308 40	– დანადგარები და სხვა მოწყობილობა ლითონური სამშენებლო ხარაჩოების, ყალიბების, კედლის საბჯენების ან შახტის სამაგრებისათვის
164	7308 90	– დანარჩენი
165	7309 00 100 00	– აირებისათვის (შეკუმშული ან გათხევადებული აირის გარდა)
166	7309 00 300 00	– მოპირკეთებით ან თბოიზოლაციით
167	7309 00 590 00	– არა უმეტეს 100 000 ლიტრისა
168	7309 00 900 00	– მყარი ნივთიერებებისათვის
169	7310	ცისტერნები, კასრები, დოლები, კანისტრები, ყუთები და ანალოგიური ტევადობები შავი ლითონებისაგან, ნებისმიერი ნივთიერებისათვის (შეკუმშული ან გათხევადებული აირის გარდა), არა უმეტეს 300 ლ ტევადობისა, მოპირკეთებით ან თბოიზოლაციით ან მათ გარეშე, მაგრამ მექანიკური ან თბოტექნიკური დანადგარების გარეშე

170	7311 00	ტევადობები შეკუმშული ან გათხევადებული აირებისათვის, შავი ლითონებისაგან
171	7314	ლითონური ქსოვილი (უწყვეტი ლენტების ჩათვლით), მავთულის გისოსები, ბადეები და შემოსაღობები შავი ლითონებისაგან; გამცრავ-გამწოვი ფურცელი შავი ლითონებისაგან
172	7315	ჯაჭვები და მათი ნაწილები შავი ლითონებისაგან
173	7318	ხრახნები, ჭანჭიკები, ქანჩები, ყრუ ჭანჭიკები, ჩასახრახნი კაკვები, მოქლონები, სოგმანები, ჰილიპყურები, საყელურები (ზამბაროვანის ჩათვლით) და ანალოგიური ნაწარმი შავი ლითონებისაგან
174	7320	ზამბარები, რესორები და ფურცლები მათთვის შავი ლითონებისაგან
175	7321	ღუმლები გასათბობი, ღუმლები გასათბობ-სახარშავი და საკვების მოსამზადებელი (ცენტრალური გათბობის დამხმარე ქვაბიანი ღუმლების ჩათვლით), ფრიტურნიცები, მაყალები, ქურის სანთურები, საკვების გასათბობი გამათბობლები და ანალოგიური საყოფაცხოვრებო არაელექტრული მოწყობილობები და მათი ნაწილები შავი ლითონებისაგან
176	7323	ნაწარმი სუფრის, სამზარეულო ან სხვა ნაწარმი საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის და მათი ნაწილები შავი ლითონებისაგან; „მატყლი“ შავი ლითონებისაგან; სამზარეულო ჭურჭლის საწმენდი ნეჭა, გასაწმენდი ან გასაპრიალებელი ბალიშები, ხელთათმნები და ანალოგიური ნაწარმი შავი ლითონებისაგან

იმპორტის გადასახადის 5-პროცენტიანი განაკვეთით იბეგრება შემდეგი საქონლის საბაჟო ღირებულება:

№	კოდი	საქონლის დასახელება
1	0203	ხორცი ღორისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული
2	0406	ყველი და ზაჭო
3	1806 31 000 00	– გულსართით
4	1806 32	– გულსართის გარეშე
5	1806 90	– დანარჩენი
6	3305	თმის საშუალებები
7	3307	საშუალებები, პარსვამდე, პარსვის დროს ან პარსვის შემდეგ გამოსაყენებელი, ინდივიდუალური დანიშნულების დეზოდორანტები, შედგენილობები აბაზანის მისაღებად, თმების მოსაცილებელი და სხვა სპარფიუმერიო, კოსმეტიკური ან ტუალეტის საშუალებები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი; დეზოდორანტები სათავსებისათვის, არომატიზებული ან არაარომატიზებული, მადეზინფიცირებელი თვისების მქონე ან არმქონე

8	3401	საპონი; ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები და საშუალებები, გამოსაყენებელი საპნად, ძელაკების, ნაჭრების ან დაყალიბებული ნაწარმის სახით, საპნის შემცველი ან მის გარეშე; ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები და კანის დასაბანი საშუალებები სითხის ან კრემის სახით, დაფასოებული საცალო ვაჭრობისათვის, საპნის შემცველი ან მის გარეშე; ქაღალდი, ბამბა, ქიჩა ან ფეტრი და უქსოვადი მასალები, გაჟღენთილი ან დაფარული საპნით ან სარეცხი საშუალებით
9	3405	ვაქსები და საცხები ფეხსაცმლისათვის, პოლიროლები და მასტიკები ავეჯის, იატაკის, ავტომობილების ძარების, მინების ან ლითონებისათვის, საწმენდი პასტები და ფხვნილები და ანალოგიური საშუალებები (მათ შორის, ქაღალდი, ბამბა, ქიჩა ან ფეტრი, უქსოვადი მასალები, ფორიანი პლასტმასები ან ფორიანი რეზინი, გაჟღენთილი ან დაფარული ასეთი საშუალებებით), 3404 სასაქონლო პოზიციის ცვილების გარდა
10	3916	პლასტმასის მონოძაფი 1 მმ-ზე მეტი განივკვეთით, წნელები, ღერძები და ფასონური პროფილები, დამუშავებული ან დაუმუშავებელი ზედაპირით, მაგრამ სხვაგვარად დაუმუშავებელი
11	3917 10	– ხელოვნური გარსაცმები (ძეხვეულის ნაწარმისათვის) გამყარებული პროტეინებისაგან ან ცელულოზის მასალებისაგან
12	3917 21 100 00	– უნაწიბურო და დაჭრილი ნაჭრებად, რომელთა სიგრძე აღემატება განივკვეთის მაქსიმალურ ზომას, დამუშავებული ან დაუმუშავებელი ზედაპირით, მაგრამ სხვაგვარად დაუმუშავებელი
13	3917 21 900 09	– დანარჩენი
14	3917 22 100 00	– უნაწიბურო და დაჭრილი ნაჭრებად, რომელთა სიგრძე აღემატება განივკვეთის მაქსიმალურ ზომას, დამუშავებული ან დაუმუშავებელი ზედაპირით, მაგრამ სხვაგვარად დაუმუშავებელი
15	3917 22 900 09	– დანარჩენი
16	3917 23 100 00	– უნაწიბურო და დაჭრილი ნაჭრებად, რომელთა სიგრძე აღემატება განივკვეთის მაქსიმალურ ზომას, დამუშავებული ან დაუმუშავებელი ზედაპირით, მაგრამ სხვაგვარად დაუმუშავებელი
17	3917 23 900 09	– დანარჩენი
18	3917 29 120 00	– ქიმიურად მოდიფიცირებული ან არამოდიფიცირებული კონდენსაციის პროდუქტებისაგან ან პოლიმერიზაციის პროდუქტებისაგან გადაჯგუფებით
19	3917 29 150 00	– პოლიმიერთების პროდუქტებისაგან
20	3917 29 190 00	– დანარჩენი

21	3917 29 900 09	– დანარჩენი
22	3917 31 900 00	– დანარჩენი
23	3917 32	– დანარჩენი, დაუარმატურებელი ან სხვა მასალებთან არაკომბინირებული, უფიტინგებოდ
24	3917 33 900 00	– დანარჩენი
25	3917 39 120 00	– ქიმიურად მოდიფიცირებული ან არამოდიფიცირებული კონდენსაციის პროდუქტებისაგან ან პოლიმერიზაციის პროდუქტებისაგან გადაჯგუფებით
26	3917 39 150 00	– პოლიმიერთების პროდუქტებისაგან
27	3917 39 190 00	– დანარჩენი
28	3917 39 900 09	– დანარჩენი
29	3917 40 900 00	– დანარჩენი
30	3919	პლასტმასის ფილები, ფურცლები, ფირები, კილიტა, ლენტები, ზოლები და დანარჩენი ბრტყელი ფორმები, თვითწებვადი, რულონებად ან არარულონებად
31	3920	პლასტმასის ფილები, ფურცლები, ფირები და ზოლები ან ლენტები, დანარჩენი, უფორებო და დაუარმატურებელი, არაშრეული, ფუძეშრის გარეშე და სხვა მასალებთან ანალოგიური წესით შეუერთებელი
32	3921	პლასტმასის ფილები, ფურცლები, ფირები, ზოლები ან ლენტები, დანარჩენი
33	3925 10 000 00	– რეზერვუარები, ცისტერნები, ავზები და ანალოგიური ტევადობები მოცულობით 300 ლიტრზე მეტი
34	3926 10 000 00	– საკანცელარიო ან სასკოლო ნივთები
35	3926 20 000 00	– ტანსაცმელი და მისი საკუთნოები (ხელთათმნების, ხელჯაგებისა და თათმანების ჩათვლით)

36	3926 30 000 00	– სამაგრი ნაკეთობები და ფურნიტურა ავეჯისათვის, სატრანსპორტო საშუალებებისათვის ან ანალოგიური ნაწარმი
37	3926 40 000 00	– ქანდაკებები და სხვა დეკორაციული ნაწარმი
38	7308 20 000 00	– ბჯენები და ცხაური ანძები
39	7308 30 000 00	– კარები, ფანჯრები და მათი ჩარჩოები და ზღურბლები კარებისათვის
40	8544 11	– სპილენძის
41	8544 19	– დანარჩენი
42	8544 20 000 00	– კოაქსიალური კაბელები და სხვა კოაქსიალური ელექტრული გამტარები
43	8544 30 900 00	– დანარჩენი

ქვემოთ ჩამოთვლილი საქონელი იბეგრება იმპორტის გადასახადის შემდეგი განაკვეთებით (euro/%vol/HL ნიშნავს, რომ ერთ ჰექტოლიტრზე (100 ლიტრზე). გადასახდელი იმპორტის გადასახადის თანხა შეადგენს იმპორტის გადასახადის განაკვეთის ნამრავლს მოცემულ საქონელში ალკოჰოლის პროცენტული შემცველობის მაჩვენებელზე):

	კოდი	საქონლის დასახელება	იმპორტის გადასახადის განაკვეთი
1	2204 10	– ღვინოები ცქრიალა	1,5 euro/lit
2	2204 21	– 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები ტევადობის ჭურჭელში	0,5 euro/lit
3	2204 29	– დანარჩენი	0,2 euro/lit

4	2204 30	– ყურძნის ტკბილი, დანარჩენი	0,2 euro/lit
5	2205 10	– 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები ტევადობის ჭურჭელში	0,5 euro/lit
6	2205 90	– დანარჩენი	0,2 euro/lit
7	2206 00	სხვა დადუღებული სასმელები (მაგალითად, სიდრი, პერი (მსხლის სიდრი), თაფლის სასმელი); ნარევები დადუღებული სასმელებისაგან და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩამოუთვლელი	0,5 euro/lit
8	2207	ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.% ან 80 მოც.%-ზე მეტი; ეთილის სპირტი და სხვა დენატურირებული სპირტები ნებისმიერი კონცენტრაციით	3 euro/lit
9	2208 20	– სპირტის ნაყენები, მიღებული ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციის (გამოხდის) შედეგად	1.5 euro/%vol/ HL
10	2208 30	– ვისკი	1.5 euro/%vol/ HL
11	2208 40	– რომი და ტაფია	1.5 euro/%vol/ HL
12	2208 50	– ჯინი და ღვიის ნაყენი	1.5 euro/%vol/ HL
13	2208 60	– არაყი	1.5 euro/%vol/ HL
14	2208 70	– ლიქიორები	1.5 euro/%vol/ HL
15	2208 90	– დანარჩენი	1.5 euro/%vol/ HL
16	2209 00	ძმარი და მისი შემცვლელები, მიღებული ძმარმჟავასაგან	0,4 euro/lit

მაგალითი:

იმპორტირებულია ვისკი, რომელშიც სპირტის შემცვლელობა არის 60%. ამ შემთხვევაში ერთ ლიტრზე იმპორტის გადასახადი ტოლი იქნება 0.9 ევრო (1.5 * 60/100)

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი საქონელი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე იბეგრება იმპორტის გადასახადის იმ თანხის 3 პროცენტით, რომელიც გადაიხდევინებოდა დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის იმპორტში მოქცევისას. აღნიშნული თანხა გადახდილი უნდა იქნეს არა უგვიანეს ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ხოლო ბოლო გადახდა უნდა განხორციელდეს საქონლის დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციის დასრულების დღეს. დეკლარანტს უფლება აქვს, მთელი გადასახდელი თანხა ერთდროულად გადაიხადოს. გადახდას დაქვემდებარებული თანხების ჯამური ოდენობა (საურავის გარეშე) არ უნდა აღემატებოდეს იმპორტის გადასახადის იმ თანხას, რომელიც გადაიხდევინებოდა დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის იმპორტში მოქცევისას.

მაგალითი:

დროებით 3 წლის ვადით შემოტანილია მსუბუქი ავტომობილი, რომლის იმპორტის დროს გადასახდელი იმპორტის გადასახადი შეადგენს 100 ლარს. ყოველთვიურად პირს უნდა გადაეხადა 3 ლარი. შესაბამისად 36 თვის განმავლობაში გადასახდელი თანხა შეადგენდა 108 ლარს. მაგრამ, ვინაიდან გადასახდელი თანხის ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს იმპორტის გადასახადის ოდენობას – იგი იქნება არა 108 ლარი არამედ 100 ლარი.

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციაში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის იმპორტში მოქცევისას **იმპორტის გადასახადის განაკვეთია 0,05 ლარი ავტომობილის ძრავის მოცულობის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე** დამატებული იმპორტის გადასახადის თანხის 5 პროცენტი ავტომობილის ექსპლუატაციაში ყოფნის ყოველი წლისათვის.

მაგალითი:

იმპორტირებული მსუბუქი მნქანის ძრავის მოცულობა არის 3 000 სმ^3, ხოლო გამოშვების წელი 2001. ამ მანქანაზე იმპორტის გადასახადის თანხა იქნება – 232 ლარი (3000*0.05+150*5%*11)

იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

ა) საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურებისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;

ბ) იმ საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია გრანტის შესახებ ხელშეკრულებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად განსაზღვრული წესით;

გ) იმ საქონლის იმპორტი, რომელიც ფინანსდება გრანტებით ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტით, რომელიც არანაკლებ 25 პროცენტის ოდენობით შეიცავს გრანტის ელემენტს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გრანტის ელემენტს გაიანგარიშებს საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად;

დ) ფიზიკური პირის მიერ:

დ.ა) კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 02, 04, 06 12, 15 21 ჯგუფებისა და 0302 0307, 2201 2202 სასაქონლო პოზიციების შესაბამისი ჯამური თანხით 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის კვების პროდუქტების იმპორტი (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში), რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

დ.ბ) 30 კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფებით გათვალისწინებული 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

დ.გ) საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში ერთი კალენდარული დღის, ხოლო სხვა შემთხვევაში – 30 კალენდარული დღის განმავლობაში 400 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის

(გარდა თამბაქოს ნედლეულისა) ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში თამბაქოს ამ ქვეპუნქტში დასახელებული ნაწარმის საერთო წონით 250 გრამის იმპორტი; ასევე 4 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი;

დ.დ) უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის მიერ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფების (გარდა 87-ე ჯგუფისა) შესაბამისი 15 000 ლარის ღირებულების საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის, ხოლო საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირისათვის – დამატებით მის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (ოჯახზე თითო სატრანსპორტო საშუალების, მაცივრის, კომპიუტერისა და ტელევიზორის) იმპორტი;

დ.ე) საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით) საქონლის (მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

დ.ვ) საფოსტო გზავნილის შემთხვევაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფების შესაბამისი 300 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის, აგრეთვე 400 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში თამბაქოს ამ ქვეპუნქტში დასახელებული ნაწარმის საერთო წონით 250 გრამის იმპორტი; ასევე 4 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი;

დ.ზ) საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფების შესაბამისი 3 000 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ე) ბავშვთა კვების პროდუქტებისა და დიაბეტური კვების იმ პროდუქტების იმპორტი, რომლებიც მარკირებულია ასეთად საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისათვის; რენტგენის ფირების, ინსულინის შპრიცების (ნემსების), გლუკომეტრების, სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების იმპორტი;

ვ) საერთაშორისო საავიაციო და საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებლად განკუთვნილი საქონლის იმპორტი;

ზ) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტი;

თ) უსასყიდლოდ ჩამორთმეული, კონფისკებული, უპატრონო და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადავიდა სახელმწიფოს განკარგვაში ან საკუთრებაში;

ი) 2016 წლის 1 იანვრამდე თამბაქოს ნედლეულისა და ნაწარმის იმპორტი;

კ) საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „პ“ ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“, „დ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტების მოთხოვნების შესაბამისად საქონლის იმპორტი და დროებითი შემოტანა;

ლ) საქონლის მიმართ გამოყენებული სასაქონლო ოპერაციები (გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული საქონლის იმპორტისა და დროებითი შემოტანისა) საგადასახადო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, აგრეთვე თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში საქონლის განთავსება;

მ) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებული საქონლის თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან იმპორტი. საქართველოს ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს, დაადგინოს საქონლის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებულად მიჩნევის კრიტერიუმები;

ნ) საგადასახადო კოდექსის 223-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად დაბრუნებული საქონლის იმპორტი;

ო) საფოსტო გზავნილის შემთხვევაში (გარდა ამ ნაწილის „დ.ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფების შესაბამისი 300 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, აგრეთვე 400 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში თამბაქოს ამ ქვეპუნქტში დასახელებული ნაწარმის საერთო წონით 250 გრამის იმპორტი; ასევე 4 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი;

პ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 1704 90 510 00, 2207 10 000 00, 2501 00 310 00, 2501 00 510 00, 2506, 2507, 2508, 2509, 2511, 2522, 2524, 2525, 2526 (გარდა 2526 20 000 00), 6805 20 000 00 და 6805 30 800 00 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი;

ჟ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული ელექტრომძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები.

რ) „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ 1994 წლის 15 აპრილის საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე წარმოშობილი საქონლის აღნიშნული სახელმწიფოდან იმპორტი, მიუხედავად საქონლის გადაადგილების მარშრუტისა (ექსპორტიორი ქვეყნის ტერიტორიიდან საქონლის გადაადგილებისას აღნიშნული შეთანხმების არამონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიის გავლის მიუხედავად).

თავი XVIII

ადგილობრივი გადასახადი

ქონების გადასახადი წარმოადგენს ადგილობრივ გადასახადს, რომლის შემოღების (გადახდის პირობების შეცვლის ან შემოღებული გადასახადის გაუქმების) უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებს. ქონების გადასახადის გადამხდელია:

ა) რეზიდენტი საწარმო/ორგანიზაცია – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე;

მაგალითი:

საწარმოს, რომლის ეკონომიკური საქმიანობის სახეს წარმოადგენს სამშენებლო საქმიანობა (საცხოვრებელი ბინების მშენებლობა-მიწოდება), 2012 წელს საცხოვრებელი ბინის პარალელურად **საკუთარი საჭიროებისათვის აშენებს საოფისე შენობას**. აღნიშნული წლის მიხედვით საწარმოს დაუმთავრებელი დარჩა როგორც საცხოვრებელი ბინის, ასევე საოფისე შენობის მშენებლობა.

მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ მიწოდებისათვის განკუთვნილი მშენებარე საცხოვრებელი სახლის ღირებულება განეკუთვნება საბრუნავ საშუალებებს და არა ძირითად საშუალებას, 2012 წელს საწარმოსათვის ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი იქნება **მხოლოდ მშენებარე საოფისე შენობის** ღირებულება.

ბ) არარეზიდენტი საწარმო – საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, “ა” პუნქტით განსაზღვრულ ქონებაზე (მათ შორის, იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქონებაზე);

მაგალითი:

უცხოურმა ავიაკომპანიამ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული (რეგისტრირებული) საჰაერო ხომალდი იჯარით გადასცა საქართვე-

ლოს ავიაკომპანიას.

მოცემულ შემთხვევაში, რეზიდენტ საწარმოზე (ავიაკომპანიაზე) უცხოური საწარმოს მიერ იჯარით გადაცემული ქონება (საჰაერო ხომალდი) ქონების გადასახადით დაიბეგრება.

გ) ფიზიკური პირი:

გ.ა) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მათ შორის, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, შენობა-ნაგებობაზე ან მათ ნაწილზე), იახტებზე (კატარღებზე), შვეულმფრენებზე, თვითმფრინავებზე;

გ.ბ) არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებულ ქონებაზე;

გ.გ) ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე.

პირი ქონების გადასახადის გადამხდელია მის მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებულ, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებულ ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქონებით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

მაგალითი:

ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული ბინა გაქირავებული იყო მის დიშვილზე. 2012 წელს პირი გარდაიცვალა, ამასთან მისმა შვილმა ბინა საკუთრებაში არ დაირეგისტრირა. დიშვილმა ბინის ქირის გადახდა განაგრძო გარდაცვლილის შვილის სასარგებლოდ. მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ დიშვილის მიერ ქონებით სარგებლობა ხორციელდება ქირით, იგი აღნიშნულ ბინაზე ქონების გადასახადის გადამხდელად არ განიხილება, ასეთად, აღნიშნული ბინის მიხედვით, განიხილება გარდაცვლილის შვილი.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით, ხოლო დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც

ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში **მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით** უნდა გაიზარდოს:

ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 3-ჯერ;

ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 2-ჯერ;

გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე – 1.5-ჯერ;

დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს, – ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ოდენობით.

საბალანსო ღირებულება არის თანხა, რომლითაც აქტივი აღიარებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლების შემდეგ, ხოლო გაუფასურების ზარალი არის თანხა, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

მაგალითი:

2011 წლის **1 იანვარს** საწარმოს ბალანსზე ერიცხება: 50000 ლარის ძირითადი საშუალებები (ნარჩენი ღირებულებით); 5000 ლარის დაუმონტაჟებელი მოწყობილობა, 10000 ლარის დაუმთავრებელი მშენებლობა, ხოლო საანგარიშო წლის **31 დეკემბერს** იგივე აქტივები - შესაბამისად შეადგენს: 55000 ლარის, 4000 ლარის და 3000 ლარის ოდენობით.

მოცემულ შემთხვევაში, წლის დასაწყისისათვის დასაბეგრი ქონების ღირებულება შეადგენს (50000 + 5000 + 10000) 65000 ლარს, წლის ბოლოსათვის – (55000 + 4000 + 3000) 62000 ლარს. ხოლო საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება შეადგენს - [(65000+62000) : 2] 63500 ლარს.

მაგალითი:

შპს-მ იჯარით აიღო ქონება და ჩაუტარა რემონტი. რემონტის ხარჯი შეადგენდა 4700 ლარს. შპს-მ მოახდინა 4700 ლარის კაპიტალიზება და შექმნა ცალკე საგადასახადო ჯგუფი, რასაც შესაბამისად დაერიცხებოდა ამორტიზაცია. ქვს თუ არა რაიმე დამატებითი ვალდებულება ამ კომპანიას?

მოცემულ შემთხვევაში, იჯარით აღებულ ქონებაზე გაწეული და კაპიტალიზებული რემონტის ხარჯი კომპანიამ უნდა ასახოს

როგორც ძირითადი საშუალება და ასევე გადაიხადოს მასზე ქონების გადასახადი. **შენიშვნა: რადგან კაპიტალიზებული რემონტის ხარჯი ქმნის ცალკე საგადასახადო ჯგუფს, ის განულდება, თუ ამ ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი 1000 ლარზე ნაკლები გახდება. თუმცა ქონების გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის ეს მის ჩამოწერას არ ნიშნავს, რადგან ფინანსური აღრიცხვის თვალსაზრისით მისი ცვეთა გაგრძელდება შპს-ის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.**

მაგალითი:

2012 წლის 1 იანვარს ქონების საბალანსო ღირებულება არის 12000 ლარი, ხოლო 2012 წლის ბოლოს 10000 ლარი. საშუალო ღირებულება იქნება 11000 ლარი. შესაბამისად, "ა" და "დ" შემთხვევაში აქტივების ღირებულება იქნება 33000 ლარი, "ბ" შემთხვევაში 22000 ლარი, ხოლო "გ" შემთხვევაში 16500 ლარი

აღნიშნული აფასება არ ვრცელდება:

ა) საწარმოზე, თუ იგი მის ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებას აღრიცხავს გადაფასების მეთოდის გამოყენებით და აქვს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირების მიერ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება. მის მიერ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ 4 წლის ვადით;

ბ) საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სახელმწიფო საწარმოებზე.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით. ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველი მომდევნო წლისათვის ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექნებოდა ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში.

სალიზინგო კომპანიისთვის ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე წლიური გადასახადი ლიზინგის მთელი პერიოდის განმავლობაში განისაზღვრება მის მიერ დასაბეგრი ქონების ლიზინგით პირველად გაცემის მომენტისათვის არსებული საბალანსო საწყისი ღირებულების არა უმეტეს 0.6 პროცენტის ოდენობით.

საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს, გარდა იმ საწარმოებისა, რომლებიც უძრავ ქონებას აღრიცხავს გადაფასების მეთოდის გამოყენებით, საგადასახადო შემოწმებისას დასაბეგრი ქონების ღირებულება განუსაზღვროს **საბაზრო ფასით. იმ შემთხვევაში თუ დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასი აღემატება მის საბალანსო ღირებულებას:**

ა) პირს დასაბეგრი ქონების ღირებულების სხვაობაზე დაერიცხება ქონების გადასახადის ძირითადი თანხა. ამასთანავე, აღნიშნულ თანხაზე საურავი დაეკისრება მხოლოდ საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარების დღის შემდეგ 30-ე დღიდან და აღნიშნული სხვაობა გადასახადის შემცირებად არ ჩაითვლება;

ბ) პირი ვალდებულია შესაბამისი დასაბეგრი ქონების მიმართ აღნიშნული საბაზრო ფასი გამოიყენოს შემდგომი 3 საგადასახადო წლის განმავლობაში.

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური **განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით** და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.05 პროცენტისა და არა უმეტეს 0.2 პროცენტისა;

ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.8 პროცენტისა და არა უმეტეს 1 პროცენტისა.

ფიზიკური პირის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებში შეიტანება ყველა შემოსავალი,

მათ შორის, სარგებელი საგადასახადო შეღავათების გაუთვალისწინებლად, კერძოდ:

ა) ეკონომიკური საქმიანობით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, ხოლო მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირისთვის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული, სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული დასაბეგრი შემოსავლის მხოლოდ 25%, ხოლო სხვა შემოსავალი სრული ოდენობით;

ბ) ნებისმიერი შემოსავალი, მათ შორის, სარგებელი, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან;

გ) დარიცხული ხელფასი.

მაგალითი:

გიორგის, რომელიც ცხოვრობს ქ. გორში, საკუთრებაში აქვს საცხოვრებელი სახლი და აგარაკი. გიორგის ოჯახი შესდგება 5 წევრისაგან: პენსიონერი დედა, მეუღლე და 2 შვილი. 2012 წლის განმავლობაში გიორგის მეუღლეს, რომელიც პედაგოგია, ხელფასის სახით დაერიცხა **1500** ლარი; დედამ პენსიის სახით მიიღო **960** ლარი; თავად გიორგიმ, რომელიც ადვოკატია, საადვოკატო საქმიანობიდან მიიღო დასაბეგრი შემოსავალი (ერთობლივი შემოსავალი შემცირებული საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვებით შეღავათების გარეშე) **31000** ლარი; ამავე წელს გიორგიმ 30000 ლარად გაყიდა აგარაკი, რომელიც 2009 წელს ნაყიდი ჰქონდა 20000 ლარად (სხვაობა 10000 ლარი).

მოცემულ შემთხვევაში, ქონების გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის გიორგის ოჯახის შემოსავალი 2012 წლისათვის იქნება 43460 ლარი (1500+960+31000+10000). შესაბამისად, ვინაიდან ოჯახის წლიურმა შემოსავალმა გადააჭარბა 40 000 ლარს, აღნიშნული პირი, როგორც ქონების მესაკუთრე, ვალდებულია 2012 წლის **1 ნოემბრამდე** ქონების გადასახადის დეკლარაცია წარადგინოს ქ. გორის საგადასახადო ინსპექციაში.

ფიზიკური პირის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებში არ შეიტანება:

ა) ოჯახის წევრებისაგან მემკვიდრეობით, ჩუქებით ან განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება;

ბ) ფიზიკური პირის მიერ (მათ შორის, I რიგის მემკვიდრის მიერ ჯამურად თავისი და მამკვიდრებლის) 2 წელზე მეტი ვადით მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

გ) საგადასახადო კოდექსის კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქონების თავდაპირველი რეალიზაციით მიღებული შემოსავალი. ეს არის შემოსავალი დროებითი საცხოვრებელი ადგილის სანაცვლოდ ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის, იძულებით გადაადგილებული ფიზიკური პირის მიერ პრივატიზების პროგრამის ფარგლებში მიღებული კომპენსაციები და ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის სახელმწიფოს მიერ გაცემული ქონების ღირებულება და ამ ქონების თავდაპირველი რეალიზაციით მიღებული შემოსავალი.

დ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისა და მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი;

ე)საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ^1 “ და „ბ^2“ ქვეპუნქტების შესაბამისად საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან განთავისუფლებული შემოსავალი;

საქართველოს მოქალაქე არარეზიდენტ ფიზიკურ პირთან მიმართებით შემოსავლები განისაზღვრება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლების მიხედვით.

დასაბეგრ ქონებაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 31 დეკემბრისათვის მოქმედი განაკვეთით.

მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელია პირი საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით:

ა) მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე;

ბ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე, რომლითაც სარგებლობს ან რომელსაც ფლობს იგი;

მაგალითი:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მობინადრეებმა, სახლის მიმდებარე აუთვისებელი მიწის ფართობი (გარდა მათ თანასაკუთრებაში რიცხული მიწის ნაკვეთისა) საბოსტნე ნაკვეთებად დაინაწილეს და

მისი დამუშავება დაიწყეს.

მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული მობინადრეები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფაქტობრივ მფლობელებად ჩაითვლებიან.

გ) მის მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებულ, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწის ნაკვეთით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

მაგალითი:

პირის გარდაცვალების შემდეგ, სოფლად მის საკუთრებაში არსებული პრივატიზებული მიწის ნაკვეთის დამუშავება და მოსავლის (ნაყოფის) მიღება დაიწყო გარდაცვლილი პირის შვილმა. ამასთან, მან მიწის ნაკვეთი საკუთრებაში არ დაირეგისტრირა.

მოცემულ შემთხვევაში, შვილი აღნიშნულ მიწის ნაკვეთის მიხედვით განიხილება ქონების გადასახადის გადამხდელად.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწებზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთები დიფერენცირებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის კატეგორიების მიხედვით და დგინდება ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით ლარში:

ა) სახნავისათვის (მათ შორის მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე) და საკარმიდამოსათვის:

	საბაზისო განაკვეთი (ლარი/ჰა)
ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	სახნავი და საკარმიდამო
1. თბილისი (გარდა თბილისის დასახლებებისა (სოფლებისა), მარნეული	100
2. ბოლნისი, გარდაბანი, თბილისის დასახლებები (სოფლები): წავკისი, კოჯორი, ტაბახმელა, შინდისი, დიდება, კვესეთი, სამადლო, კიკეთი, ნასაგურალი, ახალდაბა, დიდი ლილო, ვარკეთილი	95

3. რუსთავი, ბათუმი, გაგრა, გალი, გუდაუთა, გულრიფში, ოჩამჩირე, სოხუმი, ტყვარჩელი	94
4. ქობულეთი, ხელვაჩაური, გურჯაანი, დედოფლისწყარო	87
5. თელავი, ლაგოდეხი, სიღნაღი	86
6. ყვარელი, გორი, მცხეთა, ახმეტა, დმანისი, ერედვი, თიღვი, თბილისის დასახლებები (სოფლები): დიღომი, მშრალხევი, დაბა ზაჰესი, გლდანი, დიდგორი, ზურგოვანა, თელოვანა, ძველი ვეძისი, აგარაკი, თხინვალი, სოფელ გლდანიდან ავჭალის დასახლებამდე – საბაღე ნაკვეთები, გიორგიწმინდა – საბაღე ნაკვეთები, მუხიანის მიმდებარე საბაღე ნაკვეთები, ხევძმარის მიმდებარე „ავშიანის“ დასახლება, ლოტკინის დასახლება – სანერგე მეურნეობა, რესის მიმდებარე დასახლება, თბილისის ზღვის არსებული დასახლება	82
7. კასპი, თეთრი წყარო, სამტრედია	81
8. საგარეჯო, ქარელი, ხაშური	79
9. ქურთა, წალკა	77
10. აბაშა, ზუგდიდი	77
11. ახალქალაქი, ახალციხე	77
12. მარტვილი, სენაკი, ხობი, ფოთი	76
13. ნინოწმინდა	76
14. ახალგორი, ვანი, ზესტაფონი, ლანჩხუთი, ოზურგეთი	73
15. ბაღდათი, თერჯოლა, ხონი, ქუთაისი	71
16. წალენჯიხა, წყალტუბო, ჩხოროწყუ	67
17. საჩხერე, ცაგერი, ცხინვალი	65
18. ამბროლაური, დუშეთი, თიანეთი, ადიგენი, ბორჯომი	61
19. ასპინძა, ტყიბული, ხულო, ქედა	60
20. შუახევი, ხარაგაული, ჭიათურა, ლენტეხი, ონი, ჩოხატაური, მესტია, სტეფანწმინდა, ჯავა	56

ბ) სათიბებისა და საძოვრებისათვის (ბუნებრივი და გაკულტურებული):

ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	საბაზისო განაკვეთი (ლარი/ჰა)	
	სათიბები	საძოვრები
1. აბაშა, ახალქალაქი, გორი, ბათუმი, ბოლნისი, გაგრა, გალი, გარდაბანი, გუდაუთა, გულრიფში, გურჯაანი, დმანისი, ზუგდიდი, თბილისი, თეთრი წყარო, თელავი, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, მარნეული, მცხეთა, ნინოწმინდა, ოზურგეთი, ოჩამჩირე, რუსთავი, სამტრედია, სენაკი, სიღნაღი, სოხუმი, ქუთაისი, ქობულეთი, ყვარელი, წალკა, წყალტუბო, ხელვაჩაური, ხობი, ფოთი	20	16
2. დედოფლისწყარო	20	7
3. ადიგენი, ასპინძა, ახალგორი, ბაღდათი, ბორჯომი, ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, თიანეთი, კასპი, მარტვილი, საგარეჯო, საჩხერე, ტყიბული, ქარელი, ქედა, შუახევი, ჩოხატაური, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ხარაგაული, ხაშური, ხონი, ხულო, ახალციხე	19	15
4. ამბროლაური, დუშეთი, ლენტეხი, მესტია, ონი, ყაზბეგი, ცაგერი, ცხინვალი, ჭიათურა, ჯავა	16	10
5. ახმეტა	16	5

გ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის მიწებისათვის ამ ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დადგენილი შესაბამისი ოდენობით;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება გადასახადის განაკვეთი, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ ნაწილით დადგენილი წლიური საბაზისო განაკვეთის 150 პროცენტს.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთები კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის, მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გაიანგარიშება შემდეგი წესით:

ა) გადასახადის საბაზისო განაკვეთი დგინდება წელიწადში მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე 0.24 ლარის ოდენობით;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით, შესაბამისი საბაზისო განაკვეთი მრავლდება ტერიტორიულ კოეფიციენტზე. ამასთანავე, ტერიტორიული კოეფიციენტი არ შეიძლება იყოს 1,5-ზე მეტი.

ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე გამოყოფილი მიწა იბეგრება ერთ ჰექტარზე არა უმეტეს 3 ლარით.

მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთების მიხედვით.

ქონების გადასახადის საგადასახადო პერიოდად ითვლება კალენდარული წელი.

საწარმო/ორგანიზაცია ქონების გადასახადის დეკლარაციას შესაბამის საგადასახადო ორგანოს წარუდგენს არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 აპრილისა და ამავე ვადაში იხდის ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), **დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი ქონების შესახებ შეიტანება გასული საგადასახადო წლის მიხედვით, ხოლო დასაბეგრი მიწის შესახებ – მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით.**

საწარმო/ორგანიზაცია ქონებაზე გადასახადს იხდის **მიმდინარე გადასახდელის** სახით, გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის ოდენობით, არა უგვიანეს საგადასახადო **წლის 15 ივნისისა**.

თუ ქონებაზე ქონების გადასახადში მიმდინარე საგადასახადო წლის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულების ოდენობა, მათ შორის, საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით, არანაკლებ 50 პროცენტით მცირდება გასულ საგადასახადო წელთან შედარებით და აღნიშნულის შესახებ გადასახადის გადამხდელი არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 ივნისისა აცნობებს შესაბამის საგადასახადო

ორგანოს, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, შეამციროს ან საერთოდ არ გადაიხადოს მიმდინარე გადასახდელის თანხა.

თუ წარმოდგენილი ფაქტობრივი წლიური შედეგების მიხედვით არ დასტურდება მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულების ოდენობის არანაკლებ 50 პროცენტით შემცირება და გადასახადის გადამხდელს საანგარიშო წლის განმავლობაში სრული ოდენობით არ გადაუხდია მიმდინარე გადასახდელი, მან უნდა გადაიხადოს საურავი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მიმდინარე გადასახდელის გადახდის ვადის დადგენილი თარიღიდან საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის თარიღამდე არსებულ დროის მონაკვეთში.

საწარმო/ორგანიზაცია მიწაზე ქონების გადასახადს იხდის არა უგვიანეს კალენდარული წლის 15 ნოემბრისა.

თუ გადასახადის გადამხდელი საწარმო/ორგანიზაცია მხოლოდ არასრული კალენდარული წლის განმავლობაში არსებობს, იგი ქონებაზე გადასახადს იხდის ამ პერიოდის პროპორციულად.

მაგალითი

პირმა 2012 წლის 12 მაისს ეკონომიკური საქმიანობისათვის 1700 ლარად შეიძინა კომპიუტერი.

მოცემულ შემთხვევაში, კომპიუტერის შეძენის თვე (მაისი) ჩაითვლება როგორც სრული თვე და შესაბამისად, პირს 2012 წლისათვის ქონების გადასახადი კომპიუტერთან მიმართებაში განესაზღვრება 8-თვიან პერიოდზე.

თუ იურიდიული პირი კალენდარული წლის დაწყების შემდეგ დაფუძნდა, მას შესაბამისი საგადასახადო პერიოდის მიხედვით მიმდინარე გადასახდელის გადახდის ვალდებულება არ ეკისრება. ამასთანავე, მომდევნო საგადასახადო პერიოდის მიხედვით მიმდინარე გადასახდელის ოდენობა განისაზღვრება გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის სრული ოდენობით.

სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია საწარმოს ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში წარუდგინოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს ქონების გადასახადის დეკლარაცია.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული

წესით სასამართლოს მიერ გამოტანილი გაკოტრების შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 15 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებამდე სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) წარუდგენელი დეკლარაციები. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელი გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისად ქონების გადასახადის დეკლარაციებს არ წარადგენს.

ფიზიკური პირის ქონების გადასახადს გამოიანგარიშებს საგადასახადო ორგანო წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე.

ფიზიკური პირი ქონების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს წარუდგენს არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 ნოემბრისა. დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი ქონების შესახებ შეიტანება გასული საგადასახადო წლის მიხედვით, ხოლო დასაბეგრი მიწის შესახებ – მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით.

ფიზიკურ პირს უფლება აქვს, არ წარადგინოს ქონების გადასახადის დეკლარაცია, თუ:

ა) დადგენილი შეღავათების გათვალისწინებით მას საგადასახადო პერიოდის მიხედვით საგადასახადო ვალდებულება არ წარმოეშობა. ამასთანავე, თუ ფიზიკური პირი გასული საგადასახადო წლის მიხედვით იყო ქონების გადასახადის მიხედვით დეკლარანტი, **იგი დეკლარაციის არწარდგენის შესახებ გადაწყვეტილებას საგადასახადო ორგანოს აცნობებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმით, არა უგვიანეს საგადასახადო წლის 1 ნოემბრისა;**

ბ) საანგარიშო წლის წინა პერიოდის მიხედვით ქონების გადასახადის დეკლარაცია წარდგენილია ან დარიცხულია ქონების გადასახადი საგადასახადო ორგანოს მიერ. წინა საანგარიშო წლის მონაცემების მიხედვით საგადასახადო ორგანო გადასახადის გადამხდელს პროგრამულად არიცხავს ქონების გადასახადს. ამ შემთხვევაში ითვლება, რომ გადასახადის გადამხდელმა განახორციელა საგადასახადო ანგარიშგება, ხოლო საგადასახადო ორგანომ მას წარუდგინა საგადასახადო მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საგადასახადო ვალდებულება შესაბამისი პერიოდის მიხედვით ბოლო დეკლა-

რირებულის (დარიცხულის) ტოლია. ამასთანავე, თუ დეკლარირება შემდგომ განხორციელდება აღნიშნული პერიოდების მიხედვით, იგი ჩაითვლება შესწორებულ დეკლარაციად.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების საფუძველზე საგადასახადო ორგანოს მიერ მიწაზე ქონების გადასახადის დარიცხვისას პირი თავისუფლდება მიწაზე ქონების გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან. ამ შემთხვევაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების საფუძველზე პირს წარედგინება საგადასახადო მოთხოვნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

ფიზიკური პირი ქონებაზე და მიწაზე ქონების გადასახადს იხდის არა უგვიანეს კალენდარული წლის 15 ნოემბრისა.

ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

ა) ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება (გარდა მიწისა), თუ ამ პირის ოჯახის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არ აღემატება 40 000 ლარს;

ბ) მიმოსვლის გზები, ელექტროგადამცემი ხაზები, აგრეთვე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების საკაბელო ხაზები;

გ) ორგანიზაციის ქონება, აგრეთვე ორგანიზაციაზე ლიზინგით გაცემული ქონება, გარდა მიწისა და ორგანიზაციის მიერ ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა;

მაგალითი:

ორგანიზაციის შენობიდან, რომლის საერთო ფართია 2000 კვ.მ და საბალანსო ღირებულება - 1000000 ლარი, იჯარით გაცემული, ანუ ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული აქვს შენობის ნაწილი, 450 კვ.მ ფართით.

მოცემულ შემთხვევაში, დასაბეგრი ქონების (შენობის) ღირებულება შეადგენს [(450 / 2000) * 1000000] 225000 ლარს.

მაგალითი:

თეატრს, რომელიც წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და საგადასახადო კოდექსის მიხედვით განიხილება როგორც ორგანიზაცია, ბალანსზე ერიცხება 2 მილიონი ლარის ქონება. საგადასახადო წლის განმავლობაში თეატრის შემოსავალმა შეადგინა

250 ათასი ლარი, მათ შორის ბილეთების რეალიზაციიდან 50 ათასი ლარი, ხოლო საბიუჯეტო ასიგნების სახით დაფინანსებამ 200 ათასი ლარი.

მოცემულ შემთხვევაში დასაბეგრი ქონების ღირებულება შეადგენს

[(50.0 / 250.0) * 100] = 20%, (2000000 * 20%) 400 ათას ლარს.

დ) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების (საქმიანობის) საწარმოებლად გამოყენებული ქონება;

ე) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელიც გადაცემული აქვს საბიუჯეტო ორგანიზაციას, გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული მიწისა;

მაგალითი:

საბიუჯეტო ორგანიზაციის შენობიდან, რომლის საერთო ფართია 2500 კვ.მ და განთავსებულია 8000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე, ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულია შენობის ნაწილი, ფართობით 500კვ.მ.

მოცემულ შემთხვევაში, დასაბეგრი მიწის ფართობი შეადგენს

[(500 / 2500) * 100] = 20%, (8000 * 20%) 1600კვ.მ.

ვ) ბუნებისა და ისტორიული ძეგლების დაცვის ორგანიზაციების მიწის ფართობები, რომლებზედაც განლაგებულია სახელმწიფოს მიერ ისტორიულ, კულტურულ ან/და არქიტექტურულ ძეგლებად მიჩნეული ნაგებობები, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის, რომელშიც არ იგულისხმება შესასვლელი ბილეთების რეალიზაცია;

ზ) ბუნებრივი პარკებით, ბოტანიკური და დენდროლოგიური ბაღებით, კულტურისა და დასვენების მუნიციპალური პარკებით, საფლაოებით, ზოოლოგიური ბაღებით ან/და პარკებით, ოკეანარიუმებით, სკვერებით, ხეივნებით, დაცული ტერიტორიებით, სატყეო ორგანიზაციებით, აგრეთვე ღია საუწყებო პარკებით, ბაღებითა და ტყე-ბაღებით დაკავებული მიწები, გარდა ამ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ნაკვეთებისა;

თ) ქალაქის წყალსაცავები და მათი აკვატორიები; ის მიწები, რომლებიც გამოიყენება სატრანსპორტო და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის, თუ ისინი არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ი) სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებისათვის, ელექტროსადგურებისა და სამელიორაციო სისტემებისა და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი წყალსაცავებით დაკავებული მიწები და ამ ობიექტების სანიტარიულ-დაცვითი და ტექნიკური ზონები;

კ) ,,ნავთობისა და გაზის შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების (საქმიანობის) საწარმოებლად გამოყენებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი სხვა მიზნით არ გამოიყენება;

ლ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელთა ნაყოფიერი ფენაც სანახევროდ ან მეტადაა დაზიანებული სტიქიის შედეგად რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით;

მ) ,,ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილ ტერიტორიებზე არსებული ქონება – დროებით, კონფლიქტის მოგვარებამდე და ეკონომიკური სიტუაციის მოწესრიგებამდე;

მ[1])პირის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებული მიწა, რომელიც მდებარეობს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ტერიტორიების მიმდებარედ, რის გამოც პირი ვერ სარგებლობს მოცემული მიწის ნაკვეთით, რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ცნობით;

მ[2])პირის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებული ქონება და მასზე დამაგრებული მიწა, თუ იგი ამ ქონებით ვერ სარგებლობს იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიერ საცხოვრებლად გამოყენების გამო და ეს ქონება რეგისტრირებულია, როგორც დევნილთა კომპაქტურად (ორგანიზებულად) განსახლების ობიექტი, რაც დასტურდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გაცემული ცნობით;

ო) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი სათიბები, საძოვრები, სარეკულტივაციო და სამარაგო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;

პ) ის მიწები, რომლებიც გამოიყენება აეროდრომების, აეროპორტების, ვერტოდრომებისა და აერონავიგაციის უსაფრთხოების ზონებად და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის, აგრეთვე ნავსადგურებისათვის პერსპექტიული განვითარების მიზნით დამაგრებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ჟ) ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებმაც მიიღეს ახალასათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, – მიღებიდან 5 წლის განმავლობაში;

რ) ნასოფლარის ტერიტორიაზე, აგრეთვე განსახლების სახელმწიფო ღონისძიებათა შესაბამისად დასახლებულ მოქალაქეთა ოჯახები ამ ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე – დასახლებიდან 5 წლის განმავლობაში;

ს) 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 ჰექტარამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

შენიშვნა: ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათი ვრცელდება კომლის წევრის ან პირველი/მეორე რიგის მემკვიდრის მიერ აღნიშნული ქონების ჩუქებით/მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაშიც, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ წევრებისაგან (მეპაიეებისაგან) ამ ქონების შენატანის (პაის) სახით მიღების შემთხვევაშიც;

ტ) 2015 წლის 1 ივლისამდე პირველადი წყალმოსარგებლეებისათვის – კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა;

უ) მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები პრივატიზების წესით მიღებულ მიწის ნაკვეთებზე;

ფ) „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე განლაგებული რაიონებისა და აჭარა-გურიის მთიანეთის სოფლების, თემებისა და დაბების მცხოვრებნი აღნიშნულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე. **სამხრეთი საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთ მოცემულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე ქონების გადასახადი უმცირდებათ 50 პროცენტით;**

ქ) სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო, საცდელ-სასელექციო, ექსპერიმენტული, ჯიშთა გამოცდის მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო და სასწავლო მიზნებისათვის და რომლებზედაც სამუშაოები ბიუჯეტიდან ფინანსდება;

ღ) მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება ბიუჯეტიდან დაფინანსებული 60 წლის და მეტი ასაკის პირთა ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატების/თავშესაფრების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა) ან/და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა/მოზარდთა სააღმზრდელო დაწესებულებების ან დღის ცენტრების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების) მიერ თავიანთი ძირითადი ფუნქციების შესრულებისათვის; მიწის ნაკვეთები, გამოყენებული ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების, სპეციალური სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სოფლებისა და საბავშვო ბაღების მიერ, რომლებიც უსასყიდლოდ ეწევიან ბავშვთა მოვლა-აღზრდას და მათთვის განათლების მიცემას, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ყ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებზე მოწეული მოსავლის ნახევარზე მეტი განადგურდა სტიქიის (ქარიშხლის, სეტყვის, გვალვის, წყალდიდობის) და სხვა ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად. მიწაზე ქონების გადასახადისაგან გათავისუფლების საფუძველია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოსთან შეთანხმებით. კომისიის დასკვნა

დგება ორჯერ – სტიქიის დამთავრების მომენტიდან 2 კვირის ვადაში და მოსავლის აღების წინ;

შ) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში არსებული ქონება;

ჩ) ბიოლოგიური აქტივი;

ც) საქართველოს რეზიდენტისგან ლიზინგით მიღებული ქონება;

ძ) სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება, გარდა მიწისა, რომელიც სამედიცინო დაწესებულებათა საკუთრებაშია ან ასეთ დაწესებულებებზე ლიზინგით არის გაცემული;

წ) სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული, სამედიცინო დაწესებულებებზე დამაგრებული მიწის ნაკვეთები.

ჭ) 2026 წლის 1 იანვრამდე ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის სასტუმრო მომსახურებასთან დაკავშირებული ქონება.

ჯ) „ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის“ 01 კოდით გათვალისწინებულ საქმიანობაში (სოფლის მეურნეობაში) დასაქმებული პირის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, აგრეთვე ასეთ პირზე ლიზინგით გაცემული მოძრავი ქონება, რომლებსაც ეს პირი ამავე საქმიანობაში იყენებს.

ჯ[1]) 2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ქონება (გარდა მიწისა) და ამავე საქმიანობისათვის მასზე ლიზინგით გაცემული მოძრავი ქონება.

ხ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით ავტორიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობაში გამოყენებული ქონება (მათ შორის, მიწის ნაკვეთები).

ჰ) მრავალბინიან სახლში მცხოვრები ფიზიკური პირის თანაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტი (მიწის ნაკვეთი);

მაგალითი:

მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ოცდაათი ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 3000 კვ.მ ფართობის შენობა. აღნიშნულიდან, ვთქვათ ერთ ფიზიკურ პირს დაკავებული აქვს 80კვ.მ, მეორეს – 120 კვ.მ, ხოლო მესამეს – 140 კვ.მ-ის ფართი და ა.შ.

მოცემულ შემთხვევაში, პირველი პირი ვალდებულია გადაიხადოს მიწაზე ქონების მთლიანი გადასახადის [(80 / 3000) * 100] 2.6%, მეორემ - [(120 / 3000) * 100] 4%, ხოლო მესამემ - [(140 / 3000) * 100] 4.6%.

ჰ[1]) თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე მდებარე საცხოვრებელ სახლებზე ან/და ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ დადგენილი ფართობის ზღვრული ოდენობის ფარგლებში;

ჰ[2]) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8903 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული საქონელი.

ჰ[3]) ,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გაკოტრების რეჟიმში მყოფი პირის ქონება.

ჰ[4])სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაში არსებული სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონება, რომელიც გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში

დადგენილი საგადასახადო შეღავათი არ ვრცელდება პირის მიერ იჯარით, უზუფრუქტით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით სხვა პირისთვის გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (ან მის ნაწილზე) ან/და საწარმოს/ორგანიზაციის მიერ ამავე ფორმით გადაცემულ შენობა-ნაგებობებზე (ან მათ ნაწილზე).

თუ დეკლარაციის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ პირმა იჯარით, უზუფრუქტით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით გასცა მიწის ნაკვეთი, ამ პირზე საგადასახადო შეღავათი აღარ გავრცელდება. ამასთანავე, პირი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს საანგარიშო წლის ბოლომდე წარუდგინოს დეკლარაცია და გადაიხადოს გადასახადი საგადასახადო მოთხოვნის შესაბამისად.

თავი XIX

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა

გადასახადის გადამხდელის მიერ, საგადასახადო დავალიანების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, აღნიშნული დავალიანების შესრულება უზრუნველყოს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებით:

ა) საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა;

ბ) მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა;

გ) ქონებაზე ყადაღის დადება;

დ) ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია;

ე) საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა;

ვ) გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება;

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნ-ველყოფის ღონისძიებების განხორციელების რიგითობას ირჩევს საგადასახადო ორგანო (რაც მისი დისკრეციული უფლებამოსილებაა).

იმ შემთხვევაში, თუ სრულად ვერ განხორციელდა საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა, შემდგომი ღონისძიებების გატარების მიზანშეწონილობის საკითხს განსაზღვრავს შესაბამისი საგადასახადო ორგანო.

,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად საქმის წარმოებისას, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები, საწარმოთა მიმართ **გამოიყენება მხოლოდ** გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე კანონიერ ძალაში შესული **სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით.**

საგადასახადო დავალიანების გაუქმებასთან ერთად უქმდება მისი გადახდევინების უზრუნველსაყოფად დაწყებული ნებისმიერი ღონისძიება.

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება გაუქმდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის, შემოსავლების სამსახურის უფროსის ან საგადასახადო ორგანოს უფროსის გადაწყვეტილებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად გადასახადის გადამხდელის ქონება დატვირთულია საგადასახადო გირავნობით ან იპოთეკით.

საგადასახადო ორგანოს უფროსის გადაწყვეტილებით, საგადასახადო დავალიანების გადახდევინება შეიძლება გადავადდეს არა უმეტეს 3 წლით, თუ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად გაფორმებულია თავდებობის ხელშეკრულება, წარდგენილია საბანკო გარანტია ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირების მიერ გაცემული დაზღვევის პოლისი, ან თუ საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთულია პირის ქონება, რომლის ღირებულება უზრუნველყოფს საგადასახადო დავალიანების გადახდევინებას. **საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადებით არ ჩერდება საურავის დარიცხვა.**

საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებით, ზემოაღნიშნული ნაწილით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალებების წარდგენის გარეშე საგადასახადო დავალიანების გადახდევინება შეიძლება გადავადდეს არაუმეტეს 1 წლით, თუ საგადასახადო დავალიანების თანხა არ აღემატება 5000 ლარს.

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ გადასახადის გადამხდელთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც აისახება საგადასახადო დავალიანების შესრულების ვადები და პირობები.

პირი საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების მიზნით წარადგენს განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) პირის დასახელებას/სახელს და გვარს, საიდენტიფი-კაციო/პირად ნომერს;

ბ) საგადასახადო დავალიანების თანხის ოდენობას;

გ) საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების პერიოდს.

განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) საგადასახდო დავალიანების გადახდის პირობითი გრაფიკი დასარიცხი საურავის თანხის ჩათვლით მის სრულ გადახდამდე;

ბ) საბანკო გარანტია ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირების მიერ გაცემული დაზღვევის პოლისი ან ინფორმაცია თავდები პირის შესახებ და თავდები პირის თანხმობა თავდებობაზე.

თავდების ქონება უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო და მისი საბაზრო ღირებულება ტოლი ან მეტი გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანებისა.

საგადასახადო ორგანო განიხილავს პირის მიერ საგადასახადო დავალიანების გადავადების მიზნით წარდგენილ განცხადებას, განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტაციას და ადგენს მის შესაბამისობას კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

თუ განცხადება პასუხობს დადგენილ მოთხოვნებს, საგადასახადო ორგანოს უფროსი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საგადასახადო დავალიანების გადავადების შესახებ, რომელიც ფორმდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საგადასახადო ორგანოს უფროსის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ, ეგზავნება გადასახადის გადამხდელს.

საგადასახადო დავალიანების გადავადების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, საგადასახადო ორგანოსა და გადასახადის გადამხდელს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც აისახება საგადასახადო დავალიანების გადახდის პირობები, ვადები და გადახდის გრაფიკი, აგრეთვე საგადასახადო დავალიანების გადავადებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

გადაწყვეტილება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ უქმდება, თუ:

ა) პირმა დაარღვია საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ ხელშეკრულებით ან/და მისი გრაფიკით გათვალისწინებული პირობები;

ბ) პირი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე სრულად გადაიხდის საგადასახადო დავალიანების თანხებს და შესაბამის საურავს.

ხელშეკრულების გაუქმება წარმოადგენს საგადასახადო ორგანოს მიერ საგარანტიო/დაზღვევის თანხის მოთხოვნის საფუძველს, ხოლო თავდებობის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, თავდების მიმართ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების დაწყების საფუძველს. აღნიშნული გარემოების არსებობისას საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, გარანტიის/დაზღვევის პოლისის ვადის ამოწურვამდე, გარანტორს/მზღვეველს, ხოლო თავდებობის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში თავდებს მოსთხოვოს არა უგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში საგარანტიო/სადაზღვევო/თავდებობის თანხის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე განთავსება.

საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაცია ხორციელდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ,,საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით.

ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაცია არის ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების (მათ შორის ჯარიმები, საურავები) გაყინვა ან გადავადება კანონით დადგენილი წესით. დავალიანების გაყინვა არის ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების გადახდის ვალდებულების შეჩერება განსაზღვრული ვადით, ხოლო დავალიანების გადავადება - ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების გადახდის ვალდებულების განვადება.

ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლის, ბანკის, როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლის, საბროკერო კომპანიის, ნოტარიუსის ან საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერის, როგორც გადამხდელის, მიმართ **საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებისას დაუშვებელია აღნიშნულ ღონისძიებათა მიმართვა იმ აქტივებზე, რომლებიც განთავსებულია ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე ან/და რომლებიც არ არის მისი საკუთრება და მიეკუთვნება მისი კლიენტის აქტივებს** (კერძოდ, ნომინალურ მფლობელობაში არსებულ ფასიან ქაღალდებსა და ფულად სახსრებზე, აგრეთვე ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე დეპონირებულ ფულსა და ფასიან ქაღალდებზე, საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერის ანგარიშზე განთავსებულ მომხმარებლის ფულად სახსრებზე). კლიენტის ასეთი აქტივები უნდა ირიცხებოდეს საკუთარი აქტივებისაგან განცალკევებულად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები არ ვრცელდება ,,საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფინანსურ გირაოზე (ფინანსური გირაოს საგანზე).

ფინანსური გირაო არის ფინანსური ინსტრუმენტები ან ანგარიშზე რიცხული ფულადი სახსრები, რომლებიც შესაბამისად გამოყენებულია მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად;

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები, გარდა საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენის ღონისძიებისა, არ ვრცელდება ასევე ,,საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი სისტემის მონაწილის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

საზოგადოების ნდობის და საგადახდო სისტემის ან ფინანსური სისტემის სტაბილურობის შესანარჩუნებლად, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განსაზღვროს მნიშვნელოვანი სისტემა და ამ სისტემის ან მისი ოპერატორის მიმართ დააწესოს დამატებითი მოთხოვნები თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მნიშვნელოვანი სისტემა არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული ოპერატორის სისტემა, რომელსაც ჰყავს სამი ან მეტი მონაწილე და რომელიც მიჩნეულია მნიშვნელოვან სისტემად.

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიება - საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა არის სახელმწიფოს უფლება, საგადასახადო დავალიანების გადახდევინება უზრუნველყოს გადასახადის გადამხდელის ან სხვა ვალდებული პირის ქონებიდან.

საგადასახადო ორგანო საგადასახადო გირავნობის ან იპოთეკის უფლების გამოყენების შესახებ გამოსცემს შეტყობინებას. შეტყობინება ეგზავნება გადასახადის გადამხდელს/ვალდებულ პირს და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს. შეტყობინება ასევე იგზავნება საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის გაუქმების შემთხვევაშიც.

შეტყობინებაში უნდა მიეთითოს:

ა) გამოცემის თარიღი და ნომერი;

ბ) საგადასახადო ორგანოს დასახელება;

გ) პირის დასახელება/სახელი და გვარი, საიდენტიფი-კაციო/პირადი ნომერი, იურიდიული მისამართი;

დ) გამოცემის საფუძველი;

ე) მარეგისტრირებელი ორგანოს ვალდებულება საგადასახადო გირავნობის ან იპოთეკის რეგისტრაციის ან მისი გაუქმების თაობაზე;

ვ) გასაჩივრების წესი და ვადა.

გადასახადის გადამხდელის მიერ შეტყობინების მიღებაზე უარის შემთხვევაში, წარმდგენი პირი მასზე აკეთებს შესაბამის აღნიშვნას და ასეთ შემთხვევაში შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება.

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გამოყენება შესაძლებელია, მიუხედავად იმისა, აღიარებულია თუ არა საგადასახადო დავალიანება.

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციის უფლება წარმოიშობა საგადასახადო დავალიანების წარმოშობასთან ერთად და მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან ვრცელდება საგადასახადო დავალიანების ფარგლებში, პირის საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ ქონებაზე (გარდა ლიზინგით მიღებულისა), საგადასახადო დავალიანების წარმოქმნის შემდეგ შეძენილი ქონების ჩათვლით. **საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გამოყენება შესაძლებელია გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმების შემთხვევაშიც, მიუხედავად იმისა აქვს თუ არა გადასახადის გადამხდელს საგადასახადო დავალიანება**.

საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეალიზაციის შედეგად უქმდება საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციის შემდეგ წარმოშობილი ყველა სანივთო უფლება, ხოლო საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე რეგისტრირებული სხვა გირავნობის/იპოთეკის უფლებები ძალაში რჩება.

თუ საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონება გაიყიდება ან რაიმე გზით გადაეცემა სხვა მფლობელს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გაუქმების გარეშე, საგადასახადო **გირავნობის/იპოთეკის უფლება კვლავ გავრცელდება ამ ქონებაზე მისი ახალი მფლობელის მიმართ**. აღნიშნულ ქონებაზე ყადაღის დადება და მისი რეალიზაცია ხორციელდება საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

თუ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე პირის ქონების მიმართ რეგისტრირებულია კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო ორგანიზაციების, საერთაშორისო და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტების გირავნობის/იპოთეკის უფლება და ხდება ამ ქონების რეალიზაცია, ამოღებული თანხით პირველ რიგში დაკმაყოფილდება ზემოთ აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნები საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე წარმოშობილი ვალდებულების ნაწილში, ხოლო შემდეგ ხდება საგადასახადო დავალიანების მოთხოვნის დაკმაყოფილება. **ამ ქონების ახალი მფლობელის მიმართ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა არ გავრცელდება. თუ დარჩენილი თანხით სრულად არ იფარება საგადასახადო დავალიანება, შეუსრულებელი საგადასახადო დავალიანება ძალაში რჩება იმ პირის მიმართ, რომლის ქონებაც დატვირთული იყო საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით.**

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება უქმდება:

ა) აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ, საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონების საგადასახადო დავალიანების დაფარვის მიზნით რეალიზაციის შემთხვევაში;

ბ) თუ გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობით განახორციელა ქონების ან მისი ნაწილის რეალიზაცია და ამონაგები თანხა სრულად მიმართა საგადასახადო დავალიანების დასაფარავად;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქონების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შემთხვევაში;

დ) ,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შემთხვევაში;

დ[1]) ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 40[1] მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რომელიც გულისხმობს მოვალის მოძრავი ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას რეალიზაციის აღსრულების მიზნით, თუ ამ ქონებაზე არ არის რეგისტრირებული სხვა მოგირავნის გირავნობის უფლება და მოვალე დაფარავს მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას აუქციონის გამოცხადებამდე;

ე) თუ გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმებით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებით არ წარმოიშობა საგადასახადო დავალიანება;

გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მესამე პირს წარუდგინოს საგადასახადო მოთხოვნა და მისი ქონებიდან უზრუნველყოს გადასახადის გადახდევინება, თუ გადასახადის გადამხდელის ქონება იმდენად მცირეა, რომ საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების განხორციელებამ ვერ უზრუნველყო აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებით ან სხვა მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილია, რომ მესამე პირს აქვს გადასახადის გადამხდელის დავალიანება, **რომლის გადახდის ვადაც დამდგარია.**

მესამე პირის მიერ საგადასახადო მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ამ პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო გირავნობის ან იპოთეკის, ქონებაზე ყადაღის დადების ან სალაროდან ნაღდი ფულის ამოღების ღონისძიებები.

მაგალითი:

ვთქვათ X გადამხდელს აქვს აღიარებული საგადასახადო დავალიანება ხოლო Y პირს აქვს X-ის დავალიანება რომლის გადახდის ვადაც დამდგარია, ასეთ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს, უფლება აქვს Y პირს მოსთხოვოს, რომ მან დაფაროს X გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანება (არა უმეტეს X-ის მიმართ მისი ვალისა).

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაადოს ყადაღა პირის საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ (გარდა ლიზინგით მიღებული ქონებისა) ნებისმიერ ქონებას, **აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მოცულობის ფარგლებში.**

პირის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება საგადასახადო ორგანოს უფროსის ან მოადგილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

გადასახადის გადამხდელისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისთანავე, ბათილია ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმის გარიგება (გასხვისება, დაგირავება, იპოთეკა და ა.შ.)

შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, საბანკო ანგარიშზე დადებული ყადაღა არ გავრცელდეს იმ საბანკო ანგარიშზე, სადაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ,,სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები ,,სახელმწიფო პენსიის შესახებ“, ,,სოციალური დახმარების შესახებ“ და ,,სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ” სა-

ქართველოს კანონის საფუძველზე შესაბამის პირთა ყოველთვიური ფულადი უზრუნველყოფის მიზნით.

გადასახადის გადამხდელი ან/და მისი წარმომადგენელი ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ჩაბარების შემდეგ ვალდებულია სრულად წარმოადგინოს მის საკუთრებაში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ქონების ნუსხა (ქონების დასახელებისა და ადგილმდებარეობის ზუსტი მისამართის ჩვენებით), რომელშიც უნდა მიუთითოს ის ქონებაც, რომელიც მას სხვებისაგან ეკუთვნის.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი, მარეგისტრირებელი ორგანოებიდან მიღებული და საგადასახადო ორგანოში არსებული მონაცემების შესწავლის საფუძველზე ახორციელებს ქონებაზე ყადაღის დადებას.

საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი ყადაღადადებულ ნივთებს აღნუსხავს ქონებაზე ყადაღის დადების აქტში

ქონებაზე ყადაღის (აღწერის) დადების დროს იგულისხმება, რომ ნივთები, რომლებიც გადასახადის გადამხდელთანაა, მას ეკუთვნის. თუ მესამე პირი განაცხადებს ყადაღადადებულ ქონებაზე საკუთრების უფლებას, იგი მაინც შეიტანება ქონებაზე ყადაღის დადების აქტში და კეთდება შესაბამისი აღნიშვნა. საგადასახადო ორგანო ან საგადასახადო ორგანოსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროს შორის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია მესამე პირის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელსაც დაერთვის საკუთრების უფლების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ამორიცხოს მესამე პირის ქონება, ქონებაზე ყადაღის დადების აქტიდან.

პირის ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურა შეწყდება, თუ გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს წარუდგენს აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

“ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ” აქტი დგება სამ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი წარედგინება გადასახადის გადამხდელს (მის წარმომადგენელს), მეორე რჩება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს, ხოლო მესამე – დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს რეგისტრაციისთვის.

საგადასახადო ორგანოსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურების განხორციელება საგადასახადო ორგანომ შეიძლება დაავალოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობით დასაშვებია პირმა განკარგოს ყადაღადადებული ქონება, თუ ამონაგები თანხა სრულად იქნება მიმართული საგადასახადო დავალიანების დასაფარად და, ამასთან, გადაიხდის ამ ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

თუ საგადასახადო ორგანოს თანხმობით განხორციელდა ქონების ან მისი ნაწილის რეალიზაცია და ამონაგები სრულად იქნა მიმართული საგადასახადო დავალიანების დასაფარად, ქონებაზე დადებული ყადაღა უქმდება.

ქონების ნაწილის განკარგვის შესახებ საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობის გაცემისას, შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ შენარჩუნდეს დარჩენილი ყადაღადადებული ქონების ლიკვიდურობა.

ქონებაზე ყადაღის დადების აქტს ხელს აწერენ საგადასახადო ორგანოს/აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენელი, ქონების შემნახველი, გადასახადის გადამხდელი/ვალდებული პირი და სხვა პირები, რომლებიც ესწრებოდნენ ქონებაზე ყადაღის დადებას. თუ ამ პირებმა უარი განაცხადეს ხელმოწერაზე, აქტში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ აქტს საგადასახადო ორგანო/აღსრულების ეროვნული ბიურო დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს.

ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ აქტში შეტანილი ქონება შესაძლებელია შეფასდეს ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირების მიერ საბაზრო ფასებით.

ყადაღადადებული ქონების შეფასებისას, თუ ცალკეული საგნების შეფასება ვერ ხერხდება, შესაძლებელია ქონების შეფასება განხორციელდეს ექსპერტის, აუდიტორის ან სხვა კომპეტენტური პირის მიერ.

ქონების შეფასების შესახებ დასკვნაში მითითებული უნდა იყოს თითოეული ყადაღადადებული ქონების საბაზრო ღირებულება, ასევე ყადაღადადებული ქონების საერთო ღირებულება.

დასკვნა ქონების შეფასების შესახებ დაერთვება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ აქტს.

თუ არსებობს პირის მიერ ქონების გასხვისების საშიშროება, რაც გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის საგადასახადო დავალიანების გადახდევინებას, საგადასახადო ორგანოს (აღსრულების ეროვნულ ბიუროს) უფლება აქვს, დაუყოვნებლივ დაადოს ყადაღა ქონებას (მათ შორის, საბანკო ანგარიშებს), მიუხედავად იმისა, აღიარებულია თუ არა საგადასახადო დავალიანება. ამ შემთხვევაში ყადაღის დადება შესაძლებელია განხორციელდეს დალუქვით. ამ შემთხვევაში საგადასახადო ორგანომ ან აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურების განხორციელების შემთხვევაში ყადაღის დადებიდან 48 საათში სასამართლოს უნდა წარუდგინოს შუამდგომლობა პირის ქონებაზე (მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე) ყადაღის დადების დადასტურების შესახებ. სასამართლო ვალდებულია მომდევნო 48 საათის განმავლობაში გამოიტანოს განჩინება შუამდგომლობის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე ან უარყოფის შესახებ. თუ აღნიშნულ ვადაში საგადასახადო ორგანო ან აღსრულების ეროვნული ბიურო სასამართლოში არ წარადგენს შუამდგომლობას ან სასამართლო არ გამოიტანს განჩინებას პირის ქონებაზე (მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე) ყადაღის დადების დადასტურების შესახებ, ყადაღა გაუქმებულად ჩაითვლება, ხოლო ქონებაზე დადებული ლუქი იხსნება.

ქონებაზე დადებული ყადაღა უქმდება იგივე პირობების არსებობისას, რაც გათვალისწინებული იყო გირავნობის ან იპოთეკის უფლების გაუქმებისათვის.

საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება გულისხმობს საგადასახადო ორგანოს მიერ პირის უფლების შეზღუდვას, განკარგოს თავის საბანკო ანგარიშზე არსებული ან ჩარიცხული ფულადი სახსრები ყადაღის მოცულობის ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პირი ბიუჯეტში იხდის კოდექსით გათვალისწინებული გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხებს ან იხდის სახელმწიფო ბაჟის თანხას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ან საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეზე.

საგადასახადო ორგანოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს (აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურების განხორციელების შემთხვევაში) შუამდგომლობას პირის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის შესახებ სასამართლო განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. **საგადასახადო ორგანო/აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია მოითხოვოს მოვალის ყადაღადადებული ქონების პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღიარებული საგადასახადო დავალიანება ქონების საბაზრო ღირებულების ტოლია ან აღემატება მას.**

საგადასახადო ორგანო/აღსრულების ეროვნული ბიურო, პირის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის თაობაზე შუამდგომლობით მიმართავს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვის მიხედვით, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ აქტის შედგენიდან ერთი თვის ვადაში.

საჯარო შეტყობინების შედეგად აღიარებული საგადასახადო დავალიანების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო/აღსრულების ეროვნული ბიურო პირის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე სასამართლოს შუამდგომლობით მიმართავს საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრების ვადის გასვლიდან 10 კალენდარული დღის შემდეგ.

ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ, მოსამართლის ბრძანების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, საგადასახადო ორგანო დოკუმენტებს წერილობითი მიმართვით უგზავნის აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

აღსრულების ეროვნული ბიუროს უნდა გაეგზავნოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

ბ) საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ შეტყობინება;

გ) პირის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ბრძანება;

დ) აქტი "ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ";

ე) სასამართლო გადაწყვეტილება ან/და მოსამართლის ბრძანება ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ;

ვ) სააღსრულებო ფურცელი ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ (დედანი);

ზ) დასკვნა ქონების შეფასების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);

თ) სხვა მასალები, რომლებსაც შესაძლოა მნიშვნელობა ჰქონდეს ქონების რეალიზაციის პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის.

აღსრულების ეროვნული ბიურო ყადაღადადებული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციას ახორციელებს "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით, რომლის შესაბამისად აცნობებს საგადასახადო ორგანოს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის დაწყების თაობაზე, ხოლო რეალიზაციის პროცესის დასრულების შემდგომ დაუყოვნებლივ წარუდგენს განკარგულებას აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ.

საგადასახადო ორგანო ქონების პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ აცნობებს სახელმწიფო ქონების განკარგვისათვის უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს.

სახელმწიფო ქონების განკარგვისათვის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოსათვის ქონების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ წერილობითი ინფორმაციის გაგზავნას და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს საგადასახადო ორგანო.

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონების ნატურით სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში ქონების ღირებულება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პირველი ან პირველი განმეორებითი (იმის მიხედვით, თუ რომელი აუქციონის შემდეგ განხორციელდა ქონების ნატურით გადაცემა) აუქციონისათვის დადგენილი საწყისი ფასით და საგადასახადო ორგანო ახორ-

ციელებს გადასახადის გადამხდელის დავალიანების განსაზღვრული რიგითობით ჩამოწერას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პირველი ან პირველი განმეორებითი (იმის მიხედვით, თუ რომელი აუქციონის შემდეგ განხორციელდა ქონების ნატურით გადაცემა) აუქციონისათვის დადგენილი საწყისი ფასით ქონების ნატურით სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღით.

მალფუჭებად საქონელზე ყადაღის დადება და მისი რეალიზაცია ხორციელდება სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე.

მალფუჭებად საქონლად ითვლება ის საქონელი, რომლის შენახვის ვადის გასვლამდე დარჩენილია 30 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

მალფუჭებად საქონელზე ყადაღის დადება მიზანშეწონილია განხორციელდეს, თუ მისი შენახვის ვადის გათვალისწინებით, შესაძლებელია მითითებულ ვადაში რეალიზაციისათვის აუცილებელი პროცედურების ჩატარების ორგანიზება.

ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს დაუყოვნებლივ, აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში.

მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციას ახორციელებს უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო.

მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია შესაძლებელია განხორციელდეს აუქციონის ან პირდაპირი მიყიდვის წესით.

ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციის შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის აუქციონის წესით რეალიზაციის შესახებ განცხადება დაუყოვნებლივ ქვეყნდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ან/და შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე ან/და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადებაში უნდა მიეთითოს:

ა) აუქციონის ჩატარების დრო და ადგილი;

ბ) მალფუჭებადი საქონლის დასახელება (საქონლის მნიშვნელოვანი მახასიათებლები);

გ) საქონლის შენახვის ვადის ამოწურვის თარიღი;

დ) აუქციონზე ქონების საწყისი ფასი;

ე) აუქციონის ჩატარების პირობები და წესი (ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშის ნომერი, დეპოზიტზე შესატანი თანხის ოდენობა; ბიჯის სიდიდე და სხვ.).

მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციის მიზნით პირველი აუქციონი უნდა ჩატარდეს განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 7 კალენდარული დღის, ვადაში.

თუ პირველ აუქციონზე ვერ მოხერხდა მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია, საგასასახადო ორგანო ატარებს განმეორებითი აუქციონს.

მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციის მიზნით, განმეორებითი აუქციონის გამოცხადების, ჩატარების თარიღისა და რაოდენობის მიზანშეწონილობას განსაზღვრავს საგადასახადო ორგანო.

მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციის მიზნით, გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია, აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშზე შეიტანოს თანხა, რომელიც არის სარეალიზაციოდ გამოტანილი იმ მალფუჭებადი საქონლის საწყისი ღირებულების არანაკლებ 10%, რომლის შეძენასაც აპირებს და რომელიც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

აუქციონზე მალფუჭებადი საქონლის საწყისი ფასი განისაზღვრება მისი საბაზრო ღირებულებიდან.

პირველად გამოცხადებულ აუქციონზე ქონების საწყისი ფასი არის მალფუჭებადი საქონლის საბაზრო ღირებულების 50 პროცენტი, ხოლო განმეორებით აუქციონზე მალფუჭებადი საქონლის საბაზრო ღირებულების 25 პროცენტი.

აუქციონს ატარებს შესაბამისი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი, რომელიც აუქციონს გახსნილად აცხადებს და სთავაზობს საწყის ფასს.

აუქციონის ფორმით მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციის დროს გამარჯვებულად ითვლება პირი, რომლის მიერ შეთავაზებული

იქნება ყველაზე მაღალი ფასი. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილმა პირმა უნდა გამოაცხადოს გამარჯვებული და აუქციონი ცხადდება დასრულებულად.

აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია აუქციონის დასრულებიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა გადაიხადოს შესაბამისი თანხა.

პირს, რომელიც ვერ გაიმარჯვებს აუქციონში, სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანილი თანხა დაუბრუნდება აუქციონის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

თანხის სრულად დაფარვამდე აუქციონში გამარჯვებულ პირს არ გააჩნია მალფუჭებადი საქონლის განკარგვის უფლება.

თუ აუქციონში გამარჯვებული პირი დადგენილ ვადაში სრულად არ გადაიხდის შესაბამის თანხას, ის კარგავს ყოველგვარ უფლებას შეძენილ მალფუჭებად საქონელზე და დეპოზიტზე განთავსებულ თანხაზე.

თუ განმეორებით აუქციონზე ვერ განხორციელდა მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია, შესაძლებელია იგი დაუბრუნდეს გადასახადის გადამხდელს.

საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია განახორციელოს პირდაპირი მიყიდვის გზით.

თუ ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით ხორციელდება აუქციონის ჩატარებამდე, მაშინ სარეალიზაციო ფასი განისაზღვრება საბაზრო ღირებულების ოდენობით.

თუ აუქციონზე არ მოხდა ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია, მაშინ პირდაპირი მიყიდვის გზით რეალიზაციისას მისი ფასი განისაზღვრება ამ აუქციონის შესახებ განცხადებაში მითითებული საწყისი ფასის ოდენობით.

საგადასახადო ორგანო ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის პირდაპირი მიყიდვის გზით შეძენის მსურველ პირს აძლევს წერილობით თანხმობას, ამ საქონლის რეალიზაციის თაობაზე, რომელიც

ვალდებულია თანხმობის მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშზე შეიტანოს შესაბამისი თანხა.

მალფუჭებად საქონელზე ყადაღა მოხსნილად ითვლება:

ა) აუქციონზე ან პირდაპირი მიყიდვის გზით მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციისა და რეალიზაციის თანხის სრულად დაფარვისთანავე;

ბ) თუ აუქციონზე ან პირდაპირი მიყიდვის გზით ვერ განხორციელდა მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია და იგი დაუბრუნდა გადასახადის გადამხდელს;

გ) თუ გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობით განახორციელა ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის გაყიდვა და ამონაგები თანხა სრულად მიმართა საგადასახადო დავალიანების დასაფარავად.

ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლით პირველ რიგში დაიფარება:

ა) აღსრულების საფასური და აღსრულების ხარჯი – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონების რეალიზაციის შემთხვევაში;

ბ) ქონების ამოღებასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხებით – აგრეთვე მის რეალიზაციასთან დაკავშირებული თანხები;

გ) გადასახადის თანხები;

დ) ჯარიმისა და საურავის თანხები.

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონების, ხოლო საგადასახადო ორგანოს მიერ მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები, გარდა აღსრულების საფასურის და აღსრულების ხარჯისა, ირიცხება შემოსავლების სამსახურის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე, საიდანაც ხდება მათი ჩარიცხვა ბიუჯეტის შემოსულობათა შესაბამის სახაზინო კოდებზე გადასახადის გადამხდელის დავალიანების დაფარვის მიზნით.

ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლით პირველ რიგში დაფარული თანხების შემდეგ დარჩენილი სახსრები 5 სამუშაო დღის ვადაში უბრუნდება გადასახადის გადამხდელს.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში პირის საბანკო ანგარიშებიდან (გარდა საანაბრო (ვადიანი) ანგარიშისა) საინკასო დავალებით ჩამოწეროს გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხები და ჩარიცხოს ისინი შესაბამის ბიუჯეტში.

საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენის შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საინკასო დავალება გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხების შესაბამის ბიუჯეტში ჩარიცხვის შესახებ წარედგინება იმ საბანკო დაწესებულებას, რომელშიც გადასახადის გადამხდელს გახსნილი აქვს საბანკო ანგარიში.

შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, საინკასო დავალება არ გავრცელდეს იმ საბანკო ანგარიშებზე, სადაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ,,სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები ,,სახელმწიფო პენსიის შესახებ“, ,,სოციალური დახმარების შესახებ“ და ,,სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე შესაბამის პირთა ყოველთვიური ფულადი უზრუნველყოფის მიზნით.

საბანკო დაწესებულების უფლებამოსილი პირი ადასტურებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის და საინკასო დავალებების მიღებას საინკასო დავალებების ასლებზე ხელმოწერით და ბეჭდის დასმით, თარიღისა და დროის (საათი, წუთი) მითითებით.

საბანკო დაწესებულება ვალდებულია უპირობოდ შეასრულოს საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალება.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მოსამართლის ბრძანების გარეშე განახორციელოს გადასახადის გადამხდელის/სხვა ვალდებული პირის სალაროდან (ნაღდი ფულის შენახვის ადგილიდან) ნაღდი ფულის ამოღება აღიარებული საგადასახადო დავალიანების

დასაფარავად აუცილებელი ოდენობით თუ არასაკმარისია საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენით ამოღებული თანხები.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი, გადასახადის გადამხდელს ან/და მის წარმომადგენელს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ჩაბარების შემდეგ აძლევს წინადადებას ნებაყოფლობით წარმოადგინოს მასთან არსებული ნაღდი ფულადი სახსრები.

არსებული ფულის ოდენობის რეალობის დადგენის მიზნით საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი უფლებამოსილია მოსთხოვოს გადასახადის გადამხდელს ან/და მის წარმომადგენელს საბუღალტრო აღრიცხვის მაჩვენებლების წარმოდგენა, ასევე შესაბამისი წერილობითი განმარტება ფულადი სახსრების წარმომავლობის შესახებ.

გადასახადის გადამხდელის ან/და მისი წარმომადგენლის მიერ ნაღდი ფულის საგადასახადო დავალიანების მოცულობის ფარგლებში არასრულად წარმოდგენის ან ნებაყოფილობით წარმოუდგენლობის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი უფლებამოსილია უშუალოდ განახორციელოს სათავსების დათვალიერება და ნაღდი ფულის ამოღება.

სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება მოიცავს სეიფის, კარადის, უჯრის და ყველა სხვა მსგავსი სათავსის დათვალიერებას (გარდა ფიზიკური პირის საცხოვრებელი ბინისა) და ფულადი სახსრების ამოღებას.

ამოღებული ნაღდი ფულის რაოდენობის განსაზღვრა ხდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ გადასახადის გადამხდელის ან/და მისი წარმომადგენლის და დამსწრეების (მათი არსებობის შემთხვევაში) თანდასწრებით.

საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი უფლებამოსილია ნაღდი ფულის სახით ამოიღოს როგორც ეროვნული, ასევე უცხოური ვალუტა.

სალაროდან ნაღდი ფულის ამოღებისთანავე საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი ადგენს ოქმს "სალაროდან ნაღდი ფულის ამოღების შესახებ".

თუ საგადასახადო ორგანოს ბრძანებით განსაზღვრულ პერიოდში სრულად ვერ განხორციელდა საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა, ნაღდი ფულის ამოღება ახალი ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, შესაძლებელია გაგრძელდეს აღიარებული საგადასახადო დავალიანების სრულად დაფარვამდე.

სალაროდან ამოღებული ნაღდი ფული ბიუჯეტში ჩარიცხვის მიზნით, იმავე დღეს უნდა იქნეს შეტანილი საბანკო დაწესებულებაში გადასახადის გადამხდელის ანგარიშსწორების ანგარიშზე, საიდანაც საინკასო დავალების მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნება გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხების ჩამოწერა და მათი შესაბამის ბიუჯეტში ჩარიცხვა.

თუ იმავე დღეს ფულის შეტანა საბანკო დაწესებულებაში შეუძლებელია, იგი შეტანილ უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღეს.

ფულის შეტანა საბანკო დაწესებულებაში ხორციელდება გადასახადის გადამხდელის ან/და მისი წარმომადგენლის მიერ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის თანდასწრებით

ამ ღონისძიების განხორციელება ფიზიკური პირის საცხოვრებელ ბინაში დაუშვებელია მოსამართლის ბრძანების გარეშე.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისგან და ეს პირი გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით, ითვლება, რომ აღნიშნული პირები არიან ერთიმეორის ცრუმაგიერი პირები.

გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ცრუმაგიერი პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

მაგალითი:

ვთქვათ, კომპანია, რომელსაც აქვს სოლიდური საგადასახადო დავალიანება და საკმარისი ქონება, საგადასახადო დავალიანებისაგან თავის არიდების მიზნით, ფორმალურად, დაბალი ფასით სხვა Z პირზე გაასხვისებს ამ ქონებას და გამოაცხადებს საკუთარი კომპანიის ლიკვიდაციას. თუ საგადასახადო ორგანოს საკმარისი საფუძველი გაუჩნდა იმის დასამტკიცებლად, რომ ეს პირები ერთმანეთის ცრუმაგიერი პირები არიან, მან სათანადო სარჩელით უნდა მიმართოს სასამართლოს და თუ სასამართლომ დაადგინა მათი ცრუმაგიერობა,

საგადასახადო ორგანოს უფლება ექნება სხვა Z პირის მიმართ გაატაროს საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

თუ პირი იღებს შემოსავალს ქონებიდან, რომელიც მას ოფიციალურად არ ეკუთვნის (შემოსავლის ბენეფიციური მფლობელი), და ამ შემოსავალზე დაწესებული გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით იყენებს ფიქტიურ პირს ან პირებს, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ნებისმიერი ასეთი პირის საგადასახადო დავალიანების გადახდევინება უზრუნველყოს სოლიდარულად მათი ქონებიდან.

ამ შემთხვევაში გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით შემოსავალს პირი უნდა იღებდეს ისეთი მეორე პირისაგან, რომელიც თავის მხრივ კანონით გათავისუფლებული იქნება გადასახადებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრს კარგავს ქონების სხვისთვის ფორმალურად გადაცემა, რადგან შემოსავლის ფორმალური მიმღები მაინც დაიბეგრება. მაგალითად, გიორგიმ თავისი აქციები ფორმალურად გაასცა მარტოხელა დედას, რომლის წლიური შემოსავალი 3000 ლარის ფარგლებში არ იბეგრება.

გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო დავალიანების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებებია:

ა) თავდებობა;

ბ) საბანკო გარანტია;

გ) დაზღვევის პოლისი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს, იმპორტის ან ექსპორტის გადასახდელების გადახდის უზრუნველყოფის მიზნით განსაზღვროს გარანტიის სხვა სახეები.

თავდებობის ხელშეკრულებით თავდები სოლიდარულად კისრულობს ვალდებულებას, სრული მოცულობით დაფაროს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანება, თუ გადასახადის გადამხდელი დადგენილ ვადაში არ გადაიხდის გადასახადის კუთვნილ თანხას და შესაბამის სანქციას. თავდებობა ფორმდება თავდებსა და საგადასახადო ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულებით.

თავდები შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი. ერთი და იმავე ვალდებულების თავდები შეიძლება იყოს რამდენიმე პირი. ასეთ შემთხვევაში ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები, მაშინაც კი, თუ მათ თავდებობა ერთობლივად არ უკისრიათ.

თავდების მიერ თავისი მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მოსთხოვოს თავდებობის ხელშეკრულების ნებისმიერ მონაწილეს გადასახადის კუთვნილი თანხისა და შესაბამისი სანქციის გადახდა და გადახდევინების მიზნით გამოიყენოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

საბანკო გარანტიის ძალით საბანკო დაწესებულება (გარანტი) გადასახადის გადამხდელის თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში საგადასახადო ორგანოს წერილობითი მიმართვის საფუძველზე დაფარავს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანებას.

არ შეიძლება საბანკო გარანტია გარანტმა უკან გამოითხოვოს.

გარანტის მიერ თავისი მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მოსთხოვოს საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ნებისმიერ მონაწილეს გადასახადის კუთვნილი თანხისა და შესაბამისი სანქციის გადახდა და გადახდევინების მიზნით გამოიყენოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს, იმპორტის ან ექსპორტის გადასახდელების გადახდის უზრუნველყოფის მიზნით განსაზღვროს გარანტიის წარდგენის, გამოყენების და გარანტიის წარდგენისაგან გათავისუფლების შემთხვევები და საგარანტიო თანხის ოდენობა. ამასთანავე, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისას წარმოსაშობი საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გარანტია არ წარედგინება, თუ საქონელი გადაადგილდება:

ა) საჰაერო ან საზღვაო ტრანსპორტით;

ბ) მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზით;

გ) სარკინიგზო ტრანსპორტით.

დადგენილ ვადაში გადასახდელების თანხის გადაუხდელობისას,

სახელმწიფო ზედამხედველობიდან საქონლის უკანონოდ გასვლის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მოითხოვოს წარდგენილი გარანტიის შესრულება გადასახდელების თანხისა და ვალდებულებების წარმოშობის დღიდან დარიცხული საურავის გადახდით.

იმპორტის ან ექსპორტის გადასახდელების გადახდის უზრუნველყოფის მიზნით წარდგენილი გარანტია:

ა) უქმდება, თუ საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას არ წარმოიშვა საგადასახადო ვალდებულება, შესრულდა საგადასახადო ვალდებულება ან შეწყდა მისი წარმოშობის საფუძვლები;

ბ) ვალდებული პირის მიერ საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის საფუძველზე ნაწილობრივ უქმდება, თუ საგადასახადო დავალიანება ნაწილობრივ დაფარულია.

დადგენილ ვადაში გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მოსთხოვოს პირს წარდგენილი გარანტიის შესრულება.

საგადასახადო დავალიანება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით ჩამოიწერება:

ა) თუ დადგენილია, რომ პირს არ აქვს ქონება ან/და აქტივები;

ბ) პირის გარდაცვალების ან უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემთხვევებში;

გ) თუ პირს არ განუხორციელებია საგადასახადო ანგარიშგება ბოლო 6 კალენდარული წლის განმავლობაში და საქართველოს კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს მის სამართლებრივ ფორმას;

დ) საბიუჯეტო ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში;

ე) თუ იურიდიული პირი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოიშალა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

ვ) ,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევაში, როდესაც კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის სამეურვეო ქონების ერთიანი ქონებრივი კომპლექსის სახით შემძენი (შემძენები) რეგისტრირდება ამ საწარმოს ერთადერთ პარტნიორად.

ზემოთ აღნიშნული შემთხვევების გარდა, საბიუჯეტო ორგანიზაციას საგადასახადო დავალიანება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით შეიძლება ჩამოეწეროს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით.

თუ პირი, რომელსაც ჩამოეწერა საგადასახადო დავალიანება, აგრძელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მის მიმართ განახლდება ადრე ჩამოწერილი საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა ან/და სანქციის დაკისრება. .

საგადასახდო დავალიანების ჩამოწერის მიზნით, ის საგადასახადო ორგანო, სადაც გადასახადის გადამხდელი იმყოფება საგადასახადო აღრიცხვაზე, წერილობით მიმართავს შემოსავლების სამსახურს და წარუდგენს შესაბამის დოკუმენტაციას და დასკვნას საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მიზანშეწონილობის შესახებ.

შემოსავლების სამსახურს წერილობით მიმართვასთან ერთად ინფორმაციის სახით წარედგინება შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) თუ დადგენილია, რომ პირს არ გააჩნია ქონება ან/და აქტივები:

ა.ა) საგადასახადო დავალიანების შესახებ;

ა.ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ა.გ) საგადასახადო ორგანოს ან/და აუდიტის დასკვნა პირის ქონების ღირებულების შესახებ;

ა.დ) ამონაწერი მარეგისტრირებელი ორგანოებიდან პირის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ;

ა.ე) პირის მიმართ გატარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ;

ა.ვ) სხვა მტკიცებულებები, რითაც დასტურდება, რომ პირს არ გააჩნია ქონება და აქტივები.

ბ) პირის გარდაცვალებისას მემკვიდრის არარსებობის ან მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში ან თუ გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანების მოცულობა აღემატება მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულებას:

ბ.ა) საგადასახადო დავალიანების შესახებ;

ბ.ბ) ცნობა პირის გარდაცვალების შესახებ;

ბ.გ) გარდაცვლილი პირის მემკვიდრის არსებობისას, მემკვიდრეობის დადასტურების შესახებ;

ბ.დ) გარდაცვლილი პირის მემკვიდრის არსებობისას, საგადასახადო ორგანოს შეტყობინება გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანების დაფარვის შესახებ;

ბ.ე) ცნობა გარდაცვლილი პირის მემკვიდრის (მემკვიდრეების) არარსებობის ან მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღებაზე უარის თქმის შესახებ;

ბ.ვ) საგადასახადო ორგანოს ან აუდიტის დასკვნა გარდაცვლილი პირის ქონების ღირებულების შესახებ.

გ) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ქმედუუნაროდ პირის აღიარების შემთხვევაში:

გ.ა) საგადასახადო დავალიანების შესახებ;

გ.ბ) უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ქმედუუნაროდ პირის აღიარების დადასტურების შესახებ;

გ.გ) მეურვეობაზე ან მზრუნველობაზე უფლებამოსილების დადასტურების შესახებ;

გ.დ) საგადასახადო ორგანოს შეტყობინება უგზო—უკვლოდ დაკარგული ან ქმედუუნარო პირის საგადასახადო დავალიანების დაფარვის შესახებ;

გ.ე) საგადასახადო ორგანოს ან/და აუდიტის დასკვნა უგზო—უკვლოდ დაკარგული ან ქმედუუნარო პირის ქონების ღირებულების შესახებ.

დ) თუ საქართველოს კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს პირის სამართლებრივ ფორმას, ამასთანავე, ამ პირს არ განუხორციელებია საგადასახადო ანგარიშგება (დეკლარაციების ან/და გაანგარიშებების წარდგენა) შესრულება ბოლო 6 კალენდარული წლის განმავლობაში:

დ.ა) საგადასახადო დავალიანების შესახებ;

დ.ბ) პირის სამართლებრივი ფორმის, სახელმწიფო რეგისტრაციისა ან/და საგადასახადო აღრიცხვის შესახებ;

დ.გ) პირის მიერ საგადასახადო ანგარიშგების (დეკლარაციებისა ან/და გაანგარიშებების წარდგენა) ბოლო 6 კალენდარული წლის განმავლობაში განუხორციელებლობის თაობაზე.

ე) საბიუჯეტო ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში:

ე.ა) საგადასახადო დავალიანების შესახებ;

ე.ბ) პირის სახელმწიფო რეგისტრაციისა და საგადასახადო აღრიცხვის შესახებ;

ე.გ) საბიუჯეტო ორგანიზაციის ლიკვიდაციის თაობაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების (დედანი ან სათანადო წესით დამოწმებული ასლი) შესახებ.

ვ) თუ იურიდიული პირი კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოიშალა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან:

ვ.ა) საგადასახადო დავალიანების შესახებ;

ვ.ბ) უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება (დედანი ან სათანადო წესით დამოწმებული ასლი) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ;

ვ.გ) პირის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამოშლის შესახებ.

ზ) თუ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევაში, როდესაც კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის სამეურვეო ქონების ერთიანი ქონებრივი კომპლექსის სახით შემძენი (შემძენები) რეგისტრირდება ამ საწარმოს ერთადერთ პარტნიორად:

ზ.ა) საგადასახადო დავალიანების შესახებ;

ზ.ბ) პირის სამართლებრივი ფორმის, სახელმწიფო რეგისტრაციისა და საგადასახადო აღრიცხვის შესახებ;

შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით საგადასახადო ორგანოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.

საგადასახადო ორგანოდან წარმოდგენილ დოკუმენტაციას შემოსავლების სამსახური განიხილავს ერთი თვის ვადაში.

საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შესახებ შემოსავლების სამსახურის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მასალები ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილ ვადაგადაცილებულ საგადასახადო და სასესხო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელ კომისიას (შემდგომში – კომისია), რომელიც ამზადებს შესაბამის დასკვნას.

კომისიის დასკვნა წარედგინება საქართველოს ფინანსთა მინისტრს, რომელიც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას) საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შესახებ.

კომისიის მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მასალები უბრუნდება შემოსავლების სამსახურს.

საგადასახადო დავალიანება ჩამოწერილად ითვლება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ან შემოსავლების სამსახურის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში (ბრძანებაში) მითითებული თარიღიდან.

საგადასახადო დავალიანების დაფარვა ხორციელდება შემდეგი თანამიმდევრობით:

ა) გადასახადის თანხა;

ბ) ჯარიმა;

გ) საურავი.

საგადასახადო დავის პერიოდში გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ქონებაზე ან/და საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება.

აღნიშნული ღონისძიებები არ გამოიყენება და უკვე გამოყენებული უქმდება, თუ:

ა) საგადასახადო დავის პერიოდში პირის საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად გაფორმებულია თავდებობის ხელშეკრულება, წარდგენილია საბანკო გარანტია ან დაზღვევის პოლისი;

ბ) საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთულია პირის ქონება, რომლის ღირებულება უზრუნველყოფს სადავო საგადასახადო დავალიანების გადახდევინებას.

სადავო საგადასახადო დავალიანების გადახდის ვალდებულება შეჩერებულად ითვლება საგადასახადო დავის დაწყების დღიდან მის დასრულებამდე.

საგადასახადო დავის პერიოდში საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად დაწყებული ყველა ღონისძიება და წარდგენილი უზრუნველყოფის საშუალება გაუქმებულად ითვლება, თუ დავა გადასახადის გადამხდელის სასარგებლოდ გადაწყდა.

თავი XX

საგადასახადო კონტროლი

გადასახადის გადამხდელის საგადასახადო კონტროლს ახორციელებს მხოლოდ საგადასახადო ორგანო.

საგადასახადო კონტროლის პროცედურებმა გონივრულ ფარგლებში არ უნდა დაარღვიოს პირის საქმიანობის ჩვეული რიტმი და არ უნდა გააჩეროს მისი საქმიანობა.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია გადასახადის გადამხდელს წარუდგინოს თავისი პირადობის დამადასტურებელი (სამსახურებრივი) მოწმობა და საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კონტროლის განხორციელების თაობაზე.

გადასახადის გადამხდელის მიერ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებაზე უარის გაცხადების შემთხვევაში, წარმდგენი პირი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე აკეთებს შესაბამის აღნიშვნას. ასეთ შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ჩაბარებულად ითვლება.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და გადასახადის გადამხდელისთვის წარდგენა დადგენილი წესით შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით.

საგადასახადო კონტროლის სახეებია მიმდინარე კონტროლი და საგადასახადო შემოწმება.

<u>საგადასახადო კონტროლი ხორციელდება მოსამართლის ბრძანების გარეშე.</u>

მოსამართლის ბრძანების გარეშე აკრძალულია პირის საქმიანობის უკვე შემოწმებული საკითხის იმავე პერიოდის ხელახალი შემოწმება, გარდა იმ საკითხებისა, რომელთა მიხედვითაც პირი უკვე შემოწმებულ პერიოდზე შესწორებულ საგადასახადო დეკლარაციას წარადგენს.

მაგალითი:

თუ საგადასახადო ინსპექციამ გადასახადის გადამხდელთან

დღგ-სთან დაკავშირებით შეამოწმა 2012 წლის სექტემბრის ანგარიშგება, ეს არ ნიშნავს, რომ მომავალში მას არ ექნება უფლება, მოსამართლის ბრძანების გარეშე შეამოწმოს იმავე 2012 წლის სექტემბრის ანგარიშგება საშემოსავლო ან მოგების გადასახადებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, თუ გადასახადის გადამხდელი იმავე პერიოდზე წარადგენს დღგ-ს დაზუსტებულ (შესწორებულ) დეკლარაციას, საგადასახადო ინსპექციას უფლება ეძლევა, მოსამართლის ბრძანების გარეშე შეამოწმოს იმავე პერიოდის ანგარიშგება.

საჭიროების შემთხვევაში, საგადასახადო კონტროლის კონკრეტული მოქმედების განხორციელების მიზნით შესაძლებელია მოწვეულ იქნეს სპეციალისტი/ექსპერტი (სპეციალისტი, ექსპერტი არის პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა და რომელიც მოიწვევა სპეციალური გამოკვლევების ჩატარების მიზნით, აუდიტისათვის საჭირო გარემოებათა შესახებ სათანადო აქტის შესადგენად).

სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემოწმების ან დოკუმენტური/ბუღალტრული რევიზიის აქტი ითვლება საგადასახადო შემოწმების აქტად.

გადასახადის გადამხდელის ინიციატივით საგადასახადო შემოწმების ჩატარებისას საგადასახადო კონტროლი ხორციელდება მოსამართლის ბრძანების გარეშე.

პირის საქმიანობის მიმდინარე კონტროლის პროცედურები ხორციელდება წინასწარი შეტყობინების გარეშე, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ბრძანების საფუძველზე.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მიმდინარე კონტროლის პროცედურების დაფიქსირების მიზნით გამოიყენოს ტექნიკური საშუალებები.

მიმდინარე კონტროლის პროცედურა შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც დამოუკიდებელი პროცედურა, ასევე საგადასახადო კონტროლის სხვა პროცედურებთან ერთად.

მიმდინარე კონტროლის ჩატარება მოიცავს სამ ეტაპს:

ა) მომზადება;

ბ) ჩატარება;

გ) შედეგების გაფორმება და შეჯამება.

მიმდინარე კონტროლის პროცედურების მომზადება მოიცავს გადასახადის გადამხდელის ობიექტის შესახებ სათანადო მონაცემების შეგროვებას და მათ წინასწარ გაცნობას.

შეისწავლება მიმდინარე კონტროლის პროცედურებითა და გასულ პერიოდში გადასახადის გადამხდელის მიერ დაფიქსირებულ მონაცემთა შორის შესაძლო არსებითი სხვაობის გამომწვევი სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებები, კერძოდ:

ა) შესასწავლი ობიექტის გასული პერიოდის საშუალო დღიური ბრუნვების წინასწარი ანალიზი;

ბ) მასალებით და ენერგორესურსებით არარიტმული უზრუნველყოფა;

გ) გასაღების ბაზრის სეზონური ხასიათი;

დ) სამუშაო რეჟიმის შეცვლა;

ე) საქონლის/მომსახურების ფასების ცვლილება;

ვ) ეკონომიკური საქმიანობის პროფილის შეცვლა;

ზ) გასულ პერიოდებში დაფიქსირებული თანამშრომელთა რაოდენობა;

თ) საგადასახადო ორგანოს მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევები;

პირის საქმიანობის მიმდინარე კონტროლი ხორციელდება ამ პირის სამუშაო საათებში ან/და ფაქტობრივი მუშაობის დროს.

პირი უფლებამოსილია დაესწროს მის მიმართ განხორციელებულ მიმდინარე კონტროლის პროცედურებს.

მიმდინარე კონტროლის პროცედურების შედეგების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ მიმდინარე კონტროლის პროცედურების განმახორციელებელი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი და გადასახადის გადამხდელი/მისი წარმომადგენელი, აგრეთვე პროცედურებში მონაწილე სხვა პირი, რომლებსაც უფლება აქვთ ოქმის შენიშვნის გრაფაში დააფიქსირონ გამოვლენილი განსაკუთრებული ფაქტები და გარემოებები.

პირის მიერ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

ოქმი დგება ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი წარედგინება გადასახადის გადამხდელს/მის წარმომადგენელს, ხოლო მეორე – რჩება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს.

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს მტკიცებულებები, ხოლო საგადასახადო ორგანოს საკმარისი საფუძვლის არსებობისას **უფლება** აქვს გაითვალისწინოს წარმოდგენილი მტკიცებულებები.

მიმდინარე კონტროლის პროცედურების განხორციელების დროს, სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი კომპეტენციის ფარგლებში ადგენს ოქმს შესაბამისი სამართალდარღვევის შესახებ.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, განახორციელოს გადასახადის გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობაზე დაკვირვება და **ქრონომეტრაჟის ჩატარების გზით ამ საქმიანობის გამოკვლევა.**

ქრონომეტრაჟის მიზანია საგადასახადო ორგანოებმა დაადგინონ დროის გარკვეულ პერიოდში გადასახადის გადამხდელის მიერ:

ა) მიღებული ან/და მისაღები შემოსავლების ოდენობა;

ბ) საქონლის/მომსახურების მიწოდების მოცულობა;

გ) დაქირავებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობა.

ქრონომეტრაჟი ტარდება დღე-ღამის განმავლობაში გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოებული ან/და მიწოდებული საქონლის/მომსახურების მოცულობის შესახებ უწყვეტი ჩანაწერების წარმოებით. საჭიროების შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, დააყენოს მრიცხველები და სხვა ტექნიკური საშუალებები და ქრონომეტრაჟის ჩატარების ყოველი დღის ბოლოს განახორციელოს მათი მონაცემების რეგისტრაცია.

ქრონომეტრაჟი ტარდება არანაკლებ 7 დღის განმავლობაში. ქრონომეტრაჟის დაწყებისა და დასრულების ვადები განისაზღვრება კონკრეტული კალენდარული თარიღით ან/და კონტროლს დაქვემდებარებული ოპერაციის შესრულების ვადით.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია ქრონომეტრაჟის განხორციელებამდე გადასახადის გადამხდელს წარუდგინოს თავისი პირადობის დამადასტურებელი (სამსახურებრივი) მოწმობა

და საგადასახადო ორგანოს უფროსის ან მოადგილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ქრონომეტრაჟის ჩატარების თაობაზე, რის შემდეგაც უფლება აქვს გადასახადის გადამხდელისგან ცნობის სახით მიიღოს ინფორმაცია ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი ადგილების მდებარეობის, ფართის მფლობელის, აგრეთვე საკონტროლო-სალარო აპარატების, მრიცხველების ან სხვა ტექნიკური საშუალებების განთავსების ადგილების შესახებ, ასევე სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ქრონომეტრაჟის პროცედურის განხორციელებისათვის.

ქრონომეტრაჟის ჩატარების დღეებს შორის ინტერვალს განსაზღვრავს საგადასახადო ორგანო.

საჭიროების შემთხვევაში, ქრონომეტრაჟის მიმდინარეობის პერიოდში, ობიექტის სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, ობიექტის არასამუშაო დროს საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს დალუქოს ქრონომეტრაჟის ჩატარების ობიექტი ან/და ობიექტზე არსებული სათავსოები.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის ადგილზე უფლებამოსილი პირის/პირების მიმაგრებით განახორციელოს **საგადასახადო მონიტორინგი** და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს საგადასახადო შემოწმებისას პირის საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით.

საგადასახადო მონიტორინგის მიზანია გადასახადის გადამხდელის მიერ ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ძირითადი სახის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეძენის, გახარჯვის, დანაკარგების, აგრეთვე მზა პროდუქციის (სახეობების მიხედვით) მიწოდების დამოუკიდებელი რაოდენობრივი აღრიცხვა და ასეთი აღრიცხვის შესახებ მონაცემების მოპოვება ან/და დაბეგვრის ობიექტის ან მასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაფარვის შესაძლო რისკების გამოვლენა.

საგადასახადო მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს 6 თვემდე ვადით. საგადასახადო მონიტორინგის 6 თვეზე მეტ ხანს გაგრძელება შესაძლებელია შემოსავლების სამსახურის უფროსთან შეთანხმებით.

საგადასახადო მონიტორინგი ხორციელდება გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის კონკრეტულ ობიექტზე ან/და ობიექტის გარეთ (თუ საგადასახადო მონიტორინგს დაქვემდე-ბარებული ოპერაცია არ ხორციელდება გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის კონკრეტულ ობიექტზე).

საგადასახადო მონიტორინგის განხორციელებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს მონაცემთა აღრიცხვისა და ჩანაწერების განხორციელების ტექნიკური საშუალებები (მაგ., მრიცხველი მექანიზმები, ვიდეოდაკვირვების სისტემა და სხვა).

საგადასახადო მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის ერთ ან მეტ ობიექტზე.

საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვის მიზანია გადასახადის გადამხდელის მიერ:

ა) საქონლის მიწოდებით ან/და მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლების რეალური მოცულობის დადგენა;

ბ) საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორის კონტროლის მიზნით საქონლის რეალური სარეალიზაციო ფასის განსაზღვრის აუცილებლობა;

გ) საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის გამოვლენა (მათ შორის: მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დარღვევა; საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის გამოყენების წესების დარღვევის გამოვლენა; საგადასახადო ორგანოში გადასახდის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევის ფაქტის დადგენა და სხვ.).

საკონტროლო შესყიდვისას გადახდის საშუალებად გამოიყენება ეროვნული ვალუტა. იმ შემთხვევაში, როდესაც რეალური შემოსავლების დადგენასთან ერთად, საკონტროლო შესყიდვის მიზანია სამართალდარღვევის (საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის გამოყენების წესების დარღვევის) გამოვლენა დაშვებულია უცხოური ვალუტის გამოყენება.

საგადასახადო ორგანოს მიერ წინასწარ უნდა განისაზღვროს საკონტროლო შესყიდვის განხორციელებისთვის სავარაუდოდ საჭირო ფულადი სახსრების ოდენობა და მისი დაფინანსების წყარო.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, განახორციელოს გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა ან/და დაადგინოს საქონლის/მომსახურების ფასი საკონტროლო შესყიდვის შეთავაზებით ან/და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის გამოვლენის მიზნით გადასახადის გადამხდელს შესაძენად შესთავაზოს საქონელი/მომსახურება.

საკონტროლო შესყიდვის განხორციელებისას შესაძლებელია პროცედურის განხორციელება შეწყდეს შეთავაზებით, თუ ამ ეტაპზე საქონლის/მომსახურების ფასი დადგენილია ან/და მოპოვებულია შესაბამისი მტკიცებულებები.

საკონტროლო შესყიდვა შეიძლება დასრულდეს შეთავაზებით, თუ:

ა) მიღებულია ბე (ავანსი);

ბ) გამოწერილია ანგარიში, საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები;

გ) გაფორმებულია ხელშეკრულება ან სხვა დოკუმენტი საქონლის განვადებით, ნასყიდობით ან სხვა სახით გასხვისების შესახებ;

დ) პროცედურის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის თანდასწრებით განხორციელდა სხვა პირისათვის საქონლის/მომსახურების მიწოდება (ფასის დაფიქსირებით) და შესაძლებელია ამ ფაქტზე ოქმის შედგენა სათანადო ფორმით.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი საკონტროლო შესყიდვის ან/და საკონტროლო შესყიდვის შეთავაზების პროცედურის განხორციელებისას შესაძლებელია გამოვიდეს, როგორც ფსევდომომხმარებელი. საგადასახადო ორგანოს უფროსი უფლებამოსილია ამ მიზნით მიმდინარე კონტროლის განმახორციელებელ პირზე გასცეს ფსევდოდოკუმენტები.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვის ან/და

საკონტროლო შესყიდვის შეთავაზების პროცედურის განხორციელებისას მოსამართლის ბრძანების გარეშე გამოიყენოს პროცედურის დაფიქსირების ტექნიკური საშუალებები.

თუ საკონტროლო შესყიდვით შესყიდული საქონელი არ ტოვებს სავაჭრო ობიექტის ტერიტორიას და მისი სახე და შეფუთვა არ დაზიანებულა, მაშინ საკონტროლო შესყიდვის ოქმის საფუძველზე ოპერაცია ექვემდებარება გაუქმებას (შესყიდული საქონელი უბრუნდება გამყიდველს, ხოლო გადახდილი ფული – მყიდველს).

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით განახორციელონ **საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი.**

ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირის მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდების დროს მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას შესაბამისი მონაცემები აღირიცხება საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენებით. მომხმარებლად ჩაითვლება პირი, რომელიც ნაღდი ფულით ახორციელებს ანგარიშსწორებას მისთვის მიწოდებულ ან მისაწოდებელ საქონელზე ან მომსახურებაზე.

მაგალითი:

ფიზიკური პირი დარეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად. მას გაქირავებული აქვს უძრავი ქონება და მომსახურების საფასურს ღებულობს ნარდი ფულით.

მოცემულ პირობებში: უძრავი ქონების გაქირავებიდან ნაღდი ფულით შემოსავლის მიღებისას, გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირი ვალდებულია გამოიყენოს საკონტროლო-სალარო აპარატი.

საკონტროლო სალარო აპარატი (სსა) არის ფისკალური მეხსიერებისა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მქონე, როგორც დამოუკიდებლად მომუშავე, ისე პროგრამულ-ტექნიკურ კომპლექსში ჩართული ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც გამიზნულია მომხმარებლების მიერ ნაღდი ფულით განხორციელებული გადახდების შესახებ მონაცემების რეგისტრაციისათვის, შენახვისა და შესაბამისი ანგარიშგებითი დოკუმენტების ფორმირებისათვის.

საკონტროლო-სალარო აპარატს გააჩნია ოთხი ძირითადი ფუნქცია:

- ფისკალური ფუნქცია, რაც ვლინდება იმაში, რომ მისი მეშვეობით საგადასახადო ორგანოები ახდენენ გადასახადის გადამხდელის მხრიდან საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მდგომარეობის შემოწმებას;
- მისი მეშვეობით გადასახადის გადამხდელი უზრუნველყოფს ნაღდი ფულით განხორციელებული გადახდების აღრიცხვას (რომელიც წარმოადგენს მისი საგადასახადო და საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების აუცილებელ კომპონენტს) და ამასთან აკონტროლებს საკუთარი თანამშრომლების (მოლარე-ოპერატორების) მხრიდან მათზე დაკისრებული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულების მომენტს;
- მომხმარებლის უფლებების დაცვა, რაც ვლინდება იმაში, რომ გამყიდველის მიერ მასზე გაცემული სალაროს ჩეკი წარმოადგენს როგორც მათ შორის ყიდვა-გაყიდვის ზეპირი ხელშეკრულების დამადასტურებელ დოკუმენტს, ასევე იმ ძირითად სამართლებრივ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც, მყიდველ ფიზიკურ კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში შეუძლია მოთხოვოს გამყიდველს მასთან შეძენილი საქონლის უკან დაუბრუნება ან შეცვლა;
- ხარჯის გაწევის (მაგ. სამივლინებო, წარმომადგენლობითი და ა.შ.) ფაქტის დადასტურება.

საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან თავისუფლდება:

ა) პირი მომხმარებელთან ანგარიშსწორების იმ ნაწილში, სადაც:

ა.ა) გამოიყენება ნაღდი ფულით ანგარიშსწორების ფაქტის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებული მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი;

ა.ბ) საქონლის მიწოდებისათვის ან/და მომსახურების გაწევისათვის გამოიწერება საგადასახადო ანგარიშფაქტურა;

ბ) ფიზიკური პირი, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და ახდენს პირად ან საოჯახო მეურნეობაში მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ან მისგან წარმოებული

(გადამუშავებული) საქონლის რეალიზაციას, – საქმიანობის ამ ნაწილში;

აღნიშნულ პირთა კატეგორიის ქვეშ მოიაზრებიან ის ფიზიკური პირები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და ახდენენ პირად ან საოჯახო მეურნეობაში მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის (ხილი, ბოსტნეული, თაფლი, რძე და ა.შ) ან მისგან წარმოებული (გადამუშავებული) საქონლის (ყველი, ხორცი, მურაბა და ა.შ.) რეალიზაციას უშუალოდ თვითონ, მიუხედავად იმისა სად (ბაზარში, ფარდულში, ჯიხურში, ქუჩაში და ა.შ.) ხდება მათი რეალიზაცია.

გ) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი, გარდა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ცალკეული საქმიანობის განმახორციელებელი ან ცალკეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე საქმიანობის განმახორციელებელი მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისა;

გ[1]) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის

დ) ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური პირი, რომელსაც არ აქვს მეწარმე ფიზიკურ პირად რეგისტრაციის ვალდებულება;

ამ კატეგორიაში ხვდებიან ის ფიზიკური პირები, რომლებიც მართალია ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას (არასამეწარმეოს), მაგრამ მათ საგადასახადო კანონმდებლობა არ ავალდებულებებს მეწარმე ფიზიკურ პირად საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციას, თუმცა ისინი წარმოადგენენ გადასახადის გადამხდელებს და საგადასახადო ორგანოს მიერ მათ მიენიჭებათ საიდენტიფიკაციო ნომერი იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ დამოუკიდებლად ხდება გადასახადის თანხის გადახდა ან დეკლარირება. პრაქტიკაში ამ კატეგორიაზე მიკუთვნებულ ფიზიკურ პირთა მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნენ ის ფიზიკური პირები:

- რომლებიც ახდენენ მათ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების, ან მანქანების გაქირავებას;
- რომლებიც ახდენენ მათ საკუთრებაში არსებული მატერია-

ლური აქტივის გადაცემას მისი მიღებიდან 2 წლის განმავლობაში და ასეთი გადაცემა იწვევს ნამატი შემოსავლის წარმოქმნას.

ე) პირი, რომელიც საქონლის/მომსახურების მიწოდებას და ნაღდი ფულის მიღებას ახორციელებს მომხმარებლების ტერიტორიაზე (სახლებში, ორგანიზაციებში, საწარმოებში), – საქმიანობის ამ ნაწილში, ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტის გაცემის პირობით;

ამ კატეგორიაში მოიაზრებიან იქნენ ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობის სპეციფიკა ითვალისწინებს საქონლის ან მომსახურების მიწოდებას და ფულის მიღებას მომხმარებლების ტერიტორიაზე. მაგ: საავარიო სამსახურები, სასწრაფო სამედიცინო დახმარება, საყოფაცხოვრებო ნივთების რემონტი სახლში გამოძახებით, სახლში გათბობის, წყალგაყვანილობის, ელექტროგაყვანილობის და ა.შ. დაყენება, სახლში საკვები პროდუქტების მიტანა, სადისტრიბუციო საქმიანობა და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, თუ ისინი საქონლის ან მომსახურების მიმღებს მიცემენ ჩეკთან გათანაბრებულ დოკუმენტს (რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოში ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად).

ე[1]) პირი - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში. ამ შემთხვევებში პირი უფლებამოსილია საქმიანობის ამ ნაწილში გასცეს ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი;

ვ) პირი, რომელიც საქონლის/მომსახურების მიწოდებას და ნაღდი ფულის მიღებას ახორციელებს ავტომატიზებული ან მექანიკური მოწყობილობების მეშვეობით, – საქმიანობის ამ ნაწილში;

მაგალითად ასეთ მოწყობილობებს მიეკუთვნება სიგარეტის, უალკოჰოლო სასმელების (ყავა, ჩაი, გაზიანი სასმელები, წვენები) სარეალიზაციო აგრეგატები, რომლებიც ფულის მიღების და საქონლის გაცემის პროცესში არ საჭიროებენ ადამიანის დახმარებას, ქუჩებში დადგმული ხურდაზე მომუშავე ტელეფონები და ა.შ.

ზ) მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს ქუჩაში დატარების ფორმით საცალო ვაჭრობას, ასევე პირი, რომელიც ყიდის გაზეთებსა და ჟურნალებს, – საქმიანობის ამ ნაწილში;

თ) პირი – საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების,წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციისას.

ი) ბანკი და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, საგადასახადო კონტროლის განხორციელების მიზნით ჩაატაროს პირის ტერიტორიების, შენობა-ნაგებობების, ძირითადი საშუალებებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების **ვიზუალური დათვალიერება.**

ფიზიკური პირის საცხოვრებელი ბინის დათვალიერება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

დათვალიერებისას აკრძალულია გადასახადის გადამხდელის დოკუმენტაციის შემოწმება.

დათვალიერების პროცედურა არ მოიცავს სეიფის, კარადის, უჯრისა და სხვა მსგავსი სათავსის შიგთავსის ვიზუალურ დათვალიერებასა და შემოწმებას.

საგადასახადო ორგანოს უფროსს უფლება აქვს, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე გამოსცეს აქციზური საქონლის მფლობელი პირის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ან/და ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის ჩატარების ბრძანება (საგადასახადო ორგანოს უფროსს უფლება აქვს, არააქციზური საქონლის მფლობელი პირის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ან/და ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის ჩატარების ბრძანება გამოსცეს კალენდარული წლის განმავლობაში არა უმეტეს 2-ჯერ, ხოლო მე-3-ჯერ ინვენტარიზაცია შესაძლებელია ჩატარდეს შემოსავლების სამსახურის უფროსის/მისი მოადგილის ბრძანებით). გადასახადის გადამხდელის ხელმძღვანელმა (დირექტორმა) ინვენტარიზაციის გონივრულ ვადაში ჩატარების მიზნით, ბრძანების ჩაბარებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უნდა შექმნას საინვენტარიზაციო კომისია. საინვენტარიზაციო კომისიაში შეყვანილი უნდა იქნენ ის პირები, რომლებიც კარგად იცნობენ საინვენტარიზაციო ქონებას, იციან მისი ფასი და პირველადი აღრიცხვა, აგრეთვე საგადა-

სახადო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში – საგადასახადო ორგანოს თანამშრომლები ან/და მის მიერ მოწვეული სპეციალისტები. საინვენტარიზაციო კომისია ვალდებულია სრულად და დროულად აღრიცხოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ან/და ძირითადი საშუალებები წარმოებისა და შენახვის ადგილზე, შეუდაროს აღრიცხვის შედეგები ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამის მონაცემებს და ყოველივე ეს შეიტანოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან/და ძირითადი საშუალებების აღწერის ოქმში.

საგადასახადო ორგანოს უფროსს უფლება აქვს, ინვენტარიზაციის ჩატარების ბრძანებით თავად შექმნას საინვენტარიზაციო კომისია და განსაზღვროს მისი შემადგენლობა, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, მათ შორის, დადგენილ ვადაში საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე გადასახადის გადამხდელის ხელმძღვანელის (დირექტორის) მიერ ბრძანების გამოუცემლობისას, გამოსცეს საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის ბრძანება. საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მასში გადამხდელის წარმომადგენლის/წარმომადგენლების შეყვანა.

საგადასახადო ორგანოს უფროსს უფლება აქვს, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე გამოსცეს ბრძანება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან/და ძირითადი საშუალებების ცალკეულ სახეობათა მიხედვით შერჩევითი ინვენტარიზაციის თაობაზე. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის გარეშე მოახდინოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან/და ძირითადი საშუალებების ფაქტობრივი მდგომარეობის აღწერა გადასახადის გადამხდელის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია 2 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს ცალკეულ სახეობათა მიხედვით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან/და ძირითადი საშუალებების ნაშთების სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემები, რის შემდეგაც საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ახდენს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან/და ძირითადი საშუალებების ფაქტობრივი და ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი მონაცემების შედარებას და ყოველივე ეს შეაქვს სასაქონლო-მატერია-

ლური ფასეულობების ან/და ძირითადი საშუალებების აღწერის ოქმში.

საგადასახადო შემოწმება შეიძლება იყოს კამერალური და გასვლითი.

კამერალური საგადასახადო შემოწმება ტარდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ბრძანების საფუძველზე, ამ ბრძანებით განსაზღვრულ კონკრეტულ საკითხზე.

კამერალური საგადასახადო შემოწმების ჩატარებისას საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მოითხოვოს სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენა.

კამერალური საგადასახადო შემოწმება ტარდება პირის საქმიანობის ადგილზე გაუსვლელად, საგადასახადო ორგანოში არსებული პირის დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის, აგრეთვე გადასახადის გადამხდელისაგან მიღებული ახსნა-განმარტებისა და სააღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე.

თუ კამერალური საგადასახადო შემოწმების შედეგად გამოვლენილი შეცდომები იწვევს გადასახადის თანხის ცვლილებას, კამერალური საგადასახადო შემოწმების განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი ადგენს საგადასახადო შემოწმების აქტს.

გასვლითი საგადასახადო შემოწმება ტარდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე.

გადასახადის გადამხდელს შემოწმების დაწყებამდე არანაკლებ 10 სამუშაო დღისა ეგზავნება შეტყობინება წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

შემოწმება უნდა დაიწყოს გადასახადის გადამხდელისათვის შეტყობინების ჩაბარებიდან არა უგვიანეს 30 დღისა. თუ აღნიშნულ ვადაში შემოწმება ვერ დაიწყო, შეტყობინება ძალადაკარგულად ითვლება.

გასვლითი საგადასახადო შემოწმებით შესაძლებელია გადასახადის გადამხდელის საქმიანობის სრული ან თემატური შემოწმება და იგი შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 3 თვისა. საჭიროების შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის უფროსთან შეთანხმებით შესაძლებელია შემოწმების ვადის დამატებით გაგრძელება არა უმე-

ტეს 2 თვისა.

გასვლითი საგადასახადო შემოწმება შეიძლება მოიცავდეს გადასახადის გადამხდელის საქმიანობის მიმდინარე კონტროლის პროცედურებსაც.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია გასვლითი საგადასახადო შემოწმების ჩატარებისას შემმოწმებლებს შეუქმნას ისეთივე სამუშაო პირობები, როგორიც, ჩვეულებრივ, არსებობს გადასახადის გადამხდელთან.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებული საარიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის სათანადო წესით დამოწმებული ასლი, ხოლო გადასახადის გადამხდელის მიერ აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ამოიღოს აღნიშნული დოკუმენტის დედანი, რომელიც გასვლითი საგადასახადო შემოწმების დასრულებისთანავე უბრუნდება გადასახადის გადამხდელს. დოკუმენტაციის ამოღების შემთხვევაში ფორმდება ამოღების ოქმი.

თუ დაწყებული საგადასახადო შემოწმების გაგრძელება ვერ ხერხდება დაუძლეველი ძალის ან სხვა გარემოების გამო, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას საგადასახადო შემოწმების შეჩერების შესახებ. საგადასახადო შემოწმება განახლდება დაუძლეველი ძალის ან სხვა გარემოების აღმოფხვრისთანავე.

თუ საგადასახადო შემოწმების სპეციფიკა მოითხოვს შემოწმების რამდენიმე ეტაპად ჩატარებას, ყოველი ეტაპის შემდეგ დგება შუალედური აქტი.

გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმება ტარდება წერილობითი შეტყობინების გარეშე, სასამართლოს ნებართვით, თუ:

ა) ბოლო საგადასახადო შემოწმებისას გამოვლინდა გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულებათა მნიშვნელოვანი დარღვევის ფაქტები;

ბ) არსებობს სანდო ინფორმაცია, რომელიც საეჭვოს ხდის პირის ფინანსური და მატერიალური საშუალებების წარმოშობას;

გ) არსებობს სანდო ინფორმაცია ქონების ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტის დოკუმენტურად დაუდასტურებელი მატების შესახებ;

დ) საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციებით და სხვა დოკუმენტებით არ დასტურდება დაბეგვრის ობიექტებისა და გამოანგარიშებული გადასახადების რეალურობა;

ე) წარდგენილი არ არის საგადასახადო დეკლარაცია ან გადასახადის გამოსაანგარიშებლად ან/და გადასახდელად საჭირო დოკუმენტები;

ვ) საგადასახადო ორგანოს აქვს ინფორმაცია, რომ პირი გეგმავს, თავი აარიდოს საგადასახადო ვალდებულებათა შესრულებას საქართველოდან გასვლით, აქტივების სხვა პირისათვის გადაცემით, საგადასახადო სამართალდარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტების განადგურებით, დამალვით, შესწორებით ან შეცვლით ან სხვა ღონისძიებების გატარებით.

საგადასახადო ორგანო ვალდებულია გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმების დაწყებიდან 48 საათში მიმართოს სასამართლოს და მიიღოს მისგან ნებართვა გასვლითი საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, გადასახადის გადამხდელის ქონებაზე გაავრცელოს საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას საგადასახადო დავალიანება.

სასამართლოს ნებართვის მიღებამდე საგადასახადო ორგანოს არ აქვს უფლება, დაიწყოს გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმება. საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლებს უფლება აქვთ, დალუქონ გადასახადის გადამხდელის მხოლოდ ის საგადასახადო დოკუმენტები და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომლებიც აუცილებელია გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმების ჩასატარებლად.

თუ სასამართლო საგადასახადო ორგანოს დადგენილ ვადაში არ მისცემს ნებართვას გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ, საგადასახადო ორგანო ვალდებულია ახსნას გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დოკუმენტებზე

ან/და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე დადებული ლუქი.

საგადასახადო შემოწმების შედეგების შესახებ დგება აქტი, რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, მტკიცებულება და არგუმენტი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრისას. თუ შემოწმება ექსპერტის დასკვნას დაეყრდნო, აქტში მიეთითება ამ დასკვნის შინაარსი;

ბ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის ან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აქტის ის ნორმა, რომლითაც იხელმძღვანელეს შემმოწმებლებმა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრისას;

გ) გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების წარმოშობის ზუსტი თარიღები (თუ მათი დადგენა შესაძლებელია), გადასახადისა და ჯარიმის გაანგარიშება, ჯამურად გადასახდელი ან მისაღები თანხა, იმ დოკუმენტების რეკვიზიტები (საჭიროების შემთხვევაში – ასლები), რომლებითაც დასტურდება ამ მოთხოვნებისა და ვალდებულებების წარმოშობა, ასევე საგადასახადო შემოწმების აქტის დანართების შინაარსი.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი იღებს საგადასახადო შემოწმების აქტის საფუძველზე გადასახადების ან/და სანქციების დარიცხვის ან არდარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას, რომლის ასლი წარედგინება გადასახადის გადამხდელს შესაბამის საგადასახადო მოთხოვნასთან ერთად.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში საგადასახადო შემოწმების განმახორციელებელი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს ოქმს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ.

საგადასახადო შემოწმების შედეგად დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში სათანადო მასალები დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოს ქვემდებარეობის მიხედვით.

თუ საგადასახადო შემოწმების შედეგების შესახებ გადაწყვეტილების მიღება აყალიბებს დაბეგვრის ან/და სამართალდარღვევისთვის სანქციის გამოყენების არსებულისაგან განსხვავებულ პრინ-

ციპს/მეთოდს, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მიმართოს აუდიტორთა საბჭოს, რომელიც იქმნება საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით და რომელშიც შედიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები, ასევე მოწვეული სპეციალისტები. საბჭო უფლებამოსილია მიმართვიდან არა უგვიანეს 20 დღისა მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული პრინციპის/მეთოდის გამოყენების ან არგამოყენების თაობაზე. აუდიტორთა საბჭოს გადაწყვეტილების შესრულება სავალდე-ბულოა საგადასახადო ორგანოსთვის.

თავი XXI

საგადასახადო სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა

საგადასახადო სამართალდარღვევა არის გადასახადის გადამხდელის ან სხვა ვალდებული პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა.

მართლსაწინააღმდეგო ქმედება ნიშნავს კანონმდებლობით დადგენილი წესის ან აკრძალვის დარღვევას მოქმედებით ან უმოქმედობით, ანუ მართლსაწინაარმდეგო ქმედებაა ისიც, თუ პირმა თავისი მოქმედებით დაარღვია კანონმდებლობით დადგენილი წესი ან აკრძალვა და ისიც, თუ მან არ შეასრულა ის, რის შესრულებასაც ავალებდა კანონმდებლობა.

პასუხისმგებლობა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის წარმოადგენს იურიდიული პასუხისმგებლობის სხვადასხვა სახის ერთობლიობას. სამართლებრივ მეცნიერებასა და პრაქტიკაში ტრადიციულად გამოყოფენ სამოქალაქო-სამართლებრივ, დისციპლინურ, მატერიალურ, ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დამახასიათებელია სუბიექტთა თანასწორობის პრინციპზე დამყარებული ურთიერთობებისათვის. საგადასახადო ურთიერთობებს გააჩნია სახელმწიფო-სახელისუფლო ხასიათი: **მხარე, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს, უფლებამოსილია სავალდებულოდ შესასრულებელი მითითებები მისცეს მეორე მხარეს.**

სახელმწიფო ორგანო, რომელიც თავისი არამართლზომიერი ქმედებით ზიანს აყენებს პირის ინტერესებს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. ასეთ შემთხვევაში არ არსებობს სახელისუფლო ურთიერთობები და შესაბამისად ზიანის ანაზღაურება რეგულირდება სამოქალაქო სამართლის ნორმებით.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის ღონისძიებები უშუალოდ მიმართული არ არის საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის უზრუნველსაყოფად, თუმცა არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს კანონიერების დაცვაზე გადასახადებით დაბეგვრის სფეროში.

დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებები გამოიყენება შრომითი და სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში. ისინი დადგენილია შრომის კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით. იმ შემთხვევაში, თუ დაქირავებულის მიერ თავისი შრომითი ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების შედეგად ზიანი მიადგა საწარმოს, მაშინ იგი მატერიალურად პასუხისმგებელია ამ ზიანისათვის.

დისციპლინური და მატერიალური პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენება შეიძლება დაკავშირებული იყოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევასთან მაგრამ მას არ გააჩნია აღნიშნული კანონმდებლობის დაცვის უშუალო მიზანი. მაგალითად, თუ საწარმოს მთავარმა ბუღალტერმა დაარღვია გადასახადებით დაბეგვრის წესები, მას საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციული ჯარიმა საქართველოს ადმინისტრაციულ–სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად. ამავდროულად, საწარმოს ხელმძღვანელს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ბუღალტრის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენების შესახებ (გამოუცხადოს საყვედური და ა.შ.). ბუღალტერს დისციპლინური პასუხისმგებლობა ეკისრება არა სახელმწიფოს არამედ საწარმოს წინაშე.

ქმედების სახიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, საგადასახადო კანონის დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს ან ადმინისტრაციული, ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ღონისძიებები. საქართველოში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის შემოღებული იქნა 1994 წლის თებერვლიდან.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს გადასახადის გადაუხდელი თანხის ოდენობა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში თუ გადაუხდელი გადასახადის თანხა აღემატება ორმოცდაათი ათას ლარს.

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა სამართალდარღვევებს ყოფს დანაშაულებებად და გადაცდომებად. ასეთი დაყოფის საფუძველს წარმოადგენს, გამოსაყენებელი სანქციების სიმკაცრე. დანაშაული გადაცდომისაგან განსხვავებით, იწვევს პასუხისმგებლობის უფრო მკაცრ ღონისძიებებს (თავისუფლების აღკვეთა). გადაცდომა არ წარმოადგენს საშიშ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და ამიტომ მისთვის გათვალისწინებულია უმნიშვნელო სანქციები, მცირედროული პატიმრობის ან ჯარიმის სახით.

საზღვარგარეთის ქვეყნებში სისხლის სამართლის კანონის გამოყენების პოლიტიკას გააჩნია ორი მიმართულება: ამერიკული და ევროპული. აშშ-ში გადასახადის გადამხდელთა მიმართ გამოიყენება საკმაოდ მკაცრი მიდგომა, მცირემნიშვნელოვან დანაშაულად ითვლება დეკლარაციის არათავისდროული წარდგენა. დეკლარაციაში წინასწარი განზრახვით ყალბი მონაცემების შეტანა წარმოადგენს სერიოზულ დანაშაულს და ისჯება ჯარიმით 100 ათას დოლარამდე (ან 500 ათას დოლარამდე კორპორაციათა შემთხვევაში) და თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე ვადით.

ყურადღების გარეშე არ არის დარჩენილი საგადასახადო ადმინისტრაციების მუშაკთა მიერ ჩადენილი დანაშაულიც. აშშ-ის კანონმდებლობა ითვალისწინებს სასჯელს ჯარიმის სახით 10 ათასი დოლარის ოდენობით და თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე ვადით საგადასახადო ორგანოების იმ მუშაკებისათვის, რომლებმაც განზრახ არასწორად გამოიანგარიშეს ან არ აკრიბეს გადასახადები, აგრეთვე რომლებიც ეწევიან გამოძალვას ან შანტაჟს სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით.

საგადასახადო სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს, თუ კანონით გაუქმებულია ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა ასეთი ქმედების ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა, ხოლო თუ შემოღებულია ან დამძიმებულია პასუხისმგებლობა, გამოიყენება ქმედების ჩადენის მომენტისათვის არსებული ნორმა, ხოლო თუ საგადასახადო დავის განხილვის დასრულებამდე კანონით გაუქმებულია ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა ასეთი ქმედების ჩადენისათვის, დავის განმხილველი ორგანო ვალდებულია გამოიყენოს ახალი კანონით დადგენილი ნორმა.

საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საწარმოს/ორგანიზაციას და ფიზიკურ პირს, თუმცა საგადასახადო სანქციის გამოყენება არ ათავისუფლებს მას კუთვნილი გადასახადების გადახდის ვალდებულებისაგან.

საგადასახადო სამართალდარღვევისათვის საწარმოს, ორგანიზაციის მიმართ საგადასახადო სანქციის გამოყენება შესაბამისი საფუძვლების არსებობისას არ ათავისუფლებს მის თანამდებობის პირებს საქართველოს კანონმდებლობით დაგენილი ადმინისტრაციული, სისხლისსამართლებრივი ან სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან.

პირს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ საგადასახადო სამართალდარღვევა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად. დაუძლეველ ძალად ითვლება ისეთი საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ვალდებულებათა შესრულებას და რომლის დადგომა არ არის დამოკიდებული პირის ნებაზე, მათ შორის:

ა) სტიქიური უბედურება (მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, ხანძარი და სხვა);

ბ) საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა, საგანგებო/საომარი მდგომარეობის გამოცხადება, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოს სხვა გადაწყვეტილება;

გ) მასობრივი არეულობა, გაფიცვა.

დეკლარაციის/გაანგარიშების მიხედვით არასწორად ნაჩვენები ინფორმაციის გამო ჯარიმა არ დაეკისრება პირს, რომელმაც საგადასახადო ორგანოს წარუდგინა შესწორებული დეკლარაცია ან გაანგარიშება საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ სასამართლოს ან საგადასახადო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების ჩაბარებამდე ან საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენამდე, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემოწმების ან დოკუმენტური/ბუღალტრული რევიზიის დანიშვნამდე.

საგადასახადო ორგანოს/დავის განმხილველ ორგანოს ან სასამართლოს უფლება აქვს, გაათავისუფლოს კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელი სანქციებისაგან, თუ სამართალდარღვევა გამოწვეულია გადასახადის გადამხდელის შეცდომით ან არცოდნით.

საგადასახადო სამართალდარღვევა განმეორებით ჩადენილად ჩაითვლება, თუ იგივე ქმედება ჩადენილია წინა სამართალდარღვევის გამოვლენიდან 12 თვის განმავლობაში. ამასთანავე, საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევასთან დაკავშირებული სამართალდარღვევა განმეორებით ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ პირმა აღნიშნული სამართალდარღვევები ჩაიდინა ერთსა და იმავე დღეს, ტერიტორიულად განცალკევებულ ობიექტებზე.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით და დადგენილ შემთხვევებში, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენის გარეშე, პირს განუსაზღვროს ვადა საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული ვადის მოქმედების პერიოდში პირს იმავე სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

საგადასახადო სანქცია არის პასუხისმგებლობის ზომა ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევისათვის, იგი გამოიყენება გაფრთხილების, საურავის, ფულადი ჯარიმის, სამართალდარღვევის საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევის სახით, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ერთი და იმავე საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პირს არ შეიძლება დაეკისროს სხვადასხვა პასუხისმგებლობა ან განმეორებით დაეკისროს პასუხისმგებლობა.

რამდენიმე საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას საგადასახადო სანქცია გამოიყენება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე. ამასთანავე, უფრო მკაცრი სანქცია არ შთანთქავს ნაკლებად მკაცრ სანქციას.

საგადასახადო სანქციას საურავი არ ერიცხება.

გადასახადის გადამხდელის მიერ საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვის შემთხვევაში, აღურიცხველი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გამოვლენისა და ზოგიერთ სხვა შემთხვევაში ფულადი ჯარიმის ნაცვლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გაფრთხილება.

საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი, სამართალდარღვევის ადგილზე განიხილავს საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევ პირს ადგილზევე უფარდებს საგადასახადო სანქციას. ამ შემთხვევაში პირს შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრება საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, რომელიც ითვლება საგადასახადო მოთხოვნად.

დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში მასალები დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოს ქვემდებარეობის მიხედვით. საგამოძიებო ორგანოს ან სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეზე გამოსცემს ბრძანებას. საგადასახადო სანქციის დაკისრების შესახებ გამოცემული ბრძანება ითვლება საგადასახადო მოთხოვნად. ზემოაღნიშნული ვადის დარღვევით გამოცემული ბრძანება ბათილია.

საურავი არის საგადასახადო სანქცია, რომელიც პირს ეკისრება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახადის გადასახდელი თანხის გადაუხდელობისათვის.

საურავის დარიცხვა ხორციელდება გადასახადის თანხაზე და იგი არის სხვაობა გადასახადის გადამხდელის შეუსრულებელ საგადასახადო ვალდებულებებსა და ზედმეტად გადახდილი გადასახადების ჯამს შორის. საურავის დარიცხვა ხორციელდება თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის:

ა) იმპორტის გადასახდელებზე ვალდებულების წარმოქმნის მე-4 დღიდან;

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში შესაბამისი ვალდებულების წარმოქმნის მომდევნო დღიდან.

სასამართლოს მიერ გამოტანილი გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილ საგადასახადო დავალიანებას საურავი არ ერიცხება.

საურავი შეადგენს გადაუხდელი გადასახადის თანხის 0,06 პროცენტს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. გადასახადის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში გადასახადის გადახდის დღე ითვლება ვადაგადაცილებულ დღედ.

მაგალითი:

ვთქვათ, გადასახდელი დღგ-ს ოდენობა იყო 500 ლარი და იგი უნდა გადახდილიყო არა უგვიანეს 15 სექტემბრისა, გადასახადის გადამხდელმა კი ეს თანხა გადაიხადა 6 ოქტომბერს. ამ შემთხვევაში ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა შეადგენს 21 დღეს (16 სექტემბრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით), გადასახდელი საურავის ოდენობა კი (500 * 0.06% * 21).

მაგალითი:

ვთქვათ, გადასახდელი დღგ-ს ოდენობა იყო 500 ლარი და იგი უნდა გადახდილიყო არა უგვიანეს 15 სექტემბრისა, გადასახადის გადამხდელმა კი ამ თანხის ნაწილი 300 ლარი გადაიხადა 6 ოქტომბერს, ხოლო დარჩენილი 200 ლარი 30 ოქტომბერს. ამ შემთხვევაში ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა შეადგენს – 500 ლარისთვის 21 დღეს, ხოლო 200 ლარისთვის 24 დღეს (7 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრამდე). ამ შემთხვევაში გადასახდელი საურავის ოდენობა ტოლი იქნება [(500 * 0.06% * 21) + (200 * 0.06% * 24)].

მაგალითი:

შპს „ალფამ“ კანონით დადგენილ ვადაში არ გადაიხადა მოგების გადასახადი, რომელიც შეადგენს 1000 ლარს. ამასთან, მას ზედმეტად გადახდილი ჰქონდა დღგ-ის გადასახადი 1500 ლარი. ამ შემთხვევაში მას არ დაერიცხება საურავი, ვინაიდან მის მიერ ზედმეტად გადახდილი გადასახადის ოდენობა აღემატება გადაუხდელი გადასახადების ოდენობას.

მაგალითი:

შპს „ალფამ“ კანონით დადგენილ ვადაში არ გადაიხადა დღგ, რომელიც შეადგენდა 1000 ლარს, ხოლო მის მიერ საშემოსავლო გადასახადში ზედმეტად გადახდილი თანხა ამავე პერიოდისათვის შეადგენდა 800 ლარს. ამ შემთხვევაში პირის საგადასახადო დავალიანება შეადგენს 200 ლარს (1000-800=200) და შესაბამისად, საურავი დაერიცხება აღნიშნულ თანხაზე.

თუ პირს საგადასახადო მოთხოვნა ჩაბარდა გადასახადის გადახდის ვადის დადგომის შემდეგ, საურავის დარიცხვა განხორციელდება საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარების დღის შემდეგ 30-ე დღიდან.

საურავი არ დაეკისრებათ (იმ გადასახადების გარდა, რომელთა მიმართაც პირს ეკისრება საგადასახადო აგენტის ფუნქცია):

ა) საქონლის/მომსახურების მიმწოდებლებს – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ შესაბამისი წლის საქართველოს კანონით და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებით გათვალისწინებული ასიგნებების საფუძველზე მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ღირებულების შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ აუნაზღაურებლობის გამო წარმოქმნილ საბიუჯეტო ვალდებულებებზე, მათი ღირებულების ფაქტობრივი დაფინანსების ოდენობისა და მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საერთო მოცულობაში ხვედრითი წილის პროპორციულად;

ბ) საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული პროექტების (მათ შორის, პროექტის მოსამზადებელი ეტაპის) განმახორციელებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებთანაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დადებული აქვს „პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ“ ხელშეკრულება, – ამ პროექტების ფარგლებში წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებებზე. ზემოაღნიშნული პროექტების განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი (ასეთად განისაზღვრა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი).

პირის მიერ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევა –

იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

პირის მიერ საგადასახადო ორგანოში საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენისათვის საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა –

იწვევს პირის დაჯარიმებას ამ დეკლარაციის/გაანგარიშების საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხის 5 პროცენტის ოდენობით ყოველ დაგვიანებულ სრულ/არასრულ თვეზე (არასრული თვეები ერთ თვედ ჯამდება). **ამასთანავე, მთელ დაგვიანებულ პერიოდზე გამოანგარიშებული სანქციის ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხის 30 პროცენტს.** გამოანგარიშებული სანქციის ჯამური თანხა არ უნდა იყოს 50 ლარზე ნაკლები.

მაგალითი:

ვთქვათ, იანვრის თვის დღგ ის დეკლარაცია მეწარმეს უნდა წარედგინა 15 თებერვლამდე ჩათვლით, მაგრამ ის წარადგინა 25 მარტს. დეკლარაციაში მითითებული იყო გადასახდელი 200 ლარი დღგ. შემოწმებით დადგინდა და აღიარებულ იქნა, რომ იანვრის თვის საანგარიშო პერიოდისათვის გადასახდელი დღგ უნდა ყოფილიყო 500 ლარი.

მოცემულ პირობებში - დეკლარაციის წარდგენა დაგვიანებულია 1 თვითა და 10 დღით. ვინაიდან არასრული თვე განიხილება 1 თვედ, 5%-ის მიხედვით ჯარიმის ოდენობა შეადგენს **50** ლარს (500×5%×2), მაგრამ იგი არ უნდა იყოს 500 ლარის 30%-ზე (150 ლარი), მეტი და ამავე დროს 50 ლარზე ნაკლები, (50=50) ამიტომ გადასახდელი ჯარიმა იქნება 50 ლარი.

მაგალითი:

მაგალითი იგივეა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დეკლარაციაში ნაჩვენები დღგ უნდა ყოფილიყო 5 000 ლარის ტოლი.

მოცემულ პირობებში - 5%-ის მიხედვით ჯარიმის ოდენობა შეადგენს **500** ლარს (5000×5%×2), მაგრამ იგი არ უნდა იყოს 5000 ლარის 30%-ზე (1500 ლარი) მეტი და 50 ლარზე ნაკლები, შესაბამისად (500>50), ამიტომ ჯარიმა განისაზღვრება 500 ლარის ოდენობით.

მაგალითი:

მაგალითი იგივეა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დეკლარაცია წარდგენილ იქნა 25 ნოემბერს და მასში ნაჩვენები დღგ უნდა ყოფილიყო 1 500 ლ.

მოცემულ პირობებში - დეკლარაციის წარდგენა დაგვიანებულია 9 თვითა და 10 დღით. შესაბამისად, დაგვიანების პერიოდია 10 თვე. 5%-ის მიხედვით ჯარიმის თანხა ტოლია **750** ლარის (1500×5%×10). მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ჯარიმა არ უნდა იყოს გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხის 30%-ზე ანუ 450 ლარზე მეტი (1500×30%) და 50 ლარზე ნაკლები, იგი იქნება 450 ლარი.

მაგალითი:

მაგალითი იგივეა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დეკლარაციაში ნაჩვენები დღგ უნდა ყოფილიყო 550 ლარი.

მოცემულ პირობებში - 5%-ის მიხედვით ჯარიმის თანხა ტოლია **275** ლარის (550×5%×10), გადასახადის თანხის 30% კი – 165 ლარის (550×30%). ანუ ჯარიმა ტოლია 165 ლარის.

თუ საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია, პირს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ დაეკისრება.

პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში ან გაანგარიშებაში გადასახადის თანხის შემცირება, თუ იგი გამოწვეულია საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ პირის საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის მომენტის (პერიოდის) შეცვლით, იწვევს პირის დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 10 პროცენტის ოდენობით.

პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის თანხის შემცირება, გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევისა, იწვევს პირის დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 50 პროცენტის ოდენობით.

პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში შესამცირებლად გამოანგარიშებული თანხის/დაბრუნებას დაქვემდებარებული თანხის

გაზრდა ითვლება დეკლარაციაში გადასახადის შემცირებად და იწვევს პირის დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 50 პროცენტის ოდენობით.

პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის თანხის 50 000 ლარზე მეტით შემცირება ითვლება გადასახადისაგან დიდი ოდენობით თავის არიდებად და იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

პირის საქმიანობა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნის გარეშე ან სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ობიექტის დალუქვის გარეშე, თუ ასეთი ვალდებულება დადგენილია კანონით, – იწვევს პირის დაჯარიმებას ამ ობიექტის მიხედვით კუთვნილი გადასახდელი თანხის 100 პროცენტის ოდენობით.

საგადასახადო ორგანოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილი პირისათვის წინააღმდეგობის გაწევა, მისი კანონიერი მოთხოვნის უგულებელყოფა, რამაც შეაფერხა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება, – იწვევს პირის დაჯარიმებას 800 ლარის ოდენობით.

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – იწვევს პირის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 2 000 ლარის ოდენობით.

საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმების გარეშე, ყადაღადადებული ქონების პირის მიერ განკარგვა ან საგადასახადო ორგანოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დადებული ლუქის ახსნა – იწვევს პირის დაჯარიმებას 4 000 ლარის ოდენობით.

საგადასახადო ორგანოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის, აგრეთვე საგადასახადო ორგანოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მითითებულ ვადაში ქონების ნუსხის წარუდგენლობა – იწვევს პირის დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით.

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – იწვევს პირის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 1 000 ლარის ოდენობით.

ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი ხარჯების გაზრდის მიზნით პირის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის თაობაზე – იწვევს პირის დაჯარიმებას წარდგენილი ინფორმაციის შედეგად დაუდასტურებელი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის სააღრიცხვო ღირებულებით.

უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების შედეგად ან ყალბი დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტით ჩათვლის განხორციელება – იწვევს პირის დაჯარიმებას ჩათვლილი გადასახადის თანხის 200 პროცენტის ოდენობით

მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე მუშაობა – იწვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობა – იწვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

ჩეკში ფაქტობრივად გადახდილზე ნაკლები თანხის ჩვენება – იწვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

გადასახადის გადამხდელის მიერ საკონტროლო-სალარო აპარატის (გარდა GPRS-ის და CRYPT -ს მოდულის ფისკალური საკონტროლო-სალარო აპარატებისა) დაკარგვა, თუ დადგენილი არ არის, რომ ეს გამოწვეულია სხვა პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, – იწვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით.

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენიდან 60 დღის განმავლობაში, –იწვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 6 000 ლარის ოდენობით.

ავტოგასამართ სადგურში მადოზირებელი ან/და მრიცხველი მექანიზმის საგადასახადო ორგანოს ლუქის გარეშე ან დაზიანებული ლუქით საქმიანობა – იწვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით.

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – იწვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 15 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ამ მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენისათვის დაადგინოს ჯარიმის განსხვავებული ოდენობები, მაგრამ არანაკლებ ამ ნაწილით დადგენილი ჯარიმების 5 პროცენტისა.

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა – იწვევს პირის დაჯარიმებას რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის პერიოდში განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების (გარდა გათავისუფლებული ოპერაციებისა) თანხის 15 პროცენტის ოდენობით.

საქონლის/მომსახურების მიმწოდებლის მიერ მყიდველის მოთხოვნისას მასზე საგადასახადო ანგარიშფაქტურის გაუცემლობა – იწვევს პირის დაჯარიმებას დასაბეგრი ოპერაციის მიხედვით დღგ-ის თანხის 100 პროცენტის ოდენობით.

პირის მიერ ფიქტიური გარიგების/უსაქონლო ოპერაციის ამსახველი ან ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოწერა – იწვევს საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამომწერი/გამცემი პირის დაჯარიმებას საგადასახადო ანგარიშფაქტურაში მითითებული დღგ-ის თანხის 200 პროცენტის ოდენობით.

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის გამო ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში, დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისათვის გათვალისწინებული ჯარიმა არ გამოიყენება.

პირის საბანკო ანგარიშზე ფულის არსებობისას ბანკის მიერ ბიუჯეტში გადასახადის გადარიცხვის თაობაზე ამ პირის საგადახდო დავალების ან საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა, – იწვევს დაჯარიმებას ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების იმ ნაწილის 0,15 პროცენტის ოდენობით ყოველი დაგვიანებული დღისათვის, რომელიც ექვემდებარებოდა საინკასო/საგადახდო დავალებით მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებას.

ბანკის მიერ გადასახადის გადამხდელისათვის საბანკო ანგარიშის გახსნა იმ დოკუმენტის წარდგენის გარეშე, რომლითაც დასტურდება გადასახადის გადამხდელისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება (გარდა უცხოური საწარმოსი და ფიზიკური პირისა, რომლებიც არ ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას), აგრეთვე საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადების ან საინკასო დავალების წარდგენის შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების არსებობისას ამ გადასახადის გადამხდელისათვის სხვა ანგარიშის გახსნა – იწვევს დაჯარიმებას გადასახადის გადამხდელის ანგარიშებზე შესრულებული გასავლის ოპერაციების თანხის 10 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა.

მაგალითი:

თუ გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშზე წარდგენილი საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალების მიუხედავად ბანკმა ამ გადასახადის გადამხდელს გაუხსნა სხვა საბანკო ანგარიში და ამ ანგარიშიდან განახორციელა გასავლის ოპერაციები 4 500 ლარის ოდენობით, მას დაეკისრება ჯარიმა 450 ლარის ოდენობით (4 500*10%). ამასთან, ვინაიდან 450 ლარი ნაკლებია 500 ლარზე, ბანკს საბოლოო ჯარიმის სახით, ნაცვლად 450 ლარისა, გადახდება 500 ლარი.

სამწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა, თუ სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ან მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 10 000 ლარს, – იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

მაგალითი:

მეწარმემ ზედნადების გარეშე განახორციელა იმ საქონლის ტრანსპორტირება, რომლის საბაზრო ფასია 9 500 ლ. მას ჯარიმა შეეფარდება 500 ლარის ოდენობით. თუ საქონლის საბაზრო ფასი მეტია 10 000 ლარზე, მაშინ პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. თუმცა პირს ჯარიმა

არ დაეკისრება, თუ სასაქონლო ზედნადების გარეშე საქონლის ტრანსპორტირება პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს.

გადასახადის გადამხდელთან სააღრიცხვო დოკუმენტაციაში აღურიცხველი და პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გარეშე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გამოვლენა – იწვევს პირის დაჯარიმებას გამოვლენის მომენტში ამ სასაქონლო- მატერიალური ფასეულობების საბაზრო ღირებულების ოდენობით. სანქცია გამოიყენება, თუ სასაქონლო ზედნადებში არ არის მითითებული ან არასწორად არის მითითებული (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, რომელმაც არ შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს შედეგზე):

ა) დოკუმენტის შედგენის თარიღი ან/და ნომერი;

ბ) სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი ან სახელი და გვარი, პირადი ნომერი;

გ) საქონლის დასახელება ან/და რაოდენობა.

პირს სასაქონლო ზედნადების გარეშე საქონლის ტრანსპორტირებისათვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება:

ა) საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პირველადი (სამრეწველო გადამუშავებამდე – სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პროდუქციის, აგრეთვე რეგულარული ან უწყვეტი წესით საქონლის (ელექტრო- ან თბოენერგია, გაზი, წყალი) ტრანსპორტირების ან მიწოდების შემთხვევაში;

ბ) საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტებით ტრანსპორტირების შემთხვევაში;

გ) სპეციალური დღგ-ის ანგარიშფაქტურის არსებობისას;

დ) თუ ხორციელდება მხოლოდ იმ სარეკლამო საქონლის უსასყიდლოდ გავრცელება, მათ შორის, საცალო რეალიზატორის მეშვეობით, რომელსაც დამოუკიდებელი სამომხმარებლო მახასიათებლები არ აქვს და ძირითადი საქონლის/მომსახურების მიწოდების განუყოფელი ნაწილია.

ე) გაზეთების, ჟურნალებისა და მათი გამომცემლების მიერ მათთან ერთიან შეფუთვაში მოქცეული საქონლის ტრანსპორტირებისას, გარდა გამომცემლის მიერ პირველადი მიწოდების შემთხვევისა.

ვ) საგანგებო სიტუაციებში და გადაუდებელი დახმარების გაწევის (სახანძრო, სამაშველო, გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევის, ბუნებრივი გაზით, წყლით, ელექტროენერგიით მომარაგების ან საკანალიზაციო სისტემების ავარიული დაზიანების აღმოფხვრის) აუცილებლობის მიზნით, შესაბამისი საქონლის ტრანსპორტირებისას;

ზ) თუ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სასაქონლო ზედნადები არ გამოიწერება;

სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების განმეორების შემთხვევაში და გადასახადის გადამხდელთან სააღრიცხვო დოკუმენტაციაში აღურიცხველი და პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გარეშე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გამოვლენისათვის გათვალისწინებული სანქციები არ დაეკისრება მიკრო და მცირე ბიზნესის, აგრეთვე ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებს სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული საქმიანობის ფარგლებში.

საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელთან:

ა) ინვენტარიზაციის შედეგად სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისის გამოვლენა იწვევს პირის დაჯარიმებას გამოვლენის მომენტში ამ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბაზრო ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით (მათზე გაწეული ხარჯის და დღგ-ის ჩათვლის გაუქმების გარეშე), ამასთანავე, სამართალდამრღვევს გამოვლენილ დანაკლისთან დაკავშირებით შემდგომ პერიოდში საგადასახადო ვალდებულება აღარ დაეკისრება;

ბ) დანაკლისის გამოვლენა, გარდა ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, განიხილება მისი აღმოჩენის მომენტში საბაზრო ფასით განხორციელებულ მიწოდებად და გადასახადებით დაიბეგრება საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

სანქციები არ გამოიყენება, თუ:

ა) სააღრიცხვო დოკუმენტაციაში აღურიცხველი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ზედმეტობის ან/და დანაკლისის ოდენობა არ აღემატება ამავე სახის აღრიცხული სასაქონლო-მატე-

რიალური ფასეულობების **2 პროცენტს**; (თუმცა სანქციის დაუკისრებლობა არ ნიშნავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ზედმეტობის ან/და დანაკლისის აუღიარებლობას და შესაბამისი დაბეგვრის რეჟიმის გამოუყენებლობას).

ბ) გადასახადის გადამხდელმა ზედმეტობის ან/და დანაკლისის შესახებ ინფორმაცია ასახა საგადასახადო ანგარიშგებაში ან/და მიაწოდა საგადასახადო ორგანოს ინვენტარიზაციის ან საგადასახადო შემოწმების დაწყებამდე, რომლის თანახმად, **ზედმეტობა აღიარებულია სარგებლად, ხოლო დანაკლისი მიწოდებად.**

ქმედება, რამაც შესაბამისი საფუძვლების გამო გამოიწვია საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის მიკრო ან მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება, – იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირის მიერ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის დაბეგვრის ობიექტის დამატება საგადასახადო ორგანოსთვის შეტყობინების გარეშე იწვევს პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის მარკირების გარეშე მიწოდება, ტრანსპორტირება, ექსპორტი, იმპორტი - იწვევს მწარმოებლის ან იმპორტიორის დაჯარიმებას მარკირების გარეშე გამოვლენილი სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის საბაზრო ღირებულების ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა.

პირის მიერ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა, რისთვისაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა, მაგრამ არ არის განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა, – იწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

შემოსავლების სამსახურსა და გადასახადის გადამხდელს შორის საგადასახადო შეთანხმება შესაძლებელია გაფორმდეს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების ან საგადასახადო დავალიანების ნაწილის შემცირების მიზნით.

გადასახადის გადამხდელი საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ განცხადებით მიმართავს შემოსავლების სამსახურს. შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია:

ა) უარი თქვას გადასახადის გადამხდელთან საგადასახადო შეთანხმების გაფორმებაზე;

ბ) აღნიშნული განცხადება თანდართულ მასალებთან ერთად წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა მინისტრს საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად.

საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა, რომელიც განსაზღვრავს გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო შეთანხმების შესაბამისად გადასახდელი თანხის ოდენობასა და გადახდის ვადას.

თავი XXII
საგადასახადო დავა

საგადასახადო ურთიერთობისას ხშირად იქმნება ისეთი მდგომარეობა, როდესაც ერთ-ერთი მხარე – საგადასახადო ორგანო ან გადასახადის გადამხდელი, მიიჩნევს, რომ მეორე მხარემ დაარღვია საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულება და მისგან მოითხოვს ამ ვალდებულების შესრულებას. თუ მეორე მხარე არ დაეთანხმა აღნიშნულ მოთხოვნას, იქმნება იმის საფუძველი, რომ დაიწყოს საგადასახადო დავა, რომლის დაწყების, მიმდინარეობისა და გადაწყვეტის წესი განსაზღვრულია საგადასახადო კოდექსით.

აღსანიშნავია, რომ იმის მიუხედავად თუ ვინ იტყვის უარს მოთხოვნის შესრულებაზე, საგადასახადო დავა მაინც გადასახადის გადამხდელმა უნდა დაიწყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის გადახდა ყოველთვის გადასახადის გადამხდელს მოუწევს.

საგადასახადო დავის განხილვა შესაძლებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემასა და სასამართლოში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის განხილვისას ნებისმიერ ეტაპზე მომჩივანს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოები არიან **შემოსავლების სამსახური** და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული **დავების განხილვის საბჭო** (იხ. სქემა №3).

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავა ორეტაპიანია და იწყება საჩივრის შემოსავლების სამსახურში წარდგენით.

დავების განხილვის საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა (ეს საბჭო შექმნილია საქართველოს მთავრობის 2010 წლის დადგენილებით, რომელშიც შედის 11 პირი).

სქემა №3



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის შედეგად დაუშვებელია მომჩივნის საგადასახადო ვალდებულებების დამძიმება, გარდა გადამხდელის თანხმობით ამავე დავის ფარგლებში ჩატარებული შემოწმების შემთხვევისა.

საგადასახადო შემოწმების აქტი და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება ამ დოკუმენტების საფუძველზე გამოცემულ საგადასახადო მოთხოვნასთან ერთად.

გასაჩივრებას ექვემდებარება ასევე საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი/ბრძანება, როგორც საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება.

მაკონტროლებელი ან სამართალდამცავი ორგანოების მიერ საგადასახადო ორგანოსათვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გამოცემული საგადასახადო მოთხოვნა საჩივრდება დავების განხილვის საბჭოში.

ცალკეულ საგადასახადო სამართალდარღვევებთან დაკავშირებით გადასახადის გადამხდელის საჩივარზე შემოსავლების სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში.

პირს უფლება აქვს, გაასაჩივროს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში.

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, საგადასახადო ან დავის განმხილველი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისათვის დადგენილი ვადის დარღვევა მიიჩნიოს მისი მიმართვის დაკმაყოფილებაზე უარის თქმად და გაასაჩივროს იგი დადგენილი წესით, ხოლო ვადის დარღვევით გამოცემული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა აითვლება პირისთვის მისი ჩაბარებიდან.

30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ დავის დაწყება დასაშვებია ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების ან მტკიცებულებების საფუძვლით, რომლებიც მომჩივანმა არ იცოდა და არ შეეძლო სცოდნოდა მისთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღებამდე და რომელთა დროულად წარდგენა გამოიწვევდა მომჩივნისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას.

დავის დაწყება ასევე დასაშვებია, თუ დადგინდება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ გაგზავნია მომჩივანს. ასეთ შემთხვევაში გასაჩივრების ვადა აითვლება იმ დღიდან, როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება ცნობილი გახდა მომჩივნისათვის.

საჩივარი დავის განმხილველ ორგანოს წარედგინება წერილობით ან ელექტრონულად. მომჩივნის მიერ დავის განმხილველ ორგანოში ელექტრონული ფორმით წარდგენილ ინფორმაციას აქვს ისეთივე ძალა, როგორიც წერილობითი ფორმით წარდგენილს.

საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგაც, თუ მომჩივანი დაამტკიცებს, რომ გასაჩივრების ვადის დარღვევა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით იყო გამოწვეული.

საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

დავის განმხილველი ორგანო საჩივარს წარმოებაში არ იღებს, თუ იგი არ აკმაყოფილებს პროცედურულ მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში მომჩივანს წერილობით ეცნობება ამის შესახებ და მიეცა

მა არანაკლებ 5 დღე საჩივარში არსებული ხარვეზის გამოსასწორებლად. დავის განმხილველ ორგანოს უფლება აქვს, მომჩივნის მოტივირებული მოთხოვნის შემთხვევაში გააგრძელოს ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემული ვადა.

დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია ხარვეზის არსებობის მიუხედავად მიიღოს საჩივარი წარმოებაში, თუ იგი არსებითად არ უშლის ხელს საჩივრის განხილვას.

დავის განმხილველი ორგანო საჩივარს არ განიხილავს, თუ:

ა) მომჩივანი უარს აცხადებს დავის გაგრძელებაზე;

ბ) მოთხოვნის საგანი სცილდება დავის განმხილველი ორგანოს განსჯად საკითხებს;

გ) საჩივარი წარდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;

დ) არ არსებობს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება;

ე) გასულია საჩივრის წარდგენის ვადა;

ვ) საჩივარი არ აკმაყოფილებს პროცედურულ მოთხოვნებს და მომჩივანმა ხარვეზი არ გამოასწორა დავის განმხილველი ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში;

ზ) არსებობს იმავე მომჩივნის მიმართ იმავე დავის საგანზე იმავე ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება;

თ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოცემულია იმავე პირის მიმართ იმავე დავის განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად;

ი) მომჩივანმა იმავე დავის საგანზე მიმართა სასამართლოს;

კ) მომჩივანი გარდაიცვალა;

ლ) გასაჩივრებულ საგადასახადო მოთხოვნაში ასახულია აღიარებული საგადასახადო დავალიანება. საჩივარი არ განიხილება აღიარებული საგადასახადო დავალიანების ნაწილში;

მ) მომჩივნის მოძიება შეუძლებელია;

ნ) საჩივარი ანონიმურია;

ო) გასაჩივრებულ საგადასახადო დავალიანებაზე გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება.

დავის განმხილველი ორგანო საჩივარს განიხილავს 20 დღის ვადაში.

დავის განმხილველ ორგანოს ან მის აპარატს უფლება აქვს, მოსთხოვოს მომჩივანს ან საგადასახადო ორგანოს საჩივრის შესახებ დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა, რა დროსაც ჩერდება საჩივრის განხილვა.

საჩივარი განიხილება მომჩივნის მონაწილეობით თუმცა, შემოსავლების სამსახურს უფლება აქვს, მომჩივნის დაუსწრებლად განიხილოს საჩივარი, თუ საქმეში არსებული მასალებიდან სრულად დგინდება დავის საგანთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები.

მომჩივანთან დაკავშირების შეუძლებლობის, მისი მოუძიებლობის ან საჩივრის ზეპირ განხილვაზე მომჩივნის გამოუცხადებლობის შემთხვევაში საჩივარი მის დაუსწრებლად განიხილება.

სხდომის მიმდინარეობისას მომჩივანს ან/და მის წარმომადგენელს უფლება აქვს, სხდომას დაესწროს პირადად ან დისტანციურად, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით.

დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან მხარის მოტივირებული შუამდგომლობით შეაჩეროს საჩივრის განხილვა დამატებითი ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის მოსაპოვებლად.

დამატებითი ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის მოპოვების საფუძვლით საჩივრის განხილვის შეჩერების საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 45 დღეს.

დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია:

ა) დააკმაყოფილოს საჩივარი;

ბ) ნაწილობრივ დააკმაყოფილოს საჩივარი;

გ) არ დააკმაყოფილოს საჩივარი;

დ) განუხილველად დატოვოს საჩივარი;

ე) მიიღოს შუალედური გადაწყვეტილება და შეაჩეროს საჩივრის განხილვა;

ვ) მიიღოს გადაწყვეტილება ამ ნაწილის „ა“–„დ“ ქვეპუნქტებში მითითებული შინაარსების გაერთიანებით (ეს პუნქტი გულისხმობს ისეთ ვითარებას, როდესაც გადასახადის გადამხდელის ერთ საჩივარში არის რამდენიმე მოთხოვნა, ხოლო აქედან დავის განმხილველმა ორგანომ შესაძლებელია ერთი დააკმაყოფი-

ლოს, მეორე ნაწილობრივ დააკმაყოფილოს მესამე არ დააკმაყოფილოს და ა.შ.).

დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი მისი მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება მხარეებს.

თუ დავების განხილვის საბჭოს მიერ საჩივრის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერი, რომელიც სხვადასხვაგვარი განმარტების საფუძველს იძლევა, საბჭოს გადაწყვეტილებაში აღინიშნება ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის შესახებ რეკომენდაცია, რომელიც რეაგირებისთვის ეგზავნება შესაბამის ორგანოს.

შემოსავლების სამსახურის მიერ მომჩივნისთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ამ მომჩივანს უფლება აქვს, გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროს დავების განხილვის საბჭოში ან სასამართლოში.

მომჩივანს უფლება აქვს ასევე დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში.

მომჩივნის მიერ გასაჩივრების ვადის დარღვევის შესახებ მტკიცების ტვირთი ეკისრება საგადასახადო ორგანოს.

მომჩივნის მიერ საგადასახადო დავის დადგენილ ვადაში გაუგრძელებლობა ითვლება გასაჩივრებული საგადასახადო დავალიანების აღიარებად.

დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება ძალაში შედის მომჩივნისთვის ჩაბარებიდან 21-ე დღეს, მისი გაუსაჩივრებლობის შემთხვევაში.

მომჩივანსა და საგადასახადო ორგანოს უფლება აქვთ, მიმართონ დავის განმხილველ ორგანოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების განმარტების მიზნით.

განმარტება გადაწყვეტილების განუყოფელი ნაწილია და იგი ეგზავნება დავაში მონაწილე პირებსა და ორგანოებს.

გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ მისი განმარტება დაუშვებელია.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დავის განახლება დასაშვებია მხოლოდ ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებიდან 6 წლის ვადაში.

მომჩივანი ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებით მიმართავს დავის განმხილველ ბოლო ორგანოს, რომელმაც არსებითად იმსჯელა მომჩივნის მიერ მითითებულ დავის საგანზე.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი, 2015 წ.
2. გ. ურიდია, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა "მერიდიანი" თბილისი, 2011 წ.
3. ხმალაძე ვ., შავიშვილი ი., ხატიაშვილი დ., მიგრიაული რ., საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2007 წ.
4. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, თბილისი, 1994 წ.
5. საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, თბილისი, 1998 წ.
6. საქართველოს კანონი მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ, თბილისი, 1998 წ.
7. საქართველოს კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ, თბილისი, 2007 წ.
8. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, თბილისი, 2009 წ.
9. საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ, თბილისი, 1999 წ.
10. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება #34, 2011 წლის 28 იანვარი, „საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის საპროცენტო განაკვეთების დამტკიცების თაობაზე".
11. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება # 994, 2010 წლის 31 დეკემბერი, „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე".
12. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება # 996, 2010 წლის 31 დეკემბერი, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ".
13. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება #999, 2010 წლის 31 დეკემბერი, „საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ".
14. საქართველოს მთავრობის დადგენილება # 415, 2010 წლის 29 დეკემბერი, „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ".
15. როგავა ზ., გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2002 წ.
16. როგავა ზ., ქავთარაძე ნ., საგადასახადო დაბეგვრა, „ბაფის" გამოცემა, თბილისი, 2003 წ.

17. ხორავა ა., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ., ბუღალტრული აღრიცხვა, თბილისი, 2012 წ.
18. Попова Л. В. Налоговые системы зарубежных стран: - 2-е изд. перераб. и доп. - М.: Дело и Сервис. 2011 г.
19. Адиев Б.Х. Абдулгалимов А.М. Теоретические основы налогообложения. .- М.: 2004 г.
20. Афанасьев М. Основы бюджетной системы. М.: 2004 г.
21. Бобоев М.Р. Мамбеталиев Н.Т. Тютюрюков Н.Н. Налоги и налогообложение в СНГ: - М.: 2004 г.
22. Все начиналось с десятины: пер. с нем. – М .: Прогресс, 1992 г.
23. Кугаенко А.А. Белянин М.П. Теория налогообложения. – М.: 1999 г.
24. Основы налогового права. Под.ред. Пепеляева С.Г. – М.: 1995 г
25. Тарасова В.Ф. Савченко Т.В. Семыкина Л.Н. Налоги и налогообложение.- М.: 2004 г.
26. Улюкаев А.В. Проблемы государственной бюджетной политики: М.: 2004 г.
27. Ходов Л.Г. Налоги и налоговое регулирование экономики: М.: 2003 г.
28. Юткина Т.Ф. Налоги и налогообложение.- М.: 2002 г.

გამომცემლობის დირექტორი – **ნანა ხახუტაიშვილი**
გამომცემლობის რედაქტორი – **ლალი კონცელიძე**
ტექნიკური რედაქტორი – **ედუარდ ანანიძე**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.04.2015
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
ფიზიკური თაბახი 28

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში
ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35